

ბორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი

GORI STATE TEACHING UNIVERSITY
FACULTY OF HUMANITIES
CENTRE OF HISTORY AND ARCHAEOLOGY

შრომათა კრებული

COLLECTION OF THE WORKS

№19

2020

ჩ(უაკ) 902(479.22)(066)

ა-846

რედაქტორი: ელდარ მამისტვალიშვილი

რედაქოლებია:

მეუფე ანდრია (გვაზავა)

ზაზა ალექსიძე

ბუბა კუდავა

ლია მელიქიშვილი

გიორგი სოსიაშვილი

ნოდარ შენგელია

როინ ყავრელიშვილი

დავით ყოლბაია

კორექტურა: თამარ გოგოლაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: გიორგი ყაზიშვილი

Editor: Eldar Mamistvalishvili

Editorial Board:

Metropolitan Andrea (Gvazava)

Zaza Aleksidze

Buba Kudava

Lia Melikishvili

Giorgi Sosiashvili

Nodar Shengelia

Roin Kavrelishvili

David Kolbaia

Reviewer: Tamar Gogoladze

Computer Services provided by Giorgi Kazishvili

ISSN 1512-4657

შინაარსი სტატიები
CONTENTS Articles

საქართველოს ისტორია
History of Georgia

- მანანა გაბაშვილი* – კესაროსობის იდეა ქართულ პოლიტიკაში 10
Manana Gabashvili – IDEA OF CAESAR/CAESAREAN TITLE IN GEORGIAN POLITICS
- გიორგი გოცირიძე* – პირველი მსოფლიო ომის გავლენები: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 50
Giorgi Gotsiridze – EFFECTS OF WORLD WAR I: DEMOCRATIC REPUBLIC OF GEORGIA
- ალექსანდრე დაუშვილი* – კიდევ ერთხელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თავისებურებების შესახებ 73
Aleksandre Daushvili – ONCE AGAIN ON THE PECULIARITIES OF ESTABLISHING SOVIET POWER IN GEORGIA
- ელდარ მამისტვალიშვილი* – ეკატერინე II-ის დიპლომატია იმერეთის სამეფოს გაერთიანების წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ომის დროს (1768-1774 წწ.) 88
Eldar Mamistvalishvili – DIPLOMACY OF CATHERINE II AGAINST THE UNIFICATION OF IMERETI KINGDOM DURING THE RUSSO-TURKISH WAR (1768 – 1774)
- მარიამ მარჯანიშვილი* – ლულუ კერესელიძე - პოლიტიკურ ემიგრანტთა ახალი თაობა 105
Mariam Marjanishvili – LULU KERESSELIDZE – A NEW GENERATION OF POLITICAL EMIGRANTS

თამარ მესხი – ქართველთა სასაფლაოები იერუსალიმსა და მის შემოგარენში 119

Tamar Meskhi – GEORGIAN CEMETERIES IN JERUSALEM AND ITS SURROUNDINGS

მანანა მიჩიტაშვილი – ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორიიდან (ძვ.წ. I- ახ. წ. XV სს.) 133

Manana Michitashvili – FROM THE HISTORY OF MDZOVRETI, THE SITE OF FORMER TOWN (THE 1ST CENTURY B.C. – THE 15TH CENTURY A.D.)

გიორგი სოსიაშვილი – ანტირუსული გამოსვლის ერთი ეპიზოდი ლიახვის ხეობაში XIX საუკუნის დასაწყისში (ბარბარე ლაფაჩი) 173

Giorgi Sosiashvili – AN EPISODE OF ANTI-RUSSIAN ACTION IN THE LIAKHVI GORGE IN THE BEGINNING OF THE XIX CENTURY (BARBARE LAPACHI)

მზია ტყავაშვილი – შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროების საკითხი რუსულ-ოსმალურ საერთაშორისო ხელშეკრულებებში (1774-1833 წწ.) 189

Mzia Tkavashvili – THE ISSUE OF BLACK SEA EASTERN COASTS IN RUSSIAN-OTTOMAN INTERNATIONAL AGREEMENTS (1774-1833 YEARS)

ეკატერინე ძმანაშვილი – არაბული სახელწოდების ქართველი მოხელეები საქართველოში (ამიდი შურტა) 204

Ekaterine Dzmanashvili – GEORGIAN OFFICIALS OF ARABIC NAME IN THE MIDDLE AGES (AMIDI AND SHURTA)

ოთარ ჯანელიძე – თბილისი – კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცენტრი (XIX საუკუნე) 222
Otar Janelidze – TBILISI - CAUCASUS POLITICAL, ECONOMIC AND CULTURAL CENTER (19TH C)

წყაროთმცოდნეობა, ისტორიოგრაფია, ეთნოლოგია
Source Studies, Historiography, Ethnology

იოსებ ალიმბარაშვილი – ახალჯვარი და მისი წარწერები 260
Ioseb Alimbarashvili – AKHALJVARI AND ITS INSCRIPTIONS

თამარ ანთაძე – ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე 281
Tamar Antadze – VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT BISMARCK

დავით ახლოური – ქსნის ხეობის მთიანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ისტორიიდან 298
Davit Akhlouri – FROM THE HISTORY OF ETHNOGRAPHIC LIFE OF MOUNTAINOUS AREAS OF KSANI GORGE

თამარ გოგოლაძე – საისტორიო თხზულებანი დავით აღმაშენებელზე ბავშვებისათვის (დ. კარიჭაშვილი) 318
Tamar Gogoladze – HISTORICAL WRITINGS ON DAVID AGHMASHENEBELI FOR CHILDREN (D. KARICHASHVILI)

თეა გოგოლიშვილი – “Robustos Viribus“ ქართველები და “Effeminatus“ ბერძნები 329
Tea Gogolishvili – “ROBUSTOS VIRIBUS“ GEORGIANS AND “EFFEMINATUS“ GREEKS

ელდარ თავბერიძე – ქუთაისის მოსახლეობა 1885 წლის ერთდღიანი აღწერის მიხედვით 342

Eldar Tavberidze – THE POPULATION OF KUTAISI ACCORDING TO A ONE-DAY CENSUS OF 1885

მერაბ კალანდაძე – ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე 351
Merab Kalandadze – VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT NAPOLEON

იგორ კეკელია – ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ედმუნდ სპენსერი) 372

Igor Kekelia – EUROPEAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO (EDMUND SPENCER)

ირმა კეტხოველი – გლობალიზაცია მცირე ერებთან მიმართებაში 398

Irma Ketskhoveli – GLOBALIZATION IN RELATION WITH SMALL NATIONS

სოფიკო ლაბაძე – დესტრუქციული კომუნიკაციის ენობრივი მარკერი პოლიტიკურ დისკურსში 406

Sophiko Labadze – A LINGUISTIC MARKER OF DESTRUCTIVE COMMUNICATION IN POLITICAL DISCOURSE

გიორგი მეურმიშვილი, დარეჯან აბულაძე – საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები (ალექსეი ეისნერის ნამუშევრები) 416

Giorgi Meurmishvili, Darejan Abuladze – GEORGIAN UNKNOWN COLLECTIONS OF THE NATIONAL MUSEUM (ALEXEY EICNER'S COLLECTIONS OF PAINTINGS)

მაია ნოზაძე – კალისტრატე სალიას მეცნიერულ-კულტურული მემკვიდრეობა, ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი“ (ბედი ქართლისა) 429

Maia Nozadze – KALISTRAT SALIA'S SCIENTIFIC CULTURAL JOURNAL „REVUE DE KARTVELOLOGIE“ (THE FATE OF KARTLI)

თამარ ფარჩუკიძე – გელათის აკადემიის ემბლემა და მისი წინაისტორია 446

Tamar Parchukidze – SYMBOL OF GELATI ACADEMY AND ITS PREHISTORY

ნათელა ფოფხაძე – აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის წიგნის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ თვალსაზრისისათვის დამატებითი საბუთები ძვ. წ.-ით 2000-იანი წლების ტექსტებით 464

Natela Popkhadze – ACAD. SHALVA NUTSUBIDZE'S VIEWPOINT AND IMPORTANCE OF THE CUNEIFORM TEXTS WRITTEN IN 2000-IES BCE MENTIONING THE AREA CALLED KOLKHETI

მამუკა ჯოლბორდი – „საალერსო“ ხარჯები XIX ს. საქართველოს მმართველობაში (კ. ბოროზდინის ერთი მოგონების მიხედვით) 485

Mamuka Jolbordi – “CARESSING” EXPENSES IN THE GOVERNMENT OF GEORGIA IN THE XIX CENTURY (ACCORDING TO THE RECOLLECTION OF K. BOROZDIN)

ეკლესიის და ხელოვნების ისტორია
History of Church and Art

- ნანული აზიკური* – ნაბდის საკულტო ნიღბები და ალვანური ბერიკაობა 492
Nanuli Azikuri – FELT CULT MASKS AND BERIKAOBA IN THE ALVANI
- დეკანოზი ბორისი (ნიჩიპეროვიჩი)* – ეგზარქოსების საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში 505
Archpriest Boris (Nichiperovich) – THE ACTIVITIES OF THE EXARCHOS IN GEORGIA AT THE II HALF OF 19TH CENTURY
- თინა იველაშვილი* – ქართველ ებრაელთა სასაფლაოები სამცხე-ჯავახეთში 532
Tina Ivelashvili – GEORGIAN JEWISH CEMETERIES IN SAMTSNKHE-JAVAKHETI
- ელდარ ნადირაძე* – მემორიალური კულტურის ორი ტერმინის განმარტებისათვის 543
Eldar Nadiradze – FOR THE EXPLANATION OF TWO TERMS OF MEMORIAL CULTURE
- თებრონე ნადირაძე* – სულიერი ტრადიციების შესახებ აღმოსავლურ ბერძონოზვნობაში 551
Tebrone Nadiradze – ABOUT SPIRITUAL TRADITIONS IN EASTERN MONASTICISM
- მურმან პაპაშვილი* – დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ერთი ირიბი ცნობის დაზუსტების მცდელობა 572
Murman Papashvili – CLARIFICATION OF ONE INDIRECT DETAIL PROVIDED BY THE THEATINE MISSIONARY DON GIUSEPPE GIUDICE

ნესტან სულავა – ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატ-სახე
წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, დავით აღმაშენებლის
„გალობანსა“ და თამარის იამბიკოებში 594

Nestan Sulava – THE ICON OF SAINT MARIA IN THE “CAN-
ON” OF THE SAINT ANDREW OF CRETE, IN THE “HYMN” OF
DAVID THE BUILDER AND IN THE “IAMBUS” OF KING
TAMAR

კახაბერ ქებულაძე, იგორ კეკელია – ტრიფონ ჯაფარიძე
საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ 619

Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia – TRIPHON JAPARIDZE
ABOUT THE AUTOCEPHALY OF THE GEORGIAN
ORTHODOX CHURCH

ვლადიმერ წვერავა – ვლაქერნის ღვთისმშობლის ხატის ის-
ტორიიდან 633

Vladimer Tsverava – FROM THE HISTORY OF ICON OF OUR
LADY OF VLAKIARIA

ქრონიკა 645
CHRONICLE

მანანა გაბაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გიორგი წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი;
საქართველოს ეროვნული მუზეუმი

კესაროსობის იდეა ქართულ პოლიტიკაში

კესაროსობის იდეას ქართული პოლიტიკაში, რაც ბი-
ზანტიის იმპერიის ჩანაცვლებას გულისხმობდა, თანამედროვე
ქართულმა მეცნიერებამ ზერელედ შეხედა. ამ დროს კესა-
როსობის იდეას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სხვადა-
სხვა დროსა და ეპოქაში განსხვავებული ხასიათის წყაროები
საგანგებოდ განიხილავენ. ქართველი მეფეებიც ამ იდეას, ქვე-
ყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკიდან გამომდინარე, სხვა-
დასხვაგვარად უდებობდნენ.

ქართულ პოლიტიკაში კესაროსობის იდეის დასმისას,
პირველ რიგში, გასათვალისწინებელია საქართველოს აღმო-
სავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე მდებარე ქვეყნის
სპეციფიკური გეოგრაფიული მდებარეობა, რაც საუკუნეების
განმავლობაში მისი ისტორიის თავისებურებას განაპირობებ-
და, გავლენას ახდენდა პოლიტიკურ ხედვაზე, ქართველი
ერის ფსიქოლოგიაზე, ცხოვრების წესზე, აღზრდის სისტემა-
ზე. შესაბამისად, ურთულეს რეგიონში მდებარე საქართველო-
სთვის პოლიტიკისადმი სწორ მიდგომას სასიცოცხლო მნიშ-
ვნელობა ჰქონდა. საქართველოში მყოფი ევროპელი მისიონე-
რი პიერ დე ვიტრი (XVI-XVII სს.) წერდა, რომ „ქართვე-

ლებს უფრო მეტად, ვიდრე სხვას სჭირდებოდათ გამჭვრია-
ხობა, ძალა და წინდახედულება”¹.

საქართველოს გეოპოლიტიკის ჭრილში უნდა განვიხი-
ლოთ ჩვენ წინაშე დასმული კესაროსობის საკითხიც. ამ იდ-
ეის განხილვისას, როგორც ეს უკვე აღინიშნა, უდიდესი მნი-
შვნელობა აქვს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ
არსებულ ვითარებას. თავის დროზე ჩვენი წინაპრები ამ პო-
ლიტიკურ იდეაზე საგანგებო ყურადღებას რომ ამახვილებდ-
ნენ, ჩანს როგორც „ქართლის ცხვრებიდან”, ისე სხვა წყა-
როებიდან. გარდა იმისა, რომ ისინი ამ მხრივ ერთმანეთს ავ-
სებენ, მათი ანალიზიდან ამკარაა, რომ ამ და სხვა საკითხე-
ბისადმი ერთგვარი კომპლექსური მიდგომა არსებობდა, რომე-
ლიც მეფიდან მოყოლებული საზოგადოების ყველა ფენას
ეხებოდა.

ქართველი ერისთვის მეფე ორიენტირი და ზნეობრივი
მაგალითი იყო, რაც ერის მობილიზებისთვის აუცილებელ პი-
რობას წარმოადგენდა. ამდენად ამ და სხვა ამოცანების დას-
მისას, კესაროსობის ჩათვლით, მეფის ძლიერ ინსტიტუტსა
და მომავალი მეფის აღზრდას (ფიზიკურსა თუ ზნეობრივს)
უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, ისევე როგორც ურთულეს
რეგიონში მდებარე საქართველოსთვის განათლებას, რომლის
გარეშეც სწორი ანალიზი, პოლიტიკური ვითარების პროგნო-
ზირება, ასევე დახვეწილი დიპლომატიის წარმართვა რთული
იყო. ჩვენ ამითაც ვხსნით ბაგრატიონების დინასტიის განათ-
ლებით გამორჩეულობას, რასაც საგანგებო წერილიც მივუძღ-
ვენით². ამიტომაც მომავალი მეფის აღზრდაში ერთ-ერთი უმ-

¹ მ. იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურა-
ში (XV-XVIII სს.), თბილისი, 2006, გვ.76.

² მ. გაბაშვილი, განათლება და დავით კურაპალატის პოლიტიკა,
„ლოგოსი”, თბილისი, 2008, გვ. 112-119.

ნიშნენლოვანეს ფაქტორს შესაბამისი მოძღვრის არჩევა წარმოადგენდა. მაგალითად, გიორგი II-ის (1072-1089) აღმზრდელი, ვისაც ქვემოთ კესაროსობასა და საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკასთან კავშირში განვიხილავთ, გიორგი მთაწმინდელი იყო, შესანიშნავი ისტორიკოსიც, რამაც, როგორც ამას ქვემოთ ვუჩვენებთ, ქართულ პოლიტიკას უმნიშვნელოვანესი კვალი დაამჩნია. ეს ეხება მის აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკისადმი დამოკიდებულებასაც, რომელიც უშუალოდ იყო გადაბმული კესაროსობასთან და 1104 წლიდან გიორგი II-ის ტიტულატურაში დასტურდება.

კესაროსობასთან დაკავშირებული პოლიტიკა, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლებას გულისხმობდა, თავისთავად ცხადია, მასშტაბური იყო, რაც შესაბამის მიდგომას ითხოვდა. პირველ რიგში, ქვეყნის წინაშე დასმული ამოცანების გადასაწყვეტად უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა გამძლე და ზნეობრივი თაობების აღზრდას, ასევე სოციალურ ბალანსს, რაც ერში დაპირისპირებას გამორიცხავდა და, შესაბამისად, ქვეყნის დასუსტებას. ასე რომ, როგორც ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების, ისე საერთაშორისო მოვლენებში ჩართვა და, მით უმეტეს, საქართველოს დაცვა ერის მობილულების გარეშე გაჭირდებოდა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართველი მეფეები თავიანთ წინამორბედთა მოცდილებასაც ითვალისწინებდნენ, რაც „ქართლის ცხოვრებიდან“ ასევე კარგად ჩანს. ისინი სათანადო ანალიზისა და გონივრული მიდგომის საფუძველზე გეგმავდნენ ქართული პოლიტიკის პროგრამას, რომლის შემადგენელ ნაწილსაც კესაროსობის საკითხიც შეადგენდა და რისი განხორციელებაც საშინაო და საგარეო ფაქტორებზე იყო დამოკიდებული.

მაინც რას ვგულისხმობთ ამ პროგრამაში, რომელზეც ქართულ ისტორიოგრაფიას ყურადღება არ გაუმახვილებია. საქმე ის არის, რომ ეს პროგრამა პირდაპირ კავშირშია საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობასთან და ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესშივე იჩენს თავს. ამ დროს მისი გათვალისწინების გარეშე რთულია ამა თუ იმ კონკრეტული თუ ზოგადი პრობლემების კვლევა. აღნიშნული პროგრამა წარსული პრობლემების შეჯამებასაც წარმოადგენდა და ორიენტირებული იყო არა მარტო აწმყოზე, არამედ მომავალზეც. ჩვენი კვლევა მიმართულია ამ პროგრამის იმ ნაწილზე, რომელიც კესაროსობასა და მასთან დაკავშირებულ აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკას გულისხმობს და სხვადასხვა ხასიათის წყაროში გვხვდება (წერილობით, ფრესკებსა თუ ნუმიზმატიკურ მასალებში და სხვ.).

როგორც ამ მიმართულებით კვლევამ გვიჩვენა, კესაროსობასთან დაკავშირებული პოლიტიკით საქართველო სხვადასხვა პერიოდში არსებული ვითარების მიხედვით მოქმედებდა. მას ან პროპაგანდას უწევდა, ანდა ნილბავდა და უწყვეტი ტრადიციის სახეს აძლევდა. მოგვიანებით, როგორც ამას ქვემოთ უჩვენებთ, ქართველი მეფეები მას აქტიურად იყენებდნენ დიპლომატიაშიც.

ზემოთ ითქვა, რომ კესაროსობის იდეას ქართული პოლიტიკის მასშტაბზე გავყევართ, რომლის მიმართაც ნიჰილისტური მიდგომა, დაპყრობილ საქართველოში 1801 წლიდან მოყოლებული, ლამის ნორმად აქციეს და ზოგიერთ შემთხვევაში მას დაპყრობილი ქვეყნის ერთი ნაწილის, დამორჩილებული ადამიანების პოზიციიდან უყურებდნენ. საინტერესოა, რომ ზოგიერთმა ქართველმა მემკვიდრემ ეს ფაქტორიც გაითვალისწინა. თამარ მეფის დროს, როდესაც მისი მასშტაბური პოლიტიკა, რაც კესაროსობასთან კავშირშიც იყო,

ხორცშესმას იწყებს, თამარის მემატთანე იმ ნიჰილიზმსაც ითვალისწინებს, რომელიც ყველა დროს პიროვნებასა და ქვეყანას შიგნიდან ზრავდა. შესაბამისად ამ ფაქტორების გათვალისწინებით მემატთანე საჭიროდ მიიჩნევს საუკუნეების მიღმა გაიხედოს და იმ ნიჰილისტებს მიმართოს, რომლებიც მომავალში თამარის პოლიტიკის მასშტაბში ეჭვს შეიტანდნენ.

როგორც აღინიშნა, კეასაროსობის იდეა ქართულ პოლიტიკაში ფეოდალური საქართველოს გაერთიანების პროცესს უკავშირდება, კერძოდ, დავით კურაპალატს (966-1001), რომელიც ამ პროცესებს წარმართავდა. პროგრამის ეს მხარე ვიზუალურად ოშკის ტაძრის ბარელიეფზე ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი ფორმითაა გადმოცემული. მასზე დავით კურაპალატი იმპერატორის გვირგვინში გვევლინება, რაც კეასაროსობასა და ბიზანტიის მემკვიდრეობაზე მეტყველებს. ეს კი ერთგვარი მინიშნებაა ამ პოლიტიკის იმ ნაწილზე, რომელშიც დიდი როლი ენიჭებოდა საზღვაო იმპერეებსა და ტრაპიზონის საკითხს¹. აღსანიშნავია, რომ ის, რასაც ამ კუთხით უცხოური (მათ შორის ბიზანტიური) წყაროები ადასტურებენ, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას ასევე ყურადღების მიღმა დარჩა. ამ დროს ეს ინტერეზები ფეოდალური საქართველოს გაერთიანებამდეც არსებობდა (მაგალითად, ვახტანგ გორგასლის დროს, მანამდე და მერეც), მაგრამ დავით კურაპალატმა საქართველოს ისტორიისთვის უმნიშვნელოვანეს პერიოდში მას უკვე პროგრამული ხასიათი მიანიჭა. იგი ამ პოლიტიკიდან გამომდინარე, საზღვაო ინტერეზების გათვალისწინებითაც, აქტიურად თანამშრომლობდა

¹ მ. გაბაშვილი, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების წინაპირობები – დავით კურაპალატი, კრებული, თამარ გამსახურდია 70, თბილისი, 2007, გვ. 121, 127.

ათონელ ბერებთანაც (თავისი პირადი წარმომადგენლის სახითაც), რომლებიც ივირონში (დავითის ხელშეწყობითაც რომ დაარსდა) მის პოლიტიკას ატარებდნენ ¹.

ვალერიან გაბაშვილი ათონს აღმოსავლური და დასავლური კულტურის ნაკადების შეხვედრის ადგილად მიიჩნევდა². ამდენად, ათონი ერთგვარ ნიადაგს წარმოადგენდა აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის წარმართვისთვის, შესაბამისად, პირდაპირ კავშირშიც უნდა განვიხილოთ კესაროსობასთან. ასეთ ვითარებაში დიდი დატვირთვა მოდიოდა განათლებაზე. ამის კიდევ ერთი დადასტურებაა დავით კურაპალატის ურთიერთობა ათონელებთან, ათონთან, სადაც მას თავისი სპეციალური წარმომადგენელიც ჰყავდა. ასე რომ, ათონი აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის რეალიზაციის ერთ-ერთი გზაც იყო და დავით კურაპალატის პოლიტიკის პროპაგანდის კერა.

ათონელი ბერები, როგორც ცნობილია, დიპლომატიურ საქმიანობასაც ეწეოდნენ და საჭიროების შემთხვევაში საბრძოლო ოპერაციებშიც იღებდნენ მონაწილეობას. ამიტომაც ჩვენ დავით კურაპალატის მკვლელობის საკითხის კვლევისას (1001წ.) ამ ტრაგედიას სხვა კუთხით შევხედეთ. ის მივიჩნიეთ ბიზანტიის მხრიდან დავით კურაპალატის ამ მასშტაბური პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულად, რომელიც აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკისა და კესაროსობისკენ იყო

¹ ქართული პროზა., I, თბილისი, 1982, 390; მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 120.

² ვალერიან გაბაშვილი, ათონური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები როგორც წყარო, ათონი – 1000, თბილისი, 1983, გვ. 88-89.

მიმართული და მისი მკვლევლობით დაიბლოკა, მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი აღმოჩნდება ¹.

დავით კურაპალატის პოლიტიკას პროგრამული ხასიათი რომ ჰქონდა, ამის დასტური გიორგი II-ის (1072-1089) ტიტულატურაა, რომელზეც ქართველი მეფე ასეა წარმოდგენილი: „კეთილისა მსახურისა და ღვთივ დაცულისა ჩუენისა გიორგი მეფით მეფისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლისა და დასავალის კესაროსისა“². აღნიშნული ტიტულატურა, როგორც ეს უკვე ითქვა, 1104წ. არის შედგენილი. ის ამ ფორმით პირველად არსენ ბერის მიერ დაწერილ შესხმაში დასტურდება, რომელიც რუის-ურბნისის კრებამ (1104წ.) უკვე საქართველოს ერთპიროვნულ მმართველს დავით აღმაშენებელს მიუძღვნა³. აქვე შევნიშნავთ, რომ კესაროსს აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკასთან კავშირში ანნა კომნენე (ბიზანტიის ტახტისთვის ბრძოლების აღწერისას) ასე განმარტავს: ბიზანტიის იმპერატორობა მთელი აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლად ყოფნას ნიშნავდა⁴.

აღსანიშნავია, რომ 1104წ. გიორგი II გადამდგარია თავისი მემკვიდრის დავითის სასარგებლოდ, მაგრამ დავითის

¹ მ. გაბაშვილი, დავით კურაპალატის გარდაცვალების საიდუმლოება და მისი პოლიტიკური მოტივი, პროფ. ნოდარ შენგელიას დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 2008.

² მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულატურა როგორც საისტორიო წყარო, კრ., ქართველოლოგია, I, თბილისი, 2012, 19; მისივე, გიორგი II-ის ტიტულატურა, 117-129, ეძღვნება აკად. გრიგოლ გიორგაძის 85-ე წლისთავს, Bulletin of the Institute of Biblical and Archeological Studies, Tbilisi State University, Cornell university, 2010-2011, 8, გვ. 113-114.

³ თ. ჟორდანი, ქრონიკები, ტ. II, თბილისი, 1897, 70; გეორგიკა, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, 6, თბილისი, 114.

⁴ ანნა კომნენე, გეორგიკა, ტ. 6, თბილისი, 1966, გვ. 34.

ტიტულატურა („მეფე აფხაზთა და ქართველთა, კახთა და რანთა“) მამის ტიტულატურას ვერ უტოლდება. თუმცა ამ განსხვავებაში გასარკვევად აუცილებელია ქვეყნის შიგნით თუ გარეთ არსებული ვითარების სერიოზული ანალიზი.

საქმე ის არის, რომ გიორგი II კესაროსად 1104 წლამდე, ერთპიროვნული მმართველობის დროსაც იხსენიება. მაგრამ კესაროსს 1104 წლამდე და 1104 წლის შემდეგ სულ სხვა, განსხვავებული დატვირთვა ჰქონდა, ამიტომაც მკვლევარნი, რომლებიც 1104წ. კესაროსში კვლავაც ბიზანტიის საკარისკაცო ტიტულატურას ხედავენ, ცდებიან და, შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ ვითარებასა და დროს ერთმანეთში ურევენ, რასაც ქვემოთ განვიხილავთ.

თავის დროზე გიორგი II-ის აღნიშნულ ტიტულატურას გაკვრით, მაგრამ მაინც მიეჭა ყურადღება. ივ. ჯავახიშვილის აზრით: „ცხადია, მეფეები თავიანთ თავს სრულ თვითმპყრობელებად ჩასთვლიდნენ და კესაროსობის ძლიერების მოხვეჭასაც მოინდომებდნენ. ის სწორედ ასე მოხდა კიდევ. უკვე 1082 წელს შიომღვიმისადმი ნაბოძებ წყალობის წიგნში გიორგი II თავს „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპყრობელად აღიარებს“¹.

მართალია, ი. ჯავახიშვილმა ქართველი მეფის ტიტულატურაში კესაროსზე ყურადღება გაამახვილა, თანაც „ყოვლისა აღმოსავლეთთან და დასავლეთთან კავშირში“, მაგრამ ის არ ჩაღრმავებია ამ საკითხს, თუმცა მისი მასშტაბი დაინახა და კიდევაც აღნიშნა. საბოლოოდ მკვლევრებმა ქართველ მეფეთა „აღმოსავლეთსა და დასავლეთს“ პოლიტიკური შინაარსი გამოაცალეს და მას კულტურულ-სარწმუნოებრივი ხა-

¹ ივ. ჯავახიშვილი, ტ. VII, თბილისი, 1984, გვ. 88.

სიათი მიანიჭეს. ასე მიუდგნენ გიორგი II-ის ტიტულატურასაც ¹.

გ. ალასანიამ სტატიაში „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ ეს ფორმულა გაიგო არა როგორც გეოგრაფიული არეალისადმი მისადაგებულად, არამედ დაუკავშირა უნივერსალური მეფის ძველადმოსავლურ იდეალს და ასევე ერის პოლიტიკურ-კულტურულ იდენტიფიკაციას, ან დასავლეთისა და აღმოსავლეთის გზასაყარზე მდებარე გაერთიანებული ქვეყნის ადგილის განსაზღვრას იმდროინდელ სამყაროში ².

ჯ. სტეფნაძე და ილ. ანთელავა იზიარებენ ს. ჯანაშიას აზრს, რომლის თანახმადაც „აღმოსავლეთი და დასავლეთი“ გულისხმობს აღმოსავლეთის მართლმადიდებლურ სამყაროს მთლიანად ³.

კიდევ ერთი მომენტი გასათვალისწინებელი.

მკვლევარები ხშირად ურევენ ერთმანეთში „აღმოსავლეთს“ და „ყოველ აღმოსავლეთს“. ამ დროს „ყოველი აღმოსავლეთი“ სცილდება საკუთრივ საქართველოს, მას გაცილებით ფართო მნიშვნელობა აქვს და ის ტერიტორიები იგულისხმება, დავით კურაპალატმა ბასილი II-დმი (976-1125) დახმარების სანაცვლოდ რომ მიიღო. ამდენად მასში პოლიტიკური შინაარსია ჩადებული და საქართველოს შორს მიმავალ გეგმებს უკავშირდება.

¹ მ. სურგულაძე, ქართული საისტორიო აქტები, XI-XIV საუკუნეები, თბილისი, 2006, გვ. 227, 230.

² გ. ალასანია, დასავლეთი და აღმოსავლეთი, საისტორიო კრებული, თბილისი, 2007, გვ. 21.

³ საქართველოს ისტორია, ნაწილი I, ს. ჯანაშიას რედაქციით, თბილისი, 1946, გვ. 220; ჯ. სტეფნაძე, XI-XII საუკუნეების საქართველოს მეფეთა ტიტულატურის გაგებისთვის, თბილისი, 1976, გვ. 165; ილ. ანთელავა, XI-XIV საუკუნეების ქართული საისტორიო წყაროები, თბილისი, 1988, გვ. 104.

ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, რომ „ყოველი აღმოსავლეთი“ დავით კურაპალატიდან მოდის. თავისთავად ის ფაქტი, რომ მან ის თვითნებურად მიიღო, ბიზანტია-საქართველოს ამ კუთხით დაპირისპირებაზე მიგვანიშნებს ¹. ამას ისიც ადასტურებს, რომ ბიზანტიელები ქართველ მეფეებს არა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატებს“, არამედ უბრალოდ „კურაპალატებს“ უწოდებდნენ ².

ამ იდეის პროგრამულობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქართველოს გაერთიანებიდან მოყოლებული, შემდგომი პერიოდის ქართველი მეფეების ტიტულატურაში დასტურდება „ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთის თვითმპრობელი“. გიორგი II-დან მოყოლებული ესენი არიან გიორგი III, თამარი, გიორგი ლაშა, დავით ნარინი, გიორგი ბრწყინვალე, გიორგი VII.

ცნობილია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფლობის პრეტენზია სხვადასხვა ისტორიისა და კულტურით განსხვავებულ ქვეყნებსა და ხალხებს ჰქონდათ. მათ შორის, როგორც ვხედავთ, საქართველოცაა, რასაც ქართულ წყაროებთან, პირველ რიგში „ქართლის ცხოვრებასთან“ მივყავართ, რომელიც საქართველოს აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის სიღრმეებს წარმოაჩენს, ვახტანგ გორგასალამდე, მირიანამდე და ფარნავაზამდე. ქართულ ფოლკლორშიც შემთხვევითი არ უნდა იყოს „მაშრიყ მალრიბის“ („აღმოსავლეთი და დასავლეთი“) ხშირი დადასტურება და სხვ.

ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია და ნ. ბერძენიშვილი 1946 წელს გამოცემულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ამ პოლიტიკას დავით აღმაშენებელს უკავშირებენ. ამის თაობაზე მასში ნათქვამია: „დავით აღმაშენებლის შემდ-

¹ მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულატურა, გვ. 118.

² იქვე, გვ. 117-118.

გომ ქართველ მეფეთა გეოპოლიტიკური მისწრაფებები შეუნელებლად იზრდება. ეს მისწრაფებები ბოლოს ყალიბდება, როგორც ისტორიული სარბიელიდან ჩამოსული ბიზანტიის იმპერატორის ადგილის დაკავების პრეტენზია”¹.

ამ აზრს იზიარებდა შ. ბადრიძე². თუმცა, როგორც აღინიშნა, ამ პოლიტიკას გაცილებით შორეულ წარსულში მივყავართ და მას გაცილებით ღრმა ფესვები აქვს.

ილ. ანთელავას თანახმად, ეს იდეა გიორგი II-ის დროს უნდა გაჩენილიყო (თუმცა, როგორც აღინიშნა, ეს იდეა მანამდეც არსებობდა), მაგრამ მას მიაჩნდა, რომ გადამდგარ მეფეს არ შეიძლება ჰქონოდა ასეთი ფართო პოლიტიკური პრეტენზიის გამომხატველი ტიტულატურა, გაცილებით მაღალი, ვიდრე დავით აღმაშენებელს ჰქონდა³.

ჩვენი თვალსაზრისით, ამ ვითარებაში გასარკვევად გარდა იმისა, რომ აუცილებელია როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ არსებულ ვითარებაში ჩაღრმავება, ასევე გასათვალისწინებელია ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება გიორგი II-დმი, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, უარყოფითია. ეს არის შედეგი, როდესაც თანამედროვეები სათანადოდ ვერ აანალიზებენ ეპოქას და უსამართლო ბრალდებებით (როგორც გიორგი II-ის შემთხვევაშია) ქართული ისტორიოგრაფიის უნებურ დეზორიენტირებას ეწევიან, რაც ისტორიული ჭეშმარიტების დადგენას ხელს უშლის. ასე მოხდა დავით კურაპალატთან დაკავშირებითაც, როდესაც ზოგიერთმა მეცნიერმა საკუთარი არასწორი შეხედულებები დავით კურაპალატს მოახვია და არათუ გაკიცხა, მისი ბრა-

¹ საქართველოს ისტორია, ნაწილი I, გვ. 2019.

² შ. ბადრიძე, დავით დიდი ტაოელის პოლიტიკური სტატუსის საკითხისათვის, თსუ შრომები, 8-9 (155-156), თბილისი, 1974, 87.

³ ილ. ანთელავა, დასახ. ნაშრ., გვ. 104-105.

ლდების საკითხიც დასვა¹. ამიტომ მართალი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „ჭეშმარიტი მეისტორიე, ვითარცა გამკითხველი, ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩაჯდეს და მერე განიკითხოს თვით შვილნიცა“.

როგორც ეს უკვე ითქვა, მცირე გამონაკლისის გარდა (რ. მეტრეველი და ჯ. სამუშია), მკვლევართა უმრავლესობა გიორგი II-ს უარყოფითად აფასებს. ამ დროს 1004 წ. მის ტიტულატურაში გასარკვევად პირველ რიგში საჭიროდ უნდა მივიჩნიოთ გიორგის II-ის, როგორც პიროვნებისა და მეფის მოღვაწეობაში ღრმად ჩახედვა. ამან საშუალება მოგვცა ახლებურად შეგვეხედა და სულ სხვა კუთხით წარმოგვეჩინა ეს განათლებული მეფეც, რასაც საგანგებოდ აღნიშნავენ უცხოური წყაროები. ამასთან დაკავშირებით მხედველობაშია მისაღები, რომ გიორგის აღზრდაში დიდი როლი შეასრულა გიორგი მთაწმინდელმა, მოღვაწემ, რომელიც, რაც ასევე მნიშვნელოვანია ჩვენი კვლევისთვის, ღრმად იყო ჩახედული საქართველოს აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკაშიც. სწორედ მან შემოგვინახა ცნობები აღნიშნული პოლიტიკის თაობაზე, რომელშიც ათონის სავანის დაარსებისთანავე, ათონელი ბერები იყვნენ ჩართულნი და, როგორც ეს უკვე აღინიშნა, ამ პოლიტიკიდანაც გამომდინარე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ დავით კურაპალატთან². დავითი ამ პოლიტიკას საერთაშორისო დატვირთვასაც რომ აძლევდა, ამას ადასტურებს მისი საგანგებო ზრუნვა უცხოეთის სხვა ქართულ

¹ გ. ბუაჩიძე, ბიზანტიის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა იაკობ ანტიოქელის „ისტორიაში“ (X ს. 40-იანი წლები – XI ს. I მესამედი), სადისერტაციო ნაშრომი ისტ. მეც. კანდ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი, 2000, გვ. 15.

² მ. გაბაშვილი, ათონელი ბერების ადგილი და როლი ქართულ პოლიტიკაში, „ლოგოსი“, თბილისი, 2011, გვ. 91-96.

სავანებზეც, რომლებიც დიდ ეროვნულ საქმეებთან და ამ პოლიტიკასთანაც იყვნენ დაკავშირებულნი, კერძოდ, საქართველოს აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკასთან. არ არის შემთხვევითი, გიორგი მთაწმინელის აღზრდილი გიორგი II ხელისუფლებაში მოსვლისთანავე აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის გატარებას პრაქტიკულად რომ იწყებს, რაც მხოლოდ თურქების შემოსევით დაიბლოკება.

ამიტომაც მიგვაჩნია, რომ თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის მიერ გიორგი II-ის მიმართ წაყენებული ბრალდებები ქართული პოლიტიკის ამ მნიშვნელოვან პროგრამასაც აყენებს ზიანს. მაგალითად, ვეჟინის ალყის მოხსნის მიზეზს გიორგი II-ის არასერიოზულობაში ხედავენ. თუმცა ზოგიერთი მკვლევარის თანახმად, ამით მან მალიქ-შაჰის მზაკვრული გეგმა ჩაშალა და მისი ჯარით კახეთ-ჰერეთის აოხრება აიცილინა¹. ამ დროს თვით თურქული ისტორიოგრაფიის ზოგიერთი წარმომადგენელი (ინანჩი) გიორგი II-ს ამას ქარაფშუტობაში კი არ უთვლის, როგორც წერდნენ და გვასწავლიდნენ, არამედ მის პოლიტიკურ გადაწყვეტილებად მიიჩნევს². გიორგი II-ის ისფაჰანში წასვლასაც მალიქ-შაჰთან, რომელიც თურქ-სელჩუკთა მმართველებს შორის უძლიერესი იყო, გიორგი II-ს შეცდომად უთვლიან. მაგრამ არ უფიქრდებიან მისი წასვლა რამდენად დიდ რისკთან და პიროვნულ გამბედაობასთანაც იყო დაკავშირებული, ვინაიდან წინასწარ არავინ იცოდა, თუ როგორ შეიძლება დამთავრებულიყო ეს შეხვედრა. თუმცა გიორგი II-მ ამ ვიზიტს თავი გაართვა. მან კომპრომისული პოლიტიკით, ხარკის განახლებით, რასაც

¹ რ. მეტრეველი, ჯ. სამუშია, მეფეთ მეფე გიორგი II, თბილისი, 2003, გვ. 120.

² ნ. შენგელია, სელჩუკები და საქართველო, თბილისი, 1968, გვ. 316-317.

ზოგიერთი თანამედროვე ისტორიკოსი სამარცხვინო უკან დახევად უთვლის, „დიდი თურქობის“ საქართველოსთვის დამანგრეველი პროცესები შეაჩერა, სიმშვიდე მოუპოვა ქვეყანას და დაასვენა, რამაც დავით აღმაშენებელს რეფორმებისთვის აუცილებელი პირობები შეუქმნა. არც იმას გამოვრიცხავთ, რომ დასავლეთ საქართველოში გადასვლით გიორგი II-მ თურქებს ყურადღება მოუდუნა. ცნობილია, რომ ამ ხერხისთვის დავით აღმაშენებელსაც მიუმართავს. გიორგი II-ის პოლიტიკის ამ მხარეების ობიექტურ შეფასებას ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს აღნიშნული საკითხის კვლევის საქმეში, ვინაიდან ასეთი მიდგომით კარგად ჩანს ქართველი მეფის სახელმწიფოებრივი აზროვნება, რისი ერთ-ერთი დასტურიც, როგორც ვუჩვენებთ, 1104 წ. გიორგი II-ის ტიტულატურაა. რაც მთავარია, აშკარაა, თუ როგორ ამზადებდა მოქნილი ქმედებებით გიორგი II პირობებს დავით აღმაშენებლის ბრწყინვალე ეპოქისთვის.

მაგრამ რაში გამოიხატება გიორგი II-ის 1104 წ. ტიტულატურასთან მიმართებაში სახელმწიფოებრივი აზროვნება? სანამ ამ თემას ამ კუთხით შევეხებით, შეცვლილი საერთაშორისო ვითარებაცაა აღსანიშნავი, როდესაც გიორგი II თავისი მემკვიდრის დავითის სასარგებლოდ გადადგება, ჩვენი აზრით, ამით მან მალიქ-შაჰისთვის მიცემული ვალდებულებები მოიხსნა, დავითს კი მოქმედებისთვის ხელ-ფეხი გაეხსნა¹.

რა გვაქვს მხედველობაში.

დავით აღმაშენებლის ერთპიროვნული მმართველობი დროს ბიზანტიის დასუსტების პირობებში, თურქ-სელჩუკების მიერ 1071 წ. მანასკერტთან ბიზანტიელების დამარცხის შემდეგ 1097 წ. დავით აღმაშენებელი, უკვე ერთპიროვნული

¹ მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულატურა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 39.

მმართველი, დასუსტებული ბიზანტიის ტიტულებზე უარს ამბობს. ამავე წელს დავით აღმაშენებელი თურქ-სელჩუკებს ხარკს უწყვეტს, რომლებიც მალიქ-შაჰის გარდაცვალების შემდეგ (1092 წ.) ასევე სუსტდებიან. მათ შორის დინასტიური ბრძოლები ძალაუფლებისთვის ორ ათეულ წელზე მეტ ხანს გაგრძელდება. დავითი კი ყველა ფაქტორის გათვალისწინებით თურქ-სელჩუკების საქართველოდან ეტაპობრივად განდევნას იწყებს.

სწორედ ამ ახალ პოლიტიკურ ვითარებაში, ბიზანტიისა და თურქ-სელჩუკთა დასუსტების პირობებში, ქართველი მეფის ტიტულატურაში იცვლება კესაროსის მნიშვნელობაც. როგორც აღინიშნა, 1104 წლამდე საქართველოში კესაროსს სხვა დატვირთვა ჰქონდა (ბიზანტიური სამოხელეო ტიტულატურის), 1104 წლის შემდეგ კი, გიორგი II-ის ტიტულატურაში, აღმოსავლეთთან და დასავლეთთან კავშირში, ის უკვე ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების პრეტანზიის აღმნიშვნელია, რაც შემდგომი პერიოდის სხვა ქართული მასალებითაც დასტურდება. ეს კი კიდევ ერთხელ ამ იდეის პროგრამულ ხასიათზე მეტყველებს. თუმცა სხვა აზრის არის ნ. ბერძენიშვილი. იგი მიიჩნევდა, რომ გიორგის „მეფეთ მეფობა“ და „კესაროსობა“ ცარიელი პატივია და რომ მას სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. მაგრამ ქართული ისტორიოგრაფია ვითარდება და მისი განვითარების ახალ ეტაპზე, განსხვავებით წინა პერიოდისგან, ახალი შეფასებისა და დასკვნების გამოტანის საშუალების წინაშე ვდგებით.

თავისთავად იმ ფაქტს, რომ რუის ურბნისის კრებაზე (1104წ.) მიღებულ „ძეგლისწერაში“ გიორგი დავითის წინ მოიხსენიება, რასაც სამეფო კარის ეტიკეტად, ფორმალურ მხარედ მიიჩნევენ, უნდა დაემატოს ისიც, რომ დავით აღმაშენებელი „ძეგლისწერას“ მაღალ შეფასებას აძლევს. ეს კი

ტიტულატურის საკითხშიც მამა-შვილს შორის თანხმობისა და კოორდინაციის დამადასტურებელად და ჩვენი კვლევების ერთგვარ ორიენტირებად უნდა მივიჩნიოთ. არც ის გამხდარა მათ შორის განხეთქილების მიზეზი, რომ ერთი პერიოდი გიორგი თუ „მეფეთ მეფეა“, დავითი „მეფედ“ მოიხსენიება.

მაგრამ იბადება სხვა კითხვაც.

რატომ ატარებს უმაღლეს ტიტულატურას გადამდგარი მეფე და არა დავითი, რომელიც უკვე ერთპიროვნული მმართველია. ეს ის კითხვაა, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხანია დაისვა, მაგრამ მას სათანადო ახსნა ვერ დაეძებნა.

ჩვენი აზრით, პირველ რიგში, გარკვეულ ისტორიულ ვითარებაში, კესაროსი უნდა გავიგოთ, როგორც ტრადიციის, ამ პოლიტიკის უწყვეტობის მიმანიშნებლად და, შეიძლება ითქვას, ქართული პროგრამის სიცოცხლისუნარიანობის გამომხატველადაც. შესაბამისად, მისი საჯარო დემონსტრირებაც არ ხდებოდა. ამის მიზეზად საერთაშორისო ვითარება მიგვაჩნია, რასაც მაშინდელი, შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკა ითვალისწინებს, ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერი კი მხედველობაში არ იღებს.

საქმე ის არის, რომ პრეტენზია ბიზანტიის მემკვიდრეობაზე თურქ-სელჩუკებსაც ჰქონდათ. ეს მათ თავიდანვე განაცხადეს, რაც შავი და ხმელთაშუა ზღვების კონტროლსაც გულისხმობდა¹. ცნობილია, რომ დიდ სელჩუკთა სახელმწიფოს დამაარსებელი თოღრულ ბეგი (1037-1063) აბასელთა ხალიფამ „აღმოსავლეთისა და დასავლეთის“ მეფედ ცნო. „სულთნად ორი ხმელეთისა და ხაკანად ორი ზღვისა“. მან

¹ მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 43.

თავზე ორრქიანი გვირგვინი დაიდგა, სიმბოლო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მბრძანებლის ¹.

თურქ-სელჩუკებს კარგად ესმოდათ, რომ მათი პოტენციური მეტოქე ამ კუთხით საქართველო იყო. ამიტომაც ისინი ყოველმხრივ ზღუდავდნენ გიორგი II-ის მიზანსწრაფულ პოლიტიკას როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მიმართულებით, რაშიც საზღვაო ინტერესებიც იგულისხმებოდა. კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ისიც, რომ გიორგი II-ის სახით მათ წინაშე, ძლიერი და მდიდარი ქვეყნის სერიოზული და ანგარისგასაწევი ძალა იდგა, რასაც თავადვე აღნიშნავდნენ და მათ ამ აზრს „ქართლის ცხოვრებაც“ ადასტურებს ².

ასევე მხედველობაშია მისაღები, რომ გიორგი II-ის მმართველობა თურქ-სელჩუკების ყველაზე ძლიერი და წარმატებული მალიქ-შაჰის დროს მოდიოდა. ამიტომაც გარკვეულ ეტაპამდე, სანამ დავით აღმაშენებელმა თურქ-სელჩუკები ქვეყნიდან არ განდევნა, საჭირო რეფორმები არ გაატარა და ქვეყანა ფეხზე არ დააყენა, გიორგი II, გადამღვარი მეფე, კესაროსობის (ბიზანტიის იმპერატორის ტიტულის) მატარებელი რჩებოდა, რაც კესაროსობის იდეის უწყვეტობისა და ისტორიული მეხსიერების ფუნქციას ასრულებდა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც დავითი თურქ-სელჩულებს განდევნის და ქვეყანას ფეხზე დააყენებს, იგი კესაროსობის ამ იდეის საჯარო დემონსტრირებას მოახდენს. დავით აღმაშენებელი ამ საკითხში გიორგი II- გამგრძელებელი რომ ხდება, ამაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტიც. ეს არის ბრიტანეთის მუზეუმში და-

¹ მ. ანთაძე, საქართველოს და თურქეთის ურთიერთობა მე-15-18 სს-ში ნუმისმატიკური მასალის მიხედვით, თბილისი, 1982, გვ. 60, 86-87, 99; გ. ალასანია, დასახ. ნაშრ. გვ. 21.

² ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 319.

ცული დავით აღმაშენებლის უნიკალური მონეტა, რომელიც დევიდ ლენგმა 1957 წ. გამოაქვეყნა ¹.

ჩვენი კვლევისთვის ამ დიდი მეცნიერული ღირებულების მონეტის მნიშვნელობა განსაკუთრებულია. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელს ამ მონეტაზე საიმპერატორო გვირგვინი ადგას სპეციფიკური საკიდებით, რაც საიმპერატორო ატრიბუტიკაა². იმ ვითარებაში, როდესაც დავითი აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის გატარებას იწყებს, ღინასტიურ ქორწინებებსაც იმავე ქარგაზე, აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკის საფუძველზე აწყობს. როგორც ცნობილია, მან თავისი ერთი ასული კატა ბიზანტიაში, თამარი კი შირვანში გაათხოვა.

აღმოსავლეთსა და დასავლეთზე იყო ორიენტირებული გელათის აკადემიაც, ოღონდ განათლების კუთხით. ვარაუდობენ, რომ დავით აღმაშენებლისთვის გელათის აკადემიის რექტორად იოანე პეტრიწის დანიშვნის რეკომენდაცია მის მამიდას, ბიზანტიის დედოფალ მართა-მარიამს (რომელთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონია) უნდა გაეწია, ვის განათლებასაც, გიორგი II-ის მსგავსად, ბიზანტიური წყაროები ასევე საგანგებოდ აღნიშნავენ. ესეც კიდევ ერთი მაგალითია, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ განათლებას ბაგრატიონები.

ამგვარად, გელათის აკადემია „ქართლის ცხოვრების“ მიერ „ახალ იერუსალიმად“ და „სხუად ათინად“ წოდებული ინტელექტუალური თვალსაზრისით საფუძველს უქმნიდა აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკას, რაშიც მარიამიც

¹ D. Lang, Notes on Caucasian Numismatic, „Numismatics Chronicle“, vol. XVII, 1857, p. 138-146.

² მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულტურა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 45.

ჩანს ჩართული¹. დავითის მართა-მარიამთან სიახლოვის დასტური ისიცაა, რომ მისი მითითებით ჩამოასვენებენ ხახულის მონასტრიდან გელათის სამეფო სავანისთვის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედ ხატს, რომელზეც დედოფალი მართა-მარიამი ბიზანტიის იმპერატორ მიხეილ დუკასთან ერთად არის გამოსახული².

მაგრამ რამდენად მხოლოდ ამ კუთხით თანამშრომლობდნენ საქართველოსთან დედოფალი მართა-მარიამი და ბიზანტიის ქართული ლობი, რომლის ერთ-ერთ წარმომადგენლადც იოანე პეტრიწი მიიჩნეოდა.

სანამ ამ კითხვას გავცემდეთ პასუხს დავუბრუნდეთ კვლავ დავით აღმაშენებლის მონეტას და კითხვას, ამ მონეტების მიხედვით, როდის ატარებს დავით აღმაშენებელი ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლებაზე განაცხადს. ამასთან დაკავშირებით ამ მონეტების დათარიღების საკითხი დგება. არსებობს ორი შეხედულება. ერთი დ. კაპანაძისა, რომელიც ბრიტანეთში დაცულ ამ უნიკალურ მონეტას 1123 წლით ათარიღებს და მეორე გ. დუნდუასი, რომლის თანახმადაც მისი გამოშვების თარიღია 1118 წელი³.

პირველ შემთხვევაში დავით აღმაშენებელს თბილისი 1122 წ. უკვე აღებული აქვს, საქართველო კი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდეა გადაჭიმული. მეორე შემთხვევაში მას უკვე გათავისუფლებული აქვს საქართველოსა და ამიერკკკასიის ქალაქები (მერინა, სამშვილდე, რუსთავი გიში, ლორე,

¹ მ. გაბაშვილი, ბიზანტიის დედოფალი მართა-მარიამი და ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების ქართული პოლიტიკური იდეა, სამეცნიერო ჟურნალი ქართველოლოგია, თბილისი, 2013, გვ. 90.

² იქვე.

³ დ. კაპანაძე, ქართული ნუმიზმატიკა, თბილისი, 1969, 66; მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულატურა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 45.

გარნი) და საბრძოლო ოპერაციები საქართველოს გარეთ აქვს გადატანილი. როგორც ვხედავთ, დავითი ბიზანტიის მემკვიდრეობაზე განაცხადს მაშინ აკეთებს, როდესაც საქართველოდან თურქები უკვე განდევნილი ჰყავს.

ამდენად, ჩვენი თვალსაზრისით, გიორგი II-ის გადადგომა კარგად მოფიქრებული პოლიტიკური გეგმა და მამაშვილს შორის კოორდინაციის შედეგი იყო, რაც საქართველოს საშინაო და საგარეო ფაქტორებით იყო გაპირობებული. ბიზანტიის დასუსტებამ და საქართველოდან თურქების განდევნამ ამ გეგმის ღიად გამოხატვის პირობები შექმნა. შესაბამისად, დავით აღმაშენებელიც დაუფარავად აცხადებს ბიზანტიის იმპერიის მემკვიდრეობაზე პრეტენზიას, საამისოდ კი მონეტები პროპაგანდის საუკეთესო საშუალებას წარმოადგენდნენ.

კიდევ ერთი ფაქტორია მხედველობაში მისაღები.

1104 წ. როდესაც გიორგი II კესაროსობას იღებს და დავით კურაპალტი უკვე ერთპიროვნული მმართველია, მარიამი აღარ არის ბიზანტიის დედოფალი. მისი ერთადერთი ძის კონსტანტინე პორფიროგენეტის გარდაცვალების შემდეგ (1074-1094 წწ.) ბიზანტიის იმპერიას ალექსი I კომნენოსი (1081-1118 წ.) მართავს, თუმცა მარიამის გავლენა ბიზანტიის კარზე ჯერ კიდევ საგრძნობია.

ასე რომ, გარკვეული პერიოდიდან როგორც გიორგისთვის, ისე მართა-მარიამისთვის დავითი ერთადერთი მემკვიდრე ხდება. საქართველოსთვის ისეთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის დროს, როგორიცაა რუის-ურბნისის კრება (1104), მართა-მარიამი გიორგი II-თან, ისევე როგორც დავითთან კავშირში მოხსენიება მისი ქართული პოლიტიკის იმ იდეასთან კავშირს ადასტურებს, რომელიც ბიზანტიის იმპერიის ჩანა-

ცვლებას გულისხმობდა. მართა-მარიამიც უკვე ღიად ადასტურებს თავის ამ პოზიციას.

ქართული პოლიტიკის კესაროსობასთან დაკავშირებით კიდევ ერთი გარემოებაა მხედველობაში მისაღები. გიორგი II-ის მეფობის წლების დიდ ნაწილზე მოდის მართა-მარიამის ბიზანტიის ტახტზე ჯდომა.

ამასთან დაკავშირებით დაგვებადა კითხვა, რა დამოკიდებულება შეიძლება ჰქონოდა მართა-მარიამს ქართული პოლიტიკის კესაროსობის იდეასთან ჯერ კიდევ ბიზანტიის დედოფლად ყოფნისას. ჩვენი აზრით, ეს იდეა ჯერ კიდევ მაშინ უნდა გაჩენილიყო, როდესაც გიორგი მთაწმინდელის ხელმძღვანელობით გიორგის მეფობისთვის ამზადებდნენ. ვფიქრობთ, მაშინვე იგეგმებოდა მართა-მარიამის ბიზანტიაში გადედოფლება. გავისხენოთ გიორგი მთაწმინდელის სიტყვები. როდესაც ჯერ კიდევ ბავშვი, ბაგრატ IV-ის ულამაზესი ასული, ბიზანტიის დედოფლის თეოდორას თხოვნით (რომელიც განსაკუთრებით ზრუნავდა ქართველებზე და ათონზე), ბიზანტიაში ჩაუყვანიათ და რომელსაც მას „შვილად თვისად“ აღზრდა ჰქონია დაგეგმილი, მაგრამ იგი მოულოდნელად გარდაცვლილა.

მრავლისმეტყველია თეოდორას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გიორგი მთაწმინდელის მიერ წარმოთქმული შემდეგი სიტყვები: „უწყოდეთ ყოველთა, ვითარმედ ღღეს დედოფალი განვიდა და დედოფალი შემოვიდა“¹.

გიორგი მთაწმინდელის ამ სიტყვებს შუა საუკუნეებიდან დღემდე როგორც წინასწარმეტყველურს იმოწმებენ, თუმცა, ვფიქრობთ, საქმე გვაქვს არა წინასწარმეტყველებასთან, არამედ პროგნოზსა და პოლიტიკურ გეგმასთან.

¹ ქართლის ცხოვრება, I, 307; ქართული პროზა I, გვ. 455-456.

მომავალში გიორგი II-სა და დედოფალ მართა-მარიამს შორის საქართველოს პრობლემებთან დაკავშირებით მუდმივი კოორდინაცია იარსებებს.

ბიზანტიის ტახტზე მჯდომი მართა-მარიამი ქართულ საქმეებზე და ქართულ სავანეებზე რომ ზრუნავდა ამაში დიდი იყო ბიზანტიის ქართული ლობის დამსახურებაც, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელად გრიგოლ ბაკურიანის ძეც უნდა მივიჩნიოთ. აშკარაა, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე შეამავლის როლს ასრულებდა ბიზანტიის დედოფალ მართა-მარიამსა და გიორგი II-ს შორის. გიორგი II-თან ბანაში მისი ჩასვლაც შეთანხმებული უნდა ყოფილიყო მართა-მარიამთან.

არსებობს მოსაზრება, როდესაც გრიგოლ ბაკურიანისძე ბანაში ჩავიდა პეტრიწონის სავანის დაარსება მას უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა¹. ეს კი ქართული ელემენტის გაძლიერებას, ქართულ საქმესა და, შესაბამისად, საქართველოს პოლიტიკურ მიზნებს უკავშირდებოდა. მნიშვნელოვანია, რომ პეტრიწონის მონასტერი და ათონი ურთიერთკოორდინირებულად მოქმედებდნენ. ქართული ლობის დიდი გამარჯვებაა, როდესაც გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიაში მეორე პირი ხდება.

სათანადო კვლევის საფუძველზე, გრიგოლ ბაკურიანის ძის ეს ვიზიტი იმ კონტექსტში განვიხილოთ, რომელსაც ფეოდალური საქართველოს გაერთიანებისთანავე ჰქონდა ადგილი და აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ იყო მიმართული².

არ არის შემთხვევითი და მრავლისმეტყველია, როდესაც დედოფალი მართა-მარიამი ბიზანტიის ტახტზე (ორივე

¹ რ.სირაძე, წერილები, თბილისი, 1980, გვ. 89.

² მ. გაბაშვილი, გიორგი II-ის ტიტულატურა როგორც საისტორიო წყარო, 33.

თავის თანამეცხედრე იმპერატორთან) ქართული კვერთხით არის გამოსახული. ხახულის კარედზე ჯვრის ფორმის კვერთხი შ. ამირანაშვილს ქართული ხელოვნებისთვის დამახასიათებლად მიაჩნია. ასევეა იოანე ოქროპირის თხზულებათა ბერძნული ხელნაწერის მინიატურაზეც. თავისთავად ის ფაქტი, რომ მართა-მარიამს ბიზანტიის ტახტზე ყოფნისას საზეიმო ცერემონიალების დროს ხელთ ქართული კვერთხი ეპყრა, მის წარმოშობას, საქართველოსთან, ქართულ პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირს ადასტურებდა, რის დემონსტრირებასაც იგი ღიად ახდენდა¹. ეს იმაზეც მეტყველებს, რამდენად ძლიერი პოზიციები ეკავათ ქართველებს ბიზანტიის კარზე და როგორ ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ. ამიტომაც არა მხოლოდ იმპერატორები მიხედლ დუკა და ნიკიფორე ბოტანიატი (მარიამის ორივე თანამეცხედრე), არამედ ბიზანტიელი დიდებულებიც ქართულ სავანეებზე მზრუნველნი იყვნენ. მითუმეტეს ეს ზრუნვა და კოორდინაცია ათონის მიმართ დედოფალ მართა-მარიამსა და გიორგი II-ს შორის ყოველთვის არსებობდა. რაც ასევე მნიშვნელოვანია ამ კოორდინაციას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა.

ცხადია, ამგვარი პოლიტიკა ქართველებისგან დიდ მოქნილობასა და დიპლომატიას, სხვადასხვა ქვეყნაში მყოფი ქართველების ურთიერთკავშირს ითხოვდა. მაგრამ ქართველების ნებისმიერ იმპერიაში მოღვაწეობას ახასიათებდა ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი თვისება. ისინი თავისებურად იმ იმპერიაზეც ფიქრობდნენ, ვისაც ემსახურებოდნენ. ეს იწვევდა მათდამი განსაკუთრებულ ნდობას. ამიტომაც ქართველებს მეტი შესაძლებლობა ეძლეოდათ თავის ქვეყანაზე ზრუნვისთვის, როგორც ეს მართა მარიამისა და გრიგოლ ბაკურიანისძის შემთხვევაში იყო. ამასთანავე ქართველები ყოველგვარი

¹ შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბილისი, 1972, გვ. 17-18.

ნგრევის წინააღმდეგი იყვნენ. ამაზე მეტყველებს ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების იდეასთან დაკავშირებით გრიგოლ ბაკურიანის ძის მიერ პეტრიწონის წესდებაში გამოხატული შეხედულება, რომელიც ზოგადად ამ საკითხისადმი ქართული პოლიტიკის დამოკიდებულებაცაა. გრიგოლ ბაკურიანისძეს მიაჩნდა, რომ საქართველოსთვის მიუღებელი იყო ქრისტიანული და განათლებული, დიდი კულტურის მქონე ბიზანტიის ნგრევა, როგორც ეს 1453 წ. თურქებმა გააკეთეს. ისიც მრავლისმეტყველია, რომ გრიგოლ ბაკურიანისძე ბიზანტიის შესაძლო ნგრევას გაცილებით ფართო მასშტაბსა და პერსპექტივაში ხედავს, კერძოდ, ზოგადქრისტიანულ ჭრილში, რაშიც მისი დიდი სიბრძნე და შორსმჭვრეტელობა ჩანს. ბიზანტიის მტრების, თურქი პაწინაკების განადგურებასთან დაკავშირებით იგი წერს: „გავაცამტვერე და დავამხე მეტად საშინელი და თავსწასული მისი (ბიზანტიის მტრები მ.გ.), რომლებიც დარაზმულიყვნენ არა მარტო რომანიის (საბერძნეთი) წინააღმდეგ, არამედ ქრისტიანთა მთელი მოდგმის წინააღმდეგ, მე ვგულისხმობ პაწინაკებს, რომელთა გაცამტვერება და სრულიადი მოსპობა ძალიან ძნელია წერილობით გადმოგცეთ”¹.

ასე რომ, ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების ქართული იდეა ბიზანტიის მოსპობას კი არ გულისხმობდა, არამედ მიზნად ისახავდა ბიზანტიის ცივილიზაციისა და მისი მიღწევების შენარჩუნებას, ოღონდ საქართველოს მემკვიდრეობითა და ეგიდით. ამიტომაც იყო, რომ ქართველები ბიზანტიურ ტექსტებს ინტენსიურად თარგმნიდნენ და ყველაფერ საუკე-

¹ პეტრიწონის წესდება, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 5, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბილისი, 1963, 131.

თესოსა და პროგრსეულს მაშინვე ითვისებდნენ. რამდენად მნიშვნელოვანი იყო გრიგოლ ბაკურიანისძისთვის პრობლემა-ბისადმი ბრძნული მიდგომა ჩანს, მისი იმ სიტყვებიდან, რომ-ლითაც იგი ქართველებს მიმართავს: „ვეცადნეთ გონივრუ-ლად ვიცხოვროთ“¹ 83(3).

აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა შემდგომ საუკუნეებშიც იჩენს თავს. ამ მხრივ უღრესად საინტერესოა თამარის ეპოქა, რომელიც ასევე თავისებურად აჯამებს ქარ-თული პოლიტიკის მიზნებსა და ამოცანებს. მაგრამ იმ დროს, როდესაც საქართველო თავისი ძლიერების პიკს აღწევს, ეს იდეა გამოხატულებას პოულობს საისტორიო წყაროებში, თა-მარის მეხოტბეებთან (შავთელი, ჩახრუხაძე) და ფრესკებზე. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა ვარძიის ფრესკა.

აღსანიშნავია, რომ XIII საუკუნემდე ფრესკებზე ქართ-ველ მეფეთა შორის ყველაზე ხშირად თამარი გამოისახებო-და. ქართულ ფერწერაში ერთი და იმავე პირის ასეთი სიხ-შირით წარმოდგენა იშვიათია, თანაც ქალის, რაც მაშინდელი მსოფლიოსთვისაც კი უცხო იყო. ცხადია, ეს უნდა აიხსნას საქართველოსთვის თამარისა და მისი ეპოქის განსაკუთრებუ-ლი მნიშვნელობით.

თამარი ყველაზე ახალგაზრდა ვარძიის ფრესკაზეა, სა-დაც მამასთან, გიორგი III (1184-1186) ერთადაა გამოსახუ-ლი. ც. გაბაშვილი ამ ფრესკის შექმნას 1184-1185 წლების შუალედში ხედავს, ე. ისტმონდი 1178-1186 წლებს შორის². თამარი გარდა ერთი ფრესკისა (ბერთუბანი) ყველა ფრესკა-ზე მამასთან ერთად გვხვდება, რაც გარკვეული პოლიტიკით

¹ იქვე, გვ. 115.

² E.Rastmond, Royal imagery in Medieval Georgia, University Park, 1996, p.103-104; მ. გაბაშვილი, თამარის ფრესკული პორტრეტები რო-გორც წყარო, გიორგი ნღირაძე – 80, თბილისი, 2012, გვ. 23-24.

უნდა აიხსნას. დემნას აჯანყების შემდეგ (1177) გიორგი III-თვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თავისი ერთადერთი მემკვიდრის ლეგიტიმიზაციას. შესაბამისად, ვარძიის ფრესკაზე გიორგი მის ლეგიტიმურობას ხაზს უსვამს, თანაც პოპულარიზაციას უწევს ვარძიაში, რომელიც სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს ტერიტორიაზე მდებარეობდა.

იგივე ფუნქციის მატარებელია გიორგი III-ისა და თამარის ერთობლივი, ჩვეულებრივზე დიდი ზომის მონეტები (მხოლოდ ქართული წარწერით), რომლებიც საზეიმო და მემორიალური ხასიათი მივანიჭეთ და თამარის აღსაყდრებას დაეუკავშირეთ¹.

მაგრამ აღნიშნული ფრესკა პოლიტიკური დატვირთვის მატარებელია არა მხოლოდ საშინაო, არამედ საგარეო პოლიტიკის მხრივაც. აქ არის მინიშნება როგორც საქართველოს საზღვაო და ტრაპიზონის, ისე აღმოსავლურ პოლიტიკაზე, მინიშნებაა კესაროსობასთან დაკავშირებულ პოლიტიკაზეც. ფაქტობრივად, ვარძიის ფრესკის მხატვარი ხელისუფლების დაკვეთას ასრულებს და სახვითი ხელოვნებისთვის ნიშანდობლივი ხერხებით საქართველოს სახელმწიფო პროგრამას გვაცნობს. ამ მხრივ მას პარალელი დაეძებნება ოშკის ბარელიეფთან, სადაც ასევე მხატვრული ხერხითაა გადმოცემული ქართული პოლიტიკის ის პროგრამა, რომელშიც დავით კურაპალატთან დაკავშირებული კესაროსობის იდეაა გადმოცემული.

მაინც რა გვაძლევს საფუძველს, ვარძიის ფრესკის მიხედვით საქართველოს სახელმწიფო პროგრამაზე რომ ვილაპარაკოთ.

¹ მ. გაბაშვილი, XII საუკუნის საზეიმო და მემორიალური ხასიათის მონეტები, წგნ. „ახლო აღმოსავლეთი და საქართველო“, V, თბილისი, 2008, გვ. 31-38.

საქმე ის არის, გიორგი III და თამარი, რომელსაც ხელში ვარძიის მოდელი უჭირავს, ბიზანტიის საიმპერატორო ტანსაცმელში არიან გამოწყობილნი. მეფე გიორგის თავზე მფრინავი ანგელოზი ადგას და, როგორც ბერძნული წარწერიდან ჩანს, ეს არის წმ. ევგენი ტრაპიზონელი, რომელიც ტრაპიზონის მფარველი ანგელოზია და ტრაპიზონში ქრისტიანობის გავრცელებას უკავშირდება. ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია, ეს წმინდანი ახლოს რომ იდგა ქართულ სამყაროსთან. რაც მთავარია, ყველაზე დიდხანს მასზე ხსოვნა ამ სამყარომ შემოგვინახა.

1204 წლიდან, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ, წმ. ევგენი ამ რეგიონისთვის მთავარი წმინდანი ხდება და როგორც ტრაპიზონის იმპერიისა და კომნენოსების მფარველი გამოისახებოდა კომნენოსების გერბზე, საბეჭდავებზე, ტრაპიზონულ ასპრებზე. აშკარაა ისიც, რომ საქართველო, მისი პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, წმ. ევგენის პოპულარიზაციაში მონაწილეობდა¹.

მაგრამ თუკი ვარძიის ფრესკაზე წმ. ევგენის გამოსახულება ტრაპიზონის იმპერიამდეა დადასტურებული, ტიმოთესუბანში ის უკვე ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შემდეგ დასტურდება, როდესაც მის სათავეში თამარი ბაგრატიონების ახლო ნათესავს ალექსი I-ს სვამს. ოლონდ ტიმოთესუბანში წმ. ევგენი მეომრის სახითაა, რითაც იგი სიახლოვეს ამჟღავნებს ქართულ მებრძოლ ქრისტიანობასთან. წმ. ევგენის წმ. გიორგით ჩანაცვლება სწორედაც რომ ქართული ორიენ-

¹ მ. გაბაშვილი, თამარის ფრესკული პორტრეტები როგორც წყარო, გვ. 27.

ტაციის ტრაპიზონის იმპერატორის გიორგი II-ის (1266-1280) დროს მოხდა ¹.

მკვლევართა აზრით, წმ. ევგენის გამოსახულება გვხვდება ქართულ ფულზეც, ე.წ. კირმანეულზე, რომელიც ტრაპიზონული ასპრის მინაბამს წარმოადგენს და, რაც მთავარია, გამოსახულების თვალსაზრისით ახლოს დგას ვარძიისა და ტრაპიზონის ფრესკებთან.

ჩვენ გამოთქმული გვაქვს მოსაზრება, რომ ტრაპიზონის საკითხი 1182 წ. ბიზანტიის მომავალი იმპერატორის, ანდრონიკე კომნენოსის საქართველოში ვიზიტის დროს უნდა დასმულიყო. ყურადღება მივაქციეთ იმ ფაქტსაც, რომ ანდრონიკე კომნენოსის ბიზანტიის ტახტზე ასვლისას ტრაპიზონი სეპარატისტებს შორის არა ჩანს ². ამდენად, ტრაპიზონი გიორგი III-სა და ანდრონიკე კომნენოსს შორის პოლიტიკური გარიგების საგანი უნდა ყოფილიყო. ამიტომ ყველაფერი ეს ერთიან კონტექსტშია განსახილველი.

ზემოთ ძირითადად ის მასალები წარმოვაჩინეთ, საიდანაც ჩანს, როგორ გამოხატავს ვარძიის ფრესკა საქართველოს საზღვაო ინტერესებსა და ტრაპიზონის პოლიტიკას, მთლიანობაში კი დასავლეთის პოლიტიკას.

რაც შეეხება აღმოსავლურ პოლიტიკას.

ვარძიის ფრესკაზე გიორგი III-ის მოიხსენიება, როგორც „ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე გიორგი ძე დემეტრე მეფეთა მეფისა“. თამარიც ასევეა მოხსენიებული:

¹ И. Н. Соколова, Медные монеты из собрания Эрмитажа, Нумизматика и Эпиграфика, XIV, Москва, 1984, с. 68; მ. პატარიძე, გ.ჯანჯღავა, ტრაპიზონის იმპერიის იშვიათი მონეტები, თბილისი, 2006, გვ. 14-15.

² მ. გაბაშვილი, თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, კრ., ვალერიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003, 173-176.

„ყოვლისა აღმოსავლეთისა მეფეთა მეფე შვილი გიორგისა თამარი რომელი მრავალჟამეუბსმცა“. აღნიშნული წარწერები წმ. ეგვენისთან კავშირში უნდა განვიხილოთ, ანუ საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთის პოლიტიკის ჭრილში.

რაც შეეხება „ყოვლისა აღმოსავლეთს“, ის პირველად დავით კურაპალატთან (ოშკის ტაძარზე ბიზანტიის იმპერატორის გვირგვინში რომ არის გამოსახული) გვხვდება. თამარის სპარსული იერიც გამიზნულია და „ყოვლისა აღმოსავლეთთან“ კავშირში უნდა დავინახოთ, რაც მის აღმოსავლურ პოლიტიკას მიესადაგება. შუა საუკუნეებში ეს იყო გაპიარების ერთ-ერთი ფორმაც, კონკრეტულ შემთხვევაში სპარსეთისთვის, სადაც მოგვიანებით (1210) თამარი თავის ცნობილ ლაშქრობას წამოიწყებს.

ამდენად სახეზეა ქართული პოლიტიკური პროგრამა. მასში გარკვევას ხელს ისიც უშლიდა, რომ 1204 წ. ტრაპიზონის იმპერიის დაარსებასა და სპარსეთში ლაშქრობას ქართული ოსტორიოგრაფია ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე განიხილავდა. ამ დროს ეს იყო ურთიერთდაკავშირებული მოვლენა. ამაზე მიანიშნებს წითელ ტარსიკონში (ფეხსაცმელში) გამოწყობილი თამარიც, რომლის ტარების უფლებაც მხოლოდ ბიზანტიის იმპერატორებს ჰქონდათ და რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კავშირს აგვირგვინებს¹. აქედან ჩანს გიორგი III-ის დამოკიდებულებაც კესაროსობის მიმართ, რაც მის პროგრამულობაზე მინიშნების კიდევ ერთი დასტურია. ქართული პოლიტიკის ამ მასშტაბს, რომ-

¹ მ. გაბაშვილი, თამარ მეფის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, კრ., ვალერიან გაბაშვილი 90, თბილისი, 2003; მისივე, თამარის აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა მხატვრული ნაწარმოებების მიხედვით („ვეფხისტყაოსანი“, „აბულმესიანი“. „თამარიანი“), კრ., აღმოსავლეთი და კავკასია, თბილისი, 2005.

ლის პოპულარიზაციას ეს ფრესკა ახდენს, რეალურ ხასიათს უკვე თამარი მისცემს. ეს არის საზღვაო პოლიტიკის ორი ეტაპი. პირველი ტრაპიზონის იმპერიის დაარსებაში გამოიხატება, მეორე კი საქართველოს მხარდჭერითა და ნებით დავით კომნენოსის კონსტანტინოპოლისკენ ლაშქრობაში. ამ პოლიტიკასთან კავშირშია სპარსეთში ლაშქრობაც ¹.

როგორც აღვნიშნეთ, თამარის წითელი ფეხსაცმელი ამ პოლიტიკის გამოხატულებაა, თუმცა ქართველ ისტორიკოსებს ამ ფაქტისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ. ხელოვნებათმცოდნეები კი მას მხოლოდ ფერის თვალსაზრისით განიხილავენ, ყოველგვარი პოლიტიკური შინაარსის გარეშე².

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თამარის ისტორიკოსის ისტორიანისა და აზმანის „ულუმპიანობა“ და „ავლუსტიანობა“ ეხმაურება კესაროსს. ამ ცნობას ამაგრებს იოანე შავთელი, თამარის მეხოტბე და მისი პოლიტიკის მონაწილე, რომელიც გარდა იმისა, რომ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ფაქტს აღნიშნავს, თამარს „კესაროსს“ უწოდებს. ასევე მნიშვნელოვანია, რომ თამარს იგი „ჯიმშედ მფლობელადაც“ (ანუ სპარსეთის მფლობელად) მოიხსენიებს. იგივეს აკეთებს ჩახრუხაძეც, რომელიც თამარს „ახალო რომოს“ და „ახალო ხვასროს“ (ხვასრო აქ სპარსეთს ნიშნავს) უწოდებს, თანაც ერთიან კონტექსტში³. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი წინაპრები ამ პოლიტიკას, თანამედროვე მკვლევრებისგან განსხვავებით, ურთიერთდაკავშირში განიხილავდნენ.

¹ მ. გაბაშვილი, თამარ მეფის საზღვაო პოლიტიკის ისტორიიდან, 183-184.

² მ. გაბაშვილი, თამარის ფრესკული პორტრეტები როგორც საისტორიო წყარო, კრ., გიორგი ნადირაძე 80, თბილისი, 2017, გვ. 32.

³ იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, ქართული მწერლობა, ტ. II, თბილისი, 1988, 35; ჩახრუხაძე, „თამარიანი“, ქართული მწერლობა, ტ. II, 1988, 92.

ამდენად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვარძიის ფრესკაზე საქმე გვაქვს, მხატვრული ხერხებითა და ვიზუალური საშუალებებით, ქართულ სახელმწიფო პროგრამასთან, რომელიც თამარის დროს რეალურ ხორცშესხმას იწყებს. ჩანს ისიც, რომ სახეზეა ქართული პოლიტიკის დიდი ხნის მანძილზე დამუშავებულ გეგმა. ეს პროგრამა გიორგი III-ის დროსაც და მისი და თამარის ერთმმართველობის პერიოდშიც განიხილებოდა.

მონღოლების შემოსევამ შეცვალა ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური და ეკონომიკური სურათი, შესაბამისად შეიცვალა საქართველოს აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა, ამ პოლიტიკისადმი დამოკიდებულება და ტაქტიკა.

როგორც დავით კურაპალატისა და მისი მემკვიდრეების, ისე თამარ მეფის დროს უმნიშვნელოვანესი ამოცანა თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალის დაუფლება და მისი გაკონტროლება ხდება. ვის ხელშიც აღმოჩნდებოდა ეს მაგისტრალი, მის ხელში იყო როგორც მსოფლიო პოლიტიკა, ისე საერთაშორისო ვაჭრობის ბერკეტები.

მონღოლებისა და შემდგომი პერიოდისთვის დამახასიათებელია სხვადასხვა ხალხისა და ქვეყნების მხრიდან ამ მაგისტრალისთვის (რომელიც ჩრდილოეთ და სამხრეთ ლევანტის გზებისკენ იყო მიმართული) ბრძოლა. ამ საკითხს რამდენიმე სტატია მივუძღვენით, რამდენად დღესაც დიდი ინტერესია ამ გზებისადმი, დაადასტურა იმ ფაქტმაც, რომ ამ ხასიათის ჩემი ერთ-ერთი სტატია თურქეთის ისტორიის ოცდაერთტომეულშიც შევიდა¹. თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრა-

¹ İlhanly Devleti uin Uluslarasi Taaret Politikasi ve Helefi Olan Turk Olan Deleter, Turkler, Ankara, 2008, 8, p. 386-393; მგაბაშვილი, ილხანები, მათი მემკვიდრეები და თავრიზ-ტრაპიზონის გზა, კრ., აღმოსავლეთი და კავკასია, 2, თბილისი, 2003,

ლისადმი მიძღვნილ ყველა ამ სტატიაში აღნიშნული გვაქვს თუ, რამდენად მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო ვაჭრობის თვალსაზრისით თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალის უსაფრთხოება, რაზეც მონღოლები, საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებიდან გამომდინარე, იტალიელებთან შეთანხმებით ერთნაირად ზრუნავდნენ. აღსანიშნავია, რომ იტალიელები (მარინო სანუდო უფროსი, პეგოლოტი და სხვები) აქტიურ პროპაგანდას უწევდნენ ამ მაგისტრალს და მას შავი ზღვის ინდოეთთან კავშირში განიხილავდნენ ¹. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ მარკო პოლო ამ გზის საკვანძო პუნქტად თბილისს ასახელებს ².

გიორგი ბრწყინვალე, განსაკუთრებით საქართველოს გაერთიანების შემდეგ, სართაშორისო ვითარების გათვალისწინებითა და მოქნილი დიპლომატიით აქტიურად იწყებს ტრაპიზონისა და საზღვაო პოლიტიკის გატარებას, თანაც აღმოსავლურ პოლიტიკასთან კავშირში. იერუსალიმში, რომელიც საერთაშორისო ცხოვრების ერთ-ერთ უმძლავრეს კერას წარმოადგენდა, ქართველი მეფე საქართველოს პოზიციებს აძლიერებს.

ნიშანდობლივია აგრეთვე, რომ მის დროს ახალი კუთხით დაისვა „წმინდა ადგილების“ გამოხსნისა და პრივილეგიების საკითხი. საბოლოო ჯამში ქართველი მეფის მიზანს თამარ მეფის საგარეო პოლიტიკის აღდგენა წარმოადგენდა. ამას გარეშე ძალებიც ხედავდნენ და, რაც მთავარია, აღნიშნავდნენ.

¹ Sanudo Marino Tozsello, *Secreto fidelium crucis* _ Jn Bongars f. Gesta Dei per Francos, t.z., Hannover, 1611.

² М. А. Полиевктов, *Европейские Путешественники XIII-XV веков по Кавказу*, Тбилиси, 1935, с. 209.

ალ-კალკაშანდი საქართველოს მეფე გიორგი ბრწყინვალეზე, რომლის ქვეყანასაც ღიღსა და ღიღებულს უწოდებს, სამეფოს ღიღებულს, სადაც მეფის ხელისუფლება მტკიცეა და ძალაუფლება მყარი, წერს, რომ იგი არის „ზღვათა და სრუტეების სამფლობელოთა განძის მფლობელი – რუმისა და ირანს ქვეყანათა მფარველი, იონიოლთა მემკვიდრე – იერუსალიმის წმინდა ადგილების განმადიდებელი, ქრისტიანთა საყრდენი, რომის პაპის მეშველი, მუსლიმთა მეგობარი – სულტანთა უგულითადესი მეგობარი”¹.

მოყვანილი ნაწყვეტიდან ჩანს, რომ გიორგი ბრწყინვალე ბიზანტიის მემკვიდრედ არის გამოყვანილი, რაც კიდევ ერთხელ ამ იდეის მემკვიდრეობის ხასიათს ადასტურებს. ფაქტობრივად საქმე გვაქვს თამარის პოლიტიკის აღდგენაზე, რისთვისაც გიორგი ბრწყინვალე მიზანმიმართულად ემზადებოდა. ჩანს ისიც, თუ, როგორ აღიქმებოდა ქართული პოლიტიკის ეს იდეა საერთაშორისო დონეზე და როგორ შეფასებას აძლევენ გარეშე ძალები მის ამ პოლიტიკას აღმოსავლურსა და დასავლურ პოლიტიკასთან კავშირში, შავი და ხმელთაშუა ზღვების კონტროლის ჩათვლით. რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, საქართველოს ამ პოლიტიკას აკვირდებოდნენ არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ დასავლეთშიც. ცხადია, იყო პირიქითაც.

რაც შეეხება დასავლეთის მხრიდან საქართველოს ამ პოლიტიკისადმი ინტერესს.

XII-XIII საუკუნეებში იტალიელების შავ ზღვაში შემოსვლის შემდეგ გიორგი ბრწყინვალემ კიდევ უფრო გააძლიერა ტრაპიზონზე თავისი გავლენა. რომაულმა ეკლესიამ,

¹ ალ-კალკაშანდი, ცნობები საქართველოს შესახებ (არაბულიდან თარგმნა მეგი მეტრეველმა), არმაღანი, თბილისი, 1977, გვ., 554, 557; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, 1979, 204.

რომელიც ყველაზე დიდ შემოსავალს შავი ზღვიდან, კერძოდ, ტრაპიზონიდან იღებდა, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა თავრიზ-ტრაპიზონის მაგისტრალზე, რომლის გასწვრივაც მისიონერების მიმოსვლა გააქტიურდა. იგივე უნდა ითქვას ამ მაგისტრალის ერთ-ერთ საკვანძო პუნქტზე – თბილისზე. ამიტომაც შემთხვევით არ მიგვაჩნია, იტალიელების მიერ აღმოსავლური კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში გადმოიტანა, ანუ იმ ქვეყნის დედაქალაქში, რომელშიც შავი ზღვისა და ტრაპიზონის მასშტაბში ყველაზე დიდი მეტოქე დაინახეს ¹.

იტალიელები, რომლებიც იერუსალიმშიც ადევნებდნენ თვალს ქართველების აქტიურობას, ტრაპიზონსა და საქართველოს ერთ ქვეყნადაც აღიქვამდნენ. საინტერესოა აგრეთვე, რომ ტაო-კლარჯეთის ფოლკლორში ტრაპიზონი საქართველოს დედაქალაქია.

XIII-XIV საუკუნეებში, როდესაც მონღოლები, ისლამური და ქრისტიანული ქვეყნები თავრიზ-ტრაპიზონის მიმართ უდიდეს ყურადღებას იჩენდნენ, მათ შორის საქართველოცაა. თუმცა ამ საკითხს ქართული ისტორიოგრაფია არ შეხება. ამ დროს ამ ფაქტორის გარეშე შეუძლებელია აღნიშნულ ეპოქაში ქართულ ნუმიზმატიკაში არსებული მასალების სწორი გააზრება, ვინაიდან აღმოსავლური და დასავლური პოლიტიკა ნუმიზმატიკურ მასალაზეც აისახა. ამ მასალის სწორ გააზრებაზეა დამოკიდებული არაერთი საკითხი.

¹ მ. გაბაშვილი, რატომ გადმოიტანეს აღმოსავლეთის კათოლიკური ცენტრი სმირნადან თბილისში? კრ., აღმოსავლეთი და კავკასია, 1, თბილისი, 2003, XVI ს. თბილისში ეს ცენტრი, მაშინ, როდესაც ოსმალები შავ ზღვაზე ფეხს იკიდებენ, აღარ ჩანს. ასეთ დროს რომელი ეკლესია უკვე ოსმალეთში ააქტიურებს თავის საქმიანობას, ანუ იმ ქვეყანაში, რომელიც ჰეგემონური როლის შესრულებას იწყებს შავ ზღვაზე, მ. გაბაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

მონღოლთა ექსპანსია საქართველოში, მათი ხანგრძლივობის საკითხი და სხვ.

XIII-XIV საუკუნეების ნუმიზმატიკურმა მასალამ დიდი ხანია, რაც ქართველ და უცხოელ სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო (ვ. ლანგლუა, დ. კაპანაძე, დ. ლენგი, ე. პახომოვი, თ. აბარშიშვილი, ც. ღვაბერიძე, ი. ჯალალანია და სხვ). მკვლევარნი XIII ს. 50-იან წლებში აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ მონღოლურ ფულსა და დასავლეთ საქართველოში მიმიქცევაში არსებულ ტრაპიზონულ ასპრებსა და კირმანეულს ცალ-ცალკე, ერთმანეთისგან იზოლირებულად განიხილავდნენ.

ამ დროს, როგორც სათანადო კვლევებმა გვიჩვენა, საქართველოს დაშლილობის პერიოდშიც სახეზეა სახელმწიფოს ერთიანი სამონეტო სისტემა. აქედან გამომდინარე, დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სამონეტო სისტემები ურთიერთდაკავშირებულებია. ისინი, სხვა ქვეყნების მსგავსად, კოორდინირებული იყვნენ თავრიზ-ტრაპიზონის საერთაშორისო მაგისტრალთან დაკავშირებულ ფულად-სამონეტო სისტემაზე. ასე რომ, იმ დიდ ნუმიზმატიკურ სივრცეში იყვნენ ჩართულნი, რაც საერთაშორისო ვაჭრობის ინტერესებით იყო გაპირობებული¹. ამიტომაც არასწორია, როდესაც მეცნიერები აღმოსავლეთ საქართველოში მოჭრილ ფულს, როგორც წესი, მონღოლებზე დამოკიდებულების მაგალითად განიხილავენ, რასაც თვით შუა საუკუნეების ისტორიკოსებიც არ იზიარებენ. რაშიდ აღ-დინი ყაზან-ყაენის რეფორმასთან დაკავშირებით, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობის მიზნით ჩატარდა, წერს, რომ ქართველებმა, რომლებიც არ ცნობდნენ

¹ მ. გაბაშვილი, საქართველოს სახელმწიფო სამონეტო პოლიტიკის ისტორიიდან (XIII-XIV სს.), პროფ კარლო კუცია 70, კრ. აღმოსავლეთი და კავკასია, IV, თბილისი, 2005, გვ. 158.

ყაზან-ყაენს და არ ემორჩილებოდნენ მას, დაიწყეს მყარი წონის ე.წ. უნიფიცირებული მონეტების მოჭრა, რომლებიც უტოლდებოდნენ ამავე წონის ტრაპიზონულ ასპრებს¹.

1453 წ. ოსმალების მიერ ბიზანტიის დამხობამ შეცვალა მსოფლიო სურათი. შეიცვალა საქართველოს მიდგომებიც. ანტიოსმალური კოალიციის შექმნის ფონზე, რომელშიც საქართველო აქტიურად იყო ჩართული, ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლების იდეამ ერთგვარი დიპლომატიური იარაღის ფუნქცია შეიძინა. ქართველები ძირითადად დიდ საზღვაო სახელმწიფოს ესპანეთს კონსტანტინოპოლის თურქებისგან გამოხსნას და კონსტანტინოპოლის დაუფლებას სთავაზობდნენ. ამაზე საქართველოში მყოფი ევროპელებიც ამხნივობდნენ ყურადღებას. მაშინ არის, რომ კვლავაც აქტუალური ხდება ესპანელებისა და ქართველების ნათესაობის საკითხი. მაგრამ ქართულ პოლიტიკაში კესაროსობის იდეა, როგორც ტრადიცია, რჩება, ამაზე მეტყველებს ვახტანგ V-ის კართან დაახლოებული ფემანგი ხითარიშვილი. თავის „შაჰნავაზიანში“, იქ სადაც ვახტანგ V-ს აღმატებული სიტყვებით მოიხსენიებს წერს: „დაიპყრა ყოველი ქვეყანა“, „დაიმორჩილა მეფენი“ და საქართველო გააერთიანა მან მოიპოვა უფლება „მსგავსი კეისრისა“². ბაგრატიონების ამ ძველი იდეის აღორძინება-პროპაგანდისას ჩანს, რომ წარმატებული და ძლიერი საქართველოსთვის მასშტაბური პოლიტიკა, მიმართულია აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ, ბიზანტიის იმპერიის ჩანაცვლებისკენ.

¹ Рашид ад Дин, Джами ат Таварих (Сборник летописей), пер. с перс. акад. А. К. Арендса, т III, Баку, 1957, с. 280, 492.

² შაჰნავაზიანი, 1044-1045, 528; მკაბაშვილი, მარიამ დედოფლისა და ოტია უფლისწულის ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში (ისტორიული და მხატვრული თვალსაწიერიდან), 6, თბილისი, 2017, გვ., 91.

ამდენად ეს იდეა მარიამისა და ვახტანგ V-ის კარზეც ცოცხლობდა. ჩანს, შემთხვევით არ დავინახეთ კავშირი სვეტიცხოვლის მარიამ დედოფლის ფრესკასა და ვარძიის ფრესკას შორის. ბერი ეგნატაშვილი მათ ერთმანეთს შემთხვევით არ ადარებს¹. გარდა სხვადასხვა საერთო ნიშნებისა, შეიძლება ითქვას, რომ მარიამის ფრესკას, რომელზეც იგი მთელი ტანითაა გამოსახული, მის ფენსაცემელს, როგორც ანნა კომენე იტყოდა, წითელი აღმური ასდის. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ მარიამი მეფეს ეტოლებოდა და თავს როსტომსა და ვახტანგ V-ზე მაღლა აყენებდა, მაშინ უნდა თავისთავად ვიგულისხმობთ, რომ იგი თავს ასევე კესაროსად მიიჩნევდა. ასე რომ, სვეტიცხოველში, როდესაც ისტორისადმი ინტერესი განსაკუთრებით იზრდება, თამარის ეპოქის გამოძახილი განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს.

კიდევ ერთ გრემოებაზე გვინდა ყურადღების გამახვილება. „სამდივნო წიგნში“ შეტანილი ერთ-ერთი ჩახრუხაული ლექსის მიხედვით, მარიამზე ნათქვამია, რომ „სხვა მათებრი არვინ ნახულა / აღმოსავლეთით და დასავლეთით“. იგივეს ადასტურებს ფემანგი ხითარიშვილიც².

საინტერესო აღმოჩნდა ისიც, რომ მოგვიანებით, XVII-XVIII საუკუნეებში, ამ ძველი იდეის მატარებლები იყვნენ ქართლისა და კახეთის მეფეები – გიორგი VI, დავით II იმამყული ხანი, ვახტანგ VI, ბაქარი. მათ, ბიზანტიური წესის თანახმად, დაშვებულფრთებიანი ორთავიანი არწივი აქვთ გამოყენებული, როგორც თავიანთი სამეფოს სიმბოლო. ასეა ვახტანგ VI-ის სიგელზე, ქართლის მეფე ბაქარის სახელმწი-

¹ ბერი ეგნატაშვილი, ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 441.

² მ. გაბაშვილი, მარიამ დედოფლისა და უფლისწულის ფრესკა სვეტიცხოვლის ტაძარში (ისტორიული და მხატვრული თვალსაწიერი-დან), გვ. 92.

ფო ბეჭედზე, სიონის საკათედრო ტაძრის კედლის რელიეფზე¹.

თამარის მიერ დაარსებული ტრაპიზონის იმპერიის მმართველების, კომნენოსების დროშასა და გერბზეც ასევე ორთავიანი არწივია გამოსახული, რითაც თავის უფლებებს ადასტურებდნენ ბიზანტიის ტახტზე, რაც საქართველოს ინტერესებშიც შედიოდა.

ასე რომ, აღნიშნულ ეპოქაშიც ორთავიანი არწივი გვხვდება ქართველ მეფეთა სამეფო გერბებზე, სამეფო ბეჭდებზე, ლოკუმენტებზე, ეკლესიის ბარელიეფებზე და სხვაგან. თავისთავად ეს ფაქტიც გვიანი ანარეკლია ქართული პოლიტიკის იმ გეგმებისა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მუშაობდა და რასაც განაპირობებდა საქართველოს მდებარეობა აღმოსავლეთისა და დასავლეთის გზასაყარზე.

ამგვარად კესაროსობის იდეა, რომელიც თავს ფეოდალურ საქართველოს გაერთიანებისთანავე იჩენს, სხვადასხვა დროსა და ეპოქაში, პოლიტიკური ვითარების მიხედვით, სხვადასხვაგვარად მუშაობდა. შესაბამისად, მას ღიად თუ დაფარულად გამოხატვდნენ. მაგრამ ყოველთვის არსებობდა ხსოვნა ტრადიციაში გადასული, რომელიც სხვადასხვა ფორმით უწყვეტად აგრძელებდა არსებობას.

¹ დ. კლდიაშვილი, ორთავიანი არწივი, ჰეროლდი, 4, თბილისი, 2015, გვ. 76-79.

Manana Gabashvili

Ilia State University,

Giorgi Tsereteli Institute for Oriental Studies;

Georgian National Museum

**IDEA OF CAESAR/CAESAREAN TITLE IN GEORGIAN
POLITICS
RESUME**

The idea of caesarean title, i.e. claim to Byzance heritage, appears at the very moment of unification of feudal Georgia. David Kuropalati (966-1001), who is the head of this process (X c.), is depicted on the facade decoration of Oshki with the crown of an Emperor of Byzantium on his head. After this, this idea obtains hereditary nature in Georgian politics, but in different times and epochs, taking into consideration the foreign or domestic situation, this idea was manipulated [differently]. After the fall of the Byzantine Empire (1453), it already turns into diplomatic arm in the hands of Georgians. This will happen in the situation, when the Georgian kings propose the Europeans to create anti-Ottoman coalition, to redeem Constantinople and to put the King of Spain on the throne. The special attitude of Georgians towards Spain can be explained also by the event that the idea of kinship of Georgians and Spaniards existed from the very ancient times during all the Middle Ages. After David III the Great we meet the title of caesar among the titles of George the II (1072-1089) in relation with East and West, but only when he has already resigned from the throne (1104), and his son David the Builder sits on the throne. The reason of this is that during the aggression of the Seljuk Turks against Georgia, the Georgians were trying not to demonstrate this idea publicly, as the Seljuk Turks were also claiming to Byzance heritage. But from the

moment when David the Builder drives out the Turks from Georgia, he issues the coins (the 20th years of the XII c.), on which David is represented with the crown of an Emperor of Byzantium on his head. Ioane Shavteli, who was encomiast and participant Tamar of Georgia's (1184-1210) politics, called her Caesar. It is also noteworthy that on the Vardzia fresco Tamar is in red shoes, that was prerogative of only Byzantine Empire. Together with Mongol invasion, striving of Georgian Kingdom towards this direction was blocked. But from the moment, Georgia gets free from the Mongol rule and George V the Brilliant reunites the country, he presents himself, and this is in the world arena, as a successor of the Byzantine Empire. Later, in the XVI-XVII centuries, when the Byzantine Empire exists no more, the idea of caesarian title in Georgia gets a character of a political memory. We can see the two-headed eagle on the royal coats of arms of the kings of Georgia, kings' signets, documents, church bas-reliefs, and other places. This fact itself is a later reflection of those plans of Georgian politics, which worked during the centuries and which was conditioned by the location of Georgia on the crossroad of the East and the West.

გიორგი გოცირიძე
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პირველი მსოფლიო ომის გავლენები:
საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა**

ნაშრომში ნაჩვენებია პირველი მსოფლიო ომის გავლენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაზე. გაანალიზებულია 1917 წლიდან განვითარებული საერთაშორისო მოვლენები, რომლებმაც განაპირობა ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა და ხელი შეუწყო ხელისუფლებაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოსვლას. ზოგადად, ომის თემა და მასთან დაკავშირებული საკითხები აქტუალობას არც ერთი ეპოქაში არ კარგავს. იგი ყოველთვის მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასში მონაწილე მეომარი ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებაზე განურჩევლად იმისა, ესა თუ ის ქვეყანა გამარჯვებული თუ დამარცხებული გამოდის ამ ომიდან. განსაკუთრებით ეს ითქმის პირველი მსოფლიო ომის შესახებ, რომელმაც XX საუკუნის ისტორიაში ისეთი ფუნდამენტური ძვრები გამოიწვია, რომელიც დღესაც ხელშეახებია. მოვიყვანთ მხოლოდ რამდენიმე მაგალითს.

ომში ოსმალეთის იმპერიის კოლაფსსა და ახლო აღმოსავლეთში ევროპული იმპერიალიზმის დამკვიდრებას, რომლის ნათელი გამოხატულება იყო დასავლეთის სახელმწიფოების მიერ მართული არაბი ლიდერების ხელისუფლებაში მოყვანა, ისლამის კრიზისი მოჰყვა. ამ უკანასკნელთა საქ-

მიანობას ეჭვის თვალით უყურებდნენ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით რადიკალები, რომლებმაც შექმნეს კიდეც ე.წ. მაჰმადიანური საძმოები. მათ განახორციელეს პირველი ტერორისტული აქტებიც და საფუძველი ჩაუყარეს მრავალ ტერორისტულ ორგანიზაციას, მათ შორის, ალ-ქაიდას. ამ ტერორისტულმა ჯგუფებმა დიდი წვლილი შეიტანეს არა მარტო ახლო აღმოსავლეთის დღევანდელი სახელმწიფოების დასუსტებაში, არამედ მსოფლიოს დესტაბილიზაციაშიც. პირველმა მსოფლიო ომმა განაპირობა რუსეთის იმპერიის დაცემა და მოდერნიზებული იმპერიის შექმნა საბჭოთა კავშირის სახით. პირველმა მსოფლიო ომმა კაიზერის გერმანია ვაიმარის გერმანიით ჩაანაცვლა, ხოლო დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტემ კი ამ ქვეყანის ხელისუფლების სათავეში ფაშისტების მოსვლა განაპირობა. პირველ მსოფლიო ომს ევროპაში პაციფისტური მოძრაობის გააქტიურებაც მოჰყვა, რომლის შედეგაც დღევანდელი ევროგაერთიანებაა. ეს არის მცირედი ჩამონათვალი მოვლენებისა, რომლის ძირებს პირველი მსოფლიო ომის წიაღში მივყევართ.

„დიდმა ომმა“, „ყველა ომების დამამთავრებელმა ომმა“, როგორც მას მოიხსენიებენ, უდიდესი გავლენა მოახდინა კავკასიის რეგიონზეც, სადაც ხელი შეუწყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას. კავკასიაში შეიქმნა სახელმწიფო, რომლის ლიდერები დროს უსწრებდნენ. მათ მიერ განხორციელებულმა რეფორმებმა, თუმცა არა ყველამ, დღის სინათლე ევროპაში მხოლოდ რამდენიმე ათწლეულის შემდეგ იხილეს.

კვლევის აქტუალობას განაპირობებს არა მარტო იმის საჭიროება, რომ საუკუნის წინ მიღებული გამოცდილება გა-

მოყენებულ იქნეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში, არამედ

განსაზღვრა იმ ფაქტორებისა, რომლის გაუთვალისწინებლობასაც მოჰყვა XX საუკუნის 20-იან წლებში პირველი მსოფლიო ომისა და რუსეთის რევოლუციის შედეგად წარმოშობილი დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის დაკარგვა და მისი მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ძალადობრივი ინკორპორაცია. პირველმა მსოფლიო ომმა კიდევ ერთხელ თვალსაჩინო გახადა, რომ იცვლებიან მთავრობები, მაგრამ სახელმწიფოთა ინტერესები და მისწრაფებები პრაქტიკულად იგივე რჩება. ასე იყო პირველი მსოფლიო ომის დროს და ასეა ახლაც. კავკასიისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაში ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა. დღესაც ისევე აინტერესებთ მსოფლიოს მძლავრ სახელმწიფოებს საქართველო, როგორც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი და სამხედრო-სტრატეგიული მდებარეობით ხელსაყრელი ქვეყანა, როგორც მაშინ, ერთი საუკუნის წინ. პირველი მსოფლიო ომის დროს არსებულმა გარემო ფაქტორებმა ხელი შეუწყო კავკასიაში დამოუკიდებელი სახელმწიფოების წარმოშობას. ქართველებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებმა მაშინ შეძლეს ხელსაყრელი მდგომარეობის თავიანთი ქვეყნების ინტერესებისათვის გამოყენება. ომმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, თუ როგორ უნდა ვისარგებლოთ გარემო ფაქტორებით და ვიღვაწოთ ქვეყნის აღმშენებლობისათვის. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ომმა და მის დროს მიმდინარე ისტორიულმა მოვლენებმა გვასწავლეს, არის ის, რომ თვითონ ერი უნდა იყოს შინაგანად მზად ქვეყნის სასიკეთოდ ქმედებისთვის, რათა მოპოვებული არ დაკარგოს. დღეს დამოუკიდებლობის გზაზე მდგარ სამხრეთ კავკასიის სახელ-

მწიფოებს, მათ შორის საქართველოს, შესაძლებლობა აქვს, გამოიყენოს მდიდარი გამოცდილება. მით უფრო, რომ დღესაც აქტუალურია ურთიერთობა გარემომცველ სამყაროსთან, ახლო თუ შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან. საქართველო ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო საერთაშორისო სისტემაში. როგორც პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ და მის შემდეგ დროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენეს, მსოფლიოსათვის ასე საჭირო კავკასიის სტაბილურობის გასაღები მის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობასა და მათ ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილ ურთიერთობაშია. საქართველომ, რომელიც ყოველთვის ასრულებდა ლიდერის ფუნქციას რეგიონში, მნიშვნელოვანი სიტყვა უნდა თქვას ამ მიმართულებით. დიდმა სახელმწიფოებმა კი ხელი უნდა შეუწყონ ამ პროცესების განვითარებას, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასია ყოველთვის იქნება კონფლიქტების კერა მსოფლიოს რუკაზე.

პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაიშალა 4 დიდი იმპერია. პარადოქსია, რომ სახელმწიფოები, რომელთა მიზანიც ომის დაწყებით საკუთარი ამბიციების დაკმაყოფილება იყო, დაიშალნენ. ზოგიერთი ქვეყნის სამეფო დინასტიამ არათუ დაკარგა მმართველობის სადავეები, არამედ ფიზიკურად განადგურდა. ამ იმპერიების ნანგრევებზე არაერთი სახელმწიფო აღმოცენდა, მათ შორის ტოტალიტარული, რომლებმაც კაცობრიობას თავს არაერთი უბედურება დაატეხეს და რომელთა ჩამოყალიბებაზე უდიდესი გავლენა სწორედ პირველმა მსოფლიო ომმა იქონია. ამ მხრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ომის მიმდინარეობის დროს სახელმწიფო ინსტიტუტებმა უზარმაზარი ძალაუფლება შეიძინეს, რომელიც აკონტროლებდა ყველას და ყველაფერს. მძლავრი ავტორიტარული სახელმწიფო, მოგვიანებით შერწყ-

მული დაუსრულებელი, ოთხწლიანი ომის შედეგად გაჩენილ სისასტიკესთან, არის პირდაპირი შედეგი პირველი მსოფლიო ომისა. ამის მაგალითად ბოლშევიკური რუსეთისა და ფაშისტური გერმანიის გახსენებაც იკმარებს. პირველი მსოფლიო ომის პროდუქტი იყო რუსეთის რევოლუცია და შემდეგ მის საფუძველზე აღმოცენებული რუსეთის მოდერნიზებული იმპერია საბჭოთა კავშირის სახით. იგივე შეიძლება ითქვას ფაშისტურ რეჟიმზეც, რომელიც ომში გერმანიის დამარცხების შემდეგ დემოკრატიული ინსტიტუტების სისუსტის შედეგად ჩამოყალიბდა. ამდენად, ტოტალიტარული რეჟიმები და მათი სისასტიკეები, მაგალითად საბჭოთა კავშირში გულაგების სისტემა, ხოლო ფაშისტურ გერმანიაში ჰოლოკოსტი არის პირველი მსოფლიო ომის პირდაპირი შედეგი. და ამის ფონზე კავკასიაში 1918–1921 წლებში არსებობდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. მსოფლიო სოციალ–დემოკრატიული მოძრაობის ერთ–ერთი აღიარებული ლიდერი კარლ კაუცკი 1920 წელს წერდა: „იმ ჯოჯოხეთთან შედარებით, საბჭოთა რუსეთი რომ წარმოადგენს, საქართველო სამოთხეს ჰკავდა“¹.

1917-1918 წლებში ამიერკავკასიაში საერთაშორისო მნიშვნელობის მოვლენები ხდებოდა. პირველი მსოფლიო ომის დამანგრეველმა შედეგებმა რუსეთში 2017 წლის თებერვალ–მარტის რევოლუცია, მონარქიის მოშლა და ცენტრიდან ამიერკავკასიის დისტანცირების პროცესის დაწყება განაპირობა. ეს პროცესი დასრულდა პეტროგრადში 2017 წლის ოქტომბერ–ნოემბერში განვითარებული მოვლენების შედეგად, რამაც დროებითი მთავრობის დამხობა და ხელისუფლებაში რუსეთის სოციალ–დემოკრატიული მუშათა პარტი-

¹ Kautsky Karl, Georgia, A Social-Democratic Peasant Republic, Impressions and Observations, London, 1921, p.71

ის ბოლშევიკური ფრთის მოსვლა განაპირობა ვლადიმერ ლენინის ხელმძღვანელობით. ამიერკავკასიის საზოგადოებამ პეტროგრადში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალება არ ცნო და იგი მიიჩნია გამარჯვებული ბურჟუაზიული რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ დროებით სექტანტურ ამბოხებად, რომელსაც ქვეყნის სრულ ანარქიამდე მიყვანა შეეძლო. ამიერკავკასიის სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირმა 1917 წლის 11 ნოემბერს ხელისუფლების სამხარეო ორგანოდ „საზოგადოებრივი ხსნის კომიტეტი“ აღიარა, ხოლო რამდენიმე დღეში კი მთელი ხელისუფლება გადასცა ამიერკავკასიის კომისარიატს, რომელსაც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე და რუსეთში წესრიგის აღდგენამდე რეგიონი უნდა ემართა.¹ ხელისუფლების სათავეში მოსვლის პირველივე დღეს ბოლშევიკების მიერ გამოცემულ დეკრეტებს ზავისა და ომის და მიწის შესახებ, რუსეთის ომიდან გამოსვლა და ფრონტის ხაზების გაშიშვლება მოჰყვა, რომლის ადგილი კავკასიაში ჩამოყალიბების პროცესში მყოფმა სუსტმა ნაციონალურმა სამხედრო შენაერთებმა დაიკავეს. გერმანიას აღმოსავლეთისაკენ წინსვლა გაუადვილდა, ხოლო ოსმალეთის იმპერიამ კი „დიდი თურანის“ შექმნის მიზნით, აქცენტი პრაქტიკულად ამიერკავკასიაზე გადაიტანა. ამრიგად, ამიერკავკასიის გარშემო დაწყებული დავა მოკავშირეებს შორის კიდევ უფრო გართულდა შექმნილი სიტუაციის გამო. უკრაინისა და შავ ზღვასთან ეკონომიკურად დაკავშირებული სხვა ტერიტორიებზე გავლენის მოპოვება გახდა გერმანიის იმპერიის საგარეო პოლიტიკის განმსაზღვრელი 1917 წლის ოქტომბრის შემდეგ, როგორც სამხედრო, ისე დიპლომატიური ოპერაციების წარმო-

¹ გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 152

ების დროს. გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ფონ კი-ულმანი ამის შესახებ აღნიშნავდა: „მე, ვეყრდნობოდი რა ხალხის თვითგამორკვევის უფლებას, ვაპირებდი ჩამეშალა პუნქტი უანექსიო ზავის შესახებ... მიმეღწია ჩვენთვის ასე საჭირო ტერიტორიული დათმობებისათვის“.¹ უნდა აღინიშნოს, რომ, ზოგადად, ეროვნული საკითხის მოგვარება დეკლარირებული იყო ყველა დიდი სახელმწიფოს მიერ ორივე ბანაკიდან ომის მიმდინარეობის მთელი პერიოდის განმავლობაში. ვუდრო ვილსონის საყოველთაოდ ცნობილი „14 პუნქტის“ ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაც ომის შემდგომი მსოფლიო მოწყობის პრინციპებს რომ ასახავდა, ითვალისწინებდა ევროპის რუკის ისე გადასინჯვას, რომელზეც ქვეყნების საზღვრები დაფუძნებული იქნებოდა ერთა თვითგამორკვევის პრინციპზე და ამით განხორციელდებოდა მრავალი ეროვნული ჯგუფის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ.² თვით ბოლშევიკების აზრით, რუსეთთან ბრესტ-ლიტოვსკში ცენტრალური ბლოკის სახელმწიფოებთან მიმდინარე საზავო მოლაპარაკებების ძირითადი პრინციპი უანექსიო და უკონტრიბუციო ზავის მოთხოვნასთან ერთად უნდა ყოფილიყო „ოფიციალური აღიარება თითოეული მეომარი ქვეყნის მხრიდან თავისუფალი თვითგამორკვევის უფლებისა გამოყოფამდე და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნამდე“.³ ამრიგად, კავკასია ამ სახელმწიფოების გაცხოველებული ინტერესების ქვეშ მოექცა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხთან პირდაპირ არის დაკავშირებული მოვლენები, რომლებიც

¹ გოცირიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157

² ქილორი უილიამ, მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან, თბ., 2015, გვ. 103

³ გოცირიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 157

ხდებოდა ბრესტ-ლიტოვსკში, ტრაპიზონში, ბათუმში, სტამბოლსა და ბერლინში. ცნობილია გერმანიის იმპერიის მესვეურთა მცდელობა რუსეთის ომიდან გამოყვანისა და მასთან სეპარატიული ზავის დადების საქმეში, რისთვისაც ემიგრაციიდან ლენინის რუსეთში ჩაყვანის ოპერაცია 1917 წლის გაზაფხულზე წარმატებით განახორციელეს. იმავე წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ დროებითი მთავრობის დამხობისა და ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ, ერთ-ერთი პირველი დეკრეტი, რომელიც ლენინმა გამოსცა რუსეთის ომიდან გამოყვანას და ცენტრალურ სახელმწიფოებთან ზავის დადებას ითვალისწინებდა. მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთსა და გერმანიას, ოსმალეთს, ავსტრია-უნგრეთსა და ბულგარეთს შორის ბრესტ-ლიტოვსკში წარმოებდა 1918 წლის 3 მარტამდე. საზავო მოლაპარაკებებზე დასწრების შესახებ მიწვევა ამიერკავკასიის მესვეურებმაც მიიღეს ოსმალეთისაგან 1918 წლის 15 იანვარს და რუსეთისაგან 1918 წლის 10 თებერვალს.¹ მაგრამ ამიერკავკასიის კომისარიატმა უარი განაცხადა და კონფერენციაზე თავისი წარმომადგენელი არ გააგზავნა იმ მოტივით, რომ თავს ჯერ კიდევ ერთიანი რუსეთის შემადგენელ ნაწილად თვლიდა. როგორც მოგვიანებით ზურაბ ავალიშვილი ხატოვნად წერდა, წაუსვლელობის მიზეზი „იმპერიისადმი“ ლოიალობის გრძნობა და „რუსეთის რევოლუციისა და დემოკრატიის მთლიანობის შესახებ ჯერ კიდევ ცოცხლად არსებული აზრი“ იყო.² ხოლო მას შემდეგ, რაც 1918 წლის 17 თებერვალს საბჭოთა

¹ ტრაპეზუნდისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციები 1918 წელი, თებერვალი-მაისი, დოკუმენტები და მასალები, თბილისი, 2018, გვ.25

² ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ.,1929, გვ.31

რუსეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარის მდივნის ლევ კარახანის რადიოდებეშით მათთვის ცნობილი გახდა კავკასიაში მოსალოდნელი ტერიტორიული დანაკარგების შესახებ, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „ისეთ ზავს, როგორსაც ბოლშევიკები გვთავაზობენ, ჩვენ ხელს არ მოვაწერთ. უმჯობესია ადგილზევე დავიხოცოთ, ვინემ თავი მივცეთ შთამომავლობას სამუდამო წყევლა-კრულვისათვის“¹. როდესაც ვაანალიზებთ ოსმალეთის მთავრობის კავკასიურ პოლიტიკას 1917 წლის შემოდგომიდან, ნათელი ხდება, რომ ეს უკანასკნელი მისწრაფოდა ამიერკავკასიის რუსეთისაგან გამოყოფისა და აქ თავისი გავლენის დამყარებისაკენ. ამიტომ ამიერკავკასიის მესვეურებს კავკასიის ფრონტზე დაზავებაც შესთავაზა და მალევე, 1918 წლის 1 იანვარს, სურვილიც გამოთქვა ამიერკავკასიის კომისარიატთან, რომელსაც კავკასიის დამოუკიდებელ მთავრობად ცნობდა, მოლაპარაკებების დაწყების შესახებ ორ მხარეს შორის ურთიერთობების ნორმალიზებისათვის. 1918 წლის 15 იანვარს მოკავშირეთა სახელით ბრესტ-ლიტოვსკშიც მიიწვია და ამიერკავკასიის მთავრობის დამოუკიდებლობის აღიარებას შეპირდა². ვფიქრობთ, ამიერკავკასიის კომისარიატის უარყოფითმა დამოკიდებულებამ ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებისადმი განაპირობა ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციების ჩატარება. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ზავის მეოთხე მუხლის ჩამოყალიბებაში გერმანელების ხელი იგრძნობა. ბათუმის, არდაგანისა და ყარსის ოკრუგების თაობაზე გადა-

¹ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018, გვ.77

² ტრაპეზუნდისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციები 1918 წელი, თებერვალი-მაისი, დოკუმენტები და მასალები, თბილისი, 2018, გვ.23

წყვეტილების მიღების დროს ფორმალურად აღიარებული იქნა ადგილობრივი მოსახლეობის უფლება შეექმნა მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი თურქეთთან შეთანხმებით ახალი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია.¹ საკითხის ასეთი ფორმულირება პასუხობდა გერმანიის სტრატეგიულ ინტერესებს კავკასიაში. საქმე ისაა, რომ წინააღმდეგობები გერმანიისა და ოსმალეთის მთავრობებს შორის კავკასიის საკითხში მუდმივად არსებობდა. ორივე სახელმწიფო სათავისოდ ცდილობდა აქ ფეხის მოკიდებას, რაც რეალური გახდა 1918 წლის გაზაფხულისათვის. ამდენად, ვფიქრობთ, ასეთი სახით ჩამოყალიბებული მუხლი გერმანიას მომავალში მანევრირების მეტ შესაძლებლობას მისცემდა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გერმანიის დელეგაციის წარმომადგენლის როზენბერგის განმარტება: „მეოთხე მუხლის პირობები არ ლაპარაკობს ოსმალურ პროტექტორატზე, არ ლაპარაკობს არც ამ აღნიშნული ოლქების ოსმალეთისათვის შეერთებაზე, იქაა ლაპარაკი მოსახლეობის უფლებაზე დამოუკიდებლად გადაწყვეიტოს საკითხები სახელმწიფოებრივ-უფლებრივ და საერთაშორისო-უფლებრივ დამოკიდებულებით“². ამ დიპლომატიური კეკლუცობის მიუხედავად, ამიერკავკასიის მესვეურებისთვის ნათელი იყო, რომ ბრესტის ზავის მეოთხე მუხლს ოსმალეთის იმპერია აღნიშნული ტერიტორიების მისაერთებლად გამოიყენებდა. ამიტომაც არ სცნო ამიერკავკასიის სეიმმა ბრესტის ზავის პირობები და ამის შესახებ დასაბუთებულად აცნობა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების, მათ შორის ოს-

¹ Документы внешней политики СССР, М.,1957, стр.121

² ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ.,1989, გვ.21

მაღეთის იმპერიის, საგარეო საქმეთა სამინისტროებს¹. ოსმა-
ლეთის მთავრობამ კარგად იცოდა, რომ ბრესტის საზავო
ხელშეკრულება ამიერკავკასიის საზღვრებთან მიმართებაში
ამოვარდნილი იყო საერთაშორისო სამართლებრივი ჩარჩოდან
და მისი შესრულება სავალდებულოდ არ ითვლებოდა.²

ოსმალეთის მთავრობა, პირველ რიგში, ამიერკავკასიის
მხრიდან ბრესტის საზავო პირობების აღიარებას მოელოდა,
როდესაც მას მოლაპარაკებების გამართვა შესთავაზა. ამას-
თან ერთად, იმისათვის რომ, აღიარებისას დაცული ყოფი-
ლიყო საერთაშორისო სამართლის ნორმები, ამიერკავკასიის
სეიმს რუსეთისაგან ოფიციალურად გამოყოფა და ამიერკავ-
კასიის დე-იურედ ჩამოყალიბება მოსთხოვა. 1918 წლის 1
მარტს ტრაპიზონის კონფერენციის პირველ სხდომაზევე,
ნათლად გამოვლინდა თურქეთის მთავრობის მცდელობა,
მიეღწია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისათვის. დეპუტატ-
თა მანდატების შემოწმების შემდეგ თურქეთის დელეგაციამ
ითხოვა, მიეღო ზუსტი ცნობები „ამიერკავკასიის ფორმის,
პოლიტიკური და ადმინისტრაციული ორგანიზაციის თაობა-
ზე“. ამასთან ერთად, მას ასევე აინტერესებდა, შეასრულა
თუ არა ამიერკავკასიის მთავრობამ ყველა ის პირობა, რო-
მელსაც მოითხოვდა საერთაშორისო სამართალი სახელმწი-
ფოს ჩამოყალიბების შემთხვევაში.³ ეს მოთხოვნა კონფერენ-
ციის მსვლელობისას რამდენჯერმე განმეორდა ოსმალეთის
დელეგაციის მხრიდან. განსხვავებული იყო ამიერკავკასიის
დელეგაციის პოზიცია. მის მიერ მოლაპარაკებებზე წარდგე-

¹ Документы и Материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Тиф., 1919, стр.85

² საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკ-
ლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018, გვ. 78

³ Закавказский Сеим, Стенографический Отчет, Тиф., 1918, стр. 5

ნილი ე.წ. „ოთხი პუნქტიდან“ მნიშვნელოვანი იყო მესამე პუნქტი, რომლითაც თურქეთთან საზავო მოლაპარაკებას საფუძვლად უნდა დასდებოდა რუსეთ-თურქეთის 1914 წლის საზღვრის აღიარება. ხოლო, რაც შეეხება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხს, ოსმალეთის მხარისთვის მიუღებელი იყო ამიერკავკასიის დელეგაციის პოზიცია, რომელიც დელეგაციის ხელმძღვანელმა აკაკი ჩხენკელმა წარმოადგინა: ამიერკავკასია წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოს, თუმცა ამის შესახებ ჯერ კიდევ არ უცნობებია სხვა სახელმწიფოებისთვისო. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ოსმალეთის დელეგაციამ კონფერენციის მესამე სხდომაზე წარმოადგინა თავისი პოზიცია, რომელშიც სრულყოფილად არის გადმოცემული იმ ეტაპზე ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის ძირითადი ხაზი ამიერკავკასიის დამოუკიდებლობისა და ბრესტის ზავთან დაკავშირებით. ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა რაუფ-ბეიმ კვლავ ხაზი გაუსვა, რომ თუ ამიერკავკასიას სურდა, ესარგებლა საერთაშორისო სამართლის ნორმებით, მაშინ ამ ნორმების შესაბამისად უნდა ჩამოყალიბებულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და მიეღწია სხვა სახელმწიფოების მხრიდან მისი აღიარებისათვის. იმის გამო, რომ ამ აღიარებას არ ჰქონდა უკუქმედების ძალა, ხოლო ამიერკავკასიის მთავრობამ თავი შეიკავა ბრესტის კონფერენციაზე დელეგაციის გაგზავნისაგან, კავკასიის ფრონტზე კი მხოლოდ რუსეთის არმია იდგა, ოსმალეთის იმპერიის დელეგაციამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ამიერკავკასიის დელეგაციის განცხადება ბრესტის ხელშეკრულების არცნობის შესახებ.¹

¹ ტრაპეზუნდისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციები 1918 წელი, თებერვალი-მაისი, დოკუმენტები და მასალები, გვ.79-81.

ოსმალეთის დელეგაციის მოთხოვნის კატეგორიულების გამო, ამიერკავკასიის დელეგაცია იძულებული იყო კონფერენციის მეექვსე სხდომაზე დათანხმებოდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავის პირობებით გათვალისწინებული ტერიტორიების ნაწილის დათმობას, რაც ოსმალეთის მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა. 6 აპრილს მიღებულ იქნა ოსმალეთის მთავრობის ულტიმატუმი 48 საათის განმავლობაში ამიერკავკასიას ეცნო ბრესტის ზავის პირობები. ოსმალეთის მხარე არც დალოდებია ულტიმატუმის ვადის გასვლას ისე განაახლა საომარი ოპერაციები და ამიერკავკასიის სიღრმეში წინსვლა დაიწყო. ამიერკავკასიის დელეგაცია იძულებული გახდა ეცნო ბრესტის ზავის პირობები და ამის შესახებ აცნობა ამიერკავკასიის სეიმს, რომლისთვისაც მიუღებელი იყო საკითხის ასე გადაწყვეტა და ამიტომ დელეგაცია უკან გაიწვია. ოსმალეთისა და ამერკავკასიების დელეგაციები კი შეთანხმდნენ, რომ ამიერკავკასიის დელეგაციის თბილისში გამგზავრება მიჩნეულიყო არა კონფერენციის შეწყვეტად, არამედ შესვენებად¹ მაგრამ, ფაქტობრივად, ფრონტის ხაზზე დაზავების რეჟიმი დასრულდა და ოსმალეთის არმიამ კავკასიის სიღრმეში საომარი ოპერაციები გაანახლა მაჰმადიანური მოსახლეობის დაცვის საბაბით. ის სწრაფი ტემპით მოიწვევდა წინ და სულ მალე ხელში ჩაიგდო არა მარტო ბრესტის ზავით გათვალისწინებული ტერიტორიები. საქართველოს ტერიტორიაზე შემოსვლისთანავე მათმა ჯარებმა 7 აპრილს დაიკავეს ოზურგეთი, 12 აპრილის ულტიმატუმით მოითხოვეს ბათუმის დაცლა, რომელიც ადვილად აიღეს რამდენიმე დღე-

¹ Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году, документы и материалы, Е., 1970, стр. 91

ში. ოსმალეთის ჯარის ხელში აღმოჩნდა მთელი მესხეთი ბორჯომამდე.¹

კავკასიის ფრონტზე საომარი ოპერაციების განახლებამ და ოსმალეთის ჯარების მიერ ამიერკავკასიის ტერიტორიების სიღრმეში წინსვლამ 2018 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმს საბჭოთა რუსეთისაგან ოფიციალურად გამოყოფისა და ამიერკავკასიის ფედერაციული დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის აქტი მიაღებინა. ამრიგად, ოსმალეთის ზეწოლამ ამიერკავკასიაში სახელმწიფო დე-იურედ შექმნა. ამ მხრივ საინტერესოა ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატების მოსაზრებების გაცნობა. სეიმის სხდომაზე დეპუტატმა თუმანოვმა აღნიშნა, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ერთი წლის განმავლობაში შესაძლებლობა ჰქონდათ გამოეცხადებინათ დამოუკიდებლობა. მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს, არც ერთ ერს არ დაუყენებია რუსეთისაგან მთლიანად ჩამოშორების საკითხი. „თუ ახლა წამოიჭრა იდეა გამოყოფაზე, დამოუკიდებლობაზე, უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მომდინარეობს თურქი იმპერიალისტებისაგან“ - აღნიშნა მან.² კიდევ უფრო მნიშვნელოვანია სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერის, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის, ნოე ჟორდანიას სიტყვები: „რადგან ჩვენ მიტოვებული ვართ ბედის ანაბარა, რადგან რუსეთმა, რომელიც 100 წლის განმავლობაში აქ გვიცავდა ჩვენ და ასე თუ ისე წესრიგს ამყარებდა, ამაზე უეცრად უარი სთქვა, ამით მან უარი სთქვა საკუთარ ორიენტაციაზე და ამით ჩვენ მიგვითითა, რომ თვით ჩვენვე დავდგეთ ფეხებზე და თვითვე დავიცვათ ჩვენი თავი. როცა არის არჩევანი - რუსეთი თუ თურქეთი, ჩვენ რუსეთს ვარჩევთ, მაგრამ, რო-

¹ ნოზაძე ვ., დასახელებული ნაშრომი გვ. 24-27.

² Документы и Материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Тиф., 1919, стр. 208.

ცა არის არჩევანი – თურქეთი თუ დამოუკიდებელი ამიერკავკასია, ჩვენ ვარჩევთ დამოუკიდებელ ამიერკავკასიას¹. ოსმალეთის მთავრობას მეორე დღესვე ეცნობა განხორციელებული ცვლილებებისა და ბრესტის ზავის საფუძველზე მოლაპარაკებების გაგრძელების თაობაზე. მიუხედავად ოსმალეთის მხარის მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილებისა, ეს უკანასკნელი სამხედრო წარმატებებისაგან იმედმოცემული არ ჩქარობდა მოლაპარაკებების მაგიდას მიჯდომოდა, რაც ცალსახად ეწინააღმდეგებოდა მისი მოკავშირის, გერმანიის ინტერესებს. იმ ეტაპზე ანტანტის ეკონომიკური ბლოკადის გარღვევა და ამიერკავკასიის სტრატეგიული რესურსების დაუფლება გერმანიის უმთავრეს ამოცანას შეადგენდა. გერმანიის დამოკიდებულება კავკასიის რეგიონისა და ოსმალეთისადმი კარგად არის ჩამოყალიბებული გერმანიის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ლიუდენდორფის სიტყვებში: „ყარსისა და ბათუმის დაკავებას ოსმალები არ დასჯერდნენ: ისინი არ ფიქრობდნენ ამით დაკმაყოფილებულიყვნენ, არამედ სურდათ კავკასიაში მეტი გავლენა მოეპოვებინათ. თავისუფლად შემძლო მე ოსმალეთის მიერ მიღებული ზომები დამედასტურებინა, რომელიც საერთოდ ომის წარმოებას ხელს შეუწყობდა, მაგრამ იმ ზომებს არ უნდა გამოეწვიათ ოსმალეთის განსაკუთრებული სამხედრო ამოცანების შესუსტება ან გაეძნელებინათ ჩვენთვის კავკასიიდან ნელლ მასალათა მიღება, რომლისგანაც ჩვენ საგრძნობ შემსუბუქებას მოველოდით. ენვერის ამოცანა იყო ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლა. ენვერი და ოსმალური მთავრობა უფრო ნაკლებს ფიქრობდნენ ინგლისის წინააღმდეგ ომზე, ვინემ თავის პანისლამისტურ მიზნებზე კავკასიაში. ამგვარად, ჩვენ

¹ Закавказский Сеим, Стенографический Отчет, Тиф., 1918, стр.

დავუპირისპირდით ოსმალეთის მიზნებს.¹ ამ დაპირისპირების აღმოსაფხვრელად, 1918 წლის 27 აპრილს გერმანიისა და ოსმალეთის იმპერიებს შორის გაფორმდა საიდუმლო ხელშეკრულება, რომლის ძალით მოკავშირეების მიერ ამიერკავკასია გავლენის სფეროებად გაიყო. საქართველო გერმანიის გავლენის სფეროში შევიდა.² უდავოა, რომ გარდა ამიერკავკასიაში გერმანიის სტრატეგიული ინტერესებისა, მოვლენების ამგვარი განვითარება გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებთან ქართველ პატრიოტთა ერთი ჯგუფის დაულალავი ურთიერთობის შედეგიც იყო, რომელიც მსოფლიო ომის დაწყების პირველივე დღიდან მიმდინარეობდა³. ამის შემდეგ, გერმანიის მთავრობამ, ერთი მხრივ, ოსმალები აიძულა ამიერკავკასიასთან მოლაპარაკებები გაეგრძელებინა, ხოლო, მეორე მხრივ, დაიწყო მოლაპარაკებების წარმოება ამიერკავკასიაში მოღვაწე გავლენიანი სოციალ-დემოკრატიული პარტიის მენშევიკური ფრთის წარმომადგენლებთან.

მოლაპარაკებები ოსმალეთისა და ამიერკავკასიის დელეგაციებს შორის ბათუმში განახლდა 1918 წლის 11 მაისს. მოლაპარაკებებში გერმანიის დელეგაცია იღებდა მონაწილეობას ფონ ლოსოვის მეთაურობით. თუმცა არც ამ კონფერენციას ეწერა წარმატებით დამთავრება, რადგან ოსმალები გერმანიასთან აპრილში მიღწეული შეთანხმებისა და ამიერკავკასიის მხრიდან ბრესტის ზავის პირობების აღიარების მიუხედავად, ახალ-ახალ ტერიტორიულ მოთხოვნებს აყენებდნენ და საზავო მოლაპარაკების წარმოების მიუხედავად ამი-

¹ Людендорф, Мои воспоминания о войне 1914-1918 гг., М., 1924, стр., 187-188.

² Пипия Г.В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978, стр., 101.

³ გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009

ერკავკასიის სიღრმეში კვლავ მოიწევდნენ. ბათუმის კონფერენციაზე მათ განაცხადეს, რომ ტრაპიზონის კონფერენციაზე ამიერკავკასიის მთავრობის უარს ეცნო ბრესტის ზავის პირობები ორ მხარეს შორის საომარი ოპერაციების გაგრძელება მოჰყვა, რის შედეგადაც დაიღვარა სისხლი. ამის გამო, ოსმალეთის მხარე ბრესტის ხელშეკრულებას ბათუმის კონფერენციაზე ვერ მიიჩნევდა საბაზო დოკუმენტად. ამიერკავკასიისა და გერმანიის დელეგაციებისთვის ნათელი გახდა, რომ ოსმალების შეჩერება მოლაპარაკების მაგიდასთან შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამიერკავკასიის დელეგაციის მცდელობა გერმანელების შუამდგომლობის შესახებ თურქეთთან, ამ უკანასკნელმა არ მიიღო ამიერკავკასიაში სამხედრო წარმატებებით ფრთებშესხმულმა¹. გერმანულ-ქართული მოლაპარაკებების საფუძველზე, 1918 წლის 14 მაისის დადგენილებით, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გერმანიას სთხოვა დახმარება საერთაშორისო და პოლიტიკურ-სამართლებრივ საკითხებში, საქართველოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა გარეშე და შინაური მტრებისაგან.² ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს, თურქებისაგან მალულად, გადაწყდა ამიერკავკასიის ფედერაციის დაშლა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, რომელიც გერმანიის იმპერიის პროტექტორატის ქვეშ შევიდოდა.³ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნაში პირველი მსოფლიო ომის დამამთავრებელ ეტა-

¹ Документы и Материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Тиф., 1919, стр., 306

² Пипия Г.В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., стр., 103.

³ გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009, გვ. 178.

პზე განვითარებული მოვლენების გავლენის საჩვენებლად, ინტერესმოკლებული არ იქნება ვრცლად წარმოვადგინოთ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდენტის სახელზე ბათუმის კონფერენციაზე ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარის აკაკი ჩხენკელის 1918 წლის 22 მაისის წერილი: „მე უკანასკნელ წუთამდე არ დამიკარგავს იმედი, რომ შეიძლებოდა შეგვეკრა ზავი ამიერკავკასიის სახელით. მართალია, ჩვენმა თათრებმა თავისი სეპარატიული ნაბიჯით ძირი გამოუთხარეს დელეგაციის მუშაობას, მაგრამ ვინაიდან გერმანიის დელეგაცია სრულებით არ იზიარებდა თურქების პოზიციას, ამიტომ ჩემი იმედი საფუძვლიანი იყო. თურქებმა, მართლაც, ვერ გაბედეს, მიუხედავად მუქარისა, ულტიმატუმის გამოგზავნა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ მიმართეს მეორე ხერხს: ანხორციელებენ ფაქტიურად თავის დაპყრობით პოლიტიკას. ერევნის გუბერნია წააქციეს, განჯაში თავისი მთავრობა დასვეს, რასაც მთელი აზერბაიჯანის მოკლე დღე მოჰყვება. დარჩა მარტო საქართველო, რომელსაც ემუქრებიან ყოველი მხრიდან. ბოლოს გენერალი ფონ ლოსოვი მივიდა დასკვნამდე, რომ მარტო პროტესტით ვერას გახდება და უნდა მიმართოს სხვა გზას. დარჩა, მაშასადამე, განმარტოვებული საქართველო, რომლისთვისაც დარჩენილია სამი შესაძლებლობა: ა) საქართველო აზერბაიჯანთან ერთ სახელმწიფოს წარმოადგენს. ეს ნიშნავს თურქების სრულ ბატონობას, რაც მიუღებელია. როცა აზერბაიჯანში თურქები სხედან და იმავე ღროს არსებობს ამიერკავკასიის საერთო მთავრობა, ეს ვერ მოასწავებს ოსმალეთის ბატონობის იურიდიულ ცნობას, რასაც ფაქტიური დაპყრობა მოჰყვება; ბ) საქართველო სომხეთთან ერთად ადგენს ერთ სახელმწიფოს. არ არსებობს ფაქტიურად სომხეთის ტერიტორია ამიერკავკასიაში, ვინაიდან ის თურქების ხელშია, შეუძლებე-

ლია, მამასადამე, მასთან ერთი სახელმწიფოს შექმნა. კიდევ რომ არსებობდეს ეს ტერიტორია, მაშინაც არ შეიძლება სომხებთან სახელმწიფოებრივი კავშირი, ვინაიდან ეს მიუღებელია, როგორც თურქებისათვის, ისე თათრებისათვის. დაპყრობა ამ შემთხვევაში კიდევ უფრო აშკარაა., გ) საქართველოს დამოუკიდებლობა – აი, ერთადერთი გამოსავალი. ამ შემთხვევაშიც არა ვართ დაზღვეულნი თურქების შემოსევისგან, მაგრამ სწორედ ამიტომ, ამ უბედურებას, წინ უნდა უსწრებდეს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მან კიდევ (საუბარია ფონ ლოსოვზე – გ.გ.) გაუგზავნა ცნობა თავის მთავრობას, რომ ამიერკავკასია არ არსებობს (ოსმალების წინადადებად მოსპო ის), არსებობს მხოლოდ საქართველო, რომელიც გამოაცხადებს ხვალვე დამოუკიდებლობას და ვთხოვთ ცნობას და მფარველობას.¹

ბათუმში გერმანიის დელეგაციასთან ერთად შემუშავებული შეთანხმება მზად იყო ხელმოსაწერად, როდესაც გერმანიის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოში გენერალ მაიორ ფონ კრესენშტაინის მეთაურობით სამხედრო დიპლომატიური მისიის გამოგზავნის შესახებ, ხოლო 25 მაისს ფოთში გადასხა 3000 გერმანელი ჯარისკაცი. 1918 წლის 26 მაისს ამიერკავკასიის სეიმმა თვითლიკვიდაცია, ხოლო საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა გამოაცხადა. მოსწრებულად წერდა ამ ფაქტის შესახებ ავსტრია-უნგრეთის კონსული საქართველოში ჟ.პომიანოვსკი: „26 მაისს თბილისის საბჭოს ღია ფანჯრიდან გრაფმა შულენბურგმა კრესის დავალებით საქართველო გამოაცხადა დამოუკიდებელ რესპუბლიკად, რომელიც

¹ სცია, ფ. 1836, ანაწ. I, საქ. 132, ფურც. 3

გერმანიის პროტექტორატის ქვეშ იმყოფება“¹. ასე მიიღო ქართველმა ხალხმა დამოუკიდებლობა. იმ ხალხმა, რომლის შესახებაც ნ.ჟორდანიას წერდა: „როგორი ხონჩითაც არ უნდა მიგერთმია ქართველი ხალხისთვის პოლიტიკური ავტონომია, ხონჩიანად უკან დაგიბრუნებდაო“.²

ამრიგად, „ყველა ომის დამამთავრებელი ომი“ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში. მან ფუნდამენტური ძვრები გამოიწვია და დიდი გავლენა მოახდინა კაცობრიობის შემდგომი განვითარების პროცესზე. ომს მოჰყვა, ერთი მხრივ, დეზინტეგრაციული, ხოლო, მეორე მხრივ, ინტეგრაციული პროცესები. მან დაშალა ოთხი იმპერია, ხოლო მათ ნანგრევებზე საფუძველი ჩაუყარა, როგორც ტოტალიტარულ, ისე დემოკრატიულ სახელმწიფოებს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთ-ერთი მათგანია, რომლის შექმნა პირდაპირ არის დაკავშირებული ომში რუსეთის იმპერიის მარცხთან, გერმანელების ხელშეწყობით ბოლშევიკების მიერ ხელისუფლების დაუფლებასთან, ბრესტ-ლიტოვსკის ზავის შემდეგ რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე განვითარებულ დეზინტეგრაციულ პროცესებთან, ცენტრალურ სახელმწიფოთა ბლოკის ორი მოკავშირე წევრის, გერმანიისა და ოსმალეთის სურვილთან ამიერკავკასიაში ბუფერული ტიპის სახელმწიფოს შექმნასთან, ხოლო სამხედრო წარმატებებით ფრთაშესხმული ოსმალეთის იმპერიის მიერ გერმანიის ინტერესების უგულვებლყოფის შემდეგ მათ შორის წარმოშობილ კონფლიქტთან, რომელიც დამთავრდა ამიერკავკასიის გავლენის სფეროებად გადანაწილებით და საქართველოზე გერმანიის პროტექტორატის დამყარე-

¹ გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 200

² გოცირიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 183.

ბით. ამდენად, ცალსახად უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ომის ქარიშხალმა შვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა.

დამოწმებანი:

1. გოცირიძე გ., პირველი მსოფლიო ომი და საქართველო, თბ., 2009.
2. ქილორი უილიამ, მეოცე საუკუნის მსოფლიო, საერთაშორისო ისტორია 1900 წლიდან, თბ., 2015.
3. ტრაპეზუნდისა და ბათუმის სამშვიდობო კონფერენციები 1918 წელი, თებერვალი-მაისი, დოკუმენტები და მასალები, თბილისი, 2018.
4. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), ენციკლოპედია-ლექსიკონი, თბილისი, 2018.
5. ავალიშვილი ზ., საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1929.
6. ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989.
7. გიგინეიშვილი ო., თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963.
8. სცია, ფ. 1836, ანაწ. I, საქ. 132, ფურც. 3
9. Kautsky Karl, Georgia, A Social-Democratic Peasant Republic, Impressions and Observations, London, 1921
10. Документы внешней политики СССР, М., 1957.
11. Документы и Материалы по внешней политики Закавказья и Грузии, Тиф. 1919.
12. Закавказский Сеим, Стенографический Отчет, Тиф. 1918.
13. Из истории иностранной интервенции в Армении в 1918 году, документы и материалы, Е., 1970.

14. Людендорф, Мои воспоминания о войне 1914-1918 г.г., М., 1924, стр., 187-188.
15. Пипия Г.В., Германский империализм в Закавказье в 1910-1918 гг., М., 1978.

Giorgi Gotsiridze

Iakob Gogebashvili Telavi State University

**EFFECTS OF WORLD WAR I: DEMOCRATIC
REPUBLIC OF GEORGIA
RESUME**

The work explores the impact of the First World War on the creation of the Georgian Democratic Republic, analyses the international events going on since 1917, stipulating restoring the independence of the country and promoting the social-democratic party to come to power, emphasizes the influence of the war not only on the socio-political, economic and cultural situation of the participating countries, but also on the whole process of the world development. The paper shows that devastating consequences of the war conditioned a revolution in February-March of 1917 in Russia, abolishment of the monarchy, beginning the distancing process of the Caucasus from center, which ended in October-November of 1917 as a result of the events taking place in Petrograd, led to overthrowing the temporary government and coming of the Bolshevik wing of the Russian social-democratic workers' party to power under Lenin's leadership. The Transcaucasian society did not recognize the Bolshevik revolution and founded a de-facto local government. As soon as the Bolsheviks came to power, the Decrees on Land and Peace issued by them was

followed by withdrawal of Russia from the war and denudation of the front lines, which place was occupied by the weak national military forces being in the process of formation. The advance of Germany to the east became easier, and the Ottoman Empire put its focus practically on Transcaucasia. The paper concludes that the conflict between these two members of the central state bloc started around the Transcaucasus, which led to the dissolution of the Transcaucasian Federal Democratic Republic declared de-jure under the influence of the Ottoman Empire and the creation of the Democratic Republic of Georgia under the German Protectorate, which the Georgian political parties and the well-known public figures contributed much to.

კიდევ ერთხელ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თავისებურებების შესახებ

საბჭოთა პერიოდში ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს გასაბჭოებაზე ძალიან ბევრს წერდნენ: გ. ხაჭაპურიძე, ა. სურგულაძე, კ. შელია, ი. კაჭარავა, ა. ირემაძე და სხვები¹, რომლებიც, რა თქმა უნდა, გაბატონებული კომუნისტური იდეოლოგიიდან გამომდინარე, ცალსახად დადებითად აფასებდნენ ამ მოვლენას და ამტკიცებდნენ, რომ „საქართველოს კომპარტიის ცკ-ამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და დანიშნა აჯანყების დრო. საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციები მოყვანილ იქნა საბრძოლო მზადყოფნაში. მუშებისა და გლეხების შეიარაღებული რაზმები აჯანყების სიგნალს ელოდნენ“ და ა.შ. და ა.შ.

საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ, პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში უკვე რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებებია. მაგალითად, ლ. თოიძე, 1991 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში სრულიად ბუნებრივად სვამს შემდეგ შეკითხვას, თუ რამდენად კანონიერად შეიძლება ჩაითვალოს ქმედება,

¹ გ. ხაჭაპურიძე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში, თბ. 1954; ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.) თბ.; კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მუერნობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის, სოხუმი, 1957 და ა.შ.

როცა ერთი ქვეყნის მოსახლეობა (ვთქვათ, სომხეთის), მეორე ქვეყნის (საქართველოს) გასაბჭოებას ცდილობს და ისიც მესამე ქვეყნის (რუსეთის) დახმარებით?¹ ამის დასასაბუთებლად მას მოაქვს თავისი მეტად საინტერესო არგუმენტები.

მოსკოვში, სამეცნიერო მივლინების დროს, რუსეთის სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის ცენტრალურ არქივში (ყოფილი „იმელის“) მუშაობისას შემთხვევით გადავაწყდით ასეთ საქაღალდეს: „სომხეთის ბურჟუაზიის წინააღმდეგ ლორეს სააჯანყო რაზმის ბრძოლის მოხსენებები, შეტყობინებები, ანგარიშები“. ამ საქაღალდეში ჩვენ მივაგენით ი. ლაზიანის მიერ რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის დაწერილ (მანქანაზე ნაბეჭდ) რამდენიმე გვერდიან მოხსენებით ბარათს, რომელსაც ჰქვია „ქართველებსა და სომხებს შორის ნეიტრალურ ზონაში 1921 წლის თებერვალის აჯანყების შესახებ“. ამ ანგარიშს ი. ლაზიანი ხელს ასე აწერს „აჯანყების პასუხისმგებელი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“². მოხსენებას თარიღი არ აქვს, მაგრამ ის ჩაკრულია 1921 წლით დათრილებულ საქაღალდეში, ამრიგად ის ლორეს მოვლენებთან შედარებით ახლოს არის და ამიტომაც უფრო სანდოდ გვეჩვენება.

გვინდა ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ ი. ლაზიანის მოგონებები, რომლითაც ძირითადად სარგებლობდნენ საბჭოთა მკვლევრები, არის მოკლე ვერსია, ხოლო ის, რასაც ჩვენ მოსკოვის არქივში გადავაწყდით – შედარებით სრულია, გამდიდრებულია მეტად საინტერესო ფაქტოლოგიური მასალით ქართული საჯარისო შემადგენლობის აღჭურვილობის შე-სა-

¹ ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1993. გვ. 88.

² Государственный архив социально-политической истории РФ (ГФСПИ РФ), ф. 64, оп. 1. д. 139, с. 5.

ნებ ცნობებით და სხვა მასალით, რაც ქართული ისტორიო-გრაფიისათვის მას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ამასთან, მას თან ერთვის საქართველოს დემოკრატიული მთავრობის სამხედრო შენაერთების დისპოზიციის სრული ჩამონათვალი მათი შეიარაღების მითითებით და იმ აქტივისტების სია, ვინც აქტიური მონაწილეობა მიიღო აჯანყებაში.

ი. ლაზიანის ამ მოგონებების, ჩვენთვის საინტერესო პრობლემის გარშემო გამოქვეყნებული თუ ჩვენს მიერ მოპოვებული წყაროების, არსებული მდიდარი ლიტერატურის გააზრების საფუძველზე ჩვენ შევეცდებით მოკლედ დავახასიათოს საქართველოში გასაბჭოების თავისებურებები.

თავისებურება I. საქართველოს კომუნისტური პარტიის ბრძოლისუუნარობა და მისი დამცრობილი მდგომარეობა პოლიტიკურ ველზე.

რა თქმა უნდა, ისმის ლოგიკური შეკითხვა – იყვნენ კი საქართველოს ბოლშევიკები სერიოზული ორგანიზაციული ძალა - 1920 წლის დასასრულს, რომელთაც ხელეწიფებოდათ რევოლუციური გადატრიალება განეხორციელებინათ როგორც მთლიანად საქართველოში, ისე ნეიტრალურ ზონაში? გ. ხაჭაპურიძე, რომელიც ამ კითხვაზე დადებითად პასუხობს, ეყრდნობა ცნობილი ბოლშევიკის, მ. ორახელაშვილის, მოხსენებას რკპ(ბ) ცკ კავბიუროს სხდომაზე 1920 წლის 12 დეკემბერს, რომელშიც შეფასებულია საქართველოს კომპარტიაში არსებული რეალური ვითარება 1920 წლის დასასრულისათვის¹. მაგრამ მკვლევარი, საბჭოთა ისტორიოგრაფიისათვის დამახასიათებელი მანერით, საქმის მხოლოდ პოზიტიურ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას. აღნიშნულ დოკუმენტში კი, სხვასთან ერთად, სხვა საყურადღებო მინიშნებასაც წავაწყდით: „ჩვენ არ ვწყვეტთ მცდელობას აღვადგინოთ დანგრე-

¹ ГФСПИ РФ, ф. 64, оп. 1. д. 82, с. 1.

ული ორგანიზაციები“. ამრიგად, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი ლიდერი საჯაროდ აცხადებდა, რომ საქართველოში ბოლშევიკური ორგანიზაციების ნაწილი დანგრეული იყო.

ამ მხრივ საინტერესოა ლორეს აჯანყების ფაქტობრივი ხელმძღვანელის ი. ლაზიანის მოხსენებით ბარათში მინიშნებული ერთი დეტალიც: „საქართველოში ჩვენი (იგულისხმება ბოლშევიკური – ა. დაუშვილი) ორგანიზაციები დანგრეული იყო“¹. ამკარაა, რომ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები მენშევიკური რეპრესიების გამო დანგრეული იყო. რა თქმა უნდა, დაშლილი, დეზორგანიზებული ბოლშევიკური ორგანიზაციები რევოლუციის ექსპორტისათვის არ გამოდგებოდა.

რამ გამოიწვია საქართველოს კომუნისტური ორგანიზაციების ასეთი სავალალო მდგომარეობა, როცა 1918 წელს ისინი განსაკუთრებული შემართებით გამოირჩეოდნენ. ალექსანდრე გეგეჭკორს სამეგრელოში 1000 კაციანი ბოლშევიკური რაზმიც კი ჰყავდა და წარმატებით ეწეოდა რევოლუციის ექსპორტს ჩრდილო კავკასიაში.

სერიოზული პრობლემები შეუქმნა ქართველ ბოლშევიკებს 1919 წელს განხორციელებულმა წარუმატებელმა პროვოკაციამ – საბჭოთა აჯანყების განხორციელების მცდელობამ, რის გამოც საქართველოს I რესპუბლიკის ხელისუფლებამ ორგანიზატორები და აქტივისტები დააპატიმრა. ამან სერიოზულად შეამცირა ქართველი ბოლშევიკების რაოდენობა – გასაბჭოების წინ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგებში 9000-მდე კომუნისტი იყო გაერთიანებული, ეს მა-

¹ ГФСПИ РФ, ф. 64, оп. 1. д. 139, с. 9.

შინ, როცა მარტო მენშევიკური პარტიის გურიის ორგანიზაცია 60 ათასზე მეტ პარტიის წევრს მოითვლიდა.

მიუხედავად იმისა, რომ 1920 წლის მაისის მოსკოვის ხელშეკრულების ძალით მოხდა საქართველოს ბოლშევიკების ლეგალიზაცია – შეიქმნა დამოუკიდებელი საქართველოს კომუნისტური პარტია, მას მიეცა საქმიანობის შესაძლებლობები, თუმცა მან თავისი დაკარგული მდგომარეობა ვეღარ აღადგინა.

აქედან გამომდინარე საქართველოს კომპარტიაში შექმნილი ვითარების შესახებ როგორც მ. ორახელაშვილის, ისე ი. ლაზიანის შეხედულებებით – „საქართველოში ჩვენი ორგანიზაციები დანგრეული იყო“ – სიმართლეს შეესაბამება და ასეთი ორგანიზაცია სახელმწიფო გადატრიალებას ნადვილად ვერ მოახერხებს.

თავისებურება II. საქართველოს ხელისუფლების – მემარჯვენე სოციალ-დემოკრატების აშკარა მოღუნება, არაორგანიზებულობა და დაბნეულობა მთელი ლორეს კრიზისის პერიოდში. მათ დიდ მიღწევად ჩათვალეს 1920 წლის 7 მაისის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება და რატომღაც ზედმეტად მიენდნენ ვ. ი. ლენინის სიტყვას. ქართველმა მენშეიკებმა არ გაითვალისწინეს თვალსაჩინო მენშევიკის, მოსკოვში საქართველოს ელჩის, გაბრიელ ხუნდაძის საოცრად ლოგიკური მინიშნება: „მომდინარე ეპოქაში, როცა ნაკერებზე ირღვევიან უზარმაზარი სახელმწიფოები, ფორმალური ხელშეკრულებები და შეთანხმებები განსაკუთრებულ ფასეულობას სრულიად არ წარმოადგენენ, უფრო მეტიც – მათ მიერ არ განისაზღვრება ფაქტობრივი ურთიერთობები“¹. ამ ჭეშმარიტებას დღესაც არ დაუკარგავს თავისი ცხოველმყოფელობა.

¹ Г. Хундадзе. Советская власть и грузинское посольство в России, Тифлис. 1920. с.25-26.

მაგრამ მაშინ ამ ხელშეკრულებამ საქართველოს ხელი-სუფლებებში ზედმეტი ეიფორია გამოიწვია და მისი ყურადღე-ბა აშკარად მოადუნა. როგორც ჩანს, ეს ყურადღება მოდუნდა სამხედრო მიმართულებითაც. ეს ყველაზე კარგად ჩანს ნ. ჟორდანიას შემდეგ გამონათქვამში: „11 თებერვალს აჯანყდნენ ბორჩალოს „სომხები“, გარეკეს ჩვენი ჯარი, დაატყვევეს ბევრი. ... მაშინვე დავიბარე ოდიშელიძე და მოვსთხოვე ამ სირცხვილის ანგარიში. მან მომცა ასეთი განმარტება: ჯარი დამარცხდა იმიტომ, რომ იყო დანაწილებული და შეერთება ვერ მოასწრეს (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი). ...ეს მოახდინა დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის თავმჯ-დომარემ აკ. ჩხენკელმა დეკემბერში.“¹

როგორც ჩანს, კატასტროფის მთავარი მიზეზი არის სამხედრო ხელმძღვანელობის უუნარობა, და ის პოლიტიკურ-ი ურთიერთობები, რაც დამახასიათებელი იყო დემოკრატი-ული საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებისათვის თავი-სი არსებობის ბოლო ეტაპზე (პოლიტიკური და სამხედრო ფუნქციების აღრევა, პარტიული იმპერატივი, უპასუხისმგებ-ლობა და ა.შ.). ნ. ჟორდანიას მოგონებებიდან ირკვევა, რომ საქართველოს მთავრობას ჰქონდა ცნობა ბორჩალოს მაზრაში აჯანყების პროვოცირების შესახებ და ის ამტკიცებდა, რომ გენერლებს სრული „კარტ ბლანში“ მისცეს, მაგრამ მხოლოდ კატასტროფის შემდეგ გაიგო, თუ როგორ იყვნენ დისლოცი-რებული ქართული საჯარისო ფორმირებები ნეიტრალურ ზონაში და, რაც მთავარია, ამას აკონტროლებდა და აწესრი-გებდა არა საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობა, არა-მედ პოლიტიკური მოღვაწე – დამფუძნებელი კრების სამხედ-რო კომისიის თავმჯდომარე აკ. ჩხენკელი.

¹ ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990, გვ.121.

აკ. ჩხენკელის პერსონალურ პასუხისმგებლობის საკითხს აყენებდა გენერალი გ. კვინიტაძეც თავის განსაკუთრებით საინტერესო მოგონებებში¹.

ჩვენი აზრით, სწორედ ამაშია ამ კატასტროფის მიზეზი. რა თქმა უნდა, ქართული სამხედრო ძალების ამ დაქსაქსვამ მთავარი და დამლუპველი როლი ითამაშა ამ კატასტროფაში. დღეს მავანნი, საქმეში ჩაუხედავნი, ცდილობენ აკ. ჩხენკელი დიდების არეალით შეამკონ, მაშინ, როცა, თუ კი I დემოკრატიული რესპუბლიკა იარსებებდა, მას მხოლოდ სამხედრო ტრიბუნალი ელოდა და, აქედან გამომდინარე, მკაცრი სასჯელიც – ფაქტია მისმა ამ ქმედებამ აშკარად ხელი შეუწყო XI წითელი არმიის გამარჯვებებს. წინასწარგანზრახული ქმედება იყო ეს თუ სამხედრო უვიცობის – ამას ამ საკითხის მომავალი ჩაღრმავებული კვლევა გამოავლენს.

თავისებურება III. მოსკოვის გამორჩეული პოზიცია საქართველოს მიმართ, საქართველოს გეო-სტრატეგიული მდგომარეობით განსაკუთრებული დაინტერესება. საქართველოსთან მიმართებაში კრემლი მუდამ თვალთმაქცობდა. მან ჩინებულად იცოდა, რომ 1920 წლის ხელშეკრულება ფარსი იყო. ამას გვაფიქრებინებს კომუნისტური რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილის ლევ კარახანის საიდუმლო დეპეშა სერგო ორჯონიკიძისადმი, რომელიც ფაქტობრივად ამ ხელშეკრულების გაფორმების მეორე დღეს გაუგზავნა თავის მეგობარს. ეს წერილი ჩვენ აღმოვაჩინეთ სერგო ორჯონიკიძის პირად არქივში. აი, რას წერდა მეგობარს კომუნისტი დიპლომატი: „ჩვენთვის უფრო სასარგებლოა, რომ ინგლისელები საქართველოდან, ბათუმიდან განიდევნონ ბურჟუაზიული საქართველოს ხელით, ვიდრე ჩვენი ჯარები ჩაებნენ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება როგორც

¹ გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. II, თბ., 1999, გვ. 42.

დროებითი ბუფერი. ის რომ საბჭოთა იყო, ის ვერ შეასრულებს ამ მნიშვნელოვან როლს...“¹

როცა ოფიციალურ დიპლომატიას ასეთი დამოკიდებულება აქვს საერთაშორისო დოკუმენტის ხელმოწერის მეორე დღეს – რა თქმა უნდა იმ რეგიონში მშვიდობა დიდი ხნით არ დამყარდება.

ამაში არის თავისი ლოგიკაც – აზერბაიჯანის, სომხეთის გასაბჭოების შემდეგ საქართველოს გასაბჭოება უკვე დროის საკითხი იყო. აზერბაიჯანის ნავთობის საზღვარგარეთ გასატანად ბათუმის პორტი იყო აუცილებელი. ბაქოს ნავთი მსოფლიოს იმჟამინდელი მოპოვების დაახლოებით 50 პროცენტს შეადგენდა და მას საბჭოთა ხელისუფლება ხელიდან ვერ გაუშვებდა. ამიტომ აუცილებელი იყო მისი გატანის საშუალებაც – ბათუმის პორტი. აქედან გამომდინარე, 1920 წლის ხელშეკრულება მხოლოდ დროის გადავადება იყო. საქართველოს ანექსია ანუ „გასაბჭოება“ დღის წესრიგში აუცილებლობით დადგებოდა.

თავისებურება IV. საქართველოს ხელისუფლების გარკვეული შეცდომები საშინაო პოლიტიკის, ეროვნებათაშორისო ურთიერთობების დარგში. დღეს არის მცდელობები, რომ ზედმეტად იდეალურად წარმოადგინონ ვითარება საქართველოს I რესპუბლიკაში, რომ ეს იყო „პატარა ოქროს ხანა“. მაგრამ, ზოგჯერ ავიწყლებათ, რომ ორწელიწადნახევარში ვერცერთ ქვეყანაში ვერ მოხერხდება საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევა, მით უფრო I მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მკვეთრი სამოქალაქო დაპირისპირების პირობებში. შემორჩენილია საქართველოს დამფუძნებელი კრების რამდენიმე დეკლარაციის საყურადღებო დაკვირვება საქართველოს

¹ Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 85, оп. 1. д. 14, с. 16-17.

ხელისუფლების საშინაო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. მაგალითად მოვიტანთ ამონარიდს დამფუძნებელი კრების წევრის პ. ი. ბრულის სადეპუტატო ანგარიშიდან. 1920 წლის ნოემბერში ის გაემგზავრა ბორჩალოში ადგილზე ვითარების გასაცნობად. მან 16 ნოემბერს დამფუძნებელ კრებას წარუდგინა თავისი მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ბორჩალოს მაზრაში შექმნილ ვითარებას უწოდა „უმაღლეს ღონეზე შემაშფოთებელი და მძიმე“. დეპუტატი წერს: „ყველგან შეიმჩნევა დარღვევები, რასაც ბევრი უსინდისო ჩადის. საკუთარი მოვალეობისადმი უამრავი ჩინოვნიკის დამოკიდებულება გულგრილია“¹.

ამრიგად, გარკვეულად პოლიეთნიკურ რეგიონებში შესამჩნევი იყო ურთიერთობის გაუარესება, რაც შეიძლება გამოეყენებინა და გამოიყენა კიდევ პოტენციურმა მტერმა.

თავისებურება V. სომხეთის კომუნისტური პარტიის გადაჭარბებული აქტივობა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს თავისებურებათა შორის განსაკუთრებით გამორჩეული და გადამწყვეტიც კი გვესახება. საქართველოში გასაბჭოების ტალღა თბილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრიდან დაიწყო. რა რეგიონი იყო ეს?

როგორც ცნობილია, ლორე ისტორიულად საქართველოს ტერიტორიაა, რომელიც რუსეთის ტერიტორიულადმინისტრაციული დაყოფით ბორჩალოს მაზრაში შედიოდა. საქართველო-სომხეთის 1918 წლის კონფლიქტის შემდეგ ინგლისელების ინიციატივით შეიქმნა ე.წ. „ნეიტრალური ზონა“ კონფლიქტის შემდეგ ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთი ნაწილი საქართველოს დაუტოვეს, სამხრეთი – სომხეთს, ხოლო ცენტრალური – ლორეს რაიონი – გამოცხადდა

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1833, აღ. 1, ს.153. ფურც. 512.

ნეიტრალურ ზონად ქართულ-სომხური შერეული ადმინისტრაციით. როცა 1920 წლის ნოემბერში სომხეთის რესპუბლიკას გაურთულდა ურთიერთობა თურქეთთან, სამთვიანი შეთანხმებით, საქართველოს მთავრობამ შეიყვანა ნეიტრალურ ზონაში თავისი ჯარები.

მაგრამ, როცა მოსკოვის კრემლში პარტიის ლიდერებმა გადაწყვიტეს საქართველოს გასაბჭოება, ეს პარტიული დავალება მათ ორჯონიკიძესა და კიროვს მიანდეს შესასრულებლად. ი. ლაზიანი აჯანყების ინიციატორთა შორის ლეგრანსაც ასახელებს. ის აღნიშნავს: „ორჯონიკიძესა და ლეგრანის ინიციატივით გადაწყდა ზონაში აჯანყების ორგანიზაცია **სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ეგიდით**“¹ (ხაზგასმა ჩვენია – ა. დაუშვილი). ამ ამოცანის განსახორციელებლად სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ლეგრანის მითითებით 1920 წლის 20 დეკემბერს ზონაში აგზავნის კომუნისტების ჯგუფს ასტრატინის, ალაბიანის, სტეფანიანის, ბენგლიანის და სხვების შემადგენლობით. მხოლოდ სამი დღის შემდეგ იგივე ლეგრანის მითითებით, აჯანყების ორგანიზაციისათვის სომხეთის კპ ცკ დადგენილებით გაიგზავნა ი. ლაზიანი.

როგორი იყო ქართული საჯარისო ფორმირებების განლაგება ნეიტრალურ ზონაში? ამ მონაცემებს საქართველოს არქივსაცავებში ვერ მივაკვლიეთ, სამაგიეროდ ის მთლიანად აქვს მოტანილი ი. ლაზიანს, რაც მიუთითებს, რომ სომეხ კომუნისტებს დაზვერვა სოფლებში ჩინებულად ჰქონიათ დაყენებული. დოკუმენტში ქართული საჯარისო ფორმირებების განლაგება ზუსტად არის დაფიქსირებული. ჩვენ მოვიტანთ ძირითად პუნქტებს: სოფელ შაგალთან განლაგებული იყო 70

¹ Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 64, оп. 1. д. 139, с. 6.

ქვეითი და 5 ფეხოსანი პოლკი. სადგურ შაგალთან – 200 ქვეითი, 2 ტყვიამფრქვევი „მაქსი“ და 2 ტყვიამფრქვევი „ლუისი“. სოფელ დზიზისთან – 250 ქვეითი, 4 ტყვიამფრქვევი, 5 ფეხოსანი პოლკი, სოფ. უზუნღიართან – 400 ქვეითი, 4 ტყვიამფრქვევი, 5 ფეხოსანი პოლკი. სადგურ სანანთან – 100 ქვეითი, 2 ტყვიამფრქვევი, 5 ქვეითი პოლკი, სოფელ ალავერდთან – 100 ქვეითი, სოფელ შნიხთან – 500 ქვეითი, სოფელ ჩოჩკანთან – 500 ქვეითი, სადგურ სადახლოსთან – 1000 ქვეითი, ბზობდელისის უღელტეხილთან – სამხედრო განრიგის ნახევარი, სოფელ რუსულ გერგორთან – 400 ქვეითი, სომხურ გერგორთან – 400, სოფელ ბეტოლლუსთან – 100 ქვეითი და ა.შ.¹ ამრიგად აშკარაა, რომ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას, ი. ლაზიანის ინფორმაციით, ბორჩალოს მაზრაში სერიოზული სამხედრო კონტინგენტი ჰყავდა – დაახლოებით 7 ათასი კაცი.

1920 წლის დეკემბრის ბოლოდან სომხეთის კომპარტიის წარმომადგენლებმა ნეიტრალურ ზონაში ფართო პროპაგანდისტული და ორგანიზაციული მუშაობა გაშალეს, შექმნეს შტაბი ყარაკლისში, რომელშიც შევიდნენ ი. ლაზიანი, სამხედრო ხელმძღვანელი, შტაბის უფროსი ტ. ანიევი და შტაბის მდივანი – ს. შოროხოვი. შტაბში, როგორც ვხედავთ, არცერთი ქართველი არ არის.

უფრო მეტიც: მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მიკვლეულ ი. ლაზიანის ინფორმაციაში რამდენიმე მომენტია განსაკუთრებით საინტერესო: 1. „ერევნიდან მიღებული ცნობით ზონის გათავისუფლება უკვე დაუკავშირდა მთელი საქართველოს სოვეტიზაციას“ და 2. „ჩვენ განვახორციელეთ დაზვერვა

¹ Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 64, оп. 1. д. 139, с. 19.

მთელი საქართველოს მასშტაბით. უკვე 6 იანვარს მე გავაგ-ზავნე თბილისში ამხ. ტევოსიანი, რომელიც დაბრუნდა 20 იანვარს ყარაკლისში მდიდარი ინფორმაციით. პერიოდულად ვაგზავნიდით სხვა ამხანაგებსაც“.

ამრიგად, საქართველოს სოვეტიზაციის საკითხები ერე-ვანში მუშავდებოდა. რა თქმა უნდა, რკპ(ბ) კავბიუროს მითი-თებით და აჯანყების ორგანიზატორებს შესაძლებლობა ჰქონ-დათ ემისრები გაეგზავნათ მთელი საქართველოს მასშტაბით ინფორმაციის მისაღებად და არა ერთხელ. ეს საქართველოს ხელისუფლების, განსაკუთრებით კი ლორეში განლაგებული სამხედრო შენაერთების ხელმძღვანელთა სრულ უნიათობაზე მიუთითებს.

1921 წლის 15 იანვრიდან, როგორც ამტკიცებს ი. ლა-ზიანი, მათ გააძლიერეს სამზადისი. მენშევიკების მიერ განად-გურებული პარტიული ორგანიზაციები სწრაფად აღადგინეს, ქმედითი გახადეს პროპაგანდისტული მუშაობა სოფლებში, მოახერხეს ქართული საჯარისო ნაწილების სატელეფონო ქსელში ჩართვაც კი. წინასწარ ზონა 5 ნაწილად დაჰყვეს: ვორონცოვკის, ღზიზის, უზუნლარის, ჯალალ-ოღლინის, შნი-ხის უბნებად. გააერთიანეს სოფლების ორგანიზაციები, შექმ-ნეს საიდუმლო რეკომები. ყველგან სათავეში აჯანყების შტაბის წარმომადგენელი ჩაუყენეს. გაანაწილეს სამხედრო ფუნქციებიც. სამხედრო გეგმა სამ მიმართულებას ითვალის-წინებდა: ლორეს, შნიხ-ჩიჩკანის და შაგალის ხიდის მიმარ-თულებებს. ლორეს ჯგუფში 6 რაზმი იყო გაერთიანებული. წინასწარ შემუშავებული სამხედრო გეგმა ითვალისწინებდა აჯანყების ერთდროულად დაწყებას.

აი, როგორ აღწერს ი. ლაზიანი აჯანყების დაწყებას და მსვლელობას: „ზუსტად ღამის 2 საათზე მთელ ზონაში დაიწყო აჯანყება, სტეპანიანმა გაწყვიტა ნაღმების როზეტები,

დააპატიმრა გამნადმელები და განაიარაღა შაგალის ხიდის გარნიზონი – 400 კაცი. ეს ისე სწრაფად მოხდა რომ გამნადმელებმა ღილაკს თითი ვერ დააჭირეს. უფრო მძიმე იყო საქმე უზუნღარის და ღზიხის რაიონებში. 40 კაციანი აჯანყებულთა რაზმი თავს დაესხა 300 კაციან გარნიზონს, წართვეს 2 ტყვიამფრქვევი და დააპატიმრეს 40 კაცი. დანარჩენებმა თავი შეაფარეს ეკლესიას, რომელსაც ალყა შემოარტყეს. ალყის შემდეგ მენშევიკები დაგვინებდნენ. 13 თებერვალს აჯანყებულთა შტაბი გადავიდა სადგურ სანაინში, სადაც დატყვევებული მენშევიკები მოჰყავდათ. სამდღიანი გმირული ბრძოლის შედეგად ნეიტრალური ზონა გაიწმინდა 7 ათასიანი მენშევიკური არმიისაგან. აჯანყებულებმა ხელში ჩაიგდეს 3000 კაცი, 40 ტყვიამფრქვევი, 3 ორთქლმავალი გაზისა და ნავთის ცისტერნებით დატვირთული. ამ დამარცხების შემდეგ მენშევიკები ამზადებდნენ რევანშს. მაშინ აჯანყებულებმა მიმართეს თხოვნით XI არმიის ხელმძღვანელობას მოსულიყვნენ დასახმარებლად.

ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა ჩვენი თხოვნა და გასცა განკარგულება საქართველოზე შეტევის განსახორციელებლად¹.

ამის შემდეგ ყველაფერი ნაცნობი სცენარით განვითარდა – 16 თებერვალს შულავერში შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომლის ხელმძღვანელად გამოცხადდა ფილიპე მახარაძე, რომელიც იმჟამად მოსკოვში იმყოფებოდა. რეკომში შევიდნენ: მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა, ბ. კვიციანი, გ. ელისაბედაშვილი, ა. ნაზარეტიანი. ისინი შემოუძღვნენ საქართველოში კომუნისტური რუსეთის XI არმიას. საქართველოს დამფუძნებელმა კრებამ რეკომის წევრები კანონგარეშე გამოაცხადა. 1921 წლის 25 თებერვალს

¹ ლ. თოიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 99.

თბილისის თავზე კომუნისტრი ინტერნაციონალის წითელი დროშა აღიმართა – საქართველოში დამყარდა საბჭოთა ხელისუფლება.

დამოწმებანი:

1. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 64, оп. 1. д. 139
2. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 85, оп. 1. д. 14.
3. Государственный архив социально-политической истории РФ, ф. 64, оп. 1. д. 82, с. 1.
4. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1833, აღ. 1, ს.153.
5. გ. ხაჭაპურიძე, ბრძოლა პროლეტარული რევოლუციისათვის საქართველოში, თბ. 1954;
6. ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917-1921 წწ.) თბ.;
7. კ. შელია, საქართველოს კომუნისტების ბრძოლა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ხალხთა მეგობრობის ლენინური პოლიტიკის გატარებისათვის, სოხუმი, 1957. და ა.შ.
8. ლ. თოიძე, ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ., 1993, გვ. 88.
9. Г. Хундадзе. Советская власть и грузинское посольство в России, Тифлис, 1920.
10. ბ. ჟორდანიას, ჩემი წარსული, თბ., 1990.
11. გ. კვინიტაძე, მოგონებები, ტ. II, თბ., 1999.

Aleksandre Daushvili
International Centre for Christian Studies
**ONCE AGAIN ON THE PECULIARITIES OF
ESTABLISHING SOVIET POWER IN GEORGIA
RESUME**

The 1st peculiarity: Fighting inability of the Communist party and its reduced position on the political field.

The 2nd peculiarity: The apparent weakness, disorganization and confusion of the Georgian Authorities - Right-wing Social-Democrats - throughout the Lore crisis.

The 3rd peculiarity: The distinguished position of Moscow towards Georgia, its particular interest towards Georgia's geo-strategic position.

The 4th peculiarity: Some mistakes made by the Georgian authorities in the field of domestic policy and national relations.

The 5th peculiarity: Excessive activity of the Communist Party of Armenia. We believe that it is especially distinctive and decisive among these peculiarities.

ელდარ მამისთვალიშვილი
გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

ეკატერინე II-ის დიპლომატია იმერეთის სამეფოს
გაერთიანების წინააღმდეგ რუსეთ-თურქეთის ომის დროს
(1768-1774 წწ.)

ეკატერინე II-ის მთავრობა დიდად იყო მოწადინებული, რომ საქართველოს სამეფო-სამთავროები ომში ჩაბმულიყვნენ როგორც მისი მოკავშირეები, მაგრამ ისე, რომ არ მომხდარიყო მათი გაერთიანება, თითოეულ მათგანი ცალ-ცალკე დაკავშირებოდა რუსეთის მთავრობას. რუსეთს რომ შორს მიმავალი გეგმები ჰქონდა საქართველოს მიმართ და მისი განხორციელებისათვის მყარ ნიადაგს ამზადებდა, ნათლად გამოჩნდა სამეგრელოს სამთავროსა და იმერეთის სამეფოს დაპირისპირების დროს, როდესაც რუსეთი ცალსახად ცდილობდა სამთავროს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას და ამყარებდა კავშირის მასთან, როგორც დამოუკიდებელ სამთავროსთან.

1769 წლის 19 სექტემბერს ეკატერინე II-მ ასტრახანის გუბერნატორ გენერალ ბეკეტოვს გაუგზავნა წყალობის სიგელი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ერეკლე II-ს, სოლომონ I-ს, კაცია დადიანის და სხვა მთავრების (ისინი ვინც მზადყოფნას აცხადებდნენ რუსებთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა ოტომანის პორტას წინააღმდეგ ომში), წარმომადგენლები თუ ჩავიდოდნენ ყიზლარსა და ასტრახანში, შეუფერხებლად გაეშვათ პეტერბურგისკენ. რესკრიპტი შეიცავდა მნიშვნელოვან ცნობებს დასავლეთ საქართველოში არ-

სებული პოლიტიკური ვითარების შესახებ და იქვე ჩანდა რუსული დიპლომატიის თვალთმაქცობა, რომლისთვისაც, ბუნებრივია, ყველფერზე მაღლა იდგა რუსეთის სახელმწიფოს ინტერესები.

ეკატერინე II წერდა ბეკეტოვს, რომ როგორც სოლომონ მეფის წარმომადგენელს თავად კვინიხაძეს ყიზლარის კომენდანტ პოტაპოვისათვის განუცხადებია, დადიანის სამფლობელოები წინათ იმერეთის მეფის ქვეშევრდომობაში იყო, ამიტომ იმერეთის მეფე ითხოვდა დასახელებული სამთავრო კვლავ მის მორჩილებაში ყოფილიყო. ამასთან ერთად, სოლომონ მეფე ითხოვდა, რომ პეტერბურგში საიმპერატორო კარს არ მიეღო დადიანის წერილები და მისი წარმომადგენლები. როგორც ჩანს, სოლომონის მდივანბეგსა და დიპლომატს, დავით კვინიხაძეს არც იმის თქმა დაავიწყდა, რომ კაცია დადიანი ერეკლეს II-ს ნათესავი იყო და ცდილობდა თავის წარმომადგენლი გაეგზავნა პეტერბურგში, მაგრამ ერეკლე არ უჭერდა მხარს და მომხრე იყო მისი სიძე, ოდიშის მთავარი, დამორჩილებოდა მეფე სოლომონს¹. როგორც ჩანდა, ერეკლე II, ყველაფრის მიუხედავად, ქვეყნის ინტერესების გათვალისწინებითა და პოლიტიკური მოსაზრებით, სოლომონ მეფეს უჭერდა მხარს თავისი სიძის კაცია დადიანის საწინააღმდეგოდ². კვინიხაძე, როგორც დიპლომატი, ყოველთვის

¹ იქვე, გვ. 424.

² ა. მოურავოვი 1769 წლის 12 ოქტომბერს სწერდა გარფ ნ. ი. პანინს, რომ როგორც საიმელო ადამიანებისგან შევიტყე გურიელი და დადიანი არც თუ ისეთი მამაცი მებრძოლები არიან, როგორც სოლომონი. მაგრამ დადიანს უფრო მეტი სამფლობელოები აქვს, ვიდრე სოლომონს. მათ ეხმარებიან თურქები სოლომონის წინააღმდეგ და ცდილობენ, რომ მეფემ არ დაჯაბნოს ისინი. როგორც შევამჩნიე, ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს დადიანს უჭერს მხარს, რადგან მისი ცოლი, დედოფალი დარეჯანი დადიანის ბიძაშვილია. დედოფალმა მეც მომწერა, რომ დადიანი

სიმართლეს არ ლაპარაკობდა და ერეკლე მეფის ამგვარი პოზიციის დაფიქსირებით ცდილობდა რუსეთის მთავრობისათვის ეჩვენებინა, რომ ავტორიტეტული მეფე ერეკლე კაცია დადიანთან ნათესაობის მიუხედავად სოლომონ მეფეს უჭერდა მხარს. სინამდვილეში ერეკლეს ამ პერიოდში ასეთი პოზიცია არ ეკევა.

ეკატერინე და მისი მთავრობა კი დადიანთან დაკავშირებით სულ სხვაგვარად ფიქრობდა. მან ასტრახანის გუბერნატორს, ბეკეტოვს დაუფარავად გაუმხილა თავის დამოკიდებულება და გეგმები ოდიშის სამთავროს შესახებ. მისი აზრით, მიმდინარე ომის დროს სამეგრელოს მთავარი შეიძლებოდა რუსეთის ინტერესებისათვის გამოეყენებინათ. კაცია დადიანი შეეცდებოდა პეტერბურგიდან მხარდაჭერით გათავისუფლებულიყო იმერეთის მეფეების პრეტენზიებისგან. იმერეთის მეფე სოლომონი სუსტი იყო და ვერ იღებდა რაიმე გადაწყვეტილებას ადგილობრივ თავადებთან შეთანხმების გარეშე. სამეგრელოს სამთავროს მდებარეობა შავ ზღვასთან, ძალიან მოხერხებული და ძალიან საჭირო იყო. მისი მთავრისადმი საიმპერატორო კარის კეთილგანწყობა. ამიტომ მისი წარმომადგენელი მოხელეებს უნდა მიეღოთ. როგორც იმპერატრიცა ფიქრობდა, შემდგომში გაირკვეოდა რამდენად ემთხვეოდა ერთმანეთს სოლომონ მეფის, სამეგრელოს მთავრისა და, საერთოდ, საქართველოს ინტერესები¹. იმპერატ-

თვითონ მივა ტოტლებენტან, როდესაც ის იმერეთში შევა. მეც მქონდა განზრახვა მიმეწერა დადიანისა და გურიელისათვის, რათა ჩემთვის მოეცათ ნება მივსულიყავი მათთან, მაგრამ სოლომონმა არ გამიშვა და გამომიცხადა, რომ არავითარი აზრი არა აქვს მათთან მოლაპარაკებას, რათა თურქების წინააღმდეგ გამოვიდნენ, უმჯობესი იქნება მათი ნახვა სხვა დროისთვის გადასდო. *იქვე, გვ. 434; Цагарели А., I, Грамоты м. I, с. 75.*

¹ მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 424-425.

რიცას პოზიციიდან ამჯერად და შემდგომშიც მრავალჯერ გამოჩნდა, რუსეთის მთავრობა მზად იყო როდესაც საჭიროდ ჩათვლიდა, ანგარიში არ გაეწია სოლომონისა და ერეკლეს სამეფოების პოზიციისათვის ამა თუ იმ საკითხში.

თავად მოურაროვის გრაფ პანინისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ 26 სექტემბერს იმერეთის საზღვართან, მდ. სურამულას შენაკად კორტოხთან ტოტლებენი შეხვდა სოლომონ მეფეს და მის ძმა კათალიკოს იოსებს 100 იმერელთან ერთად. ტოტლებენმა სრულიად საწინააღმდეგო შინაარსის წერილი გადასცა იმერეთის მეფეს. 28 ოქტომბერს ტოტლებენმა სოლომონს მოახსენა, რომ გამოგზავნილია, რათა ყველა მისი ქვეშევრდომი მორჩილებაში მოიყვანოს და თურქები გააძევოს იმერეთიდან და ის, სოლომონი, სრულიად იმერეთის მფლობელი გახადოს. მაგრამ ამის გაკეთება თუ ვერ მოხერხდება, მაშინ მეფე და მთელი მისი გვარი წაიყვანოს რუსეთში, სადაც მიიღებენ ისე, როგორც მის სამეფო ღირსებას შეჰფერის. სინამდვილეში რუსეთის გენერალი, ყველაფერს აკეთებდა იმერეთის სამეფოს საზიანოდ. მან უარი სთქვა შორაპნის ციხის დაპყრობაზე, სადაც მხოლოდ 23 თურქი მეომარი იმყოფებოდა. ეს ჩაიდინა მაშინ, როდესაც მეფის სამფლობელოებს კაცია დადიანი იკლებდა. ტოტლებენმა შორაპნის ციხე მიატოვა და ქართლში დაბრუნდა¹.

ერეკლე მეფეს აუცილებლად მიაჩნდა ოსმალეთის წინააღმდეგ ომში სოლომონ მეფისა და დადიანის მონაწილეობა. მაგრამ მათ შორის დაპირისპირებას ბოლო არ უჩანდა. ამიტომ ის ტოტლებენს სთხოვდა თავისი რომელიმე ოფიცერი გაეგზავნა იმერეთში და ისინი შეერიგებინა². მაგრამ რუ-

¹ იქვე, გვ. 436.

² იქვე, გვ. 491-493.

სეთის გენერლის მოქმედება საქართველოში საეჭვოს ზდიდა, რომ ის დაინტერესებული იყო სოლომონისა და დადიანის შერიგებით.

განსაკუთრებით საინტერესოა ეჭვებითა და უნდობლობის სენით შეპყრობილი ტოტლებენის წერილები გაგზავნილი პეტერბურგში, რომლებშიც ის დაასმენდა საქართველოს მეფეებს და ზოგიერთ რუსეთის ოფიცერს. ის განსაკუთრებულ მტრობას ავლენდა ა. მოურავოვის მიმართ, რომელიც მისი გაგებით იყო «излишеством грузинец... всегда пользу своих однородцов предпочитал». ა. მოურავოვი ექონებოდა სოლომონსა და ერეკლეს, რის გამოც იმსახურებდა ტოტლებენის რისხვას. არაერთხელ მისწერა რუსეთის მთავრობას იმ გასაჭირის შესახებ რომელიც სუფევდა იმერეთში, რომ სოლომონს არ შეეძლო მის ტერიტორიაზე გადასული რუსეთის რაზმების გამოკვება. ტოტლებენი ბრალს სდებდა სოლომონ მეფეს, რომ მან, იმის გამო, რომ მის სამფლობელოებს იკლებდა კაცია დადიანისა და თურქების რაზმები, შოროპნიდან წავიდა მომხვდურთა გასაძევებლად; რუსეთის სარდალი არ იწონებდა სამეფოს გაერთიანებისათვის სოლომონის მიერ გატარებულ ღონისძიებებს და სხვ.

საინტერესო ცნობებს შეიცავს 1770 წლის დეკემბერში იაზიკოვის მიერ პანინისათვის გორიდან გაგზავნილი მოხსენება. მან სცადა შეერიგებინა სოლომონ მეფე და კაცია დადიანი, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. ამის შემდეგ ის გადავიდა ერეკლე მეფესთან ბორჩალოში და გადასცა იმპერატრიცას სიგელი, რომლითაც ერეკლე რუსეთის მფარველობას იღებდა. მეფემ განაცხადა, რომ მთელი ზაფხულის განმავლობაში ელოდა ტოტლებენის ბრძანებას, სად შეერთებოდა თავისი ჯარით რუსეთის კორპუსს, მაგრამ ამაოდ. მან გრაფი დაადანაშაულა იმის გამო, რომ მისი ბრალი იყო

ჯარი სურსათის ნაკლებობას რომ განიცდიდა. მან დროულად არ მოიმარაგა ყველფარი ის, რაც ჯარს სჭირდებოდა და ასე წავიდა ლაშქრობაში. ერეკლემ იაზიკოვს სთხოვა შეეხვედრებინა ტოტლებენტან, სადაც ის მოისურვებდა, თავის მხრივ კი ასეთ ადგილად გორი შეარჩია და შეხვედრის დროდ 25 ნოემბერი დაასახელა.

ქართლ-კახეთისა და იმერეთის სამეფოების მეფეებს სურდათ მათ ჯარებს მოსურნე ებრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ რუსთა კორპუსთან ერთად. ერთობლივ მოქმედებას ხელს უშლიდა რუსეთის საიმპერატორი კარის დიპლომატია, რომლის მიზანი იყო არ მომხდარიყო მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება იმერეთის მეფის ხელქვეით და ამ პოლიტიკის გამტარებელ გრაფ ტოტლებენტან გაგზავნილი კურიერი 21 ნოემბერს დაბრუნდა წერილით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მას არავითარი სურვილი ჰქონდა ერეკლესთან და სოლომონთან ურთიერთობის, მას მხარში უდგნენ დადიანი და გურიელი. იაზიკოვის აზრით (როგორც ჩანს ის ჯეროვნად არ იყო ჩახედული რუსეთის კავკასიურ პოლიტიკაში), ტოტლებენტანს რომ მოეხერხებინა ერეკლეს, სოლომონის, დადიანის და გურიელის მათი ჯარებითურთ გაერთიანება და რუსული არტილერიით გაძლიერება, ამ მხარიდან თურქებისთვის დიდი ზარალის მიყენებას შეძლებდნენ. მეფე ერეკლე, იაზიკოვის შეფასებით, სრულიად ბრმად ერთგული იყო იმპერატორისადმი, მაშინ, როდესაც ტოტლებენტანზე ვერაფერმა გაჭრა, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს იაზიკოვმა უჩვენა ეკატერინე II-ის ბრძანება.

ერეკლე მეორეს კარგად ესმოდა, რაში მდგომარეობდა სოლომონ მეფისა და კაცია დადიანის დაპირისპირების მიზეზი და მოწინააღმდეგეებს მოუწოდებდა შერიგებისაკენ, მაგრამ ის იმავე დროს იცავდა კაცია დადიანის, თავისი ნათე-

სავის, ინტერესსა და დამოუკიდებლობას. წერილობითი ცნობები კაცია დადიანის ერეკლე I-ის ოჯახთან ნათესაობის სხვადასხვა ხარისხზე მიუთითებენ. მოურავოვი წერდა: „ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეც დადიანს უჭერს მხარს, რადგან მისი ცოლი, დედოფალი დარეჯანი დადიანის ბიძაშვილია“¹; კაპიტანი ლვოვიც აღნიშნავდა, რომ „დედოფალი, ერეკლე მეფის მეუღლე ნათესავია დასახელებული დადიანის“²; ლეონ ბატონიშვილმა და ანტონ I-მა კათალიკოსმა გრაფ პანინს განუცხადეს: „საქართველოს დედოფალი კნიაზ დადიანის და არის“³. ყველაზე სარწმუნო უნდა იყოს დარეჯან დედოფლის წერილი თავად მოურავოვისადმი, რომელშიც აღნიშნულია, რომ მან „სამეგრელოს მფლობელთან, თავის ძმა კაცია დადიანთან გაგზავნა თავადი მამუკა ხიდირბეგიშვილი, რათა დაიყოლიოს მიიღოს მონაწილეობა თურქეთის წინააღმდეგ მომავალ ომში“⁴. მთავარი ისაა, რომ კაცია, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო კარისათვის ახლობელი, ნათესავი იყო. ვფიქრობ, სადაო არ უნდა იყოს, რომ ლეონ უფლისწულმა და ანტონ კათალიკოსმა და, რაც მთავარია დარეჯან დედოფალმა ყველაზე უკეთ იცოდნენ, ვინ იყვნენ ერთმანეთისა ქართლ-კახეთის დედოფალი და კაცია დადინი⁵.

¹ Цагарели А., I, Грамоты..., т. I, с. 75.

² მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 899.

³ იქვე, გვ. 909.

⁴ მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. I, გვ. 427-428.

⁵ რუსეთის სამხედრო კორპუსი ახალი შემოსული იყო საქართველოში, როდესაც დარეჯან დედოფალმა თავადი მამუკა ხიდირბეგიშვილი გაგზავნა კაცია დადიანთან და ურჩია მიეღო მონაწილეობა თურქების წინააღმდეგ ომში. Цагарели А., I, Грамоты и другие исторические документы XVIII столетия, относящиеся к Грузии, т. II, вып. II, с. 1769 по 1801 год, С.-Петербург, 1902, с. 245 .

სოლომონი, ისტორიული სამართლიანობის საფუძველზე, მთავრებისაგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა. ის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის ჩამოვარდნილ მტრობაში მთლიანად კაცია დადიანსა და მის წინაპრებს სდებდა ბრალს.

არსებობს 1771 წლის თებერვლის ერთი საინტერესო წერილი გაგზავნილი სოლომონ მეფის მიერ რუსეთის იმპერატორისადმი, რომელშიც მოკლედ გადმოცემულია იმერეთის მეფის ოდიშის და გურიის სამთავროებთან ურთიერთობის მოკლე ისტორია, მათი იმერეთის მეფის, რუსეთისა და იმერეთის სამეფოს ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება: როცა ტოტლებენმა ფოთზე გაილაშქრა და ალყაში მოაქცია, - წერდა სოლომონ მეფე, - დადიანმა და გურიელმა ამის შესახებ აცნობეს თურქებს. შეიტყო რა მათი ღალატი და ისიც აცნობეს, რომ თურქები გურიის საზღვრებს უახლოვდებოდნენ, მეფემ დაუყოვნებლივ შეკრიბა ჯარი და მათ წინააღმდეგ გაილაშქრა. თურქები იძულებული გახდნენ უკან გაბრუნებულიყვნენ. მეფე დაეუფლა გურიელის სამფლობელოებს და იქაურები დააფიცა იმპერატორის ერთგულებაზე. სოლომონმა ეკატერინეს გურულების დაფიცების დოკუმენტიც გაუგზავნა¹. მეფემ გადააყენა გურიელი გიორგი V და დაადგინა მამია IV. ამის შემდეგ მეფე დაბრუნდა ქუთაისში.

¹ 1771 წლის თებერვალში გაფორმდა გურიელის შეთანხმება მეფე სოლომონთან: „დაუსაბამო ღმერთის მადლით, ამ პირუთვნელ ფიცს ვაძლევთ ჩვენს ხელმწიფე მეფე სოლომონს, ჩვენ, გურიელი მამია, მიტროპოლიტი ნიკოლოზი, ერისთავი დავითი, თავგირიძე მაშუკა, მაჩუტაძე იოანე, ნაკაშიძე გიორგი, ტანდარუხ საყვარელი, გუგუნავა, ჩიტან შალიკაშვილი, როსტომი და კიდევ როსტომი, ყველა ჟორდანია და ჭყონია, ზაალი და ყველა ჯაყელი, ყველა ლეხურელი, ყველა აკანელი, ყველა ზათაიელი და გურიის ყველა მოსახლე იმაზე, რომ, როდესაც უწმინდურმა აგარიანელებმა გამოილაშქრეს მისი იმპერატორობითი უდიდებულების

სოლომონ I ეკატერინე II-ს აცნობებდა იმერეთ-სამეგრელოს დაპირისპირების მიზეზებს და თავისი კანონიერი უფლების აღდგენას მოითხოვდა, რაშიც გადამწყვეტი სიტყვა უნდა ეთქვა იმპერატრიცას. სოლომონ მეფე აღნიშნავდა: ამჟამინდელი დადიანის – კაციას წინაპარი, თავადი საღირაძე, სოლომონის მამა-პაპათა ერთგული და ქვეშევრდომი ყოფილა, ამიტომ ერთგულად მსახურებისათვის ერთ-ერთ საღირაძეს უბოძა ოდიშის დადიანობა, ე.ი. „მანდატურთ-უხუცესობა ემიკალას-ბაშობისა“. როცა თურქები გაძლიერდნენ და დაიპყრეს აფხაზეთის ანაკოფია, შემდეგ კი, მთელი აფხაზეთი, დადიანმა ისარგებლა არეულობით, განუდგა იმერეთის მეფეს და ახალციხის ჯარის დახმარებით კიდევ უფრო გაძლიერდა. სოლომონის პაპა ალექსანდრემ შეკრიბა იმერეთის ჯარი და დადიანი და თურქები დაამარცხა. თვით დადიანი შეიპყრო და მთელი მისი ოჯახი სიკვდილით დასაჯა. ასე ამოწყდა დადიანის მთელი გვარი, გადარჩა მხოლოდ მისი უკანონო შვილი, რომელიც არჩილმა წაიყვანა რუსეთში. სოლომონ მეფის პაპამ დადიანების მაგიერ დააწინაურა თავისი ახლობელი აზნაურებიდან გიორგი ჩიქოვანი, რომელიც ლეჩხუმის თემის მართველად დანიშნა. მისი ჩამომავალი არის კაცია დადიანი, რომელმაც უღალატა მეფეს და მიემხრო თურქებს. მან სოლომონის პაპა მოკლა, ლეჩხუმი

ჯარის წინააღმდეგ, მაშინ თქვენ მოხვედით ჩვენს ქვეყანაში, იხილეთ რა იქ დიდი არეულობა და უწყესრიგობა, ჩვენ ყველას გაგვირისხდით და ყველა დაგვაფიცეთ მისი იმპერატორობის უდიდებულესობისა და თქვენს ერთგულებაზე, რომელიც ჩვენ უნდა შევინახოთ და ვიბრძოლოთ უწმინდური თურქების წინააღმდეგ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე; წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ვიყვეთ ყოვლისშემძლე ღმერთის, დიდებით შემოსილი წმინდა სამების, ოთხი პატრიარქისა და თორმეტი მოციქულის მიერ გადაცემულნი ანათემას, ჩავთვალოს ხელმწიფემ თავის მტრებად, თქვენ კი გაანადგურეთ ჩვენი მოდგმა. მამია გურიელი“. *Там же, с. 291.*

მიითვისა და მთელი იმერეთი თურქების მონობაში მოაქცია. თურქებმა კაცია ოდიშის დამოუკიდებელ მთავრად გახადეს. იმ დროიდან დადიანები იმერეთის მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ. როცა სოლომონ მეფემ ოსმალეთის სულთანთან დადო ზავი და დაარწმუნა, რომ მთელი ოდიში მის სამფლობელო იყო, ამის თაობაზე სულთანმა გამოსცა ბრძანება, რომ დადიანი მეფეს დამორჩილებოდა. სოლომონ მეფემ სულთანის ბრძანება რუსეთის კარს გაუგზავნა.

სოლომონ I სთხოვდა იმპერატორს, რომ მასაც ებრძანებინა კაცია დადიანისათვის დამორჩილებოდა მეფეს, ხოლო ლეჩხუმი მეფის საკუთრებაში დაებრუნებინა. თუ ეს ასე მოხდებოდა, მაშინ იმერეთის სამეფოში მშვიდობა დაისადგურებდა და მეფე მთელ თავის ყურადღებას ოსმალეთზე გადაიტანდა. იმერეთის სამეფოს მთელი მოსახლეობა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდა საერთო მტრის დასამარცხებლად და გასანადგურებლად¹.

რუსეთს დაპირისპირებული მხარეების შერიგება იმგვარად უნდოდა, რომ იმერეთის სამეფოს და ოდიშის სამთავროს გაერთიანებული ძალით ეომათ ოსმალეთის წინააღმდეგ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაძლიერებულიყო სოლომონ I.

1771 წლის ივნისში სოლომონ მეფე და გენ. სუხოტინი გადმოვიდნენ ქართლში, სოფ. ხელთუბანში, სადაც 15 ივნისს შეხვდნენ ერეკლეს მეფეს და შეთანხმდნენ იმ გეგმაზე, რომელიც სუხოტინმა შეიმუშავა 5 ივლისს ქუთაისის მახლობ-

¹ Цагарели А., Грамоты..., I, 289-290; მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 571-573; წერილის დასაწყისში სოლომონ მეფე ეკატერინე II-ს უწოდებს „თვითმპყრობელს რუსეთის, აფხაზეთის, იმერეთის, სვანეთისა და სამეგრელოსი“.

ლად, ბანაკში. დოკუმენტს თავისი შენიშვნები დაურთო და ხელი მოაწერა ერეკლე მეფემ 27 ივლისს თრიალეთში.

გეგმის მიხედვით, თურქებისათვის უნდა ჩამოეშორებინათ სამეგრელოს და გურიის სამთავროები. ფუნქციები განაწილებული იყო შემდეგნაირად: გენ. სუხოტინს რუსული ჯარით ალყაში უნდა მოექცია ფოთი, ქართველები კი მას დაიცავდნენ ალყაში მოქცეული ფოთის ციხეში გამაგრებული თურქების დასახმარებლად გამოგზავნილი ჯარისგან.

გეგმის მიხედვით ერეკლე მეფის რაზმებს ქვეყანა უნდა დაეცვათ იმ მხარეებიდან, საიდანაც მოსალოდნელი იყო ლეკების თავდასხმები. თვით მეფე ერეკლე კი 20 ივლისს ძირითადი ძალებით (10 ათასი კაცით, 8 ზარბაზნით) ახალქალაქ-ახალციხე-ყარსის მიმართულებით უნდა შეჭრილიყო და თავისკენ მიეზიდა თურქთა ძალები, რათა ისინი არ მიშველებოდნენ ფოთის ციხეში გამაგრებულ თურქებს.

მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეეტანა სოლომონ მეფეს: ის თავისი 6-ათასიანი ჯარით უნდა გამოსულიყო ბაღდადიდან და გადაეკეტა ახალციხიდან იმერეთისკენ მიმავალი ხეობები.

ასევე მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა შეესრულებინათ გურიელსა და დადიანს: გურიელს უნდა დაეჭირა გურიაში „შემოსავალნი გზანი ტრაპიზონიდგან, ზღვიდამ და ახალციხიდან“, რათა ვერავის შეძლებოდა ფოთის ციხისათვის დახმარება.

დადიანს უნდა დაეცვა აფხაზეთიდან ფოთისკენ მიმავალი გზაზე არსებული ხიდები, მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირი ისე უნდა გაემაგრებინა ცელის კარამდე, რომ სუხოტინს ჰქონოდა ქუთაისამდე მიმოსვლის თავისუფალი გზა.

მოკავშირეთა ჯარებს უნდა ჰქონებოდათ 6 კვირის სამყოფი სურსათ-სანოვაგე.

გენ. სუხოტინი ითვალისწინებდა ასეთ მომენტსაც: შეიძლებოდა ახალციხელ თურქებს იმის იმედით, რომ ამ ქალაქს მტკიცე კედლები აქვსო, ქალაქში დამცველთა მცირე რაზმი დაეტოვებინათ და დანარჩენი ჯარით ფოთის დასახმარებლად წასულიყვნენ, ასეთ შემთხვევაში, ერეკლე და სოლომონ მეფეებს, ახალციხის ალყისათვის საჭირო ჯარი დაეტოვებინათ და ძირითადი ძალებით ფოთისაკენ წასულ თურქთა ჯარს უკან დადევნებოდნენ.

ერეკლე მეფემ თავისი ხელით მიაწერა გეგმას დამატებით შვიდი პუნქტი, რომელშიც ის გეგმის განხორციელებისათვის დიდ მონდომებას აღნიშნავდა¹.

ამგვარად, სუხოტინის მიერ შემუშავებული 5 ივლისის გეგმა ითვალისწინებდა სამხედრო კამპანიაში კაცია დადიანის მონაწილეობას. მაგრამ ამის გაკეთება ოდიშის მთავრის სოლომონ მეფესთან შერიგების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. გენ. სუხოტინმა დადიანს სოლომონთან შერიგება მოსთხოვა და მასთან პოლპოლკოვნიკი იური ბიბიკოვი გაგზავნა. იმავე თვის 27 ივლისს კაცია სუხოტინს სთხოვდა, რომ ის ხუნწში მისულიყო და უშუალოდ მიეღო მონაწილეობა მათ შერიგებაში. ისევე, როგორც სხვადასხვა მიზეზებით, ვერ განხორციელდა სუხოტინის ფოთის დაპყრობის გეგმა, ასევე ამ დროისათვის ვერ მოხერხდა დადიანისა და სოლომონის შერიგება². ასევე ღიად დარჩა გურიელის მეფესთან შერიგების საკითხი³.

¹ მაჭარაძე ვ., მასალები XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, ნაწილი III, ნაკვ. II, გვ. 654-659. ხელთუბნის გეგმის შესახებ ვრცლად იხ. იქვე, გვ. 62-68.

² იქვე, გვ. 672.

³ იქვე, გვ. 680-681.

ქართლ-კახეთის მეფე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არა მხოლოდ საქართველოსა და კავკასიაში, მას ანგარიშს უწევდა ოსმალეთის სულთანი, მაგრამ ერეკლესა და სოლომონს შორის განხეთქილების ვაშლად გადაიქცა კაცია დადიანისა და მისი სამთავროს საკითხი.

სოლომონ მეფეს შიში ჰქონდა, თუ ერეკლეს არ შეურიგდებოდა, დადიანი თურქების მხარდაჭერით იმერეთზე თავდასხმა ყოველთვის მოახერხებდა. ამიტომ ის თავს იკავებდა ოსმალეთის წინააღმდეგ სამხედრო აქციების დაწყებაზე. კაპიტანი ლვოვი ამასთან ერთად აღნიშნავდა, რომ რამდენიმე დღის წინ დადიანის ძმა ნიკოლოზი, საკმაოდ დიდი რაზმით მიუახლოვდა იმერეთის საზღვარს, მაგრამ სოლომონმა ისინი გარეკა და დადიანის რამდენიმე სოფელი აიკლო, სამაგიეროდ დადიანი შეიჭრა რაჭაში და მანაც სოლომონის კუთვნილი რამდენიმე სოფელი დაარბია¹.

საქართველოდან რუსეთის ჯარის წასვლა და ერეკლეს და სოლომონს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება, რომლის მე-6 მუხლში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ მეფეები ერთმანეთს დაეხმარებოდნენ სამეფოების შიგნით „შფოთის“ ჩამომგდებთა წინააღმდეგ, გარკვეული გაგებით, მიანიშნებდა ერეკლე მეფის სამეგრელოს სამთავროსადმი პოზიციის შეცვლაზე. ბუნებრივია, შეცვლილი ვითარებით შემფოთდა კაცია დადიანი და მან დახმარების თხოვნით მიმართა დედოფალ დარეჯანს, რომელიც აქტიურად მონაწილეობდა მაშინდელი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში.

კაცია დადიანის წერილი (1773 წლის თებერვალი) დარეჯან დედოფლისადმი არის მფარველის მაძიებელი იმედგაცრუებული მართველის აღსარება. ის დედოფალს უყვება თავის თავდადებულ სამსახურზე იმპერატრიცას გენერლების

¹ მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 866.

– ტოტლებენისა და სუხოტინისადმის: „*ექვს თვეს ასრე ვიახელი (ტოტლებენს – ე.ძ.), სახლიც არ მინახავს და არც გაყვივარ თვით, ძმით, სახლიკაცით და ყმით*“¹. ტოტლებენმა, როგორც მისთვის დამახასიათებელი იყო, კაციას თავდადება და ხარჯი არ დაუფასა. მისი შეპყრობა მოინდომა და კაცია მხოლოდ თავისი ძმის გიორგის მძევლათ მიცემით დაიხსნა თავი. ტოტლებენმა კაციას მისწერა: „*შენი ძმა გიორგი ელმწიფევსთან უნდა წავიყვანო. გიორგის ეს სიტყვა ეყურებიან, დაჭერილის შეეშინა და გამოექცა*“. კაცია მთელი შეძლებით ემსახურა გენერალ სუხოტინსაც, მაგრამ ბოლოს იმანაც მძევალი სთხოვა. დადიანმა სუხოტინს თავადი ჩიჩუა მისცა, რომელიც სუხოტინმა რუსეთში წაიყვანა².

კაცია დადიანის დედოფლისადმი მინაწერიდან ისე ჩანს, რომ მან მიუხედავად მრავალგზის მცდელობისა, ვერ შეძლო რუსი გენერლების გულის მოგება, რათა მათ დაეცვათ მთავარი სოლომონ მეფის პრეტენზიებისაგან და ეხლა დარეგჯან დედოფალს სთხოვს შუამავლობას: „*მაგრამ ამ მეფეს (სოლომონი – ე.ძ.) და ჩვენ თუ ვერ მოგვარებებთ, რარიგათ*

¹ *ექვე, გვ. 880-881.*

² *მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 881.* 1771 წლის ივლისში, როდესაც სუხოტინმა შეიმუშავა ფოთის ციხის აღების გეგმა, წერილი გაუგზავნა ერეკლე II-ს, რომელშიც აცნობებდა, რომ 5 ივლისისათვის დანიშნული ლაშქრობა გადაიდო 20 ივლისისათვის, იმავე დროს ერეკლეს სთხოვდა კამპანიის გეგმაზე მოეწერა ხელი და გენერლისათვის გაეგზავნა მძევალი ახლობელ ნათესავათაგან. *ექვე, გვ. 664.* საპასუხო წერილში ერეკლე მეფე საყვედურობდა გენერალს, რომ ის თუ გაითვალისწინებდა მეფის ერთგულ სამსახურს საერთო მტერთან ბრძოლაში, „*აღარ იყო საჭირო (მძველის – ე.ძ.) თხოვნა ამისი ჩვენთვის*“. *ექვე, გვ. 679.* XVI-XVII საუკუნეებში რუსეთის სამეფო კარის მიერ საქართველოდან სხვადასხვა ფორმით მძევლების წაყვანის მცდელობის შესახებ იხ. *მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, გვ. 418-433.*

მოხდება ჩვენი სამსახური და ან ჯარში ასე დამტერებული თუ გავრევით, თორემ თუ გავრივდით, სამსახური, ღ[ვ]თის მოწყალებით, რაც სხვას შეუძლია, ჩვენც შევიძლებთ“¹.

სოლომონს არ ჰქონდა კარგი ურთიერთობა თავის ძმა კათალიკოს იოსებთანაც. ამ უკანასკნელმა მეფე-ძმისაგან დაცვა სთხოვა კაპიტან ი. ლვოვს, რომელიც შუამავალი იყო მეფისა და კათალიკოსის მოსარიგებლად. კათალიკოსი იოსები ბრალს სდებს ი. ლვოვს, რომ მას დაუჯერა: „მე და მეფე რომ ვიმდუროდით და თქვენის სიტყვით და შუამდგომლობით რომ გავრივდით, მაშინ ჩემი ყოველი საქმე გამოვიცხადე და რომელიმე თვალთ ნახეთ. რადგან მაშინ ინებეთ და შუამდგომელ იქმენით და გაგვარივეთ, მე თქვენს სიტყვას ვერწმუნე, თვარა ამათი ამბავი დია კარგად ვიცოდი, და რაც მითხარ, დაგემორჩილე, მერმეთ წიგნი ვახელ მეფეს და გაძლებას ვევედრე, რომ ან გამაძლებინეთ, ან ერთი ვზა მომეცი-მეთქი. ამაზედ რაც მამული მქონდა, სრულიად წამართო და რომელიც საკათალიკოსო შესამოსელი და სამლოთო იარაღი იყო, სულ ყველა მითხოვა. მე, ჩემის სათხოველის მაგივრად, ეს მიყო“. რაადგან ხელმწიფემ შენ დაგნიშნა მთელი საქართველოს მაყურებლად, მიმართავს იოსებ კათალიკოსი ი. ლვოვს, გაიგე რას მემართლება მეფე ასე უმოწყალოდ რომ მომეპყრო. მეფე კათალიკოსს უარს ეუბნებოდა ისეთი სიგელის მიცემაზე, რომლითაც მას მიეცემოდა იმერეთის სამეფოდან წასვლის უფლება. კათალიკოსი პირდაპირ სდებდა ბრალს ი. ლვოვს: „რადგან თქვენ გაგვარივეთ, ვალი გაქვს, რომ ჭეშმარიტებით შეიტყო ჩემი დანაშაული და, თუ არაფერი დანაშაული მაქვს, შენგან ვიყავი გარიგებული და შენგან-

¹ მაჭარაძე ვ., მასალები..., ნაწ. III, ნაკვ. II, გვ. 882

ვე ვითხოვ, რომ ამის მაგიერი პასუხი სწორებით მიბძანოთ“¹.

კაცია დადიანის ზემოთ ციტირებული დარეჯან დედოფლისათვის გაგზავნილი წერილიდან ისეთი დასკვნის გამოტანა შეიძლება, რომ მთავარი მზად იყო გარკვეულ კომპრომისზე წასულიყო მეფესთან დარეჯანის შუამავლობით გამართულ მოლაპარაკების დროს². როგორც გამოჩნდა, დედოფალი სრულიად სხვაგვარად ფიქრობდა: მისთვის მიუღებელი იყო იმერეთის მეფის იმდენად გაძლიერება, რომ სამეგრელოს მთავარი მისი მორჩილი გამხდარიყო. წერილის მიხედვით, ერთი შეხედვით, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს კაცია დადიანი მზად იყო შერიგებოდა სოლომონ მეფეს და დაექმაცოფილებინა მისი მოთხოვნები, რის მომხრე, ალბათ, მეფე ერეკლეც იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, სხვაგვარად ფიქრობდა დარეჯან დედოფალი. მისი პრინციპული პოზიცია იყო კაცია დადიანისათვის იმერეთის მეფისგან სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნება და რუსეთის ხელმწიფის მფარველობაში შეყვანა.

დარეჯან დედოფლის დამოკიდებულება კაციას და მეფის შერიგებისადმი კიდევ უფრო მკვეთრად გამოჩნდება სხვა ნარკვევში.

¹ იქვე, გვ. 885.

² 1773 წლის 29 სექტემბერს გაგზავნილ ამ წერილზე კათალიკოსს იოსებს, როგორც მისი სხვა წერილიდან ჩანს კაპიტან ი. ლვოვისაგან პასუხი მიღებული არ ჰქონდა 1774 წლის 15 თებერვალს. იქვე, გვ. 914. 1771 წლის ივნისში სოლომონ მეფეს, სუხოტინის წინადადებით დადიანთან მოსალაპარაკებლად თავისი ძმა, კათალიკოსი იოსები, გაუგზავნია, მაგრამ დადიანმა მკვლელები მიუგზავნა, იოსები გადარჩა, დაჭრეს მისი ერთ-ერთი მცველი. იქვე, გვ. 643. იოსები მანამდეც ასრულებდა სოლომონის დიპლომატიურ დავალებებს. იხ. რეზვიაშვილი მ., იმერეთის სამეფო, 1462-1810, გვ. 212.

მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთის და იმერეთის მეფეები აქტიურ ანტიოსმალურ საგარეო პოლიტიკას ატარებდნენ, დადიანი და გურიელი ძველებურად კეთილ ურთიერთობაში იყვნენ თურქებთან და მათ მოკავშირე აფხაზებთან¹.

Eldar Mamistvalishvili

Gori State Teaching University

**DIPLOMACY OF CATHERINE II AGAINST THE
UNIFICATION OF IMERETI KINGDOM DURING THE
RUSSO – TURKISH WAR (1768-1774)
RESUME**

The government of Catherine II was too eager to involve Kingdoms of Georgia into the war as its allies, but without allowing them to be unified, and each of them had to get in touch with Russian government separately. The fact that Russia had far-reaching plans about Georgia and made a solid ground to carry them out was clearly seen when Samegrelo Kingdom opposed Imereti one, when Russia definitely tried to retain the Kingdom`s independence and had connections with it as with an independent Kingdom.

The supporter of the Russian policy, willy-nilly, was Darejan, the Queen of Kartli-Kakheti, a sister of Samegrelo Governor, Katsia Dadiani. She urgently tried to retain the Kingdom`s independence. All the above-mentioned is clearly mentioned in the Russian documents.

¹ პ. გ. ბუტკოვი წერდა: 1770 და შემდგომ წლებშიც კაცია დადიანი აცხადებდა რუსეთის იმპერატორისადმი თავდადებულ ერთგულებას, ისევე როგორც ორივე ქართველი მეფისადმი, მაგრამ რამდენჯერმე იქნა მხილებული თურქებთან საიდუმლო მოლაპარაკებაში, მაშინ, როცა მისი მეუღლე იყო რაჭის ერისთავის მოგვარე, და კი, სოლომონ მეფის მეუღლე. *Бутков П. Г., Материалы..., I, с. 284.*

მარიამ მარჯანიშვილი
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

**ლულუ კერესელიძე - პოლიტიკურ ემიგრანტთა
ახალი თაობა**

თავდაპირველად ტერმინ დიასპორას იყენებდნენ პალესტინის გარეთ მცხოვრებ ებრაელთა მიმართ, რომლებიც სამშობლოდან განდევნეს ძვ. წ. VI საუკუნეში ჯერ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორ II, მერე კი რომაელებმა ახ. წ. I-II საუკუნეებში. შემდგომში ეს ტერმინი გავრცელდა სომხების, ირლანდიელების, ჩინელებისა და საკუთარი ქვეყნიდან დევნილ სხვა ეთნოსებთან მიმართაც.

დიასპორას ანუ ხალხის მნიშვნელოვანი ნაწილის სამშობლოს გარეთ ცხოვრებასა და გაფანტვას იწვევდა იძულებითი გადასახლება, გენოციდის საფრთხე, პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოგრაფიული ფაქტორების ზემოქმედება, რასაც ქართველი ხალხი თავისი არსებობის დღიდან განიცდიდა.

ქართველი ერის იძულებით მოწყვეტა მშობლიური წიაღიდან განპირობებული იყო საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობით და იმით, რომ ჩვენი ქვეყანა ევროპასა და აზიას შორის გზად და ხილად გადებულ გზაჯვარედინს წარმოადგენდა, რომლის გამოთაც იგი მოქცეული იყო მსოფლიოს დამპყრობთა არეალში.

საუკუნეთა მანძილზე მუსლიმანურ ზღუდით გარშემოვლებული საქართველო მაჰმადიანური ქვეყნების მძლავრობით ყოფნა-არყოფნის პირას იყო მისული. მუსლიმანური გარემო-

ცვის გარდა, XVIII საუკუნის მიწურულს იგი რუსეთის იმპერიის სამიზნეც გახდა, საიდანაც იწყება ჩვენში ისტორიული ბედუკუდმართობის ხანა. რუსეთის მიერ საქართველოს პირველ და მეორე ოკუპაციებს თან მოჰყვა ჩვენი ქვეყნის ანექსია. ამიტომაც ემიგრაციის მძლავრმა ტალღებმა მრავალი ქართველი მოსწყვიტა სამშობლოს და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მიმოფანტა.

1921 წლის 25 თებერვლის ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას თან მოჰყვა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის, დამფუძნებელი კრების პოლიტიკური ხელმძღვანელებისა და წევრების, ქართული არმიისა და გვარდიის გენერლების, ოფიცრების, კოჯორ-ტაბახმელასთან მეზობლების და ქართული ინტელიგენციის ოჯახის წევრთა მიერ სამშობლოს დატოვება. ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას მაშინ ღრმად სწამდა, რომ ქართველი ერის მიერ წარმოებული ბრძოლა ადრე თუ გვიან გამარჯვებით დაგვირგვინდებოდა და დაკარგული დამოუკიდებლობა საერთაშორისო სამართლის ძალით კვლავ აღდგებოდა.

1921 წლის ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ძირითად ცენტრს ევროპა წარმოადგენდა, სადაც თითქმის ორი ათეული წელი ინტენსიურად მიმდინარეობდა ადგილობრივ პირობებთან ადაპტაცია. იქმნებოდა კონსოლიდაციის, ურთიერთდახმარებისა და ეროვნული სახის შენარჩუნების მიზნით ქართული კოლონიები, სათვისტომოები თუ ასოციაციები, რომლებიც ყველაფერს აკეთებდნენ საქართველოს საკითხის მსოფლიო პოლიტიკის არეალში მოსაქცევად და საერთაშორისო ასპარეზზე წარმოსაჩენად.

ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში იმთავითვე დიდ როლს თამაშობდნენ ძმები ლეო და გიორგი კერესელიძეები.

ეს უკანასკნელი, როცა ემიგრაციის დიდ გზას დაადგა, უკვე თამარ ციციშვილზე დაოჯახებული გახლდათ. ბაბუის სეხნია, მათი უფროსი შვილი, მათე კერესელიძე საქართველოში დაიბადა. ხოლო მეორე შვილი გიორგი კერესელიძეს ჟენევაში სტუდენტობისას შეეძინა: „მეყოლა მეორე ვაჟი ლეო. მალე კიდევ უნდა დაბრუნებულიყო საქართველოში თამარი მათეთი. პატარა ლეო კი ჩემთან დარჩა. მივაბარეთ ერთ შვეიცარიელ ქალს დროებით მოსავლელათ“.¹

პატარა ლეო კერესელიძეს ახლობლები ლულუს ეძახდნენ. მან ბავშვობიდანვე მშობლიურ ენასავით შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. ბიჭი სამხედრო მოღვაწეობაზე ოცნებობდა.

შვეიცარიაში დაბადებული ლულუ კერესელიძე, შემდეგ ოჯახთან ერთად გერმანიაში გადასახლდა, სადაც მამამისი გიორგი კერესელიძე წლების განმავლობაში ქართველ ემიგრანტთა გაერთიანებას ხელმძღვანელობდა. ამავე დროს, იგი 1916-1918 წლებში, ბერლინში გამომავალ „ქართული გაზეთის“ რედაქტორი გახლდათ 1917 წლიდან. ეროვნულ-სეპარატისტული მიმართულების გაზეთი გერმანიაში მყოფ ქართველ ტყვეთათვის გამოიცემოდა.

გაზეთში აქტიურად თანამშრომლობდნენ მათე და ლულუ კერესელიძეები. ლეო კერესელიძის მიერ დაწერილი ცნობილი ქართული ლეგენდა „ბაზალეთის ტბა“, სავარაუდოდ, ფრანგული ენიდან მათე-ლულუს ნათარგმნია.

„ლულუ განაგრძობს მძიმე შრომას. საწყალს, ბედი არ შესწევდა, როდესაც გიმნაზია დაასრულა და უმაღლეს სასწავლებელში შევიდა, ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელთანაც ანუ რომელსაც ბევრი დიდი საქმე მოუწყე მთხოვა: მომეცი

¹ მამულია გ., „გიორგი კერესელიძე“, ჟურ. „ქართული ემიგრაცია“, 1/2013, გვ. 148.

ლულუ - გაგვზავნი სამხრეთ ამერიკაში, რომ ჩემ პლანტაციებს მოუაროს, ყავის საქმე შეისწავლოს და მთელ ამ დიდ საქმეს მას მივცემო.

დავთანხმდი. თამარი სამხრეთ საფრანგეთში წავიყვანე საწამლებლად. ჩემს მეგობარს ტელეფონით ეთხოვა ლულუსათვის: მოდი ჩემთან, მოემზადე სამგზავროთ. ამ ცოტა ხანში გაგისტუმრებო. დანიშნულ წინა ღამეს, ის ჩემი მეგობარი უეცრივ გარდაიცვალა და ლულუს გზა აირია. შემდეგ კიდევ შეემთხვა მსგავსი უბედობა. დიდი მშრომელი, ოჯახის დიდი ერთგული და უაღრესად პატიოსანია. მაგრამ რა ქმნას? ხელთ „სპეციალობა“ არა აქვს. სამხედრო კარიერა ამ ომმა შეუწყვიტა.“¹

ლულუ კერესელიძე ასევე აქტიურად იყო ჩაბმული ემიგრანტთა პოლიტიკურ საქმიანობაში. 1926 წელს პარიზში დაფუძნებული „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ტყუპისცალი გახლდათ იდეოლოგიურად „თეთრი გიორგის“ ბერლინური ორგანიზაციაც, რომლის ამავე დასახელების გაზეთი 1930 წლიდან გამოდიოდა: „შეკადგინეთ ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი. ავაწყეთ. ისტამბუბა. გულდასმით გადავიკითხეთ. გულწრფელად ვაღიარებთ მკითხველის წინაშე: ვხედავთ ამ ნომრის სისუსტეს. ბევრი ჩვენგანი პირველად სწერს ბეჭდვისათვის. გამოუცდელიობა ბევრი ნაკლის მიზეზია... მკითხველი გვაპატიებს. ვთხოვთ ყველას შეცდომებზე მიგვითითოს. მადლობელი ვიქნებით. გვსურს გაზეთის მუდამ გაუმჯობესება. დრო და ძალას არ დავაკლებთ. გვსურს გულახდილად ველაპარაკოთ ქართველობას: აუხსნათ ჩვენი სურვილები, ჩვენი მისწრაფებანი, ჩვენი ტკივილები. ადგილს დაუთმობთ ყველა პატრიოტს, რა მიმართულებასაც უნდა ეკუთვნოდეს. „თეთრი გიორგის“ უყვარს ყოველი ქართველი.

¹ კერესელიძე გ., ქ. ვეზინე, 13 თბათვე 1957.

უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ბ-ნ გიორგი კერესელიძეს იმ გულწრფელ დახმარებისათვის, რომელიც მან ამ გაზეთის გამოცემის დროს გაგვიწია. რედაქციის მისამართია: Thethri Giorgi Verantwortlicher Redakteur L. Keresselidze. Berlin- Schoneberg Werstz.62”¹

„თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის ბერლინურ გამოცემაში ახალგაზრდა ქართველ ემიგრანტებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ ძმები მათე და ლულუ კერესელიძეები.

გაზეთ „თეთრი გიორგის“ ბერლინურ გამოცემაში ლულუ კერესელიძე ღიად გამოხატავდა თავის პოზიციას: „ბერლინის „თეთრ გიორგელთა“ ჯგუფმა საკუთარი ორგანოს გამოცემა გადასწყვიტა. დასაწყისში ეს ფურცელი მხოლოდ ორ თვეში ერთხელ გამოვა.

ჩვენი მიზანია: 1- მივცეთ საშუალება ახალგაზრდა „თეთრ გიორგელებს“ და ყველა სხვა პატრიოტ ქართველს თავისუფლად გამოსთქვან აზრი ამ საკითხის შესახებ, რომელნიც წამოაყენა და მომავალში წამოაყენებს ჩვენი დედა-ორგანო, პარიზის „თეთრი გიორგი“. უნდა დავეხმაროთ „დედა-ორგანოს“ ჩვენი იდეების გავრცელებაში. დევიზი: „საქართველო უწინარეს ყოვლისა“ ჩვენს მისწრაფებებს სრულად გამოსთქვამს.

ჩვენ გვსურს ამ სიტყვების შინაარსის ძალა ყოველი ქართველის გულში ღრმად ჩაენერგოთ. ქართველმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველო ყველა კერძო და ჯგუფურ ინტერესებზე მაღლა სდგას, რომ ყოველი ქართველი მოვალეა მთელი თავისი ძალები საქართველოს ბედნიერებას შესწიროს.

ბედნიერება კი შესაძლოა მხოლოდ მტრის ბრჭყალებიდან განთავისუფლებით. არ უნდა დავივიწყოთ, თუ რა პირო-

¹ ჟურ. „თეთრი გიორგი“, 1, თებერვალი, 1930, გვ. 1, ბერლინი.

ბებში უხდება ქართველ ხალხს ცხოვრება: ჩვენს ქვეყანაში გაბატონებული ბარბაროსი არ ინდობს არც ბრალიანს, არც უბრალოს; არც მოხუცს, არც ნორჩს; არც ვაჟკაცს; არც მანდილოსანს. დღეს ქართველს გამოსავალი არა აქვს. ან სცხოვრობს საქართველოში და არის რუსის ყოველი უფლების ახალი მონა ან თუ მონობას გაექცა, უნდა დაშორდეს სამშობლოს, მშობლიურ კერას, მშობელი ერის ძარღვის ცემას“.¹

პატრიოტული პათოსით გამორჩეული მოწოდების ავტორი ლულუ კერესელიძე ხაზგასმით კიდევ ერთხელ შეახსენებს ახალგაზრდა თანამემამულეებს: „საქართველოს მტერია რუსეთი. დღეს ბოლშევიკი, მართალია უფრო მეტის ბარბაროსობით, მაგრამ მაინც მხოლოდ გამგრძელებელია რუსეთის ჩვეულებრივ პოლიტიკისა. ბოლშევიკების აბრამოვიჩებით, ან მილიუკოვ -კერენსკებით, ან კირილეებით შეცვლა საქართველოს რუსის ბრჭყალებიდან ვერ გაანთავისუფლებს.

სრული დამოუკიდებლობა რუსეთის სახელმწიფოდან - აი უმთავრესი მიზანი და აზრი ჩვენი ბრძოლისა; აი - აუცილებელი პირობა ჩვენი ბედნიერი მომავლისათვის.

ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია მთელი ქართველი ერის ერთ მებრძოლ არსად გაერთიანება“.²

ამ მიმართვას ლეო კერესელიძე უმცროსი ასე აბოლოვებს: „კლასთა ბრძოლა, პარტიათა შორის ქიშპობა ასუსტებს ქართველ ერს, აკეთებს მტრის საქმეს. წმინდა გიორგიმ მძლავრი რწმენით, შეიარაღებული შუბით ჰკმირავს ვეშაპს. ქართველი ერი, მძლავრი თავისუფლების სურვილით, შეიარაღებული გაერთიანებით გაჰკმირავს მონობას.“³

¹ ჟურ. „თეთრი გიორგი“ N1, თებერვალი, 1930, გვ. 1, ბერლინი.

² ჟურ. „თეთრი გიორგი“ N1, თებერვალი, 1930, გვ. 1, ბერლინი.

³ ჟურ. „თეთრი გიორგი“ N1, თებერვალი, 1930, გვ. 1, ბერლინი.

საერთოდ, „თეთრი გიორგი“ არ იყო არც მემარჯვენე, არც მემარცხენე, არამედ იგი აერთიანებდა განურჩევლად კლასებისა და წოდებისა ეროვნულ ძალებს, რომელიც დამყარებული იყო უდიდეს დისციპლინაზე. მოძრაობა „თეთრი გიორგის“ აზროვნება ქართულ სინამდვილეში იყო ახალი სიტყვა.

აშკარაა, უფროსი კერესელიძეების ჩრდილ ქვეშ მდგარი ლულუ კერესელიძე, მისი თანატოლების მსგავსად პოლიტიკური იდეალებით აღზრდილი ის თაობა გახლდათ, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფლების მოპოვებისათვის უკვე იდეურ-პოლიტიკურად მომწიფებულიყვნენ.

1932 წელს გიორგი კერესელიძემ ოჯახთან ერთად დატოვა გერმანია და სამუდამო საცხოვრებლად საფრანგეთს მიაშურა, სადაც ქალაქ ვეზინეში ერთი დიდი ვილა დაიქირავა.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მრავალ ქართველთან ერთად ლულუ კერესელიძეც ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში გაერთიანდა. ხოლო მისი უფროსი ძმა კი მათე კერესელიძე ი დივერსანტ-პარაშუტისტა ჯგუფში, რომელიც საქართველოში გადმოსხმისას ტყვედ ჩავარდა. მან საბჭოურ გულაგებში 15 წელი გაატარა.

ლულუ კერესელიძე მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე გერმანელთა მხარეზე იბრძოდა საქართველოს განთავისუფლების იმედით: „1944 წლის ახალ წელს ბერლინში ლანჩზე დამპატიჟა ციციშვილების ოჯახმა. ისინი გამაცნო ლულუ კერესელიძემ, რომელიც ქართულ სამეკავშირო მტაბში მუშაობდა. მათთან ყოფნით დიდათ ვისიამოვნე“.¹

¹ გაბლიანი გ., „ჩემი მოგონებანი“, გვ. 102, ტ. II, ქუთაისი, 2000.

მეორე მსოფლიო ომში ქართველების იმედების კრახით დამთავრებამ ლულუ კერესელიძეც იძულებული გახდა საფრანგეთში დაბრუნებულყო. იგი ქალაქ ვეზინეში მამისეულ სახლში დედ-მამისა და უფროსი ძმის ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობდა.

„მკითხავ თუ როგორია ჩემი რუსების საელჩოსთან განწყობილება: აღარავითარი კავშირი ჩვენს შორის არ არსებობს. მათე, ლულუ, მათა და მე, - ჩვენ ვართ უფლებრივად „აპატრიდები“. მათე გერმანიის კანონმდებლობის მფარველობის ქვეშ იმყოფება; ჩვენ სამნი კი საფრანგეთის კანონების მფარველობით ვსარგებლობთ“.¹

მალე ლულუ კერესელიძემ ჯვარი დაიწერა დიმიტრი ამილახვარის დახე დოდოზე. დიმიტრი ამილახვარს მეტსახელად ბაზორკას ეძახდნენ, რადგან დაბადებული იყო სოფელ ბაზორკინოში 1906 წელს. იგი გახლდათ საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონის პოლკოვნიკი, რომელიც 1942 წელს მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა.

მას დარჩა მეუღლე ირინე დადიანი და ქალ-ვაჟი: ოთარი და თამარი. ბაზორკა ამილახვარი მეორე მსოფლიო ომში შარლ დე გოლის გვერდით იბრძოდა ფაშისტებისაგან საფრანგეთის განთავისუფლებისათვის. „25 დეკემბერს მთელმა ლეგიონმა დიმიტრი ამილახვარის პატივსაცემად მგლოვიარობის ნიშნად შავი საყელოები ჩამოიკიდა. პოლკოვნიკ ამილახვარის მეუღლე ბავშვებიანად დაპატიჟებული იყო საშობაოდ ლეგიონერებთან ორლიანში. ვილიამის ავტო იყო დიდი, წინ მძლოლი იჯდა, გვერდით ბება, ოთარი, უკან თამარი, ბებას უფროსი და ელისო, რომელიც ინგლისელზე იყო გათხოვილი და ალექსანდრიაში ცხოვრობდა. მანქანა ძლიერ სწრაფად

¹ კერესელიძე გ., ქ. ვეზინე, 17 იანვარი, 1960.

მიდიოდა, წინა საბურავი გასკდა, მიმარულება დაკარგა და ხეს დაეჯახა. ამ დარტყმამ მოგლიჯა მგზავრების საფლომი... ელისომ იმ წუთას გაათავა სიცოცხლე, ბებამ ორი დღე იცოცხლა ჰოსპიტალში და ისიც გარდაიცვალა, მხოლოდ ბავშვები გადარჩნენ. ორივე დაასაფლავეს სამხედრო წესით. დე გოლი და სხვა გენერლებიც იყვნენ გასვენების დროს რუსების სობოროში“.¹

სწორედ, დოდოს თავზე დატეხილ ამ უბედურებაზე ლულუ კერესელიძის მამა გიორგი კერესელიძე თბილისში დასთან გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: „საწყალ დოდოს მოუკლეს ბრძოლის დროს ერთი ძმა (დიმიტრი-ბაზურკა) - დიდი გმირი ფრანგების ჯარში. მის სახელზე მთელი სამხედრო დაწესებულებები არსებობს. მალე სხვა ფრონტზედ მეორე მისი ძმა დაავადდა და მოკვდა. შემდეგ მისი ძმის ცოლი (დიმიტრისა) ავტომობილის უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. დარჩა ორი ბავშვი ობოლი. ორივე საფრანგეთის სახელმწიფომ აღზარდა. საერთოდ, დოდო დიდი ნერვიანი იყო - რა დატრიალდა მის სულში! ვინ იტყვის. მისი ძმისწულები ჩვენთან იყვნენ. ბაღში ბავშვებთან ლულუ, დოდო და ნინო თამაშობდნენ. დოდო მხიარულად იყო. დილით მე ბაღში ყვავილებს ვკრეფდი. დოდო გამოვიდა სახლიდან, ჩქარის ნაბიჯით გავიდა ქუჩაზედ და ახლო რომ გამიარა, რაღაცა მითხრა, ვერ გავიგონე სწორედ. ვიფიქრე: ალბად მითხრა, პატარა გიორგი სალონშია მარტო, მიხედეთ, მალე მოვალო. გამოვიყვანე ბავშვი ბაღში და ვათამაშებდი. დრო გადიოდა, დოდო არსადა სჩანდა. ტელეფონით შევეკითხე ყველა ნაცნობებს: „დოდო თქვენთან ხომ არ არის მეთქი. არსად იყო. პოლიციაში გავიგე: ერთმა ქალმა წყალში თავი

¹ ჟურ. „ქართული ემიგრაცია“, N3(6), 2015, გვ. 204-205, თბილისი.

დაინხრო, აი მისი ფეხსაცმელებიო. ეს ფეხსაცმელები ვიცანი, მე თვითონ ვუყიდე ორიოდე დღის უწინ, როცა ლულუ დაბრუნდა და ვუთხარი დოდოს ამბავი - წაიქცა და თავს იატაკს ახლიდა. შეეუტიე - ვუთხარი: ლულუ, ან უნდა ეხლავე თავი მოიკლა ან და იფიქრო, რომ პატარა გიორგის და ნინოს პატრონობა უნდათ! გაჩუმდა, წამოდგა ფეხზედ და ამის აქეთ დოდოს შესახებ ხმა აღარ ამოუღია. ხოლო შვილს კი დედის კულტს უნერგავს.

გიორგი მალალი ტანის ბიჭი იზრდება. ჭკვიანი, ნიჭიერი და ჭკუა მახვილია, მოსწრებული პასუხით.¹

იმ დღიდან მოყოლებული პატარა გიორგის ლულუ დედობასაც უწევდა და მამობასაც. ოჯახის გადასარჩენად იგი ტაქსზე დღედაღამ მუშაობდა: „თერთმეტ საათს გარეთ ვრჩები და ამიტომ ვერ ვახერხებ ხშირად მოგწერო,“- წერდა ლულუ მამიდას 1960 წლის 3 მარტს.

„გიორგიმ თავის მამას სიმაღლით გაასწრო, მე დამეწია და ალბათ მალე გამასწრებს. რასაკვირველია - დედობას, ბავშვს ვერავინ გაუწევს, მაგრამ რამდენადაც ეს შესაძლებელია, გიორგის უდელობა არ უგრძვნია, ხოლო, ამ უდელობამ, სამწუხაროდ, მაინც თავი იჩინა. მე არავის ვაძლევდი უფლებას არა თუ დაეტუქსად ფიზიკურად, არამედ სიტყვითაც. და ხშირად, როცა მტყუანი იყო, მის მხარეზე ვიყავი. ლულუ ხომ ისე უვლიდა, რომ ყველა დედა ვერ მოუვლის.

გიორგი მშვენიერი, ლამაზი და ნამდვილი ქართული აგებულების ბავშვი დადგა. ახლა გადადის მესამე კლასში. აქ კლასთა გრადაცია მეცამეტე კლასით იწყება და პირველით მთავრდება. 13 წელი შეუსრულდა წელს. ქართველთა შო-

¹ კერესელიძე გ., ვეზინე, 16 მაისი, 1958.

რის, გიორგის ყველაზე უკეთ აღზრდილად და ყველაზე ლამაზ ახალგაზრდათ სთვლიან“.¹ (კეზინე 13 თიბათვე, 1957).

საბჭოთა რუსეთში ტყვედ ჩავარდნილი მათე კერესელიძის საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ თავდადებულ მამულიშვილს გიორგი კერესელიძეს დიდხანს არ უცოცხლია. მისი ოცნება იყო რომ ერთადერთი და ელენე გლურჯიძისა საფრანგეთში მოეწვია და მისი ოჯახი გაეცნო, სამწუხაროდ ეს დიდი ნატურა აუზღენელი დარჩა: „ჩემო უძვირფასესო და საყვარელო მამიდა ელენე. საშინელი ამბავი უნდა მოგწერო. ჩვენი საყვარელი მამა, შენი ლამაზი გოგია აღარ არის.

მამას ფილტვების კიბო ჰქონდა. ერთ დროს, როცა ცოტა მოკეთდა, იმედი მოგვეცა, რომ ექიმები შეცდნენ... ერთადერთი ნუგეში ის არის, რომ ტკივილები სულ არ ჰქონდა მამას და წყნარად ძილში გაუშვა სული. ბოლომდის მის გვერდით ვიყავი. საღამოს ათ საათზე დაიძინა და აღარ გაიღვიძა. სამის სახეგარზე გუული გაუჩერდა.

ასე რომ, მათე კერესელიძის შვილებიდან შენ დარჩი მხოლოდ. შენ და მამას არ გელირსად ერთმანეთი გენახათ. მამის დიდი სურვილი იყო საქართველოს მიწაში დამარხულიყო. მამა გარდაიცვალა 11 მაისს და დაიმარხა 13 მაისს დედასთან ერთად იგივე საფლავში“.²

ლულუ კერესელიძე ბევრს სცდილობდა, რათა მამიდა ელენე საფრანგეთში ჩამოეყვანა, რაც მისი მამის დიდი ოცნება გახლდათ: „ვერ წარმოიდგენ, როგორ მინდა შენი გაცნობა. შენ უკვე მიცნობ, მაგრამ პაწაწკუნა ბავშვი გახსოვარ. ეხლა კი დაბერებულ ვირს ნახავ. აქ ყველა გელოდებით.

¹ კეზინე 13 თიბათვე, 1957.

² კერესელიძე ლ., 5 მაისი 1960.

ბევრ, ბევრს გაკოცებ, შენი გულითადი სიყვარულით სავსე ძმისწული ლულუ“.¹

კერესელიძეების ვეზინეს სახლი თანდათან დაცარიელდა. ლულუ ფრანგ ქალზე დაქორწინდა და ოთხოთახიან ბინაში გადავიდა. პატარა გიორგიც გაიზარდა, დავაჟაკდა და ქართველ ემიგრანტ თინა ბერეკაშვილზე ჯვარი დაიწერა. ახალგაზრდებმაც ბინა ცალკე დაიდეს.

ასე რომ, გიორგი კერესელიძის დიდი ოჯახი თანდათან დაიშალა, მაგრამ თან წაიღეს ერთმანეთის სიყვარული, ქართული სტუმართ-მასპინძლობის ტრადიცია და ის იმედი, რომ საქართველოს საბოლოოდ ღმერთი არ გასწირავდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ლულუ კერესელიძეს ფიქრი და მცდელობა არასოდეს შეუწყვეტია.

ემიგრაციაში დაბადებულ ახალ თაობასთან ერთად ლულუ კერესელიძემ კარგად იცოდა, რომ კაცობრიობის არსი მარად განახლებადი და პროგრესირებადია. ამიტომ სიკვდილამდე სწამდა, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და მისი დიდი მომავალი.

დამოწმებანი:

1. გაბლიანი გ., „ჩემი მოგონებანი“, ტ. II, 2000, ქუთაისი.
2. ჟურ. „თეთრი გიორგი“ N1, თებერვალი, 1930, ბერლინი.
3. კერესელიძე გ., პირადი არქივი.
4. მამულია გ., „გიორგი კერესელიძე“, ჟურ. „ქართული ემიგრაცია“, 1/2013, თბილისი.
5. ჟურ. „ქართული ემიგრაცია“ N3(6), 2015, თბილისი.

¹ ვეზინე, 26.01.1960.

Mariam Marjanishvili
Kutaisi State Historical Museum
**LULU KERESOLIDZE – A NEW GENERATION OF
POLITICAL EMIGRANTS
RESUME**

Mate Keresolidze's sons, who lived and worked in Gori, tried to spread abroad the ideas of liberating Georgia. Among them we should distinguish Leo and Giorgi Keresolidze, who made their names among political emigrants. Giorgi Keresolidze's sons, Mate and Lulu (Leo) fought beside them for restoration of the lost independence. Initially, in the shade of their father and uncle, they gradually gained great political power and readiness, and in 1930, established an organization in Berlin which was the analogue of the organization "White Giorgi" in Paris. Besides, they established the newspaper "White Giorgi", in which young Keresolidzes were actively involved.

When the Second World War started, Mate and Lulu joined anti-fascist organizations in order to revive Georgia's independence in case the Germans won.

In 1942, Mate Keresolidze was taken hostage in Georgia together with the group of diversant-parachutists, and spent 15 years in the Soviet camps.

As for Lulu Keresolidze, he served the Germans till the end of the war: "In 1944, I was invited to the New Year dinner by the Tsitsishvili family. I met them through Lulu Keresolidze, who worked in the liaison headquarters. I greatly enjoyed their company".

After the great fiasco and disappointment of Georgians in the Second World War, Lulu Keresolidze was forced to return to France, where he lived in his father's house in Vesine and

took care of his parents and his older brother's wife and children.

Soon, Lulu Kereselidze married Dimitri Amilakhvari's sister. Dimitri Amilakhvari had a nickname, Bazorka, because he was born in the village of Bazorkino in 1906. He was the colonel of the Foreign Legion of France, and was killed in 1942, in the Second World War.

Like many other Georgian emigrants, Lulu Kereselidze worked as a taxi driver. After his wife's tragic death, he raised his only son, Giorgi Kereselidze, alone.

Lulu Kereselidze never ceased thinking and attempting to revive Georgia's independence.

Together with the new generation born in emigration, Lulu Kereselidze was well aware that the essence of humanity is constantly renewable and progressive. That's why, till the end of his life, he believed in the revival of Georgia's independence and its great future.

ქართველთა სასაფლაოები იერუსალიმსა და მის შემოგარენში

იერუსალიმის მსაჯულის, მუსტაფას, მიერ ჰიჯრიდან 1005 (=1596-1597) წელს გაცემული არაბულენოვანი ჰუჯეთი ეხება სამეფო ბრძანებულებას, რომლის თანახმადაც, უნდა დაზუსტებულიყო სიონის მთაზე ლათინთა, ქართველთა და ბერძენთა სასაფლაოს საზღვრები.¹

მოგეხსენებათ, სიონის მთის მწვერვალზე მეფე-წინასწარმეტყველ დავითის საფლავია, მის კალთებზე კი — ქრისტიანთა და ებრაელთა პატრა-პატარა სასაფლაოები და არაერთი ეკლესია. ცნობა იმის შესახებ, რომ იმ სასაფლაოებიდან რომელიმე ქართველებს ეკუთვნოდა, თანამედროვე საცნობარო ან სამეცნიერო ლიტერატურაში ვერ ვიპოვე. ამიტომ ჰუჯეთში ხსენებული „სიონის სასაფლაოს“ მდებარეობის დასადგენად, მივმართე XVI-XVIII საუკუნეების ბერძნულ ხელნაწერებს, რომლებშიც აღწერილია იერუსალიმის ბიბლიური ადგილები და სალოცავები. ამ აღწერილობებში „სიონის სასაფლაო“ არ მოიხსენიება, მაგრამ დასახელებულია სასაფლაო სახელწოდებით Ἄγρὸς Κερραμέας (აგარაკი მეკეცისა), რომელიც სიონის მთაზე კი არა, მის ძირში, დავითის საფლავიდან „ქვის გასროლის მანძილზე“ მდებარე-

¹ ხუჯეთი იერუსალიმის მსაჯულისა, მუსტაფასი, გაცემული 1005 (=1596-1597) წელს, Ἀνάλεκτα Ἱεροσολυματικῆς Σταχυολογίας, τομ. Δ', 1897, 447-448, N 34.

ობდა. წმინდა საფლავიდან კი დაშორებული ყოფილა ერთი მილით.¹

აგარაკი მეკეცისა სახარებაშიც მოიხსენიება. მათე მახარებელი გვიამბობს, რომ იუდამ ინანა თავისი საქციელი და მაცხოვრის გაცემის საფასურად აღებული ოცდაათი ვერცხელი მღვდელმთავართა და უხუცესთა თვალწინ ტაძარში მიმოაბნია. მღვდელმთავრებმა ფული აიღეს, მაგრამ ვინაიდან ის სისხლის საფასურად იყო მოპოვებული, წმიდა საქმისთვის მისი გამოყენება მიზანშეწონილად არ ჩათვალეს. ამიტომ იმ ფულით შეისყიდეს მიწის ნაკვეთი, აგარაკი მეკეცისა, და გადაწყვიტეს, რომ იქ უცხოელები დაეკრძალათ.²

დასახელებულ ბერძნულ ხელნაწერებში აგარაკი მეკეცისა მოიხსენიება აგრეთვე როგორც „აგარაკი სისხლისა“ (Ἀγρὸς Αἵματος),³ ან „უცხოელთა სასაფლაო“ (ταφὴ τοῖς

¹ Koutloumousiu 156, 1558 წ.; Olympiotisas 177, XVI ს.; Megistis Lavras, 1623 წ.; Metamorph. 50, XVII ს.; Kutloumousiu 390, 1630 წ.; Mus. Benaki 54, 1654 წ.; Ag. Athanasiou 6, 1741 წ.; Iviron 535, XVI ს. da Iviron 845, 1585 წ.; Ethn. Biblioth. 2043, 1630 წ. იხ.: Σ. Καδᾶς, Προσκυτήτριά των Αγίων Τόπων. Δέκα Ἑλληνικά χειρόγραφα 16ου-18ου αἰ., Θεσνίκη 1986, 81, 89, 100, 115, 140, 161, 178, 204, 237-238, 272-273.

² შდრ. მათე, 27, 3-8; „საქმე მოციქულთას“ მიხედვით, აგარაკი მეკეცისაგან თავად იუდამ შეისყიდა. ტრაგიკული აღსასრულიც იქ ჰპოვა: „ამან მოიგო დაბა იგი სასყიდლითა მით სიცრუვისა თა და განსივნა და განსქაა შორის, და განიბნინეს ყოველნი ნაწლებნი მისნი“. ამიტომ ეწოდა იმ ადგილს „აკლამა“, რაც არამეულ ენაზე ნიშნავს „აგარაკს სისხლისა“ (საქმე, I, 18-19).

³ „და წმიდა სიონის ქვემოთ, დაახლოებით ნახევარი მილის მანძილზე, არის აგარაკი მეკეცისა, ანუ უცხოელთა სასაფლაო მას აგარაკი სისხლისა ეწოდება დღევანდელ დღემდე, რადგან ქრისტეს სისხლის საფასურად შეისყიდეს“, Koutloumousiou 390, Σ. Καδᾶς, Προσκυτήτριά ...,140.

ΞΕΝΟΙΔ). ამ ხელნაწერების მიხედვით, იქ კრძალავდნენ ბერებს, მონოზონ დედებს, პილიგრიმებს და ნებისმიერ უცხოელს.¹ ადგილობრივთაგან იქ არავინ იკრძალებოდა.²

მეკეცის აგარაკზე ყოფილა აგრეთვე მღვიმე, ბევრი გამოქვაბულით. მიცვალებულებს იმ გამოქვაბულებშიც კრძალავდნენ.³ გავრცელებული თქმულების თანახმად, მღვიმეში დაკრძალულნი განკითხვას აღარ ექვემდებარებოდნენ, პირდაპირ ცათა სასუფეველში ხვდებოდნენ.⁴ ამასთან, შუა საუკუნეებში დამკვიდრებული ყოფილა აზრი, რომ მეკეცის აგარაკის მიწაში გვამი ოცდაოთხ საათში განილეოდა. ამიტომ სასაფლაოები ამ მიწის შესყიდვას ცდილობდნენ. ადრიზომიონისა და ხუარესმიუსის ცნობათა თანახმად, ელენე დედოფალმა

¹ „წმიდა სიონის ქვემოთ, ქვის გასროლის მანძილზე, არის აგარაკი მეკეცისა, უცხოელთა სასაფლაო. იქ კრძალავენ უცხოელ ბერებსა და მონოზენებს (ანუ დედებს – თ.მ.), ამიტომ დღემდე უცხოელთა სასაფლაოს ეძახიან“, Metamorph. 50, XVII ს., Σ. Καδᾶς, Προσκυητᾶρια ...,115.

² „შეისყიდეს აგარაკი მეკეცისა, რათა დაესაფლავებინათ იქ უცხოელები – ახალგაზრდები თუ მოხუცები, მაგრამ ადგილობრივთაგან იქ არავის ასაფლავებენ“, Iviron 535, XVI ს.; Iviron 845, 1585 წ., Σ. Καδᾶς, Προσκυητᾶρια ..., 204, 238.

³ „... იქ ბერებს ასაფლავებენ, მაგრამ მიწას საერთოდ არ თხრიან, რადგან აქვს მღვიმე, ბევრი კელით. იქ დაკრძალული პირდაპირ ცათა სასუფეველში მიდის“, Ag. Athanasiou, 6, 1741 წ., Iviron 535, XVI ს.; Iviron 845, 1585 წ., Σ. Καδᾶς, Προσκυητᾶρια ..., 178, 204, 238.

⁴ „ის, ვინც იქ დაიკრძალება, განკითხვას აღარ ექვემდებარება, რადგან ის ადგილი ქრისტეს სისხლის საფასურად შეიძინეს“, Megistis Lavras, 1623 წ., Iviron 535 (XVI ს.) და Iviron 845, 1885 წ., Σ. Καδᾶς, Προσκυητᾶρια ...,100, 204,238.

იქაური მიწით 270 გემი დაატვირთვინა და რომში წარგზავ-
ნა, რათა Campo Santo-ში დაეყარათ.¹

ამრიგად, აგარაკი მეკეცისა იერუსალიმის ერთ-ერთი
უძველესი სასაფლაო ყოფილა, სადაც მხოლოდ უცხოელებს
კრძალავდნენ. იმ უცხოელთა შორის, ცხადია, ქართველებიც
იქნებოდნენ.

არქიმანდრიტი ბენიამინ იოანიდისი, რომელიც იერუსა-
ლიმის საპატრიარქოში XIX საუკუნეში მოღვაწეობდა, გვამ-
ცნობს, რომ XVI საუკუნის მიწურულისათვის უცხოელთა
სასაფლაო წმინდა სიონში გადაიტანეს. სასაფლაოს გადატა-
ნის მიზეზად კი ასახელებს იმ გარემოებას, რომ მეკეცის
აგარაკზე ღამით მიდიოდნენ სილოამიტები,² რომლებიც მიც-
ვალეზულებს აშიშვლებდნენ, წასვლისას კი მღვიმეების კა-
რებს ღიად ტოვებდნენ, რის გამოც მიცვალეზულები ძალღე-
ბისა და მხეცების კერძად იქცნენ.³

უცხოელთა სასაფლაოს სიონში გადატანის მიზეზი
რამდენად შეესატყვისება სინამდვილეს, ვერ გეტყვით, მაგრამ

¹ Βενιαμίν (Ιωαννίδου), Ἡ Ἁγία Πόλις Ἱερουσαλήμ καὶ τὰ
περιχώρα αὐτῆς (Τοῦ Προσκυνηταρίου τῆς Ἀγίας Γῆς), τεύχος Α',
Ἱεροσόλυμα 1877, 293. Θρησκευτικὴ καὶ Ἱθικὴ Ἐγκυκλοπαιδεία,
τομ. Α', Ἀθήναι, 1962, 320.

² ძვ. აღთქმის თანახმად, იერუსალიმის ალყის დროს ესაია წინას-
წარმეტყველის ლოცვით, სიონის მთაზე აღმოცენდა წყარო, რომელსაც
სილოამი, ანუ „ღვთისაგან გამოგზავნილი“ ეწოდა (ესაია 8, 7; ნეემია
3, 15). ამ წყაროს წყლით განკურნა მაცხოვარმა ბრძამდშობილი (იოანე,
9, 6-7, 11). დამკვიდრებული იყო თვალსაზრისი, რომ სილოამი მდებარე-
ობდა დავითის ქალაქიდან სამხრეთ-დასავლეთით, ანუ მეკეცის აგარაკის
მიდამოებში. ბოლოდროინდელი გამოკვლევების თანახმად, სილოამი უნდა
იყოს ნაწილი იმ არხისა, რომელიც მეფე იეზეკიამ გაიყვანა, რათა გიონის
წყლები შეეგროვებინა და იერუსალიმისათვის მიეწოდებინა.

³ Βενιαμίν (Ιωαννίδου), Ἡ Ἁγία Πόλις Ἱερουσαλήμ ..., 292-293.

ის რომ XVI საუკუნის მიწურულს სასაფლაოები მართლაც წმინდა სიონში იყო გადატანილი, ეს ჰიჯრიდან 1005 (=1596-1597) წელს გაცემული არაბულენოვანი ჰუჯეთიდანაც ჩანს.

რაკი არაბული ჰუჯეთის თანახმად, წმიდა სიონში ლათინთა, ქართველთა და ბერძენთა სასაფლაოს საზღვრები უნდა დადგენილიყო, ეს, ერთი მხრივ, იმის დასტურია, რომ **ქართველებს სიონში თავიანთი სასაფლაო ჰქონდათ**. მეორე მხრივ კი, იმასაც მოწმობს, რომ **ადრე ქართველებს მეკეციის აგარაკზე კრძალავდნენ**. წინააღმდეგ შემთხვევაში, სიონის სასაფლაოს საზღვრების დადგენისას, ქართველებს არ გაითვალისწინებდნენ.

სიონის სასაფლაოსთან დაკავშირებით, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს არქივში შემონახულია 49 ჰუჯეთი. სამწუხაროდ, ამ დოკუმენტებზე ჩვენ ხელი არ მიგვიწვდება, მაგრამ აღწერილობათა მეშვეობით, რამდენიმე საინტერესო საკითხი მაინც გავარკვეთ.

უძველესი დოკუმენტი, რომელიც სიონის სასაფლაოს ეხება, 1519 წლისაა.¹ 1569 წელს გაცემული ჰუჯეთის თანახმად, სასაფლაოს ნაწილი (91/2 კარიატი) ბერძნებს ადრევე შეუსყიდიათ.² 1570 წლის ჰუჯეთიდან ჩანს, რომ თავდაპირველად სიონის სასაფლაოს ადგილზე იყო ხეებით მორგული

¹ A. Τσελίκα, Καταγραφή του αρχείου του Πατριαρχείου Ιεροσολύμων, Δελτίο του Ιστορικού και Παλαιογραφικού Αρχείου, τομ. Ε', Αθήνα 1992, გვ. 271 (IV.A. 2013, 1).

² „ეს ჰუჯეთი ეხება წმ. სიონის საფლავებს. – შეიცავს ცნობას, რომ შესყიდული ვვაქვს საფლავთა ადგილებიდან 91/2 კარიატი, ჰუჯეთი 997 (=1569) წლის, A. Τσελίκα, Καταγραφή..., გვ. 271 (IV. A. 213, 2).

ბალი და წყლის ორი ცისტერნა.¹ 1751 წელს განახლებული ჰუჯეთის თანახმად კი, ატალას (ანუ იერუსალიმის პატრიარქ დოროთეოს II-ს, 1505-1537), შეუძენია დასავლეთით მდებარე მიწის ნაკვეთი, რათა ძველი სასაფლაოსთვის მიიერთებინა.²

სასაფლაოები წმინდა სიონში XVI საუკუნემდე რომ გადაუტანიათ, ამას მოწმობს თუნდაც ის ცნობა, რომ 1452 წელს მამლუქებმა დაარბიეს სიონის ბერძნული სასაფლაო, გადათხარეს საფლავები და მიცვალებულთა ძვლები ბორცვიდან ქვემოთ მოისროლეს.³

1517 წელს ოსმალთა სულთანმა სელიმ I-მა (1512-1520) დაიპყრო პალესტინა, სირია და ეგვიპტე. იერუსალიმის დაპყრობით გახარებულმა სელიმ I-მა სცნო იერუსალიმის პატრიარქის, დოროთეოს II-ის (1505-1537) უფლებები ქრისტიანულ სალოცავებზე და თავისუფლება მიანიჭა რელიგიურ აღმსარებლობებს. ამან ლათინებისა და სომხების გააქტიურება გამოიწვია. 1519 წელს ფრანცისკანელებმა პირველი პრეტენზია წამოაყენეს წმინდა სალოცავების მიმართ. ბრძოლა სალოცავებისათვის მთელი XVI საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. როგორც ჩანს, ფრანცისკანელები იმავე

¹ A. Τσελίκα, Καταγραφή ... გვ. 271 (IV.A. 2013, 3.).

² ქრისტესით 1751 წ., 6 ნოემბერი. 1164 წლის ზილკადეს დასასრული. თურქული ჰუჯეთი, A. Τσελίκα, Καταγραφή..., 272 (IV. A. 214, 6).

³ მკვლევართა აზრით, მაშინ სიონში მყოფი ბერების ნაწილი, სავარაუდოდ, ლათინები, ცოცხლები გადარჩნენ, მაგრამ მათ აეკრძალათ დარბეული საფლავების მიხედვა. ლათინებში ფრანცისკანელები იგულისხმებიან, რადგან 1309 წელს მამლუქებმა, ფრანცისკანელების გარდა, სხვა კათოლიკეებს იერუსალიმში ყოფნა აუკრძალეს, Χρυσοστόμου Παπαδοπούλου (Ἀρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις, 1970, 487-488.

დროულად სიონის სასაფლაოსთვისაც იბრძოდნენ. ამიტომაც გამოიცა 1696/97 წლის სამეფო ბრძანებულება, რომ დაზუსტებულიყო სიონის მთაზე ლათინთა, ქართველთა და ბერძენთა სასაფლაოს საზღვრები.

1602 წლის ჰუჯეთიდან ჩანს, რომ სასაფლაოთა მფლობელებს ხელისუფლება გადასახადს ახდევინებდა.: „*სიონის საფლავებისათვის ბერძნებმა, ფრანკებმა, კოპტებმა და სირიელებმა ვაკუუმების მთავრებს უნდა მისცენ 4 არშინი ჩოხა, ხოლო სიონიტებს – 2 არშინი*“.¹

მსგავსი დოკუმენტები სხვაც არის, მაგრამ 1602 წლის დოკუმენტი ყურადღებას იმით იპყრობს, რომ გადასახადის გადამხდელთა შორის ქართველები არ მოიხსენიებიან, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ იმ დროისათვის ქართველები თავიანთ მიცვალებულებს წმინდა სიონის სასაფლაოზე აღარ კრძალავდნენ.

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: სად იკრძალებოდნენ ქართველები?

პასუხს ამ კითხვაზე გვაწვდის ათონის ივერთა მონასტერში დაცული ორი ბერძნული ხელნაწერი: Iviron 535, დათარიღებული XVI საუკუნით, და Iviron 845, 1585 წლისა. მკვლევართა დაკვირვებით, Iviron 535 ათიოდე წლით მაინც უსწრებდეს Iviron 845-ს,² მაგრამ რადგან Iviron 845 თარიღიანია, ამიტომ ცნობას ქართველთა სასაფლაოსთან დაკავშირებით, Iviron 845-იდან დავიმოწმებ, მით უფრო, რომ განსხვავება ამ ცნობებს შორის ფაქტობრივად არ არსებობს.

ამრიგად, იერუსალიმისა და მისი შემოგარენის აღწერის შემდეგ, Iviron 845-ში ვკითხულობთ:

¹ 1011 (1602) წლის თურქული დოკ., A. Τσελίκια, Καταγραφή..., 272, (IV. A. 214, 1).

² Σ. Καδός, Προσκυητάρια ..., 72.

«Λοιπὸν ἄς ἐπιστρέψωμεν εἰς τὴν ἀγίαν πόλιν
περικυκλώσωμεν αὐτήν, ἰδῶμεν αὐτὴν ὅλην.
Πόρτα ἐστὶ τῆς Δαμασκού ἐπὶ τὴν τραμουντάνα,
τοιούτως ὀνομάζεται ὑπάγωμεν ἀντάμα,
ὅτι τ' Ἀγρίππα ὁ ἀγρός ἔξωθεν ταύτης εἶναι
καὶ θάπτουνται οἱ Ἴβηροι καὶ κοιμητήρι ἐν». ¹

*„მოკლედ, დავბრუნდეთ ისევ წმიდა ქალაქში,
შემოვუაროთ მას, და მთლიანად მოვიხილოთ.
ჩრდილოეთით არის კარიბჭე, რომელსაც
დამასკოს კარიბჭე ჰქვია, – მოდი, იქ ერთად წავიდეთ, –
მის გარეთ აგრიპას ველით, სადაც კრძალავენ
იბერიელებს და ის მათი სასაფლაოა“.*

ამის შემდეგ აღწერილობის ავტორი (იერუსალიმელი ბერი პართენიოს პოლონიანიტი) გვიამბობს, თუ როგორი მნიშვნელოვანი ადგილია აგრიპას ველი:

*„იერემია წინასწარმეტყველმა იქ წარგზავნა
ბარუქი და აბიშელექი ლელვის დასაკრეფად,
ისინი კი ლელვის ხის ძირში წამოწვნენ,
რათა ცოტა ხნით დაეძინათ და სული მოეთქვათ,
და, ორივემ სამოცდაათ წელიწადს იძინა ისე,
რომ ვერაფერს გრძნობდნენ და არც აღარაფერი ახსოვდათ“.*¹

¹ Σ. Καδάς, Προσκυητάρια... (Iviron 845, 204; Iviron 535, 255). იხ. აგრეთვე: Православный Палестинский Сборник, N 19, вып. 56, С-Петербург, 1903, გვ. 136 და 226; ამ ცნობაზე ყურადღებას ამახვილებს გ. ფერაძე. იხ. მისივე: უცხოელ პოლიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, თბ., 1995, 60. იხ. აგრეთვე: ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016, 204.

ამრიგად, Iviron 845-ის მიხედვით, 1585 წელს ქართველებს თავიანთი სასაფლაო აგრიპას ველზე ჰქონდათ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ Iviron 535 ათიოდე წლით ადრე მაინც დაიწერა, მაშინ თარიღი 1575 წლამდე გადაიწვეს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: რატომ გადაიტანეს ქართველებმა თავიანთი სასაფლაო აგრიპას ველზე?

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მას შემდეგ, რაც ოსმალთა სულთანმა სელიმ I-მა (1512-1520) პალესტინა დაიპყრო (1517), ლათინებმა და სომხებმა წმინდა სალოცავების დაუფლება მოისურვეს, რის გამოც რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა როგორც იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს მესვეურები, ასევე იერუსალიმში მოღვაწე სხვა მართლმადიდებლები.

იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს დასახმარებლად, შეკავშირდნენ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ბერძნები, რომლებიც თავიანთ ქვეყნებში აარსებდნენ მეტოქებს და საპატრიარქოს დიდ შესაწირავებს უგზავნიდნენ. თავად

¹ უცნობი ავტორი გვიამბობს თქმულებას, რომელიც ბერძნულ მართლმადიდებელ ეკლესიებში 4 ნოემბერს იკითხება, „იერემიას გოდებასთან“ ერთად. ბიბლიის თანახმად, იერემია წინასწარმეტყველს არ უნდოდა აბიმელექს იერუსალიმის დაცემა ენახა (იგულისხმება იერუსალიმის დაპყრობა ძვ.წ. 607 წ.). ღმერთმა შეისმინა მისი ვედრება და ურჩია, აბიმელექი აგრიპას ველზე წარეგზავნა. ამასთან, შეჰპირდა, რომ მას იქ იმდენ ხანს დაიცავდა, ვიდრე მისი ხალხი ბაბილონელთა ტყვეობიდან არ განთავისუფლდებოდა. ვინაიდან ტყვეობამ სამოცდაათ წელს გასტანა, ამიტომ ბარუქსა და აბიმელექს სამოცდაათ წელიწადს ეძინათ. თქმულება ეფუძნება იერემია წინასწარმეტყველის წიგნს (იხ. თავები: 20, 31, 33, 34, 35, 45), მაგრამ ამ ჟანრისთვის დამახასიათებელი შევსებებიც აქვს. ასე მაგ.: ლელვის დაკრეფის შესახებ, ბიბლიაში არაფერია ნათქვამი.

პატრიარქებმაც დაიწყეს მოგზაურობა ქრისტიანულ ქვეყნებში საკალმასოდ. სამწუხაროდ, საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო, იერუსალიმელი ქართველები ასეთ მხარდაჭერას მოკლებულნი იყვნენ.

ქართველთა იმდროინდელ გასაჭირზე მეტყველებს ის გარემოება, რომ 1536 წელს ქართველებს ფრანცისკანელები-სათვის უკვე მიქირავებული ჰქონდათ წმ. იოანე ღმრთისმეტყველის სახელობის მონასტერი.¹ 1561 წელს, ფულისა და ცრუ ჩვენებების მეშვეობით, ფრანცისკანელებმა ქართველებისაგან დაქირავებული მონასტერი მიიტაცეს (მოგვიანებით უწოდეს St. Sauveur). იმავე 1561 წელს, 80 სულთანური ფლორის სანაცვლოდ, ქართველებმა მათვე დაუთმეს ხსენებული მონასტრის ბაღი.² თითქმის იმავედროულად სომხებს მიაქირავეს წმ. იაკობის სახელობის დიდი მონასტერი, რომელიც სომხებმა მისაკუთრეს და ა.შ.

1568 და 1576 წელს ქართველებმა ხელისუფლებას საჩივარი წარუდგინეს იოანე ღმრთისმეტყველის ეკლესიის ფრანცისკანელების მიერ უკანონო მიტაცებასთან დაკავშირებით, მაგრამ ამოდ. საბოლოოდ მონასტერიც და ბაღიც ფრანცისკანელებს დარჩათ. როგორც ჩანს, სწორედ იმ გასაჭირის დროს ქართველები იძულებულნი გახდნენ, სიონის სასაფლაოც მიეტოვებინათ და თავიანთი სასაფლაო აგრიპას ველზე მოეწყოთ.

¹ Κωνσταντίου Α', Πατριάρχου Κωνσταντινουπόλεως, Βιογραφία και Συγγραφαί αἱ ἐλάσσονες ἐκκλησιαστικαὶ καὶ φιλολογικαί, καὶ τίνες Ἐπιστολαὶ τοῦ Αὐτοῦ, ὑπὸ Θ. Μ. Ἀριστοκλέους, Ἐν Κωνσταντινουπόλει, 1866, 250. Ἀνάλεκτα..., τ. Δ', 444-445.

² Κωνσταντίου Α', Βιογραφία καὶ Συγγραφαί..., 250. Ἀνάλεκτα, τ. Δ', 446.

მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული საკითხები გაირკვა, მაინც ჩნდება ერთი კითხვა: თუკი ქართველებს 1585 წელს თავიანთი სასაფლაო უკვე აგრიპას ველზე ჰქონდათ, მაშინ ჰიჯრიდან 1005(=1596/1597) წელს გაცემულ სამეფო ბრძანებულებაში, რომლის თანახმადაც, სიონში მდებარე სასაფლაოთა საზღვრები უნდა დაზუსტებულიყო, რატომღა მოიხსენიებიან ქართველები?

მართალია, 1585 წელს (შესაძლოა 1570 ან 1575 წლიდან) ქართველებს თავიანთი სასაფლაო უკვე აგრიპას ველზე ჰქონდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ბრძოლას სიონის სასაფლაოსთვის მაინც აგრძელებდნენ, რადგამ იქ მათი წინაპრები იყვნენ დაკრძალულნი.

ამრიგად, ჩვენი საბოლოო დასკვნა ასეთია: იერუსალიმში მოღვაწე ქართველ ბერებს, პილიგრიმებსა და სამოქალაქო პირებს საუკუნეების განმავლობაში სიონის მთის სამხრეთ დასავლეთით მდებარე უცხოელთა სასაფლაოზე, ანუ მეკეცის აგარაკზე კრძალავდნენ. მას შემდეგ, რაც მეკეცის აგარაკიდან სასაფლაოები წმინდა სიონში გადაიტანეს, ქართველებმა ადგილი იქაც მოიპოვეს. XVI საუკუნის შუა წლებში ფრანცისკანელებისა და სომხებისაგან შევიწროვებული ქართველები იძულებული გახდნენ, სიონის სასაფლაო მიეტოვებინათ. 1585 წლიდან (შესაძლოა 1570 ან 1575 წლიდან) ქართველებმა ისევ ბიბლიური ადგილი შეარჩიეს და სასაფლაო იერუსალიმის ჩრდილოეთით, დამასკოს კარიბჭის გარეთ, აგრიპას ველზე მოიწყვეს.

დამოწმებანი:

მამისთვალიშვილი ე., იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერი, თბ., 2016.

მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, 140.

ჯაფარიძე გ., ბენა ჩოლოყაშვილი ეგვიპტეში და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისათვის), საისტორიო კრებული, ტ. I, 83-138.

ფერაძე გ., უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართველი მონასტრების შესახებ, თბ., 1995.

Ανάλεκτα Ἱεροσολυμιτικῆς Σταχιολογίας, τομ. Δ', 1897.

Βενιαμίν (Ιωαννίδου), Τοῦ Προσκυνηταρίου τῆς Ἁγίας Γῆς, τεύχος Α'. Ἡ Ἁγία Πόλις Ἱερουσαλήμ καὶ τὰ περίχωρα αὐτῆς, Ἱεροσόλυμα 1877.

Θέμελης Τ. Π., Τὰ ἐν τῷ Ναῶ Ἀναστάσεως Χριστιανικά Ἔθνη, Νέα Σιών, Ἐκκλησιαστικῶν Περιοδικῶν Σύγγραμμα, τόμ. ΙΑ', τεύχ. Ζ'-Η', Ἰούλιος - Αὐγούστος, 1910, 119-161.

Καδάς Σωτ. Ν., Εικονογραφημένα Προσκυνητάρια των Ἁγίων Τόπων (τέσσερα ἑλληνικά χειρόγραφα 17^{ου}-18^{ου} αἰ.), Θεσσαλονίκη 1984.

Καδάς Σωτ. Ν., Προσκυνητάρια των Ἁγίων Τόπων. Δέκα ἑλληνικά χειρόγραφα 16ου-18ου αἰ., Θεσσαλονίκη, 1986.

Κωνσταντίου Α', Πατριάρχου Κωνσταντινουπόλεως, Βιογραφία καὶ Συγγραφαὶ αἱ ἐλάσσονες ἐκκλησιαστικαὶ καὶ φιλολογικαὶ, καὶ τίνες Ἐπιστολαὶ τοῦ Αὐτοῦ, ὑπὸ Θ. Μ. Ἀριστοκλέους, Ἐν Κωνσταντινουπόλει, 1866.

- Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Αρχιμανδρίτου, Σχολάρχου τῆς Θεολ. Σχολῆς τοῦ Σταυροῦ), Ἡ Ἱερὰ Μονὴ τοῦ Σταυροῦ καὶ ἡ ἐν αὐτῇ Θεολογικὴ Σχολή, Ἐν Ἱεροσολύμοις, Ἐκ τοῦ τυπογραφείου τοῦ Ἱεροῦ Κοινοῦ τοῦ Παναγίου Τάφου, 1905.
- Παπαδοπούλου Χρυσοστόμου (Αρχιεπισκόπου Ἀθηνῶν καὶ πάσης Ἑλλάδος), Ἱστορία τῆς Ἐκκλησίας Ἱεροσολύμων, ἐν Ἀθήναις, 1970.
- Τσελίκια Α., Καταγραφή του αρχείου του Πατριαρχείου Ἱεροσολύμων, Δελτίο του Ἱστορικοῦ καὶ Παλαιογραφικοῦ Αρχείου, τομ. Ε', Ἀθήνα 1992.
- Православный Палестинский Сборник, N 19, вып. 56, С-Петербург, 1903.
- Цагарели А., Каталог грузинских рукописей Синайского монастыря, Сведения о памятниках грузинской письменности, вып. II, Санкт-Петербург, 1889.

Tamar Meskhi

Iliia State University, G. Tsereteli Institute of Oriental Studies

**GEORGIAN CEMETERIES IN JERUSALEM AND ITS
SURROUNDINGS
RESUME**

As a result of comparison of sixteenth century Greek manuscript (Iviron 535, XVI and Iviron 845, 1585) protected in Iviron Monastery, Arabic document of 1596/1597 and history

sources it was found out that Georgian monks worked in Jerusalem, civilians and pilgrims had been buried at the foreign cemeteries, e.i. Potter's field, for centuries near Mount Zion. In the XV century, foreigners were permitted to have cemeteries in the Saint Zion. The Georgian cemetery was located there too. Later on, Georgians oppressed by the Franciscans and Armenians were forced to leave the Zion Cemetery. From 70s of the XVI century, the Georgian cemetery is confirmed by the Damascus gate in the northern part, on Agrippa's field.

ნაქალაქარ მძოვრეთის ისტორიიდან
(ძვ. წ. I - ახ. წ. XV სს.)

ისტორიული ქალაქი მძოვრეთი მდებარეობს სტრატეგიული მნიშვნელობის ძამის ხეობაში, მდ. ძამის მარჯვენა ნაპირზე, თრიალეთის ქედის ჩრდ. კალთაზე, მაღალი მთის დავაკებაზე. წყაროებში ზოვრეთის სახელითაც მოიხსენიება.¹ მძოვრეთის ტერიტორიას თავს დაჰყურებდა და იცავდა მიუვალ კლდეზე აღმართული, რთული კონსტრუქციის მონუმენტური ნაგებობა - ძამის ციხე. ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი ძამის ციხის შესახებ აღნიშნავდა: „ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის ციხე. ამ ციხის ქუეშ სასახლე ციციანთა.“² თრიალეთის მთებიდან გამოსული მდინარეები ძამა, ტანა, თეძამი, კავთურა და ნიჩბისის წყალი შენაკადებით ქმნიდნენ ხეობებს, რომლებიც შიდა ქართლს აკავშირებდნენ თორ-თრიალეთ-მანგლისთან. ამ გზასაყარიდან რამოდენიმე გზა შიდა ქართლში შემოდის. მოკვლეული არქეოლოგიური მასალა და წერილობითი წყაროები მიანიშნებენ ამ გზის, როგორც სავაჭრო სტრატეგიული მა-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II. ტფ., 1897, გვ. 349.;

² ქართლის ცხოვრება IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 344;

გისტრალის გზაგამტარის, ფუნქციაზე ჯერ კიდევ ახ.წ. I-III საუკუნეებში, რომლითაც შიდა ქართლი ქვემო ქართლს, მისი მოსაზღვრე ქვეყნებით ჯავახეთს და დასავლეთ საქართველოს უკავშირდებოდა. ამ გზის შესახებ საინტერესოა IV საუკუნის “სომხური გეოგრაფიის” ანუ “აშხარაცუიცის” ცნობები. მემატთანე ქართლში შემაჯავალი ადმინისტრაციული ერთეულების ხეების ჩამოთვლას იწყებს მდ. ჭოროხიდან ტაოს ჩრდილოეთით და მოჰყვება აღმოსავლეთისაკენ. “სომხური გეოგრაფიის” ნუსხა¹ ადგილმდებარეობისა და თანამიმდევრობის დაცვით წარმოგვიდგენს ერთ-ერთ იმ დროისათვის ცნობილ, მტკვრის მარჯვენა “გალმა მხარის” პროვინციებს (ჰევეებს) და მათზე გამავალ სავაჭრო გზას: სამცხე – თორი – გუჯარეთი – ძამისხევი – გვერდისძირი – ტანისხევი – თექმისხევი, რომელიც უკავშირდებოდა მანგლისისხევს, თრიალეთს, ბონისისხევს და ქართლის ქალაქებს: ტფილისს, სამშვილდეს, მცხეთას. დ. მუსხელიშვილმა “სომხური გეოგრაფიის” სხვადასხვა რედაქციების ურთიერთმიმართებით და ქართულ წყაროებთან შედარებითი ანალიზით მოგვცა იმ პროვინციების (“ჰევეების”) იდენტიფიკაცია და ლოკალიზაცია.² ს. კაკაბაძის ვარაუდით ანონიმის მიერ იბერიის აღწერილობა შედგენილი უნდა ყოფილიყო 347-350 წლებში, იქვე გვთავაზობს საინტერესო მოსაზრებას, “აღწერილობის ადგილობრივ ნიადაგზე წარმოშობის თაობაზე”.³ “მოქცევაჲ ქართლისაჲ” ამ გზის მცხეთასთან კავშირზე მიანიშნებს: “მივიწიენით მცხეთად ქა-

¹ Армянская география VII века по р. X. Текст и перевод, издал К. П. Патканов, 1877, стр. 17;

² მუსხელიშვილი დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები I, თბ., 1977, გვ. 185;

³ კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, 1924, №1, გვ. 49;

ლაქად წიად კერძო მოგვტასა. კიდსა ზედა დავდევიტ.” ე. ი. ურბნისიდან წამოსულნი მცხეთას გაღმა მხრიდან (“წიად კერძო”) მტკვრის მარჯვენა ნაპირიდან მისდგომიან.

ვფიქრობ, ეს მოხერხებული გზა ჰქონდა მხედველობაში VI საუკუნის ამბების თხრობისას ჯუანშერს, როცა წერდა: „ესრეთ რა უცალო იქმნეს სპარსნი, მაშინ შეითქუნეს ყოველნი ერისთავნი ქართლისანი, ზემონი და ქუემონი, და წარგზავნეს მოციქული წინაშე ბერძენთა მეფისა.“¹

ძამის ხეობის „ზემო ქვეყანასთან“ გზაგამტარობაზე უნდა მიანიშნებდეს „მატიანე ქართლისაის“ ავტორი, რომლითაც ლიპარიტ ბაღვაშს ჯერ ქართლში ჩამოჰყავს ტახტის პრეტენდენტი და შემდეგ ძამას ხეობით ატენს გადაჰყავს: „გამოიყვანა ლიპარიტ დემეტრე, ძმა ბაგრატიისი, საბერძნეთით ბერძენთა მეფისა ლაშქრითა და მიერთნეს სხუანიცა ვინმე დიდებულნი და აზნაურნი, მოვლეს ზემო ქუეყანა და ჩამოვიდეს ქართლს, მოადგეს ატენს“.²

მძოვრეთის საზღვრების ლოკალიზაციის შესახებ მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. საველე დათვალიერებამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა ქალაქის სავარაუდო უბნები: წინაუბანი-ზღუდერი, შიდა უბნები: სუქანანთ უბანი, ურიათ უბანი(ორთუბანი), აბანოთ უბანი, ბერძენთა და სომეხთა უბანი (ამ უკანასკნელის არსებობა XVIII საუკუნემდე წერილობითი წყაროებით არ დასტურდება) გარეუბნები: სარკინეთი (მჭედელ-მელითონეთა), გვერძინეთ-ციხისგვერდი (ციხის უბანი) და სათერძე (ფეიქარ-მკერვალთა). ძირითადად უბანთა სახელწოდება მცხოვრებთა სპეციფიკური საქმიანობის

¹ ქართლის ცხოვრება I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1955, გვ. 217;

² იქვე. გვ. 302;

მიხედვით, ეთნიკურ-რელიგიური ნიშნით, ან გეოგრაფიული მდებარეობით ჩანს შერჩეული.

ნ. ბერძენიშვილის გამოთქმული ვარაუდის მიხედვით, ძამის ციხე თავდაპირველად მძოვრეთში, ხეობიდან სამცხეში გამავალი გზის სიახლოვეს უნდა ყოფილიყო. ქალაქ ზოვრეთის დაარსების, მისი საბაჟოს არსებობის დროსა და ადგილის შესახებ საკვლევი თემისთვის მეტად საინტერესოა მეცნიერის მოსაზრება: „ზოვრეთი ძველი ქალაქი ჩანს და არა გვაქვს საფუძველი მდინარე ძამის ხეობით მომავალ გზაზედ გამართული ეს მძოვრეთის საბაჟო აქ ნაგვიანებად გადმოტანილად ვივარაუდოთ.“¹ „საზუერე“ ხეობაში X საუკუნეზე გაცილებით წინა დროის წარმონაქმნად მიაჩნდა, რადგან X საუკუნეში ტერმინი „ზუერი“ „ბაჟით“ იყო შეცვლილი. საინტერესოა ნ. ბერძენიშვილის ამ მოსაზრების არგუმენტი: „იოანე ბოლნელის ქადაგებიდან, კარგად ჩანს, რომ მრევლს აღარ ესმით უძველესი ტერმინები და იძულებული გამხდარა ოთხთავიდან მოყვანილი ადგილები მეზუერე და საზუერე განუმარტოს „მეზოკერც იგი არს მეზაჟე, ხოლო საზოკერც იგი არს ადგილი, სადა იგი ბაჟსა ოვეოფედ (იყოფენ მ.მ.)“.²

ვახტანგ V-ის „გარიგება“, რომელიც „ძუელითგან ხელმწიფეთაგან“ გარიგების განახლებას წარმოადგენს, პირდაპირ ასახელებს „თრიალეთიდამე მზოვრეთსა ზედა და ან ქუეშეთ ჩამოიაროს, იმისიც ბაჟის მესამედი კათალიკოზისა არის-ო“.³ მეფის გარიგების წიგნი ითვალისწინებს თრიალე-

¹ ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, ტ.1, გვ. 190;

² იქვე, გვ. 189;

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966, გვ. 224-225;

თიდან სავაჭრო გზებს არა მარტო ზოვრეთზე, არამედ მის „ქუეშეთ“ და „ზედათაც.“ ნ. ბერძენიშვილი ზოვრეთის „ზედათ“ გულისხმობს „გვექძინეთ-ციხისგვერდიდან და სხლებიდან (ძამა) გარდამავალ გზებს ხცისა და კრისისხევს, ხოლო გამონათქვამში „მზოვრეთს ქუეშეთ“ დოკუმენტშივეა განმარტებული გამავალი სავაჭრო გზა.¹

ივ. ჯავახიშვილი ძამის ციხეს და მონასტერს მძოვრეთის სამხრეთ აღმოსავლეთით იმერხევის სათავეში ვარაუდობდა. მეცნიერთა ზემოაღნიშნულ საინტერესო მოსაზრებათა გათვალისწინების მიუხედავად, დღემდე შეუსწავლელია უძველეს ქალაქ მძოვრეთის დაარსების ისტორია, არ ჩატარებულა საგანგებო კვლევა და არც დაზვერვითი სავსე ექსპედიციები, რომ აღარაფერი ვთქვათ არქეოლოგიურ გათხრებზე.

ნაშრომში შევეცადეთ ჩვენს ხელთ არსებული ისტორიულ-არქეოლოგიური მასალის კრიტიკულ-ანალიტიკური კვლევით წარმოგვედგინა გვიანანტიკური ქალაქ მძოვრეთის დაარსების ისტორია და ქართლის სამეფოს გავლენიან ფეოდალურ საგვარეულოთა ხანგრძლივ ბრძოლაში გამარჯვებულ ფანასკერტელ-ციციშვილთა დამკვიდრება ძამის ხეობაში.

ქალაქის დაარსების შესახებ საინტერესოა პლატონ იოსელიანის ცნობა.² მისი ცნობით, ძამაზე ქალაქი მძოვრეთი 113 წ. ააშენა მეფე მირდატმა და VIII ს. მურვან აბდულყასიმის ძემ ააოხრაო. მართალია ავტორი წყაროს არ ასახელებს, მაგრამ მისი მოღვაწეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, ხელთ ჰქონდა ავთენტური პირველწყარო, რომელმაც, სამწუ-

¹ ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966. გვ. 45-46;

² Платон Иоселиани. Города существовавшие и существующие в Грузии Тб., 1850 г. стр 52-53;

ხაროდ, ჩვენამდე ვერ მოაღწია. არსებული ისტორიული რეალობა იბერიის ხელისუფლებას ხელსაყრელ საშუალებას აძლევდა რომსა და პართიას შორის დაპირისპირება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა, დაებრუნებინა დაკარგული ტერიტორიები, გაეფართოებინა და გაემაგრებინა სამეფოს საზღვრები. ასევე მტკიცედ ფლობდა გადმოსასვლელებს კავკასიელი მოქირავნების ხარჯზე და ყოველთვის შეეძლო იბერიას მათი მოძრაობა საკუთარი ინტერესების მიხედვით წარემართა, ამის შესახებ ტაციტუსი ხაზგასმით მიანიშნებდა: „იბერები კასპიის გზით სასწრაფოდ შეუშვებენ არმენიელების წინააღმდეგ სარმატებს; ხოლო მათ, ვინც პართებთან მიდიოდნენ, ადვილად აჩერებდნენ-ო“.¹ ამდენად, მშვიდობის მოპოვებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა რომისათვის, უწევდნენ რა ანგარიშს იბერიის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამჯობინებდნენ იბერიასთან მეგობრულ ურთიერთობას. მეგობრობა და ერთგულება „დასავლური“ ორიენტაციისადმი, ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც ხელსაყრელი იყო. თავის მხრივ იბერიელები მედიატორის როლსაც კარგად ირგებდნენ ჩრდილოკავკასიელ ხალხებსა და სხვა სახელმწიფოებთან, მათ შორის რომის იმპერიასთან.

ყოველ ქალაქს თავისი დაარსების საინტერესო ისტორია აქვს, მძოვრეთის დაარსების ისტორიაც სწორედ არსებულ ხელსაყრელ ისტორიულ რეალობას უკავშირდება. რომის იმპერიის საზღვრისპირა პროვინციებთან, სტრატეგიული მდებარეობისა და მნიშვნელობის მქონე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე არსებული დასახლების, ქალაქად გადაქცევა კონკრეტული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალურ-

¹ ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა, ალ. გამყრელიძემ, თბ., 1973, გვ. 55;

კულტურული მოსაზრებით, თავდაცვითუნარიანობის განმტკიცებით, სავაჭრო გზასთან სიახლოვით და საბაჟო ადმინისტრაციული ცენტრის შექმნის აუცილებლობით აიხსნება. რომის იმპერიისთვის მნიშვნელოვან მაგისტრალზე ახალი შესაბამისი ინფრასტრუქტურის და ქალაქის დაარსება ეთნოკულტურული, სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების და პოლიტიკური არიალის გაფართოება-გადღიერების ხელშემწყობი იქნებოდა. ამდენად, იბერიის პოლიტიკური სიძლიერის პერიოდში გვიანანტიკური მძოვრეთის ქალაქად დაწინაურების ხელშემწყობ ფაქტორად მიგვაჩნია: 1. საქართველოზე გამავალ საერთაშორისო სავაჭრო სატრანზიტო გზაზე, რომლის კონტურები ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში ისახებოდა, ჩართული აღმოჩნდა არა მხოლოდ მცირე აზია, მესოპოტამია და ეგვიპტე, არამედ შუა აზია, ინდოეთი, ჩინეთი, რომელიც ინდოეთიდან ფაზისისკენ მიემართებოდა. სწორედ ამ სავაჭრო გზის ჩასახვასა და განვითარებას ემთხვევა ანტიკური ქალაქების წარმოშობა. 2. ინდოეთიდან შავი ზღვისაკენ გამავალ საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო გზის შესახებ სარწმუნო ცნობები შემონახული აქვთ სტრაბონს და პლინიუსს (23/24-79წწ.) პლინიუსი თავის მეექვსე წიგნში (პლინიუს სეკუნდუსი VI, 52) ვარონის (116-27წწ.) სარწმუნო ცნობაზე დაყრდნობით გადმოგვცემს პომპეუსის ლაშქრობის დროს ინდოეთიდან შეიძლებოდა შვიდ დღეში ჩასვლა ბაქტრიაში. ამ მდინარიდან კი კასპიის ზღვით მდ. კიროსამდე (მტკვრამდე) მიისვლება და რომ ინდოეთის სავაჭრო საქონელი ხუთ დღეზე არა უმეტეს დროში ხმელეთის გზით პონტოსში ფაზისს ჩაიტანებო.¹ სტრაბონის აღწერით „ინდური საქონელი შემოაქვთ კასპიის ზღვაში, ხოლო აქედან ალბანეთში გადააქვთ და შემდეგ მტკვარზე და მისი მიმდგომი მხარეების გავლით

¹ იქვე, თბ., 1973, გვ. 38-39;

შავ ზღვასთან ჩააქვთ (სტრაბონი, XI, VII, 3). აღწერს ფაზისიდან შორაპნის გავლით იბერიაში გადასავლელ გზებსა და ხეობებიან მდინარეებს, იბერიის ქალაქებსა და დაბებს.¹ ფაქტიურად სტრაბონი და პლინიუსი აღწერენ იმავე სავაჭრო-სატრანზიტო გზას, რომელიც მოემართებოდა აღმოსავლეთიდან მდინარეების მტკვრისა და რიონის გავლით შავი ზღვისაკენ. 3. აღმოსავლური და დასავლური ცივილიზაციების თანხვედრის ადგილი, რომის იმპერიის პროვინციათა საზღვრის სიახლოვე, სტრატეგიულ სავაჭრო გზაზე მდებარე ახალი ქალაქები ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა მძოვრეთის დასახლებული პუნქტის ეკონომიკური დაწინაურებისთვის. კლავდიოს პტოლემეაიოსი (ახ. წ. 90-168 წწ.) “გეოგრაფიული სახელმძღვანელოს” მეათე თავში აღწერს ახ.წ. II ს-ის 20-60-იანი წლების იბერიის საზღვრებს და ჩამოთვლის მტკვრისპირა ქალაქებს და სოფლებს:² სოფ. ლუბიონი (არაგვის სათავეებთან) აგინა, უასაიდა, უარიკა, სურა (არადეთი)³, არტანისსა, მესტლეტა(მცხეთა), ძალისა, ჰარმაკტიკა (არმაზციხე). 4. მდ. მტკვრის მიმართულებით ცენტრალური ამიერკავკასიის ერთადერთ მთავარ სავაჭრო საქარავნო გზას უერთდებოდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზები. მტკვრის „გაღმა მხარი“ ითვლებოდა მარჯვე, უსაფრთხო და უმოკლეს გზად, როგორც სატრანსპორტო საშუალებებისთვის, ისე მოლაშქრეთათვის. ამ გზების ეკონომიკური თუ პოლიტიკური მნიშვნელობა, თავს დატეხილი დიდი საფრთხეების გამო,

¹ ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957; წიგნი XI, თავი III, გვ. 127-129;

² ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემეაიოსი “გეოგრაფიული სახელმძღვანელო” ცნობები საქართველოს შესახებ, მსკ 32, თბ., 1955;

³ შშვილდაძე მ., იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით, (დისერტაცია) თბ., 2015, გვ. 79;

მართალია სუსტდებოდა ისტორიული რეალობიდან გამომდინარე, თუმცა არასოდეს გამქრალა. ქართული წერილობითი წყაროების და ისტორიულ-არქეოლოგიური მასალების მიხედვით ქალაქის დაარსების ერთ-ერთი პირობა, მასზე გამავალი სავაჭრო-სატრანზიტო გზის გარდა გეოგრაფიული მდებარეობა და თავდაცვითი ნაგებობა, ზღუდე-გალავანი იყო, რომლის კვალი შემორჩენილია სოფ. ზღუდერთან. ახ. წ. II-III სს. მძოვრეთის დაწინაურება და საქალაქო ცხოვრების აღმავლობა დაადასტურა ზღუდერის 1964-1966 წწ. არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი გ. ნემსაძე).¹ ექსპედიცია დაიგეგმა სოფ. ზღუდერში მცხოვრები თ. მეღოშვილის ცნობის საფუძველზე. აღიღებული მდინარე იმერხევის წყალი (ღვანანა) გადავარდა მდ. ძამაში და ჩამორეცხა მარცხენა ნაპირის მოზრდილი ბორცვი, სადაც ექსპედიციამ ზღუდერში აღმოაჩინა სამი ადგილობრივი წარჩინებულის მდიდრული სამარხი, რომელიც თარიღდება ახ.წ. II-III საუკუნეებით. აღმოჩენები²

¹ ბრანდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანბური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250 წწ.) თბ., 2009, კვ. 3, 54, 93-94; Г. М. Немсадзе погребения иберийской знати из згудери. Академия наук сср институт Археологии Краткие сообщения средневековые древности москва 1977, стр. 108-114;

² №1 სარკოფაგის ნახშირიან ფენაში აღმოჩნდა უნიკალური ვერცხლის ჭურჭელი: ორი ვერცხლის ლანგარი, ვერცხლის დოქი და მინის ჭურჭელი (ლანგარი, თასი, სანელსაცხებლე). არწივის გამოსახულებიან ლანგარზე იდო ორი ოქროს მივიშილაკი ამოზიდულ თვალბუდეში ჩასმული ლალის თვლებით. აქვე აღმოჩნდა მინის ცისფერი მძივი პატარა მინის ფიგურული სანელსაცხებლე, ოქროს ბეჭედი სარდიონის ინტალიოთი, კაბრიასის და მატრონას გამოსახულებით. ოქროს მავთულ-ხვეული რგოლისებრი სამაჯურები და ასეთივე ოქროს ბეჭედი, არწივისა და კურდღლის ინტალიოთი. ვერცხლის ბალთიანი ქამარი, ბრინჯაოს ორიგინალური საცეცხლური-ხარის თავი და ვერცხლის 5 მონეტა. კარაკალას

(211-217 წწ.) ოქროს მონეტა, ერთი კომოდის (180-192 წწ.) რომელთაგან ყველაზე გვიანი ალექსანდრე სევერუსის (ახ.წ.228წ.) პერიოდის. გოტარზე პართელის (ახ.წ.40-51წ.) პართიული 5 დრაქმა და ავეუსტუსის 4 დენარი იყო. აქედან გამომდინარე, მკვლევარების ვარაუდით სარკოფაგი ახ.წ.230წ. ფარგლებში ჩაუდგამთ. თ. მედოშვილის ცნობით გათხრების დაწყებამდე მიცვალებულთან უპოვიათ ვერცხლის სურა, ბალთებიანი ქამარი და ბევრი ვერცხლის ფული. 20მ. დაშორებით, აღმოჩნდა №2 სარკოფაგი ორი მიცვალებულის ჩონჩხით. მდიდრულ სამარხეულ ნივთებში საყურადღებოა იმპერატორ გორდიან III-ის (ახ.წ. 240წ.) ოქროს მონეტა, როგორც ჩანდა, მიცვალებულს პირში ჰქონდა ჩადებული (როგორც იმპერატორის ცხოვრებისაკენ მიმავალი გზის გადასახდელი საზღაური. მარჯვენა ხელთან იღო საცეცხლური (ბრინჯაოს და რკინის ბომონები) და თიხის ჭურჭელი. მარჯვენა მარჯვნივ ეკეთა ოქროს რგოლისებრი მავთულ-ხვეული სამაჯური. მარცხენა ხელზე ე.წ. გრილოსის (მითიური ქმნილება) ბეჭედი. მეცნიერები მიუთითებენ, რომ ეს სარკოფაგი უკვე გამოყენებული იყო, სანამ აქ ამ მიცვალებულს ჩაასვენებდნენ. მასში აღმოჩნდა ცუდად შემონახული მეორე ჩონჩხის ნაშთი. მარჯვნივ იღო ვერცხლის ლანგარი ძაღლის და ტახის გამოსახულებით. ლანგარზე იღო რაღაც ნეკნები (შესაძლოა საკრალური მნიშვნელობის. ვფიქრობთ, ხომ არ უკავშირდება შუმერული მითოლოგიიდან („ენქი და სამყაროს შექმნა“) ადამიანის თიხისაგან გამოძერწვა და მისი ნეკნის დაკავშირება ქალთან. ქალღმერთ ნინმასთან (ნინთი - რაც „ნეკნის ქალსაც“ნიშნავს, ეს მითოლოგიური სიუჟეტი აისახა ძველ ალთქმამიც. ან მეორეს მხრივ ხომ არ იყო შუმერულ-აქადელთა შეხედულების, ადამიანის დანიშნულების „ღმერთთა სამსახურისთვის“ მზადყოფნის საკრალური ნიშანი) და ალექსანდრე სევერუსის (ახ.წ.228 წ.) ოქროს მონეტა. ლანგარზე იყო გელლოსის ინტალიო. მეორე ლანგარი ცხენის და საკურთხევლის გამოსახულებით. ასევე აღმოჩნდა ოქროს ბეჭდები, ოქროს საკიდი საყურეები. ოქროს ფირფიტები, ორიგინალური ბრინჯაოს საცეცხლური გირჩით, რკინის სანათური და თიხის ჭურჭელი. მკვლევარები ვერცხლის ჭურჭლის დეკორის მიხედვით და ნუმისმატიკური მასალით უპირატესობას III ს. დათარიღებას ანიჭებენ (ახ.წ.240 წ. შემდგომი პერიოდით). მეორე სარკოფაგიდან 80მ. დაშორებით, აღმოჩნდა ვერცხლის დასამარხი სარეცლის ფრაგმენტები, რაც მიანიშნებდა №3 სარკოფაგის ადგილმდებარეობას. სადაც ორი მიცვალებული ერთდროულად იყვნენ დასაფლავებულნი. აქვე აღმოჩნდა ოქროს კილი-

მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი საკვლევი თემისთვის, რომელმაც არაერთი ფაქტოლოგიურ-ქრონოლოგიური ხასიათის კორექტივი შეიტანა, როგორც მძოვრეთის ქალაქის დაარსებაში, ასევე მძოვრეთის წინაქრისტიანული, ელიტარული საზოგადოების ცხოვრების წესში. ზღუდერის უნიკალური საგანძურის აღმოჩენა თითქმის უცნობი და სათანადოდ შეუფასებელი დარჩა ფართო საზოგადოებისთვის. მაშინ, როცა არქეოლოგები თავიდანვე მიანიშნებდნენ, რომ ზღუდერის სარკოფაგებში დაკრძალული იყო იბერიის წარჩინებულთა საგვარეულო, დაახლოებით იმავე რანგისა როგორც არმაზისხევის პიტიახშები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის გამოცემულმა

ტები, ბეჭდები, საყურეები. მარჯვენა მიცვალებულს ორივე მაჯაზე ოქროს სამკაული ეკეთა, თითო მაჯაზე 10 ცალის ოდენობით. მასვე ეკეთა მოზრდილი ოქროს საყურეები, რომლებსაც ვერძის თავები ამშვენებდათ. მარცხენა მიცვალებულს ეკეთა შესანიშნავი კამეო-გულსაკიდი, ბეჭედი ინტალითი. უნიკალური ვერცხლის ჭურჭელი, არმაზული წარწერებით. პატერა, საიდანაც ამოვიდა მრავალფეროვანი ვერცხლის ჭურჭელი, ვერცხლის საყოფაცხოვრებო ნივთი ვერცხლის ლურსმანი და ვერცხლის „სარჩული“ და რკინის ნივთები, ვერცხლის პატარა ბიუსტი-ლომის ქანდაკება. მისი თაყვანისცემა ანტიკური ხანის საქართველოში საკმაოდ ფართოდ იყო გავრცელებული, რაზეც მიანიშნებს ძვ.წ. VI ს. კოლხურ თეთრზე (შუბლზე) ფაფარაყრილი ლომისთავის გამოსახულება. მის თათებთან - ოქროს ოთხი მონეტა: დომიციანეს (ახ.წ. 7-78 წ.) აურეუსი, ფაუსტინა უფროსის (141-176 წწ.) ოქროს მონეტა მის ზურგს უკან. მარჯვენა მიცვალებულთან აღმოჩნდა ანტონინუს პიუსის მონეტა (138-161 წწ.) და კომოდუსის (180-192 წწ.) დენარი. მესამე სარკოფაგის გარეთ აღმოჩნდა ორი ცხენის ჩონჩხი. ამრიგად, ოქროს მონეტების ქრონოლოგიური თანმიმდევრობა გვიჩვენებს, რომ მესამე სარკოფაგი ყველაზე ადრეული ხანისაა აქ აღმოჩენილი მონეტებიდან ყველაზე გვიანი მიეკუთვნება იმპერატორ კომოდუსს ახ.წ. 190 წ. მკვლევართა მიერ დადგენილ იქნა, რომ პირველად ჩაუდგამთ სარკოფაგი №3, ახ.წ. 200 წლის ახლოს. შემდეგ მოდის სარკოფაგი №1, დაახლოებით ახ.წ. 230 წლისთვის და ბოლოს სარკოფაგი №2, დაახლოებით ახ.წ. 250 წლისთვის.

ილუსტრირებულმა წიგნმა¹ გააცნო ქართულ და ევროპულ სამეცნიერო საზოგადოებას, ზღუდერის უნიკალური საგანძური. მკვლევართა მოსაზრებით აღმოჩენილ რამოდენიმე ნივთს (ბრინჯაოს გრიფონი და ვერცხლის ჭურჭელი) პარალელი არ მოეძებნება მსოფლიო არქეოლოგიაში. ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის კ. მაჩაბლის მოსაზრებით გვიანანტიკური ვერცხლის ახ.წ. II-III სს. აღმოჩენას განსაკუთრებული ღირებულება აქვს, განსხვავებით I საუკუნის ძეგლებისაგან, რადგან ამ პერიოდის ვერცხლი საკმაოდ იშვიათია ევროპის მონაპოვრებში.² სამარხებში აღმოჩენილი რომაული წარმოშობის საგანძურის შესახებ სპეციალისტები არ გამორიცხავენ რომში ფარსმან II-თან ერთად ზღუდერის წარჩინებულთა მონაწილეობას.³ ვერცხლის ჭურჭელთან ერთად იმპერატორის გამოსახულებიანი ოქროს მონეტები, არ იყო მიმოქცევაში. იგი მხოლოდ დიპლომატიური საჩუქრების სახით გაიცემოდა იმპერატორისაგან ახ.წ. I საუკუნიდან III ს. შუახანებამდე, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ, თვით იბერიის მეფეებს მიეგოთ ასეთი პატივი ერთგულ ქვეშევრდომთათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ პერიოდის წარჩინებულ პიტიახშთა ყოფასა და საქალაქო ცხოვრებაზე წერილობითი წყაროები არ მოგვეპოვება, აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალა ერთადერთი უნიკალური, ავთენტური პირველწყაროა ჩვენი საკვლევი თემისთვის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროდ მივიჩნიეთ წარმოგვედგინა სამარხებიდან მხოლოდ

¹ ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ. ნემსაძე გ. საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250 წწ.) თბ. 2009, გვ. 3, 54, 93;

² მაჩაბელი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983, გვ. 9;

³ ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250 წწ.), თბ., 2009, გვ. 3;

განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე უნიკალური განძის აღწერილობა, სპეციალისტების აზრის გათვალისწინებით შეგვეფასებინა მათი მნიშვნელობა ნაქალაქარის დღემდე უცნობი ისტორიის რეკონსტრუირებისათვის.

ზღუდერში აღმოჩენილი ვერცხლის ჭურჭელი დიდი ოსტატობით და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული. ორიგინალობით გამორჩეულ ადგილობრივ ვერცხლის ნაწარმზე ასახულია გვიანანტიკური ეპოქისათვის დამახასიათებელი მხატვრული ტენდენციები. მეორე ნაწილი ჩვეულებრივი სახმარი სუფრის ჭურჭელია, რომელიც ადგილობრივი ნაწარმია და ატყვია რომაული ელინისტური გავლენა. ვერცხლის ნაკეთობათა განსაკუთრებულ ჯგუფს წარმოადგენს ზღუდერის დიდი ზომის პინაკები (№2 სამარხი), რომლის ცენტრში მოთავსებულია საკურთხევლის წინ მდგომი ცხენის გამოსახულება. III ს. პინაკებზე ცხენის გამოსახულება დამზადებულია საკრალური მნიშვნელობით, საქმე უნდა გვექონდეს ცხენის კულტთან. მძოვრეთის ტორევეტიკაში ნათლად ჩანს „წმინდა ცხოველთა“ შორის ცხენის კულტის უპირატესი როლი. შეიმჩნევა რა ახალი რელიგიური ნაკადები, მკვლევარები შესაძლო მითრას კულტის გავრცელების არიალის კვალზეც საუბრობენ. სამარხში აღმოჩენილია ვერცხლის ლანგარზე დადებული ცხენის აღკაზმულობა: ვერცხლის აბზინდები და შესაკრავი მოწყობილობები უნდა მიანიშნებდეს დაკრძალვის რიტუალის მონაწილე ცხენის, როგორც მხედრის, იმქვეყნიური ცხოვრების თანმხლებ არსებაზე.

ზღუდერის №2 სამარხში აღმოჩენილი ვერცხლის პინაკის ფსკერზე გამოსახულია მოოქროვილი ძაღლი და ტახტი. მსხვერპლშეწირვის სარიტუალო ჭურჭელი, ზღუდერის ვერცხლის პინაკი რელიგიურ-რიტუალურ სიუჟეტს და ტახის/ღორის კულტის არსებობას ადასტურებს. ზღუდერის

პინაკი თარიღდება III საუკუნით. ღორის კულტთან დაკავშირებული არქეოლოგიურ მონაპოვართა სიმრავლე და განსხვავებული სარიტუალო წეს-ჩვეულებანი ამის საფუძველს იძლევა. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ტახნი/ღორი მოიაზრებოდა ოჯახის სიუხვის, სიმდიდრის, ზვავისა და ბარაქის მომტან სიმბოლოდ და ოჯახის მფარველად ავი სულებისაგან.


ელინისტურ-რომაული რიტუალური ჭურჭლის მნიშვნელოვანი ნიმუშია ე.წ. „სამსხვერპლო პატერა“. მკვლევარები ო. ლორთქიფანიძე, რ. გორდეზიანი, კ. მაჩაბელი პატერას იმპორტირებულ ჯგუფს მიაკუთვნებენ. ზღუდერში აღმოჩენილი ბრინჯაოს პატერას ფართო პირი მთავრდება ვერძის თავის სკულპტურული გამოსახულებით. იგი განსაკუთრებით საინტერესოა იმით, რომ სახელური და თასის შეერთების ადგილი ამ დიზაინის სუსტი ადგილია და ძველადვე შეუკეთებიათ სქელი ბრინჯაოს მავთულით. სპეციალისტებს სხვადასხვა ახსნა აქვთ მასთან დაკავშირებით, ყველაზე მისაღები მოსაზრებით პატერა შესაწირად გამოყენებული დანიშნულების ჭურჭელია, განწმენდის რიტუალის ჩასატარებლად. ვერძის კულტის არსებობა საქართველოსა და კავკასიაში მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო ყოფაში მეცხვარეობის განვითარებას. ინკრუსტაცია აახლოებს მსგავსებას - გერმანიაში, რეინბერგში აღმოჩენილ პატერასთან.¹ სპეციალისტებს ზღუდერის პატერა მნიშვნელოვან აღმოჩენად მიაჩნიათ, რომელიც შესაძლოა იყოს ყველაზე უძველესი აღნიშნული ტიპის პატერებიდან, მასთან აღმოჩენილი კომოდიუსის აურეუსის მიხედვით თარიღება ახ.წ. 190 წლით.

¹ ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ., ნემსაძე გ., საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ.წ. 200-250 წწ.), თბ., 2009, გვ. 88;

ზღუდერის ელიტარული სამარხების ინფორმაციულობას და აღმოჩენის მნიშვნელობას მნიშვნელოვნად ამდიდრებს ბერძნულენოვანი და არმაზული წარწერები. მესამე სარკოფაგმა წარმოაჩინა არა მარტო მდიდარი ინვენტარი, არამედ არამეულის ადგილობრივი ფორმის, „არმაზულად“ ცნობილი უნიკალური დამწერლობა ვერცხლის ჭურჭელზე. სპეციალისტთა შორის საკამათო აღმოჩნდა მათი დათარიღების საკითხი. კ. მაჩაბელი მესამე საუკუნით დათარიღებას აძლევს უპირატესობას და ვერცხლის ჭურჭელს იბერიაში დამზადებულად მიიჩნევს. №3 სამარხიდან განსაკუთრებით საინტერესოა ვერცხლის თასზე ამოტვიფრული ბერძნული სახელი „ეუფრატეს“, რაც მფლობელის სახელი შეიძლება ყოფილიყო. ბერძნული ასოების მოყვანილობის მიხედვით თ. ყაუხჩიშვილი ახ.წ. I საუკუნით ათარიღებს.




ამ სამარხშივე აღმოჩენილ იქნა მეორე ბრტყელი ვერცხლის ლანგარი, უკანა მხარეს ამოფხაჭნილია არმაზული წარწერა, სახელი „ტრაპტ“




დ. ბრაუნდის წაკითხვით სახელი - „ატროპატესს“ ბერძნულია.¹ მ. ჭელიძის ვარაუდით შესაძლოა ჭურჭლის მფლობელის სახელს წარმოადგენდეს.¹

¹ იქვე, გვ.78;

აქვე აღმოჩნდა კიდევ ერთი ვერცხლის თასი არმაზული წარწერით - ხუთი არმაზული ასოთი. აღმოჩენილ არმაზულ წარწერას - „ჩემი ლანგარი“, „ჩემი თასი“. კითხულობს მკვლევარი მ. მჭელიძე, რომლის მოსაზრება გაზიარებული იქნა სპეციალისტების მიერ.



№3 სამარხში აღმოჩენილ ვერცხლის კოვზის ტარზე ბურთულიანი დაბოლოებით, აღმოჩნდა ორენოვანი წარწერა ბერძნულ და არამეულ ენებზე. თ. ყაუხჩიშვილი და მ. ჭელიძე წარწერას ახ.წ. II- III სს. ათარიღებენ.²



1986წ. დედოფლის მინდორზე, სოფ. დოღლაურთან, არქეოლოგიური გათხრების დროს, აღმოჩენილი იქნა გრავირებული ძვლის ფირფიტებზე არამეული დამწერლობის ის სახეობა, რომელსაც „არმაზულს“ უწოდებთ. ზღუდერიდან 10 კმ-ზე მდებარე სოფ. ურბნისში ქვევრის პირზე აღმოჩენილი არამეული წარწერა გ.წერეთელმა „არმაზული“ დამწერლობის საუკეთესო ნიმუშად შეაფასა და II-IV სს. დაათა-

¹ ჭელიძე მ., ეპიგრაფიკული შენიშვნები, სემიოტიკური ძიებანი, V, თბ., 1990, გვ. 73;

² ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 268;

რიდა.¹ აღმოჩენები სრულ საფუძველს იძლევა დავასკვნათ, რომ ძამის ხეობის წარჩინებული საზოგადოება არა მარტო ფლობდა და იყენებდა ადრექრისტიანულ არმაზულ და ბერძნულ დამწერლობას, არამედ სამეწარმეო საქმიანობაშიც ძვ.წ. I-ახ.წ. IIIსს. ფართოდ იყენებდა. კ. მაჩაბელის შეფასების გათვალისწინებით ზღუდერის გამორჩეული ტორევეტიკული ძეგლები, სხვა ანტიკური ხანის ძეგლებთან ერთად მხატვრული ღირსებებითა და ტექნიკური ოსტატობით მსოფლიოში სახელგანთქმული ანტიკური სამყაროს ვერცხლის ჭურჭლის საუკეთესო ნიმუშებს შეიძლება ამოვუყენოთ გვერდით.

ზღუდერის სამარხებში აღმოჩენილი მნიშვნელოვანი გლიპტიკური ძეგლებიდან საკვლევი თემისთვის გამოვყოფთ რამდენიმე უნიკალურ ნივთს: №1 სამარხში აღმოჩენილ ორმაგ-პორტრეტთან ოქროს ბეჭედს სარდიონის თვლით ამკობს ახალგაზრდა ქალისა და მამაკაცის პორტრეტი. ინტალიოზე ბერძნული წარწერით, კაბრიასი და მატრონა (ლათინურად გათხოვილ ქალს ნიშნავს). წყვილადი პორტრეტების გამოსახვა გემაზე რომაულ გლიპტიკაში ახ.წ. I-IIIსს. გავრცელდა. პორტრეტები უდიდესი გემოვნებითაა შესრულებული. ზღუდერის გემაზე გამოსახულ ქალისა და მამაკაცის ვარცხნილობა და პორტრეტი მცირეაზიულ პორტრეტებთან მსგავსების საფუძველს აძლევდა სპეციალისტებს, თუმცა არ გამორიცხავენ ქალის თავსაბურავის მიხედვით ადგილობრივი ნაწარმი ყოფილიყო, რასაც ეთანხმება თ. ყაუხჩიშვილი.² 1940წ. არ-

¹ ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964, გვ. 54-55;

² ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ. 263;

მაზისხევში ე. წ. ბერსუმა პიტიახშის სამარხში,¹ აღმოჩენილი ბერძნული წარწერა საფუძველს გვაძლევს ცნობილი პიტიახშების გვერდით (ზევახი, ასპარუგი, შარაგასი, ბუზმირი, პუბლიკიოს აგრიპა) კაბრიასი პიტიახშ-ერისთავად მოვიხსენიოთ. ბუნებრივია ჩნდება ლოგიკური კითხვა რა გვაძლევს ასეთი დასკვნის გამოტანის საფუძველს მხოლოდ ჩვენი ინტერპრეტაცია, თუ სპეციალისტთა კვლევის შედეგები: 1. მართალია, სახელი კაბრიასი კარგად ცნობილი რომაული სახელია, მაგრამ ბერძნულ-რომაულ სამყაროსთან მჭიდრო და ხანგრძლივი სავაჭრო პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა მოსახლეობაში, მათ შორის, წარჩინებულთა სავაჭარეულო სახელებზე უფრო სწრაფად აისახებოდა. 2. საკვლევი საკითხისთვის მნიშვნელოვანი აღმოჩენაა ზღუდერის №2 სამარხიდან ფრაგმენტის სახით ჩვენამდე მოღწეული ვერცხლის დიდი ლანგარი, რომელზედაც გარედან, იკითხება მჭიდრო პუნქტირით გამოყვანილი ბერძნული წარწერა, „მე ვუბობებ საჩუქრად“. 3. ვფიქრობთ, ზღუდერის ლანგარიც ისეთივე საჩუქარია, როგორც ბერსუმა პიტიახშის. ლანგარის ბოძება თითქმის თანადროულია ზღუდერის პიტიახშის. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ არმაზისხევში იკითხება წარწერა. 4. ამ მხრივ საინტერესოა თ. ყაუხჩიშვილის კვლევის შედეგად გამოთქმული მოსაზრება, ზღუდერის ლანგარის ფსკერზე, პუნქტირით შესრულებული წარწერა, მართალია, თითქმის არ იკითხებოდა, მაგრამ მკაფიოდ ჩანდა **A** ასო.²

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 53;

² ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009, გვ.268;

ამავე სამარხში აღმოჩნდა ოქროს ბეჭედი არწივის და კურდღლის ინტალიოთი. მასზე გამოსახულ ფრთაგაშლილ არწივს კურდღელი უპყრია და ჰკორტნის. არწივის გამოსახულებას საქართველოში უძველესი ტრადიცია აქვს. ძველი აღმოსავლეთის გლიპტიკაში კი ყველგან სამეფო ფრინველად ითვლებოდა. არწივი, რომელსაც კლანჭებში რომელიმე ცხოველი უჭირავს ანტიკურ სამყაროში ოლიმპიელი ზევსის სიმბოლოს წარმოდგენდა და გამარჯვების მომასწავებლად ითვლებოდა. თავად არწივი, როგორც ძალაუფლების, ცისა და მზის, ძღვევამოსილების სიმბოლო, ხშირად გვხვდება აღმოსავლეთის ხალხთა რწმენა-წარმოდგენებში. ძველ აღმოსავლურ მითოლოგიაში კი არწივის, როგორც ღმერთების მაცნის ფუქცია არაერთგზის დასტურდება. გემა ბეჭდის თანადროულია და თარიღდება ახ.წ. III საუკუნით.

№2 სამარხში აღმოჩენილი ხუთი ოქროს ბეჭდიდან განსაკუთრებული მნიშვნელობით გამოირჩევა ბეჭედი შავი გაუმჭვირვალე მინის თვლით. ინტალიო გამოსახავს შუახნის, ნახევრად მელიოტი მამაკაცის ბიუსტს, გრძელი წვერით, კეფისა და მარჯვენა მხრის უკან ბერძნული წარწერით. რეალისტურად შესრულებულმა პორტრეტმა სპეციალისტთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. დ. ბრაუნდის მიერ დამატებითი კვლევით აღმოჩენილი შუბლის მორთულობამ აჩვენა მისი სტატუსი იბერიის ელიტაში. მას ადგილობრივ წარმოებად თვლის და კითხულობს „გელლოსის“.

№2 სარკოფაგიდან უნიკალურობით გამოირჩევა ოქროს ბეჭედი გრილოსით. მითიური ქმნილება აერთიანებს სხვადასხვა რეალურად არსებული ქმნილებების ნაწილებს. ცენტრში გამოსახულია მამაკაცის თავი თხელი ბაკებით და აპრეხილი წვერით, თავს მაღლა გამოსახულია ცხენის პროტომი და გველის ენა. თავი დგას ჩიტიის ფეხებზე. ასეთ არსებებს გრი-

ლოსებს უწოდებდნენ. ისინი გლიპტიკაში გავრცელდა ახ.წ. II-IV სს. ჩიტის ფეხებზე შემდგარი გამოსახულება ციური, ზეციური სიძლიერის მიმანიშნებელი სიმბოლოა, მოგვაგონებს, რომ უძველესი დროიდან ადამიანის წარმოდგენაში ფრინველები უშუალოდ დაკავშირებულნი იყვნენ ზეციურ სამყაროსთან, ანარეკლია წარმართული პანთეონის რწმენა-წარმოდგენებისა და, ვფიქრობთ, ფრინველის გამოსახულებას ჰქონდა არა მხოლოდ მხატვრულ-ესთეტიკური ხასიათი, არამედ საკულტო-სარიტუალო დანიშნულება. გრილოსის აღნიშნული ბეჭედი, ინტალიო ავი თვალის საწინააღმდეგო მაგიას წარმოადგენდა და ავგაროზის დანიშნულება ჰქონდა. ზღუდერის მსგავსი გრილოსი იბერიიდან მხოლოდ მცხეთაშია აღმოჩენილი¹.

№3 სამარხში აღმოჩენილი უნიკალური სარდონიქსის კამეოზე, ზღვის ქალ-ღვთაება პლასტიკურად და რეალისტურად ამოჭრილ მოცურავე დელფინის ზურგზეა წამოწოლილი. მკვლევარები ვარაუდობენ, რომ აქ შეიძლება გამოსახული იყოს, არა მხოლოდ ნერეიდა, არამედ ქალ-ღვთაება ლევკოთეა, რომელსაც მნიშვნელოვანი ტადარი და კულტმსახურება ჰქონდა იბერიაში. ნერეიდებთან ერთად ის ითვლებოდა მიცვალებულთა საიქიოში გამცილებლებად. სტრაბონი ფაზისიდან შორაპნამდე კოლხთა ვაჭრობის აღწერის შემდეგ მოსხთა ქვეყანაში ახსენებს ლევკოთეას სამლოცველოს². მკვლევართა ნაწილი ფიქრობს ქართული წარმართული პანთეონის ღვთაებას, რომელიც გარეგნული ნიშნებით ემსგავსება ბერძნულ ლევკოთეას. მას თაყვანს სცემდნენ, როგორც

¹ აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 191;

² ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, წიგნი XI, გვ. 124

ნაყოფიერებისა და მოსავლიანობის ადგილობრივ ქალღვთაებას. ბერძნულ მითოლოგიის თანახმად ლევკოთეა იყო დიონისეს გამზრდელიც, ამიტომ თაყვანს სცემდნენ მასაც, როგორც მეღვინეობისა და მევენახეობის მფარველს. ქ. ჯავახიშვილის შეფასებით, კამეოს შემქმნელი ხელოვანი სრულყოფილად ფლობს, როგორც პლასტიკის, ისე ფერწერული ხელოვნების ხერხებს და მათი ოსტატური კომბინაციით შესანიშნავ მხატვრულ ეფექტს აღწევს. ათარიღებენ ახ.წ. III ს. რადგან სტილითა და კვეთის მანერით სრულიად განსხვავდება ახ.წ. III ს. კამეოებისგან. მკვლევარების ვარაუდით ზღუდერის კამეო ყველაზე დიდ მსგავსებას იჩენს რომაული ხანის სამ კამეოსთან, რომელთაგან ერთი ბრიტანეთის მუზეუმშია დაცული.¹

ამრიგად, ზღუდერის საგანძურის გლიპტიკური ძეგლები ბერძნულ-რომაულ და აღმოსავლურ ცივილიზაციასთან კავშირზე მიუთითებს, ზღუდერში აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების აღწერილობა არაფრით ჩამოუვარდება რომაულს და იმდენად სრულყოფილ დონეს აჩვენებს, რომ სპეციალისტებს ხშირად უჭირთ ადგილობრივ ნაწარმად აღიარონ. ნაქალაქარზე მოპოვებული არქეოლოგიური მასალა მნიშვნელოვანი წყაროა ასევე მძოვრეთის რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისათვის. ზღუდერში აღმოჩენილმა ნუმიზმატიკურმა მასალებმა შესაძლებლობა მისცა ცნობილ სპეციალისტებს დ. კაპანაძეს და გოლენკოს² საკმაო სიზუსტით დაეთარილებინათ სამარხები. მძოვრეთში ადგილობრივი მინაბადებიდან ავგუსტუსის დენარები განსაკუთრებით პოპულარული ჩანს. 1971

¹ იქვე, გვ. 124

² Голенко К. В. и Капанадзе Д. Г. Монеты найденные в селении згудери (Грузинская ССР) в 1964-1965 гг. Вестник древней истории, №1, Москва, 1968 г. . Стр. 160-166;

წელს სოფ. ყელეთში (ქარელის მუნიცი.) შემთხვევით ნაპოვნი ვერცხლის „ჰიბრიდული“ მინაბადი გარშემო დამახინჯებული ლათინური წარწერით ადგილობრივ პროდუქციად ითვლება, რომელსაც ანალოგი არ მოეძებნება.¹ სპეციალისტების ვარაუდით I ს-ის სრულფასოვანი რომაული დენარების შემოსვლის შეწყვეტასთან დაკავშირებით იჭრებოდა მინაბადები. მათი მძოვრეთში დამზადების საფუძველს იძლევა მ. შეროზიას კვლევის შედეგი, რომელმაც აჩვენა, რომ შესაძლებელი იყო ადმინისტრაციულ ცენტრებში მინაბადების მოჭრა. რაც შეეხება საკითხს, როდის ჩნდება რომაული აურეუსების მინაბადები, ამაზე პასუხი 2004-2007 წწ. შიდა ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციით (ხელმძღვ. ი. გაგოშიძე) გახდა ცნობილი. დედოფლის გორაზე აღმოჩნდა დაზიანებული რომაული დენარის მინაბადი არაუგვიანეს I საუკუნისაა. 2015 წ. ქსპედიციამაც დაადასტურა, რომ ავგუსტუსის დენარის მიმოქცევაში ჩართვისთანავე ჩნდება ადგილობრივი მინაბადები და საკმაოდ დიდხანს იყო მიმოქცევაში, ვიდრე იყო მოთხოვნა თავად ორიგინალზე I საუკუნის მიწურულიდან III ს. ჩათვლით. ოქტავიანე ავგუსტუსის დენარების მინაბადების სპექტრული ანალიზით არ გამოირიცხა ერთი და იმავე სახელოსნოს ნაწარმი ყოფილიყო. აქვე აღინიშნა, რომ მონეტები, რომელიც დამზადებულია დაბალი სინჯის ვერცხლისაგან, ყველაზე გვიანდელ ნიმუშად არის მიჩნეული და დათარიღებულია III საუკუნით.² ეს ყოველივე მიუთითებს ფულის ამ

¹ დონდუა გ., სოფ. ყელეთში 1971 წელს აღმოჩენილი რომაული დენარის იშვიათი მინაბადი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972, გვ. 40;

² შეროზია მ., ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბადების შესახებ, იბერია კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიური-ისტორიული კვლევა-ნი, (რედ. გ. გამყრელიძე), თბ., 2009, №5, გვ. 65-66;

ერთეულზე ბაზრის დიდ მოთხოვნილებას მიკრორეგიონში. ამის შემდეგ გასარკვევი რჩება საკითხი ვის შეეძლო რომაული აურეუსების მინაბადების მოჭრა. ამ საკითხზე საინტერესოა ა. აფაქიძის მოსაზრება პიტიასშების მიერ ფულის მოჭრის შესახებ.¹ დ. კაპანაძემ მოსაზრება თავიდან საეჭვოდ მიიჩნია, შემდგომი კვლევების საფუძველზე ადგილობრივი მოჭრის შესაძლებლობა დასაშვებად ჩათვალა.² ამდენად, თუ სპეციალისტთა ვერსიას გავყვებით, მაშინ შეგვიძლია ეს მტკიცებულებად ჩავთვალოთ და მძოვრეთში აღმოჩენილი მინაბადები, პიტიასშების ადგილობრივი ზარაფხანის „შედევრად“ მივიჩნიოთ. ზღუდერის არქეოლოგიურმა გათხრებმა უტყუარი ფაქტობრივი მასალით დაგვიდასტურეს გვიანანტიკური მძოვრეთის საქალაქო მეურნეობის, ისეთი დარგების არსებობა, როგორც იყო, მინის ნელსაცხებლების და ზეთსახდელების წარმოება, რაც წერილობითი წყაროებით დღემდე უცნობი რჩებოდა.

ნაშრომისთვის მეტად ღირებულია ექსპედიციის ხელმძღვანელის გ. ნემსაძის ანგარიშის ის ნაწილი, სადაც საუბარია გვიანანტიკური ხანის გათხრების უბანზე: „ნაგებობის საძირკვლის სიგანე 1,5 მეტრს აღწევს ... რეკონსტრუქციის შემდეგ პირველ ფენაზე უშუალოდ დაუდგამთ მეორე, ისეთივე ნაგებობა. ორივე ფენა წარმოადგენს თითოწყებიან რიყისა და კლდის ნაგლეჯი ქვებით ნაგებ საძირკველს. ზედა ფენის წყობას დატანებული აქვს საძირკვლის სიგანის ზღურბლი. ამ საძირკვლების თავზე მოთეთრო-მოყვითალო თიხის ფენა, რაც უეჭველად ალიზის კედლის ნაშთი უნდა იყოს... გადაჭრილია შედარებით განიერი (1,6-1,65მ) „ბურჯის“ მსგავსი

¹ აფაქიძე ა., ახალი არქეოლოგიური მასალები სოფელ ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1944, გვ.443;

² კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969, გვ. 44;

ნაგებობის ქვის წყობით...“¹ ამონარიდი ამყარებს მოსაზრებას, რომ რეკონსტრუქციის შემდეგ, ზედაფენის საძირკველში, დამატებითი სიმტკიცის მიზნით „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობა ქვის წყობით გაუმაგრებიათ, რაც ჩვენი აზრით მტკიცებულებაა იმისა, რომ გვიანანტიკური ხანის ნაგებობება (ქვედა ფენის გამოკლებით) დაშენებულია კელლის მეორედ რეკონსტრუქციის შემდეგ. აღწერა ორგვარი ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა. ჯერ ერთი თუ გავითვალისწინებთ, რომ ახ.წ. II ს. ბოლოს მომხდარა დამანგრეველი მიწისძვრა და ხანძარი, რაც გამოავლინა დედოფლის მინდორის არქეოლოგიურმა გათხრებმა, მაშინ ამ კატასტროფის შემდეგ უნდა გამხდარიყო მეორედ რეკონსტრუქცია მძოვრეთისა, ზღუდე-გალაენის გამაგრების მიზნით, „ბურჯის“ მსგავსი ნაგებობის, ქვის წყობით დაშენება. რაც ახ.წ. II ს-ზე ადრე ნამდვილად ვერ დაიწყებოდა.

გვიანანტიკური ხანის სამარხების ახლოს გ. ნემსაძის მიერ 1965 წ. გათხარა გვიანბრინჯაო-რკინის ხანის 10 ორ-მოსამარხი და 6 ყორღანი. რამაც დაადასტურა ხეობაში გვიანბრინჯაო-რკინის ხანის უძველესი ნამოსახლარების არსებობა. ამ პერიოდის მდიდარ სამარხეულ მასალას და მათ სრულ ანგარიშებს საფუძვლიანად გავეცანით არქეოლოგიის კოლექციაზე მუშაობისას.² კვლევამ შესაძლებლობა მოგვცა აღვნიშნოთ, რომ მძოვრეთის უძველესი დასახლების (ქვედა ფენის) თავდაპირველი ზღუდე-გალაენით გამაგრება შესაძლე-

¹ ნემსაძე გ. ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქ.სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969, გვ. 54-55;

² საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის წინაფოცალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია №190-65;

ბელია ჩვ. წ. I ს. და ახ.წ. I ს. პირველ ნახევარს უკავშირდებოდა. „თრიალეთიდან მზოვრეთსა ზედათ“ ძამისა და აბუხალოს ხეობით, ამ მოხერხებული გზასაყარით, წამოსული მტრის მოულოდნელი თავდასხმის საშიშროება მტკვრის გაღმა მხრიდან მეფის რეზიდენციაზე სამეფო კარს აიძულებდა, დასახლების გამაგრება-დაცვის მიზნით ზღუდე-გალავნით შემოეზღუდა. ზღუდერის, ურბნისის, დედოფლის მინდვრის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშების შედარებითი ანალიზით და გორის ციხის კედლის ნაშთების¹ არქეოლოგიური მასალის გაცნობით ნათელი გახდა, რომ ანალოგიურია მათი ზღუდე-გალავნები მშენებლობის ტექნიკის თვალსაზრისით და, საერთოდ, ტიპურია გვიანბრინჯაო-რკინის და გვიანანტიკური ხანის იბერიის ქალაქებისთვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოვლენების ქრონოლოგიური განვითარება შემდეგი სახით გვაქვს წარმოდგენილი. ჩვ.წ. I ს. და ახ.წ. I ს. პირველ ნახევარში მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული ცენტრის გარდა შეუძლებლად მიგვაჩნია მსგავსი სიმტკიცის ზღუდე-გალავანი აშენებულიყო იბერიის სამეფოს ყოველ დასახლებულ პუნქტში. თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ ამ პერიოდში მძოვრეთი ადმინისტრაციული ცენტრი მაინც უნდა ყოფილიყო ძამის ხეობის მიკრორაიონში, ქალაქად ჩამოყალიბებამდე.

მეორე ინტერპრეტაციით, მეფეთა საგვარეულოს გრანდიოზული წარმართული ტაძრის, (ი. გაგოშიძის ანგარიშგასაწევი მოსაზრებით ზოროასტრული ტრიადის ერთ-ერთი წევრის არდვისურა ანაჰიტას ეძღვნებოდა²) და დასახ-

¹ მამისთვალისძვილი ე., გორის ისტორია I, თბ., 2018, გვ. 22-25;

² Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983. С. 1-12;

ლებული პუნქტის სურა(არადეთი) მიწისძვრითა და ხანძრით განადგურების შემდეგ, მძოვრეთი ახალ ფუნქციას იძენს. გვიანანტიკური ქალაქი შემოიზღუდა ახალი თავდაცვითი კედლებით, მტკიცე ბურჯებით გამაგრებული ზღუდე-გალანით. ზღუდე-გალანით „შემოზღუდა“ დიდ ეკონომიკურ რესურსს მოითხოვდა, რომელიც მიგვანიშნებს იმაზე, რომ დიდი ეკონომიკური შესაძლებლობის მქონე ადმინისტრაციული ცენტრია, მეორე მხრივ, ზღუდის საჭიროება მოსალოდნელი საფრთხის საშიშროებით უნდა ყოფილიყო განპირობებული, რაც პირველ რიგში დაემუქებოდა სტრატეგიული მდებარეობით და ეკონომიკური სიძლიერით გამორჩეულ ქალაქს.

1966 წ. მომიჯნავე ტერიტორიაზე კვლავ გაგრძელდა ექსპედიცია. გამოვლენილ იქნა ადრეფეოდალური ხანის, დაახლოებით IV-VI სს. დამწვარი ფენა. აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალით რადიკალური ცვლილებები ჩანს IV-Vსს. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრებაში. სასანური ირანის შემოჭრის კვალმა დამწვარ-დანგრეული ზღუდერის გალანის ნაშთის სახით მოაღწია.

VI-VIII სს. ძამის ხეობაში სამონასტრო მშენებლობის ტემპი აშკარად მიანიშნებს საქალაქო ცხოვრების აღმავლობასა და მოსახლეობის ზრდაზე. ს. მაკალათია VI-VIII სს. ძამის ხეობას კეთილ ნაშენსა და მჭიდროდ დასახლებულს წარმოგვიდგენს და იმოწმებს ლ. რჩულიშვილის მოსაზრებას, რომელიც ზღუდერის ეკლესიის უძველესი ფენას VI-VII საუკუნით ათარიღებს. VIIIს. მძოვრეთის საქალაქო ცხოვრების დაცემა და მისი სტრატეგიული მნიშვნელობის ფუნქციის მოშლა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარებით, კერძოდ, ამ მხარეში მურვან ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობით აიხსნება. ვახუშტი ბატონი-

შვილი ამის შესახებ საინტერესო ცნობას იძლევა ურბნისზე, „აღაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე“. ქვეყნის აოხრების შემდგომ როგორც ჩანს მურვან ყრუმ ცეცხლითა და მახვილით მოითარემა ძამის ხეობა, გადავიდა გუჯარეთის ხეობით და შეიჭრა სამცხეში.

საისტორიო წყაროებში ძამის ციხე X ს. მეორე ნახევარში ძამის მთავარის, ადარნასეს რეზიდენცია ჩანს, რომელიც აქტიურობდა საქართველოს სამთავროების გაერთიანებისთვის მიმდინარე ბრძოლებში. დემეტრე აფხაზთა მეფის (967-975 წწ.) წინააღმდეგ „უხმეს კაცთა ვიეთმე ამის ქუეყანისათა“. საბერძნეთში მყოფ აფხაზთა უფლისწულს თეოდოსს გამეფებას შეჰპირდნენ. საბოლოოდ ძამის ციხემ შეიფარა ტახტის პრედენდენტი თეოდოსი: „სამი თვის ალყის შემდეგ მორიგდნენ თეოდოსს ბრძოლაზე ხელი აეღო, სანაცვლოდ „წარკდეს მშვიდობით... წარვიდა წინაშე დავით კურაპალატისა“.¹ XI ს. ძამის ხეობას და ციხეს ქართლის ერისთავთ-ერისთავი განაგებდა. მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მას შემდეგ, რაც 1266 წ. სამცხე დამოუკიდებელ სამთავროდ ჩამოყალიბდა. შიდა ქართლში გადმოსასვლელ გზებზე მდებარე თორელთა სამფლობელოების ხელში ჩაგდებისთვის ბრძოლაში ჯაყელთა საგვარეულო აქტიურ მოქმედებას იწყებს და მეტად წარმატებითაც. რკონის დაწერილის მიხედვით (1260 წ.)² მეჭურჭლეთუხუცესი უკვე კახა თორელია, მის შემდეგ თორის სიუზერენია მისი შვილი გამრეკელი,

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II; ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959, გვ. 270-272;

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII სს.) შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შიშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 146;

რომელიც ფლობდა ძამის ციხეს დავით VIII-ის (1293-1311 წწ.) მეფობისას. ძამის ციხის დაპატრონებით ძამის ხეობის მფლობელებიც ხდებიან. დაახლოებით 1303-1405 წწ. ოსთა მთავარმა ბაყათარმა წაართვა ძამის ციხე თორის პატრონს და ძამის ხეობით გაღმა მხარის, თორ-თრიალეთის ხელში ჩაგდებას ცდილობდა: „აოხრებდა ბაყათარ ქართლსა.“ მონღოლები ოსებს ასახლებენ იმ პირობით, რომ ისინი მათ ლაშქრობებში მიიღებდნენ მონაწილეობას “მოლაშქრედ და თანამბრძოლედ“. მონღოლთა მხარდაჭერით გათამამებულმა „მაშინ ბაყათარ წარულო გამრეკელსა კახას ძესა, ციხე ძამისა.“ ამ ხეობის ხელში ჩაგდებით ბაყათარი მეტად საშიში შეიქმნა მესხეთის მთავრისათვის, რომელსაც თავად ეჭირათვალი თორელთა საგვარეულო მამულზე.¹ ბექა ჯაყელი მანდატურთუხუცესი ბრძოლაში ამარცხებს გამრეკელის მტერს.² საგვარეულოს შორის ქორწინებით გამყარებულ კავშირზე ცნობებს იძლევა 1408 წ. კეთილმოყვრობის წიგნი.³ ხოვლეს (ხესხევის) ეპიგრაფიკული წარწერების მიხედვით, სამცხის მთავრები წინასწარ გათვლილი პოლიტიკური ქორწინებით დაახლოებულ ჯავახიშვილთა საგვარეულოსგან, შიდა ქართლში ნამზითვად იღებენ მამულებს, რასაც რკონის დაწერილიც ადასტურებს.⁴ ძამისა და ხვედურეთის ხეობებში მათ უპირისპირდება დიდი სამფლობელოების პატრონი ორბოძლე-

¹ ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ; თბ., 1959, გვ. 317;

² იქვე, გვ. 317;

³ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, რედ. ექვთ. თაყაიშვილი, თბ., 1909, გვ. 7;

⁴ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი (IX-XIII სს.) შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 149-155;

ლთა ფეოდალური საგვარეულო. მათთან ბრძოლაში „დამც-რობილი“ და დასუსტებული საგვარეულო შტო კარგავს გავლენას ძამის ხეობაში. თორი ჯაყელების გავლენაში ექცევა. XV საუკუნიდან თორელთა გვარი ნარატიულ წყაროებში აღარ მოიხსენიება. ისტორიული საბუთების მიხედვით ფანასკერტელ-ციციშვილები შიდა ქართლში, პირველად სწორედ ძამისა და ხვედურეთის ხეობაში ღებულობენ საკვიდრო მამულებს.¹ ვერ დავეთანხმდებით ს. მაკალათიას ცნობას თითქოს: „ძამის ხეობა უნდა ყოფილიყო თავისუფალი სამფლობელო, რომელსაც ესაჭიროებოდა გამაგრება და პატრონობა.“² სინამდვილეში წყაროები აშკარად მიანიშნებენ ფანასკერტელებისგან ადგილობრივი ძლიერი საგვარეულოების, ორბოძელთა, ჩიჯავაძეთა, ჯავახიშვილ-თორელთა აშკარად შევიწროებას. აქ ჩნდება ბუნებრივია კითხვა, რატომ აძლევს სამეფო კარი უპირატესობას ფანასკერტელთა საგვარეულოს? სამეფო კარი არ დაუშვებდა სეპარატისტულად განწყობილ მთავართან, ჯაყელთა გაძლიერებულ საგვარეულოსთან „ოდესლაც“ კეთილმოყვრობის კავშირით შეკრულ „დამცრობილ“ თორელ-ჯავახიშვილთა შტოსთვის ჩაებარებინა სამეფოს საზღვრისპირა ხეობების და სატრანზიტო სტრატეგიული გზების დაცვა. მით უფრო თემურ ლენგისაგან აოხრებული მხარის აღდგენას სჭირდებოდა ძლიერი, გავლენიანი და მეფის ერთგულებაში მრავალგზის გამოცდილი საგვარეულო.

რაც შეეხება ორბოძელებს, XIII-XIV სს. ძამისა და ხვედურეთის ხეობებში დიდი სამფლობელოების პატრონია მათი ფეოდალური საგვარეულო. პირველად იხსენიებიან 1355 წ. მეფე დავით IX (1348-1360წწ.) მიერ გაცემულ სიგელში დაცული ცნობით ულუ დავითს VII -სთვის (1247-1270)

¹ მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, I, თბ., 2016, გვ. 22-23;

² მაკალათია ს., ძამის ხეობა, თბ., 1961, გვ.7;

„ორბოდელესა თეთრი ქორი მიუგურია დიდის დავით მეფისათვის და მათ ჴუედურეთს მცხეთისა გლეხნი [ო]რბოდელისათვის უბოდებია“ საჩუქრის სანაცვლოდ მცხეთის საეკლესიო მამულებს უწყალობებს ძამისა და ხვედურეთის ხეობებში, მხოლოდ ერთი პირობით თუ ეკლესია მათ გადაუხდოდა 1200 თეთრს, მაშინ ეკლესიის კუთვნილი მამულები ეკლესიას დაუბრუნდებოდა. რადგან ორბოდელთათვის აღნიშნული თანხა არავის მიუცია ისინიც მკვიდრად დაეპატრონნენ მცხეთის საეკლესიო მამულებს.¹ ამავე სიგელით ცნობილი ხდება, რომ მეფე დავით IX-ეს 1355 წ. თანხა თავად გადაუხდია და მამულები მცხეთისთვის დაუბრუნებია.² ორბოდელებს ამის შემდეგაც არ დაუტოვებიათ შიდა ქართლი, როგორც ჩანს კვლავაც მძლავრობით მოახერხეს შეენარჩუნებინათ სამფლობელოთა ნაწილი. მათ ხელში უნდა ყოფილიყო ხვედურეთის ხეობაში „ქუაბნი“-თრეხვის გამოქვაბულთა კომპლექსი, სახიზარ-სამალაგები, ყინწვისი, რომელიც მდებარეობს სანებელსა და იმერხევს შუა. თუ როდის კარგავენ საბოლოოდ სამფლობელოებს ორბოდელები, ამაზე პასუხს იძლევა მეფე კონსტანტინე II-ის 1467 წ. განახლებული დოკუმენტი.³ კონკრეტულად რა ღალატი ჩაიდინა ორბოდელთა საგვარეულომ და შეეწირა თუ არა სამეფო კარის გავლენიანი დარბაისელის ზაქარია ფანასკერტელის სიცოცხლე, წყაროების სიმწირის გამო ძნელია მტკიცება. ის-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქარველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ, ტ. II. ტფ., 1897, გვ. 184-185;

² ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ., 2013, გვ. 46-47;

³ საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფ. 1448, აღწ 1, საქმე № 64;

ტორიულ მოვლენების ლოგიკური თანამიმდევრობა მიგვანიშნებს, რომ, სავარაუდოდ, ამ ლალატს ემსხვერპლა ზაქარიას სიცოცხლე. სწორედ ამას უნდა მოჰყოლოდა სამეფო კარისგან დაუმორჩილებელი ორბოძლელთა „დამცრობა“, სისხლის საზღაურის ფასად მათი დარჩენილი მამულების ფანასკერტელებისათვის გადაცემა, რასაც ფაქტობრივად მოჰყვა საბოლოოდ ორბოძლელთა ძამის ხეობიდან განდევნა. ორბოძლელთა ბატონობის ხანგრძლივობაზე მიანიშნებს ძამის ხეობაში ზღუდერის საკრებულოს დღევანდელი სოფ. ორბოძლის არსებობა ქარელის მუნიციპალიტეტში. ამის შემდეგ ერთგულებით გამორჩეული ფანასკერტელები კიდევ უფრო ალაზევა ალექსანდრე დიდმა 1439 წ. ზაზა ფანასკერტელს მეჭურჭლეთ-უხუცესობა უბოძა, მამამისს, ატენის ლუსმალაურის სააღაპე მამულის მწირველს (1419 წლიდან), თაყა ფანასკერტელს ატენის ხეობის სააღაპე მამულების მფლობელობა და ატენის ციხის პატრონობა. რაც შეეხება-ჩიჯავაძეთა საგვარეულოს XIV-XV სს. მიჯნაზე, ამირეჯიბია კახაბერ ჩიჯავაძე (1399-1407 წწ). მისი სულის მოსახსენებლად მისმა მეუღლემ ულუმპიამ (ბაგრატი V-ს ასული და გიორგი VII-ს და) სვეტიცხოველს შესწირა ხვედურეთში ბუკისძისეული მამული. ამირეჯიბი კახაბერ (გარდაცვლილია) და ულუმპია იხსენიებიან სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის სულთა მატეანეში. XV საუკუნიდან ამირეჯიბობა გაბელიძეთა საგვარეულოში მკვიდრდება. გ. ოთხმეზურის კვლევით ჩიჯავაძეთა ასეთი ჩართვა გაბელიძეთა სამემკვიდრეო სახელოში ამ ორი გვარის ერთიანობაზე მიანიშნებდა, რომელთაც დიდი სამფლობელოები ჰქონიათ დღევანდელი ქარელის მუნიციპალიტეტში.¹ ვახუშტი ბაგრატიონი მხოლოდ იმერელ ჩიჯავა-

¹ ოთხმეზური გ., ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, ამირეჯიბი, თბ., 2029, გვ. 19-20;

ძეებზე გვაწვდის ცნობებს.¹ ისტორიული დოკუმენტების მიხედვით, მათ შიდა ქართლშიც ჰქონიათ მამულები XIV-XV სს. მიჯნაზე.²

ამდენად, დაპირისპირებულ სამეფოებს შორის იმერეთის მთავართა, გაბელიძე-ამირეჯიბთა საგვარეულოც ვერ იქნებოდა საიმედო დასაყრდენი ძალა ქართლის სამეფო კარისთვის, ვისაც ანდობდნენ სამეფოს სამხრეთი საზღვრების დაცვას. დაახლოებით ასეთი რეალობის წინაშე აღმოჩნდა სამეფო კარი, როცა ქვეყანას დაატყდა თემურ-ლენგის ურდოების გამანადგურებელი შემოსევები.

სპარსული წყაროების ცნობას საქართველოში 1400 წ. შემოსევის შესახებ ქართული ავთენტური წყაროებიც ადასტურებენ: 1365 წ. გადაწერილი ლარგვისის პარაკლიტონის 1400 წლის მინაწერი, რკონის წარწერა და ახალი ქართლის ცხოვრების მეორე ტექსტი. მუინ აღ დინ ნათანზის მიხედვით თემურ ლენგს საქართველოზე საღვთო ომით გაულაშქრია.³ სპარსული წყაროების მიხედვით თემურ-ლენგის მარბიელი ლაშქარი ჯანბეგის ხეობაში (საამილახვრო) მოულოდნელად შეიჭრა „ჯანბეგისა მამულსა ჩაუდგა ლანგ-თემურ და აღაო რა, დაწვა და დააქცია... მოვლეს სრულიად ქართლი მოაოხრეს და დაწვეს.“⁴ ციხის აღების შემდეგ თემურ-

¹ქართლის ცხოვრება IV, ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 36, 428, 429, 821, 843, 889;

² შცსსა, №1449-1640;

³ კაციტაძე დ., „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები 116, თბ., 1965, გვ. 376;

⁴ იქვე, გვ. 145; კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 132;

ლენგმა სარდალი ამირ ჯაჰან შაჰი დაადევნა მეფე გიორგი VII-ეს (1393-1407 წწ.), თუმცა მის კვალს ვერ მიაგნეს. ამით გამძვინვარებული დამპყრობელი მტკვარზე გადავიდა სამწევრისის (სამავას) ბოლოს. “სამავას” შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა, დ. კაციტაძე ჯანიბეგის სამფლობელოში, ან მის მახლობლად, საამილახვროში მდებარე სამთავისს ვარაუდობს. გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, თემურ-ლენგის მოძრაობის სავარაუდო მარშრუტის და ისტორიკოსების (ნე-ზამ ად-დინ შამი, ფასიფ აჰმად ჯალალ ად-დინ მოჰამედ ხაფი, აბდ არ-რეზაყ სამარყანდი) აღწერის კონტექსტის გათვალისწინებით სამწევრისი ივარაუდება. სამწევრისზე მიუთითებს ფარსადან გორგიჯანიძე. კ. ტაბატაძე¹ სავსებით დამაჯერებელ ვერსიად თვლის ფ. გორგიჯანიძის მოსაზრებას, რადგან ეს ადგილი ზუსტად შეესაბამება მტკვარგალმა მხარეს. მის მიდამოებში ეგულება მეფე გიორგი, რომლის შეპყრობა ლენგისთვის აუხდენელი ოცნება გახდა. სწორედ სამწევრისთან ბრძოლებისას შეატყობინეს, რომ მძოვრეთის ციხეში მეფე მცირე აზნაურებით იყო გამაგრებული. ნიზამ ად-დინ შამის ცნობით ციხე მტკიცე და მიუვალი ყოფილა, მალალ მთაზე აშენებული და არავის ახსოვდა, რომ ოდესმე ვინმეს აელოსო.² მტერმა ძამის ციხე გარემოიკვა, რომელსაც ლოდსატყორცნი მანქანები შეუსვენებლად ურტყამდნენ შვიდი დღე და ღამის განმავლობაში. მეშვიდე დღეს იძულებული გახდა „უსჯულო თემურ“ თავად ჩადგომოდა ციხეზე იერი-

¹ ფარსადან გორგიჯანიძის ისტორია, სარგის კაკაბაძის გამოცემა, საისტორიო მოამბე, წ. II, თბ., 1925, გვ. 303; შდრ. კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 136;

² კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975, გვ. 146;

შის მიტანას. ამდენი დღე ბირთვისის ციხის გარდა არც ერთი ციხის აღებისთვის მას არ დაჭირვებია. ამიტომ მოექცა მძოვრეთის ციხისთვის ბრძოლა სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების საგანგებო ყურადღების ცენტრში. დამპყრობლებთან მძიმე და უთანასწორო ბრძოლებს მეციხოვნეთა დიდი ნაწილი შეეწირა, შექმნილ ვითარებაში მეფემ შეძლო ალყის გარღვევა და საგანეთის ციხეს მიაშურა. მძოვრეთის ციხეში მეფის ყოფნას ადასტურებს აბდ არ-რეზაყ სამარყანდი.¹ გმირული წინააღმდეგობის მიუხედავად, თემურ-ლენგის ურდოს მრავალრიცხოვნებამ, ციხის დამცველთა დიდმა მსხვერპლმა თავისი გაიტანა და ციხე დაეცა. მეფის გაქცევით გაცოფებულმა ჯავრი ძამის ხეობის გადარჩენილ მოსახლეობაზე იყარა, შემდეგ ჯარის ნაწილი ძამას ხეობაში სათარემოდ დატოვა, თავად საგანეთის ციხისკენ გაილაშქრა. გიორგი მეფემ აქაც შეძლო ალყის გარღვევა და დასავლეთ საქართველოში გადასვლა. გამძვინვარებულმა თემურ-ლენგმა დადევნება ვეღარ გაბედა და დასარბევად სამცხეს მოუბრუნდა. მისი მსახვრალი ხელი ყველგან მისწვდა, გააპარტახა და გააუკაცრიელა აღნიშნული მხარე, სავაჭრო-საქარაუვნო გზები, ციხე-სიმაგრეები, კოშკები, ეკლესია-მონასტრები, დასახლებული პუნქტები, ნათესები, მათ შორის ხეობიდან სამცხისკენ მიმავალი მოხერხებული გზა.²

შარაფ ად-დინ ალი იეზდის აღწერილი აქვს მოსახლეობის მასობრივი უმოწყალო ხოცვა-ჟლეტის ფაქტები.³

¹ ტაბატაძე კ., ქართველი ალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ.137

² ქართლის ცხოვრება IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 271;

³ შერეფ ად-დინ ალი იეზდი,

<http://www.vostlit.info/Texts/rus5/Saraf1/frametext21.htm>

აბდ არ-რეზაყ სამარყანდი, რომლის თხრობა ნიზამ ად-დინ შამის, შერეფ ად-დინ ალი იეზდის და ჰაფეზი აბრუს მონათ-ხრობს ემყარება, საგანგებოდ აღწერს თორთუმის, ზოვრეთის და ბირთვისის ციხეებს და მიუვალ ადგილებში სამალავ გამოქვაბულებს, რომელთა ადებას თემურ ლენგის მოლაშქრეები დიდი მსხვერპლის ფასად ახერხებდნენ.¹ ფაქტიურად გამანადგურებელმა ლაშქრობებმა მოშალა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების გზა და შეწყდა ცხოვრების მაჯისცემა. ასეთ ვითარებაში სტრატეგიული მდებარეობით გამორჩეულ ძამის ხეობაში სამეფო კართან ქორწინებით გამყარებული „მოყვრული“ კავშირების მქონე, მეფის ერთგულების გამო ტაოდან გადმოსახლებული, ძლიერი და გავლენიანი მეჭურჭლეთუხუცესის, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილთა საგვარეულოს დამკვიდრება სამეფო კარისგან სწორად გათვლილი, უალტერნატივო პოლიტიკური მნიშვნელობის გადაწყვეტილება იყო.

დამოწმებანი:

აფაქიძე ა., გობეჯიშვილი გ., კალანდაძე ა., ლომთათიძე გ., მცხეთა I, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955;

აფაქიძე ა., ახალი არქეოლოგიური მასალები სოფელ ბორიდან, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, თბ., 1944;

ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1964, ტ. 1;

¹ კაციტაძე დ., აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-სა'დინ ვა მაჯმა ალ-ბაჰრეინის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე, თბ., 1968, №2, გვ. 198- 202;

- ბერძენიშვილი ნ., გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში, თბ., 1966;
- ბრაუნდი დ., ჯავახიშვილი ქ. ნემსაძე გ.საგანძური ზღუდერიდან, (ელიტარული სამარხები კავკასიის იბერიიდან რომაულ ხანაში ახ. წ. 200-250 წწ.) თბ., 2009;
- დონდუა გ., სოფ. ყელეთში 1971წელს აღმოჩენილი რომაული დენარის იშვიათი მინაბადი, არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1971 წელს, თბ., 1972;
- კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე 1924, №1;
- კაპანაძე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969;
- კაციტაძე დ., საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ., 1975;
- კაციტაძე დ., „ისქანდერის ანონიმის“ ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები 116, თბ., 1965;
- კაციტაძე დ., აბდ არ-რეზაყ სამარყანდის „მათლა ას-სა'დინ ვა მაჯმა აღ-ბაჰრენის“ ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე, თბ., 1968, №2;
- ლომოური ნ., კლავდიოს პტოლემეაიოსი “გეოგრაფიული სახელმძღვანელო” ცნობები საქართველოს შესახებ, მსკ 32, თბ., 1955;
- მამისთვალიშვილი ე., გორის ისტორია, I, თბ., 2018;
- მაკალათია ს., ძამის ხეობა, თბ., 1961;
- მაჩაბელი კ., ძველი საქართველოს ვერცხლი, თბ., 1983;
- მიჩიტაშვილი მ., საციციანოს ისტორია, I, თბ., 2016;
- მუსხელიშვილი, დ., საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის საკითხები I, თბ., 1977;
- მშვილდაძე მ., იბერიის ქალაქთა ლოკალიზაცია კლავდიოს პტოლემეაიოსის კოორდინატთა სისტემის მიხედვით, (დისერტაცია), თბ., 2015, გვ. 79;

- ნემსაძე გ., ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1964-1966წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები, საქ. სახელმწიფო მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიციების ანგარიშები, თბ., 1969;
- ოთხმეზური გ., ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან, თბ., 2009;
- საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის წინაფეოდალური ხანის, დედოფლის მინდორის ფონდი, კოლექცია №190-65;
- ტაციტუსის ცნობები საქართველოს შესახებ, ლათინური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი ნარკვევითა და კომენტარებით გამოსცა, აღ. გამყრელიძემ, თბ., 1973;
- ტაბატაძე კ., ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XVსაუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974;
- ქართლის ცხოვრება ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ. 1955;
- ქართლის ცხოვრება, ტ. II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1959;
- ქართლის ცხოვრება IV. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ. 1973;
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი I (IX-XIII სს.) შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984;

- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი II, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ნ. თარხნიშვილმა, ბ. ლომინაძემ, თბ., 2013;
- ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა. შევსებულია, ქრონოლოგიურად დალაგებული და ახსნილია თ. ჟორდანიას მიერ. ტ. II. ტფ., 1897;
- ქართული სამართლის ძეგლები ტ. II; საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ, თბ., 1966;
- ყაუხჩიშვილი ს., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957;
- ყაუხჩიშვილი თ., საქართველოს ბერძნული წარწერების კორპუსი, თბ., 2009;
- შეროზია მ, ოქტავიანე ავეუსტუსის დენარებისა და მისი ადგილობრივი მინაბაძების შესახებ, იბერია კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევა, (რედ. გ. გამყრელიძე) თბ., 2009, №5;
- ჭელიძე მ., ეპიგრაფიკული შენიშვნები, სემიოტიკური ძიებანი, V, თბ., 1990, გვ., 73;
- ჭილაშვილი ლ., ნაქალაქარი ურბნისი, ისტორიულ-არქეოლოგიური გამოკვლევა, თბ., 1964;
- Гагошидзе Ю. М. Дохристианские храмы Грузии. IV-Международный симпозиум по грузинскому искусству. Тб., 1983;
- Армянская география VII века по р. X. Текст и перевод, издал К. П. Патканов, Санктпетербургъ, 1877;
- Платон Иоселиани, Города существовавшие и существующие в Грузии Тб., 1850;

Голенко К. В. и Капанадзе Д. Г. Монеты найденные в селении згудери (Грузинская ССР) в 1964-1965гг. Вестник древней истории, №1, Москва, 1968.

Manana Michitashvili
Gori State Teaching University
**FROM THE HISTORY OF MDZOVRETI,
THE SITE OF FORMER TOWN
(THE 1ST CENTURY B.C. – THE 15TH CENTURY A.D.)
RESUME**

On the basis of the critical and analytical research of the written sources and the historical- archaeological material, the paper presents the history of establishment of late antiquity town Mdzovreti in the second and third centuries A.D. Due to a lack of sources of this period, the discovered archaeological material represents the main, unique and authentic primary source of this research.

Therefore, it was considered to be imperative to study in details and present only a description of some important unique treasures that was discovered in the graves of Zguderi. The ideas of the specialists were considered to assess an importance of the discovered treasure and also to reconstruct the unknown history of the late antique town of Mdzovreti.

The research highlights advancement of Mdzovreti and provides the factors of development of the town. The real reasons both for diminishing and demolishing of the old town are clarified in the paper.

The paper also chronologically presents the narrative as well as documentary primary sources. It analyses the long lasting battles of the influential feudal families from the Kartli Kingdom whose intention was to occupy the Dzama Gorge, but, finally the Panaskerteli-Tsitsishvilis prevailed here.

ანტირუსული გამოსვლის ერთი ეპიზოდი ლიანგის ხეობაში
XIX საუკუნის დასაწყისში (ბარბარე ლაფაჩი)

ერთმორწმუნე ქვეყნის დახმარების მოლოდინში მყოფი ქართული საზოგადოება რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ მძიმე პოლიტიკური წნეხის ქვეშ მოექცია, რუსიფიკატორული იდეოლოგიის სუსხი იგრძნო თავადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, გლეხობამ. საქართველოში ჩამოყალიბებული რუსული ბიუროკრატიული მმართველობა, ჩრდილოეთიდან ქვეყნის მმართველ რგოლებში განწესებული ჩინოვნიკების სიხარბე და თვითნებობა, მოსახლეობის მიმართ გამოჩენილი ძალადობა,¹ საიმპერატორო კარის მიერ ეროვნულ ინსტიტუ-

¹ ალექსანდრე ბენდიანიშვილი, ალექსანდრე დაუშვილი, მიხეილ სამსონაძე, ხათუნა ქოქრაშვილი, დოდო ჭუმბურიძე, ოთარ ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 28-29. რუს მოხელეთა ძალადობაზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის 1804 წლის მთიულეთის აჯანყების მონაწილეთა საჩივრები. Акты, собранные Кавказской Археографической комиссией (АКАК), Т. III, 1869, стр. 310; აგრეთვე 1812 წლის კახეთის აჯანყების შესახებ არსებული დოკუმენტები, იხ. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, დოკუმენტები გამოსაცემად მოამზადა პროფ. შ. ხანთაძემ, თბ., 1999, გვ. 24; 1812 წლის 15 მარტს შედგენილი სოფ. ახაშენის მოსახლეობის წერილის (წერილის ადრესატია თავადი იოსებ ანდრონიკაშვილი) ერთი ფრაგმენტიც კი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის როგორი განწყობა სუფევდა მოსახლეობაში: „თქვენის ბრწყინვალეებისაგან გამოვეცხადა ბრძანებარობლის მიზეზით მოხდა ეს შფოთება ან საიდან დაიწყოვო. შფოთი დაიწყო ზემოთ თიანეთიდან, ჩუენც ვეღარ მოვითმინეთ ამდენი უსამართ-

ტების მოშლის მიზნით დაგეგმილი სხვადასხვა სახის კამპანია რუსული მმართველობის წინააღმდეგ ქართული საზოგადოების ყველა ფენის გაერთიანების და აჯანყებათა მთელი ციკლის საფუძველი გახდა. რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ პირველი გამოსვლა 1802 წელს, კახეთში, სოფელ კელმენჩურში მოხდა.¹ 1804 წელს აჯანყებამ იფეთქა მთიულეთში.² როგორც დავით ბატონიშვილი წერდა: „მაშინ იყო შემჭირვებაი დიდი ქართველთა ზედან... სადაცა განვლიდიან რუსნი, ამჭირვებდიან სოფელთა ცემითა, ტაცებითა, და რთმევითა.“³ ამას მოჰყვა 1812 წლის კახეთის აჯანყება.⁴ აჯანყებულებმა ქართლიდან ბატონიშვილი გრიგოლ იოანეს ძე მოიწვიეს და მეფედ გამოაცხადეს.⁵ რუსული ძალმომრეობის წინააღმდეგ დაწყებულმა მოძრაობამ საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მოიცვა. კოლონიალურ პოლიტიკას წინ აღუდგა დიდი და პატარა ლიახვის ხეობების მოსახლეობაც.

ლობა, ციციანოვის შემდგომათ ერთი დღე განსუენება და მშვიდობა არ მოგვეცეს ამგუარამა მწუხარებამ აღგვეძრა ჩუენც, რადგანაც, სხუა წამალს ვერა ვპოვებდით, ღვთის სახელით ვფიცავთ, რომ არ არ მოგვესლია ორგულობითა, მაგრამ იმედ გა[რ]დაწვევტილნი ვიყავით, ვირჩიეთ სიკვდილი, ვინამც ამგვარი სიცოცხლე.“ იქვე, გვ. 24.

¹ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 341.

² იქვე, გვ. 342.

³ იქვე. დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, გამოსცა თამარ ლომოურმა, თბ., 1941, გვ. 40.

⁴ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, გვ. 345. დოკუმენტები კახეთის 1812 წლის აჯანყების ისტორიისათვის, დოკუმენტები გამოსაცემად მოამზადა პროფ. შ. ხანთაძემ, თბ., 1999; აღ. ფრონელი, ამბობება კახეთისა, 1812, ისტორიული ამბავი, ტფ., 1907, გვ. 42.

⁵ 6. ჯავახიშვილი, გრიგოლ I უკანასკნელი ქართველი მეფე, თბ., 2008, გვ. 36.

ცარიზმის რეჟიმის დასამზობად თავგამოდებით იბრძოდნენ ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრები. ალექსანდრე და თეიმურაზ ბატონიშვილები 1804 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობის ყველა ფენას წერილებს უგზავნიდნენ და აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ.¹ ბაგრატიონთა ოჯახიდან არანაკლები აქტიურობით გამოირჩეოდნენ იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებიც, რომლებიც ფეოდალური არისტოკრატის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დიდ იმედებს ამყარებდნენ მაჩაბელთა სათავედო სახლზე. ამას ადასტურებს წერილი, რომელიც 1802 წლის 17 აგვისტოს იულონ და ფარნაოზ ბატონიშვილებმა დავით მაჩაბელს გაუგზავნეს: „ბრწყინვალე თავადო მაჩაბელო, ნაზირო დავით. საქართველოს მეფის ძენი იულონ და ფარნაოზ სიყუარულით და პატივით მოგიკითხავთ, მერმეთ აქამდის ხომ საკვირველია, რომ შენც შეიტყობდი, მთელი კახეთი და ქიზიყი როგორისაც ფიცით შეკრულან ჩვენ ერთგულებაზე, უკანასკნელ სისხლის დაქცევამდის ერთობით იმათი წერილი არ მოგვივიდა. ღმერთს ერწმუნე და მამის ჩვენის მზემა, რომ ასე მოგვივიდა. წერილი და ღუთით არც არის იქაური კაცნიც იყვნენ და აქ ჩვენთან და გაგვისტუმრეთ. აბა, ახლა გაგიჩნდება ჩვენი სიყვარული და ერთგულება როგორც აღთქმული გვაქვს ჩვენთან პირობით, ყოვლის ფრით ასე მოიქეც. ამას გარდა, ვისაც ერთს შენს კაცს ენდობოდე, ეხლავ აქ საჩქაროთ გამოგვიგზავნე, მანდაური ამბებიც შეგვატყობინე და შენი სრული აზრიც. მამის ჩვენის, მზემა და ამ საქმეში გვარწმუნე, რომ როგორც შენი აზრია ღუთით ისე შეგისრულებთ და ახლა შენ იცი და მამის ჩვენის ჭირნახულობამ, როგორც მოიქცევი ყოვლის

¹ ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, ალექსანდრე ბატონიშვილის წერილები, თბ., 1999, გვ. 13.

ფრით¹. გენ. ლაზარევს ჯერ კიდევ 1801 წლის 18 თებერვალს შერმაზან და ელიზბარ ერისთავებისაგან ჰქონდა მიღებული ინფორმაცია, რომ ლუარსაბ და დათუა მაჩაბლებს კავშირი ჰქონდათ რუსთა წინააღმდეგ ამბოხებულ ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილებთან.² * მთიულეთის ამბოხების შემდეგ³ აჯანყებულები ფარნაოზ და იულონ ბატონიშვილს დაუკავშირდნენ, რომლებიც იმერეთიდან ქართლში გადმოვიდნენ, მაგრამ 24 ივნისს ულევის ეწერში მათ თავს დაესხა რუსთა რაზმი გიორგი რამინის ძე ამირეჯიბის მეთაურობით, იულონი შეიპყრეს, ხოლო ფარნაოზმა და ლევან იულონის ძემ სამაჩაბლოში სცადეს გამაგრება, თუმცა, რუსულ ადმინისტრაციასთან შეკრული ოსების შიშით, ისინი მაჩაბელთა სათაველოში დიდხანს ვერ გაჩერდნენ. ამის შესახებ ბაგრატ ბატონიშვილი გადმოგვცემს: „ხოლო ამის შემდგომად წარმოსულნი მეფის ძენი მოვიდნენ სურამის სიახლოვესა, ეგონათ მისვლა მუნ ქართველთ თავადთა და არავინ მივიდა მათ თანა, ამათ ინებეს მტკვარს გასვლა, მისვლა ფაბმაკს ფირყულიხანთან და ვერ უძლეს, რამეთუ მტკვარი განდიდებულ იყო ფ დ. კ დ წარმოვიდნენ და აღვიდნენ ოსებში სამაჩაბლოსა და ვერცა მუნ დადგნენ შიშითა ოსთასა, რამეთუ აქვნდათ

¹ AKAK, T. I, 1866, სტრ. 250.

² AKAK, T. I, 1866, სტრ. 243.

* რუსული მმართველობის წინააღმდეგ მაჩაბელთა ფეოდალური სახლის წარმომადგენლების გამოსვლების შესახებ, იხ. გ. სოსიაშვილი, მაჩაბლების ბრძოლა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ (XIX საუკუნის I ნახევარი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №12, 2016, გვ. 18-36.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, 1973, გვ. 916.

პირი მტკიცე მას ჟამსა შინა ოვსთა რუსთანა.¹ ამის შემდეგ ფარნაოზ და ლევან იულონის ძე ბამბაკში გადავიდნენ, სადაც ალექსანდრე ბატონიშვილი და სპარსეთის შაჰი იდგნენ, ალექსანდრე ბატონიშვილი წერილებს აგზავნიდა ქართლ-კახეთის მთიანეთში და ხალხს აჯანყებისკენ მოუწოდებდა². ასეთი წერილი ალექსანდრემ გაუგზავნა აგრეთვე ჯავის ხეობის მოსახლეობას³. ალექსანდრე ბატონიშვილი 1809 წელს ირანის ჯარის საქართველოში გამოლაშქრების სამზადისში იყო. მოსახლეობაში დაგზავნილ ალექსანდრეს მოწოდებაში ვკითხულობთ: „სიყვარულისა თქვენისათვის არა შევიწყალებ სიცოცხლესა ჩემსა ვიდრემდის გამოვიხსნიდეთ თქვენ უფლებისათვის უცხოთასა“...⁴

რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი ღიახვის ხეობაში ორგანიზებული გამოსვლები დაიგეგმა, რომელსაც ალექსანდრე ბატონიშვილი ხელმძღვანელობდა. 1810 წელს, სამაჩაბლოში, ლევან იულონის ძის მესვეურობით მორიგმა აჯანყებამ იფეთქა. ლევანი, რომლსაც ზურგს ალექსანდრე ბატონიშვილი უმაგრებდა, დიდი ღიახვის ხეობაში ახალციხე-იმერეთ-რაჭის გზით შევიდა.

1809 წლის 16 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში ალექსანდრე ბატონიშვილი ლევანის მისამართით წერდა: „ბიძა თქვენი ალექსანდრე ღმერთსა ვთხოვ თქვენს ბედნი-

¹ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 92; AKAK, T. II, 1868, №218-219, სტრ. 133; გ. სოსიაშვილი, იულონ ბატონიშვილი და სამაჩაბლო, გაზ. „ლიტერატურული ცხინვალი“, №7, 2002, გვ. 4.

² ე. ორჯონიკიძე, ალექსანდრე ბატონიშვილის ბრძოლა რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ, თბ., 1999, გვ. 13.

³ AKAK, T. VI, წ. I, 1874, სტრ. 126.

⁴ პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება, ტ. I, თბ., 1949, გვ. 289.

ერად და მშვიდობით შეყრას. ეს არის ღვთის მოწყალებით ყოველი ჩვენი საწადელი საქმე ყიზილბაშის მხრიდან შესრულდა. სახელოვანი სარდალი უსეინ-ხანი დიდის ხაზინით და მთლად ერანში გამორჩეული ასიათასის კაციით აქ ახალქალაქს მობრძანდა. გუშინ ორშაბათს ერთად შევეყარებით... ამ სამს დღეზე დიდის ჯარით და ხაზინით თქვენ მხარეს მისტუმრებს და თვითონ წალკის მხარეს მობრძანდება... მე ხომ ეს არის, მომსვლელი ვარ და დიდად ჩვენთვის სამჯობინარო და სარდლისგან გულის დასაჯერებელი საქმე იქნება, რომ ერთი-ორი მართებული თავადიშვილი სარდალთან გამოსტუმროთ საჩქაროდ.¹ დიდი ლიახვის ხეობაში ჩასულმა ლევან ბატონიშვილმა მაჩაბლებს რუსთა წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდა. სამაჩაბლოს მოსახლეობას იგი ალექსანდრე ბატონიშვილის დახმარებას პირდებოდა.² ლევან ბატონიშვილმა მაჩაბლების გადმობირება მოახერხა, მას მხარს უჭერდნენ აგრეთვე ქსნის ერისთავების ძალმომრეობით შეწუხებული ოსები.

ბაგრატ ბატონიშვილის ცნობით: „ხოლო წელსა 1810 მსმენელთა იმერთა მოსცეს პირი მტკიცე მეფესა სოლომონს, მყოფსა ახალციხესა და აწვიეს, რათა ჩავიდეს იმერეთს და დაიპყრას იმერეთივე. მსმენელი ამისი მეფე სოლომან წარემართა ახალციხით და შთავიდა იმერეთს. მაშინ მოერთვენ იმერნი ყოველნივე, შეკრეს გზანი ქართლისანი და დადგნენ მყარად. მაშინ მეფის ძემან ალექსანდრემაცა წარავლინა ახალციხით ძმისწული თვისი ლეონ ოსეთსა სამაჩაბლოსა შინა, რათა მანცა შეკრულმა ოვსთამან ბრძოს რუსთა. მის-

¹ ე. ორჯონიკიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

² AKAK, T. VI, ч. I, 1874, стр. 78.

რულ ლეონ შეიწყნარეს ოვსთა და შეკრიბნენ მისთანა.“¹ ლევან ბატონიშვილისადმი ოსთა მხარდაჭერას რუსული წყაროებიც ადასტურებენ.²

ლევან ბატონიშვილს მხარს უჭერდნენ ზაზა, ბაადურ და ლუარსაბ მაჩაბლები. რუსეთის ხელისუფლებას ამბოხებულთა შესახებ საიდუმლო ინფორმაციები გააჩნდა. აჯანყებულთა ფიზიკურ ლიკვიდაციას ითვალისწინებდა გენ. ტორმასოვის მიერ სამხედრო მინისტრისადმი გაგზავნილი წერილი, სადაც აღნიშნული იყო, რომ ლევან ბატონიშვილი თავს სამაჩაბლოს მიუვალ მთებში მცხოვრებ ოსებთან აფარებდა. საქართველოს მმართველმა ახვერდოვმა, ლევანის მოკვლის მიზნით, ოსების მოსყიდვა სცადა. ლევანი ამ დროს თავს ესხმოდა ქართულ სოფლებში არსებულ რუსთა რაზმებს. ლევან ბატონიშვილის მხარდამჭერი მაჩაბლები რუსებმა შეიპყრეს.³

ლევან ბატონიშვილი მაჩაბელთა ფეოდალური სახლის გარდა სხვა დასაყრდენსაც ეძებდა. ამას ადასტურებს მისი წერილი ფალავანდიშვილისადმი.⁴ დიდი მცდელობის მიუხედავად, ლევან ბატონიშვილის აჯანყება დიდი ლიახვის ხეობაში მარცხით დასრულდა. რუსული ხელისუფლება აჯანყების მო-

¹ ბაგრატ ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 106.

² ალ. მღებრიშვილი, რუსულ-ქართული ურთიერთობები და ქართველთა და ოსთა ერთობლივი ბრძოლა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ კავკასიაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ოსურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, II საერთაშორისო კონფერენცია, „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები: „ნართების ეპოსის კვლევის თანამედროვე პრინციპები და მეთოდოლოგია,“ შრომების კრებული, თბ., 2016, გვ. 160.

³ AKAK, T. VI, v. I, 1874, стр. 468.

⁴ AKAK, T. VI, v. I, 1874, стр. 110.

ნაწილედ მაჩაბლებს სასტიკად გაუსწორდა. დავით ბატონიშვილის ცნობით: „შემდგომად (აჯანყების შემდეგ - გ.ს.) შეიპყრეს რუსთა მაჩაბელი ლუარსაბ და ბაადურ ბორტიშვილი. მაჩაბელი ლუარსაბ წარგზავნეს პყრობილად რუსეთსა შინა და ბაადურ მოკუდა ციხესა ტფილისისასა პყრობილად. და შთამოართვეს თავიანთი კერძი ყმა და მამული და დადვეს სახელმწიფოდ ვითრაცა ჯავახიშვილსა და თარხნიშვილსა.“¹

აღნიშნულ ავტორს გამორჩენილი აქვს ის ფაქტი, რომ ბაადურ მაჩაბელთან ერთად, რუსებმა ციხეში მოკლეს ზაზა მაჩაბელიც.²

ლუარსაბ მაჩაბელი გადასახლებულ იქნა რუსეთის შორეულ ქალაქ კოსტრომაში.³ ამბოხებაში მონაწილე მაჩაბლების ყმა-მამული სახელმწიფოს გადაეცა.⁴

ნარიდან წამოსული ლევანი ბორჯომის ხეობით ახალციხეში გადასვლას აპირებდა, რათა იქ ალექსანდრე ბატონიშვილს შეერთებოდა, გზად მიმავალი ლევან იულონის ძე ლეკმა მძარცველებმა გოგის ციხესთან მოკლეს და მისი მოჭრილი თავი, ასევე იარაღ-საჭურველი ახალციხის ფაშას მიუტანეს.⁵ * ლევან ბატონიშვილის აჯანყების მარცხის მიუ-

¹ ბაგრატი ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, დავით ბატონიშვილი, ახალი ისტორია, თ. ლომოურის რედ., თბ., 1941, გვ. 37.

² გ. ლეონიძე, ივ. მაჩაბელი, ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 162.

³ АКАК, Т. VI, ч. I, 1874, стр. 101, №619.

⁴ История Юго-Осетии в документах и материалах (1800-1864). Составитель И.Н. Цховребов. Т. II. Сталинир, 1960, стр. 251

⁵ მ. ბერძენიშვილი, მასალები XIX საუკუნის I ნახევრის ქართული საზოგადოებრიობის ისტორიისათვის, ტ. II, თბ., 1983, გვ. 77.

* ლევან ბატონიშვილის აჯანყების შესახებ იხ. გ. სოსიაშვილი, ლევან ბატონიშვილის აჯანყება და სამაჩაბლო, „კლიო“, №25, 2005, გვ. 42-48. ვ. სუხიტაშვილი, ალექსანდრე ერეკლეს ძე ბაგრატიონის პოლი-

ხედავად, როგორც ჩანს, ანტირუსული გამოსვლები დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მომდევნო წლებშიც გაგრძელდა. მოსახლეობაში მკვეთრად იგრძნობოდა რუსული მმართველობის საწინააღმდეგო განწყობა. ალექსანდრე ბატონიშვილის გამარჯვების იმედი ჯერ კიდევ ცოცხლობდა. ბაგრატიონთა სამეფო სახლის წევრებს მოსახლეობის დაბალ ფენებშიც აქტიური მხარდამჭერები ჰყავდათ, რომლებიც რუსული ხელისუფლების ჩამოსაშორებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ და დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში ანტირუსულ მოწოდებებს სხვადასხვა მეთოდით ნიღბავდნენ. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა ინფორმაციაა შემონახული რუსი ჩინოვნიკების წერილებში. დოკუმენტების მიხედვით, დიდი და პატარა ლიახვის ხეობებში მცხოვრებ მოსახლეობაში ანტირუსული განწყობის შექმნაზე განსაკუთრებით აქტიურობდა ადგილობრივი, სოფელ ვანათში მცხოვრები ქალბატონი ბარბარე ლაფაჩი. ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს-კაპიტანი სმირნოვი 1812 წლის 15 მაისს, გორის კომენდანტს – ვიცე-პოლკოვნიკ რენიერს ცხინვალიდან წერდა:

„გუშინ ცხინვალში მყოფი ქვემეხის მომსახურე ჯარისკაცმა ალექსეევმა სიტყვიერად მომახსენა, რომ ვიდაც ქალმა ეკლესიაში საღამოს ლოცვაზე შეკრებილ ხალხში სიმშვიდის დარღვევა სცადა და მრევლს საგანგებო სიტყვით მიმართა, მისი მოწოდების თანახმად მალე უფლისწული ალექსანდრე ჩამოვა და რუსებს ამოხოცავენ, ხოლო, ვინც გადარჩება, განდევნილი იქნებიან რუსეთში. ქართველები კი როგორც უწინ, ისე იცხოვრებენ. მქადაგებელმა აღნიშნა, რომ ყოველივე ეს როგორც წინასწარმეტყველება მას ძილში წმინდა გი-

ტიური მოღვაწეობა XIX საუკუნის პირველ მესამედში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი ნაშრომი, თბ., 2005, გვ. 93.

ორგემ აუწყა. ამიტომ საჭიროდ ჩავთვალე მისი დაკავება. მისი და ადგილობრივი მცხოვრებლების ჩვენებით იგი სოფელ ვანათის მაცხოვრებელი აღმოჩნდა. მას როგორც ხალხის აღმაშფოთებელს პატაკთან ერთად გიგზავნით. ამის თაობაზე პატაკით მივმართე ეგერთა 15 პოლკის შეფს პოლკოვნიკ პეჩერსკის.“¹

ლევან ბატონიშვილის აჯანყების შემდეგ, რუსი მოხელეები როგორც ჩანს, ადგილობრივ მოსახლეობას მკაცრად აკონტროლებდნენ, ხალხმრავალ ადგილებზე მიმდინარეობდა თვალთვალი. შტაბს-კაპიტან სმირნოვის წერილიდან ჩანს, რომ ბარბარე ლაფაჩის ფარული კავშირი ჰქონდა ალექსანდრე ბატონიშვილის მხარდამჭერ ძალებთან და თავის მოწოდებას რუსების წინააღმდეგ ძილში წმინდა გიორგის გამოცხადებას მიაწერდა. რუსებმა მეამბოხე ქალბატონი დააპატიმრეს და გორის კომენდანტთან ვიცე-პოლკოვნიკ რენიერთან გადაგზავნეს. სახელმწიფო მრჩეველი მალინსკი გენერალ რტიშჩევი-სადმი გაგზავნილ წერილში ბარბარე ლაფაჩის შემოწმებას ითხოვდა. თუ იგი ფსიქიკურად შეშლილი (გონებრივად სუსტი) აღმოჩნდებოდა, მაშინ სახელმწიფოს 25 რუბლი უნდა გამოეყო მის სამკურნალოდ. მალინსკი, რაკი ბარბარე ლაფაჩი ანტირუსული მოწოდებით ეკლესიაში შეკრებილ ძლოცველებთან გამოვიდა, ეჭვობდა, ხომ არ იყო ბარბარე ლაფაჩის მოწოდება სასულიერო პირების მიერ წაქეზებული, ამიტომ რტიშჩევს რეკომენდაციით მიმართავდა, რომ ეს საკითხი სასულიერო პირებთანაც ყოფილიყო მოკვლეული. მალინსკის რჩევით რენიერს პატიმრობაში მყოფი ქალი უნდა წაეყვანა და გაერკვია, ვისთან ჰქონდა მას ურთიერთობა, ვინ შედიოდა მის სანაცნობო წრეში. თუ აღმოჩნდებოდა, რომ

¹ AKAK, T. 5, 1873, стр. 943, №1052.

ბარბარე ლაფაჩი არ იყო ანტირუსულ ძალებთან შეკრული, მაშინ სოფელი, სადაც ბარბარე ცხოვრობდა თავდები უნდა გამხდარიყო და მასზე მეთვალყურეობა დაეწესებინა, რომ მას დიდი და პატარა ლიახვის ხეობების სოფლებში სიარული შეეწყვიტა.

1812 წლის 25 მაისს სახელმწიფო მრჩევლის მალინსკის მიერ გენერალ რტიშჩევისადმი გაგზავნილ წერილში კითხულობთ:*

„გორის კომენდანტი ვიცე პოლკოვნიკი რენიერი მაუწყებს ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის შტაბს კაპიტან სმირნოვის მიერ მასთან გაგზავნილი ერთი ქალის შესახებ, რომელსაც ბარბარე ჰქვია და ამავე მაზრის სოფელ ვანათიდანაა. ამ ქალს თითქოს წმინდა გიორგი გამოეცხადა და სოფელ ცხინვალის ეკლესიაში ხალხს რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ მოუწოდებდა. აგზავნის რა, ჩემთან ამ ქალის ჩვენებას და პატაკის ასლებს შტაბს კაპიტანი სმირნოვი მიდის დასკნამდე, რომ თუ ეს ქალი არ ეშმაკობს, მაშინ გონებასუსტი უნდა იყოს. პატაკთან ერთად დანართის სახით გიგზავნით რენიერის მიერ ჩემთან გადმოგზავნილი წერილის ასლს. ჩემი აზრით, საჭიროდ მიმაჩნია: 1) შემოწმდეს ხსენებული ქალის გონებრივი მდგომარეობა საექიმო სამმართველოს ინსპექტორის რიზენკოს მეშვეობით, რომელიც ამჟამად გორში, სხვა მედიკოსებთან ერთად იმყოფება. თუ ისინი მის

* მთავარმართებელი მარკიზ პაულუჩი 1812 წელს გენერალმა ნიკოლოზ რტიშჩევმა შეცვალა, რომელიც მანამდე კავკასიის ჩრდილოეთ ხაზს ასტრახანის გუბერნიის ჩათვლით ხელმძღვანელობდა. ჯონ ფ. ბელი, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობა, თბ., 2012, გვ. 126. მთავარმართებლად დანიშნულმა რტიშჩევმა მეამბოხე ალექსანდრე ბატონიშვილის შეპყრობის, ან მოკვლისთვის სოლიდური ჯილდო 20000 მანეთი დააწესა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, თბ., 2016, გვ. 348-349;

(ბარბარეს – გ.ს) გონებრივ მდგომარეობას ეჭვქვეშ დააყენებენ, მათ უნდა მიეცეთ ავადმყოფის მკურნალობის შესაძლებლობა. ამისათვის გუბერნიის ექსტრაორდინალური თანხებიდან გამოიყოს 25 რუბლი, აღნიშნული თანხის გაგზავნა მე შემიძლია. 2) მიეცეს შესაძლებლობა სასულიერო ხელისუფლებას გამოიკვლიოს, ხომ არ დამოძღვრა ეს ქალი რომელიმე ეკლესიის მსახურმა, რათა მისი მეშვეობით ხალხისთვის ეცნობათ, რომ მქადაგებლის მოწოდება-გამოცხადებაა. თუ ეს ქალი გონებასუსტი არ აღმოჩნდება, ვიცე პოლკოვნიკმა რენიერმა თან გაიყლოს და ვითარების გასაჯაროების გარეშე ადგილობრივებში გაარკვიოს, სად იმყოფებოდა ეჭვიმტანილი და ვისთან აკავშირებდა ნაცნობობა. მოიძიოს ცნობები მისი ყოფაქცევისა და გონებრივი მდგომარეობის შესახებ. 3) თუ აღმოჩნდება, რომ ყოველივე ეს სიმართლეს არ შეესაბამება, როგორც ხანდახან ხდება ხოლმე, ეს ქალი გადაეცეს იმ სოფელს, სადაც ცხოვრობს და სოფელმა იკისროს თავდებობა და მასზე დააწესოს ზედამხედველობა, თვალ-ყური ადევნონ მის ყოფაქცევას. არ დაუშვან მისი ხეტიალი სხვადასხვა ადგილებში.¹ მალინსკის პატაკს დანართის სახით ახლავს ბარბარე ლაფაჩის დაკითხვის ოქმი.

„1812 წლის მაისი მე-18 დღე, იმას რაც ვიცი ჭეშმარიტად, ვიდრევი ჩვენებაში. ჩემი სახელია ბარბარე, ვარ ქართველი. მამაჩემი გახლდათ გოგია ლაფაჩი, ხოლო დედა დარეჯან მაისურაძე, ორთავე წარმოშობით ქართველები იყვნენ და ცხოვრობდნენ სოფელ ჭარებში,* მშობლები გარდაიც-

¹ Акты, собранные Кавказской Археографической комиссией, Т. 5, 1873, стр. 943. #1052.

* პატარა ლიახვის ხეობაში ჩრდილო-დასავლეთით არსებული სოფელი ჭარები ორ ნაწილად იყოფოდა. ქვემო ჭარებს რაზმანთ კარს უწოდებდნენ, აქ მცხოვრები რაზმაძეების გვარის გამო, ხოლო ზემო

ვალნენ. ჩემი მეუღლე თევდორე ჯაჯიშვილი (უნდა ეწეროს ჯოჯიშვილი – გ.ს) ქართველია და დღემდე სოფელ ვანათში ცხოვრობს.* იმის გამო რომ 1811 წლის 8 სექტემბერს ავად გავხდი, ჭარების მთავარანგელოზის ეკლესიაში წავედი,** და ხუთი კვირა ვლოცულობდი, შემდეგ დავბრუნდი ვანათში, სადაც მაცხოვრის ეკლესიაში დილა-საღამოს ლოცვაში ვიყავი.*** 6 იანვარს, ნათლისღებას, წავედი სოფელ არბოში და იმდროიდან იქ, წმინდა გიორგის ეკლესიაში**** ვიმყოფები,

ჭარებს - ლაფაჩებს, რადგან ძირითადი მაცხოვრებლები ლაფაჩები იყვნენ. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, გვ. 32; გ. სოსიაშვილი, პატარა ლიახვის ხეობაში გავრცელებული ძველი ჰიდრონიმები (საკითხის შესწავლისათვის), „ანალები“, 2018, №14, გვ. 150. სოფლის სახელს უკავშირდება პატარა ლიახვის ერთ-ერთი შენაკადი ჭარებულა, იქვე, გვ. 151. აღნიშნულ სოფლის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს საისტორიო წყაროებში მოხსენიებული გვარი „ჭარებლისძე“, ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. IV, თბ., 2016, გვ. 137.

* პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ვანათში არსებობდა ჯოჯიანთ უბანი. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 82.

** სოფელი ჭარებში რამდენიმე ხუროთმოძღვრული ძეგლია შემორჩენილი, მათ შორის მთავარანგელოზის სახელზე აგებული ტაძარი. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, 1997, გვ. 33. ჭარების ერთ-ერთ ტაძარში, რომელიც ღთისმშობლის სახელს ატარებს, პროფ ვ. გვასალიამ X საუკუნის ასომთავრულ წარწერას მიაკვლია. ვ. გვასალია, პატარა ლიახვის ხეობის ისტორიული ძეგლები, „მეგლის მეგობარი“, თბ., 1976-1977, გვ. 43-44.

*** იგულისხმება ვანათის მაცხოვრის სახელობის დარბაზული ეკლესია, რომელიც X-XI ს.ს. თარიღდება. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 80; პ. ზაქარაია, ცხინვალის რაიონი, თბ., 1981, გვ. 21.

**** იგულისხმება არბოს წმინდა გიორგის ბაზილიკური ტაძარი (X ს.) ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. II, თბ., 1997, გვ. 18.

რომლის ნება-სურვილით მოსალოცად დავდიოდი ყველა შემდეგი სოფლების დენრისის (?) (სავარაუდოდ უნდა ეწეროს დგერისი - გ. ს), ნიქოზის, ზემო ზვითის, ქვეშის, ზვითის, ტირძნისის, დიცის, ქორდის და ცხინვალის ეკლესიებში. ხალხიდან შეგროვილი მოწყალებით ვიყიდე თავშალი, ცვილი და საკმეველი, რომლებიც მივიტანე არბოს წმინდა გიორგის ეკლესიაში. იმავე თვის 13 რიცხვში წმინდა გიორგი გამომეცხადა და მიბრძანა ჩავსულიყავი ცხინვალში და ზღუდრის წმინდა გიორგისთვის მელიოცა, მოსახლეობისგან შესაწირი შემეგროვებინა, რითაც ცხვარი მეყიდა და არბოს წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში დამეკლა. ამიტომ მომდევნო დღეს ცხინვალში წავედი, ზღუდრის წმინდა გიორგის ეკლესიაში,* საღამოს ლოცვისას წმინდანები გამომეცხადნენ, რომელთაც თავისი სახელებიც გამიმჟღავნეს, თუმცა დავიმახსოვრე მხოლოდ წმინდა გიორგი და ღვთისმშობელი. მათ მიბრძანეს, რომ თუ რუსებს ღმერთის არ შეეშინდებათ და ისინი ხალხებს არ დაინდობენ, მაშინ ისინი რუსეთში განიდევნებიან, უფლისწული ალექსანდრე ჩამოვა საქართველოში და ქართული მმართველობა კვლავ აღდგება. ამ გამოცხადების განმავლობაში უგონო გავხდი, მისი დამთავრებისას მხოლოდ ნაწილი მახსოვს. არა მხოლოდ ეს, არამედ სხვა მრავალი გასაოცარი გამოცხადება მქონია არბოს და სხვა ეკლესიებშიც, მე ავადმყოფობის გამო არასრულფასოვნად ვაზროვნებ, გარდა ზემოთაღნიშნული სოფლებისა სხვა ადგილებში

* იგულისხმება ზღუდრის ცხინვალის აღმოსავლეთ ფერდობზე არსებული ზღუდრის წმინდა გიორგის ტაძარი, რომლის განახლებაც მარიამ დედოფლის სახელთან არის დაკავშირებული, ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, I, თბ., 1984, გვ. 53.

არ ვყოფილვარ. აღნიშნულის გარდა სხვა არაფერი მინახავს და არც ვიცი. ჩემი ჩვენება ჭეშმარიტად ისაა რაც ვიცოდი.¹

როგორც ჩანს, რუსული ხელისუფლების წინააღმდეგ დიდი და პატარა ლიანხვის ხეობების მოსახლეობის ასამხედრებლად „მლოცველმა“ ბარბარე ლაფაჩმა პატიმრობისაგან თავის დაღწევის მიზნით „აღიარა“, რომ ის ავადმყოფი იყო, არასრულფასოვნად აზროვნებდა და მოწოდება, რასაც ხალხში ავრცელებდა მხოლოდ წმინდა გიორგის და ღვთისმშობლის გამოცხადებისას ჩაესმა. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ხელისუფლების რისხვა არ აცდებოდა. რა ბედი ეწია, ბარბარე ლაფაჩს, როგორ გაგრძელდა მისი ცხოვრება, ჰქონდა თუ არა მას ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრე ძალებთან მომავალშიც ურთიერთობა, უცნობია.

Giorgi Sosiashvili

Gori State Teaching University

**AN EPISODE OF ANTI-RUSSIAN ACTION IN THE
LIAKHVI GORGE IN THE BEGINNING
OF THE XIX CENTURY
(BARBARE LAPACHI)
SUMMARY**

The establishment of Russian Government not only disappointed the Georgian society, which was awaiting the help from the country of single faith, but it held almost all the layers of the society under severe political oppression. Nobility, clergymen and peasants felt the smell of russification

¹ AKAK, T. 5, 1873, სტრ. 943.

ideology. The established Russian bureaucratic government, greediness and self-will of the appointed clerks in the ruling circles of the country and violence against the population caused anti-Russian actions. Rebellions broke out in different parts of the country. The action against Russians was held in 1802 in Kelmenchuri, the population of Mtiuleti revolted in 1804, and in 1812, Kakheti population turned against the Russian violence. The representatives of the Bagrationi Royal family could not reconcile with Tsarism, especially Aleksandre Batonishvili. In 1810 the population of Big Liakhvi Gorge rebelled under his support, and the leader of the insurgents was Aleksandre`s nephew, Levan. The rebellion in the Liakhvi Gorge under the leadership of Levan Batonishvili suffered a defeat, though the anti-Russian spirit in the population was still felt. It is proved from the letters of the Russian clerks. From one of the letters dated 1812, which the state councilor Malinski sent to Rtishchev, it turned out that Barbare Lapachi, who lived in the village Vanati of the Small Liakhvi Gorge, advocated the slogans against Russian government. As if Saint Giorgi and St. Virgin Mary came and told her to call against Russian regime. Barbare Lapachi was arrested. In order to free herself from prison she “confessed” that she was insane, and could not think properly, and the appeal, which she was advocating among people, was the one heard from Saint Giorgi and St. Mary. Otherwise, she could not escape the government`s wrath. It is unknown what happened to Barbare Lapachi, what her future life was like and whether she had any relations with the supporters of Aleksandre Batonishvili or not.

მზია ტყავაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის
სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროების საკითხი
რუსულ-ოსმალურ საერთაშორისო ხელშეკრულებებში
(1774-1833 წწ.)**

XVIII საუკუნის დასაწყისიდან შავ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება რუსეთის ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა. რუსეთისთვის აღნიშნული საკითხის უდიდეს აქტუალობასა და მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ რუსეთის იმპერატორი პეტრე I უშუალოდ მონაწილეობდა აღნიშნული ამოცანის განხორციელებისთვის მიმდინარე სამხედრო ოპერაციებში.

აზოვის ზღვაზე გასასვლელს კეტავდა უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტი, ოსმალურ-თათრული ციხესიმაგრე აზოვი, რომელიც მდინარე დონის შესართავთან მდებარეობდა. მისი დაპყრობის შემთხვევაში რუსეთისთვის შავ ზღვაზე გაბატონებისა და აზოვის ზღვაზე ფლოტის მშენებლობის პერსპექტივა იშლებოდა. თურქებსვე ეკუთვნოდა ციხესიმაგრე ოჩაკოვი, რომელიც მდინარე დნეპრის შავ ზღვასთან შესართავთან მდებარეობდა¹. ყოველივე ეს კი იმაზე მიანიშნებდა, რომ რუსეთი ოსმალეთ-ყირიმთან სამხედრო კონფლიქტის გარეშე შავ ზღვაზე გასასვლელს ვერ მოიპოვებდა.

¹ История СССР, ч. Первая, Москва, 1979, 317.

XVII საუკუნის ბოლოს პეტრე I-ის მონაწილეობით მოეწყო ე. წ. აზოვის ლაშქრობები (1695-1696 წლები). 1695 წელს აზოვის ციხესიმაგრეზე განხორციელებულ პირველ წარუმატებელ იერიშს, 1696 წელს – მეორე მოჰყვა, რომლის დროსაც რუსებს ციხესიმაგრის გარნიზონი დანებდა. XVII საუკუნის ბოლოს რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო კონფლიქტი (ე. წ. აზოვის ლაშქრობები) დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთს შორის 1700 წლის 3 ივლისს 30 წლის ვადით დადებული კონსტანტინეპოლის ზავით¹, რომლის მიხედვით, რუსეთს გადაეცა ციხესიმაგრე აზოვი და მიმდებარე ტერიტორიები განახლებული (კვლავ აშენებული) ციხესიმაგრეებითურთ: ტავანროვით, პავლოვსკით, მიუსით. დიდ მიღწევას წარმოადგენდა ის, რომ რუსეთი აღარ უხდიდა ყოველწლიურ ხარკს ყირიმის ხანს. თურქეთმა შეძლო შეენარჩუნებინა რუსების მიერ დაკავებული დნეპრისპირეთის გამაგრებული პუნქტები (ტავანი, კიზი-ქერმენი, ნუსტრეტ ქერმენი), თუმცა ვალდებული იყო აქ არსებული ციხესიმაგრეები მოეშალა².

რუსეთის ხელისუფლებაში კარგად აცნობიერებდნენ, რომ აზოვის დაპყრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსეთისთვის სავაჭრო გზების უსაფრთხოებას, რადგანაც ქერჩის სრუტე და შავი ზღვა თურქების ხელში იყო. მიუხედავად ამისა აღნიშნულმა მონაპოვარმა მთელ რიგ სიახლეებს დაუდო სათავე, მათგან ერთ-ერთი, დიდი სამხედრო ხომალდების მშენებლობის პროგრამა იყო, რომლის მიხედვითაც მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი ჩაება გემთმშენებ-

¹ Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 1-11.

² Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 3, 5, 8.

ლობაში (მაგალითად, შეძლებული საერო და სასულიერო ფეოდალები ქმნიდნენ ე. წ. „კუმპანსტვას“, რომელიც ერთი ნომადლის აშენებაზე იყო პასუხისმგებელი და ა. შ.)¹.

1710 წელს პორტამ რუსეთს ომი გამოუცხადა, რაც ზავის დარღვევას ნიშნავდა. პეტრე I-ის სარდლობით განხორციელებული ე. წ. პრუტის წარუმატებელი ლაშქრობების შემდეგ რუსეთსა და პორტას შორის 1711 წლის 12 ივლისს ხელი მოეწერა პრუტის ხელშეკრულებას², რომლითაც რუსეთმა კონსტანტინეპოლის (1700 წ.) ზავის მონაპოვარი მთლიანად დაკარგა – რუსეთი ვალდებული იყო ოსმალეთისთვის დაებრუნებინა აზოვი, ძირფესვიანად დაენგრია ტაგანროგის, კამენკის და მდინარე სამარაზე აშენებული ახალი ციხესიმაგრეები და დათანხმებულიყო პოლონეთის საქმეებში ჩაურევლობაზე, რომლის მმართველად შვედეთის მომხრე დაინიშნა³.

1711-1713 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომი დამთავრდა 1713 წლის 13 ივნისს დადებული ადრიანოპოლის ზავით⁴, რომელმაც გაიმეორა პრუტის ხელშეკრულების პირობები – რუსეთმა თურქეთს დაუთმო აზოვის ციხესიმაგრე მდინარე ორიოლის მიმდებარე ტერიტორიითურთ.

1713 წლის ადრიანოპოლის ზავი 1720 წლის 5 (16) ნოემბერს კონსტანტინეპოლში დადებული „სამუდამო სამშვი-

¹ История СССР, ч. Первая, Москва, 1979, 318.

² Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 11-14.

³ იქვე, 12, 13.

⁴ К. Жуков, Некоторые узловые моменты русско-турецких отношений в конце XVII- начале XX вв., Вестник Санкт-петербургского университета, сер. 13, вып. 2, 2009, 11.

დობო“ ხელშეკრულებით შეიცვალა¹, რომლის პირობებიც უკეთესი იყო რუსეთისთვის 1711 წლის პრუტის ხელშეკრულებასა და 1713 წლის ადრიანოპოლის ზავებთან შედარებით. აღნიშნული ხელშეკრულების მე-4-ე არტიკულით, ოსმალეთს აზოვი დარჩა, რუსეთს კი ჩერკასკისი, ამ ორ ფორტს შორის, მდინარე სამარას შესართავთან და მდინარეებს ორიოლსა და სამარას შორის ტერიტორიაზე მშენებლობა ორივე მხარეს აკრძალა². აღნიშნული ზავის დადებით მომენტს წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ორივე მხარის კომერსანტებს მიეცათ რუსეთსა და ოსმალეთში თავისუფალი ვაჭრობის უფლება.

რუსეთის იმპერატორი ანა ივანეს ასული (1730-1740) როგორც თანამედროვეების, ისე მომდევნო პერიოდის ისტორიკოსების მიერ მიჩნეულია ისეთ მმართველად, რომელსაც პოლიტიკა, განსაკუთრებით იმპერიის საზღვრების სამხრეთით ზრდა არ აინტერესებდა³. აღნიშნულ მონარქზე ასეთ წარმოდგენებს მისი მეფობის დროს რუსეთ-სპარსეთის 1735 წლის ხელშეკრულებამაც დაუდო სათავე, რომლის საფუძველზეც დერბენტიდან რუსული ჯარის გამოყვანა მოხდა. ჩვენ ამ საკითხზე უკვე გამოვთქვით მოსაზრება და არ დავეთანხმეთ აღნიშნული ფაქტის ასეთ შეფასებას⁴, რადგანაც მიგვაჩნია, რომ რუსეთის საგარეო უწყების აღნიშნულ გადაწყვეტილე-

¹ Полное собрание законов Российской Империи, т. 6, собрание первое, 1720-1722, СПб, 1830, 253-260; Дубровский А, К вопросу о русско-турецких договорах в начале в., <https://cyberleninka.ru/article/v/k-voprosu-o-russko-turetskih-dogovorah-v-nachale-xviii-v>.

² Полное собрание законов. . . , 257.

³ История СССР, 1979, 373-374.

⁴ მ. ტყავაშვილი, კასპიისპირეთის საკითხი რუსულ-ქართული ურთიერთობის ჭეილში (XVIII საუკუნე), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 2 (19), თბილისი, 2016, 184.

ბას სერიოზული მიზეზი და მიზანი ჰქონდა, რომელთაგან ერთ-ერთი სწორედ რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე განვითარებულ მოვლენებს უკავშირდებოდა. XVIII საუკუნის პირველ მესამედში ევროპული სახელმწიფოები (საფრანგეთი, პრუსია, ავსტრია) გააქტიურდნენ „პოლონეთის მემკვიდრეობის“ ხელში ჩასაგდებად¹. რუსეთი ამ მოვლენების მაყურებლის როლში ვერ დარჩებოდა. 1733 და 1735 წლებში რუსებმა ფრანგული დესანტის განეიტრალება მოახდინეს. საფრანგეთი ცდილობდა რუსეთის ძალები დაექსაქსა და თურქებს რუსეთთან კონფლიქტისთვის აქეზებდა. რუსეთის დერბენტიდან გამოსვლის (მისი კონტროლის ქვეშ მყოფი კასპიისპირეთის დასავლეთ სანაპიროზე 80 კმ-იანი კვადრატის სპარსეთისთვის დაბრუნების) ერთ-ერთი მიზეზი ოსმალეთთან მოსალოდნელი ომის წინ შაჰის კართან ურთიერთობის დათბობა და ამ გზით ორ ფრონტზე ბრძოლის აცილებაც იყო. 1735 წელს რუსეთ-სპარსეთს შორის დადებული ტრაქტატის პირობებით, ამ უკანასკნელს არ უნდა დაეშვა, რომ მისთვის დაბრუნებული ტერიტორია სხვა სახელმწიფოს მფლობელობაში გადასულიყო (იგულისხმებოდა ოსმალეთი)².

კონსტანტინეპოლში ამ შეთანხმებას მტრულად შეხვდნენ – სულთნის კარის ბრძანებით, ამიერკავკასიისკენ დაიდრა ყირიმელი თათრების 20-ათასიანი ლაშქარი.

1735-39 წლების რუსეთ-ოსმალეთს შორის 1735 წელს დაწყებული სამხედრო კონფლიქტი დამთავრდა 1739 წლის 19 სექტემბერს დადებული ბელგრადის ზავით, რომლითაც რუსეთმა დაიბრუნა აზოვის ციხესიმაგრე, რომლის დანგრევაც დაევალა, მაგრამ დაკარგა კონტროლი მცირე და დიდ

¹ История СССР, 1979, 385.

² იქვე, 386.

ყაბარდოზე, რომლებიც ადრე რუსეთის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ისინი დამოუკიდებლად გამოცხადდნენ¹.

სამხრეთის მიმართულებით რუსეთის გააქტიურება ეკატერინე II-ის მმართველობის ხანას უკავშირდება. რუსეთისთვის შავი ზღვის რეგიონში პოზიციების განმტკიცებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-ოსმალეთის 1768-1774 წლების ომის შედეგები, რაც 1774 წლის 10 ივლისს დადებულ ქუჩუკ-კაინარჯის ზავში აისახა. ზავის მე-3-ე, მე-19 და მე-20 პუნქტების მიხედვით, რუსეთმა მიიღო აზოვის ზღვის ნავსადგურები: აზოვი, ენიკალე და ქერჩი მათი მახრებითა და ნავსადგურებით, რამაც მისი შავ ზღვაში თავისუფალი შესვლა განაპირობა². მასვე გადაეცა მდინარე დნეპრის შესართავი და აქ მდებარე ციხესიმაგრე კინბურნი (მე-18 მუხლი)³.

აღნიშნულმა ზავმა, ყირიმს დამოუკიდებლობა მიანიჭა⁴, რაც განდა იმის საფუძველი, რომ 1783 წელს ეკატერინე II-ს ეს სახანო გაეუქმებინა. 1783 წელსვე გაფორმდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან ტრაქტატი (გეორგიევსკის), რაც რუსეთისთვის ასევე წინ გადადგმული ნაბიჯი იყო ამიერკავკასიაში გავლენის გავრცელების კუთხით.

რუსეთმა შავ ზღვაში თავისუფალი ვაჭრობის, მისმა სავაჭრო გემებმა კი ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებით შეუზღუდავი სარგებლობის უფლება მიიღეს. რუს ვაჭრებს ოსმალეთთან ვაჭრობაში ისეთივე უპირატესობები დაუწეს-

¹ Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 15-24.

² Под стягом России: Сборник архивных документов, Москва, 1992, 81.

³ იქვე, 87.

⁴ Под стягом России: Сборник архивных документов, Москва, 1992, 81.

დათ, როგორითაც თურქებთან განსაკუთრებულ მეგობრულ ურთიერთობაში მყოფი სხვა ხალხი სარგებლობდა¹.

ქურუკ-კაინარჯის ზავით რუსეთი შავი ზღვის სახელმწიფო გახდა.

შავ ზღვაში ვაჭრობის აღნიშნული პრივილეგიები და უფლებები განამტკიცა რუსეთსა და ოსმალეთს შორის 1783 წელს მიმდინარე სავაჭრო მოლაპარაკებაში².

1784 წლის რუსეთის იმპერატორის მანიფესტით, ხერსონისის, ფეოდოსიისა და სევასტოპოლის სავაჭრო პორტები ოფიციალურად გაიხსნა³.

1791 წელს იასის ზავით დამთავრდა რუსეთსა და თურქეთს შორის 1787 წელს დაწყებული სამხედრო კონფლიქტი. 1791 წლის 29 დეკემბერს დადებული ხელშეკრულებით,⁴ რუსეთმა ქურუკ-კაინარჯის ზავის მონაპოვარი განიმტკიცა. მხარეებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭეს ურთიერთშორის ეკონომიკური კავშირების გაფართოებასა და ხელშეწყობას (VII პუნქტი)⁵.

შავი ზღვის აუზში რუსეთის ვაჭრობის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1794 წელს ოდესის ღია პორტად გამოცხადებას. შავი და აზოვის ზღვების საბაჟო გადასახადები შემცირდა, რაც აქ მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისთვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა. 1796 წელს ეკატერინე II გარდაიცვალა. ტახტზე პავლე I ავიდა.

¹ История СССР, 1979, 414.

² К. Жуков, Некоторые узловые моменты русско-турецких отношений в конце XVII- начале XX вв., Вестник Санкт-петербургского университета, сер. 13, вып. 2, 2009, 12.

³ История СССР, 1979, 414.

⁴ Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 41-49.

⁵ იქვე, 46.

1798 წლის 23 დეკემბერს ოსმალეთსა და რუსეთს შორის მეგობრობისა და თავდაცვის ხელშეკრულება გაფორმდა (8 წლით)¹, რუსეთს პირველად მიეცა საშუალება საზღვაო ფლოტი სრუტეებში შეეყვანა.

1800 წელს რუსეთის იმპერიას ალექსანდრე I ჩაუდგა სათავეში. მისი მმართველობის პერიოდში ახალმა მინისტრთა კაბინეტმა ოსმალეთთან ურთიერთობის განსხვავებული პროგრამა წამოაყენა, რაც ოსმალეთის ტერიტორიების დაშლადანაწილების ნაცვლად, მის შენარჩუნებას ითვალისწინებდა (ეფუძნებოდა ვ. კორნუბის წამოყენებულ იდეას – „თურქებზე წყნარი მეზობლები ჩვენ არ გვეყოლება და მათი, ჩვენი ბუნებრივი მტრების, შენარჩუნება ამიერიდან ჩვენი პოლიტიკის წესი უნდა გახდეს“)². აღნიშნულმა პოლიტიკამ მხოლოდ 1806 წლამდე გასტანა. რუსეთის მიერ აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაპყრობას და ზოგადად, კავკასიაში გააქტიურებას ოსმალეთის მხრიდან საპასუხო რეაქცია მოჰყვა – 1806 წლის ბოლოს პორტამ რუსეთს ომი გამოუცხადა.

1806-1812 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის დამთავრება ქ. ბუქარესტში ზავით გაფორმდა. მომდევნო პერიოდში ამ ორ სახელმწიფოს შორის გამუდმებით მიმდინარეობდა დიპლომატიური ხასიათის დავა აღნიშნული ზავის ორაზროვანი პუნქტების³ ირგვლივ, რაც უპირველეს ყოვლისა, „აზიის“

¹ Полное собрание законов Российской Империи, т. 25, собрание первое, 1720-1722, СПб, 1830, 500-502, <http://elibrary.ru/nodes/203-t-25-1798-1799-1830#mode/inspect/page/100/zoom/6>.

² მ. ტყავაშვილი, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა და საქართველო (XIX საუკუნის დასაწყისი), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (20), თბილისი, 2017, 138-139.

³ Полное собрание законов Российской Империи, т. 32, собрание первое, 1720-1722, СПб, 1830, 316-322,

საკითხს – VI მუხლს (ძირითადად, სოხუმისა და კემგალის, იგივე რედუტ-ყალეს ციხესიმაგრეების კუთვნილების საკითხს) ეხებოდა. პორტას ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა აღნიშნული ნავსადგურებიდან რუსული სამხედრო კონტიგენტის გაყვანას და საერთოდ, დასავლურ ქართულ ტერიტორიებზე თავის უფლებებს უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევდა. რუსეთი, თავის მხრივ, „ომამდე საზღვრებში ტერიტორიების აღდგენის“ მუხლს იშველიებდა და აღნიშნული მოთხოვნის შესრულებას არ აპირებდა. საზავო მუხლებზე უთანხმოებამ მათი ურთიერთობა ჩიხში შეიყვანა და იმდენად გაართულა, რომ რამდენჯერმე საომარი კონფლიქტის საშიშროებაც დადგა.

ზავის VI არტიკულის ირგვლივ ერთსულოვნება თვით რუს პოლიტიკოსებს შორისაც არ იყო. ეს ეხებოდა როგორც ბუქარესტის ზავის პუნქტების გაგებას, ისე საერთაშორისო ურთიერთობის შეფასებასაც. მაგალითად, ოსმალეთის კარზე რუსეთის წარმომადგენელი ა. იტალინსკი მიიჩნევდა, რომ ჯობდა რუსეთს აფხაზეთი დაეტოვებინა, რადგანაც შესაძლოა ამით დაზარალებულიყო ქვეყნის პოლიტიკური ინტერესები ევროპაში. იტალინსკი ალბათ ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენდა, თუმცა რუსეთის საიმპერატორო კარი და განსაკუთრებით კავკასიის მთავარმართებლები (რტიშჩევი და ერმოლოვი) ამ მოსაზრებას ეწინააღმდეგებოდნენ და აცხადებდნენ, რომ აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ

რუსეთის პოზიციებს კავკასიაში სერიოზული საფრთხე დაემუქრებოდა¹.

XIX საუკუნის 10-იან წლებში (საფრანგეთთან, ოსმალეთთან, სპარსეთთან მიმდინარე ომების წარმატებით დამთავრებამ) რუსეთის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე განამტკიცდა.

1821 წელს ბალკანეთში ოსმალთა წინააღმდეგ ბერძენთა აჯანყებამ იფეთქა, რუსეთი აჯანყებულთა მოკავშირედ და დამცველად მოვევლინა საერთაშორისო საზოგადოებრიობას. მას მალე ევროპული სახელმწიფოებიც შეუერთდნენ. აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად 1826 წლის 23 მარტს ე. წ. „პეტერბურგის ოქმი“ (ნესელროდეს, ლივენისა და ველინგტონის მიერ ხელმოწერილი), 1827 წელს კი „ლონდონის კონვენცია“ იქნა ხელმოწერილი. ნიკოლოზ I უფრო შორს წავიდა. მან კონსტანტინეპოლს ულტიმატუმი წაუყენა. რუსეთი თურქეთისგან მოითხოვდა წინათ დადებული ხელშეკრულებების შესრულებას არა მარტო რუსეთ-თურქეთის საზღვრების, არამედ სერბეთის, მოლდავეთისა და ვალახეთის შინაგანი უფლებების საკითხშიც. ევროპის სახელმწიფოები ულტიმატუმს დუმილით შეხვდნენ. ოსმალეთი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო. 1826 წლის ივლის-სექტემბერში რუსეთისა და ოსმალეთის წარმომადგენლები სათათბიროდ შეიკრიბნენ აკერმანში. 1826 წლის 26 სექტემბერს ხელმოწერილი იქნა აკერმანის კონვენცია².

¹ მ. ტყავაშვილი, ბუქარესტის ზავი და აფხაზეთის საკითხი, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბილისი, 22, 2019, 143; AKAK, V, 504-505.

² აკ. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნეში, თბილისი, 1973, 188-189.

„აკერმანის კონვენციით“, თურქეთმა რუსეთს აღუთქვა 1812 წლის ბუქარესტის ზავის ყველა მუხლის შესრულება, 1791 წლის იასის ზავის და 1783 წლის სავაჭრო შეთანხმებათა დაცვა. რუსეთისთვის უზრუნველყოფილი ხდებოდა ზღვაოსნობისა და ვაჭრობის სრული თავისუფლება შავ ზღვაზე, მტკიცედ იქნა განსაზღვრული თურქეთის უფლებები მოლდავეთსა და ვალახეთში. ამ პროვინციებს ვაჭრობისა და მრეწველობის თავისუფლება და შინაგან მმართველობაში დამოუკიდებლობა მიენიჭათ. განმტკიცდა სერბეთის შინაგანი ავტონომია. მან დამოუკიდებელი ადმინისტრაციული მოწყობის უფლება მოიპოვა.

აკერმანის კონვენცია ოსმალეთმა მალევე დაარღვია – განსაკუთრებული სისასტიკით მიჰყო ხელი აჯანყების ჩახშობას საბერძნეთში და ამ საქმეში ეგვიპტის ფაშა მუჰამედ ალი მოიშველია. 1827 წელს მოკავშირეების (რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისის) გაერთიანებული საზღვაო ძალები ნავარინის ყურეში შევიდნენ. აქვე იყო თავმოყრილი ოსმალეთ-ეგვიპტის საზღვაო ძალები. 1827 წლის 20 ოქტომბერს მომხდარ ბრძოლაში თურქეთის ფლოტი მთლიანად განადგურდა, რის შემდეგაც პორტას ხელისუფლებამ გაუქმებულად გამოაცხადა რუსეთთან დადებული ყველა ტრაქტატი, მათ შორის აკერმანის კონვენციაც. დაკეტა ბოსფორი და დარდანელი, კონფისკაცია უყო რუსულ საქონელს კონსტანტინეპოლში. 1828 წლის აპრილში ნიკოლოზ I-მა ოსმალეთს ომი გამოუცხადა. საომარი ოპერაციები რუსეთისთვის წარმატებით მიმდინარეობდა. 1829 წლის 2 სექტემბერს ხელმოწერილ იქნა ადრიანოპოლის ზავი¹. ზავით, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე რუსეთს გადაეცა ტერიტორია ყუბანის შესართავიდან შეკვეთილამდე. კავკასიის ტერიტორიაზე რუსეთის

¹ იქვე, 194.

მფლობელობაში შევიდა ახალციხე და ახალქალაქი. თურქეთმა იცნო რუსეთის მიერ თურქმენჩაის ზავით ერევნისა და ნახჭევანის სახანოების, აგრეთვე, „საქართველოს, გურიის, იმერეთისა და სამეგრელოს“ შეერთება¹. შავი ზღვის სრუტეები რუსეთისა და ევროპის სავაჭრო ზომალდებისთვის გაიხსნა. რუს ვაჭრებს თურქეთის ტერიტორიაზე თავისუფალი ვაჭრობის უფლება მიეცათ. ადრიანოპოლის ხელშეკრულებამ რუსეთს შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპიროს მნიშვნელოვანი მონაკვეთი დაუკანონა, რომელთა შორის ქართული ტერიტორიები და უმნიშვნელოვანესი ქართული ნავსადგურები: გაგრა, ბიჭვინთა, სოხუმი, ანაკლია და ფოთი იყო.

დამოწმებანი:

1. Акты Кавказской Археографической Комиссии, ред. А. Берже, т. IV, Тифлис, 1870.
2. Акты Кавказской Археографической Комиссии, ред. А. Берже, т. V, Тифлис, 1873.
3. К. Жуков, Некоторые узловые моменты русско-турецких отношений в конце XVII- начале XX вв., Вестник Санкт-петербургского университета, сер. 13, вып. 2, 2009.
4. История народов Северного Кавказа (конец в. 1917 г.), ред. А. Нарочныйкий, Москва, 1988.
5. История СССР, ч. Первая, ред. В. Мавродин, Москва, 1979.
6. Полное собрание законов Российской Империи, первое собрание, т. 6, часть 2, СПб, 1830.
7. Полное собрание законов Российской Империи, первое собрание, т. 19, СПб, 1830.

¹ Юзефович Т. П., Договоры России с Востоком, политические и торговые, СПб, 1869, 73-74.

8. Полное собрание законов Российской Империи, первое собрание, т. 25, СПб, 1830.
9. Полное собрание законов Российской Империи, первое собрание, т. 32, СПб, 1830.
10. Под стягом России: Сборник архивных документов, Москва, 1992.
11. აკ. სურგულაძე, რუსეთის იმპერია XIX საუკუნის XIX საუკუნეში, თბილისი, 1973.
12. მ. ტყავაშვილი, ბუქარესტის ზავი და აფხაზეთის საკითხი (XIX საუკუნის დასაწყისის რუსული ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 22, თბილისი, 2019.
13. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო რუსეთის პოლიტიკური ინტერესების სფეროში, კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 21 თბილისი, 2017.
14. მ. ტყავაშვილი, რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობა და საქართველო (XIX საუკუნის დასაწყისი), კრებულში: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (20), თბილისი, 2017, 138-139.

Mzia Tkavashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili

Institute of History and Ethnology

**THE ISSUE OF BLACK SEA EASTERN COASTS IN
RUSSIAN-OTTOMAN INTERNATIONAL
AGREEMENTS
(1774-1833 YEARS)
RESUME**

From the beginning of the XVIII century, acquiring the passage to the Black Sea has become one of the main directions of the Foreign policy of Russian government. In 1695-1696 during the so called Azov invasions under the leadership of Petre I, Azov Fortress owned by the Russians (by Treaty of Constantinople 1700) was soon lost (according to the Treaties of Pruth - 1711 y., Adrianople- 1713 y. and Constantinople- 1720 y.).

For the purpose of strengthening Russia's positions in the Black Sea region, the Treaty of Kuchuk-Kainarji was concluded after Russian – Ottoman war of 1768-1774 years. According to the 3rd, 19th and 20th paragraphs, the ports of the Azov Sea: Azov, Yeni-Kale and Kerch with their districts and harbors were obtained by Russia; also the confluence of the river Dnieper and the fortress Kinburn located there (Article 18th). Russia acquired the rights of free trade in the Black Sea as well as its trade ships were allowed to use the unlimited access to the straits.

The ambiguity of the so-called “Asia” articles of the Treaty of Bucharest (1812 y.) has become the reason for the constant disagreement between Russia and Ottoman Empire. The conflict was related to the issue of ownership of Sukhum-Kale and Redut/Redout Kale - Porta demanded the Russians to

leave but the Imperial Court justified the legitimacy of the ownership of the mentioned port by the Russians and was not going to withdraw the military contingent. The above-mentioned fortresses were confirmed by Akkerman Convention (1826 y.) and later by Treaty of Adrianople (1829y.) in favor of Russia.

ეკატერინე ძმანაშვილი
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

არაბული სახელწოდების ქართველი მოხედეები
საქართველოში

ამიდი

ქართულ საისტორიო წყაროებში, დამოწმებულია ქალაქის მოხელეთა რამოდენიმე არაბული სახელწოდება. ერთ-ერთი მოხელე ამიდია.

ამიდი - (არაბ. - 'მდ- მეთაური, ბელადი). აღმოსავლური ქალაქების მოხელე; ქართულ წყაროებში ხელშესახები ცნობები **ამიდის** უფლება-მოვალეობის დასადგენად არ მოგვეპოვება. **ამიდის** თანამდებობა ქართულ წყაროებში XII ს. გვხვდება. დავით აღმაშენებლის ანდერძში შიო მღვიმის მონასტრისადმი (1123/1124). დავით აღმაშენებლის სიგელში შიო მღვიმისადმი ნათქვამია: „**ტ ფ ი ლ ი (ს) საამიდოძთ**, ვითა სხვთაცა ნიშნითა, თვთ ჳ(ე)ლითა ჩ(ე)მითა დამიწერია ასი დრაჰკანი მღვდელთა და მგ(ა)ლ(ო)ბ(ე)ლთათ(ჳ)ს, ნუვინ დააკლებს. მ(ა)ს დღ(ე)სა, რ(ომე)ლსა მომიწსენოს ღ(მერთმა)ნ, გაიყონ მღვდელთა და მგალობელთა¹. დავით აღმაშენებლის ანდერძის იმ ადგილიდან, სადაც საამიდო გადასახადზეა საუბარი, კარგად ჩანს, რომ საბუთის გამცემს სხვა საბუთებშიც

¹ ვ. სილოგავა, ანდერძი დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი. თბ. 2010, გვ. 210.

ჰქონია საუბარი შიო მღვიმის მონასტრის მღვდელთა და მგალობელთათვის „სამილოდან“ გარკვეული წილის გადაკვეთის შესახებ. საბუთიდან ჩანს, რომ **სამილო** მნიშვნელოვანი გადასახადი ყოფილა, რაკი მისი გარკვეული წილი 100 დრაჰკანითაა განსაზღვრული¹. **ამილები**, როგორც ისტორიოგრაფიაშია მოხსენიებული, ქართველი მეფის მოხელეებად ითვლებიან და ქალაქის გამგებელს, ე.ი. თბილისის ქართველ ამირას ემორჩილებიან². **სამილო** გადასახადი მოხსენიებულია გიორგი III-ის სიგელშიც, შიო მღვიმისადმი: „ეგრეთვე ქ(ა)ლ(ა)ქს, რ(ომე)ლ უკა ნის მოუყიდიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარა ჯონი **სამიროისა**, სამილოისა, სარაისოისა, სამუსტასიბოისა და ყ ოვლისა სანუკერისაგან³.“ (იხ. დანართი 1).

გიორგი III-ის საბუთში სამილო და სარაისო გამოსაღების მოხსენიება, ცხადია, მიუთითებს ამ თანამდებობათა არსებობაზე. რაკი სამილო გადასახადი, ისე, როგორც სხვა არსებობს, მოწმობას, რომ გადასახადები გარკვეულ მოხელეობასთან არიან დაკავშირებული. სამილო, ამ საბუთში, ისეთივე მნიშვნელობითაა ნახმარი, როგორც სამირო, საგუსტასიბო, სარაისო⁴.

თბილისის „სამილო“ გადასახადი, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოსაღები, რაც მიუთითებს საქართველოს

¹ მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 151.

² მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში; თბ., 1981, გვ. 86.

³ ხეც. – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი.- Hd-1351.

⁴ მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 151.

ქალაქებში შესაბამისი თანამდებობის არსებობაზე. ქართულ წყაროებში ხელშესახები ცნობები ამ მოხელის უფლება-მოვალეობების შესახებ არ მოგვეპოვება. სახალიფოს ქალაქების ამიდებს ევალებოდა საბუთების შედგენა და ბაღდადის მთავრობასთან მიმოწერის წარმოება.

მუსლიმური აღმოსავლეთის ქალაქების ანალოგიით, საქართველოს ქალაქებში ამიდს, სავარაუდოდ, ქალაქის მწერლის მოვალეობის შესრულება და, ამასთანავე, ცენტრალური ხელისუფლებისათვის საქმიანი ქალაქების წარდგენა ევალებოდა¹.

აღმოსავლური წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ამიდის ფუნქცია მაგ: სამანიდების, ლაზნევიდების და თურქ-სელჯუკების სახელმწიფოებში, უპირატესად სახელმწიფო საბუთების შედგენა და პოლიტიკური ხასიათის მიმოწერის წარმოება იყო. მის დაკავშირებას სახელმწიფო საბუთების შედგენასთან მოწმობს ნიზამ ალ-მულქის „სიასეთ-ნამე“-ში ამიდის მოხსენიება სამდივანმწიგნობროს და სამეურნეო-საფინანსო დაწესებულების მოხელეთა გვერდით².

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამიდის თანამდებობა აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, კარგად ჩანს იქიდან, რომ მის ტიტულაციას ჩვეულებრივ ერთვოდა „მულქი“ („სამეფო“), „მულქობა“ კი, იმავე „სიასეთ-ნამეს“-ს მიხედვით, შეიძლებოდა დართვოდა მხოლოდ „ვაზირის, თულრაის, მუსტოუფის, სულთნის არიზის, ბაღდადის ამიდის და ხორასნის

¹ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში; (შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი). თბ. 2017, გვ. 101.

² Сиясет-Наме книга о правлении вазира XI столетия низам ал-мулька; Москва-Ленинград, 1949. С. 160.

ამიდის“ წოდებულებას. За исключением вазира тутраи мустауфи, султанского ариза амида Багдада и амиля Хорасана¹.

გარდა ამისა ჩვენი კვლევების თანახმად, მას ტიტულატურის არა მარტო „მულქის“ წოდება ერთვის, არამედ ნიჰამ ალ-მულქის მიხედვით ჩანს, რომ მას ასევე ერთვის ტიტულაცია „უსტა“ (ოსტატი). რაც ამიღების დამრიგებელს ენიჭებოდა. საპატიო წოდება „უსტა“.

ამიდის აღმოსავლეთის სახელმწიფოების სამოხელეო სარბიელზე მოღვაწეობის ხასიათისა და დანიშნულების გათვალისწინებით შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართულ ვითარებაშიც ამიდს საბუთების შედგენასთან უნდა ჰქონოდა საქმე, თუმცა საამისო დამადასტურებელი ცნობები ქართულ წყაროებში არ მოიპოვება. მაგრამ ის კი საფიქრებელია, რომ თბილისის საამიროს მმართველობის სისტემაში არსებობდა ისეთი თანამდებობის პირი, რომლის უფლება-მოვალეობას სათანადო საბუთების შედგენა შეადგენდა. მასვე უნდა ეწარმოებინა მიწერ-მოწერა ბაღდადის მთავრობასთან. აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთანაც. იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, სავარაუდოა, სამდივანმწიგნობროს არსებობა თბილისის საამიროში, ხოლო არაბული სახელწოდების მოხელეებიდან ერთადერთი მოხელე, რომლის დაკავშირება შეიძლება თბილისის საამიროს სამდივანმწიგნობროსთან, ეს ამიღია. თბილისის საქართველოსთან შემოერთების შემდეგ, ცხადია, მისი სამოხელეო ფუნქცია უნდა შეცვლილიყო და, რაკი ამიღობა სამწერლობო საქმესთანაა დაკავშირებული, შესაძლებელია, რომ მას ქალაქის მწერლის მოვალეობა დაკისრებოდა. მაგ-

¹ Сиасет-Наме книга о правлении вазира XI столетия низам ал-мулька; Москва-Ленинград, 1949. С.160.

რამ, რადგან მომდევნო ხანებში ის აღარ გხვდება თბილისში, იქნებ თბილისის მუსლიმური მოსახლეობისათვის დაგვეკავშირებინა? ყოველ შემთხვევაში, კიდევ, რომ დავუშვათ, ამიღის, როგორც სამოხელეო ინსტიტუტის, შესვლა საქართველოს საქალაქო წყობილებაში, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ მან დიდხანს ვერ იარსება, რადგან მომდევნო ხანის საბუთებში ის აღარ გხვდება.¹

ამიღის ფუნქციებისა და მოვალეობის გათვალისწინებიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ის შეესაბამება ქალაქის მმართველობის ერთ-ერთ მთავარ მოხელეს, რომლის ფუნქციაშიც, სავარაუდოდ იქნებოდა ქალაქის მმართველის მიერ გაცემული ბრძანებების ჩაწერა, გაგზავნა და მათ შესრულებაზე კონტროლი. ასე რომ, ამიდი საკმაოდ საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი თანამდებობის პირია. აქედან გამომდინარე ლოგიკურია, რომ ქართულ სამოხელეო სინამდვილეში დამკვიდრდა აღნიშნული სახელო, ამ სახელოს დიდმნიშვნელობაზე მეტყველებს ის, რომ ამიდი მოხსენიებულია სამეფო სიგელებში.

შურტა

შურტა - (არაბ. შურტა - პოლიცია) არაბ ამირას დაქვემდებარებული საპოლიციო მოხელეა. შურტა არაბულ სამყაროში, აღმინისტრაციული თანამდებობის პირის აღმნიშნელი იყო. ამ პირების სამოხელეო ფუნქციები კი დაკავშირებული იყო, როგორც ხალიფასთან, ასევე სულთნის კართან და აღ-

¹ მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 152.

გილობრივ მმართველობასთან. შურტას მოვალეობებს დროის და ადგილის მიხედვით განსხვავებულად იყენებდნენ: მას გააჩნდა როგორც საპოლიციო უფლება, ასევე სასამართლოს ფუნქციებიც.

შურტა არაბული საჰიბ ალ-შურატადანაა (შურტათა უფროსი) მიღებული. საჰიბ აშ-შურატის გარეგნული ნიშანი შუბი იყო, რომელსაც ის მბრძანებლის წინ ატარებდა¹. საჰიბ აშ-შურატის ხელქვეშეთი მოხელენი შურტები იყვნენ. საჰიბ აშ-შურატის უფლება-მოვალეობას სასახლის გვარდიის სურსათ-სანოვაგით მომარაგება და მისი შენახვა შეადგენდა. ამრიგად, საჰიბ აშ-შურატი მჭიდროდაა დაკავშირებული სასახლის გვარდიასთან და ამდენად მისი წონაც, ცხადია, მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ხალიფას თუ სულთნის კარზე, მაგრამ შემდეგ საჰიბ აშ-შურატის უფლება-მოვალეობა იზღუდება და საქალაქო წყობილებაში საპოლიციო ფუნქციებით იფარგლება².

შურტა თავისი წარმოშობით აღმოსავლეთის ქალაქების სამოხელეო აპარატთან არის დაკავშირებული. ეს არაბული თანამდებობა ჩვენში, უეჭველია, თბილისის საამიროს გზით შემოდის. ცხადი უნდა იყოს, რომ თბილისის საამიროს პოლიტიკური ძლიერების ხანაში საჰიბ აშ-შურატის და მისდამი დაქვემდებარებული შურტების უფლება-მოვალეობა მეტად მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო როგორც საამიროს ფარგლებში მთლიანად, ისე ქალაქ თბილისში. ამ საკითხთან და-

¹ Бартольдт, Туркестанъ въ эпоху монгольскаго нашествия; ч II, СПб, 1900.с.236-237.

² მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954, გვ. 146.

კავშირებით ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „ქალაქის უმთავრესი ზედამხედველობა და უზრუნველყოფა ებარა ერთს ამირას ხელქვეით მოხელეს, რომელსაც „შურტას“ ეძახდნენ. ეს სიტყვა არაბული „შურტაკ“–აა და იგი პოლიციის მცველების უფროსად ითლებოდა და ქალაქში წესრიგს იცავდა ხოლმე. ივ. ჯავახიშვილი წერს: „გიორგი III-ის სიგელიდან ჩანს, რომ შურტას ქალაქის ბაზრისა და ბაჟის ზედამხედველობა უნდა ჰბარებოდა¹.

მართალია, შიომღვიმის მონასტერს ქალაქში აქვს ქულბაქნი და იქვე, იმავე საბუთში, ქალაქის ბაჟზეც არის საუბარი, მაგრამ დამოწმებული საბუთი თვითონ შურტას არც ქულბაქებს და არც ბაჟს არ უკავშირებს. საბუთში საუბარია მხოლოდ მონასტრის საერთო სამფლობელოებზე ქ. თბილისში. „ყოველნი საქონელნი მათნი შეუვალ–გუიქმნიან ყ(ოვ)ლისა შესავლისაგან, თუით, ჩ(უე)ნისა სასეფოისა და ყ(ოვ)ლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძელითგან შეუვალნი: საე(რისთ)ვოისა, საციხისთვოისა და საშურტაოისა ყ(ოვ)ლისაგან². საბუთიდან ჩანს, რომ შურტა საქვეყნოდ გამრიგე ხელისუფალთა გვერდითაა დაყენებული. შურტა პროვინციელ მოხელედ ჩანს, რაკი იგი ისეთ მოხელეებთან ერთად არის დასახელებული, როგორც იყო ერისთავი, ციხისთავი, ხევისუფალი³.

შურტა, მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში ეწოდებოდა პოლიციის მოხელესაც. ასეთი თანამდებობა, ცხადია

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია; თბ. 1907, გვ. 23–24.

² ქისკ – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი – შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ.ენუქიძემ, ვ.სილოგავამ, ნ.შოშიაშვილმა; თბ. 1984. გვ. 68.

³ მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში; თბ., 1981, გვ. 85.

იგულისხმება თბილისის საამიროს ქალაქებშიც, მათ შორის, რასაკვირველია, თბილისშიც. შურტა ქართულ სინამდვილეშიც საქალაქო თანამდებობად მიაჩნია შ. მესხიასაც¹.

საშურტაო გამოსაღებზე საერთოდაა საუბარი საერისთავო და საციხისთავო გამოსაღებთან ერთად. საკუთრივ ქალაქის მოხელეები ცალკე არიან მოხსენებულნი ქალაქის გამოსაღებთან დაკავშირებით, ე.ი. შურტა არ უკავშირდება ქალაქის ბაზარსა და ბაჟს, რაც, რასაკვირველია, არ გამოირიცხავს იმ გარემოებას, რომ შურტა ქალაქის მოხელეა².

ტერმინი არსებობას განაგრძობს ქართულ სამოხელეო ტერმინოლოგიაში თბილისის საამიროს გაუქმების შემდეგაც. XII ს-ის სიგელში დადასტურებულია საშურტაო გადასახადი. მოგვიანო ხანის საბუთებში შურტას თანამდებობა აღარ ფიქსირდება. სავარაუდოდ, მისი ფუნქციები სხვა უწყებამ შეითავსა. შურტას (შულტას) ინტიტუტი მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციებით დიდხანს იყო შემორჩენილი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში - ხევსურეთსა და თუშეთში.

ყველგან მას დაკისრებული ჰქონდა თემის წევრებისაგან პურის აკრეფა და სახატე დღესასწაულების დამსწრეთა მომარაგება ლუდითა და პურით.³

ჩვენს მიერ განხორციელებულ კვლევის პროცესში დავადგინეთ, რომ ქართულ ისტორიულ წყაროებში,

¹ შ. მესხია, საისტორიო ძიებანი; ტ. II თბ. 1983. 170–173.

² მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი), მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30, თბ., 1954, გვ. 147.

³ ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში; (შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი). თბ., 2017, გვ. 315.

პირველად მოიხსენიება ტერმინი შურტა X და არა XI საუკუნიდან. ეს მოხელე მოხსენიებულია „მატიანე ქართლისაჲ“–ში. ის კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსის) კვირიკე II-ის ძმაა.

კვირიკე II კახეთის მთავარი (ქორეპისკოპოსი) 929–976. მას განუდგნენ გარდაბნელი აზნაურები და მხარი დაუჭირეს გიორგი II აფხაზთა მეფეს, რომელიც იბრძოდა კახეთის შესაერთებლად. კვირიკე II-ს უღალატა მისმა ძმამ შურტამ და აფხაზთა მეფეს გადასცა უჯარმის ციხე. გიორგი II-მ დაიპყრო ბოჭორმის, ლოწობნის და ნახჭევანის ციხეებიც. კვირიკე II-მ თავი დამარცხებულად ცნო. მაგრამ მას დაეხმარნენ ქართლის აზნაურები და მან კახეთი დაიბრუნა: „მოერთო შურტა, ძმად კვირიკე ქორეპისკოპოსისაჲ, გიორგი მეფესა, და მოუტანა თანა | ციხე მისი უჯარმო: და ეუფლნეს ზუათაცა ციხეთა კახეთისათა თჳნიერ სამთა ციხეთა: ნახჭევანისა, ბოჭორმისა და ლოწობანთა¹.

პიროვნებებს ზოგადად, როგორც წესი, მათი თანამდებობის სახელით მოიხსენიებდნენ ხოლმე. სავარაუდოდ, კვირიკეს ძმას, ეს სახელი (შურტა) ეკავა. და მისი ფუნქციებიდან გამომდინარე მისი გადაბირება, მოწინააღმდეგის მხარეზე, სერიოზული დარტყმა იქნებოდა, კვირიკესთვის. (შურტა ხომ ქვეყნის შიდა წესრიგზე იყო პასუხისმგებელი). ამ წყაროდან ჩანს, რომ კახეთის საქორეპისკოპოსოში ეს თანამდებობა X საუკუნეში ფიქსირდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ზოგადად ქართულ სივრცეში, სამოხელეო შურტას სახელი პირველად კახეთის საქორეპისკოპოსოში მკვიდრდება.

¹ ქართლის ცხოვრება; (მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი). თბ. 2008. გვ. 263.

შურტა ქართულ სინამდვილეში ადგილობრივ მმართველობასთანაა დაკავშირებული, ეს ნათლად ჩანს მეფის სიგელშიც. 1170 წლის მეფე გიორგი III-ის სიგელში შიომღვიმისადმი მოხსენიებულია საშურტაო, სადაც კკითხულობთ, რომ გიორგი III უთავისუფლებს შიომღვიმის მონასტერს საქონებელს ყოველი გადასახადისაგან.

„ყოველნი საქონელნი მათნი შეუვალ—გუიქმნიან ყ(ოვ)ლისა შესავლისაგან, თუით, ჩ(უე)ნისა სასეფოისა და ყ(ოვ)ლისა მათისა მოახლისაგან, ვითა ძელითგან შეუვალნი: საე(რისთ)ვიისა, საციხისთვიისა და საშურტაოისა ყ(ოვ)ლისაგან. ეგრეთვე ქ(ა)ლ(ა)ქს, რომელ ქუქლბაგნი აქუან: ხუთნი სპარსობითგანვე და ოთხნი რ(ომე)ლ უკანის მოუყიდიან და შემოუწირვან, თავისუფალნი და უხარაჯონი საამიროისა, საამილოისა, სარაისოისა, სამუსტასიბოისა და ყოვლისა სანუკვრისაგან¹. ე.ი. შურტა არ უკავშირდება ქალაქის ბაზარსა და ბაჟს. ქართულ საბუთებში, როგორც ჩანს, იგი ფისკალურ მოხელეს აღნიშნავდა.

ქართლ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში შურტას არსებობა საინტერესო მოვლენაა. ის დადასტურებულია ხევსურეთში, თუშეთსა და გურიაში. ხევსურეთში „შულტას“ სასოფლო ხატის მამულების დამუშავება და სახატო დღეობებზე მლოცველების გამასპინძლება ევალება. თუშეთში „შულტა“ ზამთრის პერიოდის სახატე დღესასწაულების ორგანიზაციას ახდენს, რაც გამოიხატება თემის წევრებისაგან პურის აკრეფაში სახატე დღესასწაულებზე მლოცველების ლუდითა და პურით უზრუნველყოფისათვის. გურიაში „შულტა“ საქორ-

¹ ქისკ — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი—შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა; თბ., 1984, გვ. 68.

წინო ცერემონიათანაა დაკავშირებული. შულტა განაგებს ქორწილისათვის სამზადისის დროს ძღვენის მიღებას.

ქართულ სამოხელეო წყობილებაში დამკვიდრებულმა შურტამ მიიღო გადასახადის ამკრეფი მოხელის და გარკვეულ რელიგიურ სფეროში, სურსათით მომმარაგებლის ფუნქცია. საინტერესო მასალაა დაცული ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში, კერძოდ თუშეთში: „თუშეთის მთავარი საკულტო ცენტრი, ლაშარის ჯვარი, სოფ. ჩილოს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ხელოსანი ლაშარის სახელზე ზვარაკებს სასაკლაოზე შეწირავდა, შ უ ლ ტ ა მათ იქვე დაკლავდა და დააგორებდა. დაკლულ-დაგორებული ზვარაკები ტაფობს რომ ჩააღწევდნენ, იქ მათი გატყავება ხდებოდა. უწინდელ დროში ეს ტყავები ჯილდოდ ურიგდებოდათ ლაშარობას ცხენების ჯირითში გამარჯვებულებს.

ჩილოდან ლაშარში ორი გზა მიედინებოდა. როცა მგზავრი ჩილოს გაცილდებოდა, პირველად ლაშარის ჯვარის ყანას შეხვდებოდა, მას გვერდზე გაუვლიდა და ამის შემდეგ გზა ორად იყრებოდა. ადგილობრივ მთხრობელთა თქმით, ეს ჯვარის ყანა ანუ სახნაური 2 ჰა მაინც იქნებოდა; იგი ს ა შ უ ლ ტ ა ო იყო. ამ ყანას შ უ ლ ტ ა მარტო ჩილოელი იყო და ახლაც ასეა. „ს ა შ უ ლ ტ ა უ ი დ“ სამნათეო ყანებს ხვწევდის მთელი სოფელი.

სოფელი წილის ყრით ირჩევდის ორ მნათესად ორ შ უ ლ ტ ა ს, ერთ მნათეიდ ერთ შ უ ლ ტ ა ქაზნიაურთ მამითა იყვის ერთი მნათეიდ ერთ შ უ ლ ტ ა ი კიდენ მგელიშვილ მამითა“.

შ უ ლ ტ ა ე ბ ს ევალებოდათ ლაშარის დღესასწაულისად ქვაბების შეკიდებაი. დანარჩენ კი მნათების მოვალეობად იყვის..... მნათეები, ხკლევდეს თითო-თითო ჯარს. ჯორცს სწონიდეს. შ უ ლ ტ ა ე ბ ს კი სარიგა მო-

სდიოდის, ე. ი. წილის ყრით იყვის თუ ვის უნდ დეკლ საკ-
ლავი. სამხათეოდ ს ა შ უ ლ ტ ა ო ყანები ყველაი არ
წნიან, ზოგ აყამირიან, თივა მნათეებად შ უ ლ ტ ა ე ბ ი
თიბიან“¹.

სოფელი დართლო: დლეობის დროს, გამოიტანდნენ
ხატის დროშას და დაამაგრებდნენ პირით აღმოსავლეთისაკენ.
დროშის გამოტანამდე ძველი შ უ ლ ტ ა ს მიერ ხატის
დარბაზში შენახულ არყიან ბოთლს გამოიტანდნენ, სამაგიე-
როდ, ახალ ბოთლს შეავსებდნენ და ხატის დარბაზში შეი-
ნახავდნენ მომავალი დლეობისათვის.

შ უ ლ ტ ა პლატონ იდოიძე მოიყვანდა ჭვდილას,
ანთებული სანთლით შეუტრუსავდა მატყელს თავზე და დაი-
ლოცავდა სასმისით ხელში.

თუშეთი, სოფელი ჩივილაურთა: შუკაკობა აღდგომის
მეასე დღეს მოდის. დლეობას ატარებდნენ შ უ ლ ტ ე ბ ი,
რომლებსაც სოფელი წილისყრით ირჩევდა. მათ ევალეობდათ
საკლავის დაკვლა. საკლავი იწონებოდა საწონი ქვებით, რომ-
ლებსაც ლიტრებს ეძახოდნენ. საკლავის გარდა, შ უ ლ ტ ა
სოფელში კრეფდა ფორს და ლუდს ხარშავდა, შეშა ღამის
შეყრაზე და ლუდის დუღების დროს შ უ ლ ტ ე ბ ი ს
იყო².

სოფელი ხახაბუ: ყველა ხატისათვის წელიწადში სამი
შ უ ლ ტ ა ყავდათ, საახალწლოდ კი ნათე. ნათეს ახალ-

¹ ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები; თბ. ტ. II 2, 1985.
(მთხრ. კივო თევდორეს ძე ბექურიძე, 93 წლის, 1949 წ., ჩაიწერა შ.
ბაკურიძემ), გვ. 15–22.

² ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის
ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები; თბ. ტ. II 2, 1985.
(მთხრ. ფროსე ალექსის ასული მოზაიძე, დაბად. 1889 წ., 1949 წ.
ჩაიწერა შ. ბაკურიძემ), გვ. 62.

წელსვე დასვა მდინე რიგით, შ უ ლ ტ ე ბ ი კ ი ანთიგენობას იცვლებოდა. მას დეკანოზი ეტყოდა, მიუთითებდა, თუ რა უნდა ეკეთებინა¹.

სოფელი შენაქო: შ უ ლ ტ ა ს სოფელში წილისყრით ირჩევდნენ. შ უ ლ ტ ა ვალდებული იყო დღეობის დღეს საკლავი მიეყვანა, ან ხორცი მიეტანა. სოფელში ერთი გამოწონილი ქვა იყო და ამ ქვის წონის ხორცი უნდ მიეტანა შ უ ლ ტ ა ს. „ველოსანი ჩვენ ბაღლობას სანებაში კურდღელაიძე ბაბო იყო. იმის შემდეგ არავინა ყოფილა. მაგის შემდეგ ვინც შ უ ლ ტ ა იყო, ველოსანიც ის იქნებოდა“².

ამგვარად არაბულ სამყაროში, შურტას თანამდებობას, რომლის ძირითად ფუნქციას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა წარმოადგენდა, უშუალო შეხება ჰქონდა, მოსახლეობის ფართო ფენებთან. შურტები წარმოადგენდნენ ცნობად მოხელეებს, სხვებთან შედარებით. სავარაუდოდ ეს პოპულარული მოხელე შურტა საზოგადოებისთვის აუცილებელი ფუნქციებით გადავიდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში და დაიმკვიდრა ადგილი. შურტას ფუნქცია საზოგადოებრივ დაცვას უკავშირდებოდა. ეთნოგრაფიულ მასალებში, მაინც საზოგადოებრივ წესრიგის დაცვას ემსახურებოდა ეს მოხელე. მისი ფუნქციები გადმოსულია იმ შურტადან და ეს დასახელებაც სახელმწიფო აპარატიდან არის გადმოსული. ქარ-

¹ ვ. ბარდაველიძე – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები; თბ. ტ. II, 1985 (მთხრ. თათარიძე ანტონი ღვთისოს ძე, დაბად. 1900 წ., ჩაწერილია 1965 წ). გვ. 64.

² ვ. ბარდაველიძე – აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები; თბ. ტ. II, 1985. (მთხრ. ფილო იოსების ძე კურდღელაიძე, დაბად. 1881 წ., ჩაწერილია 1966 წ). გვ. 73.

თული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხშირად ხდება, ასო „რ“-ს ჩანაცვლება ასო „ლ“-თი. ეს თანამდებობა იმდენად პოპულარული იყო ხალხში, რომ მიიღო ტრანსფორმაცია და გადავიდა ამ ფორმით – შულტა. ამ საჯარო თანამდებობას, შურტას, უშუალოდ მოსახლეობის დაბალ ფენებთან ჰქონდათ შეხება. მისი ეს ფუნქცია აუცილებელი იყო თემში, სახატო და სხვა სახალხო დღესასწაულებზე. (საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა). ამიტომ აქედან გამომდინარე, მოსახლეობამ გადმოიტანა ამ მოხელის სახელოს სახელწოდება და თავისით მიუსადაგა, ადგილობრივი თავისებურებიდან გამომდინარე, გარკვეულ სფეროში, სხვადასხვა ფუნქციებს. ასე რომ, მათ უშუალო შეხება ჰქონდათ რიგით მოსახლეობასთან და ამით ისინი უფრო პოპულარულები იყვნენ.

დამოწმებანი:

1. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, თბ., ტ. II, 1985.
2. მ. გაბაშვილი, საქართველოს ქალაქები XI-XII საუკუნეებში; თბ. 1981.
3. მ. ლორთქიფანიძე, ქალაქის მოხელეთა საკითხისათვის ფეოდალურ საქართველოში, (არაბული სახელწოდების მოხელენი); მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 30; თბ., 1954.
4. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი; ტ. II თბ. 1983.
5. ვ. სილოგავა, ანდერძი დავით აღმაშენებლის შიომღვიმისადმი, თბ., 2010.
6. ქართლის ცხოვრება (მთავარი რედაქტორი როინ მეტრეველი), თბ., 2008.

7. ქისკ – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი–შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა; თბ. 1984.
8. ხეც. – ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი. - Hd-1351.
9. ცენტრალური და ადგილობრივი სამოხელეო წყობა შუა საუკუნეების საქართველოში; (შემდგენლები: თამარ აბულაძე, ცისანა აბულაძე, ხათუნა ბაინდურშვილი, ვლადიმერ კეკელია, დარეჯან კლდიაშვილი, მზია სურგულაძე, ელენე ცაგარეიშვილი), თბ., 2017.
10. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, თბ., 1907.
11. ივ. ჯავახიშვილი, ქართველის ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, თბ. ტ. VI. 1982.
12. Бартольд, Туркестанъ въ эпоху монгольскаго нашествия; ч. II, СПб, 1900.
13. Сиасет-Наме книга о правлении вазира XI столетия низам ал-мулька; Москва-Ленинград, 1949.

Ekaterine Dzmanashvili

*St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia*

**GEORGIAN OFFICIALS OF ARABIC NAME IN THE
MIDDLE AGES
RESUME**

This article discusses the material of two officials - and amidi and shesta activities in the Georgian historical sources, some Arabic names of the city officials are confirmed: Amidi and Shurta. Which are found in the medieval Georgian



historical sources, in deeds and Gurji In Georgia, the of and the establishment



There are different ways of Arabic name officials' entries in Georgia. But the key of them is the entrance of the Arabs in Georgia and their proprietorship. In addition, Georgian economic, cultural and political relations with the eastern Muslim countries had a great impact. These institutions of civil servants in the Georgian reality come through the Tbilisi Emirate. So, it is obvious that the existence of official institutions with Arabic name and its impact is felt in Georgian cities.

Creation of officials' institutions was necessary for everyday life of Cities. Without them, the arranged functioning of both trade and the main centers of cities were impossible. Obviously, Tbilisi would not be the largest city and a trade center in the Caucasus without these officials. The necessity of officials posts was dictated by the city's lifestyle. Especially in Georgia, where the numerous Muslim population existed. Despite this, these official institutions could not livable; they underwent a transformation and others took their place.

დანართი 1.

გიორგი III-ის სიგელი შილ მღვიმისადმი – (სეც – Hd-1351).





თბილისი - კავკასიის პოლიტიკური, ეკონომიკური და
კულტურული ცენტრი
(XIX საუკუნე)

XIX საუკუნის დასაწყისში, აღმოსავლეთ საქართველოში რუსული მმართველობის დამკვიდრების შემდგომ, თბილისის სტატუსი სამეფოს დედაქალაქიდან გუბერნიის ცენტრამდე დაემცრო, თუმცა მალე იგი ამიერკავკასიის ადმინისტრაციული, პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის როლში მოგვევლინა. თბილისი, როგორც კავკასიის შუაგული, ამ როლისათვის ზედგამოჭრილი იყო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით. ისტორიულად, მშვიდობიან ეპოქებში, იგი ბუნებრივად გვევლინებოდა კიდეც ამ როლში, როგორც აღმოსავლეთისა (ცენტრალური აზია) და დასავლეთის დამაკავშირებელ ცნობილ სავაჭრო-საქარაუნო გზაზე მდებარე ქალაქი. იმავდროულად, თბილისი იყო განსხვავებულ ცივილიზაციათა და კულტურათა კომუნიკაციისა და დიალოგის ადგილიც. მეცნიერთა დაკვირვებით, „ამიერკავკასია მუდამ წარმოადგენდა არა მხოლოდ დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელ ხიდს, არამედ ჩრდილოეთისა და სამხრეთის საკონტაქტო ზონასაც, სხვადასხვა მტრული, ზოგჯერ კი ურთიერთგამომრიცხავი ცივილიზაციების გზაჯვარედინსაც. იგულისხმება არა მხოლოდ ევროპული და აზიური ცივილიზაციები, არა-

მედ ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და სამხრეთის ბინადარ-სამიწათმოქმედო და მომთაბარე სამყაროებიც“.¹

ახალ სინამდვილეში ამგვარი ფუნქციისათვის თბილისს შესაბამისი გარემო და ინფრასტრუქტურა ჭირდებოდა, არა-და, მას ჯერ კიდევ აჩნდა 1795 წელს ირანის შაჰის ალა მაჰმად-ხანის შემოსევის კვალი: 1820 წელსაც კი ქალაქის ქუჩები ნანგრევებით ყოფილა სავსე.

თბილისი თავდაპირველად მხარის ადმინისტრაციულ ცენტრად ჩამოყალიბდა, რადგან აქ იყო განთავსებული რუსი მთავარმართებლებისა და შემდგომ კავკასიის მეფისნაცვალთა რეზიდენცია.² ქალაქს ოფიციალურად რაიმე განსაკუთრებული სტატუსი არ ჰქონია, უბრალოდ, იმპერატორ ალექსანდრე I-ის 1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტის საფუძველზე, „საქართველოს უმაღლესი მმართველობის“ (Верховное Грузинское правительство) ადგილსამყოფელად თბილისი განისაზღვრა.³

პარალელურად, გამოქვეყნდა, მთავარმართებლად დანიშნული გენერლის კარლ კნორინგის, ასევე უმაღლესად დამტკიცებული, მიმართვაც (плакат), რომელშიც აღნიშნული იყო: „Приступив к исполнению Высочайшей воли Его Величества Императора Всероссийскаго, имею я долг и обязанность учредить впред до времени в Тифлисе под

¹ დ. მუსხელიშვილი, კავკასიური პოლიტიკა შუა საუკუნეების საქართველოში (XIII საუკუნემდე), ქართული დიპლომატია (წელიწდეული), V, თბ., 1998, გვ. 5.

² К. Кишмишев, Тифлис в 40-х годов, газ. „Кавказ“, 1894, 24 февраля.

³ Именной указ, данный Сенату, „О учреждении внутреннего в Грузии управления“. С приложением манифеста к грузинскому народу, постановления внутреннего управления Грузии и штата. 12 сентября 1801 г. // ПСЗРИ-1. Т. 26. № 20007, с. 784.

председательством моим Верховное Грузинское Правление“.¹

თბილისის სამართლებრივი მდგომარეობა რუსეთის არც მომდევნო იმპერატორებს განუსაზღვრავთ, მაგრამ მან, როგორც სამხრეთ კავკასიის მთავარმა ქალაქმა, ბუნებრივად დამკვიდრა ახალი როლი, რომელიც საყოველთაოდ გახდა ცნობილი. შემთხვევით არ წერდა კარლ მარქსიც, რომ თბილისი წარმოადგენდა ცენტრს „русского господства в Азии“,² ხოლო ჟურნალ „National Geographic“-ის ცოტა მოგვიანო პერიოდის შეფასებით, თბილისი იყო „კავკასიის ჰაბი“.³

მთავარმართებლისათვის პირველი სასახლე 1802 წელს აიგო. მომდევნო პერიოდში, ადმინისტრაციის ბიუროკრატიული აპარატის ზრდასთან ერთად, შენობა რამდენჯერმე გადაკეთდა. 1818 წელს კი არქიტექტორ ბრაუნმილერის პროექტით მთავარმართებლის ახალი სასახლე აშენდა. ცალკე შენობაში ედო ბინა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორს, რომლისთვისაც ყოფილი მეფის (ბატონის) მოედნისა და სა-

¹ Высочайше утвержденный плакат, объявленный в Кахетии и Картлинии генерал-лейтенантом Кноррингом, „Об учреждении верховного грузинского правительства в Тифлисе“. 12 сентября 1801 г. // ПСЗРИ-1. Т. 26. № 20009, с. 786-787.

² К. Маркс, Ф. Энгельс, Сочинения, т. 11, издание второе, М., 1958, с. 639.

³ „National Geographic“, 1919, November, volume XXXVI; პ. ჯაგუნავა, ჟურნალ „National Geographic“-ის ორი სტატია საქართველოს შესახებ (1918 წლის ოქტომბრისა და 1919 წლის ნოემბრის ნომრები), ჟურნ. „ქართული წყაროთმცოდნეობა“, XIX/XX, 2017/2018, გვ. 295.

ლაყბოს ადგილას რეზიდენცია აიგო და მოედანსაც „გუბერნატორის“ მოედანი დაერქვა.¹

თბილისთან კავშირის განმტკიცებისათვის აუცილებელი იყო მასთან მჭიდრო კომუნიკაციის უზრუნველყოფა. ამას კი სიშორის გარდა, უგზობაც ართულებდა. XIX საუკუნის დამდეგს რუსეთს აღმოსავლეთ საქართველოსთან ერთადერთი გზა აერთებდა, რომელიც ისტორიულად დარიალის გზის სახელწოდებით იყო ცნობილი. იგი ვლადიკავკაზიდან იწყებოდა და კავკასიონის მთავარი ქედის, ჯვრის უღელტეხილის, მდინარეების ბალთის, თერგის, ბიდაროს, არაგვისა და მტკვრის ხეობების გამოვლით თბილისამდე აღწევდა. მიუხედავად იმისა, რომ გზის სიგრძე 200 კილომეტრს ოდნავ აღემატება, იმ დროს მასზე მოძრაობა ჭირდა და ამ მანძილის გასავლელად თვეზე მეტი დრო იყო საჭირო. მთავარმართებელ პაველ ციციანოვის დროს, 1803 წლიდან გზის რეკონსტრუქციასა და გაფართოებას შეუდგნენ. სამუშაოები რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში წარმოებდა და 1861 წლისათვის გზის შოსირებით დასრულდა. 1814 წლისათვის გზაზე შესაძლებელი გახდა ეკიპაჟის მოძრაობა, ხოლო 1827 წლისათვის მოსკოვსა და თბილისს შორის ექსტრა-ფოსტა დაწესდა.² ხსენებულ მაგისტრალს საქართველოს სამხედრო გზის სახელი დაუმკვიდრდა.³ გზას თავისი მნიშვნელობა არც მას შემდეგ

¹ 1885 წლიდან მოედანი ეგზარქოსის მოედნად გადაკეთდა. საქართველოში საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ მას გერმანელი სოციალისტის ავგუსტ ბებელის სახელი მიაკუთვნეს, ხოლო 1948 წლიდან კი ერეკლე მეორის მოედანი უწოდეს. ო. ჯანელიძე, ქუჩები მოგვიტოვებენ ისტორიას. <http://mastsavlebeli.ge/?p=3762>

² С. Анисимов, Военно-грузинская дорога, М., 1925. с. 50.

³ ჯ. გვასალია, საქართველოს სამხედრო გზის ისტორიისათვის, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1972, № 2, გვ. 30-44. დღეს გზის ხსენებული მონაკვეთი

დაუკარგავს, რაც რუსეთი საქართველოს ზღვით, ხოლო მოგვიანებით რკინიგზითაც დაუკავშირდა.

კავკასიის რუსული მმართველობა იმთავითვე სამხედრო ხასიათს ატარებდა. მხარის მთავარმართველი, როგორც მთავარსარდალი, იმავდროულად სათავეში ედგა კავკასიაში განლაგებულ რუსეთის ჯარს და მას თბილისიდან ხელმძღვანელობდა.

შემთხვევითი არ იყო, რომ მთავარმართველის რეზიდენციასთან ახლოს,¹ გენერალ ალექსეი ერმოლოვის თაოსნობით, 1824-1827 წლებში აიგო რუსეთის კავკასიური კორპუსის სამხედრო შტაბის ქვის შენობა და მის წინ მდებარე მოედანს, რომელიც ის ის იყო იკვებებოდა, შტაბის მოედანი ეწოდა.² თბილისის ერთ-ერთი ცნობილ ქუჩას „საღდატსკაია“ ერქვა (დღევანდელი კოტე აფხაზის ქუჩა) და არსებობდა სოლდატსკი ბაზარიც. სამხედრო შტაბის გარდა თბილისში იყო საბრძოლო იარაღისა და საჭურვლის საწყობი - არსენალი და თოფისწამლის სარდაფებიც.³ 1820-იან წლებში მსროლელი ბატალიონებისათვის ავლაბარში აიგო ყაზარმები,

თი, რომელიც სამხრეთ რუსეთს საქართველოსა და სომხეთის გავლით ირანთან აკავშირებს, ევროპის ავტომაგისტრალი E117-ის ერთ-ერთ მონაკვეთს წარმოადგენს.

¹ დღევანდელ „გალერიას“ და სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტს“ შორის.

² ო. ჯანელიძე, ქუჩები მოგვითხრობენ ისტორიას.
<http://mastsavlebeli.ge/?p=3762>

³ 1870 წელს სამხედრო არსენალი ღუნბის მოედნიდან მტკვრის მარცხენა მხარეს, ჩუღურეთში გადაიტანეს. ამ უბანს დღემდე „არსენალს“ უწოდებენ. იხ. მ. ძიძიგური, დ. იოსებოძე, XIX საუკუნეში ნიკოლოზისა და ღუნბის მოედნების დაარსებისა და მათი შემდგომი სახეცვლილების შესახებ, კავკასიის მაცნე (სპეციალური გამოცემა), თბ., 2004, № 3, გვ. 33-38.

1819 წელს მეტეხის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე ააშენეს საპყრობილე, ხოლო მოგვიანებით - ჰაუპტვახტიც.¹

მეცხრამეტ საუკუნის განმავლობაში, დაწყებული 1804 წლიდან, რუსეთმა 6 ომი აწარმოა კავკასიის მეზობელ ირანთან და ოსმალეთთან. როგორც ცნობილია, ყველა ეს შეტაკება, გარდა ყირიმის ომისა, რუსეთის გამარჯვებით დასრულდა. შედეგად, რუსეთის იმპერიამ რეგიონიდან ორივე მისი მეტოქე განდევნა და მხარის სრულ ბატონ-პატრონად იქცა.

ის გარემოება, რომ ხსენებული ომების პერიოდში, თბილისი ირანთანაც და ოსმალეთთანაც უფრო ახლოს იყო, ვიდრე რუსეთის იმპერიის სამხრეთით მდებარე სხვა რომელიმე დიდი ქალაქი, ზრდიდა მის სტრატეგიულ მნიშვნელობასაც. შესაბამისად, იზრდებოდა აქ დისლოცირებული ჯარის ოდენობაც და ფართოვდებოდა სამხედრო ინფრასტრუქტურაც. 1865 წელს ჩამოყალიბდა კავკასიის სამხედრო ოლქი, რომლის შტაბი ასევე თბილისში მდებარეობდა. 1866 წელს თბილისში იუნკერთა სასწავლებელი დაარსდა. იგი რუსეთის არმიის ქვეით ნაწილებს პოდპორუჩიკის წოდებით უმცროს ოფიცრებს უმზადებდა. ასეთი დანიშნულების სამხედრო სასწავლებელი მთელ რუსეთის იმპერიაში მხოლოდ 3 იყო. 1875 წელს თბილისში სამხედრო გიმნაზია, ხოლო 1882 წელს კადეტთა კორპუსი გაიხსნა.²

კავკასიაში რუსული მმართველობის დამყარებიდან ახლო ხანებში დაიწყო ზრუნვა საქალაქო ცხოვრების განვითარებისა და თბილისის იერსახის მოწესრიგებისათვის. აღმი-

¹ ჰაუპტვახტიცის შენობა დღევანდელი კინო-თეატრ რუსთაველის ადგილზე იდგა.

² მდებარეობდა გოლოვინის პროსპექტზე, დღევანდელი ზურაბ წერეთლის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმის შენობაში, რუსთაველის გამზირი №27.

ნისტრაციის შენობების, ჰოსპიტალ-საავადმყოფოებისა და კერძო სახლების პარალელურად, დაიგეგმა სხვა პროექტების განხორციელებაც, მაგრამ მთავარმართებლებს ისე მალ-მალე ცვლიდნენ, რომ საქმე ნელა მიიწვედა წინ. ეს გარემოება არც უცხოელი მოგზაურის თვალს გამოპარვია. ფრანგი ექიმი ტეიული წერდა: „ქვეყნისთვის უბედურებაა მეთაურის ძალიან ხშირი ცვლა, რადგან ხშირად ორი გუბერნატორის იდეების შეუთავსებლობა ხელს უშლის დაწყებული საქმის დასრულებას, ხოლო ახალი პროექტები ხელს უშლის რომელიმე საქმის წამოწყებას“.¹

40-იანი წლების დამდეგიდან იწყება ინტენსიური მშენებლობა, როგორც გარეუბნებში, ისე კუკიაზე, ჩუღურეთში, ავლაბარში, ნავთლუხში და სხვ.

მეფისნაცვლამა მიხაილ ვორონცოვმა (1844-1853) სასახლის ხედი პეტერბურგელ არქიტექტორს ნიკოლაი სემიონოვს კლასიციზმის სტილში გადააკეთებინა. ამავე ხანებში გაშენდა ბაღი ხეივნებით, ფანჩატურით და აივო შადრევნებიანი აუზი. ცოტა მოგვიანებით, თბილისში მოღვაწე შვედი ხუროთმოძღვრის იაკობ სიმონსონის პროექტით, სასახლის საფუძვლიანი რეკონსტრუქცია განხორციელდა. კლასიციზტურ ფასადს ჰარმონიულად რენესანსული ელემენტები შეერწყა და შენობამ თავისი საბოლოო ფორმა მიიღო.

ვორონცოვის დროიდან აღმოსავლური, ფეოდალური თბილისი ევროპული ტიპის განვითარებულ ქალაქს ემსგავსებოდა, თუმცა, ევროპული ჩვევები ადგილობრივი ტრადიციებთან იყო შერწყმული. „თანამედროვეთა მოსწრებული შედარებით, თბილისი დაემსგავსა მითიურ იანუსს, რომელიც ერთი

¹ ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ, მოამზადა ირინე ნაჭყებამ, გვ. 95.

<https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46914.pdf>

სახით აზიისაკენ იყურებოდა, მეორით კი ევროპისაკენ. ეს ორბუნოვნება მჟღავნებოდა თითქმის ყველაფერში - სამოსში, ყოფით ნივთებსა და ცხოვრების წესში, გემოვნებაში, ხელოვნებასა და არქიტექტურაში. ფრაკი და ჩოხა, ჩიხტიკობი და შლაპა, აქლემების ქარავანი და ეტლი, იტალიური არია და აღმოსავლური ბაიათი, ფორტეპიანო და ღუღუკი, ევროპული მაღაზია და ხალხმრავალი ბაზარი, კლასიკური ორდერი და ბანიანი სახურავი – ეს ყველაფერი ერთდროულად ქმნიდა თბილისის სახეს“.¹

იონა მეუნარგიას სიტყვით, „გაჩნდა რუსის სალდათი, რუსის პოლიცია, რუსის ორდენები და ლენტები, ურემმა გზა მისცა ტარანტასსა, ლეჩაქმა - შლიაპას, ქოშებმა - ბათინკებს“.²

ახალ შენობათა დიდი ნაწილი დასავლურ-აღმოსავლური ხუროთმოძღვრების ნაზავი იყო. ერთი თანამედროვის სიტყვით, „თბილისი წარმოადგენს ევროპულ და აზიურ შენობათა შერევის ორიგინალურ სურათს, რომელიც თვალს ანცვიფრებს“. სწორედ ეს კოსმოპოლიტური არქიტექტურა განაპირობებდა თბილისის თავისებურებას. ქუჩების მხრიდან ფასადებს ევროპული იერი ჰქონდათ, ეზოებში კი თვალსაჩინო იყო აზიური შუშაბანდები, რიკულებიანი აივნები და ხის კიბეები. მდიდრულ თბილისურ სასახლეთა ფასადების შემკულობა, ორნამენტებიანი ხვეულები თუ მარმარილოს ფიგურები - ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს წარმოადგენდა.

¹ XIX საუკუნის თბილისის სტილისტური მრავალფენოვნება და კლასიციზტური ნაგებობები.

https://www.qwelly.com/group/es_sainteresoa/forum/topics/tbilisis-agebobebi

² ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, თფ., 1905, გვ. 11.

ქალაქის ევროპეიზაციის პროცესი მის ურბანულ სახე-სა და არქიტექტურული ნაგებობების ხასიათზეც აისახებოდა. მიწური და ბანიანი სახლები ადგილს უთმობდა კაპიტალურად ნაგებ ერთ და მრავალსართულიან ნაგებობებს.¹ შუა საუკუნეების უგემო, ქაოსური ქალაქთმშენებლობის პრინციპის ნაცვლად, ინერგება „დიდი დროით წინასწარდაგეგმილი მშენებლობის პრინციპი“. განაშენიანებას ისე გეგმავდნენ, რომ პარალელურ ქუჩებს ვერტიკალური ქუჩები გადაეკვეთა. ახალი ქუჩები ან მტკვრის გასწვრივ მიემართებოდა ან მის პერპენდიკულარულად. თუ XIX საუკუნის დამდეგს მტკვრის სანაპიროებს მხოლოდ ერთი - მეტეხის ხიდი აკავშირებდა, 1830 წელს ავლაბრის, 1852 წელს - ვორონცოვის, შემდეგ მნაცაკანოვის ხიდები აიგო.

ახალ უბნებში შენობები უმეტესად ევროპულ სტილში იგებოდა, თვით უბნები კი რუსეთისაკენ მიმავალი გზის მიმართულებით ყალიბდებოდა. ქუჩების სიგანე და მიმართულება წინასწარვე იყო დადგენილი, ხოლო სახლების მშენებლობა წარმოებდა მთავრობის მიერ დამტკიცებული ფასადების თანახმად.² ასე გაშენდა ქალაქის მთავარი არტერია - დღევანდელი რუსთაველის პროსპექტი, რომელსაც თავდაპირვე-

¹ 1867 წლის მონაცემებით თბილსში აღრიცხული 8172 საცხოვრებელი სახლიდან 24 იყო ოთხსართულიანი, 431 სამსართულიანი, დანარჩენი ერთ და ორსართულიანი. იხ. ა. ბენდიანიშვილი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-191 წწ. თბ., 1960, გვ. 56.

² თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957, გვ. 355. მოსახლეობის სხვადასხვა ფენისათვის შეიძუშავეს სახლების „ტიპობრივი პროექტები“. დადგენილი იყო, რომ ასაშენებელი სახლის სიმაღლე არ უნდა აღმატებულიყო ქუჩის სიგანეს. მოგვიანებით შეიტანეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც: „სიმაღლე სახლისა შეიძლება იქმნეს ქუჩის სიგანეზედ ერთი მეოთხედით მეტი“. იხ. გაზ. „ივერია“, 1902 წ., 16 იანვარი.

ლად კავკასიის მაშინდელი მთავარმართებლის, გენერალ ევგენი გოლოვინის სახელი უწოდეს. გაზეთ „კავკაზ“-ის ჟურნალისტის დუნკელ-ველინგის გადმოცემით, მთელ სიგრძეზე ხეივანით შემოსილი და გაზის სანათურებით განათებული გოლოვინის პროსპექტი საღამოობით იზიდავდა დღის სიცხისაგან თავმოებურებულ საზოგადოებას, რომელიც სეირნობაში ისვენებდა.¹

„ევროპული არქიტექტურის მიხედვით ნაგებმა სახლებმა საფრანგეთი გაგვახსენა“, - წერდა თბილისის ნახვისას ცნობილი ფრანგი ბოტანიკოსი და ნატურალისტი შარლ-პაულუს ბელანჟე.² ამ დროის თბილისს პარიზს ადარებდა ფრანგი მოგზაური ემილ ლევიეც. „მაღლიდან ქალაქი საღამოს ჟამს მშვენიერი სანახავია, ასე მგონია, ეიფელის კოშკიდან გადავცქერი გაჩირაღლებულს პარიჟსა-მეთქი. ...ევროპული სიციხოვანე და მოძრაობა ტფილისს არ აკლია. ქუჩაში ათასნაირი ხალხი ირევა, რომელთა შორის გაარჩევთ რუსის ოფიცრებს, გლეხებს, ქალებს პარიჟის უკანასკნელ მოდაზე მორთულთ და სხვ.“³ სახელგანთქმული „Siemens&Halke“-ს (დღეს, Siemens) დამფუძნებელი ვერნერ სიმენსიც თბილისს „აზიურ პარიზს“ უწოდებდა.⁴

„ამ ქალაქის (თბილისის) იერმა ძალიან გამაოცა, რადგან ის, ეკლესიის გუმბათებს თუ არ ჩავთვლით, ევროპული სტილით არის აშენებული და ვალპარაისოს (ვალპარაისო - ქალაქი ვენესუელაში, სამხრეთ ამერიკის ტერიტორიაზე) შემდეგ ასეთი ევროპული ქალაქი არ მინახავს“, - ჩაუნიშ-

¹ ი. ბალახაშვილი, ძველი ტფილისი, თბ., 1951, გვ. გვ. 93.

² ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ, მოამზადა ირინე ნაჭყებამ <https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/>

³ <https://at.ge/2018/06/27/dzveli-tbilisi/>

⁴ <https://www.marketer.ge/siemens-da-sakartvelo/>

ნავს 1848 წელს საქართველოში ჩამოსული ავსტრიელ მოგზაურ ქალს იდა პფაიფერს თავის მოგზაურობის წიგნში.¹

დაახლოებით იმავე პერიოდში თბილისში მყოფი ლევ ტოლსტოი წერდა თავის მეგობარს: „ტფილისს ემჩნევა ცივილიზაცია, ტფილისი ჰბაძავს პეტერბურგს“.²

XIX ს. შუა წლებიდან თბილისის ქალაქთმშენებლობაში ფეხს იკიდებს „წინასწარგააზრებული ქალაქპროექტირება“, რომელსაც ხელოვნებათმცოდნე და ურბანისტები „გეგმიანი ქალაქთმშენებლობის რეალურ დასაწყისად“ მიიჩნევენ.³

თბილისში ევროპული ტრადიციებისა და ცხოვრების წესის დამკვიდრება ჯერ კიდევ მთავარმართებელ ალექსეი ერმოლოვის დროიდან დაიწყო. იგი უპირველესად საჯარო სივრცეების შექმნით, მათში გართობისა და თავისუფალი დროის გასატარებლად საღამოების ორგანიზებაში გამოიხატა.

1819 წლისათვის თბილისში ფუნქციონირებდა საჯარო ბაღი და კლუბი. კლუბთან არსებობდა ბიბლიოთეკაც, რომელსაც გამოწერილი ჰქონდა რამდენიმე ფრანგული და გერმანულენოვანი ჟურნალი. გენერალი ერმოლოვი, რომელსაც ჩეჩნეთსა და დაღესტანში „უღვთო ჯალათს“ უწოდებდნენ, გარკვეული ლიბერალური შეხედულებებითაც გამოირჩეოდა, რის გამოც არ ეწინააღმდეგებოდა ევროპული პრესის თბი-

¹ იდა პფაიფერის მოგზაურობა კავკასიაში 1848 წ. ქართული თარგმანი გერმანულ ტექსტთან ერთად გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა, თბ., 2013, გვ. 42.

² Письма Л. Н. Толстого, М., 1910, с. 13. ასევე, ი. გრიშაშვილი, ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა, თბ., 1927, გვ. 21.

³ გ. ბერიძე, გეგმარებითი ტრადიციები XIX ს. თბილისის ქალაქთმშენებლობაში (ნაწილი II). ჟურნალი „ქართული ხელოვნება“, სერია – B, 1991, N9.

<http://www.georgianart.ge/index.php/ka/component/content/article/108.html?ed=10>

ლისში შემოტანას. მცირე ხანში ლიტერატურული საღამოები გადატანილ იქნა მთავარმართებლის ბინაზე. თვითმხილველთა გადმოცემით, კვირაში ორჯერ, - ხუთშაბათობით და კვირაობით ა. ერმოლოვთან იკრიბებოდა მთელი თბილისის საზოგადოება. ეწყობოდა ბალები, მასკარადები, კითხულობდნენ მხატვრულ ნაწარმოებებს, იმართებოდა შინაური წარმოდგენები და სხვ.¹

ცნობილი გერმანელი მოგზაურის მორიც ვაგნერის სიტყვით, „ფუფუნების მოყვარე გოლოვინის მთავარმართებლობისას, რომელიც განსაკუთრებით კეთილად იყო განწყობილი გართობის, თანაზიარობისა და ქალებისადმი, ყოველწლიურად იზრდებოდა მდებრობითი სტუმრების რიცხვი საღამოებსა და ბალებზე. აქ შესაძლებელი იყო პირბადის გარეშე ხილვა თავადური ანდა აზნაურული წარმოშობის მშვენიერი ქართველი და სომეხი მანდილოსნების უმეტესობისა. მათი ერთი ნაწილი ფრანგულ კოსტიუმში იყო გამოწყობილი“.²

გრიგოლ ორბელიანის კერძო წერილებიდანაც ირკვევა, რომ გოლოვინის მმართველობის პერიოდში თბილისისათვის დამახასიათებელი ყოფილა „დიდი ბალები და ვეჩერები“.³

მომდევნო მთავარმართებელს ა. ნეიდჰარტს ასეთი საღამოების ტრადიცია აღარ გაუგრძელებია. იგივე მ. ვაგნერის მოწმობით, „გენერალ ნეიდჰარტის მმართველობაში მთავრო-

¹ ი. ბალახაშვილი, ძველი ტფილისი, თბ., 1951, გვ. 33-34.

² მ. ვაგნერი, საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 37-38.

³ XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა. ტ. III. გრიგოლ ორბელიანი (ნაწილი II), თბ., 2012, 133; 137-138.

ბის სასახლის სალონებში შემცირდა მშვენიერი სქესის მოზღვავება. ამ კაცის მკაცრი, ოღნავ პედანტური, ნამდვილი გერმანული ხასიათი ვერ ეგუებოდა ფუფუნებასა და ხმაურიან ზეიმებს (ქეიფებს).¹

შეკრება-სალამოები ალექსანდრე ჭავჭავაძის, მანანა და ვახტანგ ორბელიანების, რომან ბაგრატიონისა და სხვათა საოჯახო სალონებში იმართებოდა. 30-იან წლებში თბილისში დაუდგამთ ა. გრიბოედოვის პიესა „ვაი ჭკუისაგან“.²

ნიკოლოზ ბარათაშვილის მიერ 1841 წლის 28 მაისს გრიგოლ ორბელიანისადმი გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ „ქართველთ არა სძინავთ გონებით“: დიმიტრი ყიფიანს უთარგმნია შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“, თვითონ ბარათაშვილს კი გერმანელი მწერლის იოჰან ლეიზევიცის ტრაგედია „იულიუს ტარანტელი“.³

ქართველობის „გონებით გამოღვიძების“ ცენტრი უპირველეს ყოვლისა, თბილისი იყო. აქ, ნიკოლოზ ბარათაშვილის გარშემო შემოკრებილ ლიტერატურულ წრეში ჩაეყარა საფუძველი ქართული ჟურნალისა და თეატრის დაარსების აზრს, რომელიც ცოტა მოგვიანებით კიდევაც განხორციელდა.

თბილისის ლიტერატურულ სალონებში არცთუ იშვიათად გაიგონებდით ფრანგულ ენას. არისტოკრატიულ ოჯახებში საგანგებოდ ჩამოჰყავდათ ფრანგი თუ გერმანელი გუვერნიორები. XIX საუკუნის შუა ხანებიდან ძველი საოჯახო

¹ მ. ვაგნერი, საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გ. გელაშვილმა. თბ., 2002, გვ. 38; 57-58.

² ჟურნ. „სალიტერატურო ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, 1832, №2.

³ ნ. ბარათაშვილი ერთტომეული, ჩემი რჩეული, გამომცემლობა „პალიტრა L“, თბილისი 2012, გვ. 70-71.

სალონები ადგილს უთმობენ სათავადაზნაურო, ოფიცერთა და სხვა კლუბებს. პირველი ამგვარი კლუბი 1852 წელს, თამაშევის ქარვასლაში მდებარე ხარინის რესტორანში გაუხსნიათ. მას შემდეგ რაც ადმინისტრაციამ კლუბის წესდება დაამტკიცა კლუბს „ტიფლისკოე სობრანიე“ ეწოდა და თავად მუხრანელის სახლში გადაინაცვლა.¹

1846 წელს დაარსდა თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა, 1847 წელს გაიხსნა წიგნის პირველი სპეციალიზებული მაღაზია,² ხოლო 1863 წლისათვის ნაბეჭდი პროდუქციით ვაჭრობას თბილისში უკვე სამი მაღაზია აწარმოებდა.

70-იანი წლებიდან ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ რედაქციაში იმართებოდა ცნობილი „ხუთშაბათობები“, ეწეობოდა ახალი მხატვრული თხზულებების საჯარო კითხვა, ლიტერატურულ პერსონაჟთა გასამართლებები და სხვ. რომლებიც საზოგადოების ცხოველ ინტერესს იწვევდა.

თბილისის საცხოვრებელი კვარტლები არსებულ სოციალურ იერარქიას ასახავდა. შეძლებული ფენების წარმომადგენლები (მომავალი ბურჟუაზია) ძირითადად თავმოყრილი იყო პრესტიჟულ სოლოლაკში. აქ ცხოვრობდნენ ალექსანდრ მელიქ-აზარიანცი, მიხეილ არამიანცი, ნიკოლოზ ბოზარჯიანცი,³ მარკოზ დოლუხანოვი, გაბრიელ თამაშევი, გრიგორ იუზბაშევი, ალექსანდრ მანთაშევი, ძმები არკადი და არშაკ

¹ Газ. „Кавказ“, 1894 г. 24 Февраля.

² „საქართველოს გაზეთის“ ცნობით, თბილისში, სიონის კათედრალის მახლობლად, ჯერ კიდევ 1819 წელს გაუხსნიათ ღუქანი, რომელშიც წიგნები იყიდებოდა. იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი მეშვიდე, თბ., 1984, გვ. 402.

³ ძმები ბოზარჯიანცების სამსართულიან ვილას საუკეთესო ფასადისათვის საქალაქო კონკურსში სპეციალური არქიტექტურული პრემია მიეკუთვნა. <http://nv.am/tiflis-i-ego-armyane/>

მაილოვები, მიხეილ ქალანტაროვი, ენფიანჯაცები, მირზოვეები, ძმები სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, რომლებიც თავიანთი ფეშენებელური ვილებისა თუ „მოდერნის“ სტილის სახლების დაპროექტებამშენებლობას მსოფლიოს საუკეთესო არქიტექტორებს უკვეთავდნენ. გოლოვინის პროსპექტზე გამოირჩეოდა ვაჭარ გრიგორი არწუნის, ცნობილი მეურნის მიხრან ანანოვის, მეწარმეების მირიმანოვების სახლები და სხვ. ნარიყალაზე სახლობდნენ ქართლის თავადთა ოჯახები: მუხრან-ბატონი, ორბელიანი, ბარათაშვილი, ისანში - კახეთის მებატონენი: ჭავჭავაძე, ჩოლოყაშვილი, ვახვახიშვილი, ჯანდიერი, ჯორჯაძე და სხვ.¹ სხვა უბნებში განირჩეოდა ხელოსნებისა და მუშების დასახლებები. ქალაქის გარეუბნებში გლეხობა სოფლის მეურნეობას მისდევდა.

თბილისის განუყოფელი ნაწილი იყო და ქალაქს თავისებურ ხიბლს სძენდა ქარვასლები ანუ ქარავენის სახლები, რომლებიც ვაჭრებისათვის ერთდროულად სავაჭრო და საცხოვრებელი ადგილიც იყო. ალა-მაჰმად-ხანის შემოსევისას თბილისში თითქმის ყველა ქარვასლა დაინგრა. XIX საუკუნის დასაწყისისათვის აქ მხოლოდ ოთხი დიდი ქარვასლის არსებობა დასტურდება. ესენია: „თბილისის (თბილელის) ქარვასლა“, „მეფის ფუნდუკი (ქარვასლა)“, „მელიქის ქარვასლა“ და ვინმე „ბეჟანის ქარვასლა“, სოლოლაკში.²

20-იანი წლებიდან ძველი ქარვასლების ნაწილის აღდგენა და ახლების მშენებლობაც დაიწყო. ქარვასლათა ზედა სართულები მოსასვენებელ ოთახებს ეთმობოდა, შიდა ეზო ცხენებისა და აქლემების სადგომად გამოიყენებოდა, ხოლო შენობის სარდაფი ვრცელ საწყობებს ეკავა.

¹ გაზ. „კვალი“, 1893, №6, 7 თებერვალი, გვ. 8.

² შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, ტ II, თბ., 1983, გვ. 646.

XIX საუკუნეში თბილისში არსებული 17 ქარვასლიდან 14 სომხებს ეკუთვნოდა.¹ მათ შორის ცნობილი იყო არწრუნის, თამამშევის, სარქისოვის, შადინოვის, ანანოვის, შიოევის, ჰალატოვის, პარუმბეკოვის, ხერუდინოვის, ჩითახოვის, ხოსროვეის, მირზოვეისა და სხვ. ქარვასლები. თბილისური ქარვასლების ქართველ მფლობელთაგან შეიძლება დავასახელოთ თეკლა ბატონიშვილი, ძმები სტეფანე, პეტრე და იაკობ ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი და კომერსანტი ეგორ მაისურაძე. 1823 წელს აგებული სარაჯიშვილის ქარვასლა 14 სასტუმრო ოთახის, 9 საწყობისა და მალაზიისაგან შედგებოდა.

თბილისი წარმოუდგენელია ასევე აქაური გოგირდის ცხელი წყლის აბანოების გარეშე, რომლებსაც ფართოდ ჰქონდათ სახელი განთქმული. „კავკასუსკი კალენდრის“ მიხედვით, 1847 წელს თბილისში 8 ასეთი აბანო ყოფილა 52 აბაზანით.² 1850 წლის გეგმაზე, აბანოთუბანში ექვსი აბანო აღნიშნული, კერძოდ: ორბელიანის, სიონის, სუმბათოვის, მელიქოვის, ზუბალოვის, თამამშევისა და მირზოვეის აბანოები.³ აღსანიშნავია, რომ აბანო ქალებისათვის სილამაზის სალონის როლსაც ასრულებდა, სადაც ინით თმას იღებავდნენ და თავს ათასნაირად იკოხტავებდნენ.⁴

მოგვიანებით თბილისში ევროპული ტიპის მალაზიებიც გაჩნდა. განსაკუთრებით ცნობილი იყო ლაბიელის და ბლოტის მალაზიები, ასევე „სპარსული და კავკასიური მალა-

¹ Ш. Чхетия, Армяне в Тбилиси в шестидесятих годах XIX века (к 1500-летию города Тбилиси) [http://hpj.asj-oa.am/144/1/58-3\(161\).pdf](http://hpj.asj-oa.am/144/1/58-3(161).pdf)

² Кавказский календарь на 1847 год. Тифлис, 1846.

³ თ. კვიციანი, ძველთბილისური დასახელებანი, თბ., 1985, გვ. 6.

⁴ ი. ბალახაშვილი, ძველი თბილისი, თბ., 1956, გვ. 76.

ზია“, რომელშიც მოღური პარიზული საქონელი იყიდებოდა და სხვ.

ქალაქს თავისებურ იერს სძენდა აქაური ბაზრები, რომელთაგან ფართოდ იყო ცნობილი „საღლათის“ (თანამედროვე ორბელიანის მოედანზე), თათრის მოედანი, სომხის ბაზარი და სხვ. ბაზარი არა მხოლოდ სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა, არამედ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილსაც, სადაც შეიძლებოდა ახალი ამბების გაგება, აზრთა ურთიერთგაზიარება და სხვ.

ქალაქის ინფრასტრუქტურას შეადგენდა სასაფლაოც. 60-იანი წლებისათვის თბილისში 9 სასაფლაო მოითვლებოდა, მათგან 3 მართლმადიდებელთა, 3 გრიგორიანელთა და თითო-თითო კათოლიკების, ლუთერანთა და მუსლიმთათვის. 1825 წელს თბილისში 12 ქართული, 4 რუსული და 2 ბერძნული ეკლესია ფუნქციონირებდა. 1864 წლისათვის თბილისში იდგა სუნიტური და შიიტური მეჩეთები, კათოლიკური და ლუთერანული ეკლესიები, 4 სინაგოგა და 20-ზე მეტი სომხურ-გრიგორიანული ტაძარი.¹

1806 წელს ქალაქში გაიხსნა პირველი სახაზინო აფთიაქი. 1826 წელს მას ფლორა შენბერგის მიერ დაარსებული აფთიაქი შეემატა. 1863-1864 წლებში გერმანელმა ფარმაცევტმა ევგენი ზემელმა და ფარმაციის მაგისტრმა ფერდინანდ ოტტენმა² თბილისის სააფთიაქო ქსელი კიდევ სამი ახალი აფთიაქით გაამდიდრეს.

¹ Ю. Анчабадзе, Н.Волкова, Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке, М., 1990, с. 105; 45; 51.

² ოტტენს ასევე, ღვაწლი მიუძღვის თბილისის სასმელი წყლის კვლევაში, რისთვისაც მინჭებული ჰქონდა ტფილისის საპატოო მოქალაქის წოდება. <https://aidatiflis7.livejournal.com/16549>

კაკასიის მედიცინის საზოგადოების ხელშეწყობით, 1865 წელს თბილისში, მიხეილის პროსპექტზე, გაიხსნა კაკასიაში პირველი სამედიცინო დაწესებულება მიხეილის საავადმყოფო¹. მალე მას შეემატა ქალაქის ცენტრალური სამკურნალო თავისი განყოფილებებით ავლაბარში, ხარფუხში, კუკიასა და დიდუბეში; 1890 წელს დაარსდა ალექსანდრეს სახელობის ქალაქის საავადმყოფო, წარმოიშვნენ ასევე კერძო სამკურნალოებიც (მათ შორის დოქტორ ნავსარდიანის, დოქტორ მ. მიკერტიჩიანცის ქალთა საავადმყოფო, მეან მ. ფოროსტიანოვის სამშობიარო სახლი და სხვ.)².

ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი დანიშნულების ბაღებისა და სკვერების გაშენებას. 1828 წლისათვის თბილისში 53 ბაღი მოითვლებოდა, რომელთა შორის გამოირჩეოდნენ ორთაჭალის, სოლოლაკის, კრწანისის ბაღები.³ სოლოლაკის ქედის სამხრეთით, ყოფილი სამეფო ბაღის ადგილზე ჯერ სახაზინო, ხოლო 1845 წელს ბოტანიკური ბაღი გაიხსნა⁴; დიდუბის უბანში სეიდ თავრიზიმ საფუძველი ჩაუყარა მუშთაიდის ბაღს, რომელმაც 1853 წლიდან სახაზინო სტატუსი

¹ საავადმყოფო ოფიციალურად 1868 წელს გაიხსნა, ხოლო კაკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილის (მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის) სახელი მას 1882 წელს ეწოდა.

² <https://aidatiflis7.livejournal.com/16998.html>

³ Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке, М., 1990, с. 96.

⁴ ბაღის კეთილმოწყობა დაკავშირებულია ცნობილი ბოტანიკოსის ჰენრიხ კარლ ვერნერ შარერის სახელთან, რომელიც ბაღის დირექტორად 1889 წელს დაინიშნა. მანამდე შარერი ალექსანდრეს ბაღის გამწვანებას ხელმძღვანელობდა.

<https://tamartavadze.wordpress.com/2015/06/12/%D0%BF%D0%BB%D0%BE%D1%89%D0%B0%D0%B4%D1%8C-%D1%81%D0%B2%D0%BE%D0%B1%D0%BE%D0%B4%D1%8B/>

შეიძინა.¹ ყაბახის (ასპარეზის) ადგილზე 1859-1865 წლებში გაშენდა ორტერასიანი, ალექსანდრეს სახელობის,² თბილისში პირველი „ევროპული ყაიდის“ ბაღი. 1852 წელს დაფუძნდა რეგიონის მნიშვნელოვანი კულტურული, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრი კავკასიის მუზეუმი. 60-იან წლებიდან თბილისში ქუჩის ფანრებისათვის ხის ბოძებთან ერთად თუჯის ბოძების გამოყენებაც დაიწყო.³ ფანრების გასანათებლად ჯერ კიდევ ნავთი გამოიყენებოდა, რადგან ელექტრონი მხოლოდ 80-იანი წლებიდან დამკვიდრდა. 1897 წელს თბილისის მთავარ ქუჩები ელექტრო ფანრებით გაანათეს.⁴

XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან თბილისის ქუჩებში გამოჩნდა რამდენიმე ტიპის ეტლი, მათ შორის: გერმანული „ფორშპანი“, სატვირთო ოთხთვალა, ეკიპჟი, ორცხენა ეტლი, ფაეტონი წყვილი ცხენით, კარეტა და სხვ.⁵ მდინარე მტკვარზე სატრანსპორტო საშუალებად ფართოდ გამოიყენებოდა ბორანი, ნავი და ტივი.⁶ თანდათან გავრცელება ჰპოვა რუსულ-ევროპული ტიპის ტრანსპორტის ისეთმა სახეობებმა,

¹ მუშთაიძის ბაღს თბილისის ბულონის ტყესაც უწოდებდნენ.

² რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მეორე. დღევანდელი 9 აპრილის სახელობისა და გიორგი ლეონიძის ბაღები.

³ 1875 წლისათვის თბილისის ქუჩებში 887 ფანარი მდგარა. საუკუნის მიწურულს ფანრების რიცხვი ქალაქში თითქმის 3200-მდე გაზრდილა. ა. ბენდიანიშვილი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-191 წწ. თბ., 1960, გვ. 70.

⁴ <https://mary-tbilisi.livejournal.com/197645.html>

⁵ თბილისში ეტლების წარმოების ცალკე დარგიც კი გაჩნდა, რომელშიც ძირითადად გერმანელი ხელოსნები იყვნენ დასაქმებულნი.

⁶ Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке, М., 1990, с. 158-159.

როგორც იყო „დროშკა“ და ფურგონი, 80-იანი წლებიდან თბილისში იყენებდნენ ცხენის რკინიგზას („კონკა“)¹ და სხვ.

1860-იანი წლებისათვის ჩამოყალიბებული სახე მიიღო თბილისის ახალმა მოედანმა - ერეკნელის მოედანმა, რომელიც 1840-იანი წლებიდან დღემდე, ქალაქის ერთ-ერთ უმთავრეს მოედნად ითვლება. 1847-1851 წლებში, იტალიელი ხუროთმოძღვრის ჯოვანი სკუდიერის პროექტითა და ხელმძღვანელობით, აქ აიგო განსხვავებული ტიპის ქარვასლა,² რომლის მეორე და მესამე სართულები ეკავა ოპერის თეატრს. თეატრის დარბაზი, ფოიე და ფარდა მხატვარ გრიგოლ გაგარინის მიერ იყო გაფორმებული.³ ალექსანდრე დიუმა (მამა) 1859 წელს ამ თეატრის ნახვის შემდეგ წერდა: „თბილისის სათეატრო დარბაზისთანა თვალწარმტაცი დარბაზი ჩემს სიცოცხლეში არსად მენახა.“⁴

1896 წელს გაიხსნა თბილისის სახაზინო ოპერა, დღევანდელი ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.

1885 წელს თბილისში, კავკასიის სამხედრო შტაბის სამხედრო-ისტორიულ განყოფილებასთან კავკასიის სამხედრო-ისტორიული მუზეუმი შეიქმნა. მალე ამ მუზეუმისათვის, გოლოვინის პროსპექტზე საფუძველი ჩაყარა „დიდების ტაძრის“ მშენებლობას. მუზეუმი კავკასიაში რუსეთის დამკვიდ-

¹ 1888-1895 წლებში კონკას ყოველწლიურად 7-8 მილიონი მგზავრი გადაჰყავდა. იხ. ბენდიანიშვილი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-191 წწ. თბ., 1960, გვ. 63.

² ქარვასლა თბილისელ სომეხ ვაჭარსა და ქველმოქმედს, გაბრიელ თამამშევს ეკუთვნოდა.

³ თეატრი 1874 წლის 11 ოქტომბერს ოპერა „ნორმას“ წარმოდგენისას გაჩენილმა ხანძარმა იმსხვერპლა.

⁴ ა. დიუმა, კავკასია, თბ., 2010, გვ. 193.

რების უკვდავსაყოფად უნდა აეგოთ. შენობის ფასადს ამკობდა 10 ლითონის დაფა, რომლებზეც ოქროს ასოებით აღნიშნული იყო კავკასიისათვის ომის მნიშვნელოვანი მოვლენები.¹ „დიდების ტაძრის“ მშენებლობა 1888 წლისათვის დამთავრდა, მუზეუმი კი მასში 1907 წელს გაიხსნა.

XIX საუკუნეში თბილისი უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა, ვიდრე რუსეთის სხვა მთავარი ქალაქები (მოსკოვი, პეტერბურგი, ოდესა და სხვ.).² 1860-იანი წლებისათვის თბილისის ფართობი 737 ჰექტარს შეადგენდა. მომდევნო ათწლეულში მტკვრის მარცხენა ნაპირზე იწყება დიდუბის განაშენიანება და მისი ტერიტორია ქალაქის ოფიციალურ საზღვრებში შედის.

რეფორმამდელ პერიოდში საქართველოს ქალაქებს ძირითადად პოლიცია განაგებდა (1848 წლიდან საქალაქო პოლიცია თბილისშიც არსებობდა). 1841 წლიდან თბილისისათვის გამონაკლისი დაუშვეს, - ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი მმართველობა, თუმცა არჩეული ექვსხმოსნიანი სათათბირო ძველებურად ადმინისტრაციის კონტროლს ექვემდებარებოდა. 1865 წელს განხორციელებული ნაწილობრივი რეფორმით, მოსახლეობის შეძლებულ ფენებს უფლება მიეცათ, აერჩიათ ასი კაცისაგან შემდგარი საქალაქო კრება ქალაქის თავის წინამძღოლობით.

¹ ტიციან ტაბიძე „დიდების ტაძარს“, რომელსაც „ჩვენი მონობის დიდების ტაძარს“ უწოდებდა, ასე აღწერდა: ტაძარში „ეკიდა საქართველოს დახეული დროშები, შამილის გამტყდარი ხმალი და ჰავიშურატიც ტანზე შეხსნილი მუზარადები, რომელსაც გარს ერტყა რუსეთის ცარიზმის ზარბაზნები და იმპერატორის ალექსანდრე I მაცდური მანიფესტის თუჯის სიტყვები“. იხ. ტიციან ტაბიძე - ლაღო გუდიაშვილი.

<https://burusi.wordpress.com/2009/07/28/lado-gudiashvili>

² თბილისი. ეკონომიკურ-გეოგრაფიული დახასიათება, თბ., 1957, გვ. 109.

1870 წელს იმპერატორმა ალექსანდრე II-მ დაამტკიცა ახალი საქალაქო დებულება¹, რომელიც იმპერიის დიდ და საშუალო ქალაქებს თვითმმართველობას ანიჭებდა. ამ საქალაქო რეფორმის საფუძველზე, 1874 წელს თბილისში არჩევნების გზით შეიქმნა სათათბირო, რომელშიც 72 ხმოსანი შედიოდა. სათათბირო 4 წლით აირჩეოდა და მის მუშაობას უძღვებოდა გამგეობა ქალაქის თავის თავმჯდომარეობით. თვითმმართველობის უმთავრეს ფუნქციას ბიუჯეტის დამტკიცება, კომუნალური მეურნეობის მოწესრიგება, გადასახადების აკრეფა, ქალაქის გარეგნულ იერსახეზე ზრუნვა, ვაჭრობა--მრეწველობის განვითარებისათვის ხელშეწყობა, განათლების კერებისა და სამკურნალო დაწესებულებათა გახსნა და სხვ. შეადგენდა.

თბილისი, როგორც რეგიონის მთავარი საკვანძო პუნქტი, მთელი კავკასიის მოსახლეობის შიდამიგრაციის ცენტრს წარმოადგენდა და განსაკუთრებული მიზიდულობით სარგებლობდა. ქალაქის მოსახლეობა მატულობდა რუსეთის გუბერნიებიდან (ასტრახანის, კალუგის, კურსკის, ტამბოვის) ჩამოსახლებული იმიგრანტების ხარჯზეც. 1803 წლის იანვრისათვის, ჯარსა და რუს მოხელეებს თუ არ ჩავთვლით, თბილისში აღრიცხული იყო რუსი ეროვნების მხოლოდ ერთი კომლი ყმა გლეხის ოჯახი 3 სულის შემადგენლობით. თბილისის მოსახლეობის 1864 წლის აღწერით, ქალაქში ცხოვრობდა 12 302 რუსი ეროვნების ადამიანი, 1876 წელს - 30 823, ხოლო 1897 წელს - 44 823. თბილისში ჩამოსახლეს 10 ათასზე მეტი მაღაკანი, ბაბტისტი და სხვა კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლები (ე. წ. „რასკოლნიკები“).²

¹ Городовое положение 16 июня 1870, СПб; М., 1871.
<http://www.history.ru/content/view/1244/87/>

² ეთნოსები საქართველოში, თბ., 2008, გვ. 12.

XIX საუკუნის ბოლოსათვის თბილისში 4 ათასამდე გერმანელი, დაახლოებით ამდენივე უკრაინელი და 1000-ზე მეტი პოლონელი ცხოვრობდა. დიდი იყო მუსლიმური თემიც, რომელთა შორის სპარსელები ჭარბობდნენ. თუ 1835 წლისათვის მუსლიმები ქალაქის მთელი მოსახლეობის 2.7 %-ს შეადგენდნენ, 1865 წლისათვის მათი ხვედრითი წილი 10 %-მდე გაიზარდა, ხოლო 80-იანი წლებისათვის 10-12 ათასს სულამდე მიაღწია.¹

მრავალეთნიკურობა, ჩვეულებრივ, დიდი ქალაქების დამახასიათებელი თვისებაა. თითოეული ერისა თუ ეთნოსის წარმომადგენელი თავისებურ განუმეორებლობას სძენს და ამდიდრებს ქალაქს. ეს ადამიანები მშვიდობიანად და კეთილმეზობლურად თანაცხოვრობდნენ, მაგრამ XIX საუკუნის თბილისი, შეიძლება ითქვას, მაინც მეტის-მეტად ინტერნაციონალურ ქალაქად გადაიქცა. ძირითადად მიგრანტი მოსახლეობის ხარჯზე რადიკალურად შეიცვალა მისი ეთნიკური შემადგენლობა.

ქალაქის გადამეტებულ ეთნიკურ სიჭრელეს, რაც ეროვნული ელფერის დაკარგვასაც განაპირობებდა, მტკივნეულად განიცდიდა პოეტი რაფიელ ერისთავი. წერდა: „დახე, ჩვენი ქალაქი რა რივად გამოცვლილა, ვერავის ვსცნობ, არც მცნობენ, კინტოებით გავსილა“.²

თბილისის მცხოვრებთა ხელოვნური მატება ჰქონდა მხედველობაში ცნობილ ქართველ ემიგრანტ მოღვაწესა და

¹ გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. - XXI ს.-ის დასაწყისი), თბ., 2011, გვ. 136-138. თბილისის არაერთ ადგილს სპარსული სახელწოდება ჰქონდა. მაგ. სეიდაბადი, სარდარ-აბადი, აბას-აბადის მოედანი და სხვ.

² ჟურნ. „ივერია“, 1880 წ., №1, გვ. 164.

მოაზროვნეს ისიღორე მანწკავას, როდესაც შენიშნავდა: „ტფილისი ნელ-ნელა იზრდებოდა და შენდებოდა, მაგრამ ეს არ იყო ბუნებრივი ზრდა ჩვენი დედაქალაქის. ტფილისი შენდებოდა, როგორც კავკასიის ადმინისტრაციული რუსული ცენტრი და არა, როგორც ეროვნული კულტურული ცხოვრების გული და მაჯისცემა“.¹

ეს გარემოება მოგვიანებით, კერძოდ 1917 წლიდან, თვითმპყრობელობის დამხობისა და იმპერიის დეზინტეგრაციის პერიოდში, ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე კონფლიქტების წარმოშობის წინა პირობა გახდა და არაერთი პრობლემა შეუქმნა თბილისსა და საქართველოსაც (განსაკუთრებით გართულდა ვითარება, როდესაც ქვეყანამ 1918 წლის 26 მაისს დამოუკიდებლობა აღიდგინა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დააფუძნა. არაქართველი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისათვის, მათ შორის თბილისშიც, მიუღებელი აღმოჩნდა საქართველოს სუვერენობა და მას სხვადასხვა ფორმით დაუპირისპირდა).

XIX საუკუნის თბილისის ქალაქური ყოფის მახასიათებელია „თბილისური დუქნები“, რომელთაგან ზოგი „ევროპულად იყო მოწყობილი“,² ასევე, აშპაშხანა,³ მეიხანა,⁴ ჩაიხანა და ყავახანა, რომლებიც იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ტრაქტირებმა⁵ შეცვალეს, სადაც ადგილობრივი თუ უცხოელი სტუმრები ქართულ კერძებთან ერთად ევროპულ

¹ ი. მანწკავა, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების განვითარება XIX საუკუნეში, ნაწ. 1, პარიზი, 1936, გვ. 76.

² ი. ბალახაშვილი, ლიტერატურული წრეები და სალონები, თბ., 1940, გვ. 96.

³ სასადილოების რიგები (სახაშეები, საქაბაბეები, სამწვადეები).

⁴ სამიკოტნო.

⁵ სასტუმრო, რომელსაც ჰქონდა სასადილო.

კერძებსაც აგემოვნებდნენ. თანამედროვეთა ინფორმაციით, პოპულარობით სარგებლობდა და მუდამ სავსე იყო ხალხით ერევნელის მოედანზე მდებარე ქარსიდის ტრაქტირი.¹ თბილისური დუქნები თუ მედუქნეები ხშირად ქცეულან ქართველი პოეტებისა და მხატვრების შთაგონების წყაროდ. ფიროსმანის არაერთ ტილოზეც ბევრი მედუქნე და დუქანი იყო აღბეჭდილი.

პირველი სასტუმროს ტიპის სახლი - სასტუმრო-ტრაქტირი თბილისში 1830 წელს გაიხსნა. იგი ვიურტემბერგიდან ჩამოსულ გერმანელ მეწარმეს თეოდორ ზალცმანს ეკუთვნოდა. 10 წლის შემდეგ თბილისში უკვე რამდენიმე სასტუმრო ფუნქციონირებდა, ცოტა მოგვიანებით კი უკვე სასტუმროთა ქსელი ყალიბდება. ქალაქის ყველაზე ცნობილი სასტუმროები იყო: „გრანდ ოტელი“, „ლონდონი“², „კავკაზ“, „ორიანტი“, „ვეტცელი“ და სხვ. „ვეტცელი“ იმ დროისათვის პირველი კლასის სასტუმროდ ითვლებოდა. ბაროკოს სტილში მდიდრულად გაფორმებული ეს სამსარულიანი სასტუმრო აღჭურვილი იყო გათბობის სისტემითა და ელექტროგაყვანილობით. სასტუმროს ჰქონდა ლიფტი, საბილიარდე და ორი რესტორანი. შენობის მარცხენა ფლიგელში მოწყობილი იყო თეატრი, სადაც ადგილობრივი თუ თბილისში სავასტროლოდ ჩამოსული დასების წარმოდგენები იმართებოდა.

¹ К. Кишмишев, Тифлис в 40-х годов, газ. Кавказ, 1894, №52.

² სხვადასხვა დროს სასტუმრო „ლონდონში“ ცხოვრობდნენ რუსი კომპოზიტორი პეტრე ჩაიკოვსკი, ცნობილი ნორვეგიელი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი კნუტ ჰამსუნი, ლორდი კერზონი - ინდოეთის ვიცე-მეფე და შემდეგ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი, ინგლისელი მწერალი უოლტერ ჰარისი, ამერიკელი გენერალი უილიამ შერმანი და სხვ.

თბილისი ისტორიულად იყო რეგიონის მთავარი სავაჭრო-სატრანზიტო ცენტრი. კავკასიაში რუსეთის გაბატონების შემდგომ რომანოვთა იმპერია მახლობელ აღმოსავლეთთან ვაჭრობას ძირითადად თბილისის მეშვეობით აწარმოებდა. გამოანგარიშებულია, რომ თბილისის სავაჭრო ბრუნვა 1885 წლისათვის შეადგენდა 30 მლნ. მანეთს, 1890 წლისათვის კი - 37 მლნ. მანეთს. იზრდებოდა ქალაქის შემოსავლებიც. 1862 წელს თბილისის ბიუჯეტი 224 612 მანეთით იყო განსაზღვრული, 10 წლის შემდეგ - 318 029 მანეთით¹, 1875 წელს 279 037-ით, 1883 წელს - 594 555-ით, 1886 წელს - 1 115 907-ით, ხოლო 1894 წელს - 1 069 258 მანეთით.²

თბილისი-ფოთის (1872), თბილისი-ბათუმისა და თბილისი-ბაქოს (1883) რკინიგზის გაყვანამ ქალაქი ნიშნულგვან სატრანსპორტო კვანძად აქცია და ხელი შეუწყო მის ეკონომიკურ აღმავლობას. რკინიგზამ, როგორც მიმოსვლის ახალმა საშუალებამ, ცხოვრების ყველა დარგში მრავალი ცვლილება გამოიწვია. განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა დასავლეთ საქართველოს რეგიონიდან მოსახლეობის თბილისისაკენ გადასახლება. თუ მაგალითად, 1850-1860 წლებში დასავლეთ საქართველოდან გადმოსული იყო მხოლოდ 32 კომლი,³ რკინიგზის ამოქმედების შემდგომ ვითარება მკვეთრად შეიცვალა. 70-იანი წლების დასაწყისში თბილისში აკებული რკინიგზის სადგურის ირგვლივ თავი მოიყარა მრავალმა წარმოება-დაწესებულებამ. 1883 წელს დიდუბის აღმოსავლეთით დაარსდა ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი საწარმო - ამიერკავკასიის

¹ გაზ. „დროება“, 1874 წ., 15 ნოემბერი.

² ა. ბენდიანიშვილი, თბილისის საქალაქო თვითმმართველობა 1875-191 წწ.; თბ., 1960, გვ. 5; 45; 49; 51.

³ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 77.

რკინიგზის მთავარი სახელოსნოები, რომლების 3 ათასამდე მუშას მოითვლიდა. ამოქმედდა საორთქლმავლო დებო, მექანიკური ქარხანა, ავეჯის, ფეხსაცმლის, თამბაქოს ფაბრიკები და სხვ. ფაბრიკები და ქარხნები უმთავრესად მდინარე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე შენდებოდა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ლოტკინის მთის რაიონში ქაოსურად და დაუგეგმავად გაშენდა ახალი უბანი, რომელსაც ცოტა მოგვიანებით ნაძალადევი („ნახალოვკა“) შეერქვა.¹ 1893 წელს, აქ მდებარე ტუბერკულოზით დაავადებულთა საავადმყოფოს ხელმძღვანელის, ექიმ ნიკო ხუდადოვის ინიციატივით, კლინიკის გარშემო მთის ფერდობის გამწვანება და ტყის გაშენება დაიწყო. ტყეს იმთავითვე ხუდადოვის სახელი შეერქვა.

თბილისში იყო განთავსებული უცხოეთის სახელმწიფოთა რეგიონული საკონსულოები (საფრანგეთის, ირანის). რუსი მთავარმართებლები თუ მეფისნაცვლები აქ იღებდნენ ირანის, ოსმალეთისა და სხვ. ქვეყნების მაღალი რანგის სტუმრებსა და ოფიციალურ წარმომადგენლებს. თბილისის მეშვეობით რუსეთი ამყარებდა დიპლომატიურ და სავაჭრო ურთიერთობებს აღმოსავლეთის ქვეყნებთან.

თბილისს განსაკუთრებული ადგილი ეკავა რუსეთ-ირანის ურთიერთობაში. მაჯღ ოს-სალტანეს ცნობით, ირანის სახელმწიფოს არც ერთ უცხო ქვეყანაში არა აქვს ისეთი საკონსულო, როგორც თბილისში, როგორც შენობის, ისე მისი მოწყობის თვალსაზრისით.² თბილისში მოქმედებდა ირანული საქველმოქმედო, კულტურული და საგანმანათლებლო

¹ Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке, М., 1990, с. 94.

² მაჯღ ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა. ტექსტი გამო-საცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მამაციშვილმა, თბ., 1971, გვ. 80-81.

ცენტრები. აქვე მდებარეობდა კავკასიის შიიტთა ლიდერის რეზიდენცია. თბილისის სპარსულ გამოცემლობებში „ლეირათი“ და „აიგრეფინი“ იბეჭდებოდა სპარსულენოვანი სახელმძღვანელოები, მხატვრული და ისტორიული ლიტერატურა.¹

თბილისს სხვადასხვა დროს სტუმრობდნენ ირანის პრინცი, ფელდმარშალი ბექმენ მირზა (1848 წ.),² შაჰის ბიძები /ხ/ამზა მირზა და აჰმად მირზა (1871 წ.),³ ასევე, ირანის შაჰი ნასრ-ელდინ ყაჯარი (1873⁴, 1889⁵ წწ.) ინგლისელი ლორდი ჰამილტონი.⁶ ირანის შაჰის ელჩები თავრიზის გუბერნატორი ფათჰ-ალი ხანი და⁷ მირზა რიზა-ხანი,⁸ პორტუგალიის მეფის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რუსეთში ვიკონტი ფიგანერი⁹ და სხვ.

¹ გ. სანიკიძე, გ. ალასანია, ნ. გელოვანი, ახლო აღმოსავლეთის ისტორია და მისი ურთიერთობები სამხრეთ კავკასიასთან (XIX ს. - XXI ს.-ის დასაწყისი), თბ., 2011, გვ. 140-141.

² Азербайджанцы из рода Каджаров в России.

<http://www.anl.az/down/meqale/zerkalo/2010/iyul/126973.htm>

³ ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, თფ., 1905, გვ. 56-57.

⁴ Газ. „Кавказ“, 1873 г, 19 августа.

⁵ გაზ. „ივერია“, 1889 წ., 4 მაისი; 27 აგვისტო.

⁶ ი. მეუნარგია, ცხოვრება და ღვაწლი თ. გრიგოლ ორბელიანისა, თფ., 1905, გვ. 99.

⁷ ფრანგი ავტორების ცნობები მე-19 საუკუნის საქართველოს შესახებ. მოამზადა ირინე ნაჭყებიაძე, გვ. 44; 57.

<https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46914.pdf>

⁸ გაზ. „ივერია“, 1892 წ., 26 ივნისი.

⁹ დ. ჭუმბურიძე, ლ. სარალიძე, ვ. კიკნაძე, ხ. ქოქრაშვილი, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში (სამეცნიერო ლიტერატურისა და დოკუმენტების მიხედვით), წიგნი II, თბ., 2016, გვ. 479.

1835 წლის დასაწყისში თბილისში ჩამოვიდა ქაბულიდან გამოგზავნილი ორი დესპანი, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ მოლაპარაკების წარმოება რუსეთისა და ავღანეთის დაახლოების მიზნით.¹ 1892 წელს თბილისს ეწვია ბუხარის ემირი სეიდ აბდულახან-ხანი,² 1890 წელს თბილისში იმყოფებოდა იტალიის პრინცი (შემდგომში მეფე) ვიკტორ ემანუელ III და იტალიის სტამბოლელი ელჩი ბარონი ალბერტ ბლანი.³

XIX საუკუნის 20-იან წლებში საფრანგეთის კონსული თბილისში ჟაკ ფრანსუა გამბა წერდა: „ტიფლისში ერთსა და იმავე დღეს ჩამოდიან ნეგოციანტები (ბითუმად მოვაჭრეები) საფრანგეთიდან, კურიერები - პეტერბურგიდან, ვაჭრები - კონსტანტინოპოლიდან, ინგლისელები - კალკუტიდან და მადრასიდან, სომხები - სმირნიდან, იეზიდები და უზბეკები - ბუხარიდან; ასე რომ, ეს ქალაქი შეიძლება ჩაითვალოს ევროპისა და აზიის მთავარ საკვანძო ადგილად“.⁴

თბილისი იქცა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ კავკასიისა და მთელი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ უმსხვილეს კულტურისა და ინტელექტუალური ცხოვრების ცენტრად. მკვლევარ სტივენ ჯონსის სიტყვით, „თბილისი თავისი კულტურულ-პოლიტიკური მნიშვნელობით, დახვეწილობით, განათლების დონითა და მძლავრი საწარმოებით ერთი თავით აღემატებოდა სხვა ქალაქებს“.⁵

¹ Я. Гордин, Кавказская Атлантида. 300 лет войны
<http://www.rulit.me/books/kavkazskaya-atlantida-300-let-voyny-read-280530-6.html>

² გაზ. „კვალ“, 1893 წ., №7, 14 თებერვალი, გვ. 2;
<https://mary-tbilisi.livejournal.com/197645.html>

³ გაზ. „ივერია“, 1890 წ., 6 აპრილი.

⁴ <http://geworld.ge/ge/1970/>

⁵ <https://gfsis.org/files/my-world/3/respublika.pdf>

თბილისში მოღვაწეობდა მეცხრამეტე საუკუნის თითქმის ყველა ცნობილი ქართველი პოეტი და მწერალი, პუბლიცისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მათ შორის: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, ლავრენტი არდაზიანი, დანიელ ჭონქაძე, რაფიელ ერისთავი, დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი ყიფიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ივანე მაჩაბელი, სერგეი მესხი, ალექსანდრე ყაზბეგი და სხვ. აქვე დაარსდა პირველი ქართული გაზეთი „საქართველოს გაზეთი“ (1819-1821 წწ.), რომლითაც, საერთოდ, საფუძველი ჩაეყარა კავკასიურ პრესას,¹ გამოიცა ჟურნალები „სალიტერატურონი ნაწილნი ტიფლისის უწყებათანი“, „ცისკარი“, „საქართველოს მოამბე“, „ივერია“, „კრებული“, თბილისში გამოდიოდა გაზეთები „დროება“, „ცნობის ფუცკელი“ და სხვ. 1846 წელს დაარსდა ყოველკვირეული რუსულენოვანი გაზეთი „Кавказ“, რომელიც მხარის რუსული ადმინისტრაციის ოფიციალური როლს ასრულებდა.

თბილისში ჩაეყარა საფუძველი რამდენიმე სომხურ თუ აზერბაიჯანულ გამოცემას. თბილისის მკვიდრი იყო ანდა აქ საქმიანობდა კავკასიის ხალხთა კულტურის, ხელოვნებისა და ლიტერატურის ბევრი თვალსაჩინო წარმომადგენელი.

თბილისში მოღვაწეობდა აზერბაიჯანელი სწავლული, განმანათლებელი, მწერალი და ისტორიკოსი აბას კული-აღა ბაკიხანოვი, პოეტი, განმანათლებელი, კალიგრაფი მირზა ვაზეჰი, იგივე მირზა შაფი (ფსევდონიმია), რომელსაც „თბილი-

¹ „საქართველოს გაზეთი“ იყო პირველი არარუსული გაზეთი რუსეთის იმპერიაში. იხ. პ. გუგუშვილი, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტომი მეშვიდე, თბ., 1984, გვ. 400.

სელი ბრძენის“ სახელით იცნობდნენ. 1844 წელს მირზა შაფიმ თბილისში დააარსა ლიტერატურულ-ფილოსოფიური წრე, შექმნა „თათრულ-რუსული ლექსიკონი“ და „ქრესტომათია“.¹ თბილისში გაატარა ცხოვრების ნახევარი აზერბაიჯანელმა მწერალმა, განმანათლებელმა, ფილოსოფოსმა და დრამატურგმა მირზა-ფათალი ახუნდოვმა.² 1882 წელს ჰაჯი სეიდ ეფენდი უნსი ზადემ თბილისში დაიწყო ყოველდღიური გაზეთის „ზია“-ს გამოცემა.³

თბილისის გარეშე წარმოუდგენელია სომეხი მწერლები-სა და საზოგადო მოღვაწეების ხაჩატურ აბოვიანის, გაბრიელ სუნდუკიანის,⁴ ჰოვანეს თუმანიანის, ლაზაროს ალაიანის, არფიარ არფიარიანის, მიქაელ ჰოვანესიანი (ფსევდონიმი ნარ-

¹ ე. მახარაშვილი, მირზა ვაზეჰი შაფი და მირზა ფათალი ახუნდოვი - საქართველოზე უზომოდ შეყვარებული აზერბაიჯანელი მწერლები. „24 საათი Weekend“, 2010 წ., 27 თებერვალი.

<http://www.24hours.ge/weekend/story/3791>

² მირზა-ფათალი ახუნდოვი თბილისის გიმნაზიაში ასწავლიდა აზერბაიჯანულ ენას. მისი კომედიები ცალკე წიგნად პირველად თბილისში, რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე გამოიცა. მ. ახუნდოვის პიესის „ლენქორანის ხანის ვეზირის“ დადგმით (1873 წ., ბაქო, აზერბაიჯანულ ენაზე) იწყება აზერბაიჯანული პროფესიული თეატრის ისტორია. აკაკი წერეთლის მიერ თარგმნილი ეს ნაწარმოები 1898 წელს ჟურნალ „კრებულში“ დაბეჭდა და იმავე წელს ქართულ სცენაზეც დაიდგა.

³ ნიკოლოზ ბესარიონის-ძე დოღობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913 წ. / აღწერილი ზ. ჭიჭინაძის მიერ. - თბ., [1916], გვ. 273.

⁴ 1871 წელს დაწერილი სუნდუკიანის „პეპო“ ქართულ სცენაზე პირველად 1875 წელს წარმოადგინეს. პიესა შემდგომშიც წარმატებით იდგმებოდა და მაყურებლის მოწონებას იმსახურებდა. 1876 წელს „პეპო“-ს ქართული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთ „დროებაში“, ხოლო 1880 წელს ცალკე წიგნადაც გამოიცა. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, თბ., 1970, გვ. 836; ასევე, Ю. Анчабадзе, Н. Волкова, Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке, М., 1990, с. 17.

დოსი), მხატვარ კარაპეტ გრიგორიანცის,¹ ცნობილი მოაზროვნისა და პუბლიცისტის გრიგორ არწრუნის შემოქმედება.² თბილისში გამოდიოდა სომხური გაზეთები „მეგუ ჰაიასტან“ („სომხეთის ფუტკარი“), „მშაკ“ (მუშა), ჟურნალები „აიკაკან აშხარ“ („სომხური სამყარო“) „გარუნ“ („გაზაფხული“), არსებობდა სკოლები (მაგალითად, გალუსტ პაპაზიანის), ნერსესის სემინარია და სხვ. მარტო XIX საუკუნის 60-იანი წლების მეორე ნახევარში თბილისში სომხურ ენაზე 35 დასახელების წიგნი და ბროშურა გამოიცა. მათ შორის „სომხური ლიტერატურის ისტორია“, „გეოგრაფიის პირველდაწყებითი სახელმძღვანელო“ და სხვ. უფრო ადრე, კერძოდ 1843 წელს თბილისში სომხურ ენაზე დაიბეჭდა „მედიცინის სამაგიდო წიგნიც“.³

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თბილისში ბეჭდური პროდუქცია, მათ შორის, წიგნები, ბროშურები და სხვ. ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ენების გარდა, გამოდიოდა ოსურ, აფხაზურ, ჩეჩნურ, ყაბარდოულ, ხუნძურ,⁴ გერმანულ ენებზეც (1855 წელს თბილისში გამოიცა ჩერქეზი

¹ კარაპეტ გრიგორიანცი, ძველი თბილისის იშვიათი ამბები, გიორგი ლენონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, თბ., 2011.

² 1879 წელს, ქართული თეატრის მესვეურთა თხოვნით, გრიგორ არწრუნმა თავისი ქარვასლის ნაწილი თეატრად გადააკეთა, სადაც ბინა დაიდო ქართულმა დასმა. ცნობილი დრამატურგის ავქსენტე ცაგარელის მოგონებათა თანახმად, არწრუნი სერიოზულ ფინანსურ შეღავათებს უწევდა ქართულ დასს და მსახიობებს ფულითაც უმართავდა ხელს. ლ. ბრეგაძე. გრიგორ არწრუნი. „განმანათლებლობა საქართველოში. იდეები და მოღვაწეები“. <http://nateba.net/index.php/biographies/249-arcruni>

³ Ш. Чхетия, Армяне в Тбилиси в шестидесятих годах XIX века (к 1500-летию города Тбилиси) [http://hpj.asj-oa.am/144/1/58-3\(161\).pdf](http://hpj.asj-oa.am/144/1/58-3(161).pdf)

⁴ 1865 წელს თბილისში დაიბეჭდა პ. უსლარის წიგნი „ხუნძური ანბანი“, რომელიც კირილიცაზე დაყრდნობით იყო შედგენილი.

სწავლულის უმარ ბერსეის „ჩერქეზული ენის ლექსიკონი“, რომელიც არაბული გრაფიკის საფუძველზე შეიქმნა. 1861 წელს თბილისში დაიბეჭდა პირველი ყაბარდოელი ისტორიკოსის შორა ნოგმოვის „ადილე ხალხის ისტორია“. 1864 წელს ყაბარდოელმა თავადმა ყაზი ატაჟუკინმა ასევე თბილისში დაბეჭდა პირველი საკითხავი წიგნი ყაბარდოულად¹).

თბილისში იბეჭდებოდა კავკასიის ისტორიასთან დაკავშირებული რუს ავტორთა პუბლიკაციები, მათ შორის წიგნები, ნარკვევები, სტატიები.² სხვადასხვა წლებში თბილისში ყოფილან: ალექსანდრ ბესტუჟევი, ალექსანდრ გრიბოედოვი, ალექსანდრ პუშკინი, მიხაილ ლერმონტოვი, იაკობ პოლონსკი, ლევ ტოლსტოი, ალექსანდრ ოსტროვსკი, მაქსიმ გორკი, ბელორუსი პოეტი თადეუშ ლადა ზაბოლოცკი და სხვ.³ თავისი პროფესიული მოღვაწეობა თბილისში დაიწყო დიდმა რუსმა საოპერო მომღერალმა თეოდორ შალიაპინმა. არაერთგზის ყოფილა თბილისში კომპოზიტორი პიოტრ ჩაიკოვსკი, რომლის საუკეთესო ოპერები მისსავე სიცოცხლეში დაიდგა თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. მ. ვორონცოვის დროს თბილისში მოღვაწეობდა რუსი დრამატურგი და მემუარისტი გრაფი ვლადიმერ სოლოგუბი.

¹ თ. უჯუხუ, ადილეური (ჩერქეზული ენის) სახელმძღვანელო - მოკლე ცნობები ადილეს, ადილებისა და ადილეური ენის შესახებ, თბ., 2012.

² В. Пфаф, Народное право осетин, Сборник сведений о Кавказе. Тифлис, 1871. Т. 1; Н. Грабовский, Присоединение Кабарды к России и ее борьба за независимость. Сборник сведений о кавказских горах. Тифлис, 1876; Утверждение русского владычества на Кавказе, т. I-IV, Тифлис, 1901-1908 და სხვ.

³ თბილისში შეიქმნა მ. ლერმონტოვის პოემა „მწირი“, ა. გრიბოედოვის კომედია „ვაი ჭკუისაგან“, ლ. ტოლსტოის „ბავშვობა“, მ. გორკის „მაკარ ჩუდრა“ და სხვ.

თბილისის გიმნაზია დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო თეატრის ერთ-ერთმა დამაარსებელმა, სახელოვანმა რუსმა რეჟისორმა ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკომ, რომელიც დაბადებულიც საქართველოში იყო (ოზურგეთი, 1858 წ.). 1880-1886 წლებში თბილისის გიმნაზიაში სწავლობდა ცნობილი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე, უკრაინის ცენტრალური რადას თავმჯდომარე მიხაილ გრუშევსკი¹ და სხვ.

XIX საუკუნის განმავლობაში თბილისის უმასპინძლია აქ ჩამოსული მრავალი უცხოელისათვის, რომელთა შორის იყვნენ მწერლები, მეცნიერები, ჟურნალისტები, მოგზაურები და სხვ. მათ შორის, გერმანელი ბუნებისმეტყველი და მოგზაურები იოჰან გიულდენშტედტი და მორიც ვაგნერი, აღმოსავლეთმცოდნე იულიუს ფონ კლაპორტი, ბოტანიკოსი კარლ კოხი, მწერლები ფრიდრიხ ბოდენშტედტი და ბარონი აუგუსტ ფონ ჰაქსტაუზენი. თბილისში ხანგრძლივად ცხოვრობდნენ ავსტრიელი კალმოსნები ბერტა და არტურ ფონ ზუტნერები, საინტერესოდ აღწერეს თბილისის ყოფა და ცხოვრება შოტლანდიელმა მოგზაურებმა, მხატვარმა რობერტ ქერპორტერმა და ბოტანიკოსმა რობერტ ლაიელიმ, ასევე, მოგზაურმა ქალებმა ადა ჰფაიერმა, ანა ლისტერმა, ფრედერიკა ფონ ფრეიგანსმა და კარლა სერენამ.²

1888 წელს თბილისს სტუმრობდა ინგლისელი ქართველოლოგი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი უილიამ რიჩარდ მორფილი.³ თბილისთან გამორჩეული მეგობრობა აკავშირებდათ ბრიტანელ სწავლულსა და მთარგმნელს მარჯორი უორდროპს, მის ძმას, - მოგზაურს, მთარგმნელსა და დიპლომატს ოლივერ უორდროპს. თბილისში ყოფილან ინ-

¹ <https://www.m-hrushevsky.name/uk/Bio.html>

² გაზ. „რეზონანსი“, 2017 წ., 18 თებერვალი.

³ გაზ. „ივერია“, 1888 წ., 3 მაისი.

გლისელი მოგზაურები ედმუნდ სპენსერი და აბრაჰამ ვალენ-ტინ უილიამს ჯეკსონი, რომელთა წიგნებშიც გადმოცემულია ავტორთა დაკვირვებანი და შთაბეჭდილებები თბილისის შესახებ.

მოგზაური და ვაჭარი ჟაკ ფრანსუა გამბა საფრანგეთის კონსული იყო თბილისში. თბილისს სტუმრობდნენ ცნობილი ფრანგი არქეოლოგი და ეთნოგრაფი ლუი ბარონ დე-ბაი¹, გამოჩენილი ფრანგი მწერალი, დრამატურგი და ჟურნალისტი ალექსანდრ დიუმა, მოგზაური ემილ ლევიე და სხვ.

XIX საუკუნის თბილისი ფეხს უწყობდა თანადროულ დასავლეთში მიმდინარე ტექნიკურ პროგრესს და მალევე ნერგავდა ქალაქში ისეთ ტექნოლოგიურ სიახლეებს, როგორიც იყო ფოტოგრაფია, ტელეგრაფი, ტელეფონი, კინემატოგრაფი და სხვ.

ტექნიკური პროგრესისა და კულტურის ახალი დარგი - ფოტოგრაფია თბილისში 40-იან წლებიდან დამკვიდრდა. ფოტოგრაფიის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდო ერთ-ერთმა პირველმა ქართველმა ფოტოგრაფმა ალექსანდრე როინაშვილმა. საერთაშორისო აღიარებას მიაღწია თბილისში მოღვაწე ფოტოხელოვანმა დიმიტრი ერმაკოვმა, რომელიც იღებდა კავკასიის ხალხთა კულტურულ მემკვიდრეობას, ეთნოგრაფიულ პორტრეტებს, ეთნიკური უმცირესობათა ტიპაჟებს და სხვ.

მოწესრიგდა კავშირგაბმულობის სისტემა. პირველი საგუბერნიო საფოსტო კანტორა თბილისში 1805 წელს პ. ციციანოვის მონდომებით გაიხსნა. 30-იან წლებში იგი საოლქო კანტორად, ცოტა უფრო გვიან კი თბილისის საფოსტო სამ-

¹ გაზ. „ივერია“, 1897 წ., 24 ოქტომბერი.

მართველოდ გარდაიქმნა, რომლისთვისაც 1846 წელს გოლოვინის პროსპექტზე ორსართულიანი შენობაც აიგო.

ფოსტა თავდაპირველად ორთვლიანი ქართული საფოსტო ურმებით გადაჰქონდათ, მერე ამ საქმისთვის სამგზავრო დილიჟანსებს, ოთხთვლიან სიზიდრებსა და საფოსტო კარეტებს იყენებდნენ. XIX საუკუნის 20-იანი წლების თბილისში ფოსტა კვირაში ერთხელ მოდიოდა და პეტერბურგიდან გამოგზავნილი კორესპოდენცია აქ 25 დღის შემდეგ აღწევდა. ევროპის დედაქალაქებიდან ამანათების, წერილებისა და სხვ. გზავნილების მიღებას გაცილებით მეტი დრო - 50-55 დღე ჭირდებოდა. მომდევნო ათწლეულებში საფოსტო სადგურების ქსელი გაფართოვდა და მომსახურება მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა.

პირველი სატელეგრაფო კავშირი თბილისიდან კოჯორთან 1858 წლის გაზაფხულზე განხორციელდა. 1860 წელს სატელეგრაფო კავშირი დამყარდა საქართველოს ქალაქებთან, ხოლო 1863 წელს თბილისის ტელეგრაფის სადგურმა დეპეშები პეტერბურგთანაც გაცვალა. ტელეგრაფის აპარატებსა და სხვა მოწყობილობას ბერლინში გერმანული ფირმა „სიმენს და ჰალსკე“ (დღევანდელი „სიმენსი“) ამზადებდა და საქართველოშიც მათივე წარმომადგენლების მიერ მონტაჟდებოდა.

1870 წელს თბილისში ამოქმედა ე.წ ინდოეთ-ევროპის ტელეგრაფის სადგური, რომელიც ლონდონიდან ბერლინ-ვარშავისა და ოდესას გავლით დეპეშებს თბილისში დებულობდა, შემდეგ კალკუტას, იქიდან კი აზიის ქვეყნებს გადასცემდა. ტელეგრაფის შემოღებამ დასაბამი მისცა ელექტროკავშირგაბმულობის განვითარებას.

1882 წელს თბილისში პირველად ამუშავდა ტელეფონი, როდესაც სატელეფონო ხაზი გაზეთ „კავკაზის“ რედაქციასა და სტამბას შორის გაიყვანეს. რაც შეეხება პირველ სატელე-

ფონო ქსელს, იგი თბილისში 1893 წელს მოეწყო.¹ მალე ეს სიახლე სხვა ქალაქებსა თუ დაბებშიც დაინერგა. საუკუნის ბოლოსათვის თბილისში აბონენტთა რაოდენობა 700-ს აღწევდა და ამ მაჩვენებლით მას იმპერიაში მეხუთე ადგილი ეკავა პეტერბურგის, მოსკოვის, კიევისა და ხარკოვის შემდეგ.

სხვადასხვა დროს თბილისში იმართებოდა სამეურნეო, კულტურული, სამეცნიერო ხასიათის რეგიონული თუ საიმპერიო მასშტაბის ღონისძიებებანი. მაგალითად, 1881 წელს თბილისმა უმასპინძლა არქეოლოგთა V ყრილობას, 1889 წელს თბილისში მოეწყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო გამოფენა, მომდევნო წელს - კავკასიის მონადირეთა საზოგადოების გამოფენა, 1894 წელს გაიმართა ცხენების პირველი ბაზრობა და სხვ.

Otar Janelidze
Gori State Teaching University
**TBILISI - CAUCASUS POLITICAL, ECONOMIC AND
CULTURAL CENTER
(19TH C)
RESUME**

After the establishment of Russian rule in Georgia and the South Caucasus, Tbilisi became the center of political, economic, cultural and intellectual life of the region.

Due to the Russian wars with Iran and the Ottomans, the number of troops deployed in Tbilisi increased and military infrastructure also expanded. Measures were also taken to

¹ Газ. „Тифлисский листок“, 1893 г. 11 июля.

develop urban life and improve the appearance of Tbilisi. From the 1940s intensive constructions began everywhere in the suburbs, Kukia, Chugureti, Avlabari, Navtlukhi etc. In the 1860s, Tbilisi's new - Yerevneli Square - was completely shaped.

Oriental, feudal Tbilisi started to resemble a European-type developed city, though European customs were combined with local traditions.

Tbilisi was the region's main trading and transit center. The building of Tbilisi-Poti (1872), Tbilisi-Batumi and Tbilisi-Baku (1883) railroads made the city a major transportation hub and greatly contributed to its economic growth.

Regional consulates of several foreign states were located in Tbilisi. Through Tbilisi, Russia maintained diplomatic and trade relations with the eastern countries.

Many of the prominent representatives of the culture, arts and literature of the Caucasian peoples were residents of Tbilisi or worked here. During the 19th century, Tbilisi hosted many foreigners, including writers, scientists, journalists and travelers.

Tbilisi followed the ongoing process of progress in modern technologies in the West and was quickly adopting technological innovations such as photography, telegraph, telephone, cinematography and more.

ახალჯვარი და მისი წარწერები

ჩვენი ქვეყნის სიწმინდეთა და სიძველეთა შორის გამო-
რჩეული ადგილი უკავია ახალჯვარს. შემთხვევითი არ არის,
რომ ერთ ადგილობრივ ნასყიდობის საბუთში (XVIII ს.)
სწორედ ახალჯვარის წმ. გიორგის „ძალითა და შეწევნით“
ხდება სამართლებრივი აქტის განხორციელება¹.

ახალჯვარის ეკლესია მდებარეობს ატენის ხეობაში, სო-
ფელ ბობნევში და მის სასწაულმოქმედ ძალაზე მიანიშნებს
ვახუშტი ბატონიშვილი: „სასწაულთმყოფი, რამეთუ არს მა-
რადის კარნი დაუკშველნი და მცველნი არაოდეს ვერ შე-
ვალს მპარავნი და ვერცა ნადირნი“².

სერგი მაკალათია გადმოგვცემს ხალხურ ვერსიას, თი-
თქოს დანახვისი და ახალჯვარი ხელში მშვილდ-ისრებით
ეშმაკებს (ბოროტ სულებს) ხოცავდნენ და ხეობას ისე იცავ-
დნენ³.

¹ მაგ. 1738 წლის 12 მარტით დათარიღებულ მამულის ნასყიდო-
ბის წიგნში, მიცემული ტინისხიდელი გიორგი შოშიაშვილის მიერ მგე-
ლია ბერინაშვილისადმი, შესავალ ღვთის სადიდებელ ნაწილში, სხვა
წმინდანებთან (გორიჯვარის წმინდა გიორგი, ოქონის ხატი და სხვ.) ერ-
თად, ახალჯვარის წმინდა გიორგიცაა მოხსენიებული (იხ: დოკუმენტები
საქართველოს სოციალური ისტორიიდან, *ნ. ბერძენიშვილის რედ.*, ტ. II,
გვ. 29, დოკ. 43).

² **ვახუშტი ბატონიშვილი.** აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქარ-
თლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 343.

³ **სერგი მაკალათია.** ატენის ხეობა, თბ., 1957, გვ. 23.

ახალჯვრის ეკლესიაში დაცული იყო ჯვარი, საკმაოდ შთამბეჭდავი ზომებით, დაახლ., სიმაღლით 2 და სიგანით 1,30 მ. ეკლესიასა და ჯვარს საუფლისწულო აზნაურები სააკაძეები მფარველობდნენ, რადგან სოფელი ბობნევი მათი სამკვიდრო იყო¹, ხოლო ჯვარისმტვირთველნი და ეკლესიის მღვდელ-დეკანოზნი კოშორიძეები ყოფილან.

1790 წელს ჯვარი ვერცხლით შეუმკია და მოუცხოველებია ფარნაოზ ბატონიშვილს და მის თანამეცხედრეს ანას, ქსნის ერისთავის ასულს. ჯვრის შემკობაში დიდი ღვაწლი და შრომა გაუღიათ გრიგოლ და ზურაბ სააკაძეებსა და ახალჯვრის ეკლესიის მოძღვარს გიორგი კოშორიძეს.

ჯვრის წინაპირსა და ზურგზე მოთავსებულია ვრცელი, 48 სტრიქონიანი წარწერა, აქედან 26 სტრიქონი განლაგებულია ჯვრის წინაპირის ორივე მკლავზე, ხოლო წარწერის დანარჩენი 22 სტრიქონი მკლავის ზურგსა და მის ქვედა მონაკვეთზეა მოთავსებული სპეციალურ ჩარჩოში.

1848 წლის 15 ოქტომბერს ჯვარი ნახა, მისი წარწერები გადმოიღო და პეტერბურგში მარი ბროსეს გაუგზავნა ცნობილმა მკვლევარმა და საზოგადო მოღვაწემ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილმა². წარწერას იგი მცირეოდენი ხარვეზებით გვთავაზობს, რასაც სქოლიოში ვასწორებთ. დიმიტრი არ უთითებს სტრიქონთა თანმიმდევრობასაც, რაც ასევე უუთითებთ ფრჩხილებში.

„ქ. მრავლისა სახითა წინა დადებითა წინა(2)სწარ დიდებითა მოსწავებულსა და შემდგომად დიდითა დიდებითა (3) ნამდვილ გამოჩინებულსა შენ ჯვარსა ცხოველ მყოფელსა

¹ სერგი მაკალათია. ატენის ხეობა, გვ. 26-27.

² Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“, გვ. 63, შემდეგ: ИВР РАН.

(4) ჭირმან ქადაგმან გილადა ქებითა ამით დროსა ვნების თვისისა (5) და ხორციითა ვნებული იგი მაცხოვარი ჩვენი 6-7 რომელმან (6) შენზედა განპყრობითა გადიდა მან ესრეთ მოვიხსენა და მეტყველმან შენისა ღიღებისამან გრქვა¹ ესრედ²: გიხაროდენ შენ ჯვარო ხორციითა ქრისტესითა განწმენდილო და ასოთა მისი(9)თა მიერ ვითარცა მარგარიტითა მიერ შვენებულ³ (10):

† ვინაითვან შენ გშენის ღიღება ესე ვითარად გან(11)შვენებულსა და სამნაწილოვნად ერთად შეზავებით ყოვლადსა აღმოს(12)რულსა, ამისათვის ჩუწნცა მაღიღებელთა შენთა სამნა(13)წილოვანთა სათნოებითა ესე იგი: სარწმუნოებითა სასოებითა და სიყვ(14)არულითა ვისურვეთ და ვიგულისმოდვინეთ შეძკობისა შენისა განახ(15)ლება ღიღისაგან და ძველისა გამობნად შემვედრებელთა (16) მეოხებისათა, რომელ პირველ ჩუწნსა შეძერწით შეემკვე მეფესა (17) კონსტანტინესა და აწ დროსა უკეთილმსახურესთა და უ(18)მაღლესთა ყოვლისა საქართველოისა და სრულად⁴ ჯელ(19)მწიფეთა ბატონის მამის ჩუწნის მეფის ორაკლის მეორი(20)სა და თანამეცხედრისა მისისა ბატონის დედის ჩუწნის (21) დედოფლის დარეჯანისასა, მ უწმინდესისა ძმისა (22) ჩუწნისა ონტონ კათალიკოზის პატრიარქობისასა შეგამკეთ (23) შენ მფარველი ჩუწნი ჯვარი ყოვლად პატიო-

¹ უნდა იყოს „გადიდა“.

² ამის შემდეგ დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს ტექსტში გამოტოვებული აქვს შემდეგი სიტყვები: „მ[ო]ვიხსენა და მეტ(7)ყუელმან შენისა ღიღებისამან გრქვა ესრეთ: გ[ვი]ხ[ს]ე[ენ] (8) შენ“. შემდეგ როგორც ტექსტშია.

³ უნდა იყოს „განშენებულ“.

⁴ უნდა იყოს „სსვათა“.

სანი ჩუშნის სოფლის ბობნავი(24)ს ჩუშნისა¹ ამის ეკლესიისა ახალის ჯვრის ჩუშნ მპყრობელ(25)მან სრულიად საუფლისწულოსა ჩუშნისამან და კეთილმსახურთა ძმათა ჩემთათა

(27) თანა მემკვიდრემან სრულიად სამ(28)ფლობელომან ჩუშნისა ქვეყნისამან ძემან ზე(29)მოხსენებულთა² უმაღლესთა(30)მან ჟარნავაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან (31) და სძალმან მათმან ქსნის ერისთავს ასულმან ონა, (32) რომელნიცა გვევდრებით შეიწირე მცირედი ესე (33) მსახურება ჩუშნ მიერ ცხოვრებისა ჩუშნისა და შვილ(34)თა ჩუშნთა კეთილწარსამართებლად და დასაც(35)ველად და³ განსაძლიერებლად რათა შენ მიერ განძლიერებულნი ვიქმნეთ მძლეველ ხილულთა და უხილაეთა მტერ(36)თა ზედა და ვადიდებდეთ შენ აწღამარადის ვითარცა დიდებულ ხარ (37) ამინ. ასე უკუშ შეწირვა და შემკობა ჩუშნ მიერ (38) რომელ იქმნა დროსავე ჩუშნთა საუფლისწულო აზნაურთა სა(39)აკაძის გრიგოლისა და ზურაბისა რათა ზემოხსენებულისა მის (40) ეკლესიის დეკანოზის გიორგის მღვლის კოშორიძისა (41), რომელმანცა ჩუშნითა ბძანებითა დიდი უკუშ ღვაწლი და შრო(42)მა დასდვა მას ზედა და რადცა რა ელუაწა ესე ყოველი (43) მანცა შესწირა და შემატა დღევრძელობისათვის ჩუშნისა (44) და თვისისა ცხოვრებისათვის საუკუნოსა. თთვესა (45) ოქტონბერსა, რიცხვსა ო(=1), წელსა შობითვან (46) ქრისტესით ხონ (ჩღჟ=1790 წ.) ხოლო ქართულსა ქორონი(47)კონსა Q ო(=1) (უპდ=1796 წ.)

საქართველოს (48) მეფის ძე ფარნავაზ⁴.

¹ უნდა იყოს „წმინდისა“.

² გამოტოვებულია ორი სიტყვა: „მათ დიდებულთა“.

³ უნდა იყოს „სულიერად“.

⁴ ИВР РАН, გვ. 63-64.

გადაკვეთის ადგილას მკლავებს შორის მოთავსებულ ერთ-ერთ ფირფიტაში ზურგის მხრიდან მოთავსებულია ჯვრის ოქრომჭედელ იოანეს მიერ დახვეწილი ხელით შესრულებული წარწერა: „ცხოველსმყოფელო ჯვარო შემოგწირე ამ ოთხთა ანგელოზთა ვერცხლი ცოდვილმან იოანე ოქრომჭედელმა დედამის და სულის ჩემის საოხად”.

ხსენებული წარწერა დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილს მარი ბროსესადმი გაგზავნილ წერილში მოხსენიებული არა აქვს. ნაკლებად სავარაუდოა, იგი დიმიტრის ვერ შეემჩნია, შესაძლოა, წარწერის შინაარსიდან გამომდინარე, მისი გაგზავნა ფრანგი ქართველოლოგისადმი პეტერბურგში საჭიროდ არ მიიჩნია.

მეღვინეთხუცესიშვილი საინტერესოდ გადმოგვცემს ჯვრის ისტორიას: „იტყვიან ზოგნი, ვითომცა, ჯვარი ესე ყოვლად პატიოსანი იყოს იმა კვიპაროსის ხისაგანი, რომელიც აღმოცენდა მცხეთას, ოდეს მოტანილი იყო მუნ კვართი უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი და ხე იგი განკურნავდა ყოველთა მოძრდილეველთა შტოთა ქვეშე თვისთა და შეხებულთა მისდამი დაკოდილთა ნადირთა. ზოგნიცა მოუთხრობენ, რომელ ჯვარისა ამისა მცირე ნაწილი აწ სვენებულ საშუალ მისსა, იყოს იმ ულპოლველის ხისა, რომელიც კპოეს კონსტანტინემ და ელენემ, ხოლო საეკლესიო ჟამში რომლისთვისაც დღესასწაულობენ მაისის შვიდს რიცხვსა, სწერია:

ქალაქსა შინა იერუსალემს ესრედ უკუე იქმნა, რომელ წმინდისა ამის თხემის ადგილას მთადმე წმინდისა ზეთისხილისასა განცხრომილ იყო იგი ვარსკვლავის სახედ წელსა ხუთი ათას რვაას ორმოცდა ექვსსა, დღისით მესამესა ჟამსა,

თვის მეერვასესა დღესა, შინა მეფობასა კონსტანტინის ძისა დიდისა კონსტანტინესი”¹.

დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილის ცნობებში ბევრი რამ სარწმუნოა. ჯვრის წინა ნაწილის ქვედა მკლავში მართლაცაა ჩატანებული მომცრო ჯვარი.

დაკარგული „ძელი ჭეშმარიტის” პოვნა რომაელთაგან დარბეულ იერუსალიმში და მისი ხელახალი აღმართვა ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდისა (306-337 წწ) მისი დედის - დედოფალ ელენეს სახელთანაა დაკავშირებული, რის შემდეგ უფლის საფლავსა და გოლგოთაზე ტაძრებიც აიგო².

ბერძნული დასაბამით 5846 წელი უდრის 338 წელს და ამ დროს ბიზანტიას მართლაც კონსტანტინე დიდის მემკვიდრე კონსტანტინე II (337-340 წწ.) მართავდა უმცროს ძმებთან ერთად³.

რაც შეეხება მოვლენას, რომელსაც დიმიტრი აღწერს, ისტორიაში ჯვრის გამოჩინების დღესასწაულითაა ცნობილი. იგი ძველი სტილით 7 (ახლით 20) მაისს მოხდა და კირილე იერუსალიმელის სახელთანაა დაკავშირებული.

მას შემდეგ, რაც ბიზანტიაში არიანელობა გაძლიერდა და კონსტანტინე დიდის ვაჟი - კონსტანტინე მისი მიმდევარი გახდა, კირილე იერუსალიმელმა იმპერატორს წერილი მისწერა და ქრისტიანობის ერთგულებისკენ მოუწოდა. კირილეს

¹ ИВР РАН, გვ. 64-V.

² **იოანე რუფუსი**. წმინდა პეტრე იბერის, ნეტარის ეპისკოპოსის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოცემა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1965, გვ. 272

³ **Васильев А. А.** История Византийской Империи, т. I, СПб 2000.

ქადაგების დროს, 7 მაისს იერუსალიმის ცაზე სასწაულებრივად გამოჩნდა ჯვარი და მისი ხილვისას უამრავი ურწმუნო მონათლა¹.

როგორც მეღვინეთხუცესიშვილი გადმოგვცემს, ახალჯვარი იმ ხისგან იყო დამზადებული, რომელიც მაცხოვრის კვართის მოტანისას აღმოცენდა მცხეთას, წმინდა ნინოს წყაროს გვერდით და სასწაულებრივი (განკურნების) უნარით გამოირჩეოდა.

ცნობილია, რომ ხე ოცდაოთხ მარტს, ხარების დღესასწაულის დღეს, პარასკევს მოჭრეს და ოცდაჩვიდმეტი დღე „არა შეიცვალა ფურცელი მისი ვითარცა ძირსა ზედა მდგომისად თავსა წყაროდსასა“². თ. მგალობლიშვილის აზრით, 37 დღიანი ინტერვალი იმიტომ გახდა საჭირო, რომ ჯვრის შექმნის დღე ჯვრის დღესასწაულს დამთხვეოდა³.

„ფურცელდაუცუნებელი“ ხისგან გამოკვეთეს სამი ჯვარი, რომელთაგან ერთი სვეტიცხოველში 7 მაისს აღმართეს, ხოლო დანარჩენი ორი ერთი კვირის თავზე⁴. „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით, სვეტიცხოვლის თავზე ცეცხლოვანი ჯვრის პირველი გამოცხადებაც 7 მაისს მოხდა⁵.

როგორც დიმიტრი მეღვინეთხუცესიშვილი გადმოგვცემს, ახალჯვარი გარკვეული დროით იმერეთს წაუღია ფარნაოზ ბატონიშვილს და ხიდისთავში სააკაძეებსა და დეკანოზ კოშორიძეს დაუბრუნებიათ⁶.

¹ კლარჯული მრავალთავი. *ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო თამილა მგალობლიშვილმა*, თბ., 1991, გვ. 146.

² მოქცევაი ქართლისაი (შატბერდული ვერსია), სამი ისტორიული ხრონიკა, *ე. თაყაიშვილის რედ.*, ტფ., 1890, გვ. 21.

³ კლარჯული მრავალთავი, გვ. 151.

⁴ კლარჯული მრავალთავი, გვ. 150.

⁵ მოქცევაი ქართლისაი, გვ. 21.

⁶ ИВР РАН, გვ. 65.

ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსული ხელისუფლების დამყარების შემდეგ, იულონ, ალექსანდრე და ფარნაოზ ბატონიშვილები მთავრობას განუდგნენ და იმერეთს შეაფარეს თავი, დისშვილ სოლომონ II-სთან. ბატონიშვილებს თან გაჰყვა ქართველ თავადაზნაურთა და საეკლესიო მოღვაწეთა მთელი დასი: ამბროსი ნეკრესელი, ნიკოლოზ ხარჭაშნელი, სოლომონ ლეონიძე, ალათონიკე, ოთარ და ივანე ამილახვრები, დავით ალექსი-მესხიშვილი და სხვები¹. როგორც ჩანს, ფარნაოზ ბატონიშვილმა თან წაიღო მისი ოჯახის მფარველი ჯვარი, მაგრამ ბატონიშვილი ხელისუფლებამ მალევე დააპატიმრა, სამუდამოდ რუსეთში გადაასახლა და იქვე გარდაიცვალა 1852 წელს.

საკითხავია, პირველად როდის წამოიღეს ახალჯვარი ბობნევიდან ხიდისთავში, მეორე - რატომ გადმოიტანეს სააკაძეებმა და დეკანოზმა გიორგი კოშორიძემ ახალჯვარი იმერეთიდან მაინცდამაინც ხიდისთავში და მესამეც, რატომ უზის ჯვარს განახლების თარიღად ორი განსხვავებული 1790 და 1796 წელი?

პირველი საკითხის გადმოცემისას, დიმიტრი მელვინეთ-ხუცესიშვილი ბუნდოვან განმარტებას იძლევა: „შემდგომად მაჰმადიანთაგან მოოხრებადმდე მის სოფლის ბობნავისა და გარემო სოფლებთა იგი მოუსვენებიათ ხიდისთავს სააკაძეთა და დეკანოზ კოშორიძეს“².

სამწუხაროდ, მელვინეთ-ხუცესიშვილი არ აკონკრეტებს ვის გულისხმობს „მაჰმადიანებში“ სპარსელებს თუ ლეკებს.

¹ Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I, გვ. 243, დოკ. 229; იოანე ქართველიშვილის მემუარები, თბ., 1952, გვ. 13-14.

² ИВР РАН, გვ. 65.

თუ ამ ტერმინის ქვეშ, შაჰ აბას პირველის შემოსევები იგულისხმება¹, მაშინ გაუგებარია ტერმინი „შემდგომად«. საქმე იმაშია, რომ სააკაძეებისა და კოშორიძეების კავშირი ხიდისთავთან XVII საუკუნეში არ ჩანს. გარდა ამისა, ბობნევიდან ხიდისთავში ესოდენ დიდი სიწმინდის გადმოტანა, ვფიქრობთ, ვახუშტი ბატონიშვილსაც არ გამოჩნებოდა, ანუ 1744 წლამდე² ამ ფაქტის არსებობა ნაკლებად სავარაუდოა.

ჩვენი აზრით, ატენის ხეობის „მაჰმადიანთაგან“ მოოხრებაში, ლეკთა შემოსევები უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც, განსაკუთრებით XVIII ს. 50-იანი წლებიდან გახდა ინტენსიური. მაგ., ცნობილია, რომ მჭადიჯვართან დამარცხების შემდეგ (1754 წ.), ლეკთა ბელადმა ნურსალ-ბეგმა მომდევნო წელსაც ნადავლის იმედად 20 ათასამდე მოხალისე აიყოლია და ყვარლის ციხეს შემოადგა. ერეკლესა და თეიმურაზის (კახეთისა და ქართლის) სამხედრო ძალების გაერთიანება რომ არ დაეშვა, ხუნძახის პატრონმა 500 კაციანი რაზმი ქართლში გამოგზავნა. პაპუნა ორბელიანის ცნობით, ლეკებმა ამოიარეს ავჭალა და საქონელი გამოირეკეს, შეუარეს არმაზის წყალს, ჩამოუყვნენ კავთისხევს, ხანდაკს „და ის შეყოლება, საცა რომ ციხეებს გარეთ დაახელეს, წაახდინეს, წაი-

¹ ახალჯვრის პირველი ადგილსამყოფელის, ბობნევის „მცირე ზომის ეკლესიას“ და სააკაძეებზე საუბრისას, დიმიტრი ახსენებს „დიდ მოურავს“ (გიორგი სააკაძეს), ანუ საუბარია XVII ს. I მესამეზე. ამ დროისათვის კი ქართლ-კახეთის „მაჰმადიანთაგან“ მოოხრებაში, ლოგიკურია შაჰ აბას I-ის შემოსევები ვიგულისხმოთ.

² მხედველობაში გვაქვს ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“), რომელიც სწორედ ამ წლის (1744) მოვლენებით მთავრდება.

ღეს ნაშოვარი და ავიდნენ ატენის მთაში. აქედამ დაუწყეს რბევა გორისა გარეშემოთა“¹.

ატენის ხეობის სოფლების იმდროინდელი ზარალი სხვა ისტორიული დოკუმენტებითაც დასტურდება. ხსენებული ამბიდან თხუთმეტი წლის შემდეგ, 1771 წელს ქაიხოსრო სააკაძე ერეკლე II-ს სთხოვს დაფანტული ყმების ხიდისთავში ხელახლა დასახლებას, რაზედაც მეფის თანხმობას იღებს². ამავე პერიოდში, ერეკლე II თავის მოხელეებს უბრძანებს ხიდისთავის დაზიანებული კოშკი სასწრაფოდ შეაკეთონ და მუშახელი არ მოაცდინონ³.

მეფეს ატენის ხეობის დასაცავად საგანგებო ზომებიც მიუღია. იგი 1772 წლის 27 აგვისტოს რევაზ ამილახვარს ავალებს: „...ატენის კეობაზე დასაყენებლად რომ ოთხი ყარაული გვიბძანებია, ეგ ოთხი ყარაული ატენის ხეობის კაცით უნდა გაარიგებინოთ და წედელთ, რვა კაცი ხიდისთავის კოშკებში დასაყენებლად რომ გვიბძანებია, ის რვა კაცი ატენელთა და წედელთ უნდა გაარიგებინოთ. იქაური მოკვლეები მოაყვანიეთ, თქვენც ქომავი უყავით და ისე გაარიგებინეთ“⁴.

XIX ს. 20-იან წლებამდე, ზემოხსენებული მიზეზების გამო, ატენის ხეობა ისევ დაცლილი და მოსახლეობისაგან დაფანტულია. ხეობის ცენტრი სოფელი ატენი, 1804 წლის

¹ **პაპუნა ორბელიანი**, ამბავნი ქართლისანი, *ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა* თბ., 1981, გვ. 228-229.

² ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13151.

³ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლები, ავტორ-შემდგენელი **მანანა ჭუმბურიძე**, თბ., 2008, გვ. 63, დოკ. 240; ქართული სამართლის ძეგლები, *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ის. დოლიძემ*, თბ., 1981, ტ. VII, გვ. 171-172; დოკ. № 170.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13739.

პირველ კამერალურ აღწერაში, ტანას ნაცვლად, პატარა ლი-
ახვის ხეობაშია მოხსენიებული¹.

რაც შეეხება ხიდისთავს, XVIII ს. 80-იანი წლების მე-
ორე ნახევრიდან ერეკლე II-მ საბოლოოდ „გაიერთგულა“ და
დიდი რაოდენობით „ბეითალმანი“ მიწები უწყალობა სამეფო
კარის მომხრე აზნაურებს მეღვინეთხუცესიშვილებსა და ალე-
ქსიშვილებს, ხოლო სოფელი საუფლისწულოდ გამოაცხადა
და ფარნაოზ ბატონიშვილს უბოძა². აქედან მოყოლებული
ფარნაოზ ბატონიშვილი და მისი თანამეცხედრე ანა ქსნის
ერისთავის ასული ხიდისთავში უხვად გასცემენ სხვადასხვა
სახის წყალობებს ერთგულებზე³.

საქმე ისაა, რომ ხიდისთავის ძეგლობელები მანამდე,
ერეკლესთან დაპირისპირებული აბდულა-ბეგის შთამომავალი
ბაგრატიონები და ციციშვილები იყვნენ. ცნობილია, რომ ხი-
დისთავში ერთგული ყმები მრავლად ჰყავდა ერეკლეს ერთ-
ერთ მთავარ „ოპოზიციონერ“ ალექსანდრე ამილახვარსაც⁴.

მაშ როდის უნდა გადაეტანა ფარნაოზ ბატონიშვილს
ახალჯვარი ხიდისთავში?

ჯვარზე მოთავსებული წარწერის მიხედვით, 1790

¹ იხ: ჩვენს ნაშრომის „გორის მაზრის მოსახლეობა 1804 წლის
პირველი კამერალური აღწერის მიხედვით“, გვ. 75-76, სქოლიო (ხელ-
ნაწერი). ატენის ხეობის ხელახალი დასახლება მხოლოდ 1817-1821
წლებში მოხდა ერმოლოვის დავალებით გიორგი ერისთავის მიერ, იმ პი-
რობით, რომ აქ ერისთავი ქსნისა და არაგვის ხეობიდან თავის საკუთარ
50 კომლ გლეხს ჩამოსახლებდა და სოფელს დაიცავდა (*Кавказский
календарь, Тифл., 1846, გვ. 47-48; სერგი მაკალათია, ატენის ხეობა,
თბ., 1957, გვ. 8*)

² АКТЫ... т. II. ч. I, стр. 75; док. №121.

³ ამ საკითხებზე ვრცლად იქნება საუბარი ჩვენს მონოგრაფიაში
„ხიდისთავის ისტორია“, რომელიც მზადაა გამოსაცემად.

⁴ იოსებ (სოსო) ალიმბარაშვილი. ხიდისთავის ისტორია (ხელნა-
წერი), გვ. 97-98.

წლის 1 ოქტომბერს მის ადგილსამყოფელად კვლავ „ბობნავის ახალჯვარი“ იხსენიება, ანუ ხიდისთავში ჯერ კიდევ არაა გადმოტანილი.

როგორც ცნობილია, ერეკლე II-ის მიერ 1791 წელს მიღებულმა კანონმა საუფლისწულოების შესახებ ქვეყანა კიდევ უფრო დაანაწევრა და „გაათითოკაცა“. ბატონიშვილები თავიანთ ნაწყალობევე მამულებში ჩაიკეტნენ და ერთმანეთის ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენეს. ფარნაოზ ბატონიშვილი სურამზე აცხადებდა პრეტენზიას, რომელიც იულონს ეკავა. 1797 წლის 22 დეკემბერს, იულონ ბატონიშვილის მიერ დარეჯან დედოფლისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ფარნაოზ ბატონიშვილი ხიდისთავშია გამაგრებული და იქიდან აწარმოებს მიწერ-მოწერას ქვეყნის დიდმოხელეებთან: სულხან თუმანიშვილთან, ლუარსაბ მაჩაბელთან, მელიქ დარჩიასთან. აქვე იღებს იგი მასთან მოსალაპარაკებლად მისულ წინამძღვარ გამალიელს, მდივან სულხან თუმანიშვილს და მღვდელ იოანეს¹. ლოგიკურია, რომ ფარნაოზს თან ჰქონოდა მის მიერ განახლებული სასწაულმოქმედი ჯვარი. ადგილობრივ სააკაძეებსა და გიორგი კოშორიძესაც ზომ ფარნაოზ ბატონიშვილისა და მისი თანამეცხედრის დავალებით გაუღიათ „ღვაწლი და შრომა“, შეუმკიათ და განუახლებიათ ახალჯვარი. ღვთისადმი მადლიერების გამოსახატავად და სოფლის კვლავ აღორძინების სიმბოლოდ სასწაულმოქმედი ჯვრის განახლება-შემკობაზე უკეთესს კაცი ნაკლებად მოიფიქრებდა და მოსახლეობაშიც დიდი რეზონანსი ექნებოდა. რაც შეეხება 1796 წელს, გამორიცხული არ არის ოქრომჭედელ იოანეს ამ წელს სწორედ ხიდისთავში დაემთავრებინა ჯვრის ვერცხლის პერანგში ჩასმა.

¹ საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედ., ტ. III, გვ. 321, ლოკ. 335.

რაც შეეხება სააკაძეებსა და კოშორიძეებს. როგორც ზემოთ ითქვა, სააკაძეები ხიდისთავში ყმების დასახლების უფლებასა და მიწებს ხელახლა იღებენ უკვე XVIII ს. 70-იანი წლებიდან.

1800 წლის 25 ივნისის „გამოდმა მხარის სათარხნოს და საციციანოს“ გიორგი სარდლის გამოსაყვანი სიით, ხიდისთაველებს 9 შეიარაღებული კაცის ვალდებულება ჰქონდათ, აქედან ზურაბ და გოგია სააკაძეებს ორი კაცი უნდა გამოეყვანათ¹.

1801 წლის 15 მარტის გორის კაპიტან-ისპრავნიკ – ენოხინის ციციანოვისადმი გაგზავნილი „ვედომოსტის“ მიხედვით, რომელსაც ჩვენთვის საინტერესო სათაური აქვს: „ფარნაოზ ბატონიშვილის სამფლობელო ხიდისთავში, გაქცევამდე“, ხიდისთავში აღრიცხული 14 კომლიდან სააკაძეების საკუთრებაში 10 კომლია, აქედან ზურაბ სააკაძე - 4 კომლის მფლობელია, მაიორი სააკაძე ასევე 4 კომლს ფლობს, ხოლო ივანე სააკაძე - 2 კომლს². გრიგოლ და ზურაბ სააკაძეები ხიდისთავში ასევე ჩანან 1804 წლის კამერალურ აღწერაში³. ზურაბ სააკაძე მოწმეთა შორისაა 1815 წლის 13 ივლისს ხიდისთაველი ნინია ქვაკრეფიაშვილის მიერ გიორგი ანტონაშვილისადმი პირობის წიგნში⁴ და ა. შ.

კოშორიძეები კიდევ უფრო ადრე, ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებიდან ჩანან ახალჯვრის „მღვდელ-დეკანოზებად“. 1785 წლის 6 აგვისტოს ახალჯვრის დეკანოზ გიორგი კოშორიძის ერეკლე II-სადმი მიწერილი არზიდან ჩანს, რომ კოშორიძეებს ჯერ კიდევ როსტომ მეფის, ანა დედოფლისა

¹ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 261, ლოკ. 273.

² АКТЫ... т. II. ч. I, стр. 75; док. №121.

³ გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ), 7486.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. 986.

და ლუარსაბ მეფის მიერ გაცემული მათი გვარის ახალ-ჯვრისადმი შეწირულობის სიგელები ჰქონდათ¹.

ამავე არზის მიხედვით, ბატონიშვილსა და მოხელეებს გიორგი კომორიძისათვის ძველი დოკუმენტები წაურთმევიათ და იძულებით სოფ. ხანდაკში უპირებდნენ გადასახლებას, რაზედაც მეფის რეაქციას არ დაუყოვნებია და თეიმურაზ მდივანბეგისათვის უბრძანებია კომორიძე უკან დაებრუნებინა: „ესენი ხატის შეწირულნი არიან და ამათი აყრა არ იქნება, ხატის ყმა არის დაესენო“².

როგორც ჩანს, მეფის ბრძანება მალევე შესრულდა. ხიდისთავში ახალჯვრის დეკანოზ კომორიძესთან სტუმრობით იწყებენ თავის ხანგრძლივ მოგზაურობას იოანე ბატონიშვილის „კალმასობის“ გმირები – იოანე ხელაშვილი და გრიგოლ ღამბარაშვილი³.

1800 წელს „გამოღმა მხარის სათარხნოს და საციციანოს“ გიორგი სარდლის გამოსაყვანი სიით, კომორიძეს ხიდისთავიდან უკვე ოთხი კაცი უნდა გამოეყვანა⁴.

მასვე (გიორგი კომორიძეს) აუშენებია ხიდისთავში ახალჯვრის წმინდა გიორგის ეკლესია 1801 წელს, რომლის შემკობაში თავისი წვლილი შეუტანია მღვდელ ალექსიევს (ალექსიძეს)⁵.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 666, დოკ. 701.

² ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, გვ. 150, საბ. № 703.

³ იოანე ბატონიშვილი, ხუმარსწავლა, კალმასობა, აღ. ბარამიძის რედ., წიგნი I, თბ., 1990. გვ. 17-22.

⁴ საქართველოს სიძველენი, III, გვ. 261, დოკ. 273

⁵ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, გვ. 22.

მელვინეთხუცესიშვილის გადმოცემით, ეკლესია ქვისგან ყოფილა აგებული, დარბაზული ტიპის (უგუმბათო), წარწერების გარეშე¹.

საინტერესოა, როდემდე ინახებოდა ახალჯვრის საკურთხეველის წინ აღსამართავი ჯვარი ხიდისთავის წმ. გიორგის ეკლესიაში?

როგორც ითქვა, დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილმა ჯვარი და ეკლესია ნახა და აღწერა 1848 წლის 15 ოქტომბერს. გარკვეული მიზეზების გამო (საბუთში არ კონკრეტდება), ეპარქიის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით 1883 წელს ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესია დაუხურავთ, ამიტომ 1818

¹ დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის ოჯახისათვის კომორიძეები უცხონი არ იყვნენ. დეკანოზი გიორგი კომორიძე, რომელიც ახალჯვრის წარწერაში იხსენიება, მელვინეთხუცესიშვილის მამის კონსტანტინეს მოძღვარი იყო. 1828 წლის 9 ნოემბერს დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილის დის - ნინოსა და მისი მეუღლის იოსებ მამაცაშვილისათვის ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესიაში ჯვარი სწორედ გიორგი კომორიძეს დაუწერია. 1848 წლის 15 ოქტომბრისათვის, როდესაც დიმიტრიმ ახალჯვარი აღწერა, ხიდისთავის ახალჯვრის წმ. გიორგის ეკლესიაში მღვდელი უკვე იოსებ კომორიძე ყოფილა.

ვეფქრობთ, სააკაძეებიც ენათესავენბოდნენ მელვინეთხუცესიშვილებს. ხიდისთავში, ზედაველას სასაფლაოზე, სადაც დიმიტრი მელვინეთხუცესიშვილი განისვენებს. დიმიტრის საფლავი სხვა საფლავებისაგან განმარტოებთაა. მხოლოდ მის სამხრეთით, შედარებით მომცრო საფლავია, რომლის ეპიტაფია გვაუწყებს, რომ აქ დასაფლავებულია ზაქარია სააკაძე. იგი სკოლის „შეგირდი“ ყოფილა და გარდაცვლილა ადრეულ 15 წლის ასაკში. სამწუხაროდ, საფლავის ჩრდილო და სამხრეთის წარწერები ძალზე დაზიანებული და ხავსმოკიდებულია, ამიტომ გარდაცვალების წელი ვერ დგინდება. ზედაველას ძველ სასაფლაოზე, ძირითადად, XIX ს-ის 50-იანი წლებიდანაა საფლავები და ზაქარია სააკაძის საფლავიც ამ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს. ასე ახლოს დიმიტრის გვერდით ახალგაზრდა ყმაწვილის დამარხვა, როდესაც ირგვლივ მრავალი თავისუფალი სივრცეა, მათ ნათესაურ კავშირზე გვაფიქრებინებს.

წლიდან 1883 წლამდე ეკლესიის მეტრიკული და მრევლის სრულყოფილი აღწერილობები გადაუციათ სინოდალური კანტორისათვის, თუმცა, 1891 წლისათვის ეკლესია ისევ გაუხსნიათ¹.

ცნობილია, რომ 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოს ოკუპაციისა და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, ბოლშევიკებმა ეკლესიას დაუფარავი ომი გამოუცხადეს. მასიურად დაიწყეს ეკლესიების დახურვები. მიწას მხოლოდ იმ პირებს აძლევდნენ, რომლებიც მღვდლობას თავს ანებებდნენ. 1923 დასაწყისშივე ყველა თემის აღმასკომს მისდის გორის მაზრის შინამმართველობის განყოფილების გამგის ს. ცხოვრებაშვილის საიდუმლო ცირკულარი: „გავალვებთ, მიღებისთანავე ამისა, გამოარკვიოთ და გვაცნობოთ ფრიად სასწრაფოდ, რომელ თემში და სოფლებში დარჩა კიდევ დაუხურავი ეკლესიები“².

ხიდისთავის ახლჯვრის ეკლესია, სხვა ეკლესიების მსგავსად, მალევე დახურეს, ქონება მთლიანად ჩამოართვეს და ხელისუფლებისათვის სანდო პირებს გადასცეს დროებით.

1923 წლის 23 ივლისს გორის სამაზრო აღმასკომში შესულია ხიდისთავის რაიონის რევოლუციური კომიტეტის №375 გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამია: „თანახმად თქვენი მოწერილობისა 16 ივნისი დაწ. ა.წ. თარიღით №4047, ამასთან ერთათ გირდგენთ ეკლესიების ქონების სიებს ორ ცალად და მოგახსენებთ, რომ სიები შედგენილია თანადამსწრე პატიოსანი პირებისა და ჩაბარებული აქვთ აქტის შედგენით და ხელის მოწერით კეთილსინდისიან სანდო პირებს“. მიმართვას ხელს აწერს ატენის თემის აღმასკომის

¹ საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 489, ანაწერი 1, საქმე 41, 294; გვ. 22.

² გორის არქივი, ფონდი 3, აღწერა 29, საქმე 39, გვ. 291.

თავმჯდომარე - მ. ჯებისაშვილი და მდივანი (ხელმოწერა გაკრული ხელითაა და ძნელად იკითხება - სავარაუდოდ - ალექსიძე)¹. ხიდისთავის ახალჯვრის ეკლესიის ქონების ჩამონათვალში მითითებულია „ჯვარი დიდი ვერცხლის».

1924 წელს ახალჯვრის ჯვარი სიძველეთა კომიტეტმა (გიორგი ბოჭორიძე, გიორგი ჩუბინაშვილი და სხვ) გადასცა სახელმწიფო მუზეუმს და მას შემდეგ მის საცავში ინახება.

ქონების ჩემორთმევის შემდეგ, სავარაუდოდ, ეკლესიაც მალევე დაანგრეს. ხოლო სამშენებლო მასალა ღარიბ მოსახლეობას დაურიგეს, როგორც ამას გორის სამაზრო აღმასკომის პრეზიდიუმის 1924 წლის 27 სექტემბრის დადგენილება (ოქმი №36) ითვალისწინებდა².

2002 წელს, ნაეკლესიარის ადგილას, ადგილობრივმა მოსახლეობამ ახალჯვრის წმ. გიორგის სახელზე კვლავ ააშენა ერთნავიანი მცირე ზომის ეკლესია³.

რაც შეეხება „ახალჯვრობის“ 20 მაისს აღნიშვნას, იგი ხიდისთაველებს საბჭოთა ხელისუფლების წლებშიც არ შეუწყვეტიათ.

დამოწმებანი:

საარქივო დოკუმენტები

გორის სახელმწიფო არქივი, ფონდი 3, არქ. 2, აღწ. 1 გვ. 22.

¹ საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), *დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. გიორგი სოსიაშვილმა*, თბ., 2013, გვ. 146.

² გორის არქივი, ფონდი 3, არქ. 2, აღწ.1 გვ. 22.

³ *იოსებ ალიმბარაშვილი*. ხიდისთავი და ახალჯვრის ისტორია, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა კრებული, №6, თბ., 2014, გვ. 21.

გორის არქივი, ფონდი 3, აღწერა 29, საქმე 39, გვ. 291.
გორის ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმი (გსიემ),
7486.

საქართველოს ეროვნული არქივი, ფონდი 489, ანაწერი 1,
საქმე 41, 294; გვ. 22.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. QD, საბ. 986.

ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, ფ. HD, საბ. 13151;
13739.

ლიტერატურა

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). „ხიდისთავი და ახალ-
ჯვრის ისტორია“, იხ: გორის სახელმწიფო სასწავლო უნი-
ვერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრის შრომათა
კრებული, № 6, თბ., 2014.

ალიმბარაშვილი იოსებ (სოსო). ხიდისთავის ისტორია
(ხელნაწერი).

ალიმბარაშვილი იოსებ. გორის მაზრის მოსახლეობა 1804
წლის პირველი კამერალური აღწერის მიხედვით (ხელნა-
წერი).

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა,
ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973.

ბატონიშვილი იოანე, ხუმარსწავლა, კალმასობა, აღ. ბა-
რამიძის რედ., წიგნი I, თბ., 1990.

დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ.
II ნ. **ბერძენიშვილის რედ.**, თბ., 1953.

ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები 1736-1797 წლე-
ბი, **ავტორ-შემდგენელი მანანა ჭუმბურიძე**, თბ., 2008.

იოანე ქართველიშვილის მემუარები. **ავთ. იოსელიანის გა-
მოკვლევით, რედაქციითა და შენიშვნებით**, თბ., 1952.

კლარჯული მრავალთავი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო *თამილა მგალობლიშვილმა*, თბ., 1991.

მაკალათია სერგი. ატენის ხეობა, თბ., 1957.

მოქცევაჲ ქართლისაჲ (შატბერდული ვერსია), სამი ისტორიული ხრონიკა, *ე. თაყაიშვილის რედ.*, ტფ., 1890.

ორბელიანი პაპუნა, ამბავნი ქართლისანი, *ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა*, თბ., 1981.

რუფუსი იოანე. წმინდა პეტრე იბერის, ნეტარის ეპისკოპოსის და ჩვენი უფლის აღმსარებლის და ასკეტის ცხოვრება, *გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ, ტ. II, ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა*, თბ., 1965.

საბჭოთა ხელისუფლების ანტირელიგიური პოლიტიკა შიდა ქართლში (XX საუკუნის 20-იანი წლები), *დოკუმენტები გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო პროფ. ვიორჯი სოსიაშვილმა*, თბ., 2013, გვ. 146.

საქართველოს სიძველენი, *ე. თაყაიშვილის რედ.*, ტ. III, თბ., 1910.

ქართული სამართლის ძეგლები, *ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ის. დოლიძემ*, ტ. VII თბ., 1981.

Акты Собранные Кавказскою Археографическою Коммисиею, т. I, Тифл., 1866.

Акты... т. II. Тифл., 1868.

Васильев А. А. История Византийской Империи, т. I. СПб 2000.

Институт восточных рукописей Российской академии наук (ИВР РАН), фонд Н-78, дело - „Voyages de M. Dimitri de Gori 1848-1850“.

Кавказский календарь, Тифл., 1846.

ელ-რესურსები:

https://azbyka.ru/otechnik/Istorija_Tserkvi/istorija-vizantijskoj-imperii-tom1/2_6

https://www.e-reading.club/chapter.php/58876/6/Uspenskiiii_-_Istoriya_Vizantiiskoi_imperii._Tom_1.html

Ioseb Alimbarashvili

Gori State Teaching University

**AKHALJVARI AND ITS INSCRIPTIONS
RESUME**

The article examines the history of one of the most distinguished Akhaljvari ("New Cross") antiquities and sanctuaries of Georgia and analyzes its inscriptions showing that the cross was silvered and restored by local (from Khidistavi) nobles: Gregory and Zurab Saakadze and the Priest of Akhaljvari Church by order of Parnaoz Batonishvili and his wife Anna who was a daughter of Ksniseristavi.

According to the inscription, the cross contains a part of the holly pillar, and the cross itself was cut from the cypress tree that emerged in Mtskheta when the Lord's robe was brought.

Because of enemy invasions and the constant dangers in the early 1990s, the cross was moved to Khidistavi which was the village under Pharnaoz Batonishvili's ownership and was kept there until the Soviet authorities demolished the Akhaljvari Church in 1923. In 1924 the cross was moved to Tbilisi and nowadays is preserved in the State Museum funds.

თამარ ანთაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვარლამ ჩერქეზიშვილი ბისმარკზე

აღბათ, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილმა თავისი წვლილი შეიტანა საქართველოში დასავლეთ ევროპის ახალი ისტორიის, ისტორიოგრაფიის და კულტურის პოპულარიზაციის საქმეში. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იპყრობს მისი ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს ნიჭიერ პუბლიცისტთან და ჟურნალისტთან. ამ კუთხით მის მოღვაწეობას ქართული საზოგადოება შედარებით ნაკლებად იცნობს. ამიტომ მიზანშეწონილად ვცანით შეგვევსო ეს ხარვეზი და ამ თემაზე საგანგებოდ გავგვიმხვილებინა ყურადღება. ის იყო არამარტო ცნობილი პოლიტიკოსი, ანარქიზმის აღიარებული ლიდერი და თავკაცი, არამედ თვალსაჩინო პუბლიცისტი და ჟურნალისტი. მან, როგორც პუბლიცისტმა და ჟურნალისტმა, თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანა მსოფლიო ისტორიის პოპულარიზაციის საქმეში. ეს თემაც, სწორედ, ამ კუთხით წამოვწიეთ წინ.¹

¹ ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი დედოფალ ვიქტორიაზე – ქართველოლოგია. 5. თბ., 2015. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი, აშშ-ის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საკითხებზე, ამერიკის შესწავლის საკითხები, 6. თბ., 2016. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი, ესპანეთის მეფე ფილიპე მეორეზე, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული, 14. თბ., 2016. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზი-

ამჯერად საუბარი გვექნება XIX საუკუნის ერთ-ერთ დიდ პოლიტიკოსსა და დიპლომატზე ოტო ფონ ბისმარკზე (1815-1898). მან ღრმა კვალი დაამჩნია XIX საუკუნის მეორე ნახევარის არამართო გერმანიის ისტორიას, არამედ დასავლეთ ევროპის ისტორიას, ამიტომ ვფიქრობთ, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის, ანარქიზმის ლიდერის, პუბლიცისტის და ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება გერმანიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკის მოღვაწეობისადმი.

ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და, როგორც სათაურიდანაც კარგად ჩანს, შეეხება ერთ კონკრეტულ საკითხს. როგორ აფასებდა ქართველი ანარქისტი, პუბლიცისტი და ჟურნალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი ოტო ფონ ბისმარკის პოლიტიკას. საკითხი არის აქტუალური და საინტერესო.

* * *

ისტორიას ადამიანები ქმნიან, განსაკუთრებით კი გამოჩენილი ადამიანები, XX საუკუნის ცნობილი ინგლისელი ის-

შვილი ნაპოლეონ III - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული №16. თბ., 2018. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის მეფის უილიამ ორანელის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტი, ახალი და უახლესი ისტორიის კათედრა. ახალი ისტორიის კათედრა – 80. VII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2014. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი გარიბალდიზე და მაძინიზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის კათედრის VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015 და სხვა.

ტორიკოსის არნოლდ ტონბის თქმით, „შემოქმედებითი უმცირესობა“. XIX საუკუნე მდიდარია დიდი ადამიანებით, გამოჩენილი პოლიტიკოსებით. გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი მათ შორის, უსათუოდ, ერთ-ერთი გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა იყო. XIX საუკუნის დასავლეთ ევროპის ისტორიაში ნაპოლეონის შემდეგ, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო გამორჩეული და კოლორიტული ფიგურა, სწორედ, გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი გვევლინება. მას, როგორც დიპლომატს, ტალეირანი შეიძლება შევადაროთ.¹

ოტო ფონ ბისმარკი დიდი პოლიტიკოსი იყო. მისი პოლიტიკა იყო რთული და წინააღმდეგობრივი. მისი მოღვაწეობის შეფასებისას ისტორიკოსთა შორის არასოდეს არ ყოფილა ერთსულოვნება და გამოთქმულია დიამეტრალურად განსხვავებული მოსაზრებები. ერთნი გუნდრუკს უკმევდნენ და ხოტბას ასხამდნენ მის პოლიტიკას, ხოლო მეორენი კი, პირიქით, მის სახელს მხოლოდ აუგად მოიხსენიებდნენ და მის პოლიტიკას პირდაპირ მიწასთან ასწორებდნენ. ეს დავა ბისმარკის პოლიტიკის გარშემო დღეს და გუშინ არ დაწყებულა და, ალბათ, კიდევ არ დასრულდება. XX საუკუნის პოლანდიელი ისტორიკოსის, ლეიდეის უნივერსიტეტის პროფესორის, პიტერ ჰეილის თქმით „ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა“.

ბისმარკის განდიდებას საფუძველი ჯერ კიდევ თანამედროვეებმა ჩაუყარეს. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს მემუარული ლიტერატურა. მის მთავარ ტონისმიცემად თავად გერმანიის კანცლერი მოგვევლინა. ამ თვალსაზრისით, საინტე-

¹ტარლე ე., ტალეირანი, თბ., 1965. Борисов Ю. Шарль-Морис Талеиран, р/д. 1999. მ.კალანდაძე, ტალეირანი – ცბიერების ხელოვნება – ისტორიანი, №7-8, 2017.

რესოა, მისი „აზრები და მოგონებები“. მემუარული ლიტერატურა კრიტიკულ მიდგომას საჭიროებს. მისთვის დამახასიათებელია საკუთარი როლის კიპერბოლიზაცია და მხოლოდ ასეთ კრიტიკულ ფილტრში გატარების შემდეგ ხდება ის მეცნიერულად ღირებული წყარო.¹

ბისმარკის განდიდების მთავარ ტონისმიმცემად XIX საუკუნის მეორე ნახევარის „მცირეგერმანელთა“ სკოლის ისტორიკოსები და მათი აღიარებული ლიდერები ლეოპოლდ ფონ რანკე, ჰაინრიხ ფონ ზიბელი, ჰაინრიხ ფონ ტრაიჩკე, გუსტავ დროიზენი გვევლინებიან. შემდგომში ეს ხაზი გააგრძელეს მათმა მოწაფეებმა. ასე ჩაეყარა საძირკველი ოტო ფონ ბისმარკის კულტს, რომელიც ლაიტმოტივად გასდევს XIX-XX საუკუნეების გერმანულ ისტორიოგრაფიას.²

ოტო ფონ ბისმარკის მოღვაწეობისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მთავარ ტონისმიმცემად ჯერ კიდევ მისი თანამედროვეები და პოლიტიკური მოწინააღმდეგეები კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი გვევლინებიან. გერმანიის კანცლერისადმი მათი დამოკიდებულების აპოლოგეტური შეფასება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, დღეს უკვე მოძველებულია, ყავლი გაუვიდა, წარსულს ჩაბარდა. მათ ბისმარკის და ნაპოლეონ III-ის რეჟიმი ესახებოდათ „რეაქციული ცეზარიზმის“ საუკეთესო ნიმუშად. ამგვარი მიდგომა ხომ არ ამუქებს საქმის რეალურ ვითარებას?³

¹Бисмарк О., Мысли и воспоминания, т. 1-3. М., 1940-1941.

²Виноградов В. Отто фон Бисмарк. Объединение Германии железом и кровью. М.: Аст-Пресс, 2015.

³Маркс К., Энгельс Фр, соч. т. 21. т. 21. М., 1962 გვ. 450 და მრავალი სხვა.

ვეიქრობთ, საინტერესოა ოტო ფონ ბისმარკისადმი საბჭოთა ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება. ამ თემას, ალბათ, ერთი საინტერესო ნაშრომი შეიძლება მიეძღვნას. ამჯერად ამ თემაზე მხოლოდ მოკლედ, სულ ორიოდე სიტყვით შევჩერდებით. საბჭოთა ისტორიოგრაფია ბისმარკზე, როგორც პოლიტიკოსზე, საკმაოდ მაღალი აზრის იყო. ასეთი მიდგომა სავსებით სწორია და ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვეჩვენება, მაგრამ გერმანიის ზემოდან გაერთიანებას, ბისმარკის ძალისმიერ პოლიტიკას, რბილად რომ ვთქვათ, თავშეკავებით ეკიდებოდა. ბისმარკისადმი ამგვარი ინდიფერენტული დამოკიდებულება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გავლენის ლოგიკური შედეგია. ისინი იძულებულნი არიან ხარკი მოუხადონ გაბატონებული მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის მონოპოლიას დიქტატს. ისტორიას არ ხელეწიფება ერთი ჭეშმარიტება. ამ გზას ჩიხში მივყავართ. საბჭოთა ისტორიოგრაფიის კრიზისი ამის ლოგიკური შედეგია.

გერმანიის გაერთიანებამ და ბისმარკის აღზევებამ უმაღლივყო XIX საუკუნის მეორე ნახევარის ქართული საზოგადოების ყურადღება. ბისმარკისადმი მათი დამოკიდებულება საინტერესოა. ისინი გერმანიის კანცლერზე როგორც პოლიტიკოსზე საკმაოდ მაღალი აზრის უნდა ჩანდნენ, რაც ამ თემაზე მათი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება. მათთვის სრულიად უცხოა ბისმარკის მოღვაწეობის უსაშველო განდიდება, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი XIX-XX საუკუნეების გერმანულ ისტორიოგრაფიაში. ეს, ცხადია, ძალიან კარგია, მაგრამ ეტყობა ისინი სულ სხვა უკიდურესობაში აღმოჩნდნენ და ბისმარკის მოღვაწეობის მიმართ შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ. ეს, პირველ ყოვლისა, შეეხებათ ისეთ სხვადასხვა პოლიტიკური ორიენტა-

ციის მოღვაწეებს, როგორც იყვნენ ილია ჭავჭავაძე, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი.

ილია მიესალმება გერმანიის გაერთიანებას, მაგრამ აფიქრებს მისი განხორციელების ხერხები, ძალისმიერი გზა. „დანიაზე რომ გაილაშქრა თავისი მტერ-მოყვარე ავსტრია მოიშველია, ჩამოართვა დანიას შლეზვიგ-ჰოლშტაინი და ავსტრიას პირში ჩალა გამოავლო“.¹ ამის შემდეგ დღის წესრიგში დადგა ავსტრიის წინააღმდეგ ომი. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმას, თუ რა პოზიციას დაიკავებდა საფრანგეთი, „ბისმარკმა საფრანგეთის ნეიტრალიტეტი იმით მოიპოვა, რომ ნაპოლეონ III სათანადო ჯილდო და კომპენსაცია აღუთქვა“.² გერმანიის გაერთიანების დასკვნით აკორდად საფრანგეთ-პრუსიის ომი გვევლინება. „პრუსიის დიპლომატიის მეთაურმა ასეთივე ვერაგობა მოიმარჯვა სხვა ქვეყნების მიმართ, რათა უზრუნველყო მათი ნეიტრალიტეტი საფრანგეთთან ომის დროს. რუსეთს მან შესთავაზა პარიზის 1856 წლის ტრაქტატის გაუქმება, იტალიას ქალაქი რომი და მეგობრობა. ამრიგად, ბისმარკმა ყველანი ისე მოითათბირა, რომ თვითონ საფრანგეთი გვერდზე გაიგდო და მიწასთან გაასწორა“.³ ამ თემას ეხება პროფ. ომარ გოგიაშვილის მეტად საინტერესი ნაშრომი „ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ“. ბისმარკისადმი ილიას შეხედულებების აპოლოგიკური გადმოცემა საკმარისი არ უნდა ჩანდეს და აღნიშნულ საკითხზე სრულყოფილ, ამომწურავ წარმოდგენას ვერ გვიქმნის. ბისმარკისადმი ილიას დამოკიდებულება ცხადია შემთხვევითი არაა, ცარიელ ნიადაგზე არ აღმოცენებულა და საფრანგეთისადმი

¹ჭავჭავაძე ი., ვეროპა 1886 წელს, თხზულებები, ტ. 9. გვ. 99.

²იქვე.

³ჭავჭავაძე ი., ვეროპა 1886 წელს, თხზულებები, ტ. 9. გვ. 99-100.

სიმპათიები განაპირობებდა. ილია, როგორც ლიბერალი, ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას? ზოგიერთ შემთხვევაში ილია ბისმარკისადმი მკაცრი ხომ არ იყო? მნიშვნელოვან წილად ამით აიხსნება, რომ მკვეთრი ეპითეტი პრიორიტეტულია „ვერაგობა მოიმარჯვა“.

როგორც ნიკო ნიკოლაძის წერილებიდან ჩანს, მან მეტად მტკივნეულად განიცადა 1870-1871 წლებში საფრანგეთ-პრუსიის ომში საფრანგეთის დამარცხება. განსაკუთრებით გული ატკინა საფრანგეთის მიერ ელზასის დაკარგვამ.¹ პრუსიის და ბისმარკისადმი მისი დამოკიდებულება გაცილებით თავშეკავებული უნდა ჩანდეს, რაც იმით აიხსნება, რომ ნიკო ნიკოლაძე და ილია ჭავჭავაძე ფრანგოფილები იყვნენ და საფრანგეთის ისტორიის მიმართ დიდ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ.

პრუსიის და ბისმარკის მიმართ ინდიფერენტულად უნდა ჩანდეს განწყობილი არა მარტო ლიბერალი ილია ჭავჭავაძე და ნიკო ნიკოლაძე, არამედ მემარცხენე, მესამედასელი გიორგი წერეთელი. მისი დამოკიდებულება ბისმარკისადმი მკვეთრად გამოკვეთილად ნეგატიურია. „ცხოვრებაში მარტო პირად სარგებლობაზე და ინტერესებზე იყო გადაყოლილი და მართო სხვების დამარცხებაზე, სხვების უბედურებაზე იშენებდა საკუთარ ბედნიერებას“,² მეორე ადგილას ის დასძენდა. „გერმანიის ერთიანობა და დიდება მან შექმნა საფრანგეთის განადგურებით. გერმანიის ეროვნული ინტერესები მსხვერპლად მოიტანა და ანაცვალა პრუსიის დიდებას. ჩვენი სიტყვით რომ ვთქვათ – გერმანიის გაპრუსიელებას“.³

¹ გოგიაშვილი ო., ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ – ქართული დიპლომატია, წელიწდური 16. თბ., 2013.

² ნიკოლაძე ნ., თხზულებები, ტ. 2, თბ., 1962, გვ. 626-627.

³ მაზაკველი, წერეთელი გ., კვალი, 1895. №14.

გ.წერეთელი გამოეხმაურა ბისმარკის დაბადების 80 წლისთავს და კიდევ ერთხელ დააფიქსირა გერმანიის კანცლერის მიმართ თავისი დამოკიდებულება. ბისმარკი მას მიაჩნია „დავრდომილ ლეშად“, უძლურად მღრინავ ბებერ ნაგაზად“.¹ ბისმარკისადმი ასეთი ნეგატიური დამოკიდებულება მკაცრად გაისმის და ხისტად მიგვაჩნია.

ქართული ისტორიოგრაფია შემდგომშიც დიდ დაინტერესებას იჩენდა ოტო ფონ ბისმარკის ცხოვრების და მოღვაწეობის მიმართ. ამ საკითხზე მუშაობს პროფ. მერაბ კაღლადაძე და ამიტომ ამ თემაზე სიტყვას მეტი აღარ გავაგრძელებთ.

როგორ თავსდება ქართულ კონტექსტში ვარლამ ჩერქეზიშვილის თვალსაზრისი? რა პოზიცია უკავია მას ამ საკითხში? რითი აიხსნება მისი დამოკიდებულება ბისმარკისადმი? წინამდებარე ნაშრომში შეძლებისდაგვარად შევეცდებით ამ კითხვებზე პასუხის გაცემას.

* * *

უწინარესად, ბუნებრივია, წამოიჭრება საკითხი რა ინფორმაცია გაგვაჩნია ამ თემაზე და ეს მასალა მეცნიერულად რამდენად ღირებულია? ამას, ჩვენი აზრით, აქვს მნიშვნელობა. ამ კუთხით საკითხის დასმა აქტუალურად მიგვაჩნია. ფაქტობრივად, საქმე ეხება საკითხის წყაროთმცოდნეობას. განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია.

¹იქვე. ამ საკითხზე დაწვრილებით იხილეთ ვ. ღონაძე, ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970. აქ საკითხი, ბუნებრივია, მარქსისტული პოზიციებიდანაა დანახული. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ მასში მცირე კორექტივები შეგვეტანა და სულ სხვა აქცენტები დაგვესვა.

რა თქმა უნდა, სასურველი იყო, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს ოტო ფონ ბისმარკზე საგანგებო ნაშრომი, სახელდობრ სტატია დაეწერა, სადაც ის თავის დამოკიდებულებას გერმანიის კანცლერისადმი საკმაოდ მკაფიოდ, გამჭვირვალედ ჩამოაყალიბებდა. ეს, ცხადია, ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მას ბისმარკზე არაფერი არ აქვს დაწერილი, მაგრამ მის სტატიებში აქა-იქ, სხვადასხვა კონტექსტში გაიჟღერებს მისი სახელი, რაც, ალბათ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს და, ფაქტობრივად, ამ საკითხში ჩვენს მთავარ წყაროს წარმოადგენს. სხვა უფრო ხელშესახები მასალა უბრალოდ არ გაგვაჩნია. ეს მწირი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ნამცეცებს წარმოადგენს, მაგრამ მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნებოდა. როგორც ვხედავთ, ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ, როგორ მოვიქცეთ? რა გამოსავალი არსებობს? სავსებით ვეთანხმებით პროფ. მერაბ კალანდაძეს, რომ ისეთ პატარა ქვეყანას, როგორც საქართველო ამ მწირი მასალის შეუფასებლობის ფუფუნება არ გააჩნია. პირიქით, ამ მცირე მასალას თვალისჩინივით უნდა მოფრთხილება და ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ ამ მცირე მასალიდან სასურველი ინფორმაცია მივიღოთ. ამგვარი მიდგომა გაცილებით უფრო რეალისტური იქნებოდა, ვიდრე მისი შეუფასებლობა. ჩვენ ვცადეთ ეს თემა, სწორედ, ამ კონტექსტში გაგვეშუქებინა და მასში ბისმარკისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაზე მინიშნება ამოგვეკითხა. კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ბისმარკისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ასეთი შეიძლება ყოფილიყო.

ვარლამ ჩერქეზიშვილის პუბლიცისტურ წერილებში, სხვადასხვა კონტექსტში, გადავაწყდებით გერმანიის კანცლე-

რის ოტო ფონ ბისმარკის სახელს. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა. ჩვენ ვცადეთ ამ მასალისათვის ერთად მოგვეყარათავი და გამოგვერკვია როგორი შეიძლება ყოფილიყო ბისმარკის პოლიტიკისადმი ქართველი პოლიტიკოსის და პუბლიცისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება. ამ კუთხით ეს თემა ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში განხილული არ ყოფილა. საფიქრელია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილმა ბისმარკის პოლიტიკაზე გაცილებით უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით, მისი წერილებიდან ჩანს.

გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის სახელს პირველად გადავაწყდით ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „ლუდვიგ კოშუთი და უნგრეთის ეროვნებანი“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1894 წელს №129 და შევიდა ვარლამ ჩერქეზიშვილის თხზულებების პირველ ტომში. აი რას ვკითხულობთ აქ: „კოშუთს უთქვამს ბისმარკის შესახებ, „ერთმა ინგლისელმა ბისმარკს დიდებული „კაცი“ უწოდა. „თქვენი სიტყვაო, უთხრა ამაზე კოშუთმა ინგლისელს – სანახევროდ არის მართალი. ბისმარკს არამც თუ თავის თავი უყვარს, არამედ უყვარს თავის სამშობლოც. ეს ნამდვილია. გარნა ეგ კაცი წმინდა გერმანულს ფიქრსა და გრძნობებზედ ვერასდროს ვერ დადგება. აი ეს არის მიზეზი, რომ მაგის პოლიტიკაში ისე ბევრია კომბოსტოს მწნილი, უზრდელობა და თავაშვებული ლირფობა“.¹

აქ ბისმარკის პოლიტიკისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით გამჭვირვალეა. პრიორიტეტი უარყოფით ეპითეტებს ენიჭება.

ასევე უარყოფით კონტექსტში ფიგურირებს გერმანიის კანცლერის გვარი ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის

¹ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებანი, ტ. 1. თბ., 2011. გვ. 93.

ფურცელში“ 1903 წლის 7 იანვარს (№2196). აი რას ვკითხულობთ ვარლამ ჩერქეზიშვილის ამ სტატიაში. „განათლებული და კაცთმოყვარე მეგობრები წმინდა საშუალებასა, პატიოსნებასა და უმაღლეს იდეალებზე ლაპარაკობენ. ჩემბერლენი, ბისმარკი და ლუი ნაპოლეონი კი მოქმედებენ და არანაირ ინტრიგას, გაიძვერობას, ძალადობას და სისხლისღვრას არ ერიდებიან“.¹ როგორც ხედავთ, ვ. ჩერქეზიშვილის ეს მსჯელობა აგებულია კონტრასტზე. ერთი მხრივ არიან ადამიანები, რომლის მიმართაც ვარლამ ჩერქეზიშვილი კეთილგანწყობილი ჩანს და, მეორე მხრივ, არიან ადამიანები, რომლის მიმართაც ის დიდ სიმპათიებს არ უნდა ამჟღავნებდეს. ამ უკანასკნელთა შორის იხსენიება გერმანიის კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი. ეს საყურადღებოა და, ალბათ, რაღაცას უნდა ნიშნავდეს.

ცოტა უფრო ქვემოთ ის აგრძელებს დაწყებულ მსჯელობას და დასძენს „კაცთმოყვარე პროგრესისტებმა ყველგან ქადაგება დაიწყეს, პოლიტიკაში კანონიერი, პატიოსანი ქცევაა საჭირო. რაკი საარჩევნო უფლება მიიღეს, ესენი ყველას ურჩევდნენ, კანონიერად მოიქეცითო, მართო მშვიდობიანად, პარლამენტის საშუალებით იმოქმედეთ და სიყვარული და სიკეთე იქადაგეთო. ამ დროს, როცა ესენი ჰქადაგებდნენ, ჩემბერლენი, კრიჰსი და ბისმარკი მოქმედებდნენ და არაფერ საშუალებას არ ერიდებოდნენ. საქმის და მოქმედების ხალხი იყვნენ და აკი იმიტომ კიდევ იმარჯვებდნენ. პროგრესისტებმა დაივიწყეს იმავე იტალიაში, რომ თუ სამშობლოს თავისუფლება და გაერთიანება მოიპოვეს, მხოლოდ იმის წყალობით მოიპოვეს, რომ იმათი პროგრესისტი მამები, ყოველივე ეს საფი, გარიბალდი, მაძინი მოქმედების ხალხი იყვნენ. ინგლისშიც დაავიწყდათ პროგრესისტებს, რომ გობდენს, კონ

¹ ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებანი, ტ. 1. თბ., 2011. გვ. 237.

რასელს და გლადსტონს, დემოკრატია აძლევდა ხალხსა. ეს დემოკრატია ყოველთვის მზად იყო მოქმედება დაეწყო და კონსერვატორების რეაქციული პოლიტიკა აელაგმა.¹

არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის მოღვაწეობისადმი ასეთი შეიძლება ყოფილიყო. გამოვთქვამთ მეტად ფრთხილ ვარაუდს, რომ ბისმარკისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის დამოკიდებულება, ალბათ, დადებითი ვერ იქნებოდა. რით შეიძლება ყოფილიყო გამოწვეული მისი ასეთი განწყობილება? როგორც აღვნიშნეთ, მისი მიზეზი ვარლამ ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში ძევს.

საფიქრებელია, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი როგორც ანარქისტი, მემარცხენე პოზიციებიდან შეხედავდა ბისმარკის მოღვაწეობას და ამ კუთხით შეეცდებოდა მისი პოლიტიკის შეფასებას. ასეთი მიდგომა საინტერესოა და მას, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. რამდენად იქნებოდა მისაღები მემარცხენე ვარლამ ჩერქეზიშვილი მემარჯვენე, მონარქისტი, ოტო ფონ ბისმარკი? ამ კითხვაზე პასუხი, ვფიქრობთ, საკმაოდ გამჭვირვალეა: რა თქმა უნდა, არა, მაგრამ, მოდი, მივყვეთ თანამიმდევრულად.

დავიწყოთ იმით, რომ მას ბისმარკი ესახებოდა ძლიერ პიროვნებად, ენერგიულ პოლიტიკოსად, რომელიც შეუპოვრად მიიწევდა დასახული მიზნისაკენ და, ალბათ, რაც მთავარია სასურველ შედეგსაც აღწევდა. ის მოქმედებდა პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებას“. ეს ამ თემაზე ვარლამ ჩერქეზიშვილის მსჯელობის დადებით მხარედ მიგვაჩნია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთლიანობაში ბისმარკის პოლიტიკა ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის,

¹ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებანი, ტ. 1. თბ., 2011. გვ. 237-238.

როგორც ანარქისტისათვის, მიუღებელი იქნებოდა, ამას გააჩნია თავისი რეზონი, აზრი. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცდებით გავარკვიოთ ამის მიზეზები.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის, როგორც ანარქისტისათვის, მიუღებელი იქნებოდა ბისმარკის მმართველობის იმპერიული სტილი. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება დიდი იმპერიებისადმი. აი რას წერდა იგი. „ამის მოსურნენი დაბრძალებული არიან ბაბილონისა, ასირიისა, სპარსეთისა, დიდი კარლოსის დროისა, ნაპოლეონის იმპერიების გარეგანის ძლიერებით... მაგრამ ეს იმპერიები გაქრნენ. არა ჰქრება მხოლოდ ენა, ეროვნება, კულტურა“.¹ ბისმარკის მიერ შექმნილი მეორე იმპერია ამ დიდ იმპერიებს შორის უნდა მოვიაზროთ. ბისმარკისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის მიდგომა დიდი იმპერიებისადმი დამოკიდებულების ექოდ გაისმა და მის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ბისმარკის მმართველობის იმპერიული სტილი ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის მიუღებელი იქნებოდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ბისმარკის მმართველობა არ შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ იდეალს.

ბისმარკის პოლიტიკის ძალისმიერი და რადიკალური მეთოდები ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის როგორც ანარქისტისათვის მიუღებელი იქნებოდა. ეს ბისმარკისადმი მისი დამოკიდებულების კიდევ ერთი მიზეზი შეიძლება ყოფილიყო.

ვარლამ ჩერქეზიშვილის უკმაყოფილების კიდევ ერთი მიზეზი ბისმარკის საშინაო პოლიტიკა შეიძლება ყოფილიყო. მას მკვეთრად გამოკვეთილი ანტიდემოკრატიული, ანტიმუშური ელფერი დაკრავს და ვარლამ ჩერქეზიშვილისთვის, რო-

¹ ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებანი, ტ. 1. თბ., 2011. გვ. 296.

გორც ანარქისტისათვის, მიუღებელი იქნებოდა, არ შეესატყვისებოდა მის პოლიტიკურ იდეალს.

რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ანარქისტ ვარლამ ჩერქეზიშვილს ოტო ფონ ბისმარკის, როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის, დადებითი თვისებები? ამ კითხვაზე დამაჯერებელი პასუხის გაცემა ჩვენს ხელთარსებული მწირი მასალის გამო, რა თქმა უნდა, არ გახლავთ ადვილი საქმე, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით ამის გაკეთებას. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ შეიძლება დაუშვათ ორი ვერსია: ერთი, შეიძლება ვარლამ ჩერქეზიშვილს ოტო ფონ ბისმარკის როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის ძლიერი მხარეები გაცნობიერებული ჰქონოდა საკმაოდ სუსტად, მკრთალად. მეორე, შესაძლოა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ბისმარკის, როგორც პოლიტიკოსის და დიპლომატის, პლუსებს თავშეკავებით ეკიდებოდა. არსებობს იმისი დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის, დამოკიდებულება გერმანიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკისადმი, როგორც მემარჯვენე პოლიტიკოსისადმი, მონარქისტისადმი, რბილად რომ ვთქვათ ინდიფერენტული შეიძლება ყოფილიყო. მნიშვნელოვანწილად, ალბათ, ამით აიხსნება, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ბისმარკის სახელი უფრო მეტად უარყოფით კონტექსტში უფრო ფიგურირებს, ვიდრე დადებითში. ვარლამ ჩერქეზიშვილი როგორც ანარქისტი ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას?

* * *

მაშ ასე, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება გერმანიის კანცლერ ოტო ფონ ბისმარკისადმი ასეთი შეიძლება ყოფილიყო. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი,

გერმანიის კანცლერის ოტო ფონ ბისმარკის, როგორც მემარ-
ჯვენე პოლიტიკოსის, მონარქისტის, ძლიერი ხელის მოტრ-
ფიალე პოლიტიკოსისადმი კეთილგანწყობილი ვერ იქნებოდა.
ეს ადვილი გასაგებია. ბისმარკი, როგორც ძლიერი ხელის
მოტრფიალე პოლიტიკოსი არ შეესატყვისებოდა მის პოლი-
ტიკურ იდეალს. ამგვარი ინდიფერენტული მიდგომა ხისტად
მიგვაჩნია და საკამათოც შეიძლება იყოს.

დამოწმებანი:

1. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი დედოფალ ვიქტორი-
აზე, ქართველოლოგია 5. თბ., 2015.
2. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი აშშ-ის დამოუკიდებ-
ლობისათვის ბრძოლის საკითხებზე, ამერიკის შესწავლის
საკითხები, VI, თბ., 2016.
3. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი ესპანეთის მეფე ფი-
ლიპე მეორეზე – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსი-
ტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის
და არქეოლოგიის ცენტრი, შრომათა კრებული 14. 2016.
4. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონ III, გორის
სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეც-
ნიერებათა ფაკულტეტი. ისტორიის და არქეოლოგიის ცენტ-
რი, შრომათა კრებული, 16. თბ., 2018.
5. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი ინგლისის მეფე უი-
ლიამ ორანელის შესახებ, ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ჰუმანიტარულ მეც-
ნიერებათა ფაკულტეტი. მსოფლიო ისტორიის კათედრა, ახა-
ლი ისტორიის კათედრა – 80. VII ყოველწლიური კონფე-
რენცია, თბ., 2014.

6. ანთაძე თ., ვარლამ ჩერქეზიშვილი გარიბალდიზე და მაძინიზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მსოფლიო ისტორიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის დეპარტამენტის VIII ყოველწლიური კონფერენცია, თბ., 2015.
7. ტარლე ე., ტალეირანი, თბ., 1965.
8. Борисов Ю., Шарль-Морис Талеиран, р/д. 1999.
9. კალანდაძე მ., ტალეირანი – ცბიერების ხელოვნება, ისტორიანი, №7-8, 2017.
10. Бисмарк О., Мысли и воспоминания, т. 1-3. М., 1940-1941.
11. Оболеннская С.
12. Маркс К, Энгельс Фр, соч. т. 21. М., 1962.
13. ჭავჭავაძე ი., ევროპა 1886 წელს, თხზულებები, ტ. 9. თბ., 2008.
14. გოგიაშვილი ო., ილია ბისმარკის დიპლომატიის შესახებ, ქართული დიპლომატია, წელიწდეული 16. თბ., 2013.
15. ნიკოლაძე ნ., თხზულებები, ტ. 2. თბ., 1962.
16. მაზაკველი, გ. წერეთელი, კვალი, 1895, №14.
17. დონაძე ვ., ქართველი სამოციანელები ახალი ისტორიის პრობლემათა შესახებ, თბ., 1970.
18. ჩერქეზიშვილი ვ., თხზულებანი, შემდგენელ-რედაქტორი დ. შველიძე, თბ., 2011.

Tamar Antadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT BISMARCK
RESUME**

Varlam Cherkezishvili has largely contributed to the promotion of new history, historiography and culture of Western Europe in Georgia. In this regard, his epistolary heritage is worth special attention. Varlam Cherkezishvili was an outstanding publicist and journalist. However, this aspect of his activities is not well known to the society at large. Therefore, the aim of the given paper is to fill this gap and focus on the given issue.

The paper aims to identify Varlam Cherkezishvili's attitude to Chancellor of Germany Otto von Bismarck. The issue is both interesting and complex.

One of the problems related to the given research is that our source study material is rather scarce. Therefore, we abstain from any categorical statements and restrain ourselves to certain hypotheses. It is unreasonable to neglect or avoid this scarce information. Hence, the paper is an attempt to identify Varlam Cherkezishvili's attitude to Bismarck based on the existing material. We consider this approach the most reasonable.

Anarchist Varlam Cherkezishvili could not have been an admirer of Otto von Bismarck, who supported authoritarian power and was a rightist politician and monarchist. Such indifferent attitude to the Chancellor of Germany can be argued and considered too straightforward.

ქსნის ხეობის მთიანეთის ეთნოგრაფიული ყოფის
ისტორიიდან

უძველესი კულტურის მატარებელი კერაა ქსნის ხეობა, რაზეც აქ აღმოჩენილი მდიდარი არქეოლოგიური მასალა, ადრეფეოდალური თუ შემდგომი ხანის მატერიალური კულტურა, ეპიგრაფიკული ძეგლები და წერილობითი წყაროები მიგვანიშნებს... განსხვავებულია ამ ხეობის ეთნოგრაფიული ყოფა, უფრო მეტიც, მკვეთრი სხვადასხვაობა შეიმჩნევა მთისა და ბარის მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფით ელემენტებს შორის. ყოველივეს ამას კი განსხვავებული ბუნებრივი პირობები, მეურნეობის ხასიათი თუ სხვა მიზეზები განაპირობებდა. მთას თავისი ადათი ჰქონდა, შედარებით მკაცრი, ტრადიციული, რთულად შესაცვლელი, იმდენად რთულად, რომ ზოგიერთი წესი ქრისტეს წინარე ეპოქიდანაც კი გამოიყოლა.

ეთნოგრაფიულ ყოფაზე საუბარს ახალი წლის აღნიშვნის ტრადიციით დავიწყებ მთის მოსახლეობა 14 იანვარს აღნიშნავდა და წინასწარ განსაკუთრებული მოლოდინით ხვდებოდა. წინა დღეებში ოჯახის წევრებისა და საქონლის სახელზე აცხობდნენ „ბედის კვერებს“. თითოეულ მათგანს თავისი დამახასიათებელი ფორმა და ნიშანი ჰქონდა. მაგალითად, ოჯახის უფროსის ბედის კვერს შუაგულში ერთ ნიგოზს ჩაურჭობდნენ, დანარჩენებს - ორს, სამს და ასე შემდეგ. ვისი ბედის კვერიც გამოცხობისას აიწვედა, იმ წელს უკეთესად

იქნებოდა. ცალკე ბედის კვერი ცხვებოდა ოჯახის სახელზე, მასზე ჯვარი იყო გამოსახული: „ამ ბედის კვერს მეკვლე კერაზე გააგორებს და იტყვის: „ღმერთო, წაღმა დაატრიალე ჩემი ოჯახი“-ო.¹

შესრულდებოდა თუ არა 12 საათი, ოჯახის ერთ-ერთი წევრი გარეთ გაიტანდა დიდ სინს, რომელზეც ელაგა ღორის თავი, თაფლი, ჩურჩხელა, კანფეტები, კეცეული ქადა, სხვა ქადის ნაჭრებიც. გარედან შემოტანილს თან მოაყოლებდა თოვლს, შემოაღებდა სახლის კარებს და იტყოდა: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი! ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზის“. შემდეგ თოვლს მოაბნედა: „ასე თეთრად დამიბერდითო“ და ტკბილეულს ჩამოარიგებდა, ტკბილად დაბერების სურვილით. მეკვლის როლი მნიშვნელოვანი იყო თითოეული ოჯახისთვის. მასზე იყო დამოკიდებული მთელი წლის განმავლობაში ოჯახის ყისმათი. მეორე დღეს ქათმის მეკვლეობას ზეიმობდნენ. სტუმარი აუცილებლად სუფრასთან უნდა დაესვათ, თორემ იმ წელს კრუხი არ დაჯდებოდა და წიწილებიც არ ეყოლებოდათ.

ახალ წელს ულოცავდნენ საქონელსაც, ჩვეულებრივზე ადრე შეუტანდნენ თივას. ადრე დანაყრება ნიშანი იყო იმის, რომ ძველი ველარ გაეკარებოდა. იცავდნენ სხვა წესებსაც, რაც, ზოგადად, ანალოგიური იყო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა კუთხეებისთვის, „წელიწად დილას საბელს დამალავენ - გველი არ აგვესევაო... კარში არ ივლიან, რომ მეზობელმა არ დაგვწყევლოსო (ესეც ტრადიცია იყო, ახალ წლის დღეს, ვისაც პირველად დაინახავდნენ, ბედ-იბლის და ჯანმრთელობის მხრივ მის მსგავსად იქნებოდნენ წლის განმავლობაში, ამიტომ ყველა ადამიანის დანახვა სასურველი არ იყო - დ.ა.), არც ცეცხლს შეუბერვენ, რომ არ გავიბერო-

¹ მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 134.

თო და მას ფასტამლის კალთით უბერვენ. სახლში წყალსაც არ დაღვრიან, ჭიანჭველა ამოდინდებო და სხვა"¹

ახალ წელს, დილიდანვე ცდილობდნენ, კარგ ხასიათზე ყოფილიყვნენ, რომ მთელი წელი დაჰბედებოდათ. მეორე დღეს უქმობდნენ, ჩხირსაც არავინ გატეხდა და საქონლის ნეხვის გადაყრასაც ერიდებოდნენ...

გარკვეული რიტუალი სრულდებოდა წყალკურთხევის დღეს. ოჯახის დიასახლისი დილით ადრე წავიდოდა წყალზე, ჭურჭლს სამჯერ აავსებდა და დაღვრიდა მიცვალებულის ხსოვნის პატივსაცემად, სწამდა, რომ დაღვრილი წყალი მიუვიდოდა. წყალთან გაიშლებოდა სუფრა, დაილოცებოდნენ და წასულებსაც მოიხსენიებდნენ.

ამ დღეს სხვადასხვა კუთხეში განსხვავებულად აღნიშნავდნენ. ხევსურეთში „ამ დილას ვვარში სრულდებოდა ყველა წესი: ქადების გამოცხობა, ჟამის წირვა და სხვა, ამ დღესაც კიდევ მოდიან მეზღვნეები უკანასკნელად, დილით თავებს რომ მოირჩენენ (ნაბახუსევზე - და.) და ჟამს სწირავენ, მერე ისაუზმებენ და შეუდგებიან საკლავების დაკვლას, სოფელშიც ჩვეულებრივ ერთიმეორეს ეპატიუებიან."² ფშავში დილით წყალზე გასული დიასახლისი შიგ ყველსა და პურს ჩააგდებს და იტყვის: „წყალო ნაყრი მოგიტანე, ბედი გამოძაყოლე საქონ-ცხვრისა და ცხენ-ვირისაო." ამ წყალს დიასახლისი სახლში მოიტანს, სუფრას გაშლიან და მას მიცვალებულის სახელს შესდებენ. ხარის გოგას გუთნის დედა ან მეხრე ბოსელში წაიღებს და იქ მას ხარის კისერზე გადატე-

¹ მაკალათია ს., ფშავი, 1985, გვ. 177.

² ოჩიაური აღ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), თბ., 2018, გვ. 132.

ხენ, ნაოთხალს ხარებს შეაჭმევენ, დანარჩენს კი ოჯახის წევრები ჭამენ".¹

ქორწილში მთელი სოფელი მიდიოდა. მიჰქონდათ კეცეული ქადა, რომელიც მთაში მეტად მიღებული იყო, არაყი, თხილი, კაკალი, ვაშლი, მსხალი, ჩითის ან შტამბოვკის კაბა, მცირედი ფული, რის საშუალებაც ჰქონდათ. იტყოდა თამადა სახელს: მოსულა, ღმერთმა ააშენოს მისი ოჯახი. მოუტანია კეცეული ქადა, ერთი კოკა სასმელი-არაყი, ერთი ურემი თხილი, კაკალი, ვაშლი და მსხალი, ჩითის ძვირფასო კაბა და ხუთი მანეთი. ეს ყველაფერი ამ ოჯახს მისთვის სიკეთეში გადაეხადოს. ყველას რომ ჩამოთვლიდა (მთის სოფლებში მაინცდამაინც ბევრი ხალხი არ ცხოვრობდა), ჩვეულებრივ გაგრძელდებოდა ქეიფი.

ქორწილის სუფრაზე საჩუქრების გამოცხადება თამადას ევალეობოდა როგორც მთიულეთში, ისე გარე-კახეთის რეგიონებში, მაგალითად, მარტყოფში, ნორიოშო, ლილოში, ახალსოფელში, საცხენისში...² სამცხე-ჯავახეთში სანიჭარის მომცემ პიროვნებათა ვინაობასა და სასანიჭრეს „დამძახებელი“ აცხადებდა.³ ფშავ-ხევსურეთში ეს საქმე „მყეფარე“-ს ჰქონდა დაკისრებული.⁴ ქორწილში გამოჩენილი ყურადღება „სესხად და ვალად“ ითვლებოდა. პურით და საქონლით ვალის დაფარვა, ზოგადად, გავრცელებული ფორმა იყო.⁵

¹ მაკალათია ს., ფშავი, 1985, გვ. 177.

² ილურიძე მ., მექორწინე მხარეთა შორის ეკონომიკური ვალდებულებანი გარე-კახეთის მოსახლეობაში, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 7, თბ., 2005, გვ. 263.

³ იველაშვილი თ., სანიჭარი მესხეთ-ჯავახეთში, კრებულში „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის“, თბილისი, 1979. ტ. 20, გვ. 77.

⁴ მაკალათია ს., ხევსურეთი, 1935, გვ. 178.

⁵ იხ. არჯევანიძე ივ., „თბილისიდან ალაზნის ველისკენ“, 1948.

ნეფე-დედოფალს განსაკუთრებულ საჩუქრებს უძღვნიდნენ ახლო ნათესავები: და-ძმები, დეიდები, ბიძები, მამიდები, უმეტესად ოქროულს, ზოგჯერ მსხვილფეხა საქონელსაც. მშობლების საჩუქრის გამოცხადება აუცილებელი არ იყო, ისინი, რა თქმა უნდა, უფრო მეტად იხარჯებოდნენ. პატარძალს მშობლები მზითევს ატანდნენ, რომელშიც წამყვანი ადგილი ცხვარ-ძროხასა და მატყლისგან შეკერილ საბან-ლეიბებს ეკავა. სხვა ნივთებთან ერთად მზითვში გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო ნაბდები იატაკის, კედლისა და ტახტის დასამშვენებლად. ქორწილის სუფრა უფრო ნეფის ოჯახში იმლებოდა და ხარჯი მას უნდა გაეწია. ს. მაკალათიას დაკვირვებით მთიულეთში ქორწილისთვის საშუალოდ საჭირო იყო: „15 ქვაბი არაყი, 3 ქვაბი ლუდი, 7 კოდი პური, ერთი ხარი, სამი ცხვარი და სხვა.“¹ საქმროს ოჯახი ზრუნავდა პატარძლის ჩაცმულობაზეც. „ნიშნობაში“ მიჰქონდათ ქორწილის პირველ დღეს ჩასაცმელი ლეჩაქ-ბაღდადი და ფეხსაცმელი ან თანხას უტოვებდნენ შესაძენად. მეორე დღეს ჩასაცმელი კაბა პატარძლის ოჯახს უნდა შეეძინა.²

ნათლია რომ პატარძლის მოსაყვანად შევიდოდა ოთახში, საწოლზე დედმამიანი ბავშვი უნდა დაეწვინათ პირქვე და ვიდრე სიძის მეჯვარე (პატარძალს მეჯვარე არ ჰყავდა) ხელში ფულს არ ჩაუდებდა, კარს არ გაუღებდნენ. არ უნდა მოტყუებულიყო, შეიძლება ეხუმრათ და ფულის მაგივრად უბრალო ქალაღი ჩაედოთ.

ქორწილში გამოკვეთილი იყო მახარობლის ინსტიტუტიც. მას მკლავზე აუცილებლად შემოხვეული უნდა ჰქონოდა ფერადი ნაჭერი. როცა სიძის სახლს მიუახლოვდებოდა, და-

¹ მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 115.

² ბაზერაშვილი ც., რიტუალური სამოსელი ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 124.

წინაურდებოდა და ხმაურითა და ზეიმით ახარებდა სიძე-პატარძლის მოახლოვებას. სახლში მისულ ნეფე-პატარძალს გადაჯვარედინებულ ხმლებს შორის გაატარებდნენ, კარებში შემოსვლისას დამხობილ თეფშს გაატეხინებდნენ და თაფლს შეატყვევდნენ. ქორწილი რამდენიმე დღეს გრძელდებოდა. მაყრები მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ალბათ, იმიტომაც, რომ მთის ერთ სოფლიდან მეორეში ზოგჯერ შორ გზაზე გადაადგილება ცხენებით უხდებოდათ, რაც უფრო საკაცო საქმე იყო. არც ქორწილამდე და არც პირველ ღამეს ახალ შეუღლებულებს ურთიერთობა არ უნდა ჰქონოდათ. პირველ ღამეს პატარძალს მაყრები უთევდნენ. ჯვრისწერამდეც დაუშვებელი იყო ერთად დაწოლილიყვნენ. გარკვეული რიტუალი სრულდებოდა ნეფე-დედოფლისთვის გაშლილ ლოგინთანაც: „ლოგინს ნეფე-პატარძალს დედმამიანი ქალი უშლის. გაშლილ ლოგინზე დედმამიანი ვაჟი წვება. პატარძლის ძმამ მას ასადგომი ფული უნდა აჩუქოს და შემდეგ ის დგება. ეჯიბსა (ეჯიბი თამადაა, უფრო ადრე, მეფის მაგიერ მოლაპარაკე იყო-დ.ა.) და ნათლიას ნეფე-პატარძალი შემოჰყავთ. გვირგვინს ხანჯლის წვერით ნათლია მოხდის, საბანზე ხანჯალს ჯვარულად გადუსვამენ და იტყვიან: „ცხრა ვაჟი და ერთი ქალიო.“ ბალიშის ქვეშაც მათ ხანჯალს შეუდებენ, ავი თვალის წინააღმდეგ. ლოგინის გამშლელი ქალი ორივეს ფეხთ გახდის. დედმამიანმა ქალმა ნეფე-პატარძალს გვირგვინი უნდა მოჰპაროს, ამისათვის მასაც ასაჩუქრებენ.“¹

მაყრიონს წესად ჰქონდა წასვლისას ქათმების მოპარვა, საქათმეებიდან და ბოსლებიდანაც კი გამოჰყავდათ დამალული ქათმები, რაც ხშირად კამათისა და ჩხუბის მიზეზი გამხდარა.

მშობლები ადრე ათხოვებდნენ შვილებს, 15-16 წლამდე. ქალიშვილის ბედს მამა წყვეტდა. საპატარძლოს „შეზვერვა“

¹ მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 117.

ხდებოდა ხატობა-დღეობებში ან ჭირისა და ლხინის სუფრასთან. ხშირად ნათესავებიც არჩევდნენ სასიძოს ან საპატარძლოს. „შეზვერვას“ „შეგულება“ მოსდევდა: „ქმრეულებისთვის რძლები, მამის სოფელში, გვარში თუ ხეობაში შეიგულებდნენ საპატარძლოს ძმების, მამლებისა და მეზობლებისთვის; ამიტომაც გვარში, სოფელში და ხეობაში ერთი თუ მომდევნო თაობის რძლები ერთისა და იმავე გვარიდან, სოფლიდან თუ ხეობიდან არიან გამოთხოვილი“.¹

ქალის შერჩევისას დიდ ყურადღებას აქცევდნენ მის წარმომავლობას, არ უნდა ჰქონოდა რაიმე შთამომავლობითი ავადმყოფობა ან რაიმე ავი ზნე. უფრო დედის ხაზით იწყებდნენ „მოკითხვას“, რადგან მთიულის რწმენით: „მექორწილე ვაჟის მამა-ბიძამ ქალის დედის სამშობლო უნდა გაჩხრიკოს. უნდა გაიგოს ქალი ვისი დიშვილია, ისეც მოხდების რო ქალის დედის დედაც იქნება კითხული. ქალის ჯიშში რჯულობა დედაზე მოვალის; კაი თესლ-მოჯიშე ქალს კაი შვილები ექნებისაო, დაგვითვისდნენ-კე პაპები.“ მშობლებისა და წინაპრების „გაჩხრეკის“ (დაწვრილებით გამოკვლევა) გარდა მნიშვნელოვანი იყო პატარძლის პირადი თვისებები; უპირველესად - სახელიანობა. საძრახისად ითვლებოდა უცხო გვარის ვაჟებთან ურთიერთობა, გამოლაპარაკებაც კი. არც ვაჟს ჰქონდა უფლება უცხო გვარის ქალთან საუბრისა, ამას ქალის ძმები და ბიძაშვილები არ აპატიებდნენ. „ფშავშიც კი, სადაც „წაწლობა“ ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა, თავისიანი ქალის დაცვა, რომ მას სახელი არ გატეხოდა, წესად იყო მიღებული“²

საინტერესოა თვითონ ორიგინალური სახელები - „ნეფე-დედოფალი“, რაზეც, თავის დროზე, ყურადღება გაამახ-

¹ ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, 1955, გვ. 69.

² ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, 1955, გვ. 74.

ვილა ეთნოგრაფმა ც. ბაზერაშვილმა და შენიშნა, რომ ამ ტერმინით „ჩვეულებრივი მოკვდავნი ერთი დღით მაინც სოციალურად აღზევებული ფენიდან უპირველესს უტოლდებიან“ და ამიტომაც ჩაცმა-დახურვითა და გარეგნულობითაც განსხვავებულნი უნდა ყოფილიყვნენ.¹

ქორწინების წესები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში განსხვავებული იყო და დროთა ვითარებაში ბევრი რამ იცვლებოდა.

მთის მოსახლეობა ლხინშიც და ჭირშიც ერთმანეთის გვერდით იდგა. როცა რომელიმე ოჯახში მიცვალებული იყო, თანასოფლელები ყოველდღე მიდიოდნენ და მიჰქონდათ, არაყი, ხაჭაპური, მოხარშული კარტოფილი, ლობიო... თანხაც იკრიბებოდა. სანამ მიცვალებული „ფეხზე იყო“ ანუ მიწას მიაბარებდნენ, რიგ-რიგობით უთევდნენ ღამეს და მისი მოგვარენი ხორცეულს არ ჭამდნენ. მიღებული არ იყო ორმოცამდე ვინმეს ემღერა, ხმამალა გაეცინა. პაპაჩემი გიორგი გიგოს ძე ახლოური იხსენებდა: „პატარა ვიყავი, როცა მამა გარდამეცვალა, ცხვრებს ვმწყევსავდი ხოლმე სოფლის ახლოს და როცა სამწყემსურიდან სახლში დავბრუნდი ვმღეროდით. გამოვიდა ახლობელი ქალი და გაბრაზებულმა მითხრა: იმღერე, იმღერე შე საცოდავო და სახლში რომ მიხვალ, მამა ისევ ცოცხალი დაგხვდებაო“. ასეთი მკაცრი იყო სოფელი გლოვის წესებისადმი, იმ დროს ბავშვის წამღერებაც კი აუტანელი ხდებოდა. გიორგის უფროს ძმას ისაკას მამა წლამდე გამოუგლოვია, არც თმა შეუჭრია და არც წვერი მოუპარსავს. ისე კი, ორმოცამდე თითქმის მთელი სოფელი და ახლო ნათესავები ატარებდნენ წვერს და, იმოსებოდნენ შავებით, რომელსაც ძაძას ეძახდნენ. მეორმოცე დღეს

¹ ბაზერაშვილი ც., რიტუალური სამოსელი ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 124.

შაგებს იხდიდნენ და საფლავზე ტოვებდნენ. ზოგიერთი ქალი, ვისაც ძალიან ახლობელი გარდაეცვლებოდა, ძაძებს მთელი ცხოვრება ატარებდა. ნაქვრივალი ან შვილმკვდარი დედა ღია ფერის ტანსაცმელს აღარასოდეს ჩაიცმევდა, ეს საძრახის საქმედ და მიცვალებულის უპატივცემულობად ითვლებოდა. შაგებით იმოსებოდნენ მამაკაცებიც. ძაძებს მცირე ხნით იხდიდნენ სახადის დროს, ვიდრე ოჯახის რომელიმე წევრი „წითელას მოიხდიდა“, ბატონები სამგლოვიარო სამოსელით არ უნდა გაეცილებინათ.

ანალოგიური გლოვის წესები არსებობდა - ფშავში: „სანამ მიცვალებულს მიწას არ მიაბარებენ, მთელი სოფელი უქმობს. ტირილის დღეს მიცვალებულს სახლის დერეფანზე დაასვენებენ, სახლის კარებში უღელს გადებენ, რადგან ის ამის მსახური იყო და იტყვიან: „ამ უღლის მადლო, შენ მიეცი საიქიოს მაგის სულს შელავათი“-ო. ცხედრის გარშემო დედაკაცები სხდებიან, კაცები კი ჯოხზე დაყუდებულები დგანან. თუ მიცვალებული მამაკაცია, თავთან დაუყენებენ შეკაზმულ „სულის ცხენს“, რომელზედაც ხურჯინია გადაკიდებული შიგ პურით, ყველითა და არაყით. ცხენზე მიკრულია ნაბადი და მათრახი. ჭირისუფალს ამ შემთხვევაში ცხენი თუ არ ყავს, მას ნათესავი აძლევს. სულის ცხენი ვაჟკაცზე იციან, ქალზე კი იშვიათად.“¹

ხალხის რწმენით მიცვალებულისათვის აუცილებელი იყო ცხენის შეწირვა ანუ დაკურთხება. მიცვალებულის სახელზე საუკეთესო ცხენი უნდა დაეკურთხებინათ, ის მას უნდა მომსახურებოდა საიქიოში. არც მისი გაყიდვა შეიძლებოდა და არც ტვირთის აკიდება, წლისთავის შემდეგ ან გააჩუ-

¹ მაკალათია ს., ფშავი, 1985, გვ. 163.

ქებდნენ ან ოჯახში იტოვებდნენ.¹ დაკუთრების წესი არსებობდა დასავლეთ საქართველოშიც. მაგალითად, სამეგრელოში მიცვალებულს ცხენს საფლავში აყოლებდნენ. მოგვიანებით წესი შეიცვალა და ცხენის ნაცვლად ძუას ატანდნენ, ბოლოს კი დაკრძალვის დღეს შავად შემოსილს საფლავთან დააყენებდნენ.² ცხენი დიდ როლს ასრულებდა ქართველი კაცის, მითუმეტეს, მთიელის ცხოვრებაში და საიქიოთაც მისი სულის მატარებელი უნდა ყოფილიყო.³

მომაკვდავ ადამიანს, რომელიც „სულს ებრძოდა“, ტანჯვისგან გასათავისუფლებლად ხარის უღელს ადგამდნენ, ამით აჩქარებდნენ მის აღსასრულს და გამოისყიდინდნენ ჩადენილ ცოდვებს. მიცვალებულს წვერს პარსავენ, რომ ბეწვი არ ჩაჰყვს საფლავში, აჭრიან თმასა და ფრჩხილებს, შემდეგ ინახავენ, ცხედარს დაბანენ და აცმევენ ახალ ტანსაცმელს, ხელში კი ჯვარსა და ფულს აჭერინებდნენ.

მიცვალებულის დიდ პატივისცემად ითვლებოდა ხმით დატირება. „გარდაცვლილის დატირებას, ქალთა მოთქმას და გოდებას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, თუმცა გარეგნულად განსხვავებული ფორმა აქვს, შინაგანი საფუძველი და მნიშვნელობა ყველგან ერთი და იგივეა - ესაა დიდი ტკივილისა და მწუხარების ხმამაღლა თქმა, ღრმა რწმენა იმისა, რომ მიცვალებულს პატივს მიაგებს, „ლაზათს ადევნებს“, აღნიშნავს რა მის ამქვეყნიურ სიკეთესა და სიქველეს.“⁴ ვი-

¹ გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 13-14.

² სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. 3. 1940, გვ. 177-178.

³ შარაბიძე თ., სულის, ცხენის და მზის სიმფონია, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 5, თბ., 2003, გვ. 161.

⁴ ხმით ნატირალეები, კრებული შეადგინა ნანული აზიკურმა, კაკა-სიური სახლი, თბ., 2002, გვ. გვ. 5.

საც ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, მოჰქონდათ მათი სურათები და მიცვალებულის სურათის გვერდით აწყობდნენ, ტიროდნენ ასევე ხმით და სააქაო ამბავს უყვებოდნენ სააქიოში გადასაცემად, თხოვდნენ ასევე ყურადღების მიქცევას და თანადგომას. მიცვალებულს სამი დღის მერე კრძალავდნენ. აუცილებელი იყო ჯვრისწერის დროს ნაქონი რაიმე ნივთის გატანება, ოღონდ ტყავის სამოსი არ უნდა გაჰყოლოდა. დაკრძალვამდე რაღაც უნდა მოეპარათ ჩასასვენებლიდან პატრონის ჩუმად.

რამდენიმე ათეული წლის წინ მთიელებს კუბოში დაკრძალვა არ ცოდნიათ. მაგ., ფშაველები მიცვალებულს ნაბადში გამოხვეულს საკაცით მიასვენებდნენ სამარის კარამდე (ნაბადი თეთრი ფერის უნდა ყოფილიყო, ყველა ოჯახს, სადაც ხანდაზმული ცხოვრობდა, წინასწარ მომზადებული ჰქონია დიდი ზომის და აუცილებლად თეთრი ფერის მატყლისგან მოთელილი ნაბადი¹, გულზე ადებდნენ ხანჯალს და დის ან ბიძაშვილის მოჭრილ ნაწნავს. გასული საუკუნის შუა წლებში თედო ახლოურისთვის (გარდაიცვალა 1949 წელს) საფლავში საყვარელი ქალის ნაწნავი ჩაუყოლებიათ. მთიულეთში მე-19 საუკუნის ოთხმოციან წლებამდე „მიცვალებულს ქვის ყუთის აკლდამაში ათავსებდნენ და ზედ სიპებით ხურავდნენ. სასაფლაოდან გამობრუნებული ჭირისუფალი ხელ-პირს იბანს, რომ ცრემლი სახლში არ შეყვეს. სახლში იმართება მცირე ქელები".² წყალში ან თოკით დამხრჩვალ ადამიანს ციკანს უკლავდნენ.

ცოცხალ ადამიანს ისეთი ყურადღება არ სჭირდება, როგორც გარდაცვლილსო - ამბობდნენ ხოლმე მთაში და

¹ აზიკური ნ., ნაბადი ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 4, თბ., 2002, გვ. გვ. 380.

² მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 127-128.

ცდილობდნენ წესი და რიგი არ დაერღვიათ, რომ მათი მიცვალებული საიქიოში არ დატანჯულიყო. წლამდე მიცვალებულის ოჯახში „ლოგინი“ ანუ „სატირელი“ უნდა ყოფილიყო გაშლილი, რომელზეც მიცვალებულის ტანსაცმელი და მგლოვიარე ქალის მოჭრილი ნაწნავები ელაგა (ახლობელი ქალის მიერ ნაწნავის მოჭრა ხომ გლოვის ერთ-ერთი ნიშანი იყო), იქვე ედგა არყის ან ღვინის ხელადა, სპეციალურად გამომცხვარი წმინდა პური, ტკბილეული, თხილი და კაკალი. საჭმელ-სასმელი ყოველ მესამე დღეს უნდა შეეკვლილიყო. გარდაცვალებიდან ერთი კვირის მერე მიცვალებულის ოჯახი ახლობლებს იწვევდა და შენდობას „ათქმევინებდა“, ამას „შვიდის რიგი“ ეწოდებოდა. აღდგომის დღესასწაულზე საფლავეზე კლავდნენ მამალ ბატკანს, იხსენებდნენ როგორც ახალ, ისე ადრე გარდაცვლილებს. ასეთი გამოთქმა იცოდნენ მთაში, „ღმერთმა ბატკნით მოიხსენიოს“. ბზობას თევზი უნდა „გაეჭრათ“. აუცილებლად იცავდნენ „ორმოცის რიგს“, როდესაც პატიჟებდნენ ყველას, ვინც დაკრძალვას დაესწრო. ახლობლებს მოჰყავდათ ბატკნები, მოჰქონდათ სასმელი, ტკბილეული, სწირავდნენ ფულს. მკვდრის დატირება და პატივის მიგება წესი იყო ხალარჯობის (სული წმინდის მოფენის) დღესაც, ამ დღეს მიცვალებულის ლოგინი საფლავეზე გაჰქონდათ დასატირებლად. მიცვალებულს პატივს მიაგებდნენ ყველიერის წინა ხორცის შაბათს და დიდი მარხვიდან ორი კვირის შემდეგ. „აცხოზენ დაჭრელებულ ხმადს და პატარა კვერებს - „სასრაველა“-ს. ამზადებენ „ღოხანს“ (პური, სიმინდი და ლობიო არელი). სასრაველა კვერებს ბავშვები ნიშანში დგამენ და შვილდისარს ესვრიან.¹ წელიწადის გასვლამდე გარდაცვლილისთვის კენტი საკლავი უნდა დაეკლათ. დედალი ბატკნის დაკვლა შეიძლებოდა მხოლოდ ქალისთვის.

¹ მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 168.

ხატისა და მიცვალებულისთვის დასაკოდის დაკვლა არ შეიძლება. შეწირვამდე საკლავისთვის უნდა შეეტრუსათ მარცხენა ყური და ბეჭი (ხატობას პირიქით - მარჯვენას უტრუსავდნენ).

წლისთავზე ჭირისუფალს თავისი წასული უკანასკნელად უნდა გამოეტირებინა, აელო სატირალი ლოგინი და გაეჩუქებინა მკვდრის სამოსი; დიდ მადლად ითვლებოდა ახლობლის მიერ მისი ჩაცმა და გაცვეთა.

უნდა შეცვლილიყო პურ-მარილი, თამადა, გაეხადათ შავები და მოეპარსათ წვერი მათ, ვინც წლამდე გლოვობდა. კლავდნენ სპეციალურ საკლავს, თოხლს (ერთი წლის ცხვარი) ან ყოჩს. ბოლოს, მომავალი სალხინო დღეების სურვილით, სიმღერა სრულდებოდა, რასაც ჭერის ახდა ეწოდებოდა.

ჯერ კიდევ ჩემი ბავშვობიდან მახსოვს მთიულეთში არსებული ორი მეტად გავრცელებული ჩვეულება – თავობანა და ჩიტა-ფაფასაო, თავგ-ჩიტუქმე, რომელიც აღინიშნებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს. ამ დღეს დედა - თამარ მიდელაშვილი-ახლოურისა ამზადებდა ფაფას, ოჯახის ყველა წევრს სათითაოდ უნდა გადაეღოთ ჯამზე. გამოვდიოდით გარეთ და დედას შემოვუძახებდით:

- დედავ, დედავ, რას აკეთებ?
- ჩიტა - ჩიტა ფაფასაო.
- ჩიტები რასა სჭამენ?
- ჩიტთანთ ყანასაო.

„ჩიტთანთ ყანა“ ზოგადი ნათქვამია, მე და ჩემი და სხვადასხვა მეზობელ სოფლების ყანებს ვასახელებდით, ოღონდ არ უნდა გვეთქვა „ახლოურთ ყანა“ და „მიდელათ ყანა“ (დედულეთის პატივისცემის ნიშნად). ეს ძველი ტრადიცია იყო და აღრიდანვე აღნიშნავდნენ აღმოსავლეთ საქართველოს

მთიანეთში. ძველად, ფშავში, ბავშვები ბანზე აღიოდნენ და საკომიდან ჩამოსახებდნენ დედას:

- დედავ რასა იქმ,
- ჩიტთა ფაფასაო,
- ჩიტნი რაღასაო?
- სხვათა ყანასაო...

შემდეგ ღობეზე ნაფოტითაც უნდა შემოედგათ ფაფა ჩიტებისთვის.¹

მთიულეთში ერდოსა და სახლის კარ-ფანჯარას ფაფის ჯვარს უსვამდნენ.²

„თაგვობანას“ ასკილის ჯოხებით სამჯერ შემოეუვლიდით სახლს, ვურტყავდით იატაკზე ჯოხს და ვამბობდით: თაგვო, თაგვო გამოდი, ანგელოზო შემოდიო“. ცალ ხელში ქადა გვეჭირა. „გამოვიყვანდით თაგვებს“ და, სახლიდან რაც შეიძლებოდა შორს მიგვეყავდა, ისე, რომ უკან არ უნდა მოგვეხედა. უკან მოხედვით თაგვები დაფრთხებოდნენ და აღარ გამოგვეყვებოდნენ. რა თქმა უნდა, ბავშვობაში ამ ყველაფრის გვეჯეროდა.

გარდა „ჩიტა-ფაფაობისა“ და „თაგვობანისა“ ადრე აღინიშნებოდა ფუძის ანგელოზის დღესასწაული, რომელსაც ანთებული სანთლებით ევედრებოდნენ ყოველგვარი უბედურებისა და ავადმყოფობისგან დაცვას, სახლის ანგელოზს ბავშვების კარგად ყოფნას და გამრავლებას შესთხოვდნენ, მგლისაგან საქონლის დაცვის მიზნით სრულდებოდა „მგელთკვერაობა“, დათვის მოსაშორებლად - დათვქადაობა. საქონლის გამრავლება-მფარველობისათვის თევდორობას აღნიშნავდნენ. კუდიანების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ეშმაკების მოციქულებად მიაჩნდათ, კუდიანების დღე-ღამე იყო დაწესე-

¹ მაკალათია ს., ფშავი, 1985, გვ. 178-179.

² მაკალათია ს., მთიულეთი, 1930, გვ. 138

ბული. ჩირჩილთუქმეს ქალები ყოველგვარ ხელსაქმეს წყვეტდნენ. ჯეჯილის დღესასწაულს „ნაკვეთი დღე“ ეწოდებოდა, საღვთოს უხდიდნენ გუთანს („გუთნის სამღვთო“), ფანდურზე სიმღერით ართობდნენ „ყვავილიან ავადმყოფს“ და ასე შემდეგ.

ცულ ნიშნად ითვლებოდა სოფელში ოფოფის მოფრენა, დედლის ყვირილი და ძაღლის ყმუილი, ეს ვინმეს სიკვდილის წინასწარმეტყველებად იყო გაიგივებული და არც დედალს აცოცხლებდნენ, არც ძაღლს.

მთიელის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა შელოცვის რიტუალს. ულოცავდნენ ავი თვალის დასაცავად, თიაქარის, კანის ავადმყოფობის, სურდოს, შაკიკის, საქონლის ყვავილის (ბედნიერის ლოცვა) სამკურნალოდ. ყველა სოფელს თავისი შემლოცველი ყავდა, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, ლოცვის დაწყებამდე ზოგჯერ რამდენიმე საათი ხმას არ იღებდა თურმე, ღმერთი არ ძეგაპარაკებო. შელოცვისთვის, პირველ რიგში, ნახშირი და დანა იყო საჭირო.

ადამიანების გარდა საქონლის შელოცვაც იცოდნენ, განსაკუთრებით ღამე გარეთ დარჩენილ საქონელს ჭირდებოდა შელოცვა, ნადირს რომ არ გადაყროდა.

ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას გველის კულტზე. ქართველი ხალხის რწმენით, მთელ რიგ შემთხვევებში გველი ადამიანის შემწე სათნო ძალაა, ბავშვებისა და ქალების დამცველი. დიდი კრძალვით ეპყრობიან ოჯახის გველს. რომელ ოჯახსაც გველი არ ყავს, დევი პატრონობსო - ამბობენ. „სახლს ყავს „ფუძის გველი“, იგი სახლის ანგელოზია, ბარაქა და აშენება იცის - სადაც მივა. ზოგი მას „შინაურ მცურავს ეძახის, ბავშვის აკვანზე აცოცდება და ყელზე მოხვევა. როცა ბავშვს ძუძუს აწოვებენ: მარტო კარაქს აჭ-

მევენ.¹ ვის სახლშიც გველი იყო, დილა-საღამოს ფილით რძეს უდგამდნენ. არც მისი მოკვლა შეიძლებოდა „თუ მოკლა ვინმემ, რამდენი წლისაც იქნება, იმდენი წლის კაცს მოკლავს ოჯახში.“

რაც შეეხება საბავშვო გართობა-თამაშებს, მთიელ ბავშვებს განსაკუთრებით ჰყვარებიათ ქვისა და მშვილდ-ისრის სროლა. ქვის დიდ მანძილზე გატყორცნა ვაჟკაცობად ითვლებოდა. ხშირად თამაშობდნენ კუტალით, რასაც კუტლაობა ეწოდებოდა. კუტალი იყო მრგვალი, 5 სმ. სიგრძის ხე. ამოჭრიდნენ დიდ ორმოს. თამაშში ხუთი ბავშვი მონაწილეობდა, ერთს კუტალი უნდა მიეგდო, დანარჩენ ოთხს ჯოხები ეჭირათ და ურტყავდნენ ამ კუტალს, სანამ ორმოში ჩავარდებოდა. თამაშის დროს ყველას თავისი ადგილი ჰქონდა დაკავებული, კუტალის ჩაგდების შემდეგ პოზიციები იცვლებოდა. ქსნის ხეობაში კუტლაობის ძველი და ახალი წესი აღწერილი აქვს ნ. ლოლობერიძეს: „შემონახავდნენ წრეს და შუაში ქვას დადებდნენ. მოთამაშეები ეჯიბრებოდნენ ერთიმეორეს ქვის წრის გარეთ გატანაში და ვინც ამას მოახერხებდა, გამარჯვებულად ის ითვლებოდა. თანამედროვე ბავშვები კი უკვე ერთიმეორეს ეჯიბრებიან ხის ჯოხით ქვის ან ხის ორმოში ჩაგდებაში.“² ბურთით თამაში მაღალმთიან სოფლებში შეუძლებელი იყო, უგორდებოდათ. ამიტომ შედარებით ბარში ჩადიოდნენ და თამაშობდნენ ფეხბურთს ან წრეში ბურთს. ჩვეულებრივი ტყავის ან რეზინის ბურთის მოძიება მთაში ძნელი იყო, ამიტომ „ბურთს აკეთებდნენ ჩვრებისგან,

¹ რეზიაშვილი ნ., სალოცავი „მზიური“ (გიუნე), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 24, 1963, გვ. 213.

² ლოლობერიძე ნ., ხალხური საბავშვო გართობა-თამაშები და სათამაშოები ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975 გვ. 227.

ზოგჯერ კი ძროხის ან ხარის ბალანისგან, რომელსაც ხან ცხელ, ხან ცივ წყალში ჩაჰყრიდნენ და მრგვლად შეთელავდნენ ხოლმე. შიგ კი ზოგჯერ კენჭს ჩაატანდნენ, ხან კი ღორის ბუმბუს („საწყლე“) ... ზოგჯერ ბურთს აკეთებდნენ ძაფის ძახვის შედეგად დარჩენილი მატყლის დამრგვალებით.¹ საუკეთესო გართობის საშუალება იყო „ცხენობანა“, ბავშვები გადაჯდებოდნენ ჯოხებზე, ვითომ ცხენები იყვნენ, სახელებსაც არქმევდნენ... ვინც გაიმარჯვებდა, მისი ჯოხის ცხენი საუკეთესოდ ითვლებოდა. სათამაშო მანქანებისთვის ქელიდან ქელამდე „გზები“ ჰქონდათ გაყვანილი, მანქანები მსგავსი ლამაზი ქვები იყვნენ. ქვებისგან აშენებდნენ აგრეთვე სახლებს. „თავდარბენის“ დროს ბავშვები წრედ დასხდებოდნენ, ერთი მათგანი მუჭში შეკრულ ცხვირსახოცს ჩაუვლებდა რომელიმეს, რომელიც შემდგომ გამოეკიდებოდა და „ჩაჭრიდა“, თუ ვერ „ჩაჭრიდა“ მას მოუწევდა ამჯერად წრეზე შემოვლა. თამაშობდნენ აგრეთვე დამალობანას. ამ დროს ერთს თვალებს აუხვევდნენ და მხარზე ხელს არტყავდნენ, თუ გამოიცნობდი, მხარზე ვისი ხელი შეეხებოდა, მის მაგივრად უკვე „ამოცნობილს“ უხვევდნენ თვალებს. ეს იყო ძირითადი, თუმცა გავრცელებული იყო აგრეთვე დახუჭობანა, დანაობა, კაკლაობა, კენჭაობა, ღილაობა და სხვა თამაშები. კენჭაობას უშლიდნენ თურმე უფროსები: „ნუ კენჭაობთ, სეტყვა მოვალ.“ ზამთარში დიდი თოვლი მოდიოდა, ზოგჯერ რამდენიმე მეტრს აღწევდა. ეს დრო ბავშვებისთვის გასართობად საუკეთესო იყო: გუნდაობდნენ, ლაჩქიმებით და ციგებით სრიალებდნენ თოვლზე.

გოგონებს განსაკუთრებით მოსწონდათ დედოფალებით თამაში, მას ჯოხისგან და ნაჭრებისგან ამზადებდნენ, სახეს

¹ დოლობერიძე ნ., ხალხური საბავშვო გართობა-თამაშები და სათამაშოები ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975, გვ. 229.

ნახშირით უხატავდნენ, ნაკვთები კი ფერადი ძაფით ჰქონდა მოქარგული. თმა ზოგჯერ ნამდვილი იყო, ზოგჯერ-სიმინდის ქოჩორი. ზოგს ასეთი თოჯინებისთვის მშობლები პატარა აკვნებს უმზადებდნენ და ბავშვებიც ნამდვილ დედობამდე „დედობანით“ ერთობოდნენ.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთის ბავშვებს ბარელი თანატოლებისაგან განსხვავებით, თამაშისა და გართობისთვის ნაკლები დრო ჰქონდათ, რადგან ბავშვობიდანვე უწევდათ ცხვრისა და საქონლის მწყემსვა.

დღეს, სამწუხაროდ, ოკუპირებულ და მოსახლეობისაგან თითქმის დაცლილ ქსნის ხეობაში ეთნოგრაფიული ყოფისათვის დამახასიათებელი ბევრი რიტუალი დავიწყების ბურუსში ეხვევა, სხვადასხვა კუთხეში გადახვეწილი მოსახლეობა მამაპაპისეულ ტრადიციებს იშვიათად აგრძელებს, არც ახალი გარემოა ამისთვის ხელშემწყობი. ახალგაზრდებმა კი წინაპრების ტრადიციების შესახებ მხოლოდ მონაყოლით იციან.

დამოწმებანი:

1. აზიკური ნ., ნაბადი ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 4, თბ., 2002
2. არჯევანიძე ივ., „თბილისიდან ალაზნის ველისკენ“, 1948.
3. ბაზერაშვილი ც., რიტუალური სამოსელი ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975.
4. გიორგაძე დ., დაკრძალვისა და გლოვის წესები საქართველოში, თბ., 1969.
5. ილურიძე მ., მექორწინე მხარეთა შორის ეკონომიკური ვალდებულებანი გარე-კახეთის მოსახლეობაში, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ. 7, თბ., 2005.
6. მაკალათია ს., მთიულეთი, 1930.

7. მაკალათია ს., ხევსურეთი, 1935.
8. მაკალათია ს., ფშავი, 1985.
9. ოჩიაური აღ., ქართული ხალხური დღეობების კალენდარი, ხევსურეთი (არხოტის თემი), თბ., 2018.
10. რეზვიაშვილი ნ., სალოცავი „მზიური“ (გიუნე), აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, ტ. 24, 1963.
11. სახოკია თ., მიცვალებულის კულტი სამეგრელოში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ.3. 1940.
12. ლოლბერიძე ნ., ხალხური საბავშვო გართობა-თამაშები და სათამაშოები ქსნის ხეობაში, წიგნში „ქსნის ხეობა“, თბ., 1975.
13. შარაბიძე თ., სულის, ცხენის და მზის სიმფონია, წიგნში „ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი“, ტ.5, თბ., 2003.
14. ჭყონია ი, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, 1955.
15. ხმით ნატირალეები, კრებული შეადგინა ნანული აზიკურმა, კავკასიური სახლი, თბ., 2002.

David Akhlouri

Gori State Teaching University

**FROM THE HISTORY OF ETHNOGRAPHIC LIFE OF
MOUNTAINOUS AREAS OF KSANI GORGE
RESUME**

In this article are analyzed the rules of lifestyle in mountainous areas of Ksani gorge.

Article refers to the tradition of celebrating the New Year, when and how the new year was celebrated, and what kind of rituals held. What kind of rituals were performed during the

Water Blessing ceremony in Mtiuleti (Georgia's historical-geographical territory in the mountainous region of eastern Georgia) and as well as in Pshav-khevsureti (Pshav-Khevsureti, the part of the north-east of Georgia. On the southern and northern slopes of the main ridge of the Caucasus).

In this paper, you can find out what kind of wedding traditions were common, how the bride was selected and proposed. The role of so called "Tamada" (a Georgian toastmaster at a Georgian feast or at a wedding), traditions and rules of the funerals and mourning.

Article refers also to old pagan traditions like "Tagvobana" and "Chitapapaoba" - both of them are pagan traditions about protection of the harvest period animals (mice mostly) and birds. Furthermore, you can read about Different kind of Spiritual rituals, kids Fun-games and The Snake Cult.

საისტორიო თხზულებანი დავით აღმაშენებელზე
ბავშვებისათვის
(დ. კარიჭაშვილი)

XIX საუკუნის მეორე ნახევრის უჩუპრად მოღვაწე, მაგრამ დასაფასებელ პიროვნებათა შორის დავით კარიჭაშვილს (1862-1927) თავისი ადგილი დაუმიკვიდრებია. როგორც მწერალი და კრიტიკოსი როსტომ ჩხეიძე შენიშნავს დავით კარიჭაშვილისადმი მიძღვნილ ლია კარიჭაშვილის გამოკვლევის („მსახურება ღვთისა და ერისა“) წინასიტყვაობაში („კვალი წარუვალი“), „მერე რა, რომ მისი თავმდაბალი პიროვნება აჩრდილთა სამეფოდანაც ხელს აგვიკრავდა, უფრო დამსახურებული ადამიანები და უფრო მნიშვნელოვანი საქმეებია მისახელი, გამოსამზეურებელი, შესაფერისად დასაფასებელიო. ყველას უნდა მიეხედოს და თავთავისი პატივი მიეგოს, მაგრამ თუ ვინმეა უსამართლოდ მიჩქმალული, მათ შორის კარიჭაშვილიც ერთი უპირველესთაგანია“¹

მეცნიერმა და კარიჭაშვილების საგვარეულოდან გამოსულმა მკვლევარმა შესანიშნავი ნაშრომი უძღვნა დავით კარიჭაშვილის ხსოვნას. წინამდებარე სტატიაში ჩვენ მხოლოდ მისი რამდენიმე წერილით შემოვიფარგლებით, რომლებიც მისი დროისათვის არსებულ საბავშვო გამოცემებში დაი-

¹ ლ. კარიჭაშვილი, „მსახურება ღვთისა და ერისა“, „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2013, გვ.4-5

ბეჭდა („ჯეჯვილი“, „მერცხალი“, „ნაკადული მოზრდილთათვის“) და მიეძღვნა დავით აღმაშენებელს.

დავით კარიჭაშვილი კარგად გრძნობდა თავისი ეპოქის შესახებ კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით ინფორმაციისა თუ პუბლიკაციების სიმწირეს და ქ.მ.წ.კ.გ. საზოგადოების ძირითადი ამოცანებიდან გამომდინარე (გაეცნობიერებინა მოსახლეობა საქართველოს ისტორიის საკითხებში) 90-იანი წლებიდან იწყებს საქართველოს ისტორიის კვლევას.

დავით აღმაშენებლის შესახებ ამ დროისათვის საქართველოს ისტორია მიმოხილვის ასპარეზად არსებობდა: დ. ღამბაშიძის „გაენათის მონასტერი და ცხოვრების აღწერები მეფე დავით აღმაშენებლისა“, „სრულიად საქართველოს მეფე დავით აღმაშენებელი“ (1892), ე.წ. წმინდა დავით III აღმაშენებელი მეფე ქართველთა (1089-1125) (1899) და სხვ. დავით კარიჭაშვილმა სწორედ ისეთი წერილების პუბლიკაცია დაიწყო, რომლებიც ლ. კარიჭაშვილისეული განმარტებით, მარტივი, სასაუბრო ენით იქნებოდა დაწერილი. თამარ მეფის „შემდგომ დ. კარიჭაშვილი „საქართველოს კალენდარში“ აქვეყნებს წერილს „დავით აღმაშენებელი“. „ამის შემდეგ სხვადასხვა გამოცემაში მუდმივად ბეჭდავდა ისტორიული ხასიათის წერილებს. თანამშრომლობდა საყმაწვილო ჟურნალებთან: „ჯეჯვილი“, „ნაკადული“, „ნაკადული მოზრდილთათვის“. ამ ჟურნალებში 1904-1905 წლებში გამოქვეყნდა წერილების სერია, რომელშიც ყმაწვილთათვის გასაგები ენით მოთხრობილია საქართველოს ისტორია დაწყებული წინაქრისტიანული ხანიდან დამთავრებული საქართველოს სამხედრო ანექსიით რუსეთის მიერ“.¹

ამაზევე, უფრო ზუსტად ამ პრინციპით წერაზე, მიაწინებდა კიდევ პუბლიცისტი გრიგოლ უმწიფარიძე „კვალში“

¹ იქვე, გვ. 127

1893 წელს გამოქვეყნებულ რეცენზიაში „თამარ მეფე“ (14.III, 1893): „სანამ მეცნიერულ საფუძველზედ მტკიცედ აგებულს ისტორიულს საღაროს გავიჩენდეთ, მანამდე ის მაინც უნდა გავაგებინოთ ქვეყანას და მეტადრე ჩვენს საზოგადოებას, რაც უკვე ვიცით“.¹

სწორედ ამიტომ ცდილობს, დავით კარიჭაშვილი მოზარდ თაობას მათთვის გასაგები ენით მიაწოდოს ინფორმაცია დავით აღმაშენებლის შესახებ თავის წერილებში: „დავით აღმაშენებელი“ („ჯეჯილი“, 1904, №1), „დავით აღმაშენებელი“ („მერცხალი“, 1904, №1), „მეფე დავით აღმაშენებელი“ („ნაკადული მოზრდილთათვის“, 1905, №12).

აქედან „ჯეჯილში“ მოთავსებული წერილი ქუთაისის აღებამდეა გამოქვეყნებული, რაც სრულად IV თავიდან ბოლომდე (X თავამდე) „მერცხალში“ გამოქვეყნდა და უფრო ისტორიული მოთხრობის სახე აქვს. რაც შეეხება მესამე წერილს, მასში დ. კარიჭაშვილი ჩერდება მეფე დავით აღმაშენებლის ღვაწლზე და იგი ჟანრობრივად ისტორიულ ნარკვევად შეიძლება ჩაითვალოს.

ამკარაა, ავტორს სურდა ისტორიულ მოთხრობად დაწერილი მთლიანად „ჯეჯილში“ გამოექვეყნებინა, მაგრამ მერე „მერცხალისთვის“ მიუწოდებია და იქ თავიდან ბოლომდე დაუბეჭდავთ. იქნებ სხვა რამემაც შეუშალა ხელი ავტორს, რაც ჩვენთვის უცნობია.

„ჯეჯილში“ გამოქვეყნებული წერილი შევიდა მოზრდილთათვის განკუთვნილ განყოფილებაში. თავად ჟურნალი კი „თანხმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარქოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საცმა-

¹ გრ. უმწიფარიძე, „თამარ მეფე დ. კარიჭაშვილის მიერ“, „კვალი“, 14.III, 1893, გვ.20

წვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებული იქნას სახმარებლად“.¹

როგორც ზემოთ აღინიშნა, დ. კარიჭაშვილის „დავით აღმაშენებელს“ წინ ამშვენებს მეფის ქსილოგრაფიული გამოსახულება, რომელიც გრიგოლ ტატიშვილს ეკუთვნოდა და სრულად კი შეტანილია (აქ მეფის სურათი ოვალურია, წელამდე) ი. გოგებაშვილის „ბუნების კარში“.

იგივე სურათით იწყება სრული წერილი (ათი თავი) ჟურნალ „მერცხალში“. ტექსტი „დავით აღმაშენებლი“ მივიჩნიეთ ისტორიულ მოთხრობად, რასაც საფუძველი იაკობ გოგებაშვილმა ჩაუყარა და დავით კარიჭაშვილიც ამას მიჰყვება. მაგრამ, იაკობისაგან განსხვავებით, კარიჭაშვილი ცდილობს მხატვრულ ნაწილს უფრო მესამე თავში მიმართოს, რასაც წინა თავებში უძღვის ერთგვარი ისტორიული მიმოხილვა დავითის დაბადებიდან წალვლის-თავში გადასახლებაამდე თურქების მიერ ქუთაისში შემოსვლის გამო. ავტორი აჩვენებს, როგორ უშველა თავს „დაუდევარმა და გაუფრთხილებელმა“ მეფე გიორგიმ, რომელიც „ვერ გამოდგა ისეთი, როგორც ესაჭიროებოდა საქართველოს. ის იყო დაუდევარი, გაუბედავი და შორის გაუჭვრეტავი. მის სისუსტით ისარგებლეს არა მარტო გარეშე მტრებმა, არამედ ქართველმა მძლავრმა დიდებულებმაც, რომელთაც მოინდომეს უფრო მეტად გაძლიერებულიყვნენ“.²

უფრო ქვემოთ, სხვა თავებშიც უარყოფითად ახასიათებს მეფე გიორგის ავტორი, მაგრამ იმ ფაქტსაც გამოკვეთს, რომ დაობლებული დავითის აღზრდა მეფემ მიანდო „ჭკვიანს და მეცნიერებაში განვითარებულს მწიგნობართ-უხუცესს, გიორგი ჭყონდიდელს.

¹ ჟ. „ჯეჯილი“, 1904, №1, გვ.68

² კრებ. „მერცხალი“, 1904, №1, გვ. 63-64

აქედან მოყოლებული დავითი ცდილობს აჩვენოს ნორჩ მკითხველს, რას ასწავლიდა გიორგი ჭყონდიდელი დავითს, რომელიც ჯანმრთელი და ჭკვიანი ბავშვი გამოდგა. აღმზრდელი ცდილა განვეითარებინა ადამიანის ბუნების საუკეთესო მხარეები: „გულადობა, ცნობისმოყვარეობა, სიბეჯითე, სამშობლოს სიყვარული, სიბრალული, თავმდაბლობა, სამართლიანობა“.¹ ამავდროულად სპარტანული ფიზიკური წრთობა „დავითის ჯგან-ლონის და ვაჟკაცობის გასავითარებლათ გიორგი ჭყონდიდელი თავის მოსწავლეს ათამამებდა და ასეირნებდა სუფთა ჰაერზე, ცხენით ატარებდა, წყალში აცურავებდა, ანადირებდა და სამხედრო ვარჯიშს ამართვინებდა“.² ეს უეჭველად მოგვაგონებს არჩილის „საქართველოს ზნეობანში“ ჩამოყალიბებულ მომავალი მეფისათვის აუცილებელ წვრთნასწავლებას.

გარდა ამისა დ. კარიჭაშვილი, გამოკვეთს რა ჭყონდიდელის აღზრდის პრინციპებს, რომელსაც „იმნაირათ აკითხებდა წიგნებს, რომ დავითს წიგნის კითხვა მოთხოვნილებათ გადაექცა. იმ დროს თავი და თავი საგანი სწავლისა იყო სამღვთო წერილი. ჭყონდიდელმაც პირველთვე საკითხავათ დაბადების წიგნი მისცა დავითს. თან აკითხებდა და თან თავისით უხსნიდა ძნელს ადვილებს. ებრაელების ისტორიამ, რომელიც აწერილია დაბადებაში ძრიელ შეაყვარა დავითს საზოგადოთ ისტორია და აღუქვა სურვილი საქართველოს და მეზობელის ქვეყნების ისტორიის შესწავლისა. გიორგი ჭყონდიდელიც სამღვთო ისტორიასთან ერთად უამბობდა და აკითხებდა საქართველოს და მეზობელის ქვეყნების ისტორიასაც“.³

¹ იქვე, გვ. 67

² იქვე

³ იქვე, გვ. 67-68

აქვე ავტორი იმ ფაქტზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ დავითს კი არ შეაძულებინა აღმზრდელმა უცხო ხალხები და მათი სარწმუნოება, არამედ აღუძრა პატივისცემა, რაც შემდგომშიც გამოვლინდა დავითის მოღვაწეობაში.

V თავში ავტორი აგრძელებს მსჯელობას გიორგი ჭყონდიდელის აღმზრდელობით საქმიანობაზე და იმ ფაქტზე ამახვილებს ყურადღებას, თუ როგორ მისწერა გიორგიმ მუსულმანთა უმთავრეს სასულიერო პირს თბილისში, შეიხ ულისლამს, გამოეგზავნა დავითის მასწავლებლად რომელიმე სწავლული. ასეთი აღმოჩნდა ჰარუნ-ბენ-დარა, რომელიც წალველისთავში, 1081 წელს ღვინობისთვეში ჩამოსულა. გიორგისა და არაბ სწავლულის დიალოგში მოჩანს, ერთის მხრივ, აღმზრდელის სურვილი და, მეორე მხრივ, სწავლულის პასუხიც. დ. კარიჭაშვილის ცნობით, სამი წელი გავრძელებულა ეს სწავლება. „დავითი იზრდებოდა ორის მასწავლებლის ხელმძღვანელობით – გიორგი ჭყონდიდელისა და ჰარუნ-ბენ-დარასი. მართალია ერთი იყო ქრისტიანი მღვდელმთავარი, მეორე კი მუსულმანი, მაგრამ ისეთი თანხმობა და ერთობა იყო მათ შორის, თითქოს ერთს სკოლაში, ერთ სარწმუნოებაზე და ერთის მოძღვრის ხელში გაზრდილანო“.

VIII თავში აღწერილ ეპიზოდში, როდესაც გიორგი მეფემ მრისხანედ განუცხადა შვილს, რომ გაეძევებინა, თორემ ხმლით აჩეხავდა, დავითმა დიდი წინააღმდეგობა გაუწია იმით, რომ განუცხადა მეფეს: „- მაგას ვერ გავბედავ, მამა ჩემო, რადგან იმ არაბზე მოქნეული ხმალი მე მომხვდებაო“. მაგრამ ჭაბუკი იძულებული შეიქმნა ტფილისში გაესტუმრებინა არაბი სწავლული თავისი ოჯახით.

გარდა ამისა დ. კარიჭაშვილი იმასაც აჩვენებს, რომ აღმზრდელს დავითი მდობითა თუ დიდებულთა სახლებშიც შეჰყავდა და „სავარჯიშოთ დიდებულთა შვილებთან ერთად

გლეხის შვილებსაც იწვევდა და უამხანაგებდა მეფის შვილს“.¹ ეს ყოველივე მოთხრობის II თავშია წარმოდგენილი. აქვე ამზადებს დ. კარიჭაშვილი ნორჩ მკითხველს შემდგომ განვითარებული მოვლენების უკეთ აღსაქმელად.

საყურადღებოა ის პერიოდი, როდესაც დავით აღმაშენებელი იბულებული გახდება ქუთაისიდან გადაინაცვლოს წალვლის – თავში.

დავითის წინააღმდეგობას მამასთან, რომელიც ვეღარ მართავდა ქვეყანას, ავტორი ჯერ მისი საზრიანი თხოვნით გადმოსცემს, შემდეგ ჭყონდიდელის მიგზავნით, მაგრამ ბოლოს დამანგრეველი მიწისძვრების შემდგომ წალვლისთავში შეიარაღებული დიდებულების მოთხოვნით, იბულებული შეიქმნა გადამდგარიყო. დიდი ოსტატობით აღწერს დ. კარიჭაშვილი მეფის განცდებს და ბოლოს მის გადაწყვეტილებას, რამაც დიდი სიხარული მოუტანა საქართველოს: „ამნაირად გამეფდა დავითი. ეს ამბავი სასიხარულოთ დარჩა მთელ საქართველოს. ხალხმა სასოება მოიკრიფა და იმედიანათ დაუწყო ცქერა მომავალს. ახლა კი არა გვიჭირს რა, იქნება ღმერთმა მოგვხედოს და გაჭირვებიდან გამოგვიხსნასო, ამბობდნენ ქართველები და არც მოტყუვდნენ. დავითმა თავის 36 წლის მეფობის განმავლობაში იმდენი რამ გააკეთა, რაც სიზმრადაც არ მოეგვლინებოდა მაშინდელ „ქართველს“.²

X თავი მთლიანად ეძღვნება დავითის მოძღვაწეობას, ბრძოლებს, გამარჯვებებს, საქართველოს საზღვრების გაფართოებას შავი ზღვიდან თეთრ (?) ზღვამდე და კავკასიის მთაგრეხილიდან არეზის მდინარემდე, მტკვრის სათავემდე, რეგულარული ჯარის შექმნას, რომლის რიცხვი 50 000 აღწევდა და სხვ.

¹ იქვე

² იქვე, გვ. 89

კარიჭაშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დავითი მოველინდა აღმაშენებლად საქართველოსი. ამიტომ საქართველოს ისტორიამ მას აღმაშენებელი უწოდა, „ხოლო ეკლესიამ ჩარიცხა წმინდათა შორის და დააწესა მისი ხსენება 26 იანვარს“.¹

თუმცა ტექსტში იგრძნობა მწერლის ფანტაზიით ისტორიული წიადსვლები, მაგრამ იგი აღნაგობით მხატვრული დიალოგებით ისტორიულ მოთხრობათა ჟანრს უნდა მივაკუთვნოთ.

ასე ვერ ვიტყვით 1905 წელს გამოქვეყნებულ ტექსტზე „მეფე დავით აღმაშენებელი“. აქ საერთოდ არ არის გამახვილებული ყურადღება გიორგი ჭყონდიდელზე და მისეულ აღზრდის მეთოდებზე, თუმცა გამოკვეთილია ის ფაქტი, რომ მისი საუკეთესო თვისებები მეტნაკლებად აღზრდისა და სწავლა-განათლების შედეგი იყო: „სწავლა-განათლება ჰქონდა მიღებული, რაოდენადაც შეიძლებოდა იმ დროში საფუძვლიანი და სრული“.² წერილი უფრო ისტორიული ნარკვევია, რომელშიც საუბარია დავით აღმაშენებლის ღვაწლზე, მხოლოდ ბოლო ფრაზა მეორდება „მერცხალში“ გამოქვეყნებული მოთხრობიდან. თუ ერთის მიზანია მხატვრულად, გასაგებად გადასცეს დავით მეფის ისტორია, მეორე უფრო მცდელობა კომპაქტურად, მაგრამ გამოკვეთილად ისაუბროს იმ ზედწოდების ასახსნელად, რისთვისაც დავითს აღმაშენებელი ეწოდა.

ჩვენთვის უცნობია, რა წყაროებით სარგებლობდა დავით კარიჭაშვილი, სავარაუდოდ „ქართლის ცხოვრებით“, მაგრამ იგი შევსებულია გადმოცემებით, რომელშიც მწერლის ფანტაზიაც ემატება, მაგრამ არა გადაჭარბებით.

¹ იქვე, გვ. 91

² ჟ. „ნაკადული მოზრდილთათვის“, 1905, №XII, ოქტომბერი

მოგვიანებით, 1907 წელს, როდესაც გამოიცა დავით კარიჭაშვილის მიერ შედგენილი „საქართველოს მოკლე ისტორია“, I ნაწილი (169 გვერდი), როგორც ღია კარიჭაშვილი აღნიშნავს, „ამ წიგნით ავტორმა განახორციელა თავისი ჩანაფიქრი და საისტორიო წყაროებსა და იმ დროისათვის მის ხელთ არსებულ ახალ მასალებზე დაყრდნობით მკითხველს მოკლედ და სადა ენით მოუთხრო საქართველოს ისტორია XVIII საუკუნემდე“.¹

თუმცა გამკიცხველიც გამოუჩნდა „ცანის“ (ონისიმე ცერცვაძე) სახით, რომელმაც განაცხადა, რომ „მეფეებისა და ომების მშრალი ისტორია ვერ აღძრავდა ვერავითარ ინტერესს ვერც მკითხველში და ვერც მოსწავლე-ახალგაზრდობაში“.²

ასევე გაკიცხა ავტორი ე.წ. „განმკიცხველმა“ წინააღმდეგობა დ. კარიჭაშვილის დროის მეცნიერთ შორის ძირითადად მატეანის მიმართ დამოკიდებულებაში გამოიხატებოდა.

როგორც ლ. კარიჭაშვილი ასკვნის: „დავით კარიჭაშვილის პოზიციას, რასაკვირველია, მხარდამჭერნი ჰყავდა. ეს იყო მეცნიერთა მცირე ჯგუფი, რომლისთვისაც ქართულ საისტორიო წყაროებს, მიუხედავად მასში ჩართული სასწაულებრივი ამბებისა, დიდი ეროვნული ღირებულება ჰქონდა“.³

ჩვენ არ შეუდგებით, წინამდებარე წერილში, დავით კარიჭაშვილის საბავშვო ისტორიული ტექსტების მეცნიერული ღირებულების კვლევას, მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ახალგაზრდა თაობისათვის მართლაც გააჩნდა ზემოდასახელებულ წერილებს, დიდი პედაგოგიური და შემეცნებითი მნიშვნელობა, რასაც უნდა დაემატოს ის მხატვრულობაც,

¹ ლ. კარიჭაშვილი, „მსახურება ღვთისა და ერისა“, გვ. 128

² „ფარი“, I, 28, 1908, 4

³ ლ. კარიჭაშვილი, „მსახურება ღვთისა და ერისა“, გვ.131

რომლითაც გამოირჩევა „მერცხალში“ გამოქვეყნებული ისტორიული მოთხრობა „დავით აღმაშენებელი“.

დამოწმებანი:

1. ლ. კარიჭაშვილი „მსახურება ღვთისა და ერისა“, „ჩვენი მწერლობა“, თბილისი, 2018;
2. დ. კარიჭაშვილი, „დავით აღმაშენებელი“, ჟ. „ჯეჯილი“, 1904, №1;
3. დ. კარიჭაშვილი, „დავით აღმაშენებელი“, კრებული „მერცხალი“, 1904, №1;
4. დ. კარიჭაშვილი, „მეფე დავით აღმაშენებელი“, ჟ. „ნაკადული მოზრდილთათვის“, 1905, XIII, ოქტომბერი;
5. გრ. უმწიფარიძე, „თამარ მეფე დ. კარიჭაშვილის მიერ“, „კვალი“, 19.III, 1893ლ
6. ცანი „რეცენზია: დ. კარიჭაშვილი, საქართველოს მოკლე ისტორია, ტფ. 1908), „ფარი“, I, 28, 1908, 4.

Tamar Gogladze

Gori State Teaching University

**HISTORICAL WRITINGS ON DAVID
AGHMASHENEBELI FOR CHILDREN
(D. KARICHASHVILI)
RESUME**

Among the Georgian figures of the 19th century, David Karichashvili (1862-1927) made great contribution to popularization of Georgian literature and history. Before D. Karichashvili, several informative materials were published in the Georgian press on Davit Aghmashenebeli, but in the

presented article we will highlight his texts for adults that were published in children's magazines "Jejili" (1904, # 1), "Mertskhali" (1904, # 1) and "Nakaduli" for Adults" (1905 , # 12).

D. Karichashvili seems to have intended his letter to be printed completely in "Jejil" but only three chapters were placed there and the whole text was presented in "Mertskhali" in the form of a publication.

As we conclude, the text combined by ten chapters, represents a historical story but the text published in "Nakadulu" for Adults" is more a historical essay. These mentioned texts are written in simple, easily comprehensive language for informing children.

თეა გოგოლიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„Robustos Viribus“¹ ქართველები და
„Effeminatus“² ბერძნები

უილიამ ტვიროსელი, მთელი თავისი *ისტორის* მანძილზე, უწყვეტად განაგრძობდა ბერძნების დახასიათებას, როგორც ჯვაროსნული ლაშქრობის წინარე პერიოდის, I ჯვაროსნული ლაშქრობის, იერუსალიმის სამეფოს დაარსებისა თუ II ჯვაროსნული ლაშქრობის მსვლელობის ფონზე. ნაშრომში ეს ბუნერივად მოჩანს იმდროინდელი საერთაშორისო ურთიერთობებიდან და გეოგრაფიული ფაქტორებიდან გამომდინარე. ამ პერიოდის ლათინების მსოფლმხედველობაში ანტიბერძნული განწყობა აშკარად შეიმჩნეოდა. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენდა ტვიროსელის მიერ ალექსი კომნენოსის, გარკვეულწილად, ბნელ ფერებში დახატვა. (თუმცა, თვით ალექსის პოლიტიკა აძლევდა ამის საფუძველს). ამ უარყოფით დამოკიდებულებას გააჩნდა საკმაოდ მნიშვნელოვანი საფუძვლები. რომლის შესახებ უილიამი მოგვითხრობდა თავისი *ისტორიის* მეორე და მესამე წიგნებში. ავტორისათვის, ყველაზე მიუღებელი იყო ბერძნების „ქალური სინაზე“ და „არამამაკაცური ხასიათი“. ამ კონტექსტში, საინტერესოდ

¹ ლათ. მამაცი კაცები.

² ლათინურიდან ითარგმნება, როგორც ქალაჩუნა, ქალური, ქალისიერი, განაზებული, მშიშარა.

მიგვაჩნია, ავტორის ცნობების საფუძველზე პარალელის გა-
ვლება ბერძენ-ქართველთა საომარ ღირსებებსა და სიძლიერს
შორის. როგორც უკვე ვთქვით, ბერძნები ტვიროსელის ის-
ტორიის ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირები არიან, საქარ-
თველოს¹ შესახებ, კი უილიამი XI წიგნის 16-ე თავში მო-
გვითხრობდა. საკითხი საინტერესოა, რადგანაც ქართული
ისტორიოგრაფიისათვის, ქართველების ხსენება უილიამ ტვი-
როსელთან, გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს. აქვე
უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ პირველად ეს ცნობა ალექსან-
დრე თვარაძემ² გამოაქვეყნა, ხოლო შემდეგ დავით თინიკა-
შვილმა გამოიყენა თავის სადოქტორო ნაშრომში³.

ჩვენს შემთხვევაში ბერძენ-ქართველთა შედარება, მათ
თვისებებზე მსჯელობა და ანალიზი არამარტო ქართული,
არამედ ევროპული ისტორიოგრაფიისთვისაც სიახლეს წარ-
მოადგენს. წინასწარ გვინდა აღვნიშნოთ შემდეგიც: მართა-
ლია, ავტორისეული ცნობები ინფორმაციული თვალსაზრი-
სით, პროპორციულად არათანაბარია, მაგრამ იგი მრავლის-
მეტყველია და საინტერესო. კერძოდ, უილიამმა ქართველთა
სამხედრო უნარი და საბრძოლო თვისებები, ამ მცირე ცნო-
ბაში ისე დადებითად წარმოაჩინა, რომ სწორედ ამან გვიბი-
ძგა საკითხის აღნიშნული კუთხით დამუშავებაზე. ავტორი,
ბერძნების საბრძოლო თვისებების დახასიათებისას იყენებდა
ისეთ ეპითეტებს როგორებიცაა: „სუსტი“, „ქალაჩუნა“, „ქა-

¹ კერძოდ, იბერიის შესახებ.

² თვარაძე ალექსანდრე, „იბერები გვიომ ტვიროსელის ქრონი-
კაში“, საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის საკითხები, N.9, თბ.,
არტანუჯი 2008, გვ. 185.

³ თინიკაშვილი დ. ქართველებისა და დასავლეთ ევროპელთა რე-
ლიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობა XI-XIII საუკუნეებში, სადისერტა-
ციო ნაშრომი, თბ., 2015, გვ. 180-181.

ლური ბუნების მქონე“. ქვემოთ ჩვენ გავაანალიზებთ იმ მოცემულ მონაკვეთებს, სადაც ავტორი ბერძენთა ამ თვისებებზე მიუთითებდა. ის ბერძნების „უძლურებასა“ და „ლაჩრობას“, ერთგვარად უპირისპირებდა ლათინების სიმამაცეს. ტვიროსელისთვის, კაცისთვის, რომელსაც განათლება ბოლონიასა და პარიზში ჰქონდა მიღებული, რომლისთვისაც რაინდული ღირებულებები და პრინციპები ჩვეულებრივი მოვლენა იყო, ბუნებრივია, ის „მშიშრული“ და „ზარმაცული“ საქციელი, რომლითაც ბიზანტიელი ბერძნები გამოირჩეოდნენ, მიუღებელი იყო. ამიტომაც იყო, რომ ის ასეთ სიხარულს და გაცებას გამოხატავდა, როდესაც იბერიაზე საუბრობდა.

უშუალოდ საკითხზე გადასვლამდე, ორიოდ სიტყვით გვინდა ხაზი გავუსვათ თვითონ იმ ტერმინებს, რომლებსაც უილიამი იყენებდა ბერძნების უარყოფითი მხარის წარმოჩენისას. წყაროში, ბერძნების სახის შექმისას, ის იყენებდა ორ სიტყვას „Effeminatus“ და „Molles“.¹ „Effeminatus“² ლათინურიდან ითარგმნება, როგორც: ქალივით განაზებული, დასუსტებული, ქალური თვისებების მქონე კაცი, ზედმეტად მგრძობიარე, არამამაკაცური სუსტი, გაქალაჩუნებული, გაღიაცებული. „Molles“ პირდაპირი თარგმანი არის სუსტი, რბილი. წყაროს შესწავლის შემდეგ, მარტივი მისახვედრია, რომ ავტორი ამ ტერმინებს სინონიმებად იყენებს და კონტექსტიდან გამომდინარე, ბერძნების სისუსტე-სილაჩრეზე მიუთითებს. ასე მაგალითად, II წიგნის მე-4 თავში და XXII წიგნის მე-11 თავში ის იყენებს ტერმინ- „Mollis“-ს. XV წიგნის მე-3 თავში კი-„Effeminatus“-ს, ხოლო ამავე XVII წიგნის

¹ ასევე ვხვდებით სხვა სიტყვებს, რომლების ითარგმნება როგორც სუსტი. თუმცა უმრავლეს ადგილას ეს ორი ტერმინი განსაზღვრავს ბერძნებს.

² ტერმინების ამგვარ გამოყოფას ლუკა პოლიარიჩთანაც ვხვდებით.

მე-17 თავში გვერდიგვერდ იყენებს ორივე ტერმინს.¹ ავტორისათვის, ეს ორი ტერმინი ერთსა და იმავეს ნიშნავს და ბერძნების გადაცემას გულისხმობს.

როდესაც ბერძენთა გაქალაჩუნების შესახებ ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გამოვყოთ ის ორი პრინციპი, რომლითაც უილიამი აფასებფდა მათ. ეს იყო:

1. ბერძნების უუნარობა (რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ საკუთარ ტერიტორიებს ვერ იცავდნენ)

2. ბერძნების გაქალაჩუნება

საინტერესოა, რომ ორივე ასპექტში, ქართველები, უილიამის თვალში ბევრად უფრო მალლა იდგნენ. ავტორმა პირველად, ბერძნების უუნარობაზე I წიგნში დაიწყო საუბარი,² როდესაც პეტრე მეუღაბნოესა და იერუსალიმის პატრიარქის, სიმონის დიალოგზე მოგვთხრობს. პატრიარქი ამბობდა: „ჩვენ არ ვვაქვს იმედი, ბერძნების იმპერიისგან რამენაირი დახმარების მიღების, მიუხედავად იმისა რომ, ისინი დაკავშირებულნი არიან ჩვენთან სისხლით. ასევე, ბევრად უფრო მდიდრები არიან. ისინი საკუთარი თავსაც კი ძლივს იცავენ. ბერძნების ძალა იმდენად დაკნინდა, რომ თქვენო უკეთილშობილესობავ, [შიმართავს პეტრეს-თ.გ.] როგორც გაიგებდით, რამდენიმე წელში, მათ საკუთარი იმპერიის ნახე-

¹ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I- II 1949 - 1.11, 2.4, 15.3, 17.17, 22.11.

² W.T 1:11 Nam de Graecorum imperio, licet et consanguinitate et loco nobis sint propinquiores, et divitiis abundant amplius, nulla nobis spes est de caetero, ut inde nobis aliquam habeamus consolationem. Vix enim sibi sufficiunt: omnisque eorum, ut audivisse potest vestra fraternitas, virtus emarcuit, ita ut infra paucos annos plus quam dimidium amiserint imperii.

ვარიც კი დაკარგეს.“¹ საინტერესოა, რომ სხვა მონაკვეთებისგან განსხვავებით, სადაც უილიამი ბერძნების სილაჩრეზე საუბრობდა, ეს გამოირჩევა იმით, რომ აქ ავტორი არ აკრიტიკებდა მათ. თუმცა, სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, როდესაც ჯვაროსნებმა იმპერიის კუთვნილ მიწაზე დადგეს ფეხი. ლათინებს ბერძნებისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ყოველთვის ჰქონდათ და ამას უილიამი თავისი საქმის გასაკეთებლად იყენებდა. როდესაც ტვიროსელზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ ის იყო არა მარტო ისტორიკოსი, რომელიც თავისი ქვეყნის ისტორიას აღწერდა, არამედ ის იყო ჯვაროსნული ლაშქრობების² იდეოლოგი და თეორეტიკოსიც. ბიზანტიამ, რომელმაც ვერ შეძლო ქრისტიანული ქვეყნებისა და სალოცავების დაცვა, გარკვეულწილად, განაპირობა ლაშქრობების დაწყება. ეს, კარგად ესმოდა უილიამს და ცდილობდა, აღმოსავლეთში ბიზანტიელების ლათინებით ჩანაცვლების ლეგიტიმური საფუძველი შეექმნა. ავტორი, სულ მცირე ექვს ადგილას მიუთითა ბერძნების უძღურებასა და „გაქალაჩუნებაზე.“³ ამითი შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ არც ალბერტ აახენელთან და არც ფულხერიუსთან, არ ვხვდებით იერუსალიმის პატრიარქის სიმონის და პეტრეს საუბარს. ჩვენ კი ვიცით, რომ იმ პერიოდის ამბების დასადგენად, უილიამი ამ ორი ისტორიკოსის ცნობებს იყენებდა. არ არის გამორიცხული, რომ ეს საუბარი ავტორს თავისი ინტერპრეტაციით და მოვლენების უდაოდ კარგი ცოდნის შედეგად ჩაემატებინა, თუმცა ეს ჩვენი

¹ A History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I 1949, p. 83.

² ამ ნაშრომს, როდესაც წერდა ტვიროსელი, ჯერ მხოლოდ პირველი ორი ჯვაროსნული ლაშქრობა იყო მომხდარი.

³ აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ყველა მათგანი გარდა ერთისა 1182 ლათინთა ხოცვა-ჟლეტამდელ პერიოდს განეკუთვნება.

პირადი ვარაუდია და რაიმე სახის მტკიცებულება არ გაგვანხნია გარდა ისტორიკოსის ინტუიციისა.

II წიგნის მე-4 თავში, ავტორი ორ ადგილას ახსენებდა ბერძნების სისუსტეს. ის აღნიშნავდა, რომ ბერძნების უუნარობის ერთ-ერთი გამოხატულება ის იყო, რომ მათ საკუთარი მიწების დაცვა არ შეეძლოთ. მისი სიტყვებით, ბულგარეთის მიწები, ისეთი ადგილები იყო, სადაც ნებისმიერ სასურველ საგანსა და საქონელს იშოვნიდა ადამიანი. უილიამის დროს, კი ეს ყველაფერი უკვე გაჩანაგებული იყო.¹ საინტერესოა, რომ ავტორი ამას ორ მიზეზს უკავშირებდა. მისი აზრით, იმპერიის გაღარიბება და დაკნინება გამოიწვია ბიზანტიელების „ცოდვილობამ“, ხოლო მათი ცოდვაში ჩავარდნა მას შემდეგ მოხდა, რაც ბერძულმა დინასტიამ, ბიზანტიის სამეფო ტახტზე ჩაანაცვლა ლათინური დინასტია. „ადგილობრივმა ბარბაროსებმა უმაღვე აიღეს უპირატესობა მიწებზე, რადგან შეამჩნიეს ბიზანტიელების უძლეულება.“² მოცემულ მონაკვეთში, უილიამს იმის თქმა უნდოდა, რომ ახალმოსული ბერძნები, თავიდანვე სუსტები და უღონონი იყვნენ.

„იქ, სხვა პროვინციებიც იყო იმავე მხარეში, არკადია, თესალია, მაკედონია და თრაკიის სამი პროვინცია, რომლებიც ასევე ჩართულნი იყვნენ საერთო უბედურებაში. ესენი იმ პროვინციებს შორის იყვნენ, რომლებიც ბერძნებმა, თავიანთი სისუსტის გამო დაკარგეს. მოგვიანებითაც, კი მას შემდეგ, რაც ბერძენმა იმპერატორმა ბასილიმ³ დაიმორჩილა ბულგა-

¹ History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I, 1949, p. 121-122.

² History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I, 1949, p. 121.

³ ბასილ II ბულგართმმუსვრელი ბიზანტიის იმპერატორი 976-1025 წლებში. თანამედროვეები ბასილ უმცროსს და ბასილ პორფიროგენეტს უწოდებდნენ, რათა განესხვავებინათ მისი წინაპრის ბასილ მაკედონიელისგან. მისი მმართველობის პირველი ეტაპი იყო დომინირებული სა-

რელი ხალხი, არავის არ ქონდა უფლება დაესაკუთრებინათ ან დაემუშავებინათ ის მიწები, რომლებიც მოშორებული იყო პროვინციას. ეს განსაკუთრებით იმ ადგილებს ეხებოდა, რომელიც საზღვართან იყო ახლოს. იგივე სიტუაცია არის დღესაც.“¹ ამით, უილიამი თავის აუდიტორიას აჩვენებდა, რამდენად სუსტები და უძლურები იყვნენ ბერძნები. მიწებს მიწებზე კარგავდნენ და იმის საშუალებაც კი არ ჰქონდათ, საზღვართან ახლოს მდებარე მიწები დაემუშავებინათ.

ყოველივე ზემო თქმულის ფონზე საინტერესოა, რომ ქართველებს, უილიამი სრულიად განსხვავებულად აღიქვამდა. ნაშრომის XI წიგნში² ის წერდა: „ადრე იბერიელებს ეშინოდათ სპარსელების, თუმცა ეხლა მათ ბევრად აღემატებიან, როგორც ძალით, ასევე სამხედრო გამოცდილებით. ამგვარად, სპარსელები, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე შიშის ზარს სცემდნენ შორეულ სამეფოებსაც კი, ეხლა იმითიც კი ემაყოფილებიან, რომ დროებითი მშვიდობა ჰქონდეთ საკუთარი სამეფოს ფარგლებში.“³

მოქალაქე ომებით მცირე აზიაში, რომლის ჩახშობა მან მოახერხა. ამის შემდეგ მოახდინა იმპერიის სტაბილიზაცია, ექსპანსია და საიმპერატორო ძალის გაზრდა. მუდმივი ომების მიუხედავად, მან თავი გამოიჩინა, როგორც ძლიერმა მმართველმა და გააფართოვა ბიზანტია. ბასილმა 40 წლიანი ომი გააჩაღა ბულგარელების წინააღმდეგ. ომში გამარჯვების შედეგად მთლიანად დაიმორჩილა და იმპერიას მიუერთა ბულგარეთის იმპერია. მისი ბრძანებით ბიზანტიელებმა 15 ათასი ბულგარელი ტყვე დააბრმავეს. ამ სისასტიკის გამო იმპერატორს „ბულგართმმუსვრელი“ (იგივე ბულგართმულები) უწოდეს. ბასილის წყალობით 1018 წელს ბულგარეთი ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

¹ History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I, 1949, p. 122 .

² History of Deeds Done Beyond The Sea, Vol. I, 1949, p. 490.

³ W.T 11:16 et qui prius praedicto populo suspecti erant et formidabiles, facti sunt, versa vice, eis et viribus et armorum experientia longe inferiores; quique regnis exteris; etiam remotioribus consueverant

ამ კონკრეტული ცნობიდან, უილიამის კარგი განათლებიდან და გამოცდილებიდან გამომდინარე, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის კარგად იცნობდა პოლიტიკურ სიტუაციას და XII საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობებში საკმაოდ კარგად გახლდათ ჩახედული. ამგვარი დამოკიდებულება შემთხვევითი არ არის. სავარაუდოა, რომ უილიამი ქართველებს იცნობდა. მან არამარტო იცოდა, როგორც ქვეყნის და ხალხის შესახებ, არამედ უშუალოდ შეხებაც შეიძლებოდა ჰქონოდა მათთან. როგორც ვიცით, ტვიროსელი ამაღრიკს I-ის დროს¹ ორჯერ იყო გაგზავნილი ბიზანტიაში დიპლომატიური მისიით. მას, საკმაო ხანს მოუხდა კონსტანტინოპოლში ცხოვრება და შესაძლებლად მიგვაჩნია ვიფიქროთ, რომ იქ პირადი ურთიერთობის და დაკვირვების შედეგად შექმნოდა ეს აზრი ქართველებზე. ასევე, ამ აზრს გვიმტკიცებს ის თუ როგორ მოიხსენიებდა უილიამი ქართველებს: „ღმერთმა მოწყალე თვალთ გადმოგვხედა, ჩვენი ტანჯვა შეამსუბუქა და სპარსთა თავდაჯერებული თავხედობის წინააღმდეგ აღაზვეა სპარსთა მეტოქე სამეფო, იბერიის სახით. ღვთის წყალობით, თავიანთი შეუწყვეტელი წარმატებით გაძლიერებულმა იბერიამ, გაანადგურა სპარსეთის სიამაყე.“² XI წიგნი ბალდუინ I მეფობის შესახებ მოგვითხრობს, ეს კი ქრონოლოგიურად 1100-1118 წლებში იყო, შესაბამისად 1054

inferre sollicitudinem, nunc sibi sufficere reputant, si intra fines suos tranquillitatem reperiunt vel ad tempus.

¹ იერუსალიმის მეფე 1163-1174 წლებში.

² W.T 11:16 Sed miserante nostros labores divina clementia, suscitavit Persarum insolentiae et regno nimis de se praesumentium aemulum imperium gentis Hiberorum: quo per gratiam Dei incrementum suscipiente, et vires acquirente, per successus continuos contrita est Persarum superbia.

წლის დიდი ქსიზმა უკვე მომხდარი იყო და, რა თქმა უნდა, ისეთი განათლების მქონე კაცისთვის, როგორც უილიამი იყო, ბუნებრივია, ცნობილი იქნებოდა, რომ ქართველები ქრისტიანობის ბერძნულ ტრადიციას მისდევდნენ.¹ ეს, ჩვეულებრივ ადამიანს, რომელსაც არ ჰქონდა თეოლოგიური განათლება, შეიძლება არც კი ჰქონოდა გააზრებული და გაცნობიერებული, ხოლო სასულიერო წოდების მქონე კაცისთვის ეს შეუძინეველი არ დარჩებოდა. შესაბამისად, უილიამი ქართველებზე წერის დროს ითვალისწინებდა, როგორც რელიგიურ ასევე პოლიტიკურ კონტექსტს. ყოველივე ზემოთაღნიშნული, ჩვენთვის არგუმენტია უილიამის ქართველებისადმი დადებითი დამოკიდებულების წარმოსაჩენად. უფრო მეტიც, უილიამს, ალბათ, ამ განწყობას უფრო ისიც შეუქმნიდა, რომ ქართული სახელმწიფო, ბიზანტიის მსგავსად, ლათინებთან არ დაობდა თეოლოგიურ დოქტრინებზე. ჯვაროსნული ომების ხანაში, აღმოსავლელ ქრისტიან მოკავშირეებს შორის საქართველო, დასავლელი რაინდებისათვის უპირობო მოკავშირე იყო და ქართველები ქრისტიანობას არ უყურებენ ვიწრო პრიზმიდან. ჩვენი აზრით, ავტორისთვის ქართველების მიმართ დადებითი განწყობის გამოსახატავად ეს, ამოსავალი წერტილი იქნებოდა. ქართველებს, განსხვავებით ბერძნებისგან, „ფილიოკვეს“ საკითხი, არ მიაჩნდათ მნიშვნელოვნად, ბიზანტიამ კი მთელი საიმპერატორო პოლიტიკა გადააყოლა ამ თეოლოგიურ დავას. ჩვენი ეს ზოგადი დასკვნა, კიდევ ერთი არგუმენტი უნდა იყოს უილიამ ტვიროსელის ქართველებისადმი დადებითი დამოკიდებულების გასაგებად.

ლათინი ისტორიკოსი ქართველებში ხედავდა იმ ჯვაროსნულ სულსა და სამხედრო ხელოვნებას, რომელიც ასე

¹ მართლმადიდებლები იყვნენ.

მისაღები იყო მისი რაინდული მენტალიტეტისათვის. ტვირო-სელისთვის ბევრად უფრო ახლობელი ვაჟკაცური სულისკვეთების იყო იბერია იყო, თავისი ბიზანტიური ტრადიციით (უნდა გავივით მართლმადიდებლური მრწამსით), ვიდრე ასევე მართლმადიდებელი (თუმცა სქიზმაში მყოფი) „ქალაჩუნა“ ბიზანტია. ჩვენი აზრით, ამიტომ მოიხსენიებს ავტორი ქართველებს როგორც „Robustos Viribus“ – „მამაც კაცებს“ და „Multa strenuitate Commendabiles“ – „ძალიან ძლიერებს სამხედრო საქმეში“.

საინტერესოა ასევე პარალელი გავავლოთ ბიზანტიელების და ქართველების თავდაცვის უნარიანობას შორის. როგორც იერუსალიმის პატრიარქი სიმონ II და თვით უილიამი ამბობდნენ, ბიზანტიამ რამდენიმე წელიწადში სამეფოს ნახევარი დაკარგა. ამის მიზეზად, ავტორმა ბერძნების „გაქალაჩუნებასა“ და საომარი თვისებების დაძაბუნება დაასახელა. მაშინ, როდესაც ქართველებმა, განუწყვეტელი ბრძოლის შედეგად, სპარსელებს, არამც თუ ძალა გამოაცალეს, არამედ სხვა ქვეყნებს აღმოსავლეთში, საშუალება მისცეს შვებით ამოესუნთქათ. აქ, ჩვენ ბიზანტიის საპირისპირო სახეს ვხედავთ. ემჩნევა, უილიამს გააზრებული ქონდა ის ფაქტი, რომ ქართველებს განსხვავებით ბერძნებისგან, ზუსტად ესმოდათ ჯვაროსნული ლაშქრობის იდეის აზრი. უილიამი ქართველებს, ჯვაროსნებს არ უწოდებდა, ეს ბუნებრივიცაა, რადგან უშუალოდ იერუსალიმის გასათავისუფლებლად, ქართველები არ წასულან, მაგრამ აქცენტს აკეთებდა იმაზე, რომ მათ სხვა სამეფოები გადაარჩინეს სპარსთა ტყვეობას და ამოსუნთქვის საშუალება მისცეს მათ.¹ უილიამი ქართველებში ხე-

¹ W.T 11:16 Hi frequentibus bellis et congressionibus assiduis Persarum adeo copias attriverunt, ut jam se nec pares reputent, et pro suo statu solliciti aliorum provincias vexare destiterint.

დავდა აღმავალ ქრისტიანულ სახელმწიფოს, რომელსაც წმინდა მიწის დასაცავად ჯვაროსნების მოკავშირედ აღიქვამდა, ხოლო მათი ბრძოლა, ჯვაროსანი რაინდების სადარი თვისებების მატარებელი იყო. ამ პერიოდის ქართველების დახასიათებაში, ავტორი ნამდვილად ზუსტი და ობიექტური იყო.

მოცემული ნაშრომი მნიშვნელოვანია ქართული ისტორიოგრაფიის გამდიდრებისათვის. ქართულ-ბერძნული კონტექსტი მიმზიდველი და საინტერესო უნდა იყოს უცხოური ისტორიოგრაფიისათვის, რადგან მოცემულ საკითხზე, ევროპაში მსგავსი სახის ნაშრომები და კვლევები არ მოგვეპოვება. უილიამ ტვიროსელის პირველწყარო, პირველად შემოდის ქართული მეცნიერებაში და კერძოდ მედიევისტიკაში. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, უილიამ ტვიროსელის და მის წყაროს გამოკვლევა საკითხის ამ კუთხით არ მომხდარა.

დამოწმებანი:

Brand Charles M. Byzantium Confronts the West, 1180-1204, Harvard University Press, 1968.

Cambridge University Press. The New Cambridge Medieval History: Volume 4, c. 1024-c.1198, Part 1, Reprint edition, 2015.

Comnena Anna. The Alexiad, Dr. Edgar R. A. Sewter, Harmondsworth: The Penguin Classics, 1st edition, 1969.

Devis Ralph H. C. William of tyre, In Relations between East and West in the Middle ages, ed. Derek Baker, 64-76, Edinburgh, Edinburgh University press, 1973.

David Abulafia. (editor) The New Cambridge Medieval History, Volume 5: c.1198–c.1300, Cambridge University Press, 2008.

Edbury P. W., Rowe J. G. William of Tyre: Historian of the Latin East, Cambridge; New York: Cambridge University Press, 1988.

Knight Judson. Middle Ages: Primary sources, UXL, 2001.

Latin Edition. Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum: Libri I – XII, CreateSpace Independent Publishing Platform, 2010.

Latin Edition. Historia Rerum in Partibus Transmarinis Gestarum: Libri XIII – XXIII, Createspace Independent Publishing Platform, 2010.

Magdalino, Paul. The Empire of Manuel IV Comnenos 1143-1180, Cambridge, Cambridge University press, 1993.

Melicharova Petra. William Of Tyre: Shaping of anti-byzantine sentiments in the period preseding the fourth crusade, Studia historica Brunensia, vol. 53, 2004.

Price Jason. An Analysis of the Strategy and Tactics of Alexious I Komnenos, MA thesis, Texas Tech University, 2004.

Riley-Smith Jonathan. The First Crusade and the Idea of Crusading (The Middle Ages Series), University of Pennsylvania Press, 2008.

Riley-Smith Jonathan. The Oxford Illustrated History of the Crusades (Oxford Illustrated Histories), Oxford University Press, 1993.

Riley-Smith Jonathan. The First Crusaders, 1095-1131, Cambridge University Press, 1998.

Riley-Smith Jonathan. The Oxford History of the Crusades, Oxford University Press, 2001.

Riley-Smith Jonathan. The Crusades: A History, Yale University Press; 2 edition, 2004.

Špoljarić Luka. William of Tyre and the Byzantine Empire: The Construction and Deconstruction of an Image, Master thesis, CEU, 2008.

William of Tyre. A History of deeds done beyond the sea, Vol. 1. Columbia University Press, 1943.

William of Tyre. A history of deeds done beyond the sea, Vol. 2 Columbia University Press, 1943.

История крестовых походов в документах и материалах. ред. М. А. Заборов. М.: Высшая школа, 1977.

Заборов М. А. Крестоносцы на Востоке, М.: Наука, 1980.

Tea Gogolishvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**“ROBUSTOS VIRIBUS“ GEORGIANS AND
“EFFEMINATUS“ GREEKS
RESUME**

The article presents the attitude of the Latin historian William Tyre's to the Georgians as one of the most distinguished fighters. The Archbishop of Tyre is comparatively compatible with Latin and Byzantine soldiers and also with great respect and proudly tells of about Iberians as brave warriors. We considered it interesting taking this issue forward and to see more detail in this article.

ქუთაისის მოსახლეობა 1885 წლის ერთდღიანი აღწერის მიხედვით

მეცხრამეტე საუკუნის ბოლო მეოთხედის ქუთაისის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლისათვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს 1885 წლის 10 აპრილს ჩატარებული ერთდღიანი აღწერის მასალები, რომელიც 1887 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორ ა. სმეკალოვის ნებართვით, ქალაქის თვითმმართველობამ, ქალაქის თავ ლუკა ასათიანის ხელმძღვანელობით ცალკე წიგნად გამოსცა და ზედგენიძისა და ფერადის სტამბაში დაბეჭდა¹. აღნიშნული წიგნი დღემდე მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრისათვისაა ცნობილი. ამის მიზეზი წიგნის ბიბლიოგრაფიულ იშვიათობასთან ერთად ისიცაა, რომ ის დღემდე არ არის ქართულად გამოცემული. ამ მხრივ გამონაკლისია პროფესორ მიხეილ ნიკოლეიშვილის საგაზეთო სტატია „ქუთაისი ასი წლის წინათ“². სტატიაში ავტორი საუბრობს აღწერის მნიშვნელობაზე ქალაქის ისტორიის შესწავლის საქმეში და დასძენს: აღწერაში „საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ქალაქის განაშენიანების, მოსახლეობის და კომუნალური მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცნობებს გვაწვდის ეს აღწერა სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობის

¹ Кутаись по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, типография В. Зедгенидзе и П. Ферадзе.

² მ. ნიკოლეიშვილი, ასი წლის წინათ. გაზეთი „ქუთაისი“, 1985.

შესახებ. ამ მასალების მიხედვით შესაძლებელი ხდება დავადგინოთ სავაჭრო, სამრეწველო და სახელოსნო საწარმოების რაოდენობა, მათი სახეები და ამ დაწესებულებებში დასაქმებულთა, ოსტატთა, ქარგალთა, შევირდთა რაოდენობა, საერთოდ შესაძლებლობა გვეძლევა წარმოვიდგინოთ, თუ რა დონეზე იდგა ქუთაისის სამეურნეო და კულტურული ცხოვრება და როგორ გამოიყურებოდა მისი გარეგნული სახე 100 წლის წინათ”¹.

აღწერის მასალებით შედგენილი წიგნის შესავალ ნაწილში საუბარია მისი ჩატარების აუცილებლობაზე. ნათქვამია, რომ ქალაქში 1875 წელს შემოღებული თვითმმართველობა ვერ იმუშავებდა იმის აღუნუსხავად, თუ რა ეკუთვნოდა ქალაქს, როგორ იყო განაშენიანებული, მიწების რა ნაწილი ექცეოდა მის საკუთრებაში, რომელი გზები იყო მოკირწყლული, რომელი მოუკირწყლავი, ბოლოს და ბოლოს, რა რაოდენობის ხალხი ცხოვრობდა და მისთანები. მართალია ქალაქის თვითმმართველობის შემოღებისას ხელთ ჰქონდათ 1870 წლის 16 ივნისის აღწერის მონაცემები, მაგრამ მასში არ იყო ქალაქის გეგმა და მეორე, არ არსებობდა მოსახლეობის აღწერა მათი ქონებრივი მდგომარეობის აღნუსხვით. ვინც იხდიდა ბეგარას, ყველა გადამხდელად ითვლებოდა, რამაც კიდევ უფრო აუცილებელი გახადა მოსახლეობის აღწერა და მათი ქონებრივი ავლადიდების ფიქსაცია. გასათვალისწინებელია ის, რომ მაშინდელი არჩევნები ქონებრივი ცენზის მიხედვით ტარდებოდა. მონაცემების გარეშე, რასაკვირველია, ისიც ვერ ჩატარდებოდა². აღწერის ჩატარე-

¹ იქვე.

² ე. თავბერიძე, ქუთაისი 1885 წლის ერთდღიანი აღწერის ზოგიერთი ასპექტის შესახებ. გორის სასწავლო უნივერსიტეტი. X საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი, 2017.

ბის აუცილებლობა იმითაც იყო აუცილებელი, რომ სახელმწიფო ქონების კანონიერ ფორმებში მოქცევა მთელი XIX საუკუნის მანძილზე მიმდინარეობდა, ხან ერთ, ხან მეორე სამინისტროს აკუთვნებდნენ, ახალ თანამდებობებსაც იგონებდნენ¹.

ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღწერა ქალაქის ცხოვრების ბევრი კუთხით შესწავლის საშუალებას იძლევა და იგი ჩვენს მიერ უფრო ვრცელ ნაშრომში აისახება, ამჯერად, თქვენს ყურადღებას ქუთაისის მცხოვრებთა რაოდენობაზე შევაჩერებთ.

1885 წლის 10 აპრილის ერთდღიანი აღწერის მიხედვით, ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა შეადგენდა 23644 სულს, აქედან მამაკაცი იყო 15374, ქალი - 8270. სიმჭიდროვის მიხედვით პირველ ადგილზე იყო გელათის (ახლანდელი შაუმიანის) ქუჩა, სადაც მცხოვრებთა რაოდენობა 1319 სულს შეადგენდა, შემდეგ მოდიოდა თბილისის (ახლანდელი თამარ მეფის და სოლომონ პირველის) ქუჩა - 1057 სული მოსახლით, მესამე ადგილზე იყო ორპირის (დღევანდელი გრიშაშვილის და ნაწილობრივ რუსთაველის) ქუჩა - 1050 მოსახლით.² მამრობითი და მდედრობითი სქესის შეფარდება ასეთ სურათს იძლეოდა: 100 მამაკაცზე მოდიოდა 67 ქალი.

ასაკისა და ოჯახური მდგოარეობის მიხედვით ქალაქის მოსახლეობა შემდეგნაირად იყო განაწილებული:

1. 12 წლამდე ბავშვები: მამრობითი სქესის - 3200, მდედრობითი - 2593. სულ 5793.

2. უცოლო და გასათხოვარი: 12 წლიდან ზევით უცოლო - 5128, გაუთხოვარი - 1695.

¹ გ. ვაჭრიძე, დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006, გვ. 122-132.

² Кутаись по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, 1867, ст. 19.

3. დაოჯახებული: მამრობითი - 3681, მდედრობითი - 3059.

4. 1885 წლის 10 აპრილის აღწერით ქვრივი ქალაქში არის - 1049, რომელთაგან მამაკაცია 830 და ქალი - 219¹.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღწერის მიხედვით მაშინდელ ქუთაისში ცხოვრობდა 8 განქორწინებული მამაკაცი და 19 ქალი.

1885 წლის აღწერით მოსახლეობის გადანაწილება აღმსარებლობის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა:

1. მართლმადიდებელი - 15282
2. რომაულ-კათოლიკური - 1209
3. სომხურ-გრიგორიანული - 1111
4. სომეხი კათოლიკური - 42
5. პროტესტანტები და ლუთერანები - 104
6. რასკოლნიკები - 22
7. იუდეველები - 2488
8. შიიტი მუსულმანი - 78
9. სუნიტი მუსულმანი - 84
10. სექტანტები - 10
11. აღმსარებლობის გარეშე - 2.

ამ მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსახლეობის დაახლოებით 75% იყვნენ მართლმადიდებელი აღმსარებლობის, შემდეგ მოდიან იუდეველები - 12%, რომაელი კათოლიკები - 6%, სომეხი გრიგორიანელები - 5,5% და ა.შ.²

აღნიშნული პერიოდისათვის, ქალაქ ქუთაისის მოსახლეობა ეროვნულობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: ქართველები - 15832 სული, რუსები - 2113, ებრაელები

¹ იქვე, გვ. 20.

² Кутаисъ по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, 1867, ст. 20.

- 2488, სომხები - 1142, პოლონელები - 232, ბერძნები - 178, გერმანელები - 102, თათრები - 97, სპარსელები - 45, ინგლისელები - 12 და ა.შ.¹

ქუთაისი, მართალია ძირითადად ქართული ქალაქი იყო, მაგრამ მის მცხოვრებლებში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებსაც. მათ ძველ ქუთაისში ჰქონდათ თავიანთი კომპაქტური განსახლების უბნები. თითოეული ასეთი უბანი გამოირჩეოდა შენობების ტიპიურობით, დასახლების სიმჭიდროვითა და საცხოვრებელი პირობების სხვა თავისებურებებით. ეს განსხვავებანი, უმთავრესად დაფუძნებული იყო რელიგიურ კუთვნილებაზე. სწორედ ამ ნიშნით წარმოიშვა „ებრაელთა“, „კათოლიკეთა“ და სხვა უბნები.²

საინტერესოა აღწერის მიხედვით მოსახლეობის განაწილება ეროვნებისა და წერა-კითხვის ცოდნის მაჩვენებლის თვალსაზრისით. მაგალითად, ქალაქში მცხოვრები 15832 ქართველიდან წერა-კითხვის უცოდინარი იყო - 7676, 2113 რუსიდან წერა-კითხვა არ იცოდა - 749, 600 ებრაელიდან - 414 იყო წერა-კითხვის უცოდინარი და ა.შ. საერთო სურათი კი ასეთი იყო: ქალაქში ცხოვრობდა 9700 ადამიანი, რომლებმაც არ იცოდნენ წერა-კითხვა.³

მოკლედ მიმოვიხილავთ მოსახლეობის გადანაწილებას აღმსარებლობისა და წიგნიერების თვალსაზრისით. 15282 მართლმადიდებელიდან წერა-კითხვა არ იცოდა 6574 ადამიანმა, 1209 კათოლიკიდან უწიგნური იყო - 364. ყველაზე ცუდი სურათი გვაქვს ებრაელების მიმართ: 2488 ებრაელი სარწმუნოების მქონე ადამიანებიდან წერა-კითხვა არ იცოდა

¹ იქვე, გვ. 23.

² იქვე, გვ. 24.

³ ქუთაისი XIII ს-ის 60-იანი წლებიდან XX ს-ის 20-იან წლებამდე, ქუთ., 2013, გვ. 370.

2057, შესაბამისად, ყველაზე მეტი წერა-კითხვის მცოდნე აღმსარებლობის მიხედვით ჰყავთ - სომხებს და რომაელ-კათოლიკებს, პირველს 55%, მეორეს - 70%. საერთოდ წერა-კითხვის მცოდნეთაგან გამოიყოფა ქართველები, რომელთაგან მშობლიურ ენაზე წერა-კითხვის მცოდნეა 7791 და რუსულის მცოდნე - 3025. პროცენტული შეფარდება კი ასეთია: წერა-კითხვის მცოდნე - 52,89%, დანარჩენი კი უცოდინარი.

1885 წლის 10 აპრილის აღწერის მიხედვით ქ. ქუთაისის მოსახლეობა წოდების მიხედვით ასეთ სურათს იძლეოდა:

შთამომავლობით თავადაზნაური - 4684

აზნაური - 734

საპატრიო მოქალაქე - 80

ვაჭრები - 89

მეშჩანები - 6178

სასულიერო პირები - 76

გლეხი - 8557

უცნობი წარმომავლობის - 34.¹

მოსახლეობის დიდი ნაწილი ძირეულ მცხოვრებთა გარდა (18838) შეადგენდა გლეხობას, რომლებიც დროებით ცხოვრობდნენ ქალაქში. მათი შემოსავლის წყარო უწინარეს ყოვლისა, იყო ქუთაისის გუბერნიის მაზრები. ასე მაგალითად, ქალაქში ქუთაისის მაზრიდან იყო 803 გლეხი, შორაპნის მაზრიდან - 137, სენაკის მაზრიდან - 254, რაჭის მაზრიდან - 224 და ა.შ.²

აღწერის მიხედვით, ქუთაისის მოსახლეობა საქმიანობის მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდებოდა: მრეწველობაში, ვაჭ-

¹ Кутаисъ по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, 1867, ст. 23-24.

² მ. ნიკოლეიშვილი, დასახ. სტატია.

რობასა და სოფლის მეურნეობაში დასაქმებული იყო 3955 ადამიანი ანუ მთელი მოსახლეობის 19,3%, მომსახურე პერსონალი - 4363 ადამიანი, ანუ 21,3%, მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი - 12,124 ადამიანი იყვნენ ისეთები, რომლებიც არაფერს არ აწარმოებდნენ და მხოლოდ მოიხმარდნენ. მათ რიცხვში შედიან მოსწავლეები, რომლებიც ასაკის გამო იყვნენ მომხმარებლები. აღწერის მასალებში მითითებულია, რომ ყოველ 100 კაცს, რომელიც მწარმოებელი და მოსამსახურე იყო, თავის გარდა, უნდა შეენახა კიდევ 120 კაცი.¹

ამრიგად, ქუთაისის მოსახლეობის ზრდის ტემპი, მის საგუბერნიო ქალაქად გადაქცევის შემდეგ (1846 წ.) მნიშვნელოვნად დაჩქარდა, მაგრამ მოსახლეობის ზრდა, ძირითადად მექანიკური მატების ხარზე ხდებოდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქალაქის მოსახლეობის ერთი მეხუთედი იყო ადგილობრივ დაბადებული, ხოლო ოთხი მეხუთედი კი მოსული იყო სხვა ადგილებიდან.²

ამრიგად, ქუთაისის 1885 წლის ერთდღიანი აღწერა, როგორც აღვნიშნეთ, ბევრი თვალსაზრისით, მაგრამ მოსახლეობის რიცხოვნობის, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ცენზის, აღმსარებლობისა და ქალაქის სხვადასხვა უბნების ძველი განაშენიანების თვალსაზრისითაც საყურადღებოა. იგი იმდენად კომპლექსური ხასიათის განსლდათ, რომ მომდევნო ათწლეულებშიც რომ განხორციელებულიყო ხელთ გვექნებოდა საქალაქო ცხოვრების დეტალური სურათი, რაც მოსახლეობის არამარტო ზრდის, არამედ ყველანაირი მაჩვენებლების შედარების საშუალებას მოგვცემდა.

¹ Кутаисъ по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, 1867, ст. 27.

² ვ. ჯაოშვილი, ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989, გვ. 115.

დამოწმებანი:

1. ვაჭრიძე გ., დასავლეთ საქართველოში რუსეთის ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის ისტორიიდან, ქუთაისი, 2006
2. თავბერიძე ე., ქუთაისი 1885 წლის ერთდღიანი აღწერის მიხედვით. გორის სასწავლო უნივერსიტეტი. X საერთაშორისო კონფერენციის მასალები, გორი, 2017
3. ნიკოლეიშვილი მ., ასი წლის წინათ. გაზეთი „ქუთაისი“, 1985 წელი
4. ქუთაისი XIII საუკუნის 60-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, ქუთ., 2013
5. ჯაოშვილი ვ., ქუთაისი (ეკონომიკურ-გეოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1989
6. Кутаисъ по однодневном переписи, 10 апреля, 1885 г. г. Кутаиси, типография В. Зедгенидзе и П. Ферадзе.

Eldar Tavberidze

Akaki Tsereteli State University

**THE POPULATION OF KUTAISI ACCORDING TO A
ONE-DAY CENSUS OF 1885
RESUME**

The materials of the one-day census of April 10 in 1885, is the main source to study social-economic condition of Kutaisi oduring the last nineteenth century, which was published as a separate book in 1887.

In the introductory part of the book, compiled by the census materials, it's talking about the necessity of conducting

it. It's said that the self-government introduced in 1875 in the town, couldn't work without this census.

The one-day census of Kutaisi, in 1885 gives us an opportunity to study a lot of sides of the city's life. This time we will speak only about the number of inhabitants in Kutaisi.

According to the census, at that time, the population of Kutaisi was 23644. Men were 15374 and female 8270. According to the religion Orthodoxy was on the first place, then the Greeks, Roman Catholics and so on. According to nationality this census gives as such a picture. Georgians – 15832, Russians – 2113, Jews – 2488, Armenians – 1142 and so on.

The one-day census carried out on April 10, 1885, was so complex that if it had carried out in the following decades, we would have had a detailed picture about the city's life, which would give us the chance to compare not only the increase in the population also all the other indicators.

მერაბ კალანდაძე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონზე

ალბათ, მკითხველი, დიდსულოვნად მაპატიებს სენტიმენტალიზმს, მაგრამ ეს ლირიული გადახვევა შეიძლება ინტერესს მოკლებული არ იყოს და გარკვეული მეცნიერული დატვირთვა გააჩნია. ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებით და მოღვაწეობით დაინტერესება, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ იყო და ის მამის გავლენის ლოგიკური შედეგია. მან ძირჩია წამეკითხა აკად. ევგენი ტარლეს წიგნი ნაპოლეონზე. ასე დაიწყო ჩემი დაინტერესება ამ თემით. გატაცება მალე მეცნიერულ დაინტერესებაში გადაიზარდა. სულ მინდოდა დამეწერა ნაპოლეონზე, თავდაპირველად ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნდა, სამეცნიერო-პოპულარულ ხასიათს ატარებდა და კომპილაციას წარმოადგენდა. ეს არცაა გასაკვირი. მე ამ სფეროში საკუთარი გზის ძიების პროცესში ვიმყოფებოდი. ეს იყო ჩვენი დაინტერესების პირველი საფეხური. ჩვენ ვეცადეთ წვლილი შეგვეტანა და, შეძლებისდაგვარად, წინ წაგვეწია საქართველოში ნაპოლეონის მოღვაწეობის სწავლება და პოპულარიზაცია. ცხადია, ეს არ იყო პატარა საქმე, მაგრამ ეს მეცნიერული კვლევა არ იყო. ამიტომ უკმარობის გრძნობა მაინც გვრჩებოდა. ჩვენ განვაგრძობდით საკუთარი გზის ძიებას. როგორც იქნა ბოლოს და ბოლოს ვიპოვე ჩემი ნიშა, კუთხე. ეს იყო ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის შესწავლა საქართველოში ანუ ქართული ნაპოლეონიანა. ეს

ამ პრობლემატიკით დაინტერესების მეორე საფეხური იყო. მან მეცნიერული ელფერი შეიძინა. ეს სიახლე იყო, ქართული კონტექსტი გააჩნია და აღნიშნული საკითხის შესწავლის პირველ მცდელობად გვევლინება.¹

ისტორიულ-სამეცნიერო ლიტერატურაში ნაპოლეონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შეფასების დროს, უმთავრესად, აქცენტი კეთდებოდა მის სამხედრო წარმატებებზე „სამხედრო ბონაპარტიზმზე“, ხოლო „ადმინისტრაციული ბონაპარტიზმი“ შედარებით პერიფერიულ თემას წარმოადგენდა და დიდი ხნის მანძილზე ნაპოლეონის სამხედრო წარმატებების ჩრდილში რჩებოდა. უახლესი ისტორიოგრაფია ცდილობს გაასწოროს ეს ცალმხრივობა და „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“ სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა. ეს, ცხადია, ძალიან კარგია.² შარლ დე გოლის თქმით „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებაში და მმართველობაში“.³ საინტერესოა აღინიშნოს, რომ ნაპოლეონი თავის კა-

¹ კალანდაძე მ. ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. თბ., 2008, კალანდაძე. მ. დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე. თბ., 2016, კალანდაძე მ. ქართული ნაპოლეონიანა. მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას. მეორე სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 1998, კალანდაძე. მ. ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში - „ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII“, თბ., 2015-2016. ანთაძე თ., კალანდაძე მ. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები - „საისტორიო ძიებანი“, XII. თბ., 2015.

² Боботов С.В. Наполеон Бонапарт – реформатор и законодатель. М., 1998.

³ Туган-Барановский. Дж.Формирование бонапартистского режима во Франции в годы консульства (1799-1804 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. М., 1990

ნონშემოქმედებით საქმიანობაზე საკმაოდ დადებითი აზრის იყო და თავის სამხედრო წარმატებებზე მალლა თუ არა, მის გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება იმაში კი არ მდგომარეობს, რომ მე მოვიგე ორმოცი დიდი ბრძოლა... ის, რაც იცოცხლებს მარად, ეს არის ჩემი სამოქალაქო კოდექსები“.¹ თანამედროვე ავსტრალიელმა ისტორიკოსმა, სამხრეთ უელსის უნივერსიტეტის პროფესორმა მარტინ ლაიონსმა თავის გამოკვლევაში „ნაპოლეონ ბონაპარტი და საფრანგეთის რევოლუციის სიღიადე“ დამაჯერებლად ცხადყო, რომ ნაპოლეონ ბონაპარტმა იურიდიულად გააფორმა და განამტკიცა საფრანგეთის რევოლუციის სოციალური მონაპოვარი.² ყველაფერი ეს საინტერესოა და იმაზე უნდა მეტყველებდეს, რომ ნაპოლეონი არ იყო არც „ევროპელი ჩინგიზ-ხანი“ და არც „აიაჩოელი დიოკლეტიანი“, როგორც მას მოიხსენიებდა ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი.

წინამდებარე ნაშრომი ისტორიოგრაფიულ ხასიათს ატარებს და როგორც სათაურიდან ჩანს, წარმოადგენს მცდელობას, გამოარკვიოს თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწის, პუბლიცისტის, ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება საფრანგეთის იმპერატორ ნაპოლეონ ბონაპარტისადმი. ამ კუთხით საკითხის გაშუქება საინტერესოა და აქტუალურად მიგვაჩნია. ეს საშუალებას მოგვცემს შევავსოთ ქართული ნაპოლეონიანას კიდევ ერთი სუფთა ფურცელი და ამ სფეროში თეთრი ლაქები კიდევ უფრო ნაკლები დარჩება. აქ წამოიჭ-

¹ История Франции, в 3 томах. под. ред. А. Манфреда Том 2. М., 1973, გვ. 123.

² Сироткин, В. Наполеон и Россия. М., 2000, გვ. 305.

რება, ჩვენი აზრით, ერთი ფრიად აქტუალური საკითხი. მას ორი ასპექტი გააჩნია. ერთი ვიწრო, კონკრეტული, რომელიც მიზნად ისახავს ნაპოლეონისადმი ქართული ანარქიზმის აღიარებული თავკაცის ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება გამოარკვიოს და მეორე ფართო პრობლემა ანარქისტები და ნაპოლეონი. ეს ნაშრომი ქართულ სინამდვილეში ამ საკითხის დასმად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ კუთხით საკითხის გაშუქება, ვფიქრობთ, საინტერესო იქნებოდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე გვაქვს თავისი დროის ერთ-ერთ გამორჩეულ ქართულ პოლიტიკოსთან, რომელიც ამავე დროს საკმაოდ ნიჭიერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი იყო. ამ კუთხით ქართული საზოგადოება მის შემოქმედებას შედარებით ნაკლებად იცნობს. ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში საკმაოდ ჩახედულებას ამჟღავნებდა დასავლეთ ევროპის ახალ ისტორიაში, ისტორიოგრაფიაში, სიტყვაკაზმულ მწერლობაში, სახვით ხელოვნებაში. ის იყო ძალზე წიგნიერი და ერუდირებული ადამიანი.

განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი წყაროთმცოდნეობითი ბაზა მეტად მწირია. ინფორმაცია, რომელიც ამ საკითხზე, მოვიძიეთ ძალიან ცოტაა. რა თქმა უნდა, სასურველი იყო მას ნაპოლეონზე დაეწერა სპეციალური ნაშრომი ან თუნდაც სტატია, მაგრამ იგი ასე არ მოიქცა. ნაპოლეონის სახელს, უმთავრესად, გადავაწყდებით მის წერილებში. ეს ინფორმაცია, ცხადია, ძალიან ცოტაა, მაგრამ სხვა მასალა არ გაგვაჩნია და ამას უნდა დავჯერდეთ. ამ ბუნწ ინფორმაციაში ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ხომ არ იკითხება? ამგვარი მიდგომა, ჩვენი აზრით, შეიძლება გაცილებით სწორი იყოს, ვიდრე ამ მასალის შეუფასებლობა, გვერდის ავლა, წაყრუება.

არის კიდევ ერთი სირთულე, რომელსაც გვერდს ვერ აუვლი. საქმე ის გახლავთ, რომ მთელი ეს მსჯელობა ფაქტის კონსტატაციად გვევლინება და შეფასებითი მუხტი არ გააჩნია. ამიტომ კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ და ფრთხილ ვარაუდს დავჯერდებით. საფიქრელია, რომ მან ნაპოლეონზე გაცილებით უფრო მეტი იცოდა, ვიდრე ეს წერილებიდან ჩანს. გამორიცხულად არ მიგვაჩნია, რომ შემდგომში გამოვლენილი იქნას ახალი საინტერესო მასალა, რომელიც ამ თემას კიდევ უფრო მეტ ნათელს მოჰყვენს. ჯერჯერობით კი იმ მწირ ინფორმაციას უნდა დავჯერდეთ რაც გაგვაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, ნამცეცებს წარმოადგენს, მაგრამ საყურადღებოა და მისი შეუფასებლობა, ვფიქრობთ, სწორი არ იქნება. კვლავ გავიმეორებთ ასეთი ფუფუნების უფლება არ გაგვაჩნია.

ვარლამ ჩერქეზიშვილი პუბლიცისტურ წერილებში სხვადასხვა კონტექსტში ახსენებს ნაპოლეონს. ეს, ცხადია, საინტერესოა, მაგრამ ძალიან ცოტაა. ჩვენ ამ ტუნწ ინფორმაციაზე და, მის მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით, შევეცადეთ გამოგვერკვია თუ როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ ვარაუდების სახით გაგვიჩნდა გარკვეული მოსაზრებები, რომლებიც შეიძლება საინტერესო იყოს და დაგვეხმარება იმაში, რომ ამ საკითხს მეტი შუქი მოვფინოთ. საკითხს გააჩნია ორი მხარე: პირველი ფაქტოლოგიური, რამდენად გახლდათ გაცნობიერებული ვარლამ ჩერქეზიშვილი ნაპოლეონის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში და მეორე კონცეფტუალური. როგორ აფასებდა ის ნაპოლეონს, მის რეჟიმს. ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონის სახელი მოიხსენიება სხვადასხვა კონტექსტში. ეს, ვფიქრობთ, საინტერესო უნდა იყოს და, პირველ ყოვლისა,

იმ ეპოქის ემპირიული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება. ეს, ცხადია ძალიან კარგია და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. ყოველივე ამას შემეცნებითი დატვირთვა გააჩნია, რაც იმდროინდელი ქართული რეალობის ფონზე წინგადადგმული ნაბიჯია. მისი მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ ამაში უნდა მდგომარეობდეს. როგორი შეიძლება ყოფილიყო ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი და მისი რეჟიმისადმი? საკითხი არის საინტერესო და აქტუალური. ვარლამ ჩერქეზიშვილი არ შემოიფარგლება ემპირიული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნით, თუმცა თავისთავად არც ეს განლავთ პატარა საქმე. მას გააჩნია ამ საკითხის საკუთარი არგუმენტაცია, რომელიც ამ თემაზე მისი მსჯელობის მთავარ ღირსებად მიგვაჩნია და, უმთავრესად დიდი იმპერიებისადმი დამოკიდებულებაში ჰპოვა ასახვა. ნაპოლეონისადმი მიდგომა ამის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ამგვარი ხედვა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალური მარცვალს და, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები.

ნაპოლეონის სახელს წავაწყდით ვარლამ ჩერქეზიშვილის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში და ამან, ცხადია, უძალ მიიპყრო ჩვენი ყურადღება. როგორ აფასებდა ქართული ანარქიზმის ლიდერი ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობას? როგორი იყო მისი როგორც პოლიტიკოსის და პუბლიცისტის დამოკიდებულება ნაპოლეონისადმი? ამის გამორკვევას შეფასებითი დატვირთვა გააჩნია, საკითხის ისტორიოგრაფიული მხარე სწორედ ამაში მდგომარეობს.

ვარლამ ჩერქეზიშვილი თავის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, პუბლიცისტურ წერილებში, ნაპოლეონის ცხოვრებას და მოღვაწეობას საგანგებოდ არ შეხებია. მას ამ საკით-

ხზე სპეციალური წერილი არ აქვს დაწერილი და, როგორც ჩანს, ასეთი განზრახვა არც ჰქონია. ის თავის პუბლიცისტურ წერილებში, სხვადასხვა კონტექტსში ახსენებს ნაპოლეონის სახელს. ეს, ვფიქრობთ, საინტერესოა და მისი უყურადღებოდ დატოვა უმართებულო იქნებოდა. ის ფაქტის კონსტატაციას ახდენს, რაც ემპირული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნას ემყარება და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებით მხარედ გვევლინება.

პირველ ყოვლისა უნდა დავაზუსტოთ, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონის სახელი მოიხსენიება არა ხუთჯერ, როგორც ეს სახელთა საძიებელშია მითითებული, არამედ ოთხჯერ. 278 გვერდზე მისი სახელი მოხსენიებას ვერ გადავაწყდით.¹

ვ. ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონის სახელს პირველად ვხდებით 56 გვერდზე მის სტატიაში „მონოპოლისტები და ბირჟის პატრონები“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1893 წლის 2 ივლისს, როდესაც ის როტშილდების საქმიანობასთან დაკავშირებით ახსენებს ნაპოლეონს. აი რას წერს ვარლამ ჩერქეზიშვილი: „მილიარდების პატრონთა შორის სულ ყველაზე უძველესი ფირმა აქვთ როტშილდებს, რომელთაც დაიწყეს საქმეები ნაპოლეონ I-ის დროს, ამ საუკუნის დამდეგს“.² ვარლამ ჩერქეზიშვილი სწორედ ახდენს ფაქტის კონსტატაციას, რაც ემპირული, ფაქტოლოგიური მასალის ცოდნას ემყარება და ამ თემაზე მისი მსჯელობის დადებითი მხარეა. მართლაც როტშილდების აღზევება ნაპოლეონის დროიდან დაიწყო.

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებანი, ტომი 1. შექმნილი და რედაქტორი პროფ. დ. შველიძე. თბ., 2011, გვ. 494.

² იქვე, გვ. 56.

ნაპოლეონის სახელი გვხვდება ვარლამ ჩერქეზიშვილის სტატიაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1900 წლის 15 აგვისტოს და ეტყობა, სრულიად უნებლიეთ დაემთხვა ნაპოლეონის დაბადების დღეს. აქ ნაპოლეონის სახელი სულ სხვა კონტექტსში ფიგურირებს. მას ცოტა სხვა დატვირთვა გააჩნია. ეს რაკურსი საინტერესოა. „ყველა ეს – შემომჩიოდა ერთი ხნიერი ინგლისელი, – როგორღაც ინგლისურს არა ჰგავს! ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით ჩვენის საქმიანობით, სხვაგანაც კი გაგვივარდა სახელი, რომ ჩვენ (ე. ი. ინგლისელები - მ. კ.) პრაქტიკის, ანგარიშის ხალხი ვართ, ერთის სიტყვით, როგორც ნაპოლეონი ამბობდა, ჩვენი ერი მეღუქნეთა, ვაჭართა ერია, რომელიც იდეალების მაგიერობას ანგარიშს უწევს. ეხლა კი სჩანს რომ იდეალები არ შეგვიქმნია; თუ რამ უმნიშვნელო იდეალები გვებადა, ისიც დავივიწყეთ...“¹ როგორც ხედავთ, აქ ის ნაპოლეონის აზრს არგუმენტად იშველიებს. ეს ორი წერილი მიზნად არ ისახავს ნაპოლეონის მოღვაწეობის შეფასებას და მის სახელი მხოლოდ გაკვრით, სხვადასხვა კონტექტსში მოიხსენიება. ემპირული, ფაქტოლოგიური, მასალის ცოდნა მისი მსჯელობის პლუსია. ამ ინფორმაციის მნიშვნელობა, ვფიქრობთ, სწორედ, ამაში უნდა მდგომარეობდეს.

მესამედ ნაპოლეონის სახელს გადავაწყდით ვარლამ ჩერქეზიშვილის ვრცელ სტატიაში „წერილები ინგლისიდან“, რომელიც გაგრძელებებით დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1901 წელს. აქ ნაპოლეონისადმი მისი დამოკიდებულება შედარებით უფრო გამჭვირვალეა. ნაპოლეონის სახელმა დიდ იმპერიებთან კონტექტსში გაიჟღერა. საქმე ისაა, რომ თავის წერილში ვარლამ ჩერქეზიშვილი შეეხება იმპერიების ბედს და მკა-

¹ იქვე, გვ. 150.

ფიოდ გამოხატავს მმართველობის ამ ფორმასთან თავის დამოკიდებულებას. ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის პირობებში ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება დიდი იმპერიების შეფასებაში ჰპოვა ასახვა. ხომ არ იკითხება აქ ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულების სიმპტომები, ნიშნები? დიდი იმპერიების და მათ შორის, ცხადია, ნაპოლეონის იმპერიის შეფასება ყურადღებას იპყრობს და ხომ არ წარმოადგენს ის ნაპოლეონისადმი დამოკიდებულების გამოძახილს? იმპერიებისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაში პირდაპირ თუ ირიბად შეიძლება დავაფიქსიროთ, მისის მიდგომა ნაპოლეონისადმი დიდი ალბათობით, ის, დადებითი ვერ იქნებოდა. ამ საკითხს შეიძლება ასეც შევხედოთ.

„გვარწმუნებენ, სთქვა მორლეიმ, რომ ინგლისის ძლიერება ღონიერსა და მეომარს იმპერიით უნდა გამოიხატოსო. სხვა სიტყვებით რომ ვსთქვათ, ინგლისი სამხედრო სახელმწიფოდ უნდა გადაიქცეს, გადაუხვიოს ლიბერალიზმისა და თვითმმართველ ახალშენების გზას და გაცენტრალიზებურ სახელმწიფო მანქანად შეიქმნეს. ამის მოსურნენი დაბრმაგებულნი არიანი ბაბილონისა, ასირიისა, სპარსეთისა, დიდი კარლოს ღროისა, ნაპოლეონის იმპერიების გარეგანის ძლიერებით, მაგრამ ეს იმპერიები გაჰქრნენ. არა ჰქრება მხოლოდ ენა, ეროვნება, კულტურა“.¹ ამ მწირ ინფორმაციაში, მართლაც მეტად მკრთალად, სუსტად, მაგრამ მაინც მოჩანს ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულების სიმპტომები, ნიშნები, ამიტომ მისი შეუფასებლობა მიზანშეწონილი არ იქნებოდა.

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებანი, გვ. 296.

ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობას ცხადია, მემარცხენე პოზიციებიდან შეეცდებოდა შეეფასებინა და მისი ერთპიროვნული მმართველობისადმი, საფიქრებელია ინდიფერენტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა. დიდი იმპერიებისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულებაში ნაპოლეონისადმი მიდგომის ანარქული მოჩანს და ამის წაყრუება, გვერდის ავლა, ჩვენს ხელთ არსებული მწირი ინფორმაციის პირობებში, მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია. ეს, ვფიქრობთ, გაცილებით უფრო სწორი მიდგომა იქნებოდა.

ვარლამ ჩერქეზიშვილის მიერ „ივერიის“ ფურცლებზე ნაპოლეონის სახელის მოხსენიება, ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ამით მთავრდება.

მეოთხედ ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში ნაპოლეონის სახელს გადავაწყდით მის სტატიაში, რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ 1904 წლის 21 აპრილს, ამჯერად ნაპოლეონის სახელი ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერებში გაისმა ირლანდიის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობასთან კონტექსტში, რომელიც, როგორც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, პოპულარობით სარგებლობდა და აქტუალური იყო. აი რას წერდა ვარლამ ჩერქეზიშვილი: „ირლანდიელების უკანასკნელ აჯანყების შემდეგ, რომელიც ნაპოლეონ პირველის აგენტების ზედ-გავლენით მოხდა, ეროვნული პარლამენტი დუბლინიდან ლონდონში გადაიტანეს და შეუერთეს ინგლისის პარლამენტს, სადაც ირლანდიელებს შეეძლოთ გაეგზავნათ 80 დეპუტატი“.¹ პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი ამჟღავნებს ამ საკითხში საკმაო ჩახედულებას, რაც ემპირული, ფაქტობ-

¹ ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებანი, გვ. 469.

რივი, მასალის ცოდნას ემყარება და ამ თემაზე მისი მსჯელობის პლუსია. მან კარგად შენიშნა, რომ ირლანდიელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში საფრანგეთის ხელი ერია და მხარს უჭერდა ნაპოლეონი. ამით მას სურს ზიანი მიაყენოს თავის დაუძინებელ მტერს ინგლისს, რაც რა თქმა უნდა, ვარლამ ჩერქეზიშვილს არ გამოეპარებოდა. მეტი სიზუსტისათვის, ალბათ, სასურველი იქნებოდა მითითებული ყოფილიყო აჯანყების თარიღი.

ჩვენს ხელთ არსებულ მცირე მასალაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, საინტერესო სურათი იკვეთება. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის, დამოკიდებულება ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისადმი, ავტორიტეტული რეჟიმისადმი, ინდიფერენტულად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვლებს, ამ თემაზე მისი შეხედულების დადებით მხარედ გვეკვლინება და, ბუნებრივია, გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. მას მედლის ერთი მხარე, ვფიქრობთ, კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობის, ავტორიტარული რეჟიმისადმი, ცხადია, კეთილგანწყობილი ვერ იქნებოდა. ცეზარისტული რეჟიმისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება, ვფიქრობთ, გამჭვირვალეა. ცეზარისტული რეჟიმი ერთგვაროვანი არ გახლავთ. ნაპოლეონის სახით საქმე გვაქვს „პროგრესული ცეზარიზმის“ წარმომადგენელთან. რამდენად ჰქონდა ის გაცნობიერებული ვარლამ ჩერქეზიშვილს ეს? ჩვენს ხელთ არსებული ძუნწი ინფორმაციის პირობებში კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ. იკვეთება ორი ვერსია: ვარლამ ჩერქეზიშვილს, როგორც ანარქისტს, ბონაპარტისტული რეჟიმის დადებითი მხარე ან ძალიან სუს-

ტად, მკრთალად, შეიძლება ჰქონდა გაცნობიერებული ან, რაც, ჩვენი აზრით, შესაძლოა, კიდევ უფრო რეალისტური ჩანდეს. მისი, როგორც ანარქისტის, დამოკიდებულება პოზიტივის მიმართ უარყოფითი შეიძლება ყოფილიყო. ცეზარისტული რეჟიმი, ნაპოლეონის იმპერია, მისთვის, როგორც ანარქისტისთვის, მიუღებელი იქნებოდა. ნაპოლეონის იმპერიისადმი დამოკიდებულებაში ნაპოლეონისადმი მიდგომის გამოცხილს ვხედავთ. ვარლამ ჩერქეზიშვილი როგორც ანარქისტი, ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას? ჩვენ, შეძლებისდაგვარად, შევეცდებით ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ.

აღბათ, არ შევეცდებით თუ ვიტყვით, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობის ავტორიტარული რეჟიმის შეფასებას მემარცხენე პოზიციებიდან ცდილობს. ვფიქრობთ, მნიშვნელოვანწილად, ამით აიხსნება, რომ ნაპოლეონის და მისი მმართველობის მიმართ ვარლამ ჩერქეზიშვილი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ნაპოლეონის იმპერიისადმი თავშეკავებული დამოკიდებულება. ნაპოლეონისადმი მიდგომა ამის ლოგიკურ გაგრძელებად გვევლინება. ნაპოლეონის რეჟიმის კონტრევოლუციურ ტენდენციებზე აქცენტირება მაინც დიდ სიფრთხილეს მოითხოვს და გადაჭარბებული შეიძლება იყოს, რაც, ჩვენი აზრით, ვარლამ ჩერქეზიშვილის მოსაზრების აქილევსის ქუსლად შეიძლება იქნას მოაზრებული.

აი სულ ეს არის ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია. რა შეიძლება ითქვას მასზე? კატეგორიულად რამის მტკიცება, ამ მწირ მასალაზე დაყრდნობით, რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იქნებოდა, მაგრამ პესიმიზს არ უნდა მივეცეთ, გამო-

უვალი მდგომარეობა არ არსებობს. თუ კარგად დაუკვირდებით გამოსავალი აუცილებლად გამოჩნდება. აი ასეთ გზამკვლევად ვარლამ ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობა გვესახება. ამ საკითხის გასაღებიც, ვფიქრობთ, სწორედ, აქ ძვეს. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას? შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ის, როგორც მემარცხენე პოლიტიკოსი აქცენტს გააკეთებდა ნაპოლეონის რეჟიმის კონსერვატორულ ტენდენციებზე.

ჩვენს ხელთ არსებულ მწირ ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება იმის სიმპტომები, ნიშნები, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი როგორც ანარქისტი ნაპოლეონზე მაინც და მაინც მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს. ეს იმით აიხსნება, რომ მისი ერთპიროვნული მმართველობა, ავტორიტარული რეჟიმი არ შეესიტყვება მის პოლიტიკურ იდეალს. მის ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში ნაპოლეონისადმი დამოკიდებულება იმპერიების, მათ შორის, ნაპოლეონის იმპერიისადმი, უარყოფითი შეფასებით ჰპოვა ასახვა. ამგვარ მიდგომას, ცხადია, აქვს თავისი რეზონი, აზრი და, ბუნებრივია გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები. გამოვთქვამთ ფრთხილ ვარაუდს, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილს საგანგებო ნაშრომი ან თუნდაც სტატია რომ დაეწერა ნაპოლეონზე, მისი დამოკიდებულება საფრანგეთის იმპერატორისადმი, ალბათ, უარყოფითი იქნებოდა.

ნაპოლეონის ტირანიასა და დესპოტიზმზე აპელირება ფრიად დამახასიათებელი იყო მემარცხენე პოლიტიკური ძალებისათვის. მათ შორის ვარლამ ჩერქეზიშვილიც, შეიძლება იქნას მოაზრებული. ცნობილი გერმანელი მარქსისტი ისტორიკოსის აკად. ერნსტ ენგელბერგის აზრით, „ნაპოლეონი განასახიარებდა საფრანგეთის რევოლუციის ანტიდემოკრატი-

ულ ფრთას“. მეტისმეტად ხომ არ ვამუქებთ საქმის ვითარებას?

ამოვიდეთ იქიდან, რომ ცეზარისტული რეჟიმი ერთგვაროვანი არ გახლავთ. მისი სხვადასხვა სახეობები არსებობს. პირობით, ის ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: „პროგრესული ცეზარიზმი“ და „რეაქციული ცეზარიზმი“. მათ შორის ძალიან მყიფე ზღვარი არსებობს. მისი მნიშვნელობა შეიძლება განვსაზღვროთ არა სოციოლოგიური სქემების საფუძველზე, არამედ კონკრეტული ისტორიული მონაცემების საფუძველზე. რა შემთხვევაში შეიძლება იყოს ცეზარისტული რეჟიმი პროგრესული და რა შემთხვევაში არა? ერთ შემთხვევაში ცეზარიზმი ასრულებს პროგრესულ როლს და ცეზარისტული რეჟიმი ხელს უწყობს პროგრესული ძალების წარმატებას, თუნდაც გარკვეული კომპრომისების და დათმობების ხარჯზე, რომელიც გავლენას ახდენს შედეგზე. სულ სხვაა „რეაქციული ცეზარიზმი“. ცეზარისტული ძალების ჩარევას მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოაქვს და განაპირობებს რეაქციული ძალების წარმატებას.¹ იყო ნაპოლეონის რეჟიმი ასეთი? ალბათ, მაინც არა.

მიუხედავად ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობისა, შეიძლება ითქვას, რომ პროგრესული ელემენტი დომინირებს რეაქციულზე, წითელი ჭარბობდა შავს. ამიტომ ნაპოლეონი „პროგრესული ცეზარიზმი“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენლად შეიძლება მივიჩნიოთ.² რაში მდგომარეობდა

¹ Туган-Барановский. Дж. Формирование бонапартистского режима во Франции в годы консульства (1799-1804 гг.). Автореферат докторской диссертации по истории. М., 1990, с. 47-48. Грамши. А., Избранные произведения, Т. 3. М., 1959, с. 185-186.

² ანათაძე კ., კალანდაძე მ. საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005, გვ. 115. კალანდაძე მ. ნაპოლეონი – დიქტატორი და

ბონაპარტიზმის არსი? პირველ ყოვლისა ის ორიენტირებული იყო საზოგადოებრივი წესრიგის იდეაზე, ზომიერ სოციალურ რეფორმებზე, რომელიც გამსჭვალული იყო ლიბერალური სულისკვეთებით, სამხედრო დიდებაზე, ევროპის ხალხების გაერთიანებაზე.¹ ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა, ავტორიტარული რეჟიმი, როგორც ანარქისტისათვის მიუღებელი ჩანდა. მას ნაპოლეონის მმართველობა „პროგრესულ ცეზარიზმად“ არ ესახებოდა. ცეზარისტული რეჟიმის ნებისმიერი გამოვლინება მისთვის მიუღებელი იყო. ის რომ ნაპოლეონის იმპერიას ლიბერალური ელფერი დაჰკრავდა, მას, ეტყობა, ნაკლებად აინტერესებდა. ნაპოლეონის რეჟიმის შედარება XX საუკუნის ტოტალიტარულ რეჟიმებთან, განსაკუთრებით ფაშიზმთან, ცხადია არ ღირს, ზედმეტია.²

ცეზარისტული რეჟიმისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის უარყოფითი დამოკიდებულება, ვფიქრობთ, სავსებით გამჭვირვალეა და არავითარ ეჭვს არ იწვევს. ნაპოლეონის მმართველობა მას, სწორედ, ცეზარისტულ რეჟიმად ესახებოდა. ამაში ვარლამ ჩერქეზიშვილი სავსებით მართალი იყო და ვერ შეედავები. მას ნაპოლეონის მმართველობის კონსერვატორული მხარე, როგორც ანარქისტს ვფიქრობთ, ძალიან კარგად უნდა ჰქონოდა გაცნობიერებული. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ცეზარისტული რეჟიმი ერთგვაროვანი არ გახლავთ, ცეზარისტული რეჟიმის ნებისმიერი ფორმა მას, როგორც ანარქისტს მიუღებლად ესახებოდა, როგორც ჩანს, მის

რეფორმატორი – ქართული დიპლომატია, წელიწადეული, 15. თბ., 2011, გვ. 284-304.

¹ ანთაძე კ., კალანდაძე მ., საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. გვ. 133.

² Сьюард, Д. Наполеон и Гитлер. Смоленск, 1995

შინაარსს დიდ მნიშვნელობას აღარ ანიჭებდა. როგორც ხედავთ, ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, თავისი სამრეკლოდან უყურებდა ნაპოლეონის მმართველობას. ამგვარი მიდგომა, უეჭველად, შეიცავს ჭეშმარიტების მარცვლებს და ბუნებრივია, გააჩნია თავისი პლუსები და მინუსები.

ჩვენს ხელთ არსებულ მწირ ინფორმაციაზე და ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკურ კრედოზე, მსოფლმხედველობაზე დაყრდნობით ასეთი საინტერესო სურათი იკვეთება. კატეგორიულად არაფერს არ ვამტკიცებთ, მაგრამ არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი ნაპოლეონ ბონაპარტეზე მაღალი აზრის არ უნდა ჩანდეს და მისთვის, როგორც მემარცხენე შეხედულებების პოლიტიკოსისათვის, ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა, ავტორიტარული რეჟიმი, მიუღებელი იქნებოდა. ამგვარი აქცენტები ვფიქრობთ, შემთხვევითი არ არის და მნიშვნელოვან წილად იმით აიხსნება, რომ ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, მას როგორც ანარქისტს ნაპოლეონის რეფორმები, კანონმემოქმედებითი საქმიანობა, შესაძლოა, სუსტად, მკრთალად, ჰქონდა გაცნობიერებული. ხომ არ აღმოჩნდა ბონაპარტისტული რეჟიმის პოზიტიური ასპექტები მისი, როგორც ანარქისტის, თვალსაწიერს მიღმა? ბონაპარტისტული რეჟიმის ცეზარისტულმა ხასიათმა ხომ არ დაჩრდილა ნაპოლეონი, როგორც რეფორმატორი და კანონმდებელი? ეს მხარე ნებსით თუ უნებლიეთ კადრს მიღმა ხომ არ დარჩა? ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას?

ამრიგად, განსაკუთრებით მტკივნეულად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ ამ თემაზე ძალზე მწირი ინფორმაცია გაგვაჩნია და ვარლამ ჩერქეზიშვილს ნაპოლეონზე საგანგე-

ბო ნაშრომი ან თუნდაც სტატია არ დაუწერია. ეს უფრო მეტ ნათელს მოჰყენდა ამ საკითხს და ძალიან დაგვეხმარებოდა ამ თემის გაშუქების დროს. ეს პუნქტი ინფორმაცია, რა თქმა უნდა, ძალიან ცოტაა, ფაქტობრივად, ნამცეცებს წარმოადგენს, მაგრამ მისი უყურადღებოდ დატოვება მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ასეთი ფუფუნების უფლება არ გვაქვს. ეს მწირი მასალა, მის მსოფლმხედველობასთან ერთად, საშუალებას გვაძლევს ვცადოთ გამოვარკვიოთ თუ როგორი შეიძლება ყოფილიყო მისი დამოკიდებულება ნაპოლეონ ბონაპარტისადმი. ასეთი ფრთხილი მიდგომა არავითარ ჩრდილს არ აყენებს ამ მსჯელობის მეცნიერულ მნიშვნელობას. ჰიპოთეზებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულება გამართლებული არ იქნებოდა. ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის ცნობილი რომანის გმირის, ფრანგი გეოგრაფის ჟაკ პაგანელის თქმით, „ჰიპოთეზებს მივყავართ მეცნიერებამდე“, „მეცნიერება ჰიპოთეზების სასაფლაოა“.

ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ვარლამ ჩერქეზიშვილს სპეციალური ნარკვევი ან სტატია რომ დაეწერა ნაპოლეონზე არსებობს დიდი ალბათობა, რომ ნაპოლეონის და მისი მმართველობისადმი მისი დამოკიდებულება ინდიფერენტული იქნებოდა. ამგავრი მიდგომა, ვფიქრობთ, შემთხვევითი არ უნდა ყოფილიყო და მისი გასაღები ვარლამ ჩერქეზიშვილის მსოფლმხედველობაში უნდა ვეძიოთ. ვარლამ ჩერქეზიშვილისათვის, როგორც ანარქისტისათვის ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველობა, ავტორიტარული რეჟიმი, ცხადია, მიუღებელი იქნებოდა და არ შეესაბამებოდა მის პოლიტიკურ იდეალს. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. ისინი ბარიკადის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ. ნაპოლეონი მემარჯვენე პოლიტიკოსი იყო, ხოლო ვარლამ ჩერქეზიშვილი კი - მემარცხენე. ბუნებრივია, რომ ის ნაპოლეონის მოღვაწეობის

შეუფასებლად შემარცხნენ პოზიციებზე იდგებოდა, რომლის-თვისაც ნაპოლეონის ერთპიროვნული რეჟიმი, ავტორიტარული რეჟიმი მიუღებელი უნდა ყოფილიყო და ის ნაპოლეონისადმი კეთილგანწყობილი ვერ იქნებოდა.

კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ, მხოლოდ ფრთხილ ვარაუდს გამოვთქვამთ, რომ ქართული ანარქიზმის აღიარებული ლიდერის, ნიჭიერი პუბლიცისტის და ჟურნალისტის ვარლამ ჩერქეზიშვილის სახით საქმე შეიძლება გვაქვს ქართული ნაპოლეონიანას ანტიბონაპარტისტული ფრთის წარმომადგენელთან. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ მას როგორც ანარქისტს, ბუნებრივია, ნაპოლეონის მომხრეთა რიგებს ვერ მივაკუთვნებთ. ამ გაგებით ვსაუბრობთ მის ანტიბონაპარტისტულ განწყობილებებზე. ამ შემთხვევაში ეს წმინდა პირობითი ცნებაა. აი ასეთია ამ საკითხის ჩვენეული ხედვა.

ჩვენს ხელთ არსებული მცირე ინფორმაციის გამო, რა თქმა უნდა, კატეგორიულად არაფერს ვამტკიცებთ და მხოლოდ ჰიპოთეზების, ფრთხილი ვარაუდის, სფეროთი შემოვიფარგლებით. ამ მასალის წაყრუება, გვერდის ავლა, ჩვენი აზრით, გამართლებული არ უნდა ჩანდეს. ჩვენ მასში ვცაღდეთ ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის დამოკიდებულება ამოგვეკითხა და ამ საკითხზე ფრთხილი ვარაუდი ამოგვეთქვა. ამგვარი მიდგომა, ვფიქრობთ, გაცილებით სწორი იქნებოდა, ვიდრე ამ მასალის შეუფასებლობა.

ჩვენს ხელთ არსებული მცირე ინფორმაციაზე დაყრდნობით იკვეთება ნაპოლეონისადმი ვარლამ ჩერქეზიშვილის ინდიფერენტული დამოკიდებულების სიმპტომები, ნიშნები და მასზე თვალის დახუჭვა სწორი არ იქნება. ჩვენი ფრთხილი ვარაუდით, ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის დამოკიდებულება ნაპოლეონის ერთპიროვნული მმართველო-

ბის და ავტორიტარული რეჟიმისადმი დადებითი ვერ იქნებოდა. ამგავრ მიდგომას გააჩნია თავისი რეჟონი, აზრი და, ბუნებრივია, აქვს თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი, ხომ არ ამუქებდა საქმის რეალურ ვითარებას? რამდენად ჰქონდა გაცნობიერებული ვარლამ ჩერქეზიშვილს, როგორც ანარქისტს, ნაპოლეონის რეჟიმის ლიბერალური ტენდენციები? იკვეთება ორი ვერსია. მას ამ კუთხით ეს საკითხი ან ძალიან სუსტად, მკრთალად შეიძლება ჰქონდა გაცნობიერებული ან, ჩვენი აზრით, რაც კიდევ უფრო რეალურია, ის ნაპოლეონის რეჟიმის ამ მხარეს უარყოფითად ეკიდებოდა. არსებობს დიდი ალბათობა, რომ ვარლამ ჩერქეზიშვილი, როგორც ანარქისტი ნაპოლეონის მმართველობის არ აღიქვამდა, როგორც „პროგრესულ ცეზარიზმს“. ჩვენი აზრით, ვარლამ ჩერქეზიშვილის, როგორც ანარქისტის, დამოკიდებულება ნაპოლეონის და მისი მმართველობისადმი, ინდიფერენტულად შეიძლება მივიჩნიოთ. ამგვარი ხისტი დამოკიდებულება საკამათო შეიძლება იყოს და შესიტყვების სურვილს გვიჩენს.

დამოწმებანი:

1. კალანდაძე მ., ნაპოლეონი ქართულ სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში. თბ., 2008
2. კალანდაძე მ., დიმიტრი უზნაძე საფრანგეთის დიდ რევოლუციასზე და ნაპოლეონზე. თბ., 2016
3. კალანდაძე მ., ქართული ნაპოლეონიანა. მიეძღვნა ალექსანდრე ორბელიანის ხსოვნას. მეორე სამეცნიერო კონფერენცია. თბ., 1988
4. კალანდაძე მ., ნაპოლეონის ცხოვრების და მოღვაწეობის წყაროთმცოდნეობის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში

- „ქართული წყაროთმცოდნეობა XVII-XVIII“, თბ., 2015-2016.
5. ანთაძე თ., კალანდაძე მ. საქართველოში საფრანგეთის დიდი რევოლუციის და ნაპოლეონის ეპოქის შესწავლის საკვანძო მომენტები - „საისტორიო ძიებანი“, XII. თბ., 2015.
 6. Боботов С.В., Наполеон Бонапарт – реформатор и законодатель. М., 1998.
 7. Туган-Барановский. Дж. Формирование бонапартистского режима во Франции в годы консульства (1799-1804 гг.). Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. М., 1990
 8. История Франции, в 3 томах. под. ред. А. Манфреда Том 2. М., 1973
 9. Сироткин В., Наполеон и Россия. М., 2000
 10. ჩერქეზიშვილი ვ. თხზულებანი, ტომი 1. შემდეგენელი და რედაქტორი პროფ. დ. შველიძე. თბ., 2011
 11. ანთაძე კ., კალანდაძე მ., საფრანგეთის ისტორია, კულტურა, გეოგრაფია. თბ., 2005
 12. კალანდაძე მ., ნაპოლეონი – დიქტატორი და რეფორმატორი – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, 15. თბ., 2011.
 13. Сьюард Д., Наполеон и Гитлер. Смоленск, 1995
 14. Грамши А., Избранные произведения, Т. 3. М., 1959

Merab Kalandadze

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**VARLAM CHERKEZISHVILI ABOUT NAPOLEON
RESUME**

This article has a historiographical character and its goal is to establish how was famous Georgian politician, journalist and one of the great leaders of anarchism Varlam Cherkezishvili's dependence on Napoleon Bonaparte. The question is interesting and actual. From this point this question was never studied and I decide to study it and it is one try to research the new question in Georgian Napoleonic Studies.

According to our small information we hope that Varlam Cherkezishvili's dependence on Napoleon was negative and the causes of this dependence is worldview of this person. For him as anarchist has negative dependence toward authoritarian regime. We think that Varlam Cherkezishvili doesn't know the positive side of Napoleon's government. Napoleon was one of the famous representatives of "Progressive Caesarism". Caesarist regimes are different.

According to our hope we think that in Georgian Napoleonic Studies Varlam Cherkezishvili was one of the famous anti-Napoleonist.

იგორ კეკელია
მარტვილის რაიონის ისტორიისა და კულტურის
შემსწავლელი სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი

ევროპელი ავტორები სამეგრელოს შესახებ (ედმუნდ სპენსერი)

ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის – კარლ კოხის მიერ შედგენილი, თარგმნილი და ქალაქ ლაიფციგში 1855 წელს გერმანულ ენაზე გამოცემული კრებული – „კავკასიის ქვეყნები და სომხეთი“, მნიშვნელოვანი წყაროა XIX ს-ის I ნახევრის საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით. კრებულში გაერთიანებული ხუთი ავტორის თხზულებიდან ჩვენ ამჯერად ყურადღებას მივაპყრობთ **ედმუნდ სპენსერის** უაღრესად საინტერესო ისტორიულ მასალას – „მოგზაურობას ჩერქეზეთის, აფხაზეთის და სამეგრელოს გასწვრივ“. კრებული სწორედ ამ ცნობებით იწყება¹.

ე. სპენსერის მოგზაურობა პოლიტიკურად რთულ და საინტერესო პერიოდს დაემთხვა. ეს ის დროა, როცა საქართველოს ფაქტობრივად „დაკარგული ჰქონდა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და მეფის რუსეთის თვითმპყრობელური რეჟიმის მარწუნებში იყო მომწყვედებული“². დასავლეთ საქარ-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981, გვ. 10-11.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 13.

თველოს გარკვეული ნაწილი (ოდიში, გურია, იმერეთი, აფხაზეთი) რუსეთის იმპერიის კონტროლქვეშ იყო. „ეს ვითარება, – შენიშნავს ლ. მამაცაშვილი, – თუმცა საყოველთაოდ ცნობილი და კარგად შესწავლილია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, მაინც ყოველი ახალი წყარო, რომელიც ამ პერიოდს ეხება, დიდი ინტერესის აღმძვრელია და გარკვეულ მნიშვნელობას იძენს ქვეყნის ისტორიის შესწავლის დროს“¹.

კავკასიაში სამოგზაუროდ ჩამოსულ ე. სპენსერს, მეცნიერულ ინტერესებთან ერთად, პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა. ევროპული ორიენტაციის გამომხატველ მის ჩანაწერებში საკმაოდ გამოკვეთილად იკითხება უკმაყოფილო დამოკიდებულება რუსეთის ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკისადმი. სპენსერის უპირველესი მიზანი, ლ. მამაცაშვილის აზრით, „როგორც დ. ურქარტის თანამშრომლისა და რეზიდენტისა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, არამეცნიერული იყო. ამიტომ იგი უფრო მეორე ჯგუფის მოგზაურთ უნდა მივაკუთვნოთ“².

მოგზაურის ჭეშმარიტი სახე და ის რეალური იმპულსი, რამაც სპენსერს კავკასიის ქვეყნებში მოგზაურობისკენ უბიძგა, ლ. მამაცაშვილს ასე ესახება: კავკასიაში კაპიტან სპენსერის გამოჩენა დაემთხვა კავკასიაში ინგლისური დაზვერვის განსაკუთრებული აქტივიზაციის პერიოდს. ოფიციალური ცნობების მიხედვით იგი მიჩნეულია ინგლისის რეზიდენტად ჩერქეზეთში და ინგლისის კომერციული პოლიტიკის ინტერესების დამცველად კავკასიაში. სწორედ ამ მოტივით

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 13-14.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 15.

იყო ნაკარნახევი სპენსერის თანაგრძნობა ჩერქეზებისადმი რუსეთის წინააღმდეგ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში¹.

სპენსერი დიდ დაინტერესებას იჩენს და დეტალურად აღწერს შავიზღვისპირა სანაპიროზე მდებარე ყველა სამხედრო პუნქტს, ციხესიმაგრეს, დიდ ნავსადგურებს, მათ ადგილმდებარეობასა და სტრატეგიულ მნიშვნელობას. ამ მრავალმხრივ საინტერესო ჩანაწერების სხვა ისტორიულ მასალასა და წყაროებთან შეჯვრებით შევეცდებით, გარკვეული წარმოდგენა ვიქონიოთ XIX ს-ის I მესამედის სამეგრელოს პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებასა და ეთნოგრაფიულ ყოფაზე.

სამეგრელოს სამთავროში მოგზაურობაზე მოთხრობილია სპენსერის თხზულების IV თავში („სამეგრელო და სვანეთი“).

მოგზაური სამეგრელოს ჩრდილო-დასავლეთ შავიზღვისპირეთიდან, კერძოდ, სოხუმიდან ეწვია. სპენსერი აღტაცებულია სამეგრელოს გაუვალი ტყეებით და მარადიული თოვლით დაფარული მთაგრეხილებით, მთის მაცხოვრებელთა სახლებითა და დამუშავებული ველ-მინდვრებით. მოგზაური იმედოვნებდა, რომ ამ მშვენიერი ბუნების მფლობელი ხალხი მალე ხელს გამოიღებდა, იარაღით აღიჭურვებოდა და გაილაშქრებდა იმ დამპყრობელთა წინააღმდეგ, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე აფერხებდნენ მათ წინსვლას. დამპყრობელთაგან განთავისუფლების შემდეგ ეს ქვეყანა მაგნიტივით მიიზიდავს უამრავ ტურისტს, ხელოვნების მოყვარულს, მინერალოგს, ბოტანიკოსს, გეოლოგსა და ყველას, ვისაც აინტერესებს მსოფლიოში უძველესი და მიმზიდველი ხალხის ისტორია, პოეზია და თქმულებები. ამ დიდებული

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 21.

სანახაობის პატრონმა ხალხმა დიდი სიძამაცე გამოიჩინა და შეძლო, რომ წინ აღდგომოდა ისეთ ძლიერ მტერს, როგორცაა ჩრდილოეთის მძვინვარე დესპოტი რუსეთი. კავკასიაზე გადავლით ცენტრალური აზიის ქვეყნებისაკენ სწრაფვას წინ გადაეღობა მამაცი და თავისუფლებისმოყვარე ხალხი (გულისხმობს კავკასიელებს, მათ შორის მეგრელებს), „რომელსაც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობა ურჩევნია უცხოელების ოქროს და მშობლიურ მთებსა და თავისუფლებას ამჯობინებს უცხოელების მიერ შემოთავაზებულ სიმდიდრესა და ბრწყინვალეობას“¹.

სოხუმ-კალეს ნავსადგურის შემდეგ ედმუნდ სპენსერი ასახელებს კელასურის, კოდორის, ილორისა და ანაკლიის ყურეებს და აღნიშნავს, რომ ანაკლია მდებარეობს ძველი ჰერაკლიას ადგილას, იქ, სადაც ინგური და აფიზი ერთმანეთს უერთდება. „ამჟამად იგი მეთევზეობის სოფელია. – წერს სპენსერი, – შავი ზღვის ეს უბანი სავსეა განსაკუთრებული ჯიშის თართით, რომელიც აქ კეფალის სახელწოდებითაა ცნობილი და საუკეთესო ხარისხის ხიზილალა აქვს. ინგურსა და აფიზში მოიპოვება კალმახი, ხოლო ნაპირთან დიდი რაოდენობით არის ქაშაყი, რომელიც ზომით პატარაა, მაგრამ გემრიელი თევზია“².

ანაკლია ეწოდება სოფელს ამჟამინდელ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, შავი ზღვის ნაპირას, მდ. ენგურის შავ ზღვასთან შესართავის მარცხენა მხარეს. იგი ერთ-ერთი უძველესი დასახლებული პუნქტია. XVIII ს-ის ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი მას მოიხსენიებს ანაკრიას ფორმით:

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137.

ენგური „...მიერთვის ზღვას ანაკრიას. ანაკრიას აღაშენეს ოს-
მალთა... ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს
ციხე... შემდგომად შემუსრეს ოსმალთა ციხე... და ამის ქვეით
აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად“¹. უცხოურ და ქართულ კარ-
ტოგრაფიულ მასალებსა და წერილობით წყაროებში დასტუ-
რდება ტოპონიმის ორივე ფორმა. ლევან II დადიანის 1628
წლით დათარიღებულ შეწირულების სიგელში აღნიშნულია,
რომ მთავარს ბიჭვინტის ღვთისმშობლისთვის შეუწირავს
„ანაკლიას კოჩილაი ჩოღია... კიდევ ანაკლიას ფაცულაი წა-
წულუა“².

ფრანგ და იტალიელ მისიონერებს და მოგზაურებს მი-
აჩნდათ, რომ ანაკლია ანტიკურ ხანაში არსებული **ჰერაკ-
ლეა**. ასე, მაგალითად, მიქელ თამარაშვილის ცნობით, ლუი
გრანჟიე ანაკლიას მოიხსენიებს ჰერაკლეს სახელით. წერი-
ლი 1615 წლით თარიღდება და წარმოადგენს უძველეს წე-
რილობით წყაროს, სადაც ანაკლია პირველადაა დასახელე-
ბული³. არქანჯელო ლამბერტი კოლხიდის (ოდიშის) მონას-
ტერთა ჩამონათვალში ასახელებს **ანაკრიას** (d' Anarghia) და
აღნიშნავს, რომ მისი ძველი სახელი ჰერაკლეა (Heraclea)
იყო⁴.

1823 წლის 7 ივნისს ანაკლიას სწვევია ფრანგი მოგ-
ზაური ჟაკ ფრანსუა გამბა, რომელიც თავის სამოგზაურო
ჩანაწერებში აღნიშნავს: „მეორე დღეს დილაადრიანად უკვე

¹ ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექ-
სტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვი-
ლის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 779.

² კაკაბაძე ს., დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I,
ტფ., 1921, გვ. 11.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის,
ტფ., 1902, გვ. 204-205.

⁴ ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, თბ., 2011, გვ. 138.

ანაკლიაში აღმოვჩნდი. იგი პონტოს სამეფოს ძველი ჰერაკლეს ერთ-ერთი კოლონია გახლდათ. ეს ნავსადგური გაშენებულია აჯისა და ენგურის შესართავთან. ძველად იგი ტრაპიზონსა და კონსტანტინოპოლთან ძალზე მნიშვნელოვან ვაჭრობას აწარმოებდა, რაც ძირითადად ტყვეთა სყიდვას ემყარებოდა“¹. შვეიცარიელმა პროფესორმა, საქართველოს გეოლოგიის პირველმა მკვლევარმა ფრედერიკ დიუბუა დე მონპერემ 1831-1834 წლებში იმოგზაურა შავი ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროზე. იგი წერს: „როდესაც მივცურავდით ენგურის შესართავის სიახლოვეს, ამ ჩქარი მდინარის მარცხენა ნაპირზე თვალი მოვკარი ანაკრიას, ბერძენთა **ჰერაკლეს**, მისი ძველი ნანგრევებით“ (Фредерик Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа Сохуми, 1937). XVII ს-ის იტალიელი მისიონერის – არქანჯელო ლამბერტისა და ე. წ. ლათინურენოვან რუკაზე (1654 წ.) ენგურის შესართავთან აღნიშნულია დასახლებული პუნქტი ანარკია (Anarghia), ანუ **ჰერაკლეა** (Heraclea)².

ცნობილი ქართველი პოეტი ტიციან ტაბიძეც მიიჩნევდა, რომ ანაკლია წარმომდგარია ბერძნული ახალშენის – **ჰერაკლეს** სახელისაგან³.

„უსაფუძვლო არ უნდა იყოს იმისი ვარაუდიც, – წერს მამანტი პაჭკორია, – რომ ძველად ენგურის შესართავთან ქალაქიც არსებულა. აქ ქალაქური დასახლების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა მივიჩნიოთ ზღვისპირა პუნქტებიდან სვანე-

¹ გამბა ჟაკ ფრანსუა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 94.

² მსჯელობისათვის ვრცლად იხ. ტულუმი აბ., ანაკლიის ისტორია, ზუგდ., 1991; პაჭკორია მ., ანაკლიის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1974, გვ. 40.

³ ტაბიძე ტ., თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1966, გვ. 100, 138.

თისაკენ გამავალი სავაჭრო გზა, სვანეთის მთებიდან ძვირფასი ხე-ტყის ექსპორტი, ოქროს საძიებო ღონისძიებანი და სხვ. ჯერ კიდევ ლუდოვიკო გრანჟერო, ხოლო შემდეგ არქანჯელო ლამბერტი და ჟან შარდენი ფიქრობდნენ, რომ სახელი ანაკლია ძველად აქ არსებული ქალაქის – ჰერაკლეს სახელწოდებიდან მომდინარეობსო. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, კლავდიოს პტოლემეის „ნეაპოლისი“ (ახალი ქალაქი) ენგურის შესართავთან ვივარაუდოთ. მაგრამ ასეთი ვარაუდების დამტკიცებას დამაჯერებელი საბუთები ესაჭიროება¹.

ქ. ჯერვალძე და ნ. პეტრიაშვილი არ გამორიცხავენ იმ ფაქტს, რომ დღევანდელი ანაკლიის ტერიტორიზე მდებარე დასახლებას ძველად პონტოს ქალაქ ჰერაკლეს მცხოვრებნი დაუფლებოდნენ, ან ადგილობრივი მოსახლეობის თანხმობით, ან – იძულებით. ავტორთა ვარაუდით ეს უნდა მომხდარიყო 424-423 წლებში².

საქმე ისაა, რომ ისტორიული წყაროების ცნობით, ზღვისპირა ქალაქი ჰერაკლეს სახელწოდებით პონტოს სამეფოში მდებარეობდა. იგი VI ს-ში მეგარიდან გამოსულ დორიელ ბერძნებს დაუარსებიათ. ჰერაკლეა იყო შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ერთადერთი დორიული დასახლება.

ელუარდ აიხვალდი ასახელებს ანაკლიის დანგრეულ ციხეს, როგორც სამეგრელოს მთავარ გიორგი დადიანის სა-

¹ პაჭკორია მ., ანაკლიის წარსულიდან, გვ. 40-41; საკითხის შესახებ იხ. მისივე, ენგურის სანაპიროზე, წიგნში – პაჭკორია მ., ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975, გვ. 5.

² ჯერვალძე ქ., პეტრიაშვილი ნ., ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისთვის, ჟურნ. „ქართველოლოგია“, 1, იანვარი-თებერვალი, თბ., 2015, გვ. 80.

კუთრებას¹. მოგზაური გადმოგვცემს მის მდებარეობასაც: „რედუტ-კალედან ცოტა ჩრდილოეთით, აქედან უფრო შორს, ვიდრე სამხრეთით ფოთია, ინგურზე ძვეს ანაკლია“². საინტერესოა აიხვალდის ცნობა მდ. ანაკლიის შესახებ: „...მდინარე ანაკლია ამ დროს არაა სიცოცხლისათვის უხიფათო გასასვლელად“³. „ანაკლიის“ სახელწოდებით მდინარე ცნობილი არაა. სოფლის ტერიტორიაზე გაედინება თიქორი, რაც ამავე სახელწოდების სოფლის ტერიტორიაზე (ანაკლიის თემი) უერთდება შავ ზღვას. მისი შენაკადია ღელე ფართოღალ, რაც სოფ. ცვანედან მოედინება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ანაკლია თიქორის უწინდელი სახელწოდება ყოფილიყო, ან ამ სახელწოდების ქვეშ მოგზაური გულისხმობდა მდ. ენგურის მარცხენა ტოტს.

სპენსერის ცნობით, ანაკლია **ინგურისა და აფიზის შესართავთან** მდებარე მეთევზეთა სოფელია, ხოლო გამბა ანაკლიის ნავსადგურს, როგორც აღვნიშნეთ, **აფისა და ენგურის შესართავთან** მიუთითებს. მდინარე ან ღელე **აფიზის** სახელწოდებით ანაკლიასა და მის მიდამოებში ამჟამად არ არის ცნობილი. უცნობია, რა მდინარეს გულისხმობს მოგზაური ამ სახელწოდების ქვეშ. ასევე გამნელებულია ჰიდრონიმ **აფის** ლოკალიზაციაც. ხომ არ არის ეს ანაკლიის მახლობლად, ზღვისპირეთში მდებარე სოფ. **განარჯის მუხურის/განმუხურის** დამახინჯებული ფორმა? ცნობისათვის: თავდაპირველად ასე ეწოდებოდა ენგურის მარჯვენა მხარეს, მდინარის რკალ-

¹ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005, გვ. 184.

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002, გვ. 211.

³ ელჟარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 197.

ში მოქცეულ მინდორს, სადაც დამკვიდრებულა სოფელ შხეფიდან ორ ძმასთან – ბაიდიასთან და ჯათუსთან ერთად ჩამოსული მწყემსი განარჯია ხუფენია, და კარავი გაუმართავს¹.

სოფლის სახელწოდების ადგილობრივი არაოფიციალური ვარიანტია **ანარკია**. აღნიშნული ფორმა დასტურდება ტოპონიმებში. კერძოდ, ზუგდიდ-ანაკლიის გზატკეცილის მონაკვეთს სოფ. ინგირის ტერიტორიაზე **ანარკიაშ შარა/ნაჭკირა** ჰქვია. იგივე სახელით იწოდება გზა ზუგდიდიდან ანაკლიისკენ, კახათის გავლით². მეგრულ ხალხურ სიტყვიერებაშიც სოფლის სახელწოდებად გვხვდება „ანარკია“ ფორმა³.

ანაკლიის შემდეგ სპენსერი იძლევა რედუტ-კალესკენ მიმავალი გზის აღწერას. აცხადებს, რომ სამეგრელოს ჭაობიან ნაპირებსა და დაბლობ ლანდშაფტს, მის ერთფეროვან პეიზაჟს, ცოტაოდენ აცოცხლებს შორეული კავკასიის ალპები და იმერეთის ზეგანი. სამეგრელოს დაბლობი, მართალია, დაფარულია ხშირფოთლოვანი ხეებით და ლელიანიით, მაგრამ ამ უდაბურ ადგილს მაინც არ ატყვია ცხოვრების ნიშან-წყალი⁴.

სპენსერი ზღვით მოგზაურობს სოხუმიდან სამეგრელოსკენ. ღუზა ეშვება შავ ზღვასთან ხობისწყლის (ძველი ციანესის) შესართავთან, იმ განზრახვით, რომ შემდგომშიც სწვეოდნენ რუსეთის კიდევ ერთ ნავსადგურს შავ ზღვაზე –

¹ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ., 101, 102, 104.

² ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, გვ. 158.

³ სამუშია კ., ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971, გვ. 60, 83, 107; მისივე, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979, გვ. 150.

⁴ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 137-138.

რედუტ-კალეს. მდინარის შესართავთან სამხედრო გემების მიმოსვლისთვის წყალს საკმაო სიღრმე აქვს, მაგრამ შესართავთან დაგროვილი ქვიშის მთა ნაპირთან მისვლას პატარა ნიჩბიანი ნავითაც აძნელებს. ნავსადგურის სავალალო მდგომარეობას ინგლისელი მოგზაური იმ ფაქტის დამამტკიცებლად მიიჩნევს, „რომ ბარბაროსი დამპყრობლები უყურადღებობას იჩენენ იმ დაჩაჩანაკებული მოსახლეობის მიმართ, რომელიც ერთ დროს ასე ბედნიერად ცხოვრობდა ამ მიდამოებში“¹.

სპენსერის დაკვირვებით, როდესაც რედუტ-კალე თურქებისა და სამეგრელოს მთავრების ხელში იმყოფებოდა, მოქმედი კანონმდებლობით, ყველა გემს უნდა ჰქონოდა ბაგირზე მიმაგრებული რკინის მძიძე გემსათრევი, რომლითაც იგი თავის დატვირთულ გემს გზას უკაფავდა შესასვლელისკენ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ნავსადგურს რუსები დაეპატრონენ, მათ უარი თქვეს ასეთ იაფ და იოლ საშუალებაზე. ამის გამო ქვიშის მეჩეჩი ყოველწლიურად იზრდებოდა და დაჭაობებული მიდამოები ისეთივე საშიშროებას წარმოადგენდა ჯანმრთელობისათვის, როგორც იტალიაში – პონტინის ჭაობები². რუსეთის ხელისუფლების ასეთი პოლიტიკა სპენსერს გაუგებრად ეჩვენება და დასმულ კითხვას – რატომ აკეთებს ამას რუსეთის ხელისუფლება ხოფის მიმართ, თუკი მათი გეგმებისა და მიზნების შესაბამისად ეს პროვინცია მათი სრული საკუთრებაა?! – ასე პასუხობს: „შეიძლება ეს იმიტომ ხდება, რომ მათ არ სჯერათ მოსახლეობის ერთგულებისა და ფიქრობენ, ამ გზით უფრო იოლი იქნება მეზობლებისაგან მათი მოწყვეტა და დამონება. ალბათ მათ სურთ რამდენიმე წლის შემ-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138.

დებ, ან უფრო უკეთ, პირველივე შესაფერის შემთხვევაში იგღონ ხელთ ორი შესანიშნავი ნავსადგური თურქეთის ნაპირზე: ბათუმი და ტრაპეზუნდი, რის შემდეგაც რედუტ-კალეს ნავსადგურისა და ფაზისზე მდებარე ფოთის შენარჩუნებისათვის დახარჯულ ფულსა და შრომას ფასი აღარ ექნება¹.

სამეგრელოში გავრცელებულ ციებაზე ყურადღებას სხვა გერმანელი მოგზაურებიც ამახვილებენ. მაგალითად, ედუარდ აიხვალდი, რომელიც XIX ს-ის 20-იან წლებში ეწვია სამეგრელოს, წერს: „რედუტის მდებარეობა ძალზე არაჯანსაღია, რადგან აქ არაჩვეულებრივი ნესტია. როცა დიდი ნიაღვრები მოვარდებიან, მდინარე ხობი რამდენიმე ფუტით აიწვეს თავის კალაპოტში, ლეკავს მთელ არემარეს და ბევრი მიწაც თან მიაქვს. მდ. სივა (ცივი), რომელიც ბაზრის წინ მიედინება, ერთვის ხობს ამ უკანასკნელის ზღვაში შესართავიდან ერთ ვერსზე“². აიხვალდის თქმით, რედუტ-კალეს სამხედრო ჰოსპიტალში მეტწილად ცივი ცხელებაა (Kalte Fieber) გავრცელებული, რომელიც ხშირად ავთვისებიან ფალარათში გადადის, ან იწვევს ჯირკვლებისა და ღვიძლის ქრონიკულ გადიდებას (გამკვრივებას), რაც სიკვდილით მთავრდება. გამოჯანმრთელებულები შრომისათვის გამოუსადეგარნი არიან და მათ, როგორც ინვალიდებს, რომელიმე გარნიზონში აგზავნიან³.

მორიც ვაგნერი, რომელიც XIX ს-ის 40-იან წლებში იმყოფებოდა სამეგრელოში, აღნიშნავს, რომ „მეგრელები, რომლებიც ამ ტყეებში გაფანტულად ცხოვრობენ, ძალზე

¹ კ. კონისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 138-139.

² ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 201.

³ ედუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 202.

ლამაზი ხალხია, მაგრამ სახეზე ფერმკრთალი. მათ აწუხებთ ის ავი ციება, რომელიც რუს ჯარისკაცებს ასობით ხოცავს“¹.

სპენსერის სამოგზაურო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ ხობი ამ დროისთვის სანაოსნო მდინარეა. იგი ტბასავით მშვიდია და მასში დიდი ტვირთის მქონე გემები თავისუფლად მოძრაობენ წყლის საემარისი სიღრმის გამო. მის დაჭაობებულ შემოგარენში, რედუტ-კალეს ნავსადგურიდან მოყოლებული, თითქმის ოცი ინგლისური მილის მანძილზე, უამრავი გარეული ვარხვი და წყლის ფრინველია. კიდევ ორი კმ-ის შემდეგ სპენსერი ასახელებს მეორე მდინარეს **ზაბას** სახელწოდებით, და დასძენს, რომ იგი „მხოლოდ შესართავთანაა სანაოსნო და ამიტომ უფრო ღრმა უნდა იყოს, ვიდრე ხობი“². მოგზაურის აზრით, ხობის სათავე ალპებში, კავკასიონის მთისწინეთშია. ამიტომ თოვლის დნობისა თუ ხშირი წვიმების დროს ძალზე დიდდება და მთელს მიმდებარე ტერიტორიას ტბორავს³.

ხობისწყლის სათავე ვერისის ქედის სამხრეთ კალთაზე, ზ. დ. 2326 მ-ის სიმაღლეზეა და წარმოადგენს ამჟამინდელი ხობისა და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტების მთავარ საწყლოსნო არტერიას. მდინარის სიგრძე 150 კმ-ია, აუზის ფართობი – 1340 კმ². მთავარი შენაკადებია ოჩნომური, ჭანისწყალი და ზანაძვა. წერილობით წყაროებში მოიხსენიება მდინარე და პუნქტი **ხობის/ხოვის** სახელწოდებით. ა. ლამბერტის მსჯელობით, ადგილს სახელი „ხოვი“ მდინარისგან

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 126.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139.

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139.

მიუღია. „ტეხურს ანუ სიგამეს მოსდევს ხობო (Cobo), – წერს მისიონერი, – რომელსაც მკვიდრნი დღესაც მსგავს სახელს უწოდებენ – ხოფი (Copi). ეს მდინარე მეტად მდიდარია ნაირ-ნაირი თევზებით და ნავით სავალია იმ ადგილამდ, რომელსაც ჰქვია ხოფი. ამ ადგილის გამო თვით მდინარეს ეწოდება ხოფი“¹.

სპენსერისეული **ზაბა** იგივეა, რაც **ცივი//ონოშქვერე**. ასე ეწოდება არხს, ხობისწყლის მარცხენა შენაკადს ზღვიდან 1 კმ-ზე. მისი სათავე ძველ სალვამიჩაოშია², გაივლის სოფ. საბაჟოს³ და ერთვის ხობისწყალს ქარიატა-ყულევის საზღვარზე⁴. ცივს მარცხნიდან ერთვის დეღე ცია, რაც მოედინება ჭალადიდიდან, ადგილ კატალიონიდან.

XVII ს-ის ერთ-ერთი სიგელიდან ირკვევა, რომ მდინარეები – ცივი და ჭურია სახოფოს საზღვრებს წარმოადგენდა: „ჭვირიას და ცუს შუა ტყე და წყალი ყოვლად წმიდისა ხოფისა დმრთისმშობელისა არის უცვილობელი“⁵. ამჟამინდელი ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცივის სახელწოდებით ორი მდინარეა: ერთი მდ. რიონის მარჯვენა შენაკადს წარმოადგენს, ხოლო მეორე ხობისწყლის მარცხენა შენაკადია. ამ უკანასკნელს **ციასაც** ეძახიან⁶.

¹ ლამბერტი ა., სამეგრელოს აღწერა, გვ. 200.

² სოფელია ქვემო ჭალადიდის თემში, რიონის მარჯვენა ნაპირზე, საგვიჩიოსა და საჭოჭუოს შუა, ჭალადიდის რკინიგზის სადგურიდან 3 კმ.

³ ქვემო ჭალადიდის თემის ცენტრია.

⁴ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007, გვ. 211

⁵ ხობის მონასტერი, თბ., 2000, გვ. 45.

⁶ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007, გვ. 225

ამ მდინარეს იცნობს გერმანელი მოგზაური ელუარდ აიხვალდი. ბაზრის ბოლოს, – წერს იგი, – ჩამოედინება პატარა მდინარე **სივა** (ცივი), რომელიც აქ ერთვის ხობს. ზღვასთან ახლოს თვით რედუტი მდებარეობს... აქ არის კომენდანტის საცხოვრებელი, ორიოდე შენობა გარნიზონისთვის, ყაზარმა, ჰოსპიტალი და დამხმარე შენობები ზოგიერთი მონელისათვის¹.

მორიც ვაგნერი ფაზისსა (რიონი) და ხობს შორის ასახელებს ძველ წყალდამაკავშირებელ არხს, ე. წ. **ცივაკანალს** (Tsivakanal), რომელიც შავ ზღვას რედუტ-კალესთან ერთვის².

სპენსერი დაწვრილებით აღწერს რედუტ-კალეს გარეგნულ ისერ-სახეს: იგი აზიის ამ ნაწილში მდებარე სხვა დიდი და პატარა ქალაქების ზუსტი ასლია. აქ არის ბაზრები, ბინძური და მოუკირწყლავი, ვიწრო და გრძელი ქუჩები. პატარა, საცოდავი ხის სახლები ქონებს უფრო ჰგვანან. ქუჩების ერთადერთი მწმენდავი ძაღლი და ძერაა. ქუჩის შუაგულში გაყვანილი თხრილი წყალსადენის როლს ასრულებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალაქი ყველაზე მავნე ჰაერით გამოირჩევა მთელ შავი ზღვის სანაპიროზე და ჭაობის ანაორთქლი დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობის ჯანმრთელობას, ქალაქი ვაჭრობის წყალობით მაინც ინარჩუნებს თავის კეთილდღეობას. რედუტ-კალეს ნავსადგურმა, ცენტრალურ აზიაში ინგლისური საქონლის ამ დიდმა საწყობმა, ადრინდელი დიდება მას შემდეგ დაკარგა, რაც რუსეთმა ჰერმეტიულად ჩაექა იგი³.

¹ ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ, გვ. 200.

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 130.

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 139.

რედუტ-კალეს ზღვისპირა სანაპიროს აღწერა მოცემულია გერმანელი მოგზაურის – მორიც ვაგნერის სამოგზაურო ჩანაწერებშიც. ძლიერი მოქცევით აქაფებული შავი ზღვა მდინარეების შესართავს სილით და რიყის ქვით ავიწროებს, ხოლო ზოგჯერ სრულებით კეტავს. ამით სანაპიროს ზოლზე იქმნება ვრცელი ჭაობები, რის გამოც ხშირად მზარდი მცენარეულით მოფენილი სამეგრელო მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე არაჯანსაღი მხარეა¹.

თითქმის სპენსერის ცნობების ანალოგიურია ხობისწყლის ვაგნერისეული აღწერილობაც: მდ. ხობი, რომელიც რედუტ-კალეს კვეთს და ქალაქთან ერთვის ზღვას, საკმაოდ ღრმაა და მოზრდილ გემებს შეუძლიათ მის კალაპოტში მშვიდად დგომა; ამას კი ხელს უშლის თვით შესართავთან დაზვინული ქვიშა. სამ ფუტზე მეტი წყალშიდის მქონე გემებს არ შეუძლიათ მდინარეში შესვლა და ამიტომ ყოველთვის ჩქარობენ ბარგის შეძლებისდაგვარად მალე გადმოტვირთვას, რომ მაშინვე გაბრუნდნენ ღია ზღვაში... მხოლოდ პატარა თურქული ცალიაქნიანი გემები ახერხებენ კოლხურ სანაპიროსთან უხიფათოდ დგომას, რადგან ძალიან დაბალი წყალშიდის გამო მდინარეთა თავთხელ შესართავებში ადვილად შედიან და ვაკე ადგილებში არც თუ დიდი გაჭირვებით ნაპირზე ამოათრევენ².

მორიც ვაგნერი, რედუტ-კალეს, ამ მეგრულ სანაპირო ქალაქს, შენების წესით გერმანულ იარმარკას ადარებდა, სადაც ორ რიგად ჩამწკრივებული ხის ბარაკის ტიპის სახლები მიწიდან ერთი ფუტის სიმაღლის ხის ბოძებზე იყო შემდ-

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 134.

² მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 134-135.

გარი. ასევე ხით ყოფილა ნაგები რუსი მოხელეების სახლები, ყაზარმა, ეკლესია და ა. შ.¹.

სპენსერი ვრცლად მოგვითხრობს რედუტ-კალეს დიდ ბაზრობაზე და ქალაქზე მთელი თავისი ნაირსახეობით. აქ თავს იყრიან მახლობელი და შორეული მხარეებიდან სხვადასხვა უცხოური საქონლის საყიდლად ჩამოსულნი, სხვადასხვა ეროვნების ხალხი, მეზობელი მთიანი მხარეების მცხოვრებნი. მეგრელებისა და იმერლების გარდა მოგზაურს აქ შეხვედრია ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი ქართველები (ქართლები), სპარსელები, ჩერქეზები, აბაზები, ლაზები, ლეკები, სომხები, ებრაელები, თურქები, თათრები... თითოეული მათგანი თავისი გამომეტყველებითა და მოქმედებით ამჟღავნებდა თავისი ეროვნებისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს².

რედუტ-კალეში სპენსერს მეგზურობას უწევდა პირველი მეფისნაცვალი, თავადი მიხეილ ვორონცოვი (1844-1856 წწ.). რუსეთის იმპერიის მიერ ხობისწყლის შესართავის სამხედრო-პოლიტიკური მიზნით დაკავების შემდეგ, რედუტ-კალე, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მთავარი ნავსადგური, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქვეყნის სავაჭრო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქ რედუტის (სიმაგრის) შექმნა დაკავშირებულია 1804 წელს რუსეთის ჯარის ნაწილების განლაგებასთან. კ. სპასკი-ავტონომოვის აზრით, ცივი-ხობისწყლის შესართავთან მანამდე არსებულა სამეგრელოს თავად ჯაიანის სათვალთვალო კოშკი – **კულეა, ყულეა** წოდებული. ჯაიანის ძველი კულე (კალე) და რუსების ახალი

¹ მორიც ვაგნერი საქართველოს შესახებ, გვ. 133.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 140.

რედუტი, წერს სპასკი, საფუძვლად დაედო ქალაქ რედუტ-კალეს სახელს¹.

ყულევი ეწოდება სოფელს და თემის ცენტრს შავი ზღვის ნაპირზე, მდ. ხობისწყლის შესართავთან. შუა საუკუნეების ქართულ წერილობით წყაროებში მოხსენიებული **კემხელი//კემხალი** ქართველი მეცნიერების მიერ გაიგივებულია რედუტ-კალე-ყულევთან. 1840 წელს რედუტ-კალეს ქალაქის სტატუსი მიენიჭა². სახელწოდების ეტიმოლოგიის შესახებ საინტერესო მსჯელობაა მოცემული პ. ცხადაიას ნაშრომში: „რატომ დაერქვა ერთ ობიექტს – ხობისწყლის შესართავთან მდებარე ნავსადგურსა და დასახლებას – ორი სახელი – **რედუტ-კალე** და **ყულევი//ყულე**? ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველი და არაქართველი მკვლევრების მოსაზრებანი ასეთია: თავდაპირველი სახელწოდებაა **ყულე** (ადგ. ვარიანტი: **კულე**). ასე ეწოდებოდა ჯაიანის ძველ კოშკს. 1804 წელს კახაკებმა მდინარის მარცხ. მხარეს ააგეს რედუტი. მაშასადამე, **რედუტ-კალე** არაქართული ჰიბრიდული სახელწოდებაა. იგი შედგება ორი უცხო სიტყვისაგან: **რედუტი** (ფრანგ.) „მცირე ციხესიმაგრე“ და **კალე** (თურქ.) „კოშკი“³.

ტოპონიმ **ყულევის** ეტიმოლოგიას შეეხო ენათმეცნიერი გურამ ბელოშვილი. მკვლევრის მოსაზრებით, **ყული//ყულე**-ძირიანი ტოპონიმები, ამ შემთხვევაში **ყულევი**, აგრეთვე **საყულია**, აღნიშნავს არა მონების გასაყიდ ადგილს, არამედ ადგილს, სადაც ხატი, ჯვარი, ეკლესია ან რაღაც ისტორი-

¹ მსჯელობისათვის იხ. პაჭკორია მ., ყულევის წარსულიდან. წგნ.: ფურცლები კოლხეთის წარსულიდან, თბ., 1974, გვ. 34.

² ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ. 220-221, და იქვე მითითებული ლიტ-რა.

³ ცხადაია პ., სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, გვ. 221-222.

ული ძეგლი (ციხე, კოშკი, თავდაცვითი ზღუდე, ჯიხური და სხვ.) იდგა. XIX ს-ის დამდეგს ყულევს რომ რედუტ-ყალე ერქვა, იმაზე მიუთითებს, რომ აქ დიდი ციხე-სიმაგრე იდგა¹.

მეგრელები და იმერლები, – წერს სპენსერი, – ქცევითა და თავისი ჩაცმულობით ჩერქეზებს ჰგვანან, თუმცა გარეგნობით ჩერქეზებზე ნაკლებ მიმზიდველნი არიან. ჩერქეზები გამომწვევი ქცევით და ცეცხლოვანი თვალებით გამოირჩევიან². მეგრელებსა და იმერლებს რომ იარაღის ტარების უფლება ეძლეოდათ, ამ გარემოებას მოგზაური იმით ხსნის, რომ ამ სამეგრელოსა და იმერეთში რუსეთს ჯერ კიდევ ვერ მოუკიდებია მყარად ფეხი, რადგან ასეთივე უფლებით არ სარგებლობენ რუსეთის ქვეშევრდომობაში მყოფი ქართველები და სომხები. „ასეთ ვითარებაში რუსეთის საოკუპაციო ჯარებს შეუძლიათ თავი ბედნიერად ჩათვალონ, ვინაიდან მათ სხვა რუსულ სიმაგრეებში მყოფ ჯარისკაცებთან შედარებით ის უპირატესობა აქვთ, რომ რედუტ-ყალეში მხოლოდ ერთადერთი მტრის – ჭაობების ანაორთქლის უნდა ემინოდეთ“³.

რუსეთის იმპერიას, – აცხადებს სპენსერი, – სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის პროვინციებში აჯანყების შიშით ვერ გაუბედავს თავისი თვითმპყრობელური მანქანის ამუშავება და სახაზინო და საპასპორტო სისტემის დანერგვა. ამას ხელს ის ფაქტორიც უშლის, რომ რუსეთს დაღესტნისა და ჩერქეზეთის მოსახლეობის წინააღმდეგაც უწევს ბრძოლა. „მათ ჯერჯერობით ვერ შეძლეს ამ ქვეყნისათვის მოხელეთა

¹ ბელოშვილი გ., ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი. თბ., 2001, გვ. 453.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 140.

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 141.

არმიის მისევა, რომ ძალმომრეობით გაეტარებინათ აქ თავისი დადგენილებები და კანონები. რუსეთი ზომ ჩვეულებრივ ასე იქცევა თავისი ბატონობის ქვეშ მყოფი ხალხების მიმართ“¹.

სპენსერის დაკვირვებით, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში მმართველობის სულ სხვა სისტემის შემოღება მხოლოდ მას შემდეგაა შესაძლებელი, როცა რუსები „შეძლებენ ჩერქეზებისა და დაღესტნელების დაუოკებელი და დაუმორჩილებელი სულის დამონებას“².

ადგილობრივი მთავრების, თავადებისა და თემის უხუცესთა ერთგულების მოპოვების მიზნით რუსეთის იმპერია პენსიების დარიგებასაც არ ერიდება, მაგრამ ის, რასაც რუსეთი პენსიას უწოდებს, ადგილობრივი მცხოვრებლებისათვის ხარკს წარმოადგენს. რუსებმა რედუტ-კალეში სავაჭრო ამხანაგობა რომ იყლიონ, ამისთვის სამეგრელოს მთავარი ყოველწლიურად 200 მანეთზე მეტს იღებს. და მაინც, განსვენებული იმპერატორის – ალექსანდრეს მმართველობის დროს, სამეგრელო, საქართველოსთან ერთად, რუსეთის პროვინციად გამოცხადდა³.

1801 წლის დასაწყისში ქართლ-კახეთში მეფობის გაუქმების შესახებ შედგენილ პაქტს ხელი მოაწერა რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა. 1801-1802 წლებში, როცა ქართლ-კახეთში რუსეთის ბატონობა მკვიდრდებოდა, დასავლეთ საქართველოში იმერეთის მეფე ომს აწარმოებდა ოდიშის მთავარ გრიგოლ დადიანთან. ამ ომში, მ. დუმბაძის თქმით, მეტ-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 142.

² კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 142.

³ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 143.

ნაკლებად სხვა სამთავროებიც იყვნენ ჩაბმულნი¹. მეფე გიორგი XII-ს გარდაცვალების შემდეგ, 1801 წლის 12 სექტემბერს რუსეთის ახალმა იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ახალი მანიფესტით ქართლ-კახეთში მეფობა გააუქმა. ამის შემდეგ რუსეთმა დაიწყო იმერეთისა და ოდიშის მიმართ ვასალური გზით დამორჩილების პოლიტიკის გატარება, რადგან ქართლ-კახეთში მიღებული პირველი ორი წლის გამოცდილება, ისევე როგორც მოუძმადებლობა და აქ მყოფი ჯარების სიმცირე აიძულებდა დარჩენილი პოლიტიკური ერთეულების სრული გაუქმებისა და რუსული მმართველობის დაწესებისაგან თავშეკავებას². ოდიშის მთავარი გრიგოლ დადიანი, რუსეთის მთავრობისადმი გაგზავნილი მიმართევებით – გადაერჩინათ იგი იმერეთის მეფე სოლომონ II-ისაგან, „ახლა თავისი სურვილებისაგან დამოუკიდებლად, ხელს უწყობდა რუსეთის გაბატონებას დასავლეთ საქართველოში“³.

სოლომონ II-ის ყველანაირი ცდა, გადაერწმუნებინა დადიანი, უშედეგო აღმოჩნდა – 1803 წლის ივლისში ოდიშის მთავარმა რუსეთის იმპერატორის ერთგულებაზე დაიფიცა, ხოლო იმავე წლის 2 დეკემბერს ხელი მოაწერა სამფარველო ხელშეკრულებას, რითაც რუსეთის მთავრობა დადიანს სამეგრელოს მემკვიდრეობით მფლობელად და თავის მონა-მორჩილად სცნობდა⁴. იგი ამასთანავე თანხმობას აცხადებდა სამთავროს ტერიტორიაზე „მუდმივ სამყოფელად“ შემოსუ-

¹ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 139.

² ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 147.

³ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 148.

⁴ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 151, 152.

ლიყო რუსთა ჯარის გარკვეული რაოდენობა. დადიანი საგარეო და საშინაო მტრებისაგან თავისი ქვეყნის დაცვას და მის შიგნით „წესრიგის დამყარებას“ რუსეთის სამხედრო ძალაზე დაყრდნობით ცდილობდა¹. 1803 წლის დეკემბერში გაფორმებული აღნიშნული ხელშეკრულება რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე I-ის მიერ 1804 წლის 4 ივლისს იქნა დამტკიცებული². „ამრიგად, სათხოვართა პუნქტების საფუძველზე, – წერს მამია ღუმბაძე, – დადიანის სამთავრო ამიერიდან ფაქტიურად ექცეოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, როგორც მისი ერთი პროვინციათაგანი, შეზღუდული ავტონომიური უფლებებით... დადიანმა დაჰკარგა ძველი ხელმწიფური უფლებები. რუსეთის დახმარებით იგი მხოლოდ სოლომონ მეფეს გადაურჩა, მაგრამ, სამაგიეროდ, საქართველოს მთავარსარდლის სრულ მორჩილებაში მოექცა. სამეგრელოს მთავარმა ამით გაახანგრძლივა თავისი ხელისუფლების არსებობა და სოლომონ მეფის მიერ წართმეული მამულების დაბრუნების გარანტია მიიღო“³.

საგულისხმოა ის გარემოება, რომ დადიანი სრულებითაც არ ფიქრობდა რუსეთის მთავრობის ინტერესებისათვის თავგანწირვას. მას რუსეთთან მიმართებაში საკუთარი ანგარიშები ჰქონდა და გარკვეული ინტერესები ამოძრავებდა. იგი არ ჯერდებოდა სამთავრო ხელისუფლების მინიჭების ნიშნად რუსეთის ხელმწიფისაგან ხმლისა და დროშის მიღებას, არამედ ითხოვდა სოლომონის მიერ წართმეული ციხეებისა და

¹ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 153.

² ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 154.

³ ღუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 154.

მამულების დაბრუნებას. ამასთანავე, სათხოვარი პუნქტების VI მუხლით აღიარებული უფლებებით, დადინი, თუკი სამთავროში რუსები ახალ ქალაქს აშენებდნენ, მისგან შემოსავლის ნაწილს მიიღებდა¹. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას ედმუნდ სპენსერის ცნობა, რომ რუსები, რედუტ-კალეში სავაჭრო ამხანაგობის ყოლის უფლებით, ოდიშის მთავარს ყოველწლიურად 200 მანეთზე მეტს უხდიდნენ.

სპენსერს უყურადღებოდ არ დარჩენია სამეგრელოს მოსახლეობის რელიგიური მრწამსიც. მოგზაური შენიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნის. „მაგრამ განა შეიძლება ეწოდოს ქრისტიანი იმ ხალხს, რომელსაც წარმართობის ზოგიერთი ადათ-წესი აქვს შემორჩენილი, მაგალითად, ერთმანეთისაგან ძნელი გასარჩევია ძველი კერპთაყვანისმცემლობა და ქრისტიანული წესი პირუტყვის, როგორც დასახსნელი მსხვერპლის შეწირვისა. ეს ჩვეულებები საყოველთაოდ ცნობილია მეგრელებსა, იმერლებსა და ქართველებს შორის, განსაკუთრებით კი ამ პროვინციების ე. წ. მთიანი მხარეების მოსახლეობას შორის“².

მართლმადიდებლური ეკლესიის მღვდლების, ასევე პატარა სამფლობელოების მთავრებისა და უხუცესების, რუსეთის ხელისუფლებისადმი ერთგულებას სპენსერი პირადი ინტერესებით, კერძოდ, რუსეთისაგან პენსიების მიღებით ხსნის; თუმცა იქვე დასძენს, რომ ხალხი რუსეთის მთავრობის მიმართ სიძულვილის გრძობითაა გამსჭვალული. სწორედ ამიტომ ბრძოლებმა სამეგრელოს ნაპირებს მიაღწია და სავსებით შესაძლებელია, რომ „მეგრელებმაც იარაღით ხელში

¹ დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 153-155.

² კ. კონისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 143.

გაილაშქრონ რუსეთის წინააღმდეგ, როგორც კი, ერთი მხრივ, თურქები, მეორე მხრივ, შამილის მომხრეები, ჩეჩნები და ლეკები გაიმართებიან წელში და ფეხს მოიმაგრებენ“¹.

მშობლიური ენის განდევნა პოლიტიკური ცხოვრებიდან, ქვეყანაში მკვიდრთათვის უცხო და გაუგებარი სამართლებრივი ნორმების დაწესება, რუსი სამხედრო მოხელეების თვითნებობა და სხვ., იყო ის ძირითადი მიზეზები, რაც უცხო მმართველობის მიმართ ხალხს სიძულვილის გრძობით განაწყობდა. „თუ დასაწყისში გლეხები რუსეთისაგან მოელოდნენ თავიანთი ბეჩავი მდგომარეობის გაუმჯობესებას, ახლა ისინი უკვე გრძობდნენ ექსპლოატაციის გამწვავების პირველ ნიშნებს“².

მოგზაური აღნიშნავს, რომ მეგრელები, იმერლები და ქართველები ერთი და იგივე ხალხის ჩამომავლები არიან, ოღონდ ერთი ენის სხვადასხვა დიალექტზე საუბრობენ. მათ ჯერ კიდევ ახსოვთ თავიანთი წინაპრების ძლიერება, მაგრამ მას შემდეგ, რაც მთავრები თვითონ დაუკავშირდნენ თავის შეურიგებელ მტრებს – სპარსელებსა და თურქებს, მათ დაკარგეს ქვეყნის გამგებლობის უფლება. „შეიძლება ითქვას, – წერს სპენსერი, – რომ რუსებს კავკასიაში არ ჰყავთ ისეთი დაუძინებელი მტრები, როგორცაა საქართველოს, იმერეთისა და სამეგრელოს მთებსა და ხეობებში დასახლებული ტომები. არავის არ შეუვიწროვებია ისე რუსეთის ჯარები თბი-

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 144.

² დუმბაძე მ., დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 145.

ლისიდან დაღესტანში გადასვლისას, როგორც ზემოხსენებულ ხალხს¹.

წინამდებარე ნაშრომში ჩვენ შევეცადეთ წარმოგვეჩინა ცნობილი ინგლისელი მოგზაურის – ედმუნდ სპენსერის სამოგზაურო ჩანაწერების მნიშვნელობა, რითაც ახალი შტრიხებითა და ნიუანსებით ივსება ჩვენი ცოდნა XIX ს-ის I მესამედის ოდიშის (სამეგრელოს) ისტორიულ წარსულზე.

დამოწმებანი:

ელუარდ აიხვალდი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2005.

გ. ბედოშვილი, ქართულ ტოპონიმთა განმარტებით-ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2001.

ჟაკ ფრანსუა გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, ფრანგულიდან თარგმნა, კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1987.

მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957.

მორიცი ვაგნერი საქართველოს შესახებ. გერმანული ტექსტი თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა, თბ., 2002.

ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფ., 1902.

¹ კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 144.

- ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, ტფ., 1921.
- კ. კონისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლონდა მამაცაშვილმა, თბ., 1981.
- მ. პაჭკორია, ანაკლიის წარსულიდან, წგნ.: ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან. თბ., 1974.
- მ. პაჭკორია, ვიცნობდეთ კულტურის ძეგლებს, თბ., 1975.
- კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის მასალები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1971.
- კ. სამუშია, ქართული ხალხური პოეზიის საკითხები, მეგრული ნიმუშები, თბ., 1979.
- ტ. ტაბიძე, თხზულებანი, ტ. 3, თბ., 1966.
- აბ. ტულუში, ანაკლიის ისტორია, ზუგდ., 1991.
- პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, II, ზუგდიდის რაიონი, თბ., 2007.
- პ. ცხადაია, სამეგრელოს გეოგრაფიული სახელწოდებანი, III, ხობის რაიონი, ქ. ფოთი, თბ., 2007.
- ქ. ჯერვალიძე, ნ. პეტრიაშვილი, ტოპონიმ ანაკლიას ეტიმოლოგიისთვის, ჟურნ. „ქართველოლოგია“, 1, იანვარი-თებერვალი, თბ., 2015.
- Фредерик Дюбуа де Монпере, Путешествие вокруг Кавказа, Сохуми, 1937.

Igor Kekelia

Scientific-research centre of Martvili region history and culture

EUROPEAN AUTHORS ABOUT SAMEGRELO

(EDMUND SPENCER)

RESUME

The collection „Caucasian Countries and Armenia“ that was collected, translated and published in Leipzig in 1855 by a famous German scientist and traveler Karl Kock is considered to be a valuable source for studying the political, economic and cultural life of the I part of the XIX Georgia. The collection combines the works of five authors. The article deals with the historical material „Travelling across Cherkhezia, Abkhazia and Samegrelo“ written by one of the authors Edmund Spencer. Spencer’s travel recordings fills our knowledge with new nuances and features about the first-third of the XIX century Odishi.

გლობალიზაცია მცირე ერებთან მიმართებაში

ყველასათვის ცნობილია, რომ გლობალიზაციაში იგულისხმება როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა ქსელი, ისე გარდაქმნის პროცესი. გლობალიზაციის ტალღა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წამოვიდა. ჩამოყალიბდა საერთაშორისო წესები და დაარსდა რამდენიმე საკმაოდ ცნობილი ინსტიტუტი, როგორცაა მსოფლიო ბანკი და სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია. ბოლო 50 წლის განმავლობაში ამ პროცესს ახასიათებდა როგორც შეფერხებები, ასევე ზრდის ტემპებიც. თუმცა, ახლა იგი ფუნდამენტალურად განსხვავდება ადრეული პერიოდისაგან. საერთაშორისო წესების განვითარებამ და საბოლოო სახის ჩამოყალიბებამ, ასევე საერთაშორისო სავაჭრო სისტემის შექმნამ, ფინანსურ ბაზართა ინტეგრაციის ზრდამ და სხვა საინვესტიციო განვითარებამ შექმნა სრულიად განსხვავებული ეკონომიკური სისტემა. გლობალიზაციის შემდგომი განვითარება, ტემპი და მიმართულება დამოკიდებული იქნება იმ გადაწყვეტილებაზე, რასაც სხვადასხვა ქვეყნის მთავრობები მიიღებენ – გააგრძელონ თუ არა ამ პროცესის საინვესტიციო წესების სრულყოფა.¹

თითოეულმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს, როგორ უნდა ჩაერთოს გლობალიზაციის პროცესში. განვითარებული თუ განვითარებადი ქვეყნები უნდა შეთანხმდნენ ბაზარ-

¹ ეკონომიკური რეფორმები დღეს. 2004, №4. გვ. 2-3.

თა სწრაფ ინტეგრაციაზე, ფინანსების ზრდაზე და ტექნოლოგიების საყოველთაო გამოყენებაზე. იმ ქვეყნებსაც კი, რომელთაც მცირე თავისუფალი ბაზარი აქვთ, არ სურთ საერთაშორისო ძალების მსხვერპლნი გახდნენ. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივ და კერძო სექტორთა ერთად მუშაობას შეუძლია გავლენა მოახდინოს სხვადასხვა ინსტიტუტებსა და პროგრამებზე, რათა უფლება მისცენ მოქალაქეებს, ისარგებლონ გლობალიზაციის შესაძლებლობებით, რომელიც ეკონომიკური ზრდისთვის სთავაზობს საზოგადოებას, რათა საზოგადოებრივ კერძო სექტორებს დაეხმარონ იმ საკითხის გადაწყვეტაში, თუ რა ტიპის ინსტიტუტები და პროგრამები დასჭირდებათ მათ მომავალში.

გლობალურ სისტემაში დაფიქსირებულია გაერთიანების მარცხის შემთხვევებიც. ამის მაგალითს წარმოადგენს ყოფილი გეგმიური ეკონომიკის მქონე ქვეყნებისადმი მიმართული მახასიათებლები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ჩათვლით.

ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ გლობალიზაცია არ წარმოადგენს მსოფლიო პრობლემათა საპროგრამო მიმართულებების გადაწყვეტის საშუალებას, რომელიც არის გარდაქმნაც და საერთაშორისო ურთიერთობათა კომპლექსი მიმდინარეობის პროცესში. უახლოესი წლები მნიშვნელოვან პრობლემათა პერიოდით ხასიათდება და არა მგონია, ვინმეს სჯეროდეს, რომ თავისუფალი ვაჭრობა და ინვესტიცია საკმარისია სიღარიბის დაძლევისა და შემდგომი განვითარებისათვის. უფრო მეტია გასაკეთებელი და საჭირო ჯანსაღ მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში, ადგილობრივ ლიბერალიზაციაში, აუცილებელია ინვესტიციების გაზრდა განათლებაში, ჯანმრთელობასა და სოციალურ სფეროში, ასევე, დემოკრატიული

ინსტიტუტების გაძლიერება, მითუმეტეს მცირე ერებთან მიმართებაში.

ღია ბაზარს მართო არ ძალუძს, ეკონომიკური ზრდის ეფექტი მიაწვდინოს მაგ. სოფლის ღარიბ მოსახლეობას. ეფექტური პოლიტიკის გარეშე, მეტად სარისკოა ის, რომ ყველაზე გაჭირვებული ეკონომიკური განვითარებით მოპოვებულ სიკეთეს მიიღებს; ზოგიერთი ამ ფაქტს ვაჭრობის გლობალიზაციას დააბრალებს, უფრო მეტიც, ზოგი იმასაც იტყვის, რომ მსოფლიოში არსებული სიღარიბე და სოციალური უთანასწორობა სწორედ გლობალიზაციითაა გამოწვეული.

ხალხი ვერ მონაწილეობს განვითარებაში არა გლობალიზაციის გამო, არამედ იგი არაადეკვატურია განათლების, ჯანმრთელობის, კვებისა და სოციალური მომსახურებით და ძირითადი ინფრასტრუქტურის არსებობით. მათ სწორედ ამ ჩამონათვალთა არსებობით არ შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ დინამიურ, ღია ეკონომიკურ საქმიანობაში. ღია ბაზრის წყალობით სინამდვილეში, მხოლოდ მცირე რამ კეთდება ამ სიტუაციის გამოსასწორებლად. ეს არც ბაზრის მოსაგვარებელი საქმეა. მსგავსი სიტუაციის გამოსასწორებლად მუდმივად საჭიროებს და აუცილებელია მთავრობის ჩარევა ეფექტური სოციალური პოლიტიკით, ნებისმიერი მცირე ერის თუ ქვეყნის განვითარებისათვის.

გლობალიზაციის პროცესი არ წარმოადგენს ერთმნიშვნელოვან ფენომენს. მასში იმალება პიროვნების, ერის, ეროვნული კულტურის, კაცობრიობის ჰარმონიული განვითარებისა და სრულყოფის შესაძლებლობები, ცალკეული ადამიანებისა და ეროვნული კულტურების ურთიერთდაახლოებისა და ურ-

თიერთგამდიდრების ფაქტორები.¹ მსოფლიო საბაზრო ეკონომიკაში სხვადასხვა ქვეყნების ჩართვის, ინტეგრირების ტენდენციები, ხოლო მეორე მხრივ, ეს პროცესი მოიცავს ისეთ შესაძლებლობებსაც, რომელთა რეალიზაცია ხელს უწყობს საკაცობრიო კულტურის მრავალფეროვნების ნიველირებას, სპობს ადამიანთა არსობრივი, გონითი განვითარების აუცილებელ პირობებს, ემუქრება მსოფლიოს უმუშევრობის ზრდით, სიმდიდრისა და სიღარიბის პოლარიზაციით, ძალადობისა და აგრესიის ახალი ფორმების გაღვივებით.²

მკვლევართა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ დასავლური ცივილიზაცია ყველასთვის მისაღებია და, ამდენად, მომავალში შესაძლებელია ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბება. დღეს, როდესაც ამ კულტურის ბევრმა ელემენტმა მართლაც მოიცვა დანარჩენი სამყარო, სიღრმისეულ დონეზე დასავლური წარმოდგენები და იდეები კვლავაც ძირეულად განსხვავდება იმათგან, რომლებიც დამახასიათებელია სხვა ცივილიზაციებისათვის. თავად ევროპაში გავრცელებული შეხედულებით, ისლამურ, კონფუციურ, იაპონურ, ინდუისტურ, ბუდისტურ და მართლმადიდებლურ კულტურაში თითქმის ვერ პოულობს გამოძახილს ისეთი დასავლური იდეები, როგორებიცაა: ინდივიდუალიზმი, ლიბერალიზმი, კონსტიტუციონალიზმი, ადამიანის უფლებები, თანასწორობა, თავისუფლება, კანონის უზენაესობა, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი, ეკლესიის გამოყოფა სახელმწიფოსგან და ა.შ.³

¹ ი. კეცხოველი, გლობალიზაცია თუ ლოკალური ინტერესები, ახალციხე, 2009.

² Мидоиз Данелла, Мидоиз Денин, за пределами допустимого, 1999, გვ. 36.

³ Пригожин и Стингерс, Хаос, к решению парадокса времени, Москва, 1994, გვ. 76.

გლობალიზაციას, როგორც ერთიანი უნივერსალური ცივილიზაციის ჩამოყალიბებას, აქვს მასშტაბური ალტერნატიული მოდელი: თითოეულ ცივილიზაციას და მათში შემაკვალ ცალკეულ ერებს უნდა შეეძლოთ სხვებთან ერთად თანაარსებობა დაპირისპირებათა გარეშე მთლიანად მსოფლიო სივრცეში.

გლობალიზაციის პროცესი თანამედროვე მსოფლიოს ზოგიერთ ქვეყანაში, სამწუხაროდ, ძალდაუტანებლად მიმდინარეობს და მცირერიცხოვან ერთა თვითმყოფადობის შენარჩუნებასთან დაკავშირებულ საფრთხესთან ერთად, კაცობრიობისთვის რიგ პრობლემათა გადაჭრის გზაზე თითქოს გარკვეული პროგრესიც მოაქვს, მაგრამ პროგრესმა უნდა შეიგნოს ან გაითავისოს, თუ როგორ შეინარჩუნონ მცირე ერებმა ეთნიკური თვითმყოფადობა. გლობალური, გამარტივებული სამყარო, ალბათ, ადვილი სამართავია, მაგრამ ისიც ზომ გასათვალისწინებელია, ამ შემთხვევაში რა იკარგება?

ვინაიდან თვლიან, რომ გლობალიზაცია, ერთი მხრივ, დადებითი მოვლენაა, ხოლო მეორე მხრივ, იგი უნიფიცირებულია და ცდილობს შეიქმნას ერთიანი სიცოცხლისუნარიანი სივრცე, რომელიც ვარირებული პროცესის დროს მოიცავს და ზრუნავს რელიგიაზე, ნაციონალური ტრადიციების შენარჩუნებაზე და სხვადასხვა ღირებულებებზე, ამავე დროს ზრუნავს ტექნიკური პროგრესის და ზუსტ მეცნიერებებზე, რომლებიც მისაღები არის როგორც ზოგადსაკაცობრიო მონაპოვარი.

დღეს კავკასიაში ღია და ლატენტურმა კონფლიქტებმა დაპირისპირებულ ომში ჩაითრის განსაკუთრებით ბოლო ათწლეულში მცხოვრები ხალხები. ყველაფერმა ამან განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მეცნიერული შესწავლის ობიექტიც გახდა. ეთნოკონფლიქტების ხასიათმა, რომლებიც

ძირითადად უკავშირდება ნავთობს, რელიგიას და სხვას, რომლებიც ერთი შეხედვით თითქოს ეთნოლოგიური, თუ ისტორიული მეთოდებით შესწავლას განაპირობებს, არ იძლევა სრულყოფილ სურათს, პრობლემა უფრო მძაფრია და საგანგებო წვდომას მოითხოვს გეოპოლიტიკური მიდგომებისა და პრინციპების შესწავლის გზით. თანამედროვე შეხედულებით გლობალიზაციის პრობლემა უფრო მეტად დასავლური ცივილიზაციების პოზიციით გამოიხატება. მაშინ, როდესაც თანამედროვე საქართველოს ეკონომიკური გლობალიზაცია შეიძლება განვიხილოთ როგორც სოციალიზაციის შედეგი და ამავე დროს განვიხილოთ სოციალური ურთიერთობების ერთობლიობაში, ეს საკითხი ჯერ კიდევ ღია რჩება და სათანადო დასკვნებს მოითხოვს.

თანამედროვე საქართველომ XXI საუკუნის მიჯნაზე შეძლო, განიხილა და შეაფასა ზემოთ ხსენებული პროცესები, ვინაიდან ადამიანური ფაქტორის ძირითად ღირებულებების ფონზე, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვფიქრობ. დღეს ძლიერნი ამა ქვეყნისა და სუპერსახელმწიფოები, ერთი მხრივ, ითვალისწინებენ საქართველოს გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას, მაგრამ ამავე დროს ყველა ღონეს ხმარობენ, რათა საქართველო და, საერთოდ, მთელი კავკასია დაუმორჩილონ თავიანთ გეოპოლიტიკურ ინტერესებს. რეგიონში საქართველო ითვლება, როგორც საკვანძო ევროაზიური კონფიგურაციური კორიდორი. ამავე დროს ანალიტიკოსები თვლიან და ხშირად აღნიშნავენ - თუკი საქართველო დასავლეთ ევროპის შეხედულებათა საწინააღმდეგოდ განვითარდება, მაშინ კავკასიის რეგიონი და ცენტრალური აზია დარჩება მსოფლიო გლობალური პროცესების მიღმა, რაც გავლენას მოახდენს გეოპოლიტიკურ ორიენტაციებზე, ამ რთულ და საინტერესო რეგიონალურ სივრცეში.

გლობალიზაციის ნეოლიბერალური მოდელის დამკვიდრების ზემოაღნიშნული მეორე მიმართულება უშუალოდ უკავშირდება მსოფლიო მეურნეობრიობის განვითარების ისტორიულ თავისებურებებს, სოციალურ ტენდენციებსა და ორგანიზაციულ მხარეებს. სამეცნიერო ლიტერატურაში დადასტურებულია, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკური პროცესების მამოძრავებელი ძალები, კერძოდ, სახელმწიფო და სახელმწიფოს იურისდიქციაში მყოფი მეწარმეები თვისობრივად, სოციალურად და ორგანიზაციულად თანდათანობით შეიცვალნენ და დროთა განმავლობაში არენაზე რეალურ ძალად ტრანსნაციონალური კორპორაციები და ფინანსური ცენტრები გაბატონდა, რომლებიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კონტროლიდან გამოვიდნენ და დამოუკიდებლად ახორციელებენ საკუთარ კორპორაციულ პროცესებს.

სამყაროს მრავალსახეობის ჰარმონიზაცია XXI საუკუნის ამოცანაა. კონტრაპუნქტის პრინციპი მომავალი პლანეტარული საზოგადოების მშვიდობიანი განვითარების სქემად წარმოვიდგინოთ. ეს ადვილი არ არის, მაგრამ შესაძლებელია. ამისათვის კონტრაპუნქტის ეს მთავარი პრინციპი გრაფიკულად უნდა გამოხატოთ, შემდეგ კი ამ გამოსახულებაში ჩავსვათ დედამიწაზე არსებული ერები და მათი განვითარების ტენდენციები. ამით რას მივალწევთ? - იმას, რომ შევძლოთ შევექმნათ სტრუქტურა, რომლის მთავარი მიზანი ის მექანიზმი იქნება, ავტომატურად რომ დაიცავს გვერდით მდგომ სუბიექტს. ეს კი მის ინტერესებში შევა. ამ გზაზე გასულებს ბევრი სიურპრიზი გველის, მაგრამ პრინციპი, ვფიქრობ, ნათელია და თანაც პერსპექტიული. „კონტრაპუნქტი“ ნაბოძები მაღლია, რომლის ახლებური გააზრებაც შესაძლებლობას მო-

გვცემს, ღაგიცვათ საკუთარი თავი და ერთმანეთი.

Irma Ketskhoverli
Georgian Technical University
**GLOBALIZATION IN RELATION
WITH SMALL NATIONS
RESUME**

Globalization, as a foundation of whole universal civilization, has alternative model: All civilization and the small nations consist in this can be able to cooperate with other without contradistinction in whole world.

The process of globalization in some countries of the modern world runs without violence, unfortunately, and with the danger of existence of some small nations, has some progress on the way of solving the problems of mankind, but the progress must be equal to the meaning of how the small nations can save their ethnicity. Global, easy world, easy to rule, but must be taken into the consideration, what we are losing on this way?

This process involves such kind of abilities, the realization of them can effort on the process of level cultural diversity, destroy human's existence, necessary conditions for mind development, it threatens the world with unemployment, with the polarization of wealth and poverty, with enhancement of violence and aggression.

For the reason, that globalization, from one side, positive phenomenon, and from the other side, it is unified and trying to create the common vital capacity, which mean to care about the religion, national traditions with different value, and at the same time it cares about technical progress and science which are acceptable as mankind achievement.

**დესტრუქციული კომუნიკაციის ენობრივი მარკერი
პოლიტიკურ დისკურსში**

შესავალი

როგორც ცნობილია კომუნიკაციის ტიპები იძლევა როგორც დავების, კონფლიქტების მოგვარების საშუალებას (ეფექტურ კომუნიკაციას), ასევე პირიქით-წარუმატებელ ურთიერთობას. ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტი, რომელიც არღვევს კომუნიკაციის არსს - ესაა გადაცემული ინფორმაციის არასწორი კოდირება და დეკოდირება. კოდირებისა და დეკოდირების პროცესების სხვადასხვაგვარობის დროს შეიძლება დაირღვეს გადაცემადი ინფორმაციის მთლიანი ბლოკი, ვინაიდან ყოველი ადამიანის პიროვნული თვისებები და მიზნები მუდმივ ცვალებადობას განიცდის. კომუნიკაციის ეფექტურობას მიყვავართ კონსტრუქციულ კომუნიკაციამდგეროცა ადამიანები კონფლიქტის მოგვარების ეფექტურ გზებს ეძებენ. ამ შემთხვევისთვის დამახასიათებელია მხარდაჭერა და პატივისცემა. გადაუჭრელი დავები და კონფლიქტები მნიშვნელოვნად ზრდის დესტრუქციული კომუნიკაციის პოტენციალს, ხოლო კონსტრუქციული კონფლიქტი ზრდის ჯანსაღ და სანდო ინტერპერსონალურ ურთიერთობას.

ძირითადი ნაწილი

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბილწსიტყვაობის პრობლემა მნიშვნელოვნად იპყრობს ყურადღებას სამეტყველო კომუნიკაციაში და, მათ შორის კი, პოლიტიკურ დისკურსში.

ასეთი ტენდენციის გამოჩენამ ლინგვისტიკაში წარმოშვა ახალი სახელწოდებები, ტერმინები - „ენობრივი აგრესია“. Verbal abuse (Patricia Evans) (ვერბალური შეურაცხყოფა, სიტყვის ბოროტად გამოყენება), Verbal Agression (Professor Reinhold Amon) (ვერბალური აგრესია). ენობრივი აგრესია არის ლინგვისტური ქმედება, რითაც ადრესანტი გამოხატავს ნეგატიურ გრძნობებს ადრესატის მიმართ და ამცირებს მას. ვერბალური აგრესია გამოიხატება შემდეგ სამეტყველო აქტებში, როგორცაა: საჯაროდ შეურაცხყოფის მიყენება, მასხრად ავლება, დაცინვა, უპატივისმცემლობა, ლანძღვა. კომუნიკაციაში მათი გამოყენების მიზანია ადამიანის დამცირება, დეგრადირება, მტრული განწყობის გამოწვევა.¹

ვერბალური აგრესია დაყოფილია იმპლიციტურ (hidden) და ექსპლიციტურ (direct) აგრესიად. ექსპლიციტური ვერბალური აგრესია გამოხატულია პირდაპირ და გამოყენებულია დამამცირებელი ლექსიკა, საუბრის ხმამაღალი ტონი. იმპლიციტურ აგრესიად შეიძლება ჩაითვალოს ჭორი, ცილისწამება, შერცხვენა და სხვა

დამამცირებელი ლინგვისტური ქმედებები. ის შეიძლება გამოიხატოს ნეიტრალურ განცხადებებში, რომლებიც გამკიცხავი შინაარსისაა. მაგალითად: ირონია, ხუმრობა, ყალბი თანაგრძნობა. სხვა ადამიანზე თავდასხმა და მასზე მენტალური დისკომფორტის მოხდენა ვლინდება ლინგვისტური, მორფოლოგიური, ემოციური სინტაქსის მახასიათებლებით. ყველაზე ხშირად გამოყენებული სტილისტური მახასიათებლებია: ირონია, სარკაზმი, დაცინვა, გამასხარავება.

ენობრივი აგრესიის ყველა გამოხატულება შეიძლება გაერთიანდეს ერთი სიტყვის ”ინვექტივის” ქვეშ. თავად ტერ-

¹ Формановская Н. И. Коммуникативная Категория Адресации и Адресат. М. 2007.

მინი „ინვექტივა“ ლექსიკონში განმარტებულია როგორც მკვეთრი, შეურაცხმყოფელი სიტყვა ვინმეს ან რამეს წინააღმდეგ, შეურაცხმყოფელი სიტყვები, თავდასხმა (ლათინური ინვექტივა - "შეურაცხმყოფელი სიტყვა"). ინვექტივა შეურაცხმყოფელი ლექსიკაა და გარკვეული სახის მიზნობრივი სტრატეგიები აქვს. არსებობს ინვექტიური სტრატეგიის ორი კომპონენტი: უარყოფითი შეფასება და ადრესატის სოციალური სტატუსის დაკნინების სურვილი.¹

აღსანიშნავია, რომ დღემდე ინვექტივას გარკვეული ტაბუ ედო, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, ასევე ენათმეცნიერთა წრეებშიც. ამიტომ ჩვენში ის სრულიად უკვლევია პრობლემა. უცხოეთშიც მხოლოდ უკანასკნელ წლებში გამოჩნდა მეცნიერული კვლევები და დაინტერესება.

ზოგადად ინვექტივები ორი სახის არსებობს:

- 1) უნებლიე ემოციური რეაქციის მქონე
- 2) მოწინააღმდეგის განზრახ დამცირების გამომხატველი.

ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა სახის ინვექტივები: შეურაცხმყოფელი ლექსიკა, ირონიული შენიშვნები, ცილისწამების საშუალებები, მეტაფორები.

ამ ბოლო დროს სამეცნიერო ინვექტიური ჟანრი გააქტიურების ფაზაშია როგორც ყოფით, ასევე სხვა სფეროებშიც. ინვექტივი შეიძლება გამოვლინდეს კომუნიკაციის სხვადასხვა სფეროებში, უფრო ნათლად ინვექტიური ჟანრები გამოიყენება პუბლიცისტიკაში. კომუნიკაციის ამ სფეროში მონაწილე ინვექტიური სამეცნიერო ჟანრი ეგრეთწოდებული „საყოფაცხოვრებო ინვექტივებისგან“ შეიცავს სპეციალურად

¹ Жельвис В.И. Поле брани: Сквернословие как социальная проблема в языках и культурах мира 2001 — 352 с.: ил. - (Русская потаённая литература).

შერჩეულ ტაქტიკას, ასევე პრაგმატული მუხტის უზარმაზარ ძალას.

ინვექტიური ჟანრების პარადიგმაში დომინანტად ვლინდება სამეტყველო ჟანრი-შეურაცხყოფა, რაც ნათლად გვიჩვენებს ავტორის საკომუნიკაციო მიზნის სპეციფიკას ინვექტივთა გამონათქვამებში. სამეტყველო ჟანრის შეურაცხყოფის კომუნიკაციურ მიზნად გვევლინება ავტორის (ინვექტორი) განზრახვა, რომელშიც გამოყენებულია ინვექტიური სამეტყველო საშუალებები თავისი უარყოფითი წინააღმდეგობრივი უფლებებით საზოგადოების ზნეობრივი ნორმებით, ადრესატის (ინვექტუმი) იმიჯის მიმართ მორალურ-ფსიქოლოგიური ტრამების მიყენებით.

მეცნიერული კვლევის თანამედროვე ეტაპზე მოცემული პრობლემები გამოიყოფა 8 ჯგუფად ინვექტიურ ლექსიკაში:¹

1) სიტყვა და გამოთქმა, გამოსახვა, რომელიც თავიდანვე აღნიშნავს ანტისაზოგადოებრივ, სოციალური განხილვის მქონე ქმედებებს: ყაჩაღი, ჯიბგირი.

2) სიტყვა თავისი მკვეთრად გამოხატული ნეგატიური ელფერით - რასისტი, ქვეყნის მტერი, ორპირი, თვალთმაქცი.

3) პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვების გადატანილი მნიშვნელობით გამოყენება: ჯალათი, ყასაბი.

4) ზოლოსემანტიკური მეტაფორები - ცხოველთა სახელწოდების მქონე სიტყვები - ღორი, ფაშატი.

¹ *А.В. Курьянович*, Инвективные речевые жанры в пространстве современной межличностной коммуникации, Вестник ТГПУ. 2005. Выпуск 3 (47); Н. Н. Кошкарова, Лингвистические механизмы речевой агрессии в сми. вестник челябинского государственного университета. 2009. №10 (148). Филология. Искусствоведение. Вып. 30. С. 48–52.

5) დამგმობელი სემანტიკური ზმნები და პირდაპირი ნეგატიური შეფასების მატარებელი: მოპარვა, გლეჯა, ტაცუბა.

6) სიტყვა, თავისი უარყოფითი მნიშვნელობის მატარებელი: საზიზღარი, საძაგელი.

7) ევფემიზმები - პირველი ჯგუფის სიტყვებისთვის, რომლებიც ინარჩუნებენ თავიანთ მკვეთრად ნეგატიურ შეფასებით ხასიათს: მსუბუქი ყოფაქცევის ქალი, მეძავი.

8) ოკაზიონალური კალამბურული განათლება, რომელიც მიმართულია ადრესატის დამცირებისა და შეურაცხყოფისკენ: დემორკრატიები, პრიხვატიზაცია¹ მეორე ჯგუფის სიტყვები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით არ არიან ინვექტიური აზრის, ელფერის, ისინი იძენენ ინვექტიურ დატვირთვას კონტექსტის პირობებში ტექსტის ფორმირების გარკვეული ფაქტორების გათვალისწინებით, კომუნიკაციაში თითოეული მონაწილის ზრახვების ხასიათიდან გამომდინარე, ავტორისა და ადრესატის ურთიერთგაგების სპეციფიკიდან, სიტუაციის თავისებურებიდან, ტექსტის ჟანრობრივ-ტიპოლოგიური მახასიათებლებიდან გამომდინარე. მისი სტილისტური პარამეტრები, კომუნიკაციური სტრატეგიები, ტექსტის აზრობრივი პროგრამა გარკვეული კომუნიკაციურ-პრაგმატული ეფექტის მიღწევის გზებია. ასეთი ლექსიკური ერთეულები შესაძლოა აღინიშნებოდეს როგორც „პოტენციურ ინვექტივებად“. ამ შემთხვევაში ინვექტივები თვითონ სიტყვები კი არ არის, არამედ მათი გამოყენება კონკრეტულ სამეტყველო სიტუაციაში ენის ინვექტიური პოტენციალია. ამგვარად, ლექსიკური ერთეულები შეიძლება რეალიზდებოდეს არა მარტო

¹ Жельвис В.И. Инвективная агрессия в ряду эмотивных средств // Социальная психолингвистика. Хрестоматия. – М.: Лабиринт, 2007. – С. 278–322.

პირველი ჯგუფის ინვექტიური ლექსიკის გამოყენებით, ასევე მეორე ჯგუფის შეურაცხყოფელი ლექსიკითაც.¹ ინვექტივის განსაკუთრებული სახეა პოლიტიკური ინვექტივა, რაც ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კომუნიკაციის მექანიზმია თანამედროვე პოლიტიკაში. ესაა განზრახული ვერბალური აქტი, რომელიც ანადგურებს ენასა და კულტურაში საყოველთაოდ მიღებულ წესებს.

უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვისას ხშირად მიმართავენ ინვექტივას პოლიტიკურ-ჟურნალისტურ ტექსტებში. ამ ვითარებაში ჭარბობს ოპონენტის საჯარო კრიტიკა პუბლიცისტურ გამოსვლებში, ინტერვიუებში, პოლიტიკურ დებატებში. ინვექტიურ ლექსიკას მიმართავენ მაშინ, როცა არ ყოფნით არგუმენტები და კამათის დროს ჭარბობს ხმის ემოცია. ფართო გაგებით ინვექტივა შეურაცხყოფის მიყენების ენობრივი ფუნქციის მატარებელია. ვიწრო გაგებით ის ეთიკური ტაბუს ვერბალური დარღვევაა, რაც კლინდება არაკოდიფიცირებული, ობსცენური საშუალებებით. მასობრივ საშუალებებში უხვად გვხვდება ამ საშუალებების ჭიდილი, ვულგარული ტერმინოლოგიის გამოყენება, უხეში ეპითეტები და შეურაცხყოფელი იარლიყების მიკერება. ინვექტივა ვიწრო გაგებით ენის რეალიზებაა და მისი ფუნქციის გამოსაყოფად საჭიროა გავიგოთ რა მონაწილეობას ღებულობს ენის ფუნქციონირებაში. დორონინი გამოყოფს ენის სამ ფუნქციას: ინფორმაციულს, ექსპრესიულს და ევოკატიურს. ინფორმაციულ ფუნქციაში ენა გამოიყენება ჭეშმარიტი ან მცდარი მტკიცებულებების ფორმულირებისთვის. ექსპრესიულში – ადამი-

¹ Linguistic communication in the perspective of political invective Malwina Dankiewicz, M.A.1 Radosława Rodasik, M.A.2 Aleksandra Skórzak, B.A.3 1,2,3 Jagiellonian University. S NO. 11; 2014 (115-120)

ანის ცნობიერების გამოხატვით. ევოკატიურში - მსმენელზე ზემოქმედების მოხდენით. ამ მიზნით გამოყენებულია შეფასებითი ლექსიკა. ყველაზე ხშირად პოლიტიკურ ენაში გამოყენებულია უარყოფითი დატვირთვის ზედსართავი სახელები, დაბალი ინტელექტუალური დონე, მორალური დონე, სასაცილო მანერები და სხვა.

პოლიტიკურ ენაში უარყოფითი კონოტაციის სიტყვები გააქტივირებულია: კონტექსტში სიტყვების მიზნობრივად ჩასმით, პოლიტიკოსთა გვარების უარყოფითად მოხსენიება, ცხოველთა სამყაროდან ამოღებული სიტყვების გამოყენება ადამიანების მიმართ. შემდეგ კატეგორიას წარმოადგენს მორფოლოგიური უარყოფითი შეფასების დერივატიული წარმოშობის ზმნები. მორფოლოგიური მახასიათებლებიდან აღსანიშნავია უსულო ფორმების გამოყენება მამრობითი სქესის პირების ნაცვლად, პოლიტიკოსთა სახელები გამოყენებულია მრავლობითში. შეუფერებელი კნინობითი სუფიქსების დამატება მთავარ სიტყვაზე. ფრაზული ზმნებისა და მათი მოდი-ფიკაცია მოიცავს შემდეგ კატეგორიას. ისინი ააშკარავენ ოპონენტის უარყოფით შეფასებას განზრახ ტრანსფორმაციით, სტილისტურად ნეიტრალური სიტყვების ჩანაცვლება ნეგატიური მარკირებით პოლიტიკურ კომუნიკაციაში.

ბოლო კატეგორიაა - ირონიული კითხვის ნიშნები, დანაწევრებული და განუყოფელი დამარცვლა, ნეოლოგიზმების გამოყენება. ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურები ფართოდაა გავრცელებული პოლიტიკურ და მედია დებატებში.

დასკვნა

ამრიგად, ინვექტივების გამოყენების და ფუნქციონირების ზოგადი დებულებებია:

- ინვექტივა, როგორც აგრესიის ეკოლუციური ფორმა, რაც სპეციფიურად დამახასიათებელია ადამიანებისათვის.

- ინვექტივის მთავარი ფუნქციაა ინვექტუმისთვის გამიზნული ოპტიმალური ხელსაყრელი კომუნიკაცია მასში მიმდინარე საყოველთაოდ მიღებული ნორმების დარღვევით.

- ინვექტიური ლექსიკის მატარებელი ინდივიდები შეუძრავს მყოფელი ლექსიკის მატარებელნი არიან.

„სიტყვის აბსოლუტური თავისუფლება“ დაკვირვებას განიცდის თანამედროვე საზოგადოებაში, რომელმაც განაპირობა პოტენციურად ნებადართული ინვექტივების გამოვლენა სიტუაციაში და მისი მასობრივი გამოყენება ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკაში. საჯაროდ გამოყენებული ვერბალური აგრესია ეთიკური და სოციალური პრობლემაა. ის მჭიდროდაა დაკავშირებული კონფორტაციულ დამოკიდებულებასთან, ვერბალური აგრესია, როგორცაა პოლიტიკური ინვექტივა, ნორმალურ ლინგვისტურ აქტადაა მიჩნეული. საზოგადოებაში მისი დამკვიდრება გრძელდება და ის რთული მოვლენაა და აუცილებლად უნდა შეჩერდეს. თუ გავითავისებთ რომ ეფექტური კომუნიკაცია საზოგადოებრივი ცხოვრების ფუნდამენტია, მაშინ კომუნიკაციის პროცესში ქცევის პოზიტიურად შეცვლა მეტად დამკვიდრდება და ღიდ წვლილს შეიტანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ის იქნება წინაპირობა საჯარო დაწესებულებების ოპტიმალურად ფუნქციონირებისა და ადამიანის, როგორც თითოეული მოქალაქის, უკეთესი ურთიერთობის საწინდარი. ამრიგად, ამ ფონზე საკმაოდ აქტუალურია ენის ინვექტიური ფუნქციის შესწავლა მის კონკრეტულ კონტექსტურ განსახიერებაში.

დაბოლოება:

1. Формановская Н. И., Комуникативная Категория Адресации и Адресат. М. 2007
2. Жельвис В.И. Поле брани: Сквернословие как социальная проблема в языках и культурах мира 2001 — 352 с.: ил. - (Русская потаённая литература).
3. *А.В. Курьянович* Инвективные речевые жанры в пространстве современной межличностной коммуникации, Вестник ТГПУ. 2005. Выпуск 3 (47).
4. Н. Н. Кошкарлова, Лингвистические механизмы речевой агрессии в сми.вестник челябинского государственного университета. 2009. №10 (148). Филология. Искусствоведение. Вып. 30. С. 48–52.
5. Жельвис В.И. Инвективная агрессия в ряду эмотивных средств // Социальная психоллингвистика. Хрестоматия. – М.: Лабиринт, 2007. – С. 278–322.
6. Linguistic communication in the perspective of political invective Malwina Dankiewicz, M.A.1 Radosława Rodasik, M.A.2 Aleksandra Skórzak, B.A.3 1,2,3 Jagiellonian University. S NO. 11; 2014 (115-120)

Sophiko Labadze

Georgian Technical University

A LINGUISTIC MARKER OF DESTRUCTIVE COMMUNICATION IN POLITICAL DISCOURSE RESUME

Destructiveness is one of the main categories of discourse, which plays a major role in organizing communication interactivity and defines pragmatic point of discourse. Studying destructive communication gives us an opportunity to

understand various principles and mechanisms of communication and identify its strategies and tactics. It is connected with studying new fields and analysing categories of discourse. All these enable us to study the principles of communication profoundly. Destruction has a linguistic character. It is a semiotic process and a negative category. It destroys unity of human culture. The tendency of destructive communication is getting more visible and actual in our society in recent years and it is dominated in all fields of community nowadays. The most notable fact is how destructive communication is establishing in linguistics, which linguistic markers define the effectiveness of destructive speech and how it is shaped in linguistics.

გიორგი მეურმიშვილი, დარეჯან აბულაძე
საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან
არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

საქართველოს ეროვნული მუზეუმის უცნობი კოლექციები (ალექსეი ეისნერის ნამუშევრები)

რუსი მხატვრის ალექსეი პეტრეს ძე ეისნერის მოღვაწეობა საქართველოში მონუმენტური მხატვრობის აღორძინებას უკავშირდება. ეს იყო პერიოდი, როდესაც დაიწყო ფრესკული მხატვრობის ასლების გადაღება იმ მიზით, რომ შენარჩუნებულიყო დასაღუპად განწირული ქართული კულტურის ეს უნიკალური ქმნილებანი.

ჩვენი ერის ესთეტიკური გემოვნების წარმოჩენაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საეკლესიო მხატვრობას, ხელოვნების მაღალ ღირებულებასთან ერთად, ის უაღრესად საინტერესოა, როგორც საისტორიო წყარო. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ XVIII ს. უდიდესი მოღვაწე ვახუშტი ბატონიშვილი, რომელმაც ისტორიულ პირთა პორტრეტებთან ერთად რელიეფურად წარმოაჩინა საქართველოს მატერიალური კულტურა, ქართული ეპიგრაფიკა, ყოფა-ცხოვრების ამსახველი დეტალები და მონუმენტურ მხატვრობის იდეოლოგიური აქცენტები¹.

ქართული კედლის მხატვრობის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს, ქართლის მთავარ-

¹ ძველი საქართველოს მონუმენტური მხატვრობა და მისი მოამაგენი. 2017.

ეპისკოპოსის და ქუთაისის მიტროპოლიტის, ტიმოთე გაბაშვილის 1755-1759 წლებში ათონის მთისა და იერუსალიმის წმინდა ადგილთა მოხილვისას ქართველთა ნამოღვაწარი კედლის მხატვრობის დაფიქსირებას და აღწერას¹.

XIX საუკუნეში საქართველოს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლის შემდეგ, სხვა სიძველეთაგან (არქიტექტურისა და ოქრომჭედლობის ნიმუშებთან შედარებით) ქართული კედლის მხატვრობისადმი ინტერესი უმნიშვნელო იყო. მოგზაურთა და სიძველეთმცოდნეთა ჩანაწერ-ჩანახატებში ხელოვნების ამ დარგის შესახებ ცნობები ერთობ ფრაგმენტულია, რადგან ერთმორწმუნე იმპერიის ცნობილი ბიზანტისტებისთვისაც ქართული ფრესკა დიდხანს რჩებოდა „ბიზანტიური სტილის უკიდურესი დაცემის“ გამოხატულებად².

მდგომარეობა შეიცვალა XX საუკუნის დასაწყისიდან, მაშინ, როდესაც რუსეთის იმპერატორის ოჯახის ერთ-ერთი წევრი ზარზმის ეკლესიით დაინტერესდა. რის შემდეგაც გამოთქვა სურვილი ძეგლი აღედგინათ. ჩვენთვის განსაკუთრებით ნიშნულვანია ის გარემოება, რომ ეკლესიის რესტავრაციის პროცესში რუს ბიზანტიისტებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ექვთიმე თაყაიშვილი. საგულისხმოა, რომ 1907 წლისათვის ექვთიმე თაყაიშვილის მიერ დაარსებულმა საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოებამ, უკვე თავის წესდებაში შეიტანა ფრესკების პირთა გადმოღების ვალდებულება,

¹ Амиранашвили Ш. История Грузинской Монументальной Живописи, 1957, ст. 9.

² Кондаков Н. Древняя архитектура Грузии, Труды Московского Археологического общества. VI (Москва. 1876) с. 260.

რაც მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა ქართული საეკლესიო ფრესკების შენარჩუნების და კვლევის გზაზე¹.

მომდევნო წლებში, ქართულ ხუროთმოძღვრულ სიძველეთა შესწავლის მიზნით, ექვთიმე თაყაიშვილის თაოსნობით განხორციელდა ექსპედიცია, რომელშიც მონაწილეობდნენ მხატვრები: ა. ეისნერი, ქ. რონი, ჰ. პრინევსკი, თ. კიუნე, გ. ხმალაძე, ს. პოლტორაცკი, ა. გარიბჯანიანი და დ. კაკაბაძე².

მხატვრებმა ექვთიმე თაყაიშვილის მითითებით დაიწყეს ფრესკული მხატვრობის ორიგინალთან მიახლოებული სიდიდისა და მოცულობის ასლების გადმოღება.

ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე და ფრესკებზე ინფორმაცია მოპოვებული ჰქონდა ალექსეი პეტრეს ძე ეისნერს, ვინაიდან მას გააჩნდა აღნიშნულ სფეროში მუშაობის გამოცდილება. ადრე მან იმოგზაურა დასავლეთ საქართველოში და სხვადასხვა ეკლესიებიდან გადმოიღო ფრესკები და შეაგროვა სათანადო ცნობები მათი მდგომარეობის შესახებ. აღნიშნულ სამუშაოთა ანგარიში, სათანადო ჩანახატებით, მან წარადგინა რუსეთის ხელოვანთა საერთო კრებაზე, რამაც დამსწრე საზოგადოებაში დიდი ინტერესი გამოიწვია. შემდგომში სწორედ ამ ჩანახატთა ნაწილი შეიძინა მხატვრისგან, იმდროინდელმა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ³. სავარაუდოა, რომ მოგვიანებით ეს კოლექცია გადმოეცა ეროვნულ მუზეუმს. ამჟამად, საქართველოს ეროვნული მუზეუმის, აკად. სიმონ ჯანაშიას სახელობის მუზე-

¹ ლომთათიძე გ. ქართული კულტურის მემკვიდრე ექვთიმე თაყაიშვილი. 1990 გვ.72-73.

² მეტრეველი რ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება. ისტორიული ნარკვევი, მასალები 1982, გვ. 52-54

³ Памятники старины Юго-западного Закавказья. Труды Всероссийского съезда Художников, т. I.1911-13гг

უმის ეთნოგრაფიისა და ახალი ისტორიის განყოფილების დამხმარე ფონდში, დაცულია ა. ეისნერის დახლოებით 667 ჩანახატი, რომელიც შესრულებულია საქართველოში სხვადასხვა პერიოდში მოგზაურობის დროს (ჩანახატების შესრულების ტექნიკა: ფანქარი, აკვარელი, ტემპერა), დაწყებული 1891 წლიდან და გრძელდება 1930 წლამდე. მუზეუმის შემოსულობათა წიგნში არსებული აღწერის მიხედვით აღნიშნულ კოლექციაზე გაკეთებული ჩანაწერები მწირია. ცნობილია მხოლოდ, რომ კოლექცია მუზეუმის დავთარში გატარებულია 1928 წლის 31 მარტს, „შეძენილია მხატვარ ა. ეისნერისაგან სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარი მმართველობის მეშვეობით (იხ. 1928 წლ. საქმეში მიღების აქტი)”¹. მუზეუმის არქივში ზემოაღნიშნული აქტი არ იძებნება, რაც აძნელებს კოლექციაზე დეტალური ინფორმაციის მიღებას. უდაოა ის ფაქტი, რომ ფართო საზოგადოებისთვის უცნობია აღნიშნული ნამუშევრები, რომელიც ქართული კულტურისათვის უაღრესად საჭირო ინფორმაციას შეიცავს, ძირითადად ესაა ნაციონალურ კოსტუმში გამოწყობილი დაბალი თუ მაღალი ფენის ტიპაჟები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობები, სხვადასხვა ტიპის საყოფაცხოვრებო ურთიერთობის ამსახველი მომენტები, სარიტუალო სცენები (მაგ. გამოსახულია სცენები „შახსეი-ვახსეის“ მსვლელობიდან, რომელიც მხატვარმა აჭარაში მოგზაურობის დროს შეასრულა), ასევე ზღვის სანაპირო და უბრალო მოქალაქენი, რომელნიც საკუთარი საქმიანობით არიან გართულნი. (ნახატებს მხატვრის ხელით, ფანქრით მიწერილი აქვს შესრულების წელი და ხშირ შემთხვევაში ტიპაჟის ინიციალები).

¹ 1928 წლის მუზეუმის განყოფილების შემოსულობათა წიგნის ჩანაწერი.

რაც შეეხება თვითონ, ა. ეისნერის საქართველოში დაინტერესებას, მის ბიოგრაფიულ მონაცემებს თუ გადავხედავთ, კარგად ჩანს საქართველოში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება. ალექსეი პეტრეს ძე ეისნერი დაიბადა 1872 წლის 30 იანვარს, რუსეთში, პეტრე ივანეს ძე ეისნერის და ოლგა შტაკენშნაიდერის (სანკ-პეტერბურგის ხელოვნების აკადემიის აკადემიკოსის ქალიშვილის) ოჯახში. მათი ოჯახი მაღალ ფენას ეკუთვნოდა და იმპერატორის კართან იყო დაახლოებული. შტაკენშნაიდერების სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ხელოვანთა ელიტის წარმომადგენლები, პოეტები, მწერლები და მხატვრები: ი. ტურგენევი, ფ. სოლოგუბოვი, დ. გრილონსკი, ტ. შევჩენკო, ა. გერცენი, ფ. ბურნი, ფ. ტოლსტოი, პ. კოლოდეტი, აივაზოვსკი და სხვანი. ა. ეისნერი საქართველოს პირველად 1891 წელს ესტუმრა, იმოგზაურა შავშეთში, ლახეთში, გურიაში სამეგრელოსა და იმერეთში¹. მოგზაურობისას ჩაიხატა ჩაცმულობის ტიპები იმ მიზნით, რომ გადმოეცა ქართველთა ჩაცმულობის ელემენტები, რომელიც სწრაფად განიცდიდა ცვლილებებს. მაგ.: ნახატებზე—**სურათი 1**: წარმოდგენილია სამხედრო გრძელი ჩოხით, ქუდით, ხანჯლით, თოფით და ზურგჩანთით. მხატვარს კარგად აქვს გადმოცემული ის დეტალები, რომელიც კავკასიელთა ჩოხისთვის და იარაღისთვის იყო დამახასიათებელი.

სურათი 2: გამოსახულია 1899 წლის ქობულეთის ბაზარი. წინა ფონზე ჩანს აჭარელი თოფით. შესამჩნევია ჩაცმულობის ელემენტები და ტანსაცმლის მუქი შეფერილობა, ასევე აღკაზმულობაც. **სურათი 3:** ჩანახატი გაკეთებულია

¹ Е. Я. Селинкова. художник А. П. Эиснер и его коллекция Акварельных копий церковного искусства западной Грузии. http://www.kunstkamera.ru/files/lib/978-5-02-025234-9/978-5-02-025234-9_15.pdf

1899 წ. 28 ივლისს, რომელზეც გამოსახულია მხატვარი ბ. ფოგელი ქოლგის ქვეშ, იქვე მიგდებული ნავის გვერდით. გრაფიკულად შესრულებულია ასევე ნაგებობისა და გემების ჩანახატები. **სურათი 4:** გამოსახულია თავადაზნაურთა საკრებულო ბათუმში, (რომელიც XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწყებს ფუნქციონირებას). ნახატი შესრულებულია აკვარელით 1899 წ. 19 ივლისს. **სურათი 5:** გამოსახულია აჭარული სახლის და დამხმარე ნაგებობების ჩანახატები ხის მესრით, ხის ჩიტიებისთვის გაკეთებული სახლის და ფოთლების კონტურები, შესრულებულია უბის წიგნაკის ფურცელზე ფანქრით (სავარაუდოდ 1899 წ.). **სურათი 6:** ნახატი შესრულებულია 1914 წელს, მუყაოზე, შავი ტუშით. გამოსახული სცენა წარმოგვიდგენს ეტიუდს ნავიდან ბარგის გადმოტვირთვისას, სადაც ჩანს, როგორც ჩაცმულობის ელემენტები, ასევე ტიპაჟების სახის ნაკვთებიც.

ა. ეისნერმა საქარველოში თავისი მოგზაურობის შესახებ პირველი მნიშვნელოვანი ცნობები გამოაქვეყნა, იმ დროისთვის ერთ-ერთ პრესტიჟულ გაზეთ - “Искусство и художественная промышленность”-ში 1901 წელს¹ და მიუძღვნა იგი ამიერკავკასიის მივიწყებულ სიძველეებს. მიუხედავად იმისა, რომ მისი შეხედულებები საქართველოსა და ქართველ ხალხზე, არცთუ ისე ობიექტურია და გამოსჭვივის ცარიელ-ტული რუსეთის იდეოლოგიის გავლენა, რაც კარგად ჩანს სტატიის დასაწყისშივე, მისი, როგორც მკვლევრის შეხედულება საქართველოში არსებულ უნიკალურ ხუროთმოძღვრული ძეგლების და ფრესკების შენარჩუნების მნიშვნელობაზე, დასაფასებელია. მხატვარი აღნიშნავს, რომ მაშინ, როცა დიდი მნიშვნელობა ენიჭება არქეოლოგიური საზოგადოების შექმნას და აღნიშნული მიმართულებით ძეგლების კვლევასა

¹ Искусство и художественная промышленность. 1901

და დაცვას, ყველას ავიწყდება ისეთი ფასდაუდებელი საგან-
ძური, როგორცაა ფრესკული მხატვრობა, რომელიც გარდა
ისტორიულისა ეთნოგრაფიული კუთხითაც მასში დიდ ინტე-
რესს იწვევს. მაგალითად, საინტერესოა დროთა განმავლო-
ბაში თუ როგორ იცვლებოდა ჩაცმულობის ელემენტები, რო-
გორც საერო, ასევე სასულიერო წრეებში. ყოველივე ამას
თუ შევაჯერებთ და გავანალიზებთ, მივიღებთ უაღრესად
საინტერესო მონაცემებს ქვეყნის ნაციონალური ჩაცმულობის
შესასწავლად¹. ავტორი სტატიაში აღწერს მოგზაურობის დე-
ტალებს სამეგრელოსა და გურიაში. იძლევა ცნობებს ეკლე-
სიების მდგომარეობის შესახებ და დასკვნით ნაწილში ამ-
ბობს: „კიდევ დიდხანს უნდა ველოდოთ იმ დროს, როცა ბო-
ლოს და ბოლოს დაიწყება ამ ძეგლების შენარჩუნება, რო-
მელნიც ამდენი საუკუნის მომსწრენი არიან“². ამ ფრაზით
იგრძნობა მისი დამოკიდებულება და გულისტკივილი თით-
ქმის განადგურების პირას მისული უამრავი ფრესკული
მხატვრობის ნიმუშის მიმართ. მოპოვებული ინფორმაციის მი-
ხედვით შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ის საგარაუდო ეკლესიები,
სადაც მხატვარს მოუწია მუშაობა, ესენია: მარტვილის,
შემოქმედის, ნიკორწმინდის, ხობის, ზემოკრიხის, ლიხაურის,
კვირიკეწმინდის, ბარაკონის, ამაღლების ტაძრები. საგულისხ-
მოა რომ ფრესკების ასლების გარდა ეისნერი ახდენდა ქარ-
თული წარწერების და ეკლესიებში დაცული ბიბლიური წიგ-
ნების შემკულობის ასლების გადმოღებასაც.

სამწუხაროდ, ეისნერის სრული შემოქმედების შესახებ
მონოგრაფიული მოკვლევა არ მოიძებნა.

რუსი მკვლევარი ელენა სელინენკოვა სამართლიანად
აღნიშნავს, რომ „ა. ეისნერის სახელი დიდი ხნის განმავლო-

¹ А. П. Эиснер. “Забытая сокровища Закавказья”, 1899.

² А. П. Эиснер. “Забытая сокровища Закавказья”. 1899.

ბაში მრავალ სხვა მივიწყებულ შემოქმედთა შორის მოხვდა¹. ამ მხრივ პროცესი ახლაც არაა დიდად წინ წაწეული. აქედან გამომდინარე, ალექსეი პეტრეს ძე ეისნერის ნამუშევრებზე ფართო საზოგადოებისათვის ბევრი არაფერია ცნობილი.

გვაქვს მყარი ვარაუდი იმისა რომ ნახატების უმეტესობა, რომელიც უნდა შექმნილიყო მისი საქართველოში მივლინების დროს, ჯერ კიდევ მისაკვლევეა. ეს პროცესი გართულდა საქართველოში XX საუკუნეში, მუზეუმებში მომხდარი სხვადასხვა ტიპის რეორგანიზაციის დროს, როცა ექსპონატთა ნაწილიდან ზოგი დაიკარგა და ზოგიც არასათანადო მიმართულებით გაიფანტა კოლექციებში. წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილი მასალა პირველად ქვეყნდება და გააჩნია მოკრძალებული პრეტენზია სამეცნიერო საზოგადოებას წარუდგინოს აქამდე უცნობი მხატვრული ნიმუშების მხოლოდ მცირედი ნაწილი, ავტორისა, რომლის დამოკიდებულება ძველი ქართული ხელოვნებისადმი ხასიათდება ღრმა კულტუროლოგიური მიდგომით. მიგვაჩნია, რომ შემდგომი კვლევა, რომელიც სამომავლოდ გვაქვს განზრახული, კიდევ უფრო გაამდიდრებს ა. ეისნერის შემოქმედებით ბიოგრაფიას, ადამიანისას, ვისაც აღელვებდა ქართული მხატვრული ტრადიციების კვლევა და მათი ისტორიული მნიშვნელობა.

¹ Е. Я. Селинкова. художник А. П. Эйснер и его коллекция Акварельных копий церковного искусства западной Грузии. http://www.kunstkamera.ru/files/lib/978-5-02-025234-9/978-5-02-025234-9_15.pdf

Giorgi Meurmishvili, Darejan Abuladze
Scientific and Research Institute of History and Ethnology at
the Georgian National Museum

**GEORGIAN UNKNOWN COLLECTIONS OF THE
NATIONAL MUSEUM
(ALEXEY EICNER'S COLLECTIONS OF PAINTINGS)
RESUME**

The Russian artist Alexey Eicner's activity in Georgia have been connecting to the preservation of Georgia's monumental art. The period when the festivities of the monumental painting began and activated works for their further maintenance.

Georgian monumental painting constitutes an integral part of the national culture and is distinguished not only by its high artistic quality but also for its importance as a historical source. In the 18th century Prince Vakhushti Bagrationi already understood this and retired on monumental paintings for his historical and geographic description of Georgia.

Timothe Gabashvili, Archbishop of Kartli and Metropolitan of Kutaisi, visited holy sites in Trabzon, Mount Athos and Jerusalem between 1755 and 1759 in search of evidence for Georgian activity.

The 19th century, when Georgia was forced to enter Russian empire. Georgian wall paintings unlike other antiquities such as architecture and metalwork. Travellers and antiquaries rarely made notes or drawings of paintings due to the attitude of famous Byzantinists of the orthodox Russian Empire, who considered Georgian monumental paintings as examples of an "extreme decline of the Byzantine style".

During the following years Ekvtimee Takaishvili organized expedition with the participation of artists who

included: A. Eisner, K. Kron, H. Hrinevsky, T. Kiune, G. Khmaladze, S. Poltoratsky, A. Garibjanian and D. Kakabadze. They were commissioned by the society of Georgian History and Ethnography “to make copies” from Georgian ancient monumental paintings.


The notice about Georgian monuments have been gathered by Alexey Eisner. Who traveled to the Western Georgia previously several years from this expeditions. The sketches were presented at the general meeting of the entire Russian artists, which caused great interest in the audience. Later, the part of this collection was purchased from the artist by the Georgian history and ethnography society.

During the expedition artist drew the national clothes elements, because they were changed very fast at those period. His goal was protect national element with their fixation. We have a strong assumption that most of the drawings that have been created during his trip to Georgia are still uninvestigated. This process was complicated during the reorganization of various types of museums in Georgia in the 20th century, when some of the exhibits were lost and some were scattered in the wrong direction in the collections. The material presented in this article is first published and has a little ambition to present to the scientific community only a small part of the previously unknown artifacts, the authors whose attitude towards is characterized by a deep cultural approach to the old Georgian art and culture. He was concerned with the study of Georgian artistic traditions and their historical significance. We believe that further research, which we intend to do, will present Eisner art's from its whole creativity.

ილუსტრაციები:



სურ. 1



სურ. 2



სურ. 3



სურ. 4



სურ. 5



სურ. 6

**კალისტრატე სალიას მეცნიერულ-კულტურული
მემკვიდრეობა**
ჟურნალი „ბედი ქართლისა“ („ბედი ქართლისა“)

ჟურნალი „ბედი ქართლისა“ ქართული კულტურის ის ნაწილია, რომელიც თვითონ ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ისტორიის შედეგებს აცნობდა ევროპის ქვეყნებს. მისი მიზანი ქართული პოლიტიკური ძალების გაერთიანება ქართული კულტურის, ისტორიის ძველი და ახალი მასალების მოგროვება და ჟურნალში გამოქვეყნება იყო. ამით ევროპას შეატყობინებდნენ, რომ ქართველი ერი ძველი კულტურული ერია, მდიდარი წარსულით, რასაც ამტკიცებს მისი ისტორია. ამ ისტორიით აჩვენებენ ქართული კულტურის ღირებულებებსა და თვისებას, რომელიც მონათესავეა ევროპის კულტურისა, მონათესავე ძირთაგან კავკასიაში წარმოშობილი.

ჟურნალი „ბედი ქართლისა“ №23-ში გამოშვებულია 1957 წელს, რომელიც წარმოადგენს უკვე „Revue de Karthvelologie“. მასში სტატიები დაბეჭდილია ძირითადად ფრანგულ ენაზე, მაგრამ ამავე დროს, ინგლისურ, იტალიურ და გერმანულ ენებზეც. კალისტრატე სალია მესამე გვერდზე აქვეყნებს ქართველი და უცხოელი მეცნიერების ჩამონათვალს, ისინი აქტიურად თანამშრომლობდნენ რედაქციასთან და აქვეყნებდნენ სტატიებს და კვლევებს. სტატიები ეკუთვნის უცხოელ ქართველოლოგებს. სალია ევროპისა და ამერიკის სა-

მეცნიერო წრეებს აცნობს იმ მუშაობას, რომელსაც ეწვევიან საქართველოსა და აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიებსა და უნივერსიტეტებში, ჩრდილო კავკასიის ინსტიტუტებში. ამ ქვეყნების მეცნიერებიც თანამშრომლობენ ჟურნალში, სადაც რეგულარულად ქვეყნდებოდა, მათი ნაშრომების მიმოხილვები და ბიბლიოგრაფიები.

ჟურნალმა საქმიანი კონტაქტები დაამყარა საქართველოსა და საზღვარგარეთის გამოჩენილ მეცნიერებთან. ეს იყო შემოტრიალების მომენტი.

ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ გამოცემით კ. სალიამ დიდი კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველ ერს, ამ სამეცნიერო ჟურნალის ფურცლებზე კკითხულობთ სხვადასხვა ენათმეცნიერების, ქართველოლოგიების ნაშრომებს. მოკლედ შევეხები იმ ნაშრომები ნაწილს, რომელიც 1957 წლიდან 1984 წლამდე ქვეყნდებოდა.

ქართველი ხალხის დიდი მეგობარი, თბილისის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, პროფესორი რ. ლაფონი წერს ჟურნალის შესახებ: „ვარ ლინგვისტი და 1957 წლიდან ვთანამშრომლობ ჟურნალში „რევიუ დე კარტველოლოჟი“, მე შემიძლია შევავასო, თუ რა დიდ დახმარებას უწევს ჟურნალი ენათმეცნიერებს მათი მუშაობის ყველა სფეროში: არა მხოლოდ ქართულსა და ქართველურ ენებში, არამედ მთლიანად კავკასიურ ენებში. ჟურნალი ადგილს უთმობს აგრეთვე გამოკვლევებს, რომლებიც ეხება ამ ენათა ურთიერთობას სხვა ენებთან, სახელდობრ ბასკურთან, აქვეყნებს საუკეთესო წერილებს საქართველოს მეცნიერულ, კულტურულ, ეკონომიკურ და ლიტერატურულ ცხოვრებაზე, აგრეთვე სხვა ხალხების ისტორიაზე“.¹ ამ სიტყვების ავტორი მადლობას უხდის კალე და ნინო სალიებს ჟურნალის დაარსებისთვის.

¹ ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“, 1991, 29

რენე ლაფონი სტატიაში „ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ხოტბას ასხამს ამ ისტორიულ ძეგლს: რომანი „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს დიდ ისტორიულ ლიტერატურულ ძეგლს, ის არის განსხვავებული ქართული ხელნაწერი. რუსთაველის პოემა ასახავს მრავალფეროვნებას ის, არის სარკე პოლიტიკური ცხოვრებისა, კულტურულისა და სოციალური მსოფლმხედველობისა. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული ლიტერატურის ყველაზე მნიშვნელოვანი თხზულება, რომანი: რაინდობაზე, სიყვარულზე, ფილოსოფიური პოემა, რომელიც არის სავსე ერთგული ხორციელი სიყვარულით. პოემა აინტერესებთ, არა მარტო ქართველებს არამედ ყველას ვინც სწავლობს ევროპის შუასაუკუნეების ლიტერატურას. პოემით რუსთაველი ცხადად და აშკარად გვაჩვენებს ხალხის ცივილიზაციას განათლებას და შუასაუკუნეების კულტურას¹.

პროფესორი ჟერარ გარიტი, რომელიც სინას მთაზე მოგზაურობდა, აგროვებდა ფოტო-მასალასა და ხელნაწერ სტატიებს. ქართულ ხელნაწერებზე წერს, რომ შეაგროვა და გააკეთა სრული მიკროფილმი. ჟ. გარიტი ამერიკელ მეცნიერებთან ერთად ყოფილა სინას მთაზე, 75 დღე, წმინდა ეკატერინეს მონასტერში, როგორც აღვნიშნე, გადაიღო ქართული ხელნაწერების მიკროფილმები. განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო ქართული ხელნაწერების შესწავლას, გამოიკვლია იქ არსებული 85 ქართული ხელნაწერი, რომელიც თარიღდება IX-XI საუკუნეებით. ასევე აღწერა და თარგმნა ლათინურ-ფრანგულ ენებზე, დაურთო კომენტარები გამოსცა ცალკე წიგნად. ნაშრომმა მსოფლიო მეცნიერთა ინტერესი აღძრა.

სინას მონასტერი წარმოადგენს მთელ კოლექციას ქართული ხელნაწერებისას.

¹ რ. ლაფონი, Revue de kartveloloJie №48-49, 1965, 15-30.

ჟერარ გარიტს საქმიანი და მეცნიერული ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ხელნაწერთა ინსტიტუტის პროფესორ ილია აბულაძესთან. გარიტი აღნიშნავს, რომ ქართველი პროფესორების ნაშრომებს მსოფლიო მნიშვნელობა აქვს და მაგალითისათვის მოაქვს კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის“ I ტომი, რომელიც გერმანულ ენაზე თარგმნეს ქართველმა და გერმანელმა მეცნიერებმა. გარიტის აზრით, ეს წიგნი ამდიდრებს და აღრმავეს ქრისტიანული ლიტერატურის ცოდნას¹. თვალსაჩინოა პროფესორ ჟერარ გარიტის დამსახურება, რომელიც მას მიუძღვის ძველი ქართული ლიტერატურის კვლევის საქმეში. ჟ. გარიტმა წვლილი შეიტანა აგიოგრაფული ძეგლების შესწავლისა და გამოცემის საქმეში. გამოაქვეყნა დიდი წიგნი „პალესტინურ-ქართული კალენდარი სირიული ხელნაწერის №34-ის მიხედვით“. ავტორმა კალენდრის ტექსტი თარგმნა ფრანგულ ენაზე წაუმძღვარა წინასიტყვაობა და ვრცელი გამოკვლევა. კალენდარი შეიცავს 1100-ზე მეტ წმინდათა ხსოვნის ღირსახსოვარ დღეს, რაც განაწილებულია ყველა თვეზე. კალენდარი დაწერილია პალესტინაში X საუკუნეში².

ფრანგი მეცნიერი მარკ იბერი თავის ნაშრომში, „პოლ ჰეეტერსი და ქართველოლოგია“ ეხება გამოჩენილი ბელგიელი ქართველოლოგის პოლ ჰეეტერსის (1870-1950) ნაშრომებს ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლებზე. მსჯელობს ქართველი ერის კულტურაზე, რომ ქართველი ერთ-ერთი მოწინავეა მთელ მსოფლიოში თავისი სამშობლოსადმი მგზნებარე სიყვარულით.

¹ ჟ. გარიტი, ქართული ხელნაწერები სინას მონასტერში, „Bedi Kartlisa“. „Revue de Karthvelologie“, №23, 1957, 7; 11

² ჟ. გარიტი, ქართულ პალესტინური კალენდარი „ბედი ქართლისა“, „Revue de Kartvelologie“, №24, 1958, 18; 19

მარკ იბერი ანალიზებს პოლ პეტერსის ნაშრომებს. იგი აღნიშნავს, რომ პეტერსმა მიზნად ძნელი ამოცანა დაისახა – ეს იყო ძველი, მივიწყებული ქართული ძეგლების მეცნიერული შესწავლის საკითხი, მეცნიერი მთელი მუშაობით გადაეშვა ამ ახალ ფათერაკში. მან შეძლო დიდი შრომით გამარჯვება და გახდა ქართველოლოგი. ივანე ჯავახიშვილმა პეტერსს უსახსოვრა თავისი წიგნი „ქართველი ერის ისტორია“ წარწერით „ღრმად პატივცემულ ბატონ პროფესორ პოლ პეტერსის ავტორისაგან 1924 წლის 8 იანვარი“.¹

პეტერსი 40 წლის განმავლობაში ემსახურებოდა ქართულ კულტურას, წერდა გამოკვლევებს ლათინურ-ფრანგულ ენებზე. ფრანგულად და ლათინურად თარგმნიდა ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლების ტექსტებს, გამოქვეყნებული აქვს 160 ნაშრომი.

პეტერსი განსაკუთრებით დაინტერესებულა კორნელი კეკელიძის ნაშრომებით და მასთან პირადი კონტაქტი დაუმყარებია. ქართველი მეცნიერი ბელგიელ კოლეგას უგზავნიდა საჭირო ლიტერატურას და აძლევდა კონსულტაციებს ძველი ქართული ლიტერატურის კარდინალურ საკითხებზე.

ბელგიელი მეცნიერი განიხილავს კეკელიძის „ქართლის მოქცევას“. იგი მიუთითებს რომ კეკელიძემ 1926 წელს „მიმომხილველში“ გამოაქვეყნა ეს ნაშრომი, რომელიც 1928 წელს ითარგმნა გერმანულ ენაზე. „ქრისტიანობა საქართველოში, – წერს პეტერსი, – მიღებული იქნა კეთილი განწყობილებით და ფართოდ დამკვიდრდა. მეტად დიდია ამ წიგნის მნიშვნელობა, იგი სხვების ნაშრომებისაგან განსხვავდება

¹ მ. იბერი, პოლ პეტერსის ქართული ნაშრომები „ბედი ქართლისა“, „Revue de kartvelologie“, №23, 1957, 27.

კვლევის მეცნიერული სიღრმით, დღემდე სხვებს მსგავსი ნაშრომი არ დაუწერიათ“.¹

ჰანს ფოგტი ამონაწერები ფონემტურ საქართველოზე. გვესაუბრება კავკასიური ენების წარმოშობაზე, ჩვ.წ. V საუკუნის ლაზური ენის წარმოშობის შესახებ. განასხვავებს ერთმანეთისაგან ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიელ ხალხთა ენებს.²

ასეთი მრავალფეროვანი და საინტერესო გახდა ისტორიული, ლიტერატურული და სამეცნიერო ჟურნალი „ბედი ქართლისა“ და „რევიუ დე კარტველოლოჟი“ საზღვარგარეთის ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ისტორიაში. დამაარსებლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჟურნალი ავტორიტეტული გამხდარიყო მთელ მსოფლიოში.

1958 წლის 30-31-ე ტომში დაბეჭდილია ავსტრიელი ქართველოლოგის პროფესორ რობერტ ბლაიხშტაინერის ნაშრომები ქართული ლიტერატურის საკითხებზე, აგრეთვე თარგმანები ქართული ლიტერატურიდან. დასტამბულია ჭოლა ლომთათიძის ლეგენდა საქართველოზე, რომელიც გერმანულ ენაზე თარგმნა რობერტ ბლაიხშტაინერმა, აგრეთვე ბიბლიოგრაფია იმ ნაშრომებისა, რომლებიც მეცნიერს გამოუქვეყნებელი დარჩა.³

1959 წლის ჟურნალ „რევიუ დე კარტველოლოჟის“ 32-33 ტომში. გამოქვეყნებულია ნორვეგიელი მეცნიერის, პროფესორ ჰანს ფოგტის, სტატია, რომელიც ეძღვნება კორნელი კეკელიძის 80 წლისთავს. ავტორი შესავალ ნაწილში

¹ მ. იბერი, პოლ პეტერსის ქართული ნაშრომები „ბედი ქართლისა“, „Revue de kartveloloJie“, №23, 1957, 27

² ჰ. ფოგტი ამონაწერები ფონემტურ საქართველოზე, „Revue de kartveloloJie“, №43; 44, 1963, 32.

³ რ. ბლაიხშტაინერი, Revue de Kartvelologie, 1958, 87

უცხოელ მკითხველებს აწვდის ბიოგრაფიულ ცნობებს, შემდეგ მოკლედ გადმოსცემს ქართველი მეცნიერის მოღვაწეობის მთავარ მომენტებს. ფოგტის აზრით, კეკელიძე არის მსოფლიო რეპუტაციის მეცნიერი, რომლის ნაშრომებმა აღიარება პოვა არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარედაც. „კ. კეკელიძის მეცნიერული მოღვაწეობა, რომ შევაფასოთ, - წერს იგი, საკმარისია გადავხედოთ მისი წიგნების თარგმანებს, მათ შორის ზოგიერთი თარგმნილია ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე. კეკელიძის წიგნები რეგულარულად ითარგმნებოდა რუსულ ენაზედაც.¹ მიუთითებს, რომ კეკელიძის გამოკვლევებმა დიდად შეუწყო ხელი ქართული ფილოლოგიის წინსვლას, მის შრომებზე აღიზარდა მრავალი თაობა. მან გამოაქვეყნა მრავალი გამოკვლევა და ტექსტი, რომლებიც ქართული ლიტერატურის სპეციალისტთა ყურადღებას იპყრობს“.²

ჩვენი ნაშრომისთვის საყურადღებოა ნიკოლ და მიშელ ტიელის მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში. 1963 წლის მაისში იმყოფებოდნენ საქართველოში და მათ მოინახულეს რამდენიმე ისტორიული ძეგლი საქართველოში და შემდეგ გაემგზავრენ სომხეთში. თბილისში მათ მოინახულეს ცნობილი სიონის ტაძარი, მეტეხის, ჯვრის მონასტერი, სვეტიცხოველი და სამთავროს მონასტერი მცხეთაში. შემდეგ გაემგზავრენ ქალაქ გორში და მოინახულეს VII საუკუნის ატენის სიონი, რომელიც მდიდარია უნიკალური ფრესკებით, გორიდან ნიკოლ და მიშელ ტიურის მოგზაურობა გრძელდება ქუთაისში უკან დაბრუნებისას მიემგზავრებიან ფასანაურში ანანურზე. ჟურნალში აქვეყნებენ თავიანთ შთაბეჭდი-

¹ ს. თურნავა, კეკელიძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდა, 1991, 37.

² LE MUSEON, t. 76, 1963, 443-480.

ლებებს და დიდი აღფრთოვანებას გამოხატავენ ქართული კულტურის: ტაძრების, ფრესკების და მუზეუმების უნიკალური ექსპონატების მიმართ.¹

ქართველი ხალხის დიდი მეგობარს, ბორდოს უნივერსიტეტის ბასკური ენის კათედრის გამგეს, გამოჩენილი ქართველოლოგს, კავკასიოლოგს, ბასკოლოგს, „ბედი ქართლისას“ სამეცნიერო საბჭოს თავჯდომარეს ფრანგ მეცნიერს ლაფონს „რევიუ დე კარტველოლოჟი“ 1966 წლის XXI-XXII ტომში გამოქვეყნებული აქვს „ბასკური და კავკასიური ენების სწავლება“, ის ეხება აგრეთვე ქართულ ლიტერატურულ საკითხებსაც, ამ მხრივ მკითხველის ყურადღებას იქცევს ვრცელი სტატია „თხრობის ხელოვნება ვეფხისტყაოსანში“. ავტორი მკითხველს ჯერ მოუთხრობს პოემის მოკლე შინაარსს და შემდეგ მსჯელობს თითოეულ გმირზე. ავტორი გამოთქვამს თავის შეხედულებას თხრობის ხელოვნებაზე „ვეფხისტყაოსანში“ და იმ გრძნობებზე, რომელიც ვლინდება ფატიმანის ეპიზოდში, ფრანგი ავტორი ბოლოს გვთავაზობს დასკვნებს: „ყოველმა ნამდვილმა პოეტმა შესაძლებელია ისეთნაირად შეხედოს ნივთს, რომ იგი შეიცვალოს, მისი ცქერით ახალ ასპექტში ვლინდება მოვლენა. მზე მაგალითად ბევრი პოეტის მიერ დანახულია სხვადასხვა ასპექტში, მაგრამ ძლიერი პოეტის ცქერა მასში ნახავს ისეთ მხარეს, რომელიც ჯერ კიდევ არცერთ პოეტს არ შეუმჩნევია. ამაშია სწორედ პოეტის ორიგინალობა და რა თქმა უნდა, როგორც პოეტიდან ჩანს რუსთაველი დიდი პოეტია და მასაც აქვს თავისი საკუთარი პოეტიკა, მსოფლმხედველობა, თავისებურია

¹ ნიკოლ და მიშელ ტიურის მოგზაურობა საქართველოში, Revue de kartveloloJie, N43-44, 1963, 35; 36.

მისი შეხედულება სამყაროზე და სიყვარულის ფენომენზე, ახლებულია სიცოცხლის რიტმი პოეტის მიერ ათვისებული“.¹

ჟურნალში „რევუე დე კარტველოლოჟი“-ში გამოქვეყნებულია ქართველ მეცნიერთა პუბლიცისტიკაც, რომელიც საქართველოს, მის ხალხს და ქართულ ტრადიციებს ეხება: კ. სალია გამოქვეყნებული აქვს პუბლიცისტური სტატია ტაო-კლარჯეთი და მისი მონასტრები, სადაც განხილულია ბაგრატიონთა 12 საუკუნოვანი მმართველობის პერიოდი, ბაგრატიონთა ფუძედ და მმართველობის კერად მიჩნეული აქვს ტაო-კლარჯეთი განხილული აქვს ტაო-კლარჯეთში არსებული მონასტრების საგანმანათლებლო მნიშვნელობა ქართველი კულტურისთვის. საუბარია ქართველ მეფეთა ღვაწლზე ტაო-კლარჯეთის აღზევება-განვითარებაზე.²

ავტორის სამართლიანი თქმით, ტაო-კლარჯეთი შუასაუკუნეების დასაწყისში წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ კულტურულ ცენტრს, საქართველოს განუყოფელ ნაწილს. კ. სალია ეხება ქართული ლიტერატურის განვითარების გზებს მეხუთე საუკუნიდან მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებამდე. პროფესორი განიხილავს იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებას“, მისი აზრით, ეს არის უდავო საბუთი პირველი ქართული ლიტერატურული ძეგლის არსებობის მეხუთე საუკუნიდან.³

კ. სალია ერთ-ერთ ნომერში აქვეყნებს სტატიას, ქართველი მწერლები (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა). ავტორი მოგვითხრობს მათ ბიოგრაფიაზე და სა-

¹ ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“, 1991, 40.

² კ. სალია, ტაო-კლარჯეთი და მისი მონასტრები, *Revue de kartvelologie*, N41-42, 1962, 40; 41.

³ ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“, კ. სალია ტაო-კლარჯეთი „ქართული ლიტერატურა“, 1991, 41-42.

მოღვაწეო წლებზე, რომ „ილია წარმოადგენს მნიშვნელოვან ფიგურას, როგორც ლიტერატურაში ასევე ქართულ პოლიტიკაში; აკაკის არის მგოსანი ქართული მწერლობისა და ვაჟას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართული ლიტერატურის ისტორიაში“.¹

გ. რობაქიძე თავის პუბლიცისტურ შემოქმედებას რეგულარულად აქვეყნებდა ჟურნალ „ბედი ქართლისა“ და „რევიუ დე ქარტველოლოჟი“.² საინტერესოა მისი განსხვავებული სტატია ქართული სოფლები და ქალაქები, მკითხველს თვალწინ უშლის საქართველოს მრავალფეროვან კუთხეებს თავისი ტრადიციებით, ჩაცმულობით, ხასიათით, ფოლკლორით და განსხვავებული გეოგრაფიული ადგილმდებარეობით.²

ქართველთა ნიჭისა და ხელოვნების შესახებ თავის პუბლიცისტურ წერილში ნინო სალია მოგვითხრობს 1958 წელს ანსამბლ „სუხიშვილების“ მიერ პარიზში გამართულ კონცერტზე: „მათი წარსდგენა იყო საოცარი სანახავი, ისინი გვთავაზობდნენ ქართულ და განსხვავებულ ლამაზ სანახაობას. სასიამოვნო იყო ქართული სიმღერის მოსმენა. წარმოვიდგინოთ ბელგიური, ინგლისური, ამერიკული ცეკვა ქართულ ფოლკლორთან ერთად“.³

ჟურნალში გამოქვეყნებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნებათა ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის პუბლიცისტური წერილი. გ. ჩუბინაშვილი მოგვითხრობს საქართველოს ისტორიის მუზეუმში გამართულ საინტერესო გამოფენის შესახებ, რომელიც ეხე-

¹ კ. სალია, *Revue de kartveloloJie*, N50-51, 1966, 65; 73.

² გ. რობაქიძე, ქართული სოფლები და ქალაქები, *“Revue de kartveloloJie“*, N43-44, 1963, 58; 59.

³ ნ. სალია, მსოფლიო შეხედულება ქართულ ფოლკლორზე, *Revue de kartveloloJie*, N34-35, 1958, 135.

ბოდა მაღალმთიან სვანეთს და მის კულტურას: „წარმოდგენილი იყო არქიტექტურული მონუმენტები, ეროვნული სამოსი, მეტალის სკულპტურები და პორტრეტები. ავტორი განიხილავს ქართული არქიტექტურის კრეატიულობას“.¹

ჟურნალი აქვეყნებს კორნელი კეკელიძის კვლევას: „უნიკალური ძეგლები ბიზანტიის ლიტერატურაში (ქართული ვერსია) კ. კეკელიძე ერთ-ერთი მათგანია, ვინც გამოავლინა, შეისწავლა, გამოსცა და სამეცნიერო კვლევები მიუძღვნა ქართული ლიტერატურის უბრწყინვალეს ნიმუშებს“.² ნაშრომში შესულია ბიზანტიის XI საუკუნის აგიოგრაფები, რომლებიც გვთავაზობენ ბიზანტიური კულტურის ლიტერატურის აღწერას“.³

1965 წელს „რევიუ დე კარტველოლოჟის“ ფურცლებზე დაბეჭდილია აკადემიკოს ალ. ბარამიძის სტატია „რუსთაველი და მისი თანამედროვენი“, რომელშიც ავტორი აკრიტიკებს გერმანელი მეცნიერი გ. დეეტერსის მცდარ შეხედულებას რუსთველოლოგიურ საკითხებზე, მოაქვს მრავალი სარწმუნო მასალა იმის დასამტკიცებლად, რომ რუსთაველი დასავლეთსა და აღმოსავლეთში მაშინდელ მწერლებზე მაღლა იდგა თავისი ინტელექტით. იგი ობიექტურად მსჯელობს, რომ შუასაუკუნეების საქართველომ XII საუკუნეში თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების უმაღლეს დონეს მიაღწია, საქართველომ ამ პერიოდში დიდი როლი ითამაშა ახლო აღმოსავლეთის ხალხების კულტურის

¹ გ. ჩუბინაშვილი, ქართული სკულპტურა, „Revue de kartveloloJie“, 1963, 44; 45.

² კ. კეკელიძის ბიოგრაფიული ლექსიკონი
nplg.gov.ge/bios/ka/00000925

³ კ. კეკელიძე, უნიკალური ძეგლები ბიზანტიურ ლიტერატურაში, N43-44, 1963, 44; 45

განვითარებაში. ბარამიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ დანტესა და რუსთაველის შედარება პრინციპულად არ არის ზუსტი, მას არა ისტორიული, შემთხვევითი, დეკლარაციული ხასიათი აქვს. „ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ის ფაქტი რომ დანტე ქმნიდა რუსთაველის შემდეგ ერთი საუკუნის უკან, დანტეს ნაწარმოებებს არაფერი აქვს საერთო „ვეფხისტყაოსანთან“, არც თემით და არც პოეტური ჟანრით“.¹

„რევიუ დე კარტველოლოჟის“ XXXI ტომში გამოქვეყნებულია აკაკი გაწერელიას გამოკვლევა „დანტე და პრეისტორიული საქართველო“ ავტორი განიხილავს ქართულ თემას „ღვთაებრივ კომედიაში“, მის წყაროებს და ამ წყაროებისადმი „ლა დიენას“ კომედიის ავტორის დამოკიდებულებას. ა. გაწერელია მოიხმობს მრავალ საგულისხმო მასალას, აანალიზებს მათ და სამართლიანად წერს: „დანტე ალეგიერის პოეტურ პასაჟებს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ისინი მედეას ამართლებენ, უბედურ ქალად მიიჩნევენ მას, ხოლო იაზონი ჯოჯოხეთში ისჯება კოლხის ქალის წინაშე „შეცოდების გამო“. კომედიაში უკუგდებულია ყოველგვარი ცილისწამება მედეასადმი“ (ა. გაწერელია „დანტე და პრეისტორიული საქართველო“.²

32 და 36 ტომებში დაბეჭდილია თბილისის უნივერსიტეტის პროფესორ ელგუჯა ხინთიბიძის ორი ვრცელი ნაშრომი „რუსთაველის ადგილისათვის შუა საუკუნეების აზროვნებაში“ და გერმანულ ენაზე მეორე „ბიზანტიურ-ქართული ლიტერატურული კონტაქტები“ ამ ბოლო ნაშრომში ავტორი ხინთიბიძე იკვლევს მრავალ საინტერესო პრობლემას ამ ორი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, მკვლევარი გვიზიარებს საგულისხმო დაკვირვებებს, ემ-

¹ ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“, 1991, გვ. 41.

² „Revue de kartvelologie“, NXXXI, 1973, 17.

ყარება ბიზანტიურ ძეგლებსა და ქართულ თარგმანთა შემცველ ხელნაწერებზე მუშაობის შედეგებს, ამავე დროს ნაშრომში წარმოდგენილია არა მარტო კვლევის შედეგები, არამედ ბიზანტიურ-ქართული პრობლემატიკის ფილოლოგიურ-ტექსტოლოგიური კვლევის მეთოდოლოგია, მისი ამოცანები ქართული ფილოლოგიური მეცნიერების თანამედროვე ეტაპზე.¹

ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი“ წარმოადგენს კ. სალიას მემკვიდრეობის უნიკალურ ნაწილს, მის ავტორიტეტულ და მეცნიერულ განვითარებას ხელი შეუწყო ფრანგულ და სხვა უცხოურ ენებზე გამოცემამ, ჟურნალში რეგულარულად ქვეყნდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანის და ჩრდილო კავკასიის მეცნიერთა ნაშრომების მიმოხილვა. ჟურნალმა უდიდესი როლი ითამაშა ბოლშევიკური საქართველოს კულტურისა და მწერლობის განვითარებაში, ჟურნალი ევროპული ხაზი იყო საქართველოსა და საზღვარგარეთ შორის, მასში გამოქვეყნებულ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებმა ბევრ უცხოელ მკვლევარს გააცნო საქართველოს კულტურა და აქცია უდიდეს ქართველოლოგად, მათ გაუჩნდათ ინტერესი ქართული ლიტერატურული და კულტურული ძეგლების კვლევა ძიებისა, რომელსაც დიდი შედეგი მოჰყვა, ჟურნალი „რევიუ დე კარტველოლოჟი“ სწორედ ამ საქმეს ემსახურებოდა და მის ტომებში იბეჭდებოდა უცხოელ ქართველოლოგთა კვლევები, რომელთა ნაწილი წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილეთ. ასევე ნაშრომში მიმოვიხილე ის სტატიები და რეცენზიები რომელიც უცხოელმა მკვლევარებმა და მეცნიერებმა მიუძღვნეს ბოლშევიკურ საქართველოში მყოფ ქართველ მეცნიერებსა და მკვლევარებს.

ჟურნალი „ბედი ქართლისა-რევიუ დე კარტველოლოჟიმ“ 1984 წელს შეწყვიტა არსებობა, კალე 1986 წლის 27

¹ ს. თურნავა, „ბედი ქართლისა“, 1991, გვ. 25, 26.

ივლისს გარდაიცვალა პარიზში დაასაფლავეს სოფელ ლევილში, მაგრამ მისი ანდემის თანახმად ქალბატონმა ნინო სალიამ იუნესკოს თანამშრომლის ზურაბ ლეღეევას დახმარებით 1988 წლის თებერვალში მისი ნეშტი თბილისში გადმოსვენეს და დაკრძალეს დიდუბის პანთეონში.

კ. სალიას გარდაცვალების შემდეგ საჭირო იყო ჟურნალის სტატიების გაგრძელება. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგნენ ფრანგი აკადემიკოსი ჟორჟ დიუმეზილი და პროფესორი ჟორჟ შარაშიძე. 1985 წელს გამოვიდა ახალი ნომერი სათაურით „რევიუ დეზეტიუდ ჟეორჟიენ ე კოკაზიენ“ (ქართული და კავკასიური ეტიუდების ჟურნალი), რედაქტორი პროფესორი ჟორჟ შარაშიძე, რედაქციის მდივანი დომინიკ გოტიელიგიულაშვილი.

ჟურნალმა „ბედი ქართლისა“ დიდი შრომა გაწია და თავისი წვლილი შეიტანა ქართულ კულტურაზე სწორი შეხედულებების ჩამოყალიბებაში და ყალბი შეხედულებების გაფანტვაში, ასევე სახელგანთქმული მეცნიერთა ნარკვევების გამოქვეყნებაში. გარდა ამისა მან შეაგროვა სხვადასხვა დროს სხვადასხვა გამოცემებში გაბნეული მეცნიერული შრომები და გამოაქვეყნა მათი სია. ამ შრომის შედეგი ის იყო, რომ მკვლევარს ხელთ მისცა ერთად თავმოყრილი მასალა: რომელმა მეცნიერმა სად, როდის რომელ ჟურნალში და რა თემაზე გამოაქვეყნა შრომა საქართველოს შესახებ. ამრიგად „ბედი ქართლისას“ საშუალებით მკითხველს ყოველთვის შეუძლია გაეცნოს საქართველოს კულტურის შესახებ უცხოეთში გამოქვეყნებულ ყველა მასლას. აქვე მინდა ავღნიშნო რომ ამ დიდი პატრიოტულ საქმესთან ერთად ჟურნალის დახმარებით საქართველოში მყოფ მეცნიერებს შეეძლოთ თავიანთი მეცნიერული კვლევები გამოეყვეყნებინათ ჟურნალში და ამ

გზით უცხოელი მეცნიერებისათვის მიეწოდებინათ თავიანთი კვლევები.

სალიამ თავისი შრომით და მოღვაწეობით შეძლო, მიზნისთვის მიეღწია მან ჟურნალის გარშემო გააერთიანა სხვადასხვა ქვეყანაში გაფანტული ქართველი მეცნიერები, მწერლები და მათი კვლევები. მან შეძლო საქართველოს დაკავშირება ევროპასთან და ევროპელი მეცნიერების დაინტერესება

დამოწმებანი:

1. ს. თურნავა, ბედი ქართლისა, 1991.
2. რ. ლაფონი, *Revue de kartveloloJie*, №48-49 1965:15-30
3. ჟ. გარიტი, ქართული ხელნაწერები სინას მონასტერში, „Bedi Kartlisa“. „Revue de Karthvelologie“, №23 1957.
4. ჟ. გარიტი, ქართულ პალესტინური კალენდარი, „ბედი ქართლისა“, *Revue de Kartvelologie*” №24, 1958.
5. მ. იბერი, პოლ პეტეერსის ქართული ნაშრომები, „ბედი ქართლისა“, „*Revue de kartveloloJie*“, №23, 1957.
6. მ. იბერი, პოლ პეტეერსის ქართული ნაშრომები, „ბედი ქართლისა“, „*Revue de kartveloloJie* 1957.
7. ჰ. ვოტი, ამონაწერები ფონემიტურ საქართველოზე, „*Revue de kartveloloJie*“, №43; 44, 1963.
8. რ. ბლაიხშტაინერი, *Revue de Kartvelologie*, 1958.
9. ს. თურნავა, კეკელიძეს დაბადების 80 წელი შეუსრულდა, 1991.
10. LE MUSEON, ტომი 76, 1963.
11. ნიკოლ და მიშელ ტიურის მოგზაურობა საქართველოში, „*Revue de kartveloloJie*“, N43-44 1963.
12. კ. სალია, ტაო-კლარჯეთიდა მისი მონასტრები, „*Revue de kartveloloJie*“, N41-42, 1962.

13. ს. თურნავა „ბედი ქართლისა“, კ. სალია ტაო-კლარჯეთი „ქართული ლიტერატურა“, 1991.
14. კ. სალია, *Revue de kartveloloJie*“, N50-51, 1966.
15. გ. რობაქიძე, ქართული სოფლები და ქალაქები, „*Revue de kartveloloJie*“, N43-44, 1963.
16. ნ. სალია, მსოფლიო შეხედულება ქართულ ფოლკლორზე, „*Revue de kartveloloJie*“, N34-35, 1958.
17. გ. ჩუბინაშვილი, ქართული სკულპტურა, „*Revue de kartveloloJie*“, 1963.
18. კ. კეკელიძის ბიოგრაფიული ლექსიკონი nplg.gov.ge/bios/ka/00000925
19. კ. კეკელიძე, უნიკალური ძეგლები ბიზანტიურ ლიტერატურაში, nplg.gov.ge/bios/ka/00000925
20. „*Revue de kartveloloJie*“, XXXI, 1973.

Maia Nozadze

Georgian Technical University

**KALISTRAT SALIA’S SCIENTIFIC CULTURAL
JOURNAL „REVUE DE KARTVELOLOGIE”
(THE FATE OF KARTLI)
RESUME**

Kalistrate Salia’s European carrier started with the battle for the independence of Georgia. The magazine named “Bedi Kartlisa” (The Fate of Kartli) „*Revue de Kartvelologie*” which was founded by him, gav base to the study of the Georgian culture and to the awareness of the Georgian culture abroad, with the help of the magazine more foreign scientists started to

learn the language, literature, history and arts of Georgia and other people of the Caucasus.

K. Salia was able to collaborate with foreign and Soviet Georgian scientists. The magazine “Bedi Kartlisa” - “Review de Karvelolozhi” united their scientific ideas. The works and bibliography published by the European and American scientists is an example of this. K. Salia’s works on the Georgian history and literature are also very important. He made all these achievements through unexhausted works and energy.

თამარ ფარჩუკიძე
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

გელათის აკადემიის ემბლემა და მისი წინაისტორია

„ოქროვანი საუკუნე“ უწოდა სოლომონ დოდაშვილმა საქართველოს ისტორიის იმ ყველაზე წარმატებულ ხანას, რომელმაც პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძლიერებასთან ერთად, დავით აღმაშენებლის ეპოქიდან სულიერ სამშვენისად იმეპყიდრევა გელათის აკადემია - „საუნჯე სწავლათა და სიტყვიერებისა.“ ცოტა ხნის წინ, ჭეშმარიტად ხალასი ოქროსათვის დამახასიათებელი თვისებით, - ახალ სხივად გამობრწყინდა აკადემიის ემბლემის აღმოჩენის ამბავი, რასაც მიემატა ჩვენს მიერ პეტრიწონის ანალოგიური სიმბოლოს მოკვლევა. ამ მოვლენებმა საჭირო გახადა შუა საუკუნეების საქართველოს სულიერებისა და განათლების უნიკალური ცენტრების ისტორიული მნიშვნელობის საკითხის რეაქტუალიზაცია, მსოფლიო საკაცობრიო კულტურის კონტექსტში მათი ახლებური გააზრება.

გელათის მონასტერში (1106-1110 წ.წ.) საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ საკითხის კვლევა ჩვენში XIX ს. დასასრულიდან იღებს სათავეს.¹ 1909 წელს კი იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილ გამოკვლევაში ნ. მარი მიანიშნებდა გე-

¹ დ. ლამაშიძე, „გენათის მონასტერი,“ თბ., 1888 წ.

ლათში სასწავლო ცენტრის არსებობაზე.¹ შემდგომში, გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა კვლევების, განხილვების, წყაროთა შეჯერების, პარალელებისა და ანალოგიების საფუძველზე ჩამოყალიბდა მტკიცე, თეორიულად არგუმენტირებული და პრაქტიკულად დასაბუთებული ისტორიული შეფასება, რომ XII ს. დასაწყისში გელათში შეიქმნა „იმდროინდელი უნივერსიტეტების ბადალი“ მძლავრი კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო სკოლა.²

სადღეისოდ, ჩვენ შეგვიძლია დამატებითი მსჯელობა შუა საუკუნეების ევროპის ამ ერთ-ერთი უძველესი საგანმანათლებლო ცენტრის შესახებ, რამდენადაც, ოციოდე წლის წინ „გამხელილი“ აკადემიის კარიბჭის ემბლემა ახალ სივრცეებს გვიხსნის მონასტრის წარსულში წვდომისა და მისი ჭეშმარიტი ისტორიის დადგენის გზაზე. თუმცა, სასწავლებლის შესავლელში გამოსახული ეს სიმბოლო (დანართი N1) უახლოეს დრომდე მოიხსენიებოდა როგორც „აკადემიის კარიბჭის მორთულობის“ რიგითი დეტალი.³

რამდენიმე წლის წინ, ამ მოვლენის გაღრმავებულ კვლევას მიეძღვნა ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის დიდი ნაწილი, საიდანაც წარმოვიდგინეთ ზოგიერთ შედეგს. გელათის კარიბჭის ფასადზე წიგნის გამოსახულების შესახებ პირველი წერილობითი მინიშნება ეკუთვნის პროფ. რევაზ სირაძეს, რომელმაც მანამდე „გელათის ჩუქურთმად“ მიჩნეულ გამოსახულებაში ამოიცნო წიგნისა და მზის ნიშნები. მანვე, ამ მოვლენის პირველადი ახსნით, წიგნი დაუკავშირა ქრისტოლოგიაში ცნობილ ღვთისმშობლის ერთ-ერთ საღვთისმეტ-

¹ Иоан Петрицкий, грузинский неоплатоник XI-XII в.в., СПб., 1909.

² რ. მეტრეველი რ., დიდნი საქმენი, თბ., 2011. გვ. 160

³ დ. თუმანიშვილი, „გელათი - 900,“ თბ., 2007. გვ. 230.

ყველო სახეს, ხოლო მზე მიიჩნია იესო ქრისტეს ასევე საყოველთაოდ გავრცელებულ სიმბოლოდ.¹

მაშასადამე, XI საუკუნიდან ქართულ სამონასტრო სივრცეში ჩნდება არქიტექტურული ფორმით გამოხატული საღვთისმეტყველო შინაარსის საგანმანათლებლო ჰერალდიკური სიმბოლიკა. მაგრამ რატომ „დაგვემალა“ ის ამდენ ხანს? ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ საეტაპო მნიშვნელობის ინოვაციის ავტორი? არის თუ არა ეს პირველი ქართული საგანმანათლებლო ემბლემა? ქვემდებარე სტატია წარმოდგენს ამ და სხვა კითხვებზე პასუხების ძიების, არსებულ თვალსაზრისთა დამატებითი მეცნიერულ-ემპირიული არგუმენტებით განმტკიცებისა და ახლადმოკვლეულ არტეფაქტთან შედარებითი ანალიზის მცდელობას.

ხსენებული მოკლე საღვთისმეტყველო განმარტება საშუალებას გვაძლევს, ერთი მხრივ, განვრცობით ვიმსჯელოთ გელათის ემბლემის ქრისტოლოგიურ ბუნებაზე, მეორე მხრივ, შემადგენელი ნიშნებისა და სიმბოლური შინაარსის გათვალისწინებით, წარმოვაჩინოთ მისი კიდევ ერთი, - მსოფლმხედველობრივ-ფილოსოფიური კონცეფცია.

სიმბოლოთა ენა უძველეს ხალხთა კულტურიდან მომდინარეობს. მხატვრული აზროვნების ეს ფორმა საქართველოშიც ოდითგანვე არსებობდა. ჰერალდიკის ხელოვნების ტრადიციების საფუძვლიანად მცოდნეებზეა საუბარი იოანე ბატონიშვილის "კალმასობაში." ასეთი სპეციალისტები ყოფილან „სამგვარნი," მათ შორის – „ქვის მჭრელნი და ხის მთლელნი." X საუკუნიდან, ისე, როგორც საზღვარგარეთ, ჩვენშიც ჩნდება ინდივიდუალური საქალაქო, კორპორაციული და საეკლესიო ჰერალდიკური ნიშნები.

¹ რ. სირაძე, წიგნში „ნათელი ქრისტესი," თბ., 2003. გვ. 642.

მოგვიანებით, სიმბოლოების გამოყენება დაიწყო ევროპულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმაც, რომლებიც, ძირითადად, დამაარსებელთაგან იღებდნენ გერბს, როგორც მუდმივ გამოსარჩევ და ხშირ შემთხვევაში, სავალდებულო იურიდიულ ნიშანს. ჩვენი მოკვლევით, ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, მსგავსი ნიშანი, მით უფრო, სასწავლებლის შენობაზე გამოსახული, არსად გვხვდება. ყველაზე უადრესი არქიტექტურული სიმბოლო წიგნის გამოსახულებით, აღინიშნება XIV საუკუნიდან იტალიის საგანმანათლებლო სივრცეში (მილანსა და ბოლონიაში). ქართველ ქვითხუროთა გელათური ნაოსტატარი კი 900 წელია ამშვენებს სასწავლო შენობის შესასვლელს და ღვთაებრივი სისადავით გვამცნობს ბრძენი წინაპრების მიერ ქვაში ამეტყველებულ ჩანაფიქრს.

მონასტრის არქიტექტურა, მხატვრულ გემოვნებასთან ერთად, მაშენებელთა შინაგან მრწამსსა და პათოსზეც მიგვანიშნებს. დიდი ზომის თლილი ქვებისაგან აგებული ნაგებობანი თავისუფალია მანერულობისაგან და ზომიერი დეკორატიული მორთულობითაა გამშვენებული. ამ ფონზე, სისადავით გამოირჩევა სასწავლებლის კარიბჭის თალიც, რომლის ფასადზე გამოსახულია სამკუთხა სიბრტყიდან ამოსული ბარელიეფური სიმბოლო – გელათის საგანმანათლებლო ცენტრის სსენებული ემბლემა (დანართი N2).

ემბლემის ძირითადი თემაა გეომეტრიზებული ფორმების გადაშლილი წიგნისა და ვარდულისგულიანი მზის, იგივე ბორჯღალის, როგორც მზის მოდიფიცირებული ვარიანტის, პიქტოგრამები. წიგნი განსწავლულობის ზოგადსაკაცობრიო იდეის საყოველთაოდ აღიარებული სიმბოლოა. ქრისტიანულ ეგზეგეტიკაში კი, როგორც აღვნიშნეთ, ღვთისმშობლის ერთ-ერთ სიმბოლურ სახედაა მიჩნეული. წიგნი სიტყვის დამტვე-

ნელია, ღვთისმშობელი კი განკაცებული სიტყვის - ლოგოსის ანუ იესო ქრისტეს მშობელი.

ქართველთა ცნობიერებაში, ბორჯღალი მისტიკური მნიშვნელობით ღალიანს, მაღლიანსაც ნიშნავს. გელათში, სადაც მეუფება ეკუთვნის დედაღვთისმშობელს, სულიერი და გონებითი ტრაპეზიცი სამყაროს დიდი დედისათვის შესაფერისია. ცოდნის ამ ტაძარში მისი დამაარსებლები მოელიან წიგნიერებით განათებული გონების ნაყოფს. აქ ყველა დროის საკაცობრიო ცოდნას სარწმუნოებით განწმენდს და „ყოველივეს განანათლებს“ მაცხოვარი – „დაუვალი მზე“, ვისაც გელათის მშენებლობის დამაგვირგვინებელი, ბერად შემდგარი დამიანე (დემეტრიეოფილი), შემდგომში შესხმა-საგალობლითაც განადიდებს („შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული... და თავით თვისით მზე ხარ გაბრწყინებული“).

მზის აღმოსავალი, როგორც საკრალური ადგილის ცენტრი, ყველა სარწმუნოების საკულტო ნაგებობათა კონსტრუქციამია გათვალისწინებული. აღმოსავლეთისადმი აქცენტირებული უძველესი ნაგებობები: სტოუნხენჯი (ინგლისში), „მზის ტაძარი“ (ნეკრესი), ებრაელთა მოძრავი კარავი (წმიდათა წმიდა); ასეა ქრისტიანულ სალოცავში (საკურთხეველი), მუსლიმურ მეჩეთში (ყიბლა) და სხვ. ვფიქრობთ, ამ თვალსაზრისით, გელათში აგებული სასწავლო კორპუსი ინარჩუნებს აღმოსავლეთისადმი ორიენტაციის უძველეს ტრადიციას და აერთიანებს სალოცავი და სასწავლებელი სახლის ორ ბუნებას.

ცოდნის კერისა და ეკლესიის ერთიანობის სინთეზით, გელათმა საბოლოოდ განამტკიცა სასწავლებლისა და ღვთის სახლის სახელები და ცნებები. ამ ორი საკრალური ცნების ერთობამ კი ქართულ ენაში დასაბამი დაუდო ახალი ლექსიკური ერთეულის ჩამოყალიბებას. კომპოზიტმა - „ცოდნის

ტადარი" - საუკუნეთა შემდეგ ახალი ჟღერადობა შეიძინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან მიმართებაში და ღირსეულად დამკვიდრდა ისეთ წოდებათა რიგში, როგორიცაა იტალიაში - „სწავლების დედაბოძი" (Alma Mater Studiorum), რუსეთში - „ცოდნის აკვანი" (Колыбель Знаний) და სხვა.

საღვთისმეტყველო ახსნის გარდა, ვფიქრობთ, ემბლემას გააჩნია მეორე, მსოფლმხედველობრივი შინაარსიც. როგორც ცნობილია, გელათის აკადემია დაარსდა მაღალი მისიით: „მეორედ იერუსალემად" და „სხუად ათინად."¹ აღნიშნული კონცეპტი მონასტრის სააზროვნო ინტერესებისა და ფუნქციის გამომხატველ პარადიგმად იქცა. სემანტიკურად ეს არის ფორმულა ცოდნისა და რწმენის ერთიანობის შესახებ, რაც გულისხმობდა იერუსალიმიდან მომდინარე საღვთისმეტყველო ბიბლიური სიბრძნისა და ანტიკური ეპოქის ათენის ფილოსოფიური ცოდნის ჰარმონიზაციას. სწორედ, ამ ორბუნებოვან მსოფლმხედველობრივ კონცეფციაზე მეტყველებენ ემბლემის ნიშნები: წიგნი - ცოდნა - ათინა, მზე - რწმენა - იერუსალიმი. განათლების არსის ამგვარი ახლებური გააზრებითა და სიმბოლური გაცხადებით, ემბლემა მიგვანიშნებს საერო და საღვთო, - ცოდნით სარწმუნო და რწმენით საცოდნელ სიბრძნეთა განუყოფლობაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ქართულ აკადემიებში უძველესი საკაცობრიო სიბრძნისა და საღვთისმეტყველო ცოდნის ჰარმონიზაცია მოხდა მაშინ, როდესაც შუა საუკუნეების დასავლეთის ქრისტიანობას ჯერ კიდევ კანონგარეშედ ჰქონდა გამოცხადებული ანტიკური სიბრძნე. ასეთი პროგრესული, იმხანად ორიგინალური, შემდგომში რენესან-

¹ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი," ქართლის ცხოვრება, თბ., 2008. გვ. 314.

სული და დღემდე აქტუალური იდეა შესთავაზა საქართველომ შუა საუკუნეების ევროპას.

ქართულ სატაძრო ნაგებობებზე წიგნის გამოსახულება მანამდეც შეინიშნება, მაგრამ გელათის ხუროთმოძღვრებაში ემბლემის სახით გამოკვეთილი წიგნი არქიტექტურულ-ტიქნოლოგიური და ფუნქციური თვალსაზრისით, სრულიად განსხვავებული მოვლენა, ახალი სიტყვაა თანადროულ რეალობაში. ამასთან, ის, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სამი საუკუნით უსწრებს ევროპულ მონათესავე სიმბოლოებს.

„შექება ნათლისა, მზისა და ვარსკვლავთა," მზის კულტი, მოძღვრება ნათლის შესახებ სხვადასხვა რელიგიასა და ხალხთა რწმენაში, ისევე, როგორც ჩვენიში, „უუძველესი ხანიდან მოდის.“¹ ქრისტოლოგიაში მზის სიმბოლიკამ ერთდროულად შეიძინა ღვთაების, ღვთისმშობლისა და იესო ქრისტეს სახელთა სინონიმური მნიშვნელობა. გელათის ემბლემის მზე წრიული პიქტოგრამაა, რომელიც შედგება წნულის ფორმის წერტილოვანი გარშემოწერილობისა და ცხრა ფურცლიანი ყვავილისებური ბორჯღალისაგან. მზისა და წიგნის ფორმათა შერთვისას იკვეთება მხედრული დამწერლობის იოტა (ღ), რომელიც მარადიული ერთიანობისა და ჭვრეტის იდეოგრაფული ნიშანია.

თანამედროვე მეცნიერება წრეს - დისკოს ასტრალური ციური სამყაროსა და მარადისობის ნიშანად, სუფთა, მართალი ინფორმაციის წყაროდ მიიჩნევენ. უძველესი ასტროლოგიური ცოდნის პირობებში, დასაშვებია, რომ ჩვენი წინაპრები ემბლემის შექმნისას ითვალისწინებენ კოსმოსის შესახებ არსებულ იმჟამინდელ ცოდნას. ასევე, შესაძლოა აქ იგულისხმებოდეს ჰელიოცენტრული სისტემის კონცეფცია, რომელიც

¹ ვ. ნოზაძე ვ. ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, თბ., 2005. გვ. 79.

შოთა რუსთაველმა პოემა „ვეფხისტყაოსანში“ ევროპულ კონცეფციამდე (ტიხონ დე ბრაჰეს სისტემა) 400 წლით ადრე გადმოგვცა.

მზე, ბორჯღალი (სანსკრ. „სვა-სტიკა“-„კეთილად ყოფადი“) და ვარდულა სხვადასხვა კულტურებისთვის დამახასიათებელი, უძველესი ცივილიზაციების წმინდა ჩუქურთმებია. ისინი, როგორც ერთ–ერთი ყველაზე ფართოდ გავრცელებული მისტიურ-საკრალური და სოლარულ-ლოგოგრამული სიმბოლოები, საქართველოს ტერიტორიაზე მტკვარ-არაქსის კულტურის დროიდან შეინიშნება. ქრისტიანულ ესთეტიკაში შენარჩუნებული ეს სიმბოლო, საზოგადოდ, დამახასიათებელია ქართული სატაძარო ხუროთმოძღვრებისათვის. წმინდა გრიგოლ ნოსელი ბორჯღალს განიხილავს, როგორც ღვთისაღმძი მისწრაფებას, „ცეცხლის მარადიულ სწრაფვას ზენივთიერ სასუფეველში,“ როგორც „მორჩილებისა და სიყვარულის ხატს.“¹

გელათური ბორჯღალი ამავდროულად ვარდულაცაა. ანტიკური საბერძნეთის, შუამდინარეთისა და ეგვიპტის კულტურათა პარალელურად, საქართველოში მრავალგზის დადასტურებული არტეფაქტებით, ვარდულა მზე-ქვეყნის, აია-კოლხეთის, მისი სამეფო ოჯახისა და ძალაუფლების აღმნიშვნელი სიმბოლოა.² ამ თვალსაზრისით, ცხადი ხდება კავშირი აია-ქუთათისის ძველ სახელწოდებასთან. მიგვაჩნია, რომ ემბლემის ვარდულა იკითხება, როგორც „აია“ და უძველეს ცივილიზაციათა თანასწორ ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე მიგვანიშნებს.

¹ ზ. აბზიანიძე, ქ. ელაშვილი სიმბოლოთა ილუსტრირებული ენციკლოპედია, ტ. 1, თბ. 2006. გვ. 132, 142.

² გ. კვაშილავა, "ისტორიულ-ეთნოლოგიური ძიებანი XII" თბ. 2010. გვ. 236.

რიცხვთა სულიერ საფუძვლებზე დამყარებული აზროვნება, ზოგადად, დამახასიათებელია გვიანანტიკური და ადრექრისტიანული პერიოდებისათვის. პითაგორიანელთა მოძღვრების თანახმად, რიცხვი ჭეშმარიტი არსის ცნებაა, რომელიც თავისი საიდუმლო ბუნებით, არის არა მხოლოდ სიმბოლო, არამედ, არსის რაობის გამო ხატულება. ქართული დამწერლობის ამ კუთხით შესწავლამ ცხადყო, რომ ქურუმთა მიერ შექმნილი ქართული ანბანი ზედმიწევნით მოიცავს სსენებულ ცოდნას.¹ კრიპტოგრაფიის (იდუმალდამწერლობა) შესახებ მსჯელობისას კი ივ. ჯავახიშვილი განიხილავს ასოთა, სიტყვათა და სახელის შემადგენელ ასოთა რიცხვით მნიშვნელობებს.²

ეს ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ გელათური ბორჯღალ-ვარდულა, თავისი მოდიფიცირებული ფორმითა და ფურცლების (იგივე თვლების) რიცხობრივი მაჩვენებლით, ჩაფიქრებულია განსაზღვრული სულიერი შინაარსით. ამასთან, ის „ცხრათვალა“ მზის ერთ-ერთი პირველსახეცაა. ვვარაუდობთ, რომ გელათის ემბლემის იდეის ავტორს, მასში მოცემული ცხრაფურცლოვანი ვარდულის რიცხობრივ-სიმბოლური ინფორმაციის გააზრების საფუძველზე, ცხრათვალა მზის სიმბოლო შემოაქვს იმდროინდელი აზროვნებისათვის დამახასიათებელი მიზანმიმართული ესქატოლოგიური მნიშვნელობით (ცნობილია, რომ ებრაული მზე რვათვალაა).

ჩვენშიც, ისევე, როგორც იმჟამინდელი ყველა რელიგიისა და ხალხის რწმენით, ცხრა დასრულებული მთლიანობის, ბედნიერ რიცხვად იყო მიჩნეული. დიონისე არეოპაგელის ტრაქტატი „ციური იერარქიის შესახებ“ ადასტურებს, რომ ქრისტიანულ სიმბოლიკაში რიცხვი ცხრა გამოხატავს

¹ რ. პატარიძე, ქართული მწიგნობრობა, თბ., 1989, გვ. 19.

² ივ. ჯავახიშვილი, ქართული პალეოგრაფია, თბ. 1949. გვ. 133.

ჰარმონიას. ამავე დროს, ის იდეის სრულყოფილების და ყოველადწმიდა ღვთისმშობლის სიმბოლოცაა. მასვე უკავშირდება მეცხრე ცა, ანგელოზთა ცხრა დასი, ცხრა ნეტარება, სულიწმიდის ცხრა ნაყოფი. ვრჩებით რა, მკაცრი მეცნიერული ლოგიკის მომხრედ, მიგვაჩნია, რომ რიცხვითი სიმბოლიზმის საკითხის აქტუალიზება მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნაა. მისი გააზრებისა და გამოყენების გარეშე, შეუძლებელია ჩავწვდეთ ისტორიულ მოვლენათა ჭეშმარიტ არსსა და მეტაფიზიკურ ბუნებას.

ამრიგად, გელათური ემბლემა თავისი ფიზიკური და მხატვრულ-მეტაფორული ასპექტებით, ერთდროულად, მრავალმხრივი სემანტიკის შემცველი, სხვადასხვა კულტურათა და უძველეს ცოდნათა შემკრები სიმბოლოა. ემბლემის შინაარსში იკითხება ქრისტიანობისა და ყველა რელიგიის მსოფლმხედველობრივი სისტემებისათვის დამახასიათებელი დროისა და სივრცის ცნებათა ურთიერთმიმართებაც. შუა საუკუნეების კულტურაში ქრონოლოგიური და ქრონოტოპული ცნებები სიმბოლურად მოიაზრებს ცოცხალ და არაცოცხალ, ვერტიკალურ (ზეცისაკენ მიმართულ) და ჰორიზონტალურ (დედამიწაზე განფენილ) ღირებულებებს, ამიტომაც, რომ ემბლემათა სიმბოლიკა ერთდროულად, ორი სამყაროს ნიშნებითაა წარმოდგენილი. გელათის უმაღლესი სკოლის ემბლემა ავტორთა შორსმჭვრეტელო, სახელმწიფოებრივი და საგანმანათლებლო პოლიტიკის ნიშანია. ქტიტორებმა ზედმიწევნით შეძლეს წარმოეჩინათ ცოდნის საყოველთაო, საერთაშორისო, ზოგადსაკაცობრიო, ზერელიგიური და ზედროული მნიშვნელობა. მათ კარგად ესმოდათ, რომ ნებისმიერი ეროვნების რელიგიური ადამიანისათვის ახლობელია საყოველთაოდ აღიარებული კოსმოსური კატეგორიები და მათთან დაკავშირებული კულტები (მზე, მთვარე, მსოფლიო ხე და ა.შ.). ამ ცოდნის გათ-

ვალისწინებითაა შერჩეული სასწავლების ემბლემაც, რომელიც დამშვენებულია აქ მოსული ყველა სარწმუნოების ადამიანისათვის გასაგები და მისაღები, მარადიული ფენომენების სიმბოლოებით.

ვეარაუდობთ, რომ გელათის სამეცნიერო ცენტრი იმ საერთაშორისო და რელიგიათშორისი შეხვედრების ადგილიც იყო, რომელთა შესახებაც მოგვითხრობს დავითის ისტორიკოსი. სწორედ ამით უნდა აიხსნებოდეს ის, რომ, ერთი შეხედვით, ემბლემაზე ვერ ვხედავთ ქრისტიანულ სიმბოლიკას, რომელთაგან, პირველ რიგში, მნახველს ჯვრის მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს. თუმცაღა, როგორც საკათედრო ტაძართან განთავსებული დაწესებულება, იგი, თავისთავად, მისტიური ჯვრის წიაღშია აღმოცენებული. ვფიქრობთ, ასეთი აკადემიური ფორმით, აქ საკუთარი სარწმუნოების სიყვარულით, სხვისი რწმენისა და შეხედულებების პატივისცემასაც ადასტურებდნენ. რეალურად, სიმბოლოში ცხადად იკითხება დავითის საქართველოს ინტერკულტურული ნიშნით აღბეჭდილი რელიგიურ-მსოფლმხედველობრივი პრიორიტეტები: ქვეყნის სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის რანგში გააზრებული საგანმანათლებლო პოლიტიკა, ჰუმანიზმი, რჯულშემწყნარებლობა, საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებელთა საეროობის, საყოველთაოობის და საერთაშორისოობის ნიშნები.

ქართული საგანმანათლებლო საქმის ისტორიის მემკვიდრეობითმა ბუნებამ, მის შემოქმედთა მხრივ წარსულის მუდმივმა თანაგანცდამ, თაობათა შორის უწყვეტი სულიერი ნათესაობის ნიშნით გააზრებამ მიგვიყვანა იმ ლოგიკურ დასკვნამდე, რომ გელათის ემბლემის წარმომავლობას შესაძლებელია ჰქონოდა გარკვეული წინაპირობები. მართლაც, აღმოჩნდა, რომ ბიზანტიის იმპერიის დიდი მხედართმთავრის გრი-

გოლ ბაკურიანის ძის მიერ 1083 წელს ბულგარეთში აგებული პეტრიწონის (ბაჩკოვო) აკადემიას ჰქონია მსგავსი ემბლემა, რომელიც გელათურის მსგავსად, შედგება გადაშლილი წიგნისა და მზის პიქტოგრამებისაგან (დანართი N3). ჩვენი შეფასებით, გელათის ემბლემა წარმოადგენს პეტრიწონის სემინარიის მოდიფიცირებული ვარიანტს, რომელშიც შემაღენელ ნიშანთა ფორმის შენარჩუნებით, უცვლელადაა შენარჩუნებული სიმბოლოს იდეა - დედააზრი განათლების ჭეშმარიტი არსის შესახებ.

ჩვენი არგუმენტებით, რომელზეც ქვემოთ მოგახსენებთ, პეტრიწონის ემბლემა გელათის ემბლემასთან შედარებით 23-27 წლით ადრეა შექმნილი. ცხადი ხდება, რომ თანადროული ეპოქის უპრეცედენტო ამ მოვლენით, შუა საუკუნეების ქრისტიანული სასწავლებლების შენობათა არქიტექტურაში ჩნდება პირველი დარგობრივი, საგანმანათლებლო ჰერალდიკური სიმბოლო. მისი სახით საქმე გვაქვს თვისებრივად ახალ მოვლენასთან, რომელიც, ერთდროულად, რამდენიმე ნიშნით შეიძლება ჩაითვალოს ნოვაციად: ეს არის პირველი საგანმანათლებლო ნიშანი, პირველი შემთხვევა ქრისტიანული ეპოქის ხუროთმოძღვრული ხელოვნების სფეროში, როდესაც მზის ბარელიეფური გამოსახულება წარმოდგენილია როგორც ქრისტოლოგიური სიმბოლო; პეტრიწონის ემბლემის კომპოზიციამ დასაბამი დაუდო სწავლების პროცესთან ასოცირებული წიგნისა და მზის გამოსახულებათა დამკვიდრებას; ამის შემდეგ, ეს ნიშნები ყველაზე გავრცელებულ სახეობებად იქცა განათლებისა და მეცნიერების სფეროთა ჰერალდიკურ გამოსახულებებში.

სადღეისოდ, ადგილზე მოკვლევაში, ჩვენს ხელთაა პეტრიწონის სიმბოლოს მხოლოდ გრაფიკული (კომპიუტერუ-

ლი) ვერსია,¹ რაც ართულებს მსჯელობას ემბლემის დეტალების, ფაქტურისა და სრული აღწერილობის შესახებ.

სემანტიკურად იდენტურ სიმბოლოებში ჩანს ის სისტემური კანონზომიერებებიც, რასაც ეფუძვებოდა წარსულის მდიდარ გამოცდილებაზე დამყარებული შუა საუკუნეების საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ არსებულ სამონასტრო ცენტრებში. ამ მოსაზრებას ამყარებს კვლევისას მიღებული კიდევ ერთი სიმბოლო. კერძოდ, დროისა და სივრცის ცნებებით აზროვნების მხატვრული მოდელის კიდევ ერთი ნიმუში - ათონელ ბერთა ღუმილის მოძღვრების სიმბოლო, რომლის სქემა ეპისკოპოსმა პორფირი უსპენსკიმ ჩამოიტანა ივერთა მონასტრიდან.² მასში მზის, წრის (დისკო) და სხივთა ნიშნები განხილულია, როგორც სიყვარული, სინათლე, იმედი და რწმენა.³ ვვარაუდობთ, რომ ათონის ბერთა მისტიური აზროვნების სიმბოლურ გამოხატულებასა და ჩვენს ემბლემებს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი, რაც, აგრეთვე, მომავალი კვლევის საგანს წარმოადგენს.

პეტრიწონულ-გელათურ ნიშნებში ქვისა და სინათლის სტიქიათა შერწყმით მიღწეულ მიწიერ და კოსმოსურ სამყაროთა სიმბოლურ ჰარმონიას ჩვენ მონასტერთა ქვითმეტყველება ვუწოდეთ. ამ ეპოქალური მოვლენების შემოქმედთა მიერ, რეალობის კონკრეტული ელემენტების გათვალისწინე-

¹ თ. ფარჩუკიძე, “პეტრიწონი-935”, პირველი საგანმანათლებლო სიმბოლოს ისტორიისათვის. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე, 2018, N1. თბ., გვ. 232.

² იხ. Порфирий (Успенский), еп. „История Афона“ ч. III. Отд. II. СПб 1892 г.

³ ი. ყვინაშვილი, ქართული საბრძოლო ხელოვნების ისტორია. თბ. 2002. გვ. 197.

ბით, გადმოცემულია მონასტრებში არსებული უმაღლესი სკოლების მთავარი იდეა: საეკლესიო და საერო ცოდნათა სინთეზის სულისკვეთება. ემბლემათა შუქზე, კიდევ ერთხელ, ცხადი ხდება მონასტრებში მიმდინარე სამეცნიერო და სასწავლო პროცესების ფორმა და პროგრამების შინაარსი, სასწავლო დისციპლინათა სპექტრი. კონკრეტულად, გელათში, ევროპული უნივერსიტეტების მსგავსად, უმაღლესი განათლების საფუძველი იყო „შვიდი თავისუფალი ხელოვნება.“ ტრივიუმ-კვადრიუმის დისციპლინებთან ერთად ისწავლებოდა ღვთისმეტყველება, ფილოსოფია, მედიცინა, საერო და საეკლესიო სამართალი.

ხსენებული სიმბოლოები დამატებითი არგუმენტია იმის დასტურად, რომ ანტიკური აკადემიების ხანიდან ევროპული საუნივერსიტეტო ცხოვრების გარიჟრაჟზე, პეტრიწონი და გელათი წარმოადგენენ თვისებრივად ახალ, გარდამავალი ეტაპის უმაღლეს სკოლებს. მათ გააჩნიათ თანადროული ევროპული საუნივერსიტეტო განათლებისათვის დამახასიათებელი რეალური ნიშნები, ხოლო ემბლემების სახით, - წინმსწრები, იურიდიული გაფორმებისათვის სავალდებულო და იდენტიფიკაციისათვის აუცილებელი ელემენტები.

ორი ქართული მონასტრის სიმბოლოთა კომპოზიციურ-არსობრივი ერთიანობა და ქვითმეტყველებითი ნათესაობა საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ორივე შემთხვევაში ავტორი ერთი და იგივე პიროვნებაა და ეს არის იოანე პეტრიწი. ამგვარი დაშვება განპირობებულია ნათლის ესთეტიკის პეტრიწისეული ფენომენით, რომელიც არაერთი ასპექტით ვლინდება მის შემოქმედებაში (საკითხი განხილულია ზემოხსენებულ სადისერტაციო კვლევაში). სიმბოლოებში ცხადად იკითხება პლატონისეული კონცეფცია იდეათა მატერიალიზების შესახებ და თვალსაჩინო ნეოპლატონიკოსისა და ღვთის-

მეტყველის იოანე პეტრიწის პროგრესული აზრები, რომლითაც გამოხატულია თეოლოგიისა და ფილოსოფიის ერთიანობის დღემდე აქტუალური იდეა. პეტრიწონისა და გელათის სიმბოლოებით შესაძლებელი ხდება ახლებურად გავიაზროთ ხსენებულ აკადემიებში მიმდინარე პროცესები. რეალურად, ეს არის ფილოსოფიურ-საგანმანათლებლო კულტურის ის დონე, რომელიც ახასიათებდა რამდენიმე საუკუნის შემდეგ ევროპაში დაწყებულ რენესანსს.¹ ამ ყოველივეს სულისჩამდგმელი იყო „ღვთაებრივ იოანედ“ (თეოფილაქტე ბულგარელი) წოდებული იოანე პეტრიწი, რომლის ზეწოდებისა და ბიოგრაფიული ცნობების საკითხს, ემბლემათა ფონზე, სულ სხვაგვარი შუქი მოეფინა.²

ამრიგად, პეტრიწონისა და გელათის აკადემიებს აქვთ საუნივერსიტეტო სიმბოლიკის უმნიშვნელოვანესი ატრიბუტი - ემბლემა. რომ არ ყოფილიყო არცერთი სხვა სახის დოკუმენტი და მინიშნებაც კი, პეტრიწონისა და გელათის უმაღლესი სკოლების შესახებ, ვფიქრობთ, მათი არსებობის მტკიცებულებად სრულიად იკმარებდა ისეთი უტყუარი ნიშნები, როგორებიცაა დასახელებული ემბლემები. ეს არის საეტაპო მნიშვნელობის, უნიკალური მოვლენა მეცნიერული აზროვნების განვითარების გზაზე, რომელიც საჭიროებს შემდგომ კვლევას, ელის სათანადო შეფასებასა და ადგილის მიკუთვნებას მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ისტორიაში.

¹ იხ. А. Ф. Лосев, Слово о грузинском неоплатонизме, Лит. Грузия, Тбилиси, 1989.

² იხ. თ. ფარჩუკიძე, საღისერტაციო ნაშრომი „საეკლესიო განათლების ისტორიის ძირითადი საკითხები XI-XII საუკუნეების საქართველოში," 2015. <http://www.nplg.gov.ge.Parcukidze.pdf>

Tamar Parchukidze
St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia

**SYMBOL OF GELATI ACADEMY AND ITS
PREHISTORY
RESUME**

Modern research revealed that Petritsoni (1083) and Gelati (1106 – 1110) Monastery Academies had the similar educational symbols with a picture of book and sun. They express the worldview (philosophy and theology) and theological (the Virgin Mary and Jesus) concept of the Academies.

In the work, coincidence of the architectural companies of monasteries is verified and with comparative analysis method, the issue of identity of educational emblems of monasteries is established; conceptual definitions of these symbols are established according to which the opinion is expressed that the case refers to the innovation of European world of that time such as university heraldical marks-emblems.

At the beginning of the European University life of that period, Petritsoni emblem was the first educational heraldic sign. Later in the educational and scientific symbolic, it contributed to the most common signs: the foundation of book and sun images.

The above - mentioned emblems are common European cultural property.


დანართი N1



დანართი N2



ღანართი N3



აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის წიგნის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“ თვალსაზრისისათვის დამატებითი საბუთები ძვ.წ.-ით 2000-იანი წლების ტექსტებით

აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის ნაშრომში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ დაბეჭდა თბილისში 1956 წელს, შესავალი ტექსტის მეორე აბზაცის პირველივე წინადადებაში, წიგნის მეხუთე გვერდზე, განმარტებულია, რომ „კულტურის აღმოსავლურსა და დასავლურზე გაყოფა იდეალისტური ბურჟუაზიული ფილოსოფიის ნიადაგზე ჩაისახა“. შ. ნუცუბიძემ პირველ თავს უწოდა „ქართველ ტომთა აზროვნების პერიოდიზაცია.“ აი, რა დაწერა მის მეოცე გვერდზე: „ქართველი ერის წინაპართა სააზროვნო წარმოდგენათა ისტორია ძალიან აღრინდელი ხანიდან იწყება და წინა აზიის ხალხების საერთო განვითარების კანონზომიერებასთანაა ერთგვარად დაკავშირებული. ამ ნიადაგზე მას თავისი საკუთარი, შინაგანი სოციალური განვითარებით პირობადებული გარემო ასაზრდოებს, რომელიც, თავისდარიგად, საწარმოო ძალთა განვითარებაზეა დამყარებული. ამ პერიოდში მას შეუქმნია მითოლოგიური ძეგლები, რომელთაც მაშინდელი კულტურული მსოფლიოსათვის საკმაო მნიშვნელობა მოუპოვებიათ. კანონზომიერება ისტორიული განვითარებისა ამ შემთხვევაში მითოლოგიური ეპოსის ძეგლებშია ცხად ასე თუ ისე ჩანს, რაც მრავალ ძეგლადაა წარმოდგენილი, რომელთა შორის

საკმაოდ დიდი მანძილია როგორც ქრონოლოგიური, ისე არსებითი შედარებისათვის. ისტორიული შედარების მიზნებისათვის საჭირო მითოლოგიური ძეგლი არის „გილგამეშის“ ეპოსი, რომელიც შექმნილია ხეთურ-სუმერული ადრინდელი ტომის წარმომადგენლების მიერ მესამე ათასწლეულში ჩვენს ერამდე. ისტორიული პერსპექტივისათვის შეიძლება მას შევადაროთ მითოლოგიური პოემა „ამირანი“ -ხალხური შენამოქმედი ძველ ქართველთა წინაპრების მიერ მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში. მეტად რთული ამოცანები დგება ჩვენს წინაშე, როცა ვეხებით ისეთი ხალხების ფილოსოფიას, როგორცაა ქართველი ერი და მისი ფილოსოფიის შემქმნელი-მომზადებელი ტომები. წინა აზიის ხალხთა ოჯახის წევრი ქართველი ტომები და მისი მონათესავე ერები ძველი ქვეყნისა მონაწილეობას იღებენ წინა აზიაში სააზროვნო შემოქმედების პირველად ჩამოყალიბებულ პროცესში. ამის გამო ძველი აღმოსავლეთის სააზროვნო შემოქმედების ისტორია, საერთოდ, და მასთან ერთად ძველი ქართველი ტომების ისტორიაც ეზიარება მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობას. იგი იძლევა სურათს აზროვნების პირველი ელემენტარული ფორმების ჩასახვისა და განვითარებისა, ვიდრე სიბრძნის ცნების გამოუმუშავებამდე, რომელშიც თანდათან გამოიკვეთება უფრო მოგვიანო, უფრო ვიწრო და უფრო ნათელი ფორმები. მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აღმოსავლეთის აზროვნების განვითარებისა, რომელმაც დასავლეთის აზროვნებაზეც მოახდინა გავლენა, მისი შესწავლის ამოცანას უფრო საპასუხისმგებლოსა და უფრო ძნელ საქმედ აქცევს. ის რთულდება იმითაც, რომ ყოველთვის ხელთ არა გვაქვს საკმაოდ საიმედო დასაყრდენი და შესასწავლი ობიექტი.“

1956 წელს თბილისში დაბეჭდილ იმავე წიგნში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, წიგნი 1, ოცდამეშვიდე

გვერდზე წერია: პერიოდიზაციის შესახებ საკითხი ყოველთვის პირობითი გარემოებაა. ეს განსაკუთრებით ეხება იდეოლოგიის ისეთ სფეროს, როგორც ფილოსოფიაა. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ქართული ფილოსოფიის ისტორია შესაძლებელია დაიყოს მხოლოდ პირობითად. ბურჟუაზიულ მეცნიერებაში პერიოდიზაციის ძირითად ფარგლებად მიღებულია ისტორიული მეცნიერებისა და, კერძოდ, ფილოსოფიის ისტორიის დაყოფა ანტიკურობაზე, საშუალო საუკუნეებსა და ახალ დროზე. თითოეულ ამ ფარგალს შეიძლება თავისი საკუთარი შიდა დაყოფა ჰქონდეს. ასეთი კლასიფიკაცია ყურადღების გარეშე სტოვებს აღმოსავლეთს ანდა სრულ ულოგიკობას სჩადის, როდესაც პერიოდიზაციისათვის მიღებულ ქრონოლოგიურ პრინციპს, რომლის მიხედვით იღებს გაყოფის წევრებს - ანტიკურობას და სხვ., ერთბაშად უმატებს ხანდისხან ტოპოგრაფიულ პრინციპს: აღმოსავლეთი და სხვა, თითქოს აღმოსავლეთს არ ჰქონდეს თავისი ქრონოლოგიური პერიოდიზაცია. ბურჟუაზიულ ევროპოცენტრიზმს ჰგონია, რომ დროც მხოლოდ მათთვის მუშაობს. ამას გარდა, ბურჟუაზიული პერიოდიზაციის სქემა დაცლილია ყოველგვარი სოციალური შინაარსისაგან. ჩვენ ვერ მივიღებთ ასეთ უშინაარსო და ულოგიკო სქემას და საქართველოს ფილოსოფიის ისტორიისათვისაც სავალდებულოდ მიგვაჩნია მივიღოთ სოციალურად შინაარსიანი პრინციპი - მონათმფლობელობის ხანა, ფეოდალიზმის ხანა, კაპიტალიზმის ხანა მათი შინადახაწილებით. მაგალითად, ფეოდალიზმის მიმართ: ადრინდელი ფეოდალიზმი, ფეოდალური აბსოლუტიზმი, აღორძინების ჩასახვის პერიოდი და სხვ. ადრინდელი საქართველოს ისტორიულ-საზოგადოებრივი ვითარების საკითხი ბოლო დრომდე არ იდგა საკმაოდ ფართოდ. ჩვენი მეცნიერების მიღწევებმა არქეოლოგიის ხაზით გააფარ-

თოვა საამისო ბაზა და ნაცვლად გვაროვნული წყობილებისა, რომელზედაც წინათ იყო აგებული ქართველ ტომთა საწყისები, დღეს შესაძლებელი გახდა მსჯელობა მონათმფლობელურ სახელმწიფოებრივ ბაზაზე. გვაროვნული და მონათმფლობელური წყობილება შეადგენს სოციალურ შინაარსს ეპოქისა, რომელმაც თავისი იდეოლოგიური გამოხატულება ქართულ მითოლოგიურ ძეგლში - „ამირანში“ ჰპოვა. საქართველოს ისტორიას ახასიათებს არა მარტო ანტიკურობა - მიღებული გაგებით, არამედ ძველი აღმოსავლეთის ხანაც - უხვირო კლასიფიკაციით.

შალვა ნუცუბიძის აზრი ჩვენი ერის ერთ-ერთი სახელწოდების - გეორგების შესახებ

აი, რა წერია შ. ნუცუბიძის იმ წიგნის ოცდამეცხრე გვერდზე: „ახალი ერის დასაწყისში ვხედავთ ქართულ მოდგმათა ისტორიული ცხოვრების აღორძინებას. ამ ხანას ჯერ-ჯერობით ბერძნული წყაროების მიხედვით ვეცნობით და ვყოფთ მას საწარმოო ნაირობის მიხედვით. ამ ცნობების თანახმად ქართველი ტომების ერთი ნაწილი მიწათმოქმედებას ეწეოდა, რის გამოც ბერძნულ ენაზე მათ „გე (მიწა)-ორგებს“, ესე იგი, მიწაზე ანუ მიწის მოსაქმეთ, მიწის დამუშავებელთ უწოდებდნენ; მოხდა ის, რომ ეს შემთხვევითი, წარმოებიდან აღებული სახელი ისტორიულად შეუნარჩუნდა ქართველ ტომებს და, საერთოდ, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს სახელწოდებად გადაიქცა. აქედან არის სახელწოდება „გეორგია“, რომელიც სხვადასხვა ერების ენაზე სხვადასხვა ვარიაციით გამოითქმის. ის გარემოება, რომ სახელწოდება „გეორგია“ თავდაპირველად მხოლოდ აღმოსავლეთის ქართველ მოდგმებს ეხებოდა, მიგვითითებს იმაზე, რომ დასავლეთით მოსახლე ქართველი ტომები თავისი ხელობის მიხედვით ხე-

ლოსნებს წარმოადგენდნენ, დაკავშირებით მეტალისა და მადნეულობის დამუშავებასთან. ჩანს, ძველი ტრადიცია მეტალზე ოსტატობისა დიდხანს შერჩა დასავლეთ საქართველოს და ორი სხვადასხვა ფორმის სახელწოდებასა: „დემიურგებისა“ და „გეორგების“ განაწილებას საფუძვლად დაედო (ესე იგი, მიწათმოქმედნი და ხელოსნები). ცნობები, რომლებიც შემოგვინახა ბერძნულმა წყაროებმა, მიგვითითებს, რომ ძველ საქართველოში ყოფილა ცნობილი ფილოსოფიური ცენტრი“. აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის მოსაზრებაში ისე, ჩანს, თითქოს ელლინურ ენაზე ახალი ერის დასაწყისში დაწერილ ტექსტსა თუ ტექსტებში დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილს ანუ აღმოსავლეთ საქართველოს უწოდეს თავდაპირველად უცხოელებმა „გეორგია“. სინამდვილეში იმჟამად მართლაც ახსენეს გეორგები, გეორგილები (ელლინურ ენოვან დედან ტექსტებშია: გეორგოი, ლათინურენოვან ტექსტებშია „გეორგილი“), ანუ ახსენეს მოსახლეობის სახელი და არა ქვეყნის ან მისი ტერიტორიის ნაწილის სახელი. ეს თემა საფუძველიანად ვიკვლიე და კვლევის შედეგებს მიმოვიხილავ ამ წერილში უფრო ქვემოთ. აქვე ვიტყვი, რომ სტრაბონმა, პლინიუს უფროსმა, ტაციტუსმა და პომპონიუს მელამ პირველი საუკუნის დასაწყისში დაწერეს მსოფლიოს გეოგრაფიული აღწერები და მოიხსენიეს გეორგოი, გეორგილი (გეორგები) არა აღმოსავლეთ საქართველოში (როგორც რატომღაც ეგონა აკადემიკოს შალვა ნუცუბიძეს), არამედ ჩრდილოეთ საქართველოში, კერძოდ, ნახევარკუნძულ აია-ს ჩრდილოეთ ნაწილში. იმ მხარის ჩრდილოეთით მოშორებით მდებარე ველებზე დროდადრო ცხენებით დაჯირითობდნენ უცხოელი უცნობები, რომელთაც ნომადების ზოგადი სახელწოდებით იხსენიებდნენ სტრაბონი, პლინიუს უფროსი, ტაციტუსი და პომპონიუს მელა თავის ნაწერებში. ის ტექსტები

დედან - ელინურ ენაზე და ლათინურ ენაზე გამოქვეყნებული ტექსტებით ვიკვლიე თბილისში. შევუდარე ინგლისურ ენაზე თარგმნილ მასალას ლოებ ქლესიქალ ლაიბრერი სერისის - სტრაბონის გეოგრაფიის სათანადო ტექსტს, და ა.შ.

ახლახან შალვა ნუცუბიძის „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, წიგნი 1, 1956 წ., თბილისის 1918 წელს დაარსებული უნივერსიტეტის პირველი შენობის წიგნთსაცავში// ბიბლიოთეკაში წავიკითხე - აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ოჯახის მიერ გადაცემული ფონდიდან. რამდენიმე გვერდი გადაბმული იყო და მაკრატელით გაჭრა თანამშრომელმა, რომ წაკითხვა შემძლებოდა. წიგნის იმ ნაწილის პირველი მკითხველი აღმოვჩნდი. მეოცე-ოცდამეათე გვერდები მანამდე არავის წაეკითხა. წიგნში ვნახე ფილოსოფიის ინსტიტუტის ბლანკზე საბეჭდი მანქანით დაბეჭდილი წერილი გიორგი ახვლედიანისადმი: იწვევდნენ შალვა ნუცუბიძის ზემოხსენებული წიგნის განხილვის ღონისძიებაზე. მაინტერესებს, თუ რა ითქვა იმ შეკრებაზე.

აკადემიკოსი შალვა ნუცუბიძე: „ფილოსოფია დაიბადა არა საბერძნეთში“

„ფილოსოფია დაიბადა არა საბერძნეთში“, როგორც ჩვენ ამაში გვარწმუნებს ბურჟუაზიული მეცნიერება დასავლეთისა - ეს ერთი ძირითადი ამოსავალია ბურჟუაზიული ევროპოცენტრიზმისა. ფილოსოფიის ცნება თავისთავს უპირისპირებდა სიბრძნეს და ფილოსოფოს სოკრატეს სახით მის ნაცვლად - „სიბრძნის მოყვარულის“ პრეტენზიას აცხადებდა“. .. გვერდი 22: „ქართველ ტომთა წინაპრებმა, საფიქრებელია, გადმოიღეს იდეები სუმერებისაგან, რომელთა ენაზე „გილგამეშიანი“ იყო შექმნილი, გადაამუშავეს და გადასცეს თავის შთამომავალთ - ქართველ ტომებს შემდგომი ფორმა-

ციის სახეები, იდეები და წარმოდგენები, რომლებიც გაცხოველებულ იქნენ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად საფეხურზე უკვე ქართული მითოლოგიური ძეგლის „ამირანიანის“ სახით“. (გვერდი 24): ბერძნულ წყაროებს დაცული აქვთ მითითება იმის შესახებ, რომ ბერძნულ გემებით მოსვლა **კოლხიდაში, ესე იგი, ძველ საქართველოში**, შეიცავდა როგორც ეკონომიურ, ისე კულტურულ ამოცანებს. თქმულება ოქროს საწმისზე შეიცავს ცნობას ოქროს მოპოვების შესახებ სპეროსის, ანუ შავი ზღვის, ნაპირის დასილვაში და აგრეთვე, მიგვითითებს ოქროს საშუალებით **დამწერლობით ოსტატობაზე**, რომელსაც ბერძნები სრიზოგრაფიას უწოდებდნენ. დასახელებული ცნობები აგრეთვე ადასტურებენ, რომ შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო მდიდარი იყო მადნებით“. პროფ. შალვა ნუცუბიძესეულ ტექსტში ხაზგასმულია ძველი ქართველების კოლხებად და ძველი საქართველოს **კოლხეთად** მოხსენიების ფაქტი. ამ კუთხით საინტერესოა, თუ შესთავაზა მან მთავრობას ჩვენი სახელმწიფოს ძველი სახელწოდების - კოლხეთის- აღდგენა ოფიციალურად ყველა ენაზე დასამკვიდრებლად. ჯერ-ჯერობით ასეთი ძალისხმევა შალვა ნუცუბიძისა ან მისი თანამედროვე მკვლევარების მხრიდან ჩემთვის უცნობია. ეს გასაკვირია. წიგნი დაიბეჭდა თბილისში 1956 წელს. პროფესორ მოსე ჯანაშვილის წიგნში „საქართველოს ისტორია უუძველესი დროიდან“ (დაიბეჭდა თბილისში 1906 წელს საგამომცემლო ამხანაგობა „შრომა“-ში) და ჯანაშვილის სხვა მრავალ ნაშრომში, გარკვევით წერია, რომ ქვეყანა საგართია იხსენიება სტრაბონის მიერ დაწერილ „გეოგრაფია“-ში და საქართველოს სახელია; რომ ქარდუნის მეფეების სია და მათი ნაწერები ლურსმული აქადური დამწერლობით - აღმოაჩინეს პარიზელმა, ბოსტონელმა და სხვა უცხოურ ქალაქებში სწავლამიღებულმა მკვლევარებ-

მა და ის ქარდუნია ჩვენი ქვეყანის სახელია ძვ. წ.-ით მეორე ათასწლეულში. ჯანაშვილმა წიგნი „საქართველოს ისტორია უუძველესი დროიდან“ დაიწყო აია /კოლხეთი სამეფოს დიადი მეფე აიეტის ცხოვრებით. მეტსაც ვიტყვი, რომის უნივერსიტეტის პროფესორ მიქელე ტამარატის//მიხეილ თამარაშვილის 1910 წელს ფრანგულ ენაზე პარიზში გამოქვეყნებულ წიგნში „ლ'ეგლის ჟორჟიენ“ დიდი ადგილი დაეთმო ლურსმული დამწერლობით მოღწეული ცნობების განხილვას ჩვენი ერის შესახებ. ამდენად, მაკვირვებს შალვა ნუცუბიძის მიერ ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულის მეორე ნახევარში მოსახლე ჩვენიანების მოხსენიება „ქართველთა წინაპრებად“. ქართველთა წინაპრები კი არა, ისინი იყვნენ ქარდუნია//ქართუ - ქართველების სამეფოსა და აიაკოლხეთის სამეფოს შემქმნელები და მისი მცხოვრებლები. სამეფოს მქონე მოსახლეობას კი ტომებად ვერ მოვიხსენიებდი. ქვემოთ მოვიხმობ ჯერ კიდევ 1935-იან წლებში პარიზელი არქეოლოგის მიერ მდინარე ევფრატისა და მდინარე ტიგრის შუა წელთან აღმოჩენილ, ქვეყანა მარი-ს მეფე ზიმრი ლიმის სასახლეში მიკვლეული თიხის ფირფიტების ლურსმულით ნაწერი ტექსტების მონაცემებს, სადაც იხსენიება ქვეყანა/სამეფო კოლხეთი. მეტიც, ფირფიტები/წერილები მეფეს გაუგზავნა მისმა ხელქვეითმა ჯაშუშმა მოხელემ გაგზავნილმა კოლხეთში ძველი წელთაღრიცხვით 2000-იან წლებში.

ტოპონიმი კულხითი/კოლხითი ანუ კოლხეთი 2000 წელს ლურსმული დამწერლობით შესრულებულ ტექსტებში ევფრატის შუაწელზე 1940-იან წლებში აღმოჩენილ არქივში

ჩვენი მრავალათასწლოვანი სახელმწიფო ოთხი ათასი წლის წინათ წერილობით იხსენიებოდა არა დღევანდელი სახელწოდებით - საქართველო, არამედ, იხსენიებოდა სხვა

სახელწოდებებით, რომელთაგან, ჩვენთვის ყველაზე საპატიოა სახელწოდებები აია და კოლხეთი. უმთავრესად ამ სახელე-
ბით იცნობდა ჩვენს ძველთაძველ სახელმწიფოს ძველი სამ-
ყარო. აიას შესახებ პროფესორი მოსე ჯანაშვილი წერდა,
რომ აია იყო ჩვენი სახელმწიფოს სახელი, თუმცა, იმავე
დროს, ჩვენი სახელმწიფო აია-ს დედაქალაქსაც ეწოდებოდა
აია. ასე ძველ დროშიც ხდებოდა ზოგიერთ სახელმწიფოში
და ამჟამინდელ ზოგ სახელმწიფოშიც ხდება. ვოცნებობ ჩვენი
სახელმწიფოს სახელწოდებად აიაკოლხეთის აღდგენაზე,
რადგან ეს სახელწოდება უფრო ძველია, ვიდრე ამჟამინდელი
სახელწოდებები: საქართველო, გეორგია, გურჯისტან, გრუ-
ზია, რომელნიც ძველთაძველ ტექსტებში და რუკებზე არ აი-
სახა, რაც საერთაშორისო საზოგადოებების თანამშრომლებს
ხელს უშლის ჩვენი ეთნოსისათვის სასიცოცხლოდ აუცილე-
ბელი სწორი დადგენილებების ჩამოყალიბებაში. ამჟამად ქარ-
თულ-ქართველურ სამეცნიერო ლიტერატურაში ჩასართავად
შემომამქვს პარიზში 1948 წელს დაბეჭდილი ლურსმულით
ნაწერი აქადური ნაწერების ცნობები კოლხეთზე, რომლებიც
ახლახან მოვიძიე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში. ეს
ცნობები აქამდე არ ასახულა ქართულენოვან ან საქართვე-
ლოს რესპუბლიკაში გამოქვეყნებულ შრომებში ან ჩემთვის
ხელმისაწვდომ საქართველოში არსებული არქივების მასალე-
ბში, რამდენადაც შევძელი დამედგინა დარგის სპეციალისტებ-
თან - პროფესორ-მასწავლებლებთან და თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტის სათანადო დარგის სტუდენტებთან
გასაუბრებით.

კვლევის მეთოდები

კვლევის დაგეგმვისას შეძლებისამებრ სრულად მოვიძიე,
წავიკითხე, გავაანალიზე მთავარ თემასთან დაკავშირებული
სამეცნიერო ლიტერატურა ქართულ, ინგლისურ, რუსულ,

ფრანგულ, იტალიურ ენაზე. შევარჩიე ყველაზე აუცილებელი ნაბეჭდი და საარქივო მასალა. თბილისში არ არსებული ზოგი ცნობა მოვიძიე უცხოელ მკვლევრებთან ინტერნეტის საშუალებით დაკავშირებისა და მათგან ლურსმულით ნაწერი ტექსტების ფოტოასლების, განმარტებებისა და დაზუსტებების მიღების საფუძველზე. დარგის სპეციალისტებთან სიღრმისეული გამოკითხვა ჩავატარე. მიღებული ჩემი დასკვნები და ვარაუდები გავაცანი დარგის სპეციალისტების შეძლებისდაგვარად ფართო წრეს თბილისში. გავითვალისწინე მათი მოსაზრებები ამ თემის მომზადებისას.

კვლევის ძირითადი ნაწილი

მდინარე ევფრატს ძველად პურანუნუს უწოდებდნენ. მის შუა წელზე იყო ქალაქი, სახელად მარი. მისი მეფის, სახელად ზიმრი-ლიმის სასახლე მხოლოდ 1935 წელს გამოძიებულა პარიზელი არქეოლოგის - ანდრე პარროს ძალიან სხმევით. მან აღმოაჩინა ამ მეფის არქივი. მისი ნაწილი იკვლიეს, გადაწერეს ლურსმული დამწერლობითვე ა. პარრომ და მისმა თანამშრომლებმა და გამოაქვეყნეს ტომებად. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორობისას პროფესორ გრიგოლ/კუკური გიორგაძეს ჰქონია მესამე ტომი და თავის სხვა წიგნებთან ერთად უსახსოვრია ლურსმული დამწერლობის კვლევის კაბინეტისათვის; მდებარეობს უნივერსიტეტის მეხუთე კორპუსის პირველ სართულზე. ის წიგნი რამდენჯერმე გადავათვალიერე, მაგრამ ვერ წავიკითხე, თუ რა ეწერა ლურსმული დამწერლობით ალბეჭდილ, დანომრილ თიხის ფირფიტებზე.

2007 წელს წავიკითხე თბილისში მდებარე ე. წ. საჯარო ბიბლიოთეკაში გერმანიაში 1992 წელს გამოქვეყნებული ჟურნალი. ყურადღება მივაპყარი სიტყვა კულუხითუმ-ის

მოხსენიებას ვოლფრამ ჰერბერტ ვან სოლდტიის სტატიაში. წერილით ვთხოვე დამატებითი ცნობების მოწოდება. მაცნობა, რომ კულხითუმ იხსენიება ქალაქ მარი-ში აღმოჩენილ ლურსმულით ნაწერ სამ ტექსტში და მათი ნომრები დამისახელა. იმ ნომრებით მივაკვლიე ტექსტების ფოტოებს სწორედ იმ ერთადერთ ტომში, რომელიც ჰქონია გ. ვიორგაძეს უნივერსიტეტის ხსენებულ ოთახში. გავარკვიე, რომ სამივე ტექსტში ნამდვილად წერია სიტყვა კულხითუმ და რომ ის არის ქვეყანა, ლურსმულით წერია სიტყვა ქი, სწორედ ქვეყანას ნიშნავდა იმ ძველ დროში და ახლაც ქვეყანას ნიშნავს ქართველურში, კერძოდ, მარგალურში/მეგრულში, ანუ შენარჩუნებულია მნიშვნელობა. საყოველთაოდ ცნობილია დარგის სპეციალისტების წრეში და სტუდენტებს ასწავლიან, რომ ლურსმული დამწერლობით ბგერა უ ითავსებდა როგორც ბგერა უ-ს, ისე ბგერა ო-ს თვისებას. ამდენად, მაქვს საფუძველი ვივარაუდო, რომ სიტყვა შეგვიძლია წავიკითხოთ კოლხითუმ სახით. წერია როგორც ამ სახით, ასევე კულხითიმ/კოლხითიმ სახითაც. შემდგომში ჩამოშორდა სიტყვებს ბოლო ბგერა მ და დარჩა კულხითიმ//კოლხითი. დარჩენილი სახით - კოლხითი - აშკარაა მსგავსება იმ სიტყვასთან, რომელიც ჩვენი ეთნოსის მიერ დაარსებული სამეფოს ერთ-ერთი სახელწოდებაა - კერძოდ, კოლხეთი. ვხედავთ, რომ ამჟამინდელ ჩვენს ყოფაში შევინარჩუნეთ ლურსმულით აღბეჭდილი ძველი სახელწოდება ძველი ფორმით - კოლხითიმ//კოლხეთი, მაგრამ მხოლოდ ძველი კოლხეთის ერთი მცირე ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც მდებარეობს კოლხეთის ზღვის (ასე იხსენიებდა მას სტრაბონი//სტრაბონი პირველ საუკუნეში შედგენილ მსოფლიოს აღწერაში, რომელსაც გეოგრაფიკა უწოდა. კოლხეთის ზღვად//თალასსა კოლხიკედ ამჟამად ქალაქებთან: ნოვოროსსიისკი, სოჭი, ცხუმი//სოხუმი, ბათუმი,

ტრაპიზონი, სინოპი - მიმდებარე ზღვის სივრცეს მოიაზრებდა. აღსადგენია ამ ნაწილის ეს სახელწოდება – კოლხეთის//აიაკოლხეთის ზღვა. მოსაწონი არ არის მისი მოხსენიება შავ ზღვად. ზოგადად შავი არ არის, არამედ, გამჭვირვალეა და მოლურჯოა. ქარიშხალისას კი ყოველი ზღვა შავია და არა მარტო ეს ზღვა. ძვ. წ.-ით 2000-იან წლებში ელლინები// ჰელენები არ არსებობდნენ და მათ ენაში ამიტომ ვერ აისახა ძველთაძველი სახელწოდება, სიტყვა კულხითუმ/კოლხითუმ ამ სახით.

ახლახან ხელახლა დავინტერესდი ამ თემით. ამჯერად მივწერე ლეიდენის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯეკ სასსონს და კალიფორნიის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორს ჯორჯო ბურჩელატის. შევატყობინე, რომ თბილისში მხოლოდ მესამე ტომია, ვთხოვე მარის არქივის მეექვსე ტომში დაბეჭდილი ტექსტის ასლის გადაღება და გამოგზავნა, რომელშიც სიტყვა კულხითიმ იხსენიება. შემპირდნენ. პროფ. ჯ. ბურჩელატტი დიდად დაინტერესდა. მომწერა, რომ აშშ-ის იმ ქალაქში, ბოსტონში, სადაც ცხოვრობს, არქივზ როიალზ დე მარი - სერიის მეექვსე ტომი არ იყო და თავის თანაშემწეს დაავალა გამოეწერა აშშ-ის სხვა ქალაქიდან. ივლისი იყო, უნივერსიტეტებში საქმიანობა შენელებული იყო შვებულებების, არდადეგების გამო და ამიტომ თვენახევარი გავიდა, ვიდრე მეექვსე ტომს მიიღებდა სხვა ქალაქის ბიბლიოთეკიდან. გადაიღო ხსენებული თიხის ფირფიტის ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ასლი და გამომიგზავნა ელ-წერილით. ჩემდა გასაკვირად, თვითონაც იმ დღეებში ჩამობრძანდა თბილისში მეუღლითურთ, რომელიც ამ დარგში გამოჩენილი, აღიარებული არქეოლოგია. ორიოდ დღე დაჰყვეს თბილისში. მონახულეს ჩვენს რესპუბლიკაში მდებარე ქალაქ გორისა და ქალაქ კასპის შუა მდებარე არ-

ქელოგიური გათხრების ადგილი სახელწოდებით გრაკლიანი. იქ ორიოდე წლის წინათ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ვახტანგ ლიჩელმა სტუდენტებთან ერთად გათხრები ჩაატარა. გამოავლინეს ძველი წელთაღრიცხვით მეთვრამეტე-მეთერთმეტე საუკუნის არქეოლოგიური ნივთები: თიხის რამდენიმე ქოთანის, ღუმელი წმინდა პურის გამოსაცხობად, საკურთხეველი. რაც მთავარია, საკურთხეველთან გამოჩნდა წარწერა. მისი ამოკითხვა სცადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცენტრის „აზროვნება, ლოგიკა, ენა“ ხელმძღვანელმა, ფაზისის ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმა, ბატონმა გია კვაშილავამ და ამ საკითხზე ნაშრომი გამოაქვეყნა. ზემოხსენებული ოთხი თიხაზე ნაკვეთი ტექსტის გარდა კიდევ ყოფილა თიხაზე აღბეჭდილი სხვა ტექსტები, რომლებშიც კოლხითი იხსენიება, რაც კიდევ სხვა მკვლევარების სხვა პუბლიკაციებით შევიტყვე ინტერნეტის სისტემის მოშველიებით. ლურსმული დამწერლობით აღბეჭდილი ზემოხსენებული ტექსტები, რომლებშიც გეოგრაფიული სახელი კოლხეთი იხსენიება, ვრცელია. ითარგმნა ფრანგულ და ინგლისურ ენაზე. თარგმანები ჯერ-ჯერობით ჩემთვის ხელმიუწვდომელია, თბილისში ბიბლიოთეკებში ვერ მოვიძიე, ამიტომ ისევ უცხოეთის ცენტრებთან შეხმძიანება მომიწევს მათი შინაარსის გასაცნობად, მეცნიერულად დასამუშავებლად, ქართულ ენაზე სათარგმნად და თბილისში გამოაქვეყნებლად. ვაგრძელებ ამ თემაზე მუშაობას. ამ წერილს/სტატიას სხვა ცნობებითაც გავამდიდრებ და შემდგომშიც უფრო ვრცელი სახით შემოგთავაზებთ.

კვლევის შედეგები

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის მეხუთე შენობის 120-ე ოთახში შემონახულმა ზემოხ-

სენებულმა ერთმა პარიზში დაბეჭდილმა წიგნმა, კერძოდ, ქალაქ მარის მეფის არქივის მესამე ტომმა, რომელიც ჰქონია გ. გიორგაძეს უნივერსიტეტის ხსენებულ ოთახში, როგორც ვნახეთ, ძვირფასი ცნობები შემოგვინახა ქვეყანა კოლხეთის შესახებ. ამ ცნობების შესახებ თვითონ პროფ. გრიგოლ გიორგაძეს არაფერი გამოუქვეყნებია, რამდენადაც შევძელი დამედგინა მისი მაშინდელი სტუდენტების, მოწაფეების, ამჟამად, უკვე პროფესორების, გამოკითხვით. აქვე ვიტყვი, რომ მდინარე პურანუნუს ნაწილის, ახლანდელი სახელით თუ ვიტყვით, მდინარე ხაბურის მარჯვენა ნაპირზე, არსებობს საყურადღებო არქეოლოგიური ძველთაძველი კერა, რომელსაც ძველი სახელით იხსენიებენ კახათ-ად, ახალი სახელით კითელ-ბრაქად. კახათი ყოფილა სამეფო ძველი წელთაღრიცხვით მეორე ათასწლეულში, ისე როგორც კოლხეთი და ქარდუ//ქარდუნია// კარდუნია. მეორე ათასწლეულში არსებული აყვავებული ვრცელი სამეფოს, სახელად, კარდუ//კარდუნიას შესახებ არქეოლოგიური მასალის გამოვლენის შედეგები ფრანგული და რუსულენოვანი სხვა მკვლევარების ნაშრომების საფუძველზე ქართულ მკვლევართაგან პირველად იკვლია ტფილისის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორმა მოსე გიორგის ძე ჯანაშვილმა. გამოაქვეყნა თავის წიგნში 1906 წელს ქართულ ენაზე. წიგნს უწოდა „საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან“. ყდაზე მიაბეჭდა, რომ წიგნს ახლავს ოთხი რუკა. ამ წიგნის ერთ-ერთი ცალი, რომელიც პროფ. ივანე ჯავახიშვილს აჩუქა და ივანე ჯავახიშვილის არქივშია დაუნჯებული ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში თბილისში, მოსე ჯანაშვილის ხელით ფურცელზე არის დახატული რუკა, რომელზეც მდინარე პურანუნუს//ეფვრატის მთელს აუზში ანუ მთელს მესოპოტამიაში აღბეჭდილია სამეფო, სახელად, კარდუნია//ქარდუნია ანუ

კარდუ//ქართუ ანუ სა-ქართუ-ელო. მოსე ჯანაშვილის ეს სა-
ყურადღებო ცნობები მივიწყებულია, უყურადღებოდ არის
მიტოვებული და არ არის ჩართული 1934 წელს მისი გარ-
დაცვალების შემდეგ დაბეჭდილ საქართველოს წარსულის
ამსახველ სხვა მკვლევართა ნაშრომებში. მოსე ჯანაშვილი
თბილისში, მთაწმინდაზე არსებულ, საზოგადო მოღვაწეთა
განსასვენებელში//პანთეონში//სასაფლაოზე არის დაკრძალუ-
ლი ვაჟა ფშაველას//ლუკა რაზიკაშვილის უკან, იოსებ ჯუ-
ღაშვილის დედის, ეკატერინე გელაძე-ჯუღაშვილისას მახ-
ლობლად.

კვლევის დასკვნები

კვლევით წარმოჩინდა შემდეგი: ჩვენი ქვეყნის ყველაზე
საპატიო სახელწოდება კოლხეთი წერილობით აღბეჭდილი
ყოფილა გაცილებით ადრე, ვიდრე ეს ისწავლება ჩვენი რეს-
პუბლიკის საშუალო სკოლებში და უმაღლეს სასწავლებლებ-
ში და ისტორიის თემებზე შექმნილ წიგნებში, სტატიებში,
სატელევიზიო და ვიდეო გადაცემებში, სამოყვარულო დოკუ-
მენტურ ფილმებში. მკვლევრები ეყრდნობიან დრო-ჟამის ორ-
გვარ აღრიცხვას ზემოხსენებული ლურსმული ნაწერების და-
თარიღებისას. ერთი ჯგუფის თვალსაზრისით, ზიმრილიმ მე-
ფის, ჰამურაბ მეფის დრო უნდა დათარიღდეს ძვ. წ.-ით
2000-იანი წლებით. იმ დროს დაიწერა ამ სტატიაში მოხმო-
ბილი ოთხი ლურსმულით ნაწერი ტექსტი. მკვლევართა მეო-
რე ჯგუფის თვალსაზრისით, ზიმრი ლიმი და ჰამურაბი მე-
ფობდნენ 1760-იან წლებში. სათაურში ეს ორივე თარიღი
გამოვიტანე. მკითხველებისათვის აუცილებლად მიმაჩნია ფა-
ზისის აკადემიის აკადემიკოსის, ბატონ გია კვაშილაგას ნაშ-
რომის წაკითხვა თემაზე: აია, აიაია, კოლხეთი. ის წასაკით-
ხად ხელმისაწვდომია ინტერნეტის საშუალებითაც და გამოქ-

ვეყნდა 2015 წელს ჟურნალში ქართველოლოგია, ნომერი ოთხი - ილიას უნივერსიტეტში, თბილისში.

აუცილებელია ამ ცნობების ჩართვა საინფორმაციო სა-შუალებებში მომუშავე პირთა მიერ შექმნილ ნაწარმოებებში, პირველ რიგში კი - სასკოლო სახელმძღვანელოებში.

დამოწმებანი:

1. Archives Royales De Mari, Volume III, tablets No. 61, 66 and 83. Paris. Edited by Cooper F. G., 1948.
2. Wolfram Herbert Van Soldt. On old Babylonian *lu ittum*. Zeitschrift fur Assyriology und Vortasianische Archaeology, 1992, Vol. 82, No. 1, 60-87.
3. Wolfram Herbert Van Soldt. Information on which tablets in Archives Royales de Mari, Paris, 1948, Volume III the name of the country called Kulhitim//Kulhiti is mentioned. Personal communication. E-mail dated June 3, 2017. From Vienna to Tbilisi.
4. Giorgio Buccelatti. Personal communication concerning Archives Royales de Mari. Volume VI. Text where Kulhiti in cuneiform text is mentioned. E-mail dated July 12, 2017, from Boston to Tbilisi.
5. Neli Zigler and Anne-Babale Langlois. Les toponyms paleo-babyloniennes de la Haute-Mesopotamie. Paris. 1996.
6. ნუცუბიძე შალვა, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი, 1956.


Natela Popkhadze

Phassis National Academy


**ACAD. SHALVA NUTSUBIDZE'S VIEWPOINT AND
IMPORTANCE OF THE CUNEIFORM TEXTS
WRITTEN IN 2000-IES BCE MENTIONING THE AREA
CALLED KOLKHETI
RESUME**

The famous great river Euphrates was called Puranunu in ancient times. At the middle of this great river was a great city called Mari. The ruins were covered with earth and dust and Prof. Andree Parrot was an archaeologist from Paris that excavated the site, revealed the cuneiform texts of documents kept in the palace of king Zimri-Lim. My attention was aroused to those tablets after I read in 2007 one paper of Prof. Wolfram Herbert Van Soldt mentioning the name of one of the countries/ kingdoms known in 1760 BCE as Kulhitum/Kulhitim on clay tablets - in a journal published in Germany in 1992. Prof. W. H. van Soldt, Prof. Jack Sassoon and Prof. Georgio Buccelatti have been helpful to me in supplying precise information on where the texts where the name of the country Kulhitum//Kulhiti /Kolkheti might be found to be read in the cuneiform script. There is only one volume of the series Archives Royales de Mari in Tbilisi and happily it is volume III where Kulhitim is mentioned on three tablets. This volume was the property of Prof. Grigol/Kukuri Giorgadze. He taught Sumerian language and literature to students at the Tbilisi State University established in 1918. These are preliminary data for my future investigation and publication that will follow after I analyze publications of several modern scholars, those that have mentioned Kulhitim in tablets made in II millennium BCE in their publications.


სურათი 1. კოლხეთიდან მარის მეფე ზიმრილიმისადმი მისი ჯაშუშის მიერ გაგზავნილი წერილი. თიხის ფირფიტის აქადური ტექსტი № 61. არქივზ როიალ დე მარი სერიის მესამე ტომი.




სურათი 2. აქადური ტექსტის ლათინური ასოებით გადმოღებული ნიმუში არქივზ როიალ დე მარი სერიის ტომი 6, წარწერა №76. სიტყვები კულხითიმ ქი //კულხითი ქვეყანა გამუქებულია.



სურათი 3. კულხითუმ ძველი ჩრდილო-მესოპოტამიის ტოპონიმის // ადგილების სახელების კრებულში



სურათი 4. ძველი ჩრდილო-მესოპოტამიის ადგილების სახელწოდებების კრებულის ყდა. წიგნში სიაშია კულხითუმ.



სურათი 5. ძველი მესოპოტამია. პროფ. ნიკოლას პოსტგეიტის 1963 წელს შედგენილი რუკა. ოქსფორდის გამოცემა. კედელზეა თსუ-ს 5-ე შენობის 120 ოთახში გაკრული. ქარდუნია სამეფოში მდებარეობდა ქალაქი ბაბილ//ბაბილონ. იქვე იწყებოდა კოლხეთი.



eulo ita obruto, nec uti arietes, cum in acclivis murum oppugnasset, ¹⁷⁷ ¹⁷⁸ ¹⁷⁹ ¹⁸⁰ ¹⁸¹ ¹⁸² ¹⁸³ ¹⁸⁴ ¹⁸⁵ ¹⁸⁶ ¹⁸⁷ ¹⁸⁸ ¹⁸⁹ ¹⁹⁰ ¹⁹¹ ¹⁹² ¹⁹³ ¹⁹⁴ ¹⁹⁵ ¹⁹⁶ ¹⁹⁷ ¹⁹⁸ ¹⁹⁹ ²⁰⁰ ²⁰¹ ²⁰² ²⁰³ ²⁰⁴ ²⁰⁵ ²⁰⁶ ²⁰⁷ ²⁰⁸ ²⁰⁹ ²¹⁰ ²¹¹ ²¹² ²¹³ ²¹⁴ ²¹⁵ ²¹⁶ ²¹⁷ ²¹⁸ ²¹⁹ ²²⁰ ²²¹ ²²² ²²³ ²²⁴ ²²⁵ ²²⁶ ²²⁷ ²²⁸ ²²⁹ ²³⁰ ²³¹ ²³² ²³³ ²³⁴ ²³⁵ ²³⁶ ²³⁷ ²³⁸ ²³⁹ ²⁴⁰ ²⁴¹ ²⁴² ²⁴³ ²⁴⁴ ²⁴⁵ ²⁴⁶ ²⁴⁷ ²⁴⁸ ²⁴⁹ ²⁵⁰ ²⁵¹ ²⁵² ²⁵³ ²⁵⁴ ²⁵⁵ ²⁵⁶ ²⁵⁷ ²⁵⁸ ²⁵⁹ ²⁶⁰ ²⁶¹ ²⁶² ²⁶³ ²⁶⁴ ²⁶⁵ ²⁶⁶ ²⁶⁷ ²⁶⁸ ²⁶⁹ ²⁷⁰ ²⁷¹ ²⁷² ²⁷³ ²⁷⁴ ²⁷⁵ ²⁷⁶ ²⁷⁷ ²⁷⁸ ²⁷⁹ ²⁸⁰ ²⁸¹ ²⁸² ²⁸³ ²⁸⁴ ²⁸⁵ ²⁸⁶ ²⁸⁷ ²⁸⁸ ²⁸⁹ ²⁹⁰ ²⁹¹ ²⁹² ²⁹³ ²⁹⁴ ²⁹⁵ ²⁹⁶ ²⁹⁷ ²⁹⁸ ²⁹⁹ ³⁰⁰ ³⁰¹ ³⁰² ³⁰³ ³⁰⁴ ³⁰⁵ ³⁰⁶ ³⁰⁷ ³⁰⁸ ³⁰⁹ ³¹⁰ ³¹¹ ³¹² ³¹³ ³¹⁴ ³¹⁵ ³¹⁶ ³¹⁷ ³¹⁸ ³¹⁹ ³²⁰ ³²¹ ³²² ³²³ ³²⁴ ³²⁵ ³²⁶ ³²⁷ ³²⁸ ³²⁹ ³³⁰ ³³¹ ³³² ³³³ ³³⁴ ³³⁵ ³³⁶ ³³⁷ ³³⁸ ³³⁹ ³⁴⁰ ³⁴¹ ³⁴² ³⁴³ ³⁴⁴ ³⁴⁵ ³⁴⁶ ³⁴⁷ ³⁴⁸ ³⁴⁹ ³⁵⁰ ³⁵¹ ³⁵² ³⁵³ ³⁵⁴ ³⁵⁵ ³⁵⁶ ³⁵⁷ ³⁵⁸ ³⁵⁹ ³⁶⁰ ³⁶¹ ³⁶² ³⁶³ ³⁶⁴ ³⁶⁵ ³⁶⁶ ³⁶⁷ ³⁶⁸ ³⁶⁹ ³⁷⁰ ³⁷¹ ³⁷² ³⁷³ ³⁷⁴ ³⁷⁵ ³⁷⁶ ³⁷⁷ ³⁷⁸ ³⁷⁹ ³⁸⁰ ³⁸¹ ³⁸² ³⁸³ ³⁸⁴ ³⁸⁵ ³⁸⁶ ³⁸⁷ ³⁸⁸ ³⁸⁹ ³⁹⁰ ³⁹¹ ³⁹² ³⁹³ ³⁹⁴ ³⁹⁵ ³⁹⁶ ³⁹⁷ ³⁹⁸ ³⁹⁹ ⁴⁰⁰ ⁴⁰¹ ⁴⁰² ⁴⁰³ ⁴⁰⁴ ⁴⁰⁵ ⁴⁰⁶ ⁴⁰⁷ ⁴⁰⁸ ⁴⁰⁹ ⁴¹⁰ ⁴¹¹ ⁴¹² ⁴¹³ ⁴¹⁴ ⁴¹⁵ ⁴¹⁶ ⁴¹⁷ ⁴¹⁸ ⁴¹⁹ ⁴²⁰ ⁴²¹ ⁴²² ⁴²³ ⁴²⁴ ⁴²⁵ ⁴²⁶ ⁴²⁷ ⁴²⁸ ⁴²⁹ ⁴³⁰ ⁴³¹ ⁴³² ⁴³³ ⁴³⁴ ⁴³⁵ ⁴³⁶ ⁴³⁷ ⁴³⁸ ⁴³⁹ ⁴⁴⁰ ⁴⁴¹ ⁴⁴² ⁴⁴³ ⁴⁴⁴ ⁴⁴⁵ ⁴⁴⁶ ⁴⁴⁷ ⁴⁴⁸ ⁴⁴⁹ ⁴⁵⁰ ⁴⁵¹ ⁴⁵² ⁴⁵³ ⁴⁵⁴ ⁴⁵⁵ ⁴⁵⁶ ⁴⁵⁷ ⁴⁵⁸ ⁴⁵⁹ ⁴⁶⁰ ⁴⁶¹ ⁴⁶² ⁴⁶³ ⁴⁶⁴ ⁴⁶⁵ ⁴⁶⁶ ⁴⁶⁷ ⁴⁶⁸ ⁴⁶⁹ ⁴⁷⁰ ⁴⁷¹ ⁴⁷² ⁴⁷³ ⁴⁷⁴ ⁴⁷⁵ ⁴⁷⁶ ⁴⁷⁷ ⁴⁷⁸ ⁴⁷⁹ ⁴⁸⁰ ⁴⁸¹ ⁴⁸² ⁴⁸³ ⁴⁸⁴ ⁴⁸⁵ ⁴⁸⁶ ⁴⁸⁷ ⁴⁸⁸ ⁴⁸⁹ ⁴⁹⁰ ⁴⁹¹ ⁴⁹² ⁴⁹³ ⁴⁹⁴ ⁴⁹⁵ ⁴⁹⁶ ⁴⁹⁷ ⁴⁹⁸ ⁴⁹⁹ ⁵⁰⁰ ⁵⁰¹ ⁵⁰² ⁵⁰³ ⁵⁰⁴ ⁵⁰⁵ ⁵⁰⁶ ⁵⁰⁷ ⁵⁰⁸ ⁵⁰⁹ ⁵¹⁰ ⁵¹¹ ⁵¹² ⁵¹³ ⁵¹⁴ ⁵¹⁵ ⁵¹⁶ ⁵¹⁷ ⁵¹⁸ ⁵¹⁹ ⁵²⁰ ⁵²¹ ⁵²² ⁵²³ ⁵²⁴ ⁵²⁵ ⁵²⁶ ⁵²⁷ ⁵²⁸ ⁵²⁹ ⁵³⁰ ⁵³¹ ⁵³² ⁵³³ ⁵³⁴ ⁵³⁵ ⁵³⁶ ⁵³⁷ ⁵³⁸ ⁵³⁹ ⁵⁴⁰ ⁵⁴¹ ⁵⁴² ⁵⁴³ ⁵⁴⁴ ⁵⁴⁵ ⁵⁴⁶ ⁵⁴⁷ ⁵⁴⁸ ⁵⁴⁹ ⁵⁵⁰ ⁵⁵¹ ⁵⁵² ⁵⁵³ ⁵⁵⁴ ⁵⁵⁵ ⁵⁵⁶ ⁵⁵⁷ ⁵⁵⁸ ⁵⁵⁹ ⁵⁶⁰ ⁵⁶¹ ⁵⁶² ⁵⁶³ ⁵⁶⁴ ⁵⁶⁵ ⁵⁶⁶ ⁵⁶⁷ ⁵⁶⁸ ⁵⁶⁹ ⁵⁷⁰ ⁵⁷¹ ⁵⁷² ⁵⁷³ ⁵⁷⁴ ⁵⁷⁵ ⁵⁷⁶ ⁵⁷⁷ ⁵⁷⁸ ⁵⁷⁹ ⁵⁸⁰ ⁵⁸¹ ⁵⁸² ⁵⁸³ ⁵⁸⁴ ⁵⁸⁵ ⁵⁸⁶ ⁵⁸⁷ ⁵⁸⁸ ⁵⁸⁹ ⁵⁹⁰ ⁵⁹¹ ⁵⁹² ⁵⁹³ ⁵⁹⁴ ⁵⁹⁵ ⁵⁹⁶ ⁵⁹⁷ ⁵⁹⁸ ⁵⁹⁹ ⁶⁰⁰ ⁶⁰¹ ⁶⁰² ⁶⁰³ ⁶⁰⁴ ⁶⁰⁵ ⁶⁰⁶ ⁶⁰⁷ ⁶⁰⁸ ⁶⁰⁹ ⁶¹⁰ ⁶¹¹ ⁶¹² ⁶¹³ ⁶¹⁴ ⁶¹⁵ ⁶¹⁶ ⁶¹⁷ ⁶¹⁸ ⁶¹⁹ ⁶²⁰ ⁶²¹ ⁶²² ⁶²³ ⁶²⁴ ⁶²⁵ ⁶²⁶ ⁶²⁷ ⁶²⁸ ⁶²⁹ ⁶³⁰ ⁶³¹ ⁶³² ⁶³³ ⁶³⁴ ⁶³⁵ ⁶³⁶ ⁶³⁷ ⁶³⁸ ⁶³⁹ ⁶⁴⁰ ⁶⁴¹ ⁶⁴² ⁶⁴³ ⁶⁴⁴ ⁶⁴⁵ ⁶⁴⁶ ⁶⁴⁷ ⁶⁴⁸ ⁶⁴⁹ ⁶⁵⁰ ⁶⁵¹ ⁶⁵² ⁶⁵³ ⁶⁵⁴ ⁶⁵⁵ ⁶⁵⁶ ⁶⁵⁷ ⁶⁵⁸ ⁶⁵⁹ ⁶⁶⁰ ⁶⁶¹ ⁶⁶² ⁶⁶³ ⁶⁶⁴ ⁶⁶⁵ ⁶⁶⁶ ⁶⁶⁷ ⁶⁶⁸ ⁶⁶⁹ ⁶⁷⁰ ⁶⁷¹ ⁶⁷² ⁶⁷³ ⁶⁷⁴ ⁶⁷⁵ ⁶⁷⁶ ⁶⁷⁷ ⁶⁷⁸ ⁶⁷⁹ ⁶⁸⁰ ⁶⁸¹ ⁶⁸² ⁶⁸³ ⁶⁸⁴ ⁶⁸⁵ ⁶⁸⁶ ⁶⁸⁷ ⁶⁸⁸ ⁶⁸⁹ ⁶⁹⁰ ⁶⁹¹ ⁶⁹² ⁶⁹³ ⁶⁹⁴ ⁶⁹⁵ ⁶⁹⁶ ⁶⁹⁷ ⁶⁹⁸ ⁶⁹⁹ ⁷⁰⁰ ⁷⁰¹ ⁷⁰² ⁷⁰³ ⁷⁰⁴ ⁷⁰⁵ ⁷⁰⁶ ⁷⁰⁷ ⁷⁰⁸ ⁷⁰⁹ ⁷¹⁰ ⁷¹¹ ⁷¹² ⁷¹³ ⁷¹⁴ ⁷¹⁵ ⁷¹⁶ ⁷¹⁷ ⁷¹⁸ ⁷¹⁹ ⁷²⁰ ⁷²¹ ⁷²² ⁷²³ ⁷²⁴ ⁷²⁵ ⁷²⁶ ⁷²⁷ ⁷²⁸ ⁷²⁹ ⁷³⁰ ⁷³¹ ⁷³² ⁷³³ ⁷³⁴ ⁷³⁵ ⁷³⁶ ⁷³⁷ ⁷³⁸ ⁷³⁹ ⁷⁴⁰ ⁷⁴¹ ⁷⁴² ⁷⁴³ ⁷⁴⁴ ⁷⁴⁵ ⁷⁴⁶ ⁷⁴⁷ ⁷⁴⁸ ⁷⁴⁹ ⁷⁵⁰ ⁷⁵¹ ⁷⁵² ⁷⁵³ ⁷⁵⁴ ⁷⁵⁵ ⁷⁵⁶ ⁷⁵⁷ ⁷⁵⁸ ⁷⁵⁹ ⁷⁶⁰ ⁷⁶¹ ⁷⁶² ⁷⁶³ ⁷⁶⁴ ⁷⁶⁵ ⁷⁶⁶ ⁷⁶⁷ ⁷⁶⁸ ⁷⁶⁹ ⁷⁷⁰ ⁷⁷¹ ⁷⁷² ⁷⁷³ ⁷⁷⁴ ⁷⁷⁵ ⁷⁷⁶ ⁷⁷⁷ ⁷⁷⁸ ⁷⁷⁹ ⁷⁸⁰ ⁷⁸¹ ⁷⁸² ⁷⁸³ ⁷⁸⁴ ⁷⁸⁵ ⁷⁸⁶ ⁷⁸⁷ ⁷⁸⁸ ⁷⁸⁹ ⁷⁹⁰ ⁷⁹¹ ⁷⁹² ⁷⁹³ ⁷⁹⁴ ⁷⁹⁵ ⁷⁹⁶ ⁷⁹⁷ ⁷⁹⁸ ⁷⁹⁹ ⁸⁰⁰ ⁸⁰¹ ⁸⁰² ⁸⁰³ ⁸⁰⁴ ⁸⁰⁵ ⁸⁰⁶ ⁸⁰⁷ ⁸⁰⁸ ⁸⁰⁹ ⁸¹⁰ ⁸¹¹ ⁸¹² ⁸¹³ ⁸¹⁴ ⁸¹⁵ ⁸¹⁶ ⁸¹⁷ ⁸¹⁸ ⁸¹⁹ ⁸²⁰ ⁸²¹ ⁸²² ⁸²³ ⁸²⁴ ⁸²⁵ ⁸²⁶ ⁸²⁷ ⁸²⁸ ⁸²⁹ ⁸³⁰ ⁸³¹ ⁸³² ⁸³³ ⁸³⁴ ⁸³⁵ ⁸³⁶ ⁸³⁷ ⁸³⁸ ⁸³⁹ ⁸⁴⁰ ⁸⁴¹ ⁸⁴² ⁸⁴³ ⁸⁴⁴ ⁸⁴⁵ ⁸⁴⁶ ⁸⁴⁷ ⁸⁴⁸ ⁸⁴⁹ ⁸⁵⁰ ⁸⁵¹ ⁸⁵² ⁸⁵³ ⁸⁵⁴ ⁸⁵⁵ ⁸⁵⁶ ⁸⁵⁷ ⁸⁵⁸ ⁸⁵⁹ ⁸⁶⁰ ⁸⁶¹ ⁸⁶² ⁸⁶³ ⁸⁶⁴ ⁸⁶⁵ ⁸⁶⁶ ⁸⁶⁷ ⁸⁶⁸ ⁸⁶⁹ ⁸⁷⁰ ⁸⁷¹ ⁸⁷² ⁸⁷³ ⁸⁷⁴ ⁸⁷⁵ ⁸⁷⁶ ⁸⁷⁷ ⁸⁷⁸ ⁸⁷⁹ ⁸⁸⁰ ⁸⁸¹ ⁸⁸² ⁸⁸³ ⁸⁸⁴ ⁸⁸⁵ ⁸⁸⁶ ⁸⁸⁷ ⁸⁸⁸ ⁸⁸⁹ ⁸⁹⁰ ⁸⁹¹ ⁸⁹² ⁸⁹³ ⁸⁹⁴ ⁸⁹⁵ ⁸⁹⁶ ⁸⁹⁷ ⁸⁹⁸ ⁸⁹⁹ ⁹⁰⁰ ⁹⁰¹ ⁹⁰² ⁹⁰³ ⁹⁰⁴ ⁹⁰⁵ ⁹⁰⁶ ⁹⁰⁷ ⁹⁰⁸ ⁹⁰⁹ ⁹¹⁰ ⁹¹¹ ⁹¹² ⁹¹³ ⁹¹⁴ ⁹¹⁵ ⁹¹⁶ ⁹¹⁷ ⁹¹⁸ ⁹¹⁹ ⁹²⁰ ⁹²¹ ⁹²² ⁹²³ ⁹²⁴ ⁹²⁵ ⁹²⁶ ⁹²⁷ ⁹²⁸ ⁹²⁹ ⁹³⁰ ⁹³¹ ⁹³² ⁹³³ ⁹³⁴ ⁹³⁵ ⁹³⁶ ⁹³⁷ ⁹³⁸ ⁹³⁹ ⁹⁴⁰ ⁹⁴¹ ⁹⁴² ⁹⁴³ ⁹⁴⁴ ⁹⁴⁵ ⁹⁴⁶ ⁹⁴⁷ ⁹⁴⁸ ⁹⁴⁹ ⁹⁵⁰ ⁹⁵¹ ⁹⁵² ⁹⁵³ ⁹⁵⁴ ⁹⁵⁵ ⁹⁵⁶ ⁹⁵⁷ ⁹⁵⁸ ⁹⁵⁹ ⁹⁶⁰ ⁹⁶¹ ⁹⁶² ⁹⁶³ ⁹⁶⁴ ⁹⁶⁵ ⁹⁶⁶ ⁹⁶⁷ ⁹⁶⁸ ⁹⁶⁹ ⁹⁷⁰ ⁹⁷¹ ⁹⁷² ⁹⁷³ ⁹⁷⁴ ⁹⁷⁵ ⁹⁷⁶ ⁹⁷⁷ ⁹⁷⁸ ⁹⁷⁹ ⁹⁸⁰ ⁹⁸¹ ⁹⁸² ⁹⁸³ ⁹⁸⁴ ⁹⁸⁵ ⁹⁸⁶ ⁹⁸⁷ ⁹⁸⁸ ⁹⁸⁹ ⁹⁹⁰ ⁹⁹¹ ⁹⁹² ⁹⁹³ ⁹⁹⁴ ⁹⁹⁵ ⁹⁹⁶ ⁹⁹⁷ ⁹⁹⁸ ⁹⁹⁹ ¹⁰⁰⁰ ¹⁰⁰¹ ¹⁰⁰² ¹⁰⁰³ ¹⁰⁰⁴ ¹⁰⁰⁵ ¹⁰⁰⁶ ¹⁰⁰⁷ ¹⁰⁰⁸ ¹⁰⁰⁹ ¹⁰¹⁰ ¹⁰¹¹ ¹⁰¹² ¹⁰¹³ ¹⁰¹⁴ ¹⁰¹⁵ ¹⁰¹⁶ ¹⁰¹⁷ ¹⁰¹⁸ ¹⁰¹⁹ ¹⁰²⁰ ¹⁰²¹ ¹⁰²² ¹⁰²³ ¹⁰²⁴ ¹⁰²⁵ ¹⁰²⁶ ¹⁰²⁷ ¹⁰²⁸ ¹⁰²⁹ ¹⁰³⁰ ¹⁰³¹ ¹⁰³² ¹⁰³³ ¹⁰³⁴ ¹⁰³⁵ ¹⁰³⁶ ¹⁰³⁷ ¹⁰³⁸ ¹⁰³⁹ ¹⁰⁴⁰ ¹⁰⁴¹ ¹⁰⁴² ¹⁰⁴³ ¹⁰⁴⁴ ¹⁰⁴⁵ ¹⁰⁴⁶ ¹⁰⁴⁷ ¹⁰⁴⁸ ¹⁰⁴⁹ ¹⁰⁵⁰ ¹⁰⁵¹ ¹⁰⁵² ¹⁰⁵³ ¹⁰⁵⁴ ¹⁰⁵⁵ ¹⁰⁵⁶ ¹⁰⁵⁷ ¹⁰⁵⁸ ¹⁰⁵⁹ ¹⁰⁶⁰ ¹⁰⁶¹ ¹⁰⁶² ¹⁰⁶³ ¹⁰⁶⁴ ¹⁰⁶⁵ ¹⁰⁶⁶ ¹⁰⁶⁷ ¹⁰⁶⁸ ¹⁰⁶⁹ ¹⁰⁷⁰ ¹⁰⁷¹ ¹⁰⁷² ¹⁰⁷³ ¹⁰⁷⁴ ¹⁰⁷⁵ ¹⁰⁷⁶ ¹⁰⁷⁷ ¹⁰⁷⁸ ¹⁰⁷⁹ ¹⁰⁸⁰ ¹⁰⁸¹ ¹⁰⁸² ¹⁰⁸³ ¹⁰⁸⁴ ¹⁰⁸⁵ ¹⁰⁸⁶ ¹⁰⁸⁷ ¹⁰⁸⁸ ¹⁰⁸⁹ ¹⁰⁹⁰ ¹⁰⁹¹ ¹⁰⁹² ¹⁰⁹³ ¹⁰⁹⁴ ¹⁰⁹⁵ ¹⁰⁹⁶ ¹⁰⁹⁷ ¹⁰⁹⁸ ¹⁰⁹⁹ ¹¹⁰⁰ ¹¹⁰¹ ¹¹⁰² ¹¹⁰³ ¹¹⁰⁴ ¹¹⁰⁵ ¹¹⁰⁶ ¹¹⁰⁷ ¹¹⁰⁸ ¹¹⁰⁹ ¹¹¹⁰ ¹¹¹¹ ¹¹¹² ¹¹¹³ ¹¹¹⁴ ¹¹¹⁵ ¹¹¹⁶ ¹¹¹⁷ ¹¹¹⁸ ¹¹¹⁹ ¹¹²⁰ ¹¹²¹ ¹¹²² ¹¹²³ ¹¹²⁴ ¹¹²⁵ ¹¹²⁶ ¹¹²⁷ ¹¹²⁸ ¹¹²⁹ ¹¹³⁰ ¹¹³¹ ¹¹³² ¹¹³³ ¹¹³⁴ ¹¹³⁵ ¹¹³⁶ ¹¹³⁷ ¹¹³⁸ ¹¹³⁹ ¹¹⁴⁰ ¹¹⁴¹ ¹¹⁴² ¹¹⁴³ ¹¹⁴⁴ ¹¹⁴⁵ ¹¹⁴⁶ ¹¹⁴⁷ ¹¹⁴⁸ ¹¹⁴⁹ ¹¹⁵⁰ ¹¹⁵¹ ¹¹⁵² ¹¹⁵³ ¹¹⁵⁴ ¹¹⁵⁵ ¹¹⁵⁶ ¹¹⁵⁷ ¹¹⁵⁸ ¹¹⁵⁹ ¹¹⁶⁰ ¹¹⁶¹ ¹¹⁶² ¹¹⁶³ ¹¹⁶⁴ ¹¹⁶⁵ ¹¹⁶⁶ ¹¹⁶⁷ ¹¹⁶⁸ ¹¹⁶⁹ ¹¹⁷⁰ ¹¹⁷¹ ¹¹⁷² ¹¹⁷³ ¹¹⁷⁴ ¹¹⁷⁵ ¹¹⁷⁶ ¹¹⁷⁷ ¹¹⁷⁸ ¹¹⁷⁹ ¹¹⁸⁰ ¹¹⁸¹ ¹¹⁸² ¹¹⁸³ ¹¹⁸⁴ ¹¹⁸⁵ ¹¹⁸⁶ ¹¹⁸⁷ ¹¹⁸⁸ ¹¹⁸⁹ ¹¹⁹⁰ ¹¹⁹¹ ¹¹⁹² ¹¹⁹³ ¹¹⁹⁴ ¹¹⁹⁵ ¹¹⁹⁶ ¹¹⁹⁷ ¹¹⁹⁸ ¹¹⁹⁹ ¹²⁰⁰ ¹²⁰¹ ¹²⁰² ¹²⁰³ ¹²⁰⁴ ¹²⁰⁵ ¹²⁰⁶ ¹²⁰⁷ ¹²⁰⁸ ¹²⁰⁹ ¹²¹⁰ ¹²¹¹ ¹²¹² ¹²¹³ ¹²¹⁴ ¹²¹⁵ ¹²¹⁶ ¹²¹⁷ ¹²¹⁸ ¹²¹⁹ ¹²²⁰ ¹²²¹ ¹²²² ¹²²³ ¹²²⁴ ¹²²⁵ ¹²²⁶ ¹²²⁷ ¹²²⁸ ¹²²⁹ ¹²³⁰ ¹²³¹ ¹²³² ¹²³³ ¹²³⁴ ¹²³⁵ ¹²³⁶ ¹²³⁷ ¹²³⁸ ¹²³⁹ ¹²⁴⁰ ¹²⁴¹ ¹²⁴² ¹²⁴³ ¹²⁴⁴ ¹²⁴⁵ ¹²⁴⁶ ¹²⁴⁷ ¹²⁴⁸ ¹²⁴⁹ ¹²⁵⁰ ¹²⁵¹ ¹²⁵² ¹²⁵³ ¹²⁵⁴ ¹²⁵⁵ ¹²⁵⁶ ¹²⁵⁷ ¹²⁵⁸ ¹²⁵⁹ ¹²⁶⁰ ¹²⁶¹ ¹²⁶² ¹²⁶³ ¹²⁶⁴ ¹²⁶⁵ ¹²⁶⁶ ¹²⁶⁷ ¹²⁶⁸ ¹²⁶⁹ ¹²⁷⁰ ¹²⁷¹ ¹²⁷² ¹²⁷³ ¹²⁷⁴ ¹²⁷⁵ ¹²⁷⁶ ¹²⁷⁷ ¹²⁷⁸ ¹²⁷⁹ ¹²⁸⁰ ¹²⁸¹ ¹²⁸² ¹²⁸³ ¹²⁸⁴ ¹²⁸⁵ ¹²⁸⁶ ¹²⁸⁷ ¹²⁸⁸ ¹²⁸⁹ ¹²⁹⁰ ¹²⁹¹ ¹²⁹² ¹²⁹³ ¹²⁹⁴ ¹²⁹⁵ ¹²⁹⁶ ¹²⁹⁷ ¹²⁹⁸ ¹²⁹⁹ ¹³⁰⁰ ¹³⁰¹ ¹³⁰² ¹³⁰³ ¹³⁰⁴ ¹³⁰⁵ ¹³⁰⁶ ¹³⁰⁷ ¹³⁰⁸ ¹³⁰⁹ ¹³¹⁰ ¹³¹¹ ¹³¹² ¹³¹³ ¹³¹⁴ ¹³¹⁵ ¹³¹⁶ ¹³¹⁷ ¹³¹⁸ ¹³¹⁹ ¹³²⁰ ¹³²¹ ¹³²² ¹³²³ ¹³²⁴ ¹³²⁵ ¹³²⁶ ¹³²⁷ ¹³²⁸ ¹³²⁹ ¹³³⁰ ¹³³¹ ¹³³² ¹³³³ ¹³³⁴ ¹³³⁵ ¹³³⁶ ¹³³⁷ ¹³³⁸ ¹³³⁹ ¹³⁴⁰ ¹³⁴¹ ¹³⁴² ¹³⁴³ ¹³⁴⁴ ¹³⁴⁵ ¹³⁴⁶ ¹³⁴⁷ ¹³⁴⁸ ¹³⁴⁹ ¹³⁵⁰ ¹³⁵¹ ¹³⁵² ¹³⁵³ ¹³⁵⁴ ¹³⁵⁵ ¹³⁵⁶ ¹³⁵⁷ ¹³⁵⁸ ¹³⁵⁹ ¹³⁶⁰ ¹³⁶¹ ¹³⁶² ¹³⁶³ ¹³⁶⁴ ¹³⁶⁵ ¹³⁶⁶ ¹³⁶⁷ ¹³⁶⁸ ¹³⁶⁹ ¹³⁷⁰ ¹³⁷¹ ¹³⁷² ¹³⁷³ ¹³⁷⁴ ¹³⁷⁵ ¹³⁷⁶ ¹³⁷⁷ ¹³⁷⁸ ¹³⁷⁹ ¹³⁸⁰ ¹³⁸¹ ¹³⁸² ¹³⁸³ ¹³⁸⁴ ¹³⁸⁵ ¹³⁸⁶ ¹³⁸⁷ ¹³⁸⁸ ¹³⁸⁹ ¹³⁹⁰ ¹³⁹¹ ¹³⁹² ¹³⁹³ ¹³⁹⁴ ¹³⁹⁵ ¹³⁹⁶ ¹³⁹⁷ ¹³⁹⁸ ¹³⁹⁹ ¹⁴⁰⁰ ¹⁴⁰¹ ¹⁴⁰² ¹⁴⁰³ ¹⁴⁰⁴ ¹⁴⁰⁵ ¹⁴⁰⁶ ¹⁴⁰⁷ ¹⁴⁰⁸ ¹⁴⁰⁹ ¹⁴¹⁰ ¹⁴¹¹ ¹⁴¹² ¹⁴¹³ ¹⁴¹⁴ ¹⁴¹⁵ ¹⁴¹⁶ ¹⁴¹⁷ ¹⁴¹⁸ ¹⁴¹⁹ ¹⁴²⁰ ¹⁴²¹ ¹⁴²² ¹⁴²³ ¹⁴²⁴ ¹⁴²⁵ ¹⁴²⁶ ¹⁴²⁷ ¹⁴²⁸ ¹⁴²⁹ ¹⁴³⁰ ¹⁴³¹ ¹⁴³² ¹⁴³³ ¹⁴³⁴ ¹⁴³⁵ ¹⁴³⁶ ¹⁴³⁷ ¹⁴³⁸ ¹⁴³⁹ ¹⁴⁴⁰ ¹⁴⁴¹ ¹⁴⁴² ¹⁴⁴³ ¹⁴⁴⁴ ¹⁴⁴⁵ ¹⁴⁴⁶ ¹⁴⁴⁷ ¹⁴⁴⁸ ¹⁴⁴⁹ ¹⁴⁵⁰ ¹⁴⁵¹ ¹⁴⁵² ¹⁴⁵³ ¹⁴⁵⁴ ¹⁴⁵⁵ ¹⁴⁵⁶ ¹⁴⁵⁷ ¹⁴⁵⁸ ¹⁴⁵⁹ ¹⁴⁶⁰ ¹⁴⁶¹ ¹⁴⁶² ¹⁴⁶³ ¹⁴⁶⁴ ¹⁴⁶⁵ ¹⁴⁶⁶ ¹⁴⁶⁷ ¹⁴⁶⁸ ¹⁴⁶⁹ ¹⁴⁷⁰ ¹⁴⁷¹ ¹⁴⁷² ¹⁴⁷³ ¹⁴⁷⁴ ¹⁴⁷⁵ ¹⁴⁷⁶ ¹⁴⁷⁷ ¹⁴⁷⁸ ¹⁴⁷⁹ ¹⁴⁸⁰ ¹⁴⁸¹ ¹⁴⁸² ¹⁴⁸

„საალერსო“ ხარჯები XIX ს. საქართველოს
მმართველობაში
(კ. ბოროზდინის ერთი მოგონების მიხედვით)

რუსეთის მიერ ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ შექმნილ ახალი მმართველობის სისტემაში ჩაბმა ქართული თავადაზნაურობის მნიშვნელოვანი და ღირსეული ნაწილისათვის მიუწვდომელი აღმოჩნდა. დიდი მეზობელი „საქართველოში“ შემოვიდა როგორც კოლონიზატორი, მას შესაბამისი მიზნები და ამოცანები ჰქონდა... ამ მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა ის, რომ რუსეთს საქართველოში შემოჰყვა ათასობით და ათიათასობით ხელმოცარული, უზნეო და გაუნათლებელ პიროვნებათა მასა, რომელთაც არც თავიანთი სამშობლოს ბედი აწუხებდათ და, მით უმეტეს, არც დაპყრობილი საქართველოსი. მათი ერთადერთი მიზანი საკუთარი მატერიალური კეთილდღეობის, კარიერის და ამბიციების დაკმაყოფილება იყო.¹

ადგილობრივი რუსული ხელისუფლება „გულმონწყალე-ბას“ იჩენდა მხოლოდ „ქვეშევრდომული ერთგულებით აღსავსე“ ცალკეული პირების მიმართ და ისინიც „კომფორტუ-

¹ მ. სამსონაძე, საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი, იხ. წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008, გვ. 29.

ლად“ ერთგებოდნენ ცარიზმის მოხელეთა კორუფციულ საქმიანობაში.*

რუსეთის იმპერიაში გაბატონებულ მექრთამეობაზე ერთი საინტერესო ფაქტის შესახებ წერს ე. ტარლევ: „ხაზინის ქურდობა და მექრთამეობა პირდაპირ გაფურჩქნილი იყო რუსეთში ალექსანდრე I დროსაც და ნიკოლოზ I დროსაც, მაგრამ მხოლოდ 1881 წ. 1 მარტიდან 1917 წ. 28 თებერვლამდე არსებულ შუალედში გახდა შესაძლებელი შემდეგი კლასიკური დიალოგი (რომელიც სამთო დეპარტამენტის დირექტორმა კ. სკალოვსკიმ შემოუნახა შთამომავლობას); მოიჯარე: „თქვენო აღმატებულებაჲ, მე თქვენ მოგართმევთ სამათასს - და მამაზეციერიც კი ვერას შეიტყობს ამის შესახებ“. მისი აღმატებულება: „მომეცით ხუთი ათასი და მოუყვივით, ვისაც გენებოთ“¹

სწორედ ერთ-ერთი ასეთი მოხელის, სტეფანე იაგორას ძე აკოფოვის და მისი მაქინაციის შესახებ აქვს შემონახული საინტერესო მოგონება რუს ავტორს კ. ბოროზდინს.** ავტორი მასზე თხრობას იწყებს ქუთაისის გუბერნატორ ნ. კო-

* ამ საკითხთან დაკავშირებით ახლახანს გამოქვეყნდა ი. ალიმბარაშვილის საინტერესო სტატია „მარშლიანთ ხარჯები“ - როგორ უხდიდნენ „საქრთამო ხარჯს“ რუსეთის მიერ საქართველოში დანიშნულ მოხელეებს, ფ. „ისტორიანი“, №2 (98), 2019, თებერვალი.

¹ ე. ტარლე, ტალეირანი, თბ., 1965, გვ. 32.

** კ. ბოროზდინი იყო რუსი მოხელე, რომელმაც თავისი კარიერა დაიწყო კავკასიის მთავარმართებლის სამმართველოში, საიდანაც 1854 წ. მიავლინეს სამეგრელოში ეკატერინე დადიანთან მიმოწერის საწარმოებლად და მისი შვილების აღმზრდელად, 1858 წ. იგი დანიშნეს სენაკის ოლქის უფროსად 1867 წლამდე. მან დატოვა წიგნი, რომელშიც იგი მოგვითხრობს საქართველოში გატარებული წლების შესახებ, იხ. კ. ბოროზდინი, „სამეგრელო და სვანეთი (1854-1861)“, მოგონებანი, თარგმნა თ. სახოკიამ, 1934.

ლუბიაკინის სახლში მათი შეკრებით (პრეფერანსის თამაში), რომელსაც ესწრებოდნენ თვით გუბერნატორი, განსაკუთრებულ დავალებათა მოხელე რაფიელ ერისთავი (ცნობილი ქართველი პოეტი, 1824-1901 წწ., მ.ჯ.), სტეფანე აკოფოვი და კორნელი ბოროზდინი. ეს უკანასკნელი წერს: „შეგჩერდებით აკოფოვის ტიპიურ პიროვნებაზე. აკოფოვი ადგილობრივი მკვიდრი იყო, ვაჭარი კაცი, ეროვნებით სომეხი-კათოლიკე... პირველი იმ პიონერთაგანი..., რომლებიც რუსულ საკომერციო მოძრაობის და სახაზინო იჯარების სარბიელზე გამოვიდნენ... ოცდაათიან წლებში აკოფოვი ნოქრად მუშაობდა ტფილისში მსხვილ მოიჯარადე ზუბალაშვილთან. ამ ნოქრობის დროს იყო მოსკოვში, ნიჟნი-ნოვგოროდში და ლაიფციგშიაქცი, იქაურს იარმარკაზე... ისიც კი მოახერხა, რომ სახელმწიფო სამსახურშიაქცი ყოფილიყო „სხვადასხვა დავალებათა“ მოხელედ, საგუბერნიო სეკრეტრის ხარისხამდე ააღწია.¹ ***

როგორც სხვა ცნობებიდანაც ირკვევა, სტეფანე აკოფოვი „ღირსეული“ მოქალაქეა, იგი აქტიურადაა ჩაბმული მაშინდელი საქართველოს ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვ-

¹ კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 53-56.

*** კ. ბოროზდინი არ ასახელებს ზუბალაშვილის სახელს. ვფიქრობთ, სტეფანე აკოფოვს ცოლად ჰყავდა ცნობილი მეწარმისა და ქველმოქმედის იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილის (1792-1864 წწ.) ქალიშვილი მარია მაგდალინა. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს ზ. ჭიჭინაძის ცნობა, რომლის თანახმად XIX ს. დასაწყისში სოლოლაკის ქართველ კათოლიკეთა სასაფლაოზე ზუბალაშვილებს ჰქონიათ თავიანთი საგვარეულო სამარხი. ზ. ჭიჭინაძის აღწერით, 1903 წლისთვის ამ სასაფლაოზე დაკრძალული იყვნენ იაკობ ივანეს ძე ზუბალაშვილი, მისი მეუღლე ანა და შვილები ლევანი და მარია მაგდალინა, იხ. ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობის წარმომადგენნი და ისტორია ზუბალაშვილის გვარისა, ტფ., 1903, II გ., 1906; ჟ. ფეიქრიშვილი, ზუბალაშვილები, ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011, გვ. 81.

რებაში (მასზე, როგორც ვაჭარსა და მრეწველზე, წერს ზ. ჭიჭინაძე თავის ნაშრომში „ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა“, თფილისი, 1905; ასევე იგი იხსენიება 1861 წ. „ცისკარზედ“ ხელისმომწერთა სიაში ქუთაისიდან, „ცისკარი“, №3, (1861); არის მ. ვორონცოვის მიერ ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის მშენებლობის დამთავრებისათვის შექმნილი საგანგებო კომისიის წევრი, რომლის გადაკეთებაც დაევალა დონ ანტონიო გლახაშვილს (გლახიაშვილს), იხ. ნ. კვარაცხელია, ქუთაისელი კათოლიკეები XIX საუკუნეში, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, ქუთაისი, 1999, ელ. ვერსია) დაახლოებულია მაღალი თანამდებობის პირებთან, თვითნასწავლი რუსულით ჰყოფნის გამბედაობა (თუ თავხედობა) ქუთაისში ჩასულ რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ I-სა და ქალაქის მოედანზე შეკრებილ საზოგადოებას შორის თარჯიმნობა გასწიოს, რაც კომიკურ სახეს იღებს. ამის შესახებ კ. ბოროზდინი იგონებს: „1837 წ. როდესაც ხელმწიფე ნიკოლოზ პავლეს ძე ქუთაისში მოსვლის დროს ქალაქის მოედანზე მოქალაქეთა შორის ჩადგა და სანამ მათთან ლაპარაკს დაიწყებდა, იკითხა: „რუსული ვინ იცის“-ო - აკოფოვი წინ წადგა და მოახსენა: „მე, თქვენო აღმატებულებაგ-ო“ ხელმწიფეს გაელიმა და უთხრა: „ვხედავ, ჩემო კარგო, რომ შენის საშუალებით ბევრს ვერაფერს ვიტყვიო“.¹

როგორც ჩანს, ზუბალაშვილის ქალის მზითევმა და ამ ოჯახთან დაახლოებამ მისი მატერიალური მდგომარეობა იმდენად გაამყარა, რომ მაშინდელი რუსული მმართველობის მთავარ ფიგურასთან მ. ვორონცოვთანაც კი საკმაოდ დაახლოვა. ამ უკანასკნელმა მას დაავალა რამდენიმე დიდი ნაგებობის მშენებლობა ქუთაისში და სწორედ აქ „გამოიჩინა“ კიდევ ერთხელ თავი სტეფანე აკოფოვმა. მოგონებების ავტო-

¹ კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

რის ცნობით: „საჭირო შეიქმნა გოსპიტლის მშენებლობა და აკოფოვს მიანდო ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენა. აკოფოვმაც წარუდგინა ხარჯთაღრიცხვა ზომიერი და გონივრულათ შედგენილი, მხოლოდ ერთი მუხლი იყო ჩართული ისეთი, რომ ვორონცოვს ვერ გაეგო რასა ნიშნავდა აღნიშნული. იყო ხუთასი თუმანი „საალერსოდ“. გაგზავნეს კაცი აკოფოვთან და მოსთხოვეს აენსნა, რასა ნიშნავდა ეს მუხლი. აღმოჩნდა, რომ ეს ხუთასი თუმანი საჭირო იყო აუცილებელი ალერსისათვის, ანუ უკეთ, რომ ვსთქვათ, მოხელეთა მოსაქრთამავად. ვორონცოვმა თურმე ბევრი იცინა ასეთ გულუბრყვილო პირდაპირ თქმაზე და ხარჯთაღრიცხვა უცვლელად დაუმტკიცებია“.¹

სტეფანე აკოფოვის მყარ პოზიციებზე მიუთითებს ასევე მისი დამოკიდებულება გუბერნატორ ბელიავსკისადმი, როცა ამ უკანასკნელმა სომეხ-კათოლიკეებზე გაბრაზებულმა ისინი „პარტიად“ მოიხსენია და თავისთან დაიბარა, აკოფოვი მის წინაშე წარდგა და მიმართა: „რა პარტიას ბრძანებთ თქვენო აღმატებულესობავ, ჩვენ ასეთი პარტიებისა არაფერი ვიცით... პარტიას მხოლოდ მეოთხედ კაპიკობით ვთამაშობთ“² (იგულისხმება პრეფერენსის პარტია, მ.ჯ)

სტეფანე აკოფოვის ძვირფას ბინაში ზშირად იმართებოდა მდიდრული წვეულებები, იკრიბებოდა მაღალი საზოგადოება... „ერთის სიტყვით, კათოლიკეთა უბანში აკოფოვი პირველ კაცად ითვლებოდა და ამ უბნის უსაზღვრო დესპოტი, მღვდელი ღონ ანტონიოც კი პატივისცემით ეპყრობოდა... კათოლიკეთა უბანი შიშით კანკალებდა მღვდელ ანტონიოს

¹ კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 57. იხ. აგრეთვე ო. ჯენელიძე, ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014, გვ. 187.

² იქვე, გვ. 57.

წინაშე, რადგან იქაური ქალები სიტყვაშეუბრუნებლადა ჰყავდა დამორჩილებული... ხოლო ქალების საშუალებით დონ ანტონიო ჰბატონობდა მამაკაცებზედაც... და ასეთი სასტიკი მოძღვარი ისე იყო აკოფოვის მიერ მორბილებული, რომ ნებას აძლევდა, თავისთანაც კი პრეფერანსი ეთამაშა ცოტაზე“¹

როგორც წარმოდგენილი მოგონებები გვიჩვენებს, სტეფანე აკოფოვი - ერთი პირმოთნე მოხელე, თავისი მოხერხებულობით, მოხელეთა მოქრთამვით და გაიძვერობით ახერხებდა მიღებული და დაფასებული ყოფილიყო რუსული მმართველობის უმაღლეს ელიტაში (კავკასიის მეფისნაცვალს მ. კორონცოვი, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორი, გენერალ-მაიორი ნ. კოლუბიაკინი, გუბერნატორი ბელიავსკი და სხვ.).

ფეიქრობთ, ამ ერთი ჩინოვნიკის მანკიერი საქმიანობის წარმოჩენა გარკვეულწილად მაშინდელი მმართველობის ხასიათის განზოგადების საშუალებას იძლევა.

დამოწმებანი:

1. ბოროზდინი კ., „სამეგრელო და სვანეთი (1854-1861)“, მოგონებანი, თარგმნა თ. სახოკიამ, 1934.
2. კვარაცხელია ნ., ქუთაისელი კათოლიკეები XIX საუკუნეში, ქუთაისის მუზეუმის მასალები, კრებული XI, ქუთაისი, 1999, ელ. ვერსია
3. სამსონაძე მ., საქართველოში კოლონიური მმართველობის დასაწყისი, წიგნში: რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008.
4. ტარლე ე., ტალეირანი, თბ., 1965.
5. ფეიქრიშვილი ჟ., ზუბალაშვილები, ეროვნული მრეწველობისა და მეცენატობის სათავეებთან, თბ., 2011.

¹ კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 58.

6. ზ. ჭიჭინაძე, მრეწველობის წარმომადგენნი და ისტორია ზუბალაშვილის გვარისა, ტფ., II კ., 1906.

7. ჯანელიძე ო., ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 2014.

Mamuka Jolbordi

Gori State Teaching University

**“CARESSING” EXPENSES IN THE GOVERNMENT OF
GEORGIA IN THE XIX CENTURY (ACCORDING TO
THE RECOLLECTION OF K. BOROZDIN)
RESUME**

The vicious aspects of Russian ruling in the nineteenth-century Georgia are shown on the example of one official, Stephen Akopov, in the article. It is indisputable that the involvement of high-level officials in bribery deliberately diminished the performance of the state institutions.

ნანული აზიკური

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ნაბდის საკულტო ნიღბები და ალვანური ბერიკაობა

ნიღბები ქართული ხალხური აგრარული დღესასწაულის – ბერიკაობა, ბერიკაობა-ყეენობის მონაწილე პირთა – ბერიკების სამოსის აუცილებელი ატრიბუტი იყო. თვით ტერმინი ბერიკაობა ბერი//ბერა-დანაა ნაწარმოები, რომელიც ამ სანახაობის მთავარი ნიღბოსანი პერსონაჟი გახლდათ¹. განაყოფიერება-შვილიერების კულტისადმი მიძღვნილ ამ სანახაობას სხვანაირად „ნიღბების იმპროვიზირებულ თეატრსაც“ უწოდებდნენ².

არაბული სიტყვა ნიღაბი ქალის სახის საბურველს ნიშნავს. მას ქართლსა და კახეთში „მაშკარადს“, „ნიღაბს“, „ბერიკოს“, „პარიკს“, იმერეთში კი – „კვანაბერეს“ უწოდებდნენ³. გვხვდება სიტყვა „სახიონიც“⁴.

¹ რუხაძე ჯ., ძველი ქართული აგრარული დღესასწაულის მთავარი პერსონაჟი ბერი-ბერა//მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, IX, თბ., 1957, გვ. 173.

² ჯანელიძე დ., ბერიკაობა//ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. II, თბ., 1977, გვ. 318.

³ რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 87.

⁴ ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები. წიგნი I, თბ., 1948, გვ. 411.

ხალხური დღესასწაულების მკვლევართა ნაწილის აზრით, ბერიკაობის რიტუალის მთავარი პერსონაჟი ბერა-ბერიკა-თავბერიკა “ასტრალურ ღვთაებას” განასახიერებდა¹. ზოგი კვლევით კი იგი კვდომა-აღდგენის ქოთნური ღვთაება² ან საქონლის, ადამიანთა გამრავლებისა და მოსავლიანობისთვის მიძღვნილი დღესასწაულის მთავარი ითიფალური პერსონაჟია³. ამიტომ მისი ნიღბის დანიშნულება არა მხოლოდ სახის დამალვა იყო, არამედ თავად ნიღბიც მიიჩნეოდა ნაყოფიერების სიმბოლოდ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ აგრარულ დღესასწაულებსა და რიტუალებში ნიღბოსანთა მონაწილეობა მსოფლიოს არაერთი ხალხის ყოფაშიცაა დადასტურებული⁴, მათ შორის, ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა წარმოდგენებშიც ნიღბი ნაყოფიერების სიმბოლოა⁵.

ბერიკაობა და ბერიკაობის ნიღბები, მათ შორის, თუშეთში არსებული ბერიკაობის ტრადიციული რიტუალი ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ავტორის მიერ მრავალგზის და საფუძვლიანადაა შესწავლილი⁶. ამიტომ

¹ ბრეგაძე ნ., ბერიკაობა ნიღბები/მაცნე, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1985, გვ. 128.

² რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 107.

³ რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების..., გვ. 91; რუხაძე ჯ., ძველი ქართული აგრარული..., გვ. 178.

⁴ ბრეგაძე ნ., ბერიკაობა ნიღბები/მაცნე, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1985, გვ. 128.

⁵ რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების..., გვ. 91; რუხაძე ჯ., ძველი ქართული აგრარული..., გვ. 178.

⁶ მაკალათია ს., თუშეთი, ტფილისი, 1933, გვ. 128; ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები. წიგნი I, თბ., 1948, გვ. 411-462; რუხაძე ჯ., სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები/მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ.,

მე მხოლოდ დამატებით ამ რიტუალთან დაკავშირებულ თუ- შურ (აღვანურ) მასალას მოვიხმობ, წარმოვადგენ ზემო აღ- ვანში ჩემ მიერ ჩაწერილსა და უშუალო დაკვირვების გზით მოპოვებულ ყველიერის ბერიკაობასთან დაკავშირებულ მასა- ლას, მიმოვიხილავ აქ გავრცელებულ ნაბდის ნიღბებს.

ზოგადად, ბერიკაობის რიტუალში მონაწილე ბერიკათა ნიღბები მასალისა და ფორმა-მოყვანილობის მიხედვით რამ- დენიმე ჯგუფად იყოფა. ნიღბებს ამზადებდნენ: თხის ან ცხვრის ტყავისაგან, რომელიმე ცხოველის თავის ქალისაგან, გოგრისაგან, ბლის ხის ქერქისაგან,, მოგვიანებით კი – მუ- ყაოსა და ქაღალდისაგან. ნიღბები იყო ანთროპომორფული ხასიათის - ადამიანის სახის გამომხატველი და ზომომორფუ- ლი - თხის, ცხვრის, ღორის, ფრინველისა და სხვ.¹

ქართულ ხალხურ საკულტო ნიღბებს შორის მრავლად იყო მოთელილი მატყლის - ნაბდის ნაჭრისაგან შეკერილი ნიმუშებიც. შევნიშნავთ, რომ ნაბდის ნიღბები უმეტესად საქა- რთველოს იმ რეგიონებში იყო გავრცელებული, სადაც მეცხ- ვარეობის დარგი იყო დაწინაურებული – კახეთი, თუშეთი, ერწო-თიანეთი, ფშავი, ხევი. ამიტომაც მეცხვარეობით განთ- ქმულ სოფლებში ცხვრისგან მიღებული მასალა – მატყლი – მომეტებულად გამოიყენებოდა. მატყლი ზომ ბარაქისა და სიუხვის სიმბოლოდ ითვლებოდა. თავად ცხვარს, როგორც

1955, გვ 94, 181-198; ბრეგაძე ნ., ბერიკათა ნიღბები//მაცნე, ისტორიის სერია, №4, თბ., 1985, გვ. 128-137; რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძი- ნების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 87-112; ცოცანიძე ვ., გიორგობიდან გიორგობამდე, თბ., 1990, გვ. 60-61.

¹ ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები. წიგნი I, თბ., 1948, გვ. 41; რუხაძე ჯ., სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული ქართული საწესო ნიღბები//მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, VII, თბ., 1955, გვ. 177; ბრეგაძე ნ., ბერიკათა ნიღბები//მაცნე, ისტორიის სერია, № 4, თბ., 1985, გვ. 128.

საკულტო ცხოველს, მის ტყავსაც და ბეწვსაც ნაყოფიერებისა და აღორძინების მაგიური ძალა მიეწერებოდა¹. ცხადია, ამ საკულტო ცხოველისგან - ცხვრისგან მიღებული და შემდგომ მოთელილი მატყლის ნაბდის ნილაბიც სიუხვე-ბარაქიანობის გამომხატველად მიიჩნეოდა და ორგანულად უკავშირდებოდა საქონლის, ადამიანთა გამრავლებისა და მოსავლიანობისთვის მიძღვნილ ამ საკულტო დღესასწაულს. ამიტომ ბერიკაობისას, სურსათის შეგროვების დროს, კარდაკარ მოსიარულე ბერიკებს ტყავუჭიდან, მატყლის წვერ-ულვაშიდან, დიასახლისი ბეწვს გამოაცლიდა და საქონელს ბაგაში, კრუხს კი საბუდარში ჩაუდებდა, საქონელი და კრუხ-წიწილა ბარაქიანი იქნებოდა². საგულისხმოა, რომ მატყლის სიუხვენაყოფიერების სიმბოლიკის გამო თუშეთში საახალწლო სუფრაზეც მატყლი იყო წარმოდგენილი, მატყლი მიჰქონდა მეკვლეს წყაროზე ახალი წლის მიკვალვის დროსაც³.

ნაბდის ნიღბები თავიანთი ლაკონიურობითა და სიმარტივით გამოირჩეოდა სხვა ნიღბებისაგან. თეთრი ფერის ნაბდის ნაჭრისაგან შეკერილ ნილაბს თმა-ქოჩორი, წარბები და წვერ-ულვაში შავი ფერის მატყლისგან უკეთდებოდა, და პირიქით, შავი ფერის ნაბდის ნილაბს თეთრი ფერის მატყლის თმა-ქოჩორი, წარბები და წვერ-ულვაში ამშვენებდა. თვალებისა და პირთან ღია ჭრილები უკეთდებოდა, თვალების ჭრილების გარშემო შესაფერისი ფერის ძაფით წამწამები ჰქონდათ ამოქარგული - თეთრზე შავით, შავზე კი - თეთრით.

¹ რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების ხალხური დღესასწაული საქართველოში, თბ., 1999, გვ. 121, 123.

² რუხაძე ჯ., ბუნების ძალთა აღორძინების..., გვ. 120

³ აზიკური ნ., მატყლსა და ქსოვასთან დაკავშირებული ხალხური წეს-ჩვეულებები და რწმენა-წარმოდგენები თუშეთში//ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბ., 2005, გვ. 430.

ცხვირთან, გრძლად ამოჭრილ ადგილას კი, ნაბდის ნაჭრისგან გამოჭრილი დიდი ცხვირი ჰქონდა მიკერებული. პირის ჭრილთან ხის ან ძვლისაგან სხვადასხვა ზომისა და ფორმის დიდი კბილები ჰქონდა მიმაგრებული. ნაბდის ნიღბები ქუდნიღბები იყო. ამიტომ ისინი თავ-კისერსა და ყელს ფარავდა. თავში, გადაკეცის ადგილას, კუთხეებში, სხვადასხვა ფერის ქსოვილის მოგრძო ნაკუწები ჰქონდა ჩაკერებული. ამგვარ ნიღბებს XX საუკუნის 60-70-იან წლებამდე ისევ აკეთებდნენ სოფელ ზემო ალვანში მცხოვრები წოვათისა და პირიქითის თემის თუშები.

როგორც ცნობილია, გასაბჭოების შემდგომ, როგორც „მავენე ტრადიციის გადმონაშთი“, ბევრი ხალხური რიტუალი აიკრძალა. ერთი მათგანი იყო ბერიკაობაც. სოფლებში ბერიკები დიდ ჯგუფებად აშკარად გამოსვლას უკვე ვეღარ ბედავდნენ, ცხადია, დროთა განმავლობაში ბერიკაობის აღნიშვნის ტრადიციაც მიივიწყეს, თუმცა მთლიანად მაინც ვერ მოისპო. სწორედ იმ წლებში, როდესაც აიკრძალა ბერიკაობის რიტუალი, თუშების ერთ სოფელში, ზემო ალვანში, ის შეცვლილი სახით მაინც შემორჩა და ამ რიტუალს XX საუკუნის 60-80-იან წლებამდე ატარებდა. ერთ-ერთი ცვლილება ის იყო, რომ მოსახლეობა, ძირითადად ახალგაზრდობა, ბერიკაობის რიტუალს, რომელიც, ტრადიციულად, დღისით ტარდებოდა, ახლა ღამით ატარებდა. ღამით ჩამოვლილი ბერიკების დასახვედრად მზადების თადარიგს დღისითვე იჭერდნენ. ბერიკას ტრადიციული სამოსით შემოსილნი და ნაბდის ქუდებით შენიღბულნი, თავის უბანს ჩამოივლიდნენ, „ეიპოპოპო“-ს შეძახილით დაუპატიჟებლად შედიოდნენ ეზოებში. დიასახლისი მათ გამოეგებებოდა. ბერიკები იწყებდნენ სიმღერასა და ცეკვა-თამაშს. დიასახლისი მათ სხვადასხვა პროდუქტს გადასცემდა. ასე შეაგროვებდნენ მთელ უბანში ფქვილს, ხაჭოს,

კვერცხს, ყველს, ერბოსა და სასმელს. პროდუქტს იმ ჭურჭელში აგროვებდნენ, ბერიკების თანმხლებ, ანუ რიგით ბერიკებს რომ ეჭირათ. ბერიკათა რისხვა დაატყდებოდა თავს იმ მასპინძელს, ვინც მათ ცუდად დახვდებოდა ან რაიმეთი ხელს არ დაუმშვენებდა. ამ შემთხვევაში მსვლელობის წამყვანი მთავარი ბერიკა ამოკოტრიალდებოდა ეზოში, რაც მასპინძელი ოჯახისათვის იმ წელს ავისმომასწავებელი ნიშანი იყო – მაუწყებელი მოუსავლიანობის, საქონლის დაცემისა ან ოჯახის წევრის უბედურებისა. ამიტომ ყველა ცდილობდა, ბერიკებს ხელხვავიანად დახვედროდა, რაც, მათი რწმენით, საწინდარი იქნებოდა მიმდინარე წელს უხმოსავლიანობის, ხვავ-ბარაქის, ოჯახში სიკეთის დამკვიდრებისა და მრავალშვილიანობა-გამრავლებისა.

ყმაწვილი ბერიკების დღის მსვლელობას წინ უსწრებდა 4-6 წლის გოგო-ბიჭების უბანში ჩამოვლა, რასაც „წიწკნაობას“ უწოდებდნენ. მათ მეთვალყურედ ერთი ან ორი უნიღბო უფროსი ასაკის პიროვნება დაჰყვებოდა. ბავშვები მსუბუქად იყვნენ შენიღბულნი, რათა წაქცევის დროს სახე არ დაეზიანებინათ. ამიტომ მათ ნიღბების ნაცვლად სახეები მხოლოდ მურით ან პომადით ჰქონდათ მოხატული. მათ მასპინძელი ოჯახი ძირითადად, თხილ-კაკალს, ჩირს ან ტკბილეულს ურიგებდა, რომლებსაც ისინი გზადაგზავე შეექცეოდნენ.

უბანში ღამით ბერიკების ჩამოვლა, ძველი მასშტაბური ბერიკაობისაგან განსხვავებით, შედარებით შეუმჩნეველი რჩებოდა. ტრადიციული ბერიკაობა კი, როგორც წესი, დღისით იმართებოდა და საყოველთაო იყო. მასში დიდ ჯგუფებად დაყოფილი ბერიკების გარდა, მთელი მოსახლეობაც ზარ-ზეიმით ერთვებოდა და ამიტომ მეტად ხმაურიანი იყო. ბერიკათა ჯგუფი არა მარტო თავის უბნებს ან სოფელს, არამედ მიმდებარე დასახლებულ ადგილებსაც მოივლიდა.

ზემოაღვანური ღამის ბერიკების (ღამის ბერიკები მათ პირობითად ვუწოდებ, რადგან ისინი მხოლოდ ღამით დადიოდნენ) მსვლელობამდე დღისით შეგროვებულ პროდუქტს უბანში, შეგულბულ სახლში, მიიტანდნენ და საღამოს იქვე შეყარას// შეყარას გამართავდნენ, ანუ აქ თავს მოიყრიდა მთელი უბანი და დროს ღვინოსა და ცეკვა-თამაშში გაატარებდა. უფროსი ასაკის ქალები შეგროვებული პროდუქტისაგან ყველიანსა და ხაჭოიან ხინკალს მოხარშავდნენ ან კოტორს (ხაჭაპურს) გამოაცხობდნენ, რადგან, ბერიკაობა, ძირითადად, ყველიერში იმართებოდა. ამიტომ უმთავრესი საჭმელიც ყველისა და ხაჭოსგან მზადდებოდა. ამასობაში კარგად ჩამობნელდებოდა და ახლა უკვე ღამის ბერიკები იწყებდნენ უბან-უბან ჩამოვლას. „შეყარაში“ რომ შედიოდნენ ბერიკები, ქალები მაშინვე იწყებდნენ გარმონზე საცეკვაოს დაკვრას. ყველა ბერიკა იცეკვებდა, გადაითამაშებდა იქ დამსწრე ყმაწვილქალობასაც და შემდეგ, უკვე, საიდანაც გარმონის ხმა მოდიოდა, იმ „შეყარასკენ“ გასწევდნენ. ასე დადიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად მთელი ღამის განმავლობაში, დილის 4-5 საათამდე, მოივლიდნენ მთელ სოფელს, სტუმრობდნენ იმ სახლებს, სადაც შეყარა იმართებოდა და სადაც საგანგებოდ უფროსი თაობის ქალები და კაცები, ასევე ყმაწვილქალობა და ბავშვები იყვნენ თავმოყრილნი. უბნის ყმაწვილკაცობა კი აქ არ იმყოფებოდა, რადგან ბერიკაზე იყო წასული. ღამის ბერიკები შედიოდნენ იმ სახლებში, საიდანაც სინათლე გამოდიოდა, თუმცა, შეყარაში ოჯახის რომელიმე წევრის წასვლის შემდეგ შინ დარჩენილები ცდილობდნენ, სინათლე ჩაექროთ, დაეძინათ, რათა ბერიკები განათებულ სახლში არ შესულიყვნენ. საქმე ისაა, რომ, ზემოთ როგორც აღინიშნა, ბერიკების ცუდად დახვედრა სამომავლოდ ავის მომასწავებლად მიიჩნეოდა. გარდა ამისა, ხალხს მეორე მსოფლიო ომისა და შემდ-

გომაც, შფოთიანობა-არეულობის წლებში, 8-10 ნიღბოსანი ღამის ბერიკის საბედისწერო სტუმრობის არაერთი შემთხვევა ჯერ კიდევ ახსოვდა.

ყოველი უბნის თითო „შიყარაში“ ხან ბერიკების 18-20 ჯგუფი შეივლიდა. 4-დან 8-10 ახალგაზრდამდე ერთ ჯგუფად დადიოდა. საყურადღებოა მათი ჩაცმულობაც: ისინი ოჯახებში შემორჩენილ ძველ თუშურ ტანსაცმელსა და თავსაბურავებში იყვნენ გამოწყობილნი, ფეხზე ე. წ. აზიანცკები ეცვათ. მათ შავი ფერის ჩოხა-ახალუხს ბეჭებზე შემოფენილი, მკერდზე გადაჯვარედინებული და წელზე უკანგაკრული თეთრი ყაბალახები ამშვენებდა. საინტერესო სანახაობას წარმოადგენდა მათი იარაღ-აღკაზმულობა. ეს იყო ერთგვარი გამოფენა წინაპრების აღჭურვილობისა, რომელთაც რუსეთ-თურქეთის ომში – ჩოლოქის ბრძოლასა და ყარსის აღებაში დიდად გამოიჩინეს თავი.¹ ქართულ ეროვნულ სამოსს ამშვენებდა ქამარ-ხანჯალი, გადაკიდებული ყაწიმიანი ხმლები, ქამარში გარჯობილი – ძველებური დამბაჩები, ხელში კი მათრახები ეჭირათ. ცეკვის დროს მათი იარაღი ჟღარუნებდა, თავზე შავი ფერის ე. წ. გარიბანდის ქუდები ეხურათ, ქუდში დატანებული თეთრი პირბადე აწეული ჰქონდათ, რომელსაც შეყარაში შესვლის წინ აუცილებლად ჩამოიწვედნენ. პირბადე თუმ-

¹ ორიოდე სიტყვა უნდა ითქვას ქართული ტრადიციული იარაღის მიმართ საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულების შესახებაც. მიუხედავად საბჭოთა პერიოდში ჩატარებული სპეცრეიდებისა, როდესაც კომუნისტებს ოჯახებიდან ყველანაირი იარაღი გაჰქონდათ, ძირითადად კი – ცეცხლსასროლი, ხალხს კვლავ ჰქონდა საგულდაგულოდ გადაძალეული ხმლები და ხანჯლები, ალბათ, მეომარი წინაპრების ხსოვნა-პატივისცემის ნიშნად. სამწუხაროდ, XX საუკუნის მიწურულს საქართველოში არეულობების გამო ხალხში ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი საომარი აღჭურვილობა მთლიანად გაქრა, რომელიც ისედაც ფუნქციონირებდა ჩოხა-ახალუხის სამშვენ ატრიბუტებადღა იყო ქცეული.

ცა გამჭვირვალე იყო, მაგრამ ბერიკების სახის დაღანდვა მაინც შეუძლებელი იყო, თავად ბერიკები კი კარგად ხედავდნენ. ღამის ბერიკათა მიზანიც სწორედ ეს იყო: ვერავის ვერ ამოეცნო ნიღბოსანი, მისი ვინაობა მკაცრად იყო გასაიდუმლოებული. ეს შეიძლება იმით აიხსნას, რომ საბჭოთა პერიოდში ბერიკაობის რიტუალის აკრძალვის გამო ვინმეს არ დაეუზღებინა ბერიკა სოფლის საბჭოში.

ღამის ბერიკების ზოგიერთ ჯგუფს ახლდა ერთი მაინც ძალიან სასაცილოდ აღჭურვილი და შემოსილი ხუმარა ბერიკა. ის ხშირად მსვლელობის ცენტრალური ფიგურა იყო. მას უკუღმა გადმობრუნებული ტყავაკაბა ეცვა, სახეს კი თეთრი ან შავი ფერის ნაბღის ქუდ-ნიღაბი უფარავდა. ზოგს მეტი სიხალისისათვის ჩვეულებრივ, სადავ სამოსზე მამაკაცის უძველესი საცვალ-პერანგი ან ქალის ლურჯი ფერის საცვალ-იჰონდა გადაცმული, საცვალზე კლიტე ეკიდა, გასაღებს ხელში ატრიალებდა და გამომწვევად იქცეოდა. ზოგიერთ ჯგუფში კი ბერიკას კისერზე ჩამოკიდებული ჰქონდა ვერძის ან ხარის ფალოსი, რომელსაც ხელში ატრიალებდა. ასევე გამომწვევად იქცეოდა სხვა ბერიკებისა და მსვლელობის მონაწილე კაცების მიმართ. ამგვარი ქმედებით გამოიხატებოდა თავად ამ დღესასწაულის თავდაპირველი საკულტო დანიშნულება. ის ხომ შვილიერება-ნაყოფიერების რიტუალი იყო, თუმცა ამ დროს ბერიკებისთვის ის მხოლოდ და მხოლოდ ხალხის გართობა-გამხიარულებისთვის მიმართული ქმედება იყო.

ზაზგასმით უნდა ითქვას, რომ ნიშანდობლივი და თვალში საცემი ბერიკაობის ალვანურ ვარიანტში სწორედ ბერიკების ნაბღის ნიღბები იყო. ბერიკათა ჯგუფში ერთი მაინც ასეთ ნიღაბს ატარებდა. ისინი მხოლოდ ასეთი ნიღბებით ინიღბებოდნენ. თვალს იტაცებდა ნიღბების ვარიანტები -

ზოგს თავზე რქები ჰქონდა მიმაგრებული, ზოგს კი ლამის ნიკაპამდე დაშვებული დიდი კბილები „ამშვენებდა“.

როგორც ითქვა, დღისით თავიანთ უბანში მოსიარულე ყმაწვილ ბერიკებს ღამით ენაცვლებოდნენ შედარებით ზრდასრულნი, რომლებიც სოფელს უბან-უბან შემოივლიდნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ ბერიკათა მსვლელობაში ქალიშვილთა მონაწილეობა დაუშვებელი იყო, რადგან ეს მათი ღირსება-პატივისთვის მიუღებლად მიიჩნეოდა და გამჟღავნების შემთხვევაში მათი სახელი შეილახებოდა. მიუხედავად ამისა, იყო ცალკეული შემთხვევა ქალიშვილთა მიერ ამ აკრძალვის დარღვევისა, რაც მკაცრად იყო გასაიდუმლოებული.

მილიცია ღამის ბერიკებსაც მკაცრად სდევნიდა. ხშირი რეიდების დროს მათ იჭერდა კიდეც. სკოლის მოსწავლეებსაც ეკრძალებოდათ ბერიკობაში მონაწილეობა, მაგრამ ისინი ფარულად მაინც ახერხებდნენ ბერიკად გადაცმასა და ღამით უბნების მოვლას. მახსოვს, სკოლაში დაგვიანებით მისულ, კარდაკარ სიარულისა და ღზინისაგან გადაქანცულ ბერიკობაში მონაწილე მალალკლასელებს, როგორ საყვედურობდნენ მასწავლებლები. ისინი საგანგებოდ იყვნენ გაფრთხილებულები, რომ ფხიზლად ყოფილიყვნენ, ემხილათ სახალხო დღესასწაულებში მონაწილე მოსწავლეები. მეტიც, ეს მათი პირდაპირ მოვალეობადაც ითვლებოდა. მიზანი იყო ერთდღერთი – ახალგაზრდების მეხსიერებიდან წაეშალათ ყველანაირი კვალი ძველი, გარდასული ტრადიციებისა, რადგან, მათი რწმენით, კომკავშირელებს სხვა ინტერესები უნდა ჰქონოდათ. ასეთი პოლიტიკის წყალობით, ალვანური ბერიკობა 80-იანი წლებისათვის მთლიანად გაქრა ყოფიდან. უპირველეს ყოვლისა, ამას ხელი იმანაც შეუწყო, რომ გართობის სხვა საშუალებებმა (კინო, ტელევიზია) ალვანშიც იმძლავრა. შე-

დეგად, დღეს ზემო ალვანის ბერიკაობაზე ახალ თაობას წარმოდგენაც კი არა აქვს.

შეიძლება ითქვას, რომ იმ დროისათვის ალვანური, დღისით ჩატარებული ბერიკაობა ჯერ კიდევ ატარებს ოდინდელი საწესჩვეულებო ცერემონიის შინაარსს – შედიან ოჯახებში და ლოცავენ. დიასახლისები მათ პატივით ხვდებიან, ცდილობენ არ გაანაწყენონ, მათგან ბარაქიანობისა და სიმრავლის ლოცვას მოელონ. მათთვის კარგი დახვედრა ოჯახის სიუხვის, წინსვლის, სიმრავლისა და ბარაქიანობის გარანტიცაა. რაც შეეხება ღამის ბერიკაობას, ის საკულტო შინაარსისგან სრულიად დაცლილი, უკვე მხოლოდ გართობასა და დროსტარებაზე იყო ორიენტირებული. ღამის ბერიკაობა მასკარადის ნიშნებს ატარებდა – ეცვათ მოხდენილად, ღამაზად და განსაკუთრებულად, ეკეთათ არატრადიციული, მაღაზიაში ნაყიდი ნიღბები ან სახეს პირბადეებით იფარავდნენ. იარაღითა და დახვეწილი მანერებით თავს იწონებდნენ. ერთი კვირის მანძილზე ეს იყო სასურველი ქალიშვილების უბნის „შეყარაებში“ ყოველდღიური სტუმრობისა და იღუმალის თვალშეველების შესაძლებლობა. ღამის ბერიკაობაში თითო-ორიოლა ჯგუფში გამოჩეული, ძველებურ ნიღბებში გამოწყობილობა, ვერძისა და ხარის ფალოსებით „შეიარალებულობა“ თუ მიანიშნებდა ძველ შინაარსზე, თუმცა მეტად გამკრთალსა და მივიწყებულზე, თვით ღამის ბერიკებისთვის ეს მხოლოდ და მხოლოდ გასართობი ქმედება იყო.

XX საუკუნის 80-იანი წლებიდან კახეთში, ძველად ბერიკაობით განთქმულ სოფლებში – მაჭანში, ართანასა და შილდაში, ასევე, გარე კახეთის რამდენიმე სოფელში ახალგაზრდობამ ისევ ააღორძინა ბერიკაობა. მისი უცვლელი ატრიბუტი კვლავ ნაბდის ნიღაბია. როგორც აღმოჩნდა, მისადმი, როგორც საკრალური ნივთისადმი მოწიწებითი დამოკიდებუ-

ლება ქვეცნობიერში ჯერ ისევ შემორჩენილია. მიუხედავად ამისა, კახეთში ნაწილობრივ აღდგენილი თანამედროვე ბერიკაობა, ალვანური ბერიკაობის მსგავსად, ძველი შინაარსისაგან სრულიად დაცლილი და სახეცვლილია. ესაა მხოლოდ ნიღბოსანთა მსვლელობა სოფელ-სოფელ, უბან-უბან და შეგროვებული სურსათით ღვინი და დროსტარება.

Nanuli Azikuri

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Ivane Javakhishvili
Institute of History and Ethnology*

**FELT CULT MASKS AND BERIKAOBA IN THE
ALVANI
RESUME**

Masks were one of the essential and important attributes of the costumes of histrionic characters common during the New Year and Carnival (Pancake week) - ‘*Berikas*’. They were made from various materials.

Among the Georgian folk masks those made from felt were widely present, and such masks survived until quite late times in already changed form of *Berikaoba* performance practised in Tusheti.

Felt cult masks were characterized by their ‘laconic’ style and simplicity. The masks made of white felt got attached head hair, eyebrows, moustache and beard of black wool, while those of black felt would be adorned by white wool hair, eyebrows and beards. The masks had openings for eyes and mouth; the apertures for eyes had eyelashes embroidered around them with threads of respective colours - black thread against the white background, and white upon the black one.

Forms, material and the import of the masks would reflect the beliefs and conceptions derived from the ancient religious convictions of the Georgian people, and are mainly related to fertility, agrarian and astral cults.

Berikaoba enacted in the settlement of Alvani during the day was still commonly preserving the symbolic significance of the ancient customary ceremonies. However, Berikaoba performed during the night-time was totally emptied from the cult-related content and has become just anentertainment-oriented action.

დეკანოზი ბორისი (ნიჩიპეროვიჩი)
საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი

ეგზარქოსების საქმიანობა საქართველოში XIX საუკუნის II ნახევარში

XX საუკუნის ბოლოდან საქართველოში განვითარებულიმა მოვლენებმა ქართველ ისტორიკოსებს საშუალება მისცა, ახლებურად გაეაზრებინათ ჩვენი ისტორიის არაერთი ფაქტი თუ მოვლენა.

70-წლიანი საბჭოური მმართველობის პერიოდში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიის კვლევა, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. ქვეყნის ისტორიის კვლევა მისი ეკლესიის ისტორიის შესწავლისაგან გამიჯვნით მიმდინარეობდა.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის გარეშე ქვეყნის ისტორიის შესწავლამ სავალალო შედეგები მოუტანა როგორც საისტორიო მეცნიერებას, ასევე ქართველთა თვითშეგნებას.

ბოლო რამდენიმე ათეული წელიწადია საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი საქართველოს ეკლესიის წარსულისადმი. დაიწერა არა ერთი ნაშრომი, წერილი თუ სტატია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს XIX საუკუნის ავტოკეფალია-წართმეული საქართველოს ეკლესიის ისტორია და დანიშნული ეგზარქოსების ანტიქართული საქმიანობა.

წინამდებარე სტატიაში მოცემულია XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოს ეკლესიის ზოგიერთი ეგზარქოსის

საქმიანობა, კერძოდ, ევსევი ილინსკის (1858-1877), იოანიკე რუნდევის (1877-1882) და პავლე ლებედევის (1882-1887) მიერ ეკლესიაში გატარებული ე. წ. რეფორმების შესახებ, რომელთა მიზანი საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის ყაიდაზე მოწყობა ოყო. ღიად თუ ფარულად ხდებოდა ქართული ტრადიციების მოშლა: შემცირდა ქართულენოვანი წირვა-ლოცვა, იღვენებოდა ქართული საგალობლები, რომლებსაც ზოგიერთი რუსი მსახური ეკლესიისა „ძაღლის ყეფას“ ადარებდა. მატერიალური საფუძველი გამოაცალეს ჩვენს ეკლესიას, რათა ის სრულად დამოკიდებული გაეხადათ სახელმწიფოზე. შემცირდა ეპარქიების რაოდენობა, აღარ ხდებოდა მღვდელმთავრების კურთხევა, გაიზარდა საეკლესიო გადასახადები, საქართველოდან გაიტანეს არაერთი სიწმინდე და განძი, ეკლესიას მიაყენეს უდიდესი სულიერი და მატერიალური დარტყმა. მათი საქმიანობის შედეგად ეკლესიები დაიცალა ქართველი მრევლისგან, ვინაიდან იქ აღარ იხმოდა ქართული სიტყვა.

ევსევი ილინსკი საქართველოს ეგზარქოსი 1858-1877 წლებში

ერისკაცობაში ალექსი ალექსის ძე ილინსკი დაიბადა 1809 წელს ბელგოროდში, კურსკის გუბერნიაში, დიაკონის ოჯახში. სწავლობდა ჯერ კურსკის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი კიევის სასულიერო აკადემიაში. 1834 წლის 8 დეკემბერს ბერად აღიკვეცა ევსევის სახელით. მომდევნო წლის 1 იანვარს დიაკვნად, ხოლო, ხოლო 21 ივლისს მღვდელმონაზვნად აკურთხეს. 1835 წლის 7 ოქტომბერს ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი მიენიჭა და კიევის სასულიერო აკადემიის პედაგოგად დაინიშნა. 1839 წლიდან კიე-

ვის სასულიერო სემინარიის რექტორია. ამავე წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1844 წლიდან ლიტვის სასულიერო სემინარიის რექტორია. 1849 წლის 1 იანვარს კონონოს ეპისკოპოსად აკურთხეს, 1851 წელს კამენეც-პოდოლსკის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1858 წლის 1 მარტს საქართველოს ეგზარქოსად და წმინდა სინოდის წევრად ინიშნება. ამავე დროს აიყვანეს მთავარეპისკოპოსის ხარისხში.

ევსევი ილინსკის საქართველოში მოღვაწეობის დროს, 1860 წელს, დაარსდა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოება“, თუმცა მის დაფუძნებაზე თავი მას დიდად არ შეუწუხებია. მისი მოღვაწეობის დროს, 1860 წელს კონკურსი გამოცხადდა ახლადდაარსებული ღუნბის მოედანზე ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის აღსანიშნავად მართლმადიდებელი ტაძრის ასაგებად. ამ კონკურსში, მართალია, გაიმარჯვა პეტერბურგელი არქიტექტორების ე. შრეტერისა და პ. ჰუნის პროექტმა, მაგრამ, სიძვირის გამო, მათი პროექტით ტაძარი ვერ აშენდა. ევსევი ილინსკის ეგზარქოსობის დროს, მისი უშუალო მონაწილეობით, 1871 წელს საფუძველი ჩაეყარა სამხედრო ტაძრის შენებას. ეგზარქოსი ევსევი ილინსკი საქველმოქმედო საქმიანობასაც ეწეოდა. როგორც წყაროებით დასტურდება, მას კიევის სასულიერო აკადემიისთვის შეუწირავს კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემული აქტების 5 ეგზემპლარი, რის გამოც იგი 1876 წელს საეკლესიო-არქეოლოგიური საზოგადოებისა და კიევის სასულიერო აკადემიის საპატიო წევრად აურჩევიათ. ევსევის ეგზარქოსობის დროს თბილისში, კუკიაზე აშენდა ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძარი, რომელიც მან 1864 წლის 30 აგვისტოს აკურთხა. გადმოცემით ევსევი ილინსკი შესანიშნავი მქადაგებელი

ყოფილა და დიდ საეკლესიო დღესასწაულებზე ჰყვარებია ღვთისმსახურების ჩატარება.¹

ზოგიერთი რუსი ისტორიკოსი ევსევი ილინსკის ყურადღებიან, მრევლისთვის თავდადებულ მწყემსმთავრად მიიჩნევდა. გარეგნულად შესაძლებელია ასეც იყო. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ თანამდებობიდან გადაყენების შემდეგ „დიდი სიყვარულით გააცილა თავისი საყვარელი მღვდელმთავარი საქართველოს სამწყსომ“.² ეგზარქოსობიდან გათავისუფლების კარგა ხნის შემდეგ ქართველი და რუსი საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა მღვდელმთავრისათვის შეუფერებელი ის საქმიანობა, რომელსაც ევსევი ილინსკი საქართველოში მოღვაწეობის დროს ეწეოდა. პირუთენელი ცნობები, ეგზარქოსობის დროს მისი შავბნელი საქმიანობის შესახებ, რუსულ ენაზე გამოაქვეყნა ბრაილმა. ბრაილის ცნობებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკლესიის ცნობილმა გულშემატკივარმა ნიკოლოზ დურნოვომ კიდევ უფრო განავრცო მისი ბიოგრაფია. რუსი ისტორიკოსების დახასიათებით, ეგზარქოსი ევსევი ილინსკი იმ რუსი ეგზარქოსების ტიპური წარმომადგენელი იყო, რომლებიც საქართველოში იმიტომ იმყოფებოდნენ, რომ მათზე მინდობილი ეკლესიის სამწყსო ეძვარცათ და უძველესი ივერიის საეკლესიო ქონება გაეჩანაგებინათ, დაეთრგუნათ მისი მოსახლეობის ენა და შემდეგ ნადარცვი ქონებითა და ფულით რუსეთში დაბრუნებულიყვნენ.³

¹ ილია ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური“, 1901, N4, გვ. 360;

² ილია ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური“, 1901, N4, გვ. 359;

³ Браил, О положении Грузинской православной церкви в церковной России, из книги – церковные вопросы в России, СПб, 1896, стр. 94; Н. Дурново, Судьбы Грузинской церкви, Москва, 1907, стр. 10;

განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილი ევსევი ილინსკი სდევნიდა ყოველგვარ თავისუფალ აზროვნებას, ლანძღვა-გინებით მოიხსენებდა ქართველ სამღვდელოებს და ქართველ პედაგოგებს. ხშირად მათ ფიზიკურ შეურაცხყოფასაც აყენებდა. მის დროს განსაკუთრებით გაიზარდა ჯაშუშობა და დასმენები. იგი ბიოლოგიური ზიზღით იყო გამსჭვალული ეპისკოპოს გაბრიელ ქიქოძისადმი. ქართველი მღვდელმთავრისადმი მტრულად განწყობილი ევსევი, ინტრიგებითა და ათასნაირი ბინძური ხერხების გამოყენებით ცდილობდა მის თავიდან მოშორებას. რუსეთის უზენაეს სასულიერო უწყებას არწმუნებდა მის არასაიმედოობაში.¹ ყოველივე ამას ეგზარქოსი იმიტომ აკეთებდა, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი პატივისცემით სარგებლობდა საქართველოში. ევსევი ეგზარქოსმა გაბრიელ ეპისკოპოსის წინააღმდეგ ბრძოლაში მარცხი განიცადა. რუსეთის სასულიერო უწყებამ მის დასმენებს ყურადღება არ მიაქცია იმის გამო, რომ გაბრიელ ეპისკოპოსი იმპერიის მასშტაბით საკმაოდ ცნობილი პიროვნება იყო. მათ კარგად იცოდნენ, რომ ქართველი მღვდელმთავრისადმი განხორციელებული რეპრესიები ადგილობრივი ქართველი საზოგადოების დიდი გულისწყრომას გამოიწვევდა, რაც რუსეთის ხელისუფალთ გარკვეულ დაბრკოლებებს შეუქმნიდა.

ევსევი ილინსკი შორს იდგა სასულიერო პირისათვის აუცილებელი ზნეობრიობისაგან. მან დაიწყო სასულიერო საგანძურის მითვისება. ევსევიმ გაძარცვა საქართველოს ყოფილი საპატრიარქოს მიტრები, ძვირფასი ჯვრები და თავისი აგენტების საშუალებით კოლექციონერებზე ყიდდა. ევსევი ეგზარქოსის ხელშეწყობით, ქუთაისის გენერალ-გუბერნატორმა ვ. ლევაშოვმა 1869 წელს გელათის მონასტრიდან გაიტაცა

¹ ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, 1906, N6, გვ. 12-14;

მინანქრებიანი, ოქროთი დაფერილი ვერცხლის ჩუქურთმე-
ბიანი X საუკუნის ხახულის კარედიანი ხატი. გუბერნატორს
ეგზარქოსთან შეთანხმებით, წინასწარ ხატის გატაცების
გეგმაც შეუძუშავებია. მან რუს მხატვარ ვასილევს შეუკვეთა
ახალი ხატის ესკიზი, რომლის მოჭედილობა, ხახულის ხა-
ტის სახეების შესაბამისად შეასრულებინა მხატვარ საზი-
კოვს. ვ. ლევაშოვმა ხახულის ხატის ორიგინალის რამდენიმე
ნაწილი კოლექციონერ მ. ბოტკინს მიჰყიდა, ასლი კი გელა-
თის მონასტერს დაუბრუნა. მომხდარმა ფაქტმა ალაშფოთა
ქართველი საზოგადოება. დიდი მცდელობის მიუხედავად,
მხოლოდ 1923 წელს მოხერხდა მისი საქართველოში დაბ-
რუნება.¹ იმავე ვ. ლევაშოვმა ეგზარქოს ევსევის თანხმობით,
ვითომდა რესტავრაციის მიზნით, საქართველოდან წაიღო XI
საუკუნის ოქროთი მოჭედილი და ტიხრული მინანქრებით
გამშვენებული სახარება. გუბერნატორმა მას მოხსნა ოქროს
მოჭედილობა და იგი შეცვალა მხატვარ საზიკოვის იაფფასი-
ანი ვერცხლის ნახელავით.² ვ. ლევაშოვის აღნიშნული ნა-
ძარცვი მოხვდა ჰეტერბურგში სტროგანოვის მუზეუმში. აქე-
დან შემდგომ საზღვარგარეთ გაიტანეს. ამჟამად სახარების
ყდის ერთი ნაწილი ბერლინის მუზეუმში ინახება, მეორე კი
ბელგიელი კოლექციონერის საკუთრებაა. ეგზარქოს ევსევის
მითითებით გაიძარცვა თბილისის სიონის, მცხეთის, ალავერ-
დის, ბოდბის, ჯუმათისა და სხვა მონასტრებში არსებული
ძვირფასი ქვებით შემკული ხატები. მისივე ხელშეწყობით,
გრაფმა ბობრონსკიმ თბილისის სიონის ტაძრის საღაროდან
გაიტანა და გაყიდა ძვირფასი მინიატურებით შემკული უძვე-

¹ შ. ამირანაშვილი, ხახულის კარედი, თბ. 1972, გვ.17; შდრ. ჟურ-
ნალი „ჯვარი ვაზისა“, 1988, N1, გვ. 17; გ. ნოზაძე, ქართული მონასტ-
რები, ჟურნალი „კავკასიონი“, პარიზი, 1967, XII, გვ. 161;

² ნ. ღურნოვო დასახელებული ნაშრომი, გვ. 22;

ლესი ქართული ხელნაწერი. ამავე ტაძრიდან დაიკარგა რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა საეკლესიო განძეულობა.¹ გაზეთ „რუსკაია სტატიას“ ცნობით ევსევი ილინსკის ორ მილიონზე მეტი ღირებულების საეკლესიო ძვირფასეულობა გაუტანია საქართველოდან.²

1877 წლის 8 დეკემბრიდან იგი ტვერისა და კასინსკის მთავარეპისკოპოსია. გარდაიცვალა 1879 წლის 12 მარტს.

იოანიკე რუნევი საქართველოს ეგზარქოსი 1877-1882 წლებში

ერისკაცობაში ივანე მაქსიმეს ძე რუნევი დაიბადა 1826 წლის 20 თებერვალს (სხვა ცნობით იგი 1827 წელს დაბადებულა) ტულის გუბერნიაში, ღარიბი მეღავითნის ოჯახში. თავიდან ტულის სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. 1849 წელს დაამთავრა კიევის სასულიერო აკადემია. იმავე წლის 11 ოქტომბერს ბერად აღკვეცეს იოანიკეს სახელით. 1854 წელს არქიმანდრიტის ხარისხში აიყვანეს. 1856 წლიდან კიევის სასულიერო აკადემიის ინსპექტორია, ხოლო 1868 წლის 6 ოქტომბრიდან პეტერბურგის სასულიერო აკადემიის რექტორად გადაჰყავთ. 1861 წლის 12 ივნისს ვიბორგის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1864 წლიდან სარატოვის ეპისკოპოსია, 1973 წლიდან ნიჟეგოროდისა და არზამასის. 1877 წლის 14 თებერვალს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს, ხოლო ამავე წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება.

ეგზარქოს იოანიკე რუნევს, მართალია არ უყვარდა ქართველები და ფარულად ატარებდა ამ გრძნობას, მაგრამ,

¹ საქართველოს ეკლესიის აკლება, თბ. 1907, გვ. 8;

² ბრაილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 95;

იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე, იგი ყოველმხრივ ცდილობდა თვისი წინამორბედი ეგზარქოსის, ევსევი ილინსკის დროს შელახული ავტორიტეტის აღდგენას. ამ მიზნით, მან გაააქტიურა საეგზარქოსოს საქმიანობა. მისი ინიციატივით აღმოსავლეთ საქართველოს სამღვდელოებას გადაეცა სანთლის ქარხნის შემოსავალი, რამაც ერთგვარად გააუმჯობესა მათი მატერიალური მდგომარეობა. მანვე, თბილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა ნივთიერი დახმარებისათვის დააარსა „ანდრია პირველწოდებულის სახელობის ძმობა“. იოანიკემ გარკვეული შეღავათები მისცა სასულიერო სასწავლებლებში მოღვაწე ქართველ პედაგოგებს. მის დროს დიდი ყურადღება მიექცა ქართული სასულიერო გალობის აღდგენისა და სწავლების საქმეს. მან თბილისში დააარსა ქალთა საეპარქიო სასწავლებელი და მის სასარგებლოდ საკუთარი თანხიდან 4 ათასი მანეთი გაიღო.¹ 1881 წელს თბილისის თავად-აზნაურთა კრება მსჯელობდა სასწავლებლებისა და იქ მოქმედი პროგრამების შესახებ, რომლებიც ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდნენ. განხილვის მონაწილენი აქტიურად მოითხოვდნენ ქართული ენის სწავლების გაძლიერებასა და საღვთისმეტყველო საგნების ქართულად სწავლებას. ხელისუფლება იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და ლათინური და ბერძნული ენების საათების შემცირების ხარჯზე ქართული ენის საათები გაეზარდა. თუმცა მის ბოლომდე განხორციელებას ყოველმხრივ უშლიდნენ ხელს ადგილობრივი ჩინოვნიკები.

იოანიკემ, თავისი მოღვაწეობით, ქართველ ხალხში, რომელთათვისაც ბოლომდე უცნობი დარჩა მისი ფარული განწყობა ქართველებისადმი, სამართლიანი და ქველმოქმედი

¹ ილია ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური“, 1901, N5, გვ. 361;

მღვდელმთავრის სახელი დაიმკვიდრა. ქართველმა საზოგადოებამ რუსი მღვდელმთავრისადმი თავისი კეთილგანწყობა იმით გამოხატა, რომ კიევის მიტროპოლიტად დანიშნულ იოანიკეს 1899 წელს სასულიერო მოღვაწეობის 40 წელთან დაკავშირებით, მისალოცი დეპეშა გაუგზავნა.¹ საქართველოდან გაწვევის შემდეგ იოანიკე მოსკოვისა და კოლომნის მიტროპოლიტად დანიშნეს. საქართველოდან მიმავალი ჯვრის უღელტეხილთან მობრუნებულა საქართველოსკენ, პირველად გადაუწერია და უთქვამს: „გმადლობ, შენ, უფალო, ყოვლად წმიდა ქალწულო, რომ შესაძლებლობა მომეცა, ამ ველურებს ცოცხალი გადავრჩენოდი“, არადა საქართველოში იგი თითქოს „უყვარდათ“.²

აი რას ამბობდა იგი ქართველების შესახებ: „მათ (ქართველებს) ხომ არ აქვთ განსჯის უნარი: გონებაჩლუნგნი არიან, მაგრამ რასაც დაიჩემებენ, აღარ გადათქვამენ. კაცის მოკვლა არაფრად უღირთ. ნათსაობას მეთოთხმეტე თაობამდე ითვლიან, თუმცა ხანჯალი ჩასცენ ღვიძლ ძმას, მათთვის ძნელი არ არის, შმაგი ხალხია: ოდნავ აღელვებაზე კარგავენ წონასწორობას და იძრობენ ხანჯალს.“³

„ეგზარქოსი იოანიკე მღვდლობის მსურველებს 500-600 მანეთს ართმევდა და ამგვარად მნიშვნელოვანი თანხა დააგროვა, რომლის ერთი ნაწილი თვით სასწავლებლის (იგულისხმება თბილისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელი. ბ.ნ.) მოწყობას მოახმარა, ხოლო მეორე ნაწილი სამღვდელო-

¹ ილია ფერაძე, საქართველოს ეგზარქოსები, „მოგზაური“, 1901, №5, გვ. 362;

² კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბ. 2010, გვ. 225;

³ Записки присутствующего в Святейшем Синоде Архиепископа Никонора (Бровновича), ოლესა, 1913, გვ. 36;

ების ობლების მიხედვით ნიკოლოზის ძის მეუღლის, დიდი კნენა ოლლა თეოდორეს ასულის სახელობის თექვსმეტი სტიპენდიანტის განათლებასო.“¹

1883 წლის მაისში იგი ხელმძღვანელობდა ალექსანდრე III-ის იმპერატორად კურთხევას. 1891 წელს წმინდა სინოდის ობერპროკურორი კონსტანტინე პობედონოსცევი წერდა იმპერატორ ალექსანდრე III-ს, რომ გადაეყვანათ მიტროპოლიტი იოანიკე კიევის კათედრაზე, რადგანაც მოსკოველებმა იგი ვერ შეიყვარეს, მართალია იგი უმწიკვლო ადამიანია, მაგრამ მშრალი და არ უყვარს საზოგადოებასთან ურთიერთობა. იმპერატორი დაეთანხმა მის გადაყვანას და 1891 წლის 17 ნოემბრიდან ის კიევის მიტროპოლიტია. 1896 წლიდან მიტრაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების უფლება მიეცა. სანკტ-პეტერბურგის მიტროპოლიტ პალადის (რაევი) გარდაცვალების შემდეგ 1898 წლის 25 დეკემბრის ბრძანებით წმინდა სინოდის უპირატეს წევრად დაინიშნა, რაც უჩვეულო იყო კიევის მიტროპოლიტისათვის.

გარდაიცვალა 1906 წლის 7 ივნისს, დაკრძალულია კიევის პეჩორის ლავრაში.

პავლე ლებედევი საქართველოს ეგზარქოსი 1882-1887 წლებში

ეგზარქოსი პავლე ლებედევი (ერისკაცობაში პეტრე ვასილის ძე ლებედევი) დაიბადა 1827 წლის 12 დეკემბერს ტვერის გუბერნიაში, დიაკვნის ოჯახში. 1843 წლიდან შევიდა ტვერის სასულიერო სემინარიაში, შემდეგ კი სწავლა განაგრძო პეტერბურგის სასულიერო აკადემიაში, რომელიც

¹ ურნალი „მწყემსი“, 1906 წ. N15-16, გვ. 5

1853 წელს დაამთავრა. ამავე წლის 28 ივნისს ბერად აღიკვეცა პავლეს სახელით, 5 ივლისს დიაკვნად, ხოლო 26 სექტემბერს მღვდლად აკურთხეს. 1855 წელს ღვთისმეტყველების მაგისტრის ხარისხი მიენიჭა. 1857 წელს პეტერბურგის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად დანიშნა. 1858 წლის 14 სექტემბერს არქიმანდრიტის ხარისხში აჰყავთ (1859 წლიდან აკადემიის ინსპექტორია). 1861 წელს სმოლენსკის სასულიერო სემინარიის რექტორად ინიშნება, ხოლო 1866 წელს პეტერბურგის სემინარიისა. 1868 წლის 8 სექტემბერს ვიბორგის ეპისკოპოსად აკურთხეს. 1869 წელს ლადოგის ეპარქიაში გადაჰყავთ. 1871 წლიდან კი კიშინიოვის ეპისკოპოსია. 1879 წლის 1 აპრილს მთავარეპისკოპოსის ხარისხში აიყვანეს. 1882 წლის 16 ივლისს საქართველოს ეგზარქოსად ინიშნება. 1887 წლის 19 სექტემბერს ყაზანის ეპარქიაში გადაჰყავთ. გარდაიცვალა 1892 წლის 23 აპრილს.

საქართველოში შემოსვლისას ახლად დანიშნულ ეგზარქოსს მეტად შთამბეჭდავი სიტყვა წარმოუთქვამს სამწყოს წინაშე სვეტიცხოვლისა და სიონის ტაძრებში.¹ რუს ეგზარქოსებს შორის ანტიქართული მოღვაწეობით პავლე ლებედევი განსაკუთრებით გამოიჩნეოდა. მას იმ პერიოდში მოუხდა მოღვაწეობა, როცა იმპერიის მასშტაბით რეაქციის ხანა მძვინვარებდა. რეაქციის შედეგებმა განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა საქართველოზე. ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ ამოეძირკვათ ყოველგვარი ეროვნული გამოვლინება, მეფისნაცვლის ინსტიტუტი მთავარმართებლით შეცვალებს, სახელწოდება საქართველო ამოიღეს და მის ნაცვლად „ქუთაისის“ და „თბილისის“ გუბერნიას იყენებდნენ. რუსეთის სასულიერო უწყების სურვილი იყო პავლე ლებედევს ყოველგვარი ზმარის

¹ ჟურნალი „მწყემსი“, 1883 წ. N1, გვ. 4;

გარეშე გაეტარებინა იმპერიული პოლიტიკა. ხელისუფალთა არჩევანი შემთხვევითი არ ყოფილა. პავლე ლებედევი სასულიერო პირთა შორის ჭკვიან და განათლებულ პიროვნებად მოიაზრებოდა. ობერპროკურორ ვ. საბლერის დახასიათებით, იგი იყო „ყველაზე გონებანათელი, ყველაზე მოწინავე მღვდელმთავარი, მღვდელმთავართაგან საუკეთესო, ჭკვიანი, საქმიანი, ენერგიული, კეთილშობილი.¹ ქართული წყაროებიც საგანგებოდ მიუთითებენ მის მაღალ ნიჭიერებაზე, იგი შესანიშნავი მოქადაგე და მჭერმეტყველი ყოფილა. მისი ქადაგებების კრებული 1885 წელს რუსულ ენაზე თბილისში გამოქვეყნდა.² ხოლო ჟურნალ „მწყემსის“ რედაქტორმა, დეკანოზმა დავით ღამბაშიძემ 1887 წელს გამოსცა აღნიშნული ქადაგებების ქართული თარგმანი. რუსეთის ხელისუფლება დარწმუნებული იყო, რომ ასეთი თვისებების მქონე ეგზარქოსი დაკისრებულ მოვალეობას ზედმიწევნით შეასრულებდა.

ეგზარქოსმა პავლემ კომინივიდან ჩამოიყვანა თავისი თანამზრახველი დეკანოზი პავლე ჩუდეცკი, რომელიც თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორად დანიშნა. ახალმა ეგზარქოსმა სამწყსოს ყურადღების მიქცევის მიზნით ააშენა ქალთა სასწავლებლისა და ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის შენობა, მანვე კაპიტალურად შეაკეთა თბილისის სასულიერო სასწავლებლი. მისივე მითითებით, 1884 წელს, სინოდალურმა კანტორამ მოსახლეობაში რწმენის განმტკიცების მიზნით შემოიღო წირვა-ლოცვის დამთავრების შემდეგ რელიგიურ თემაზე საუბრებისა და ქადაგებების ჩატარება, იმ

¹ Записки присутствующего в святейшем правительствующем всероссийском синоде, архиепископа Херсонского Никанора, Одесса, 1913, т. II, стр. 80;

² Слова, беседы и речи, 1885;

ფონზე, როდესაც ძლიერდებოდა რევოლუციური იდეების პროპაგანდა, გამოიცა შესაბამისი ცირკულარი, რომელიც სასულიერო პირებს ავალდებულებდა აღერიცხათ გატარებული ღონისძიებები. გამოიყო ფინანსებიც, მაგრამ ამას შედეგი არ მუტანია. ეგზარქოსი ამაში მღვდლებს ადანაშაულებდა. ისინი კი, თავის მხრივ, განმარტავდნენ, რომ მრევლი არ ესწრებოდა მსგავს საუბრებს. პავლეს მმართველობის დროს არღონში გაიხსნა სასულიერო ორკლასიანი სასწავლებლი. ეგზარქოსის ინიციატივით, 1885 წელს სიონის ტაძართან დაარსდა „წმიდა ღვთისმშობლის სახელობის რელიგიური ძმობა“, რომლის თავმჯდომარედ დაინიშნა სემინარიის რექტორი პავლე ჩუღეცკი. ძმობის სახელით იბეჭდებოდა რელიგიური ხასიათის წიგნები, არსდებოდა ბიბლიოთეკები.¹ ზოგიერთი რუსული წყარო პავლე ეგზარქოსს მიაწერს საეკლესიო მუზეუმის დაარსებას,² რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. დ. ბაქრაძეს ჯერ კიდევ 1873 წელს სურდა საეკლესიო მუზეუმის დაარსება, მაგრამ ეს იმ დროს ვერ განხორციელდა. მან 1884 წელს ეგზარქოს პავლეს წერილობით გააცნო მუზეუმის დაარსების გეგმა. ეგზარქოსს მოსწონებია ბაქრაძის გადაწყვეტილება და შეუთავაზებია, რომ საეკლესიო მუზეუმი სიონის ტაძართან არსებულ „წმიდა ღვთისმშობლის ძმობასთან“ დაარსებულიყო. საეკლესიო მუზეუმი 1889 წელს, პავლე ეგზარქოსის გაწვევის შემდეგ დაარსდა. მისი მმართველობის დროს, 1884 წელს, ორიათასიანი ტირაჟით დაიბეჭდა ბიბლია ქართულ ენაზე.

¹ მირიან ზუციშვილი, საქართველოს ეკლესიის სოციალურ-პოლიტიკური პოზიცია XIX-XX საუკუნეებში, თბ. 1987, გვ. 92;

² Православная Богословская энциклопедия, Т. IV, под. 1900, стр. 730;

ეგზარქოსი პავლე უხეშად ექცეოდა და აბუჩად იგდებდა ქართველ სასულიერო პირებს. კალისტრატე ცინცაძე ასეთ შემთხვევას იხსენებს: „იდგა შობის წინა დღე, როცა წირვის დროს ტიპიკონით „სამეუფეო მრავალჟამიერი“ უნდა შესრულებულიყო და სრულად წარმოთქმულიყო იმპერატორის ძალიან გრძელი ტიტული. მთავარდიაკვნამ, მამა მ. დავითაშვილმა, თავისი საქმის ჩინებულმა მცოდნემ, „მრავალჟამიერი“ ჩვეულებრივ დაიწყო, მაგრამ ხმა აღარ ეყო და „კაკაფონია“ განმოუვიდა. ამ ამბავმა ეგზარქოსს წონასწორობა დააკარგვინა და ამბიონიდან (ხელში ჯვარი ეჭირა) მთელი ეკლესიის გასაგონად უყვირა „ვირო!“ (საბედნიეროდ ეკლესიაში ხალხი ცოტა იყო¹ იგი ყოველგვარი ეროვნული გამოვლინების წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა. მის დროს, 1884 წელს, არქიმანდრიტების გრიგოლ დადიანისა და მაკარ ბატატუნაშვილის წინადადებით საეგზარქოსოსთან შეიქმნა კომისია ძველი ქართული საგალობლების ნოტებზე გადატანასთან დაკავშირებით. ეგზარქოსის გადაწყვეტილებით კომისიის მუშაობაში აქტიურად ჩაერთო სემინარიის რექტორი პ. ჩუდეცკი. პავლე ეგზარქოსის მითითებით, პ. ჩუდეცკი კომისიის წევრებს ურჩევდა დაენერგათ რუსული საეკლესიო გალობა, რადგან ქართული გალობა არაკეთილხმოვანია და იგი არ წაადგება ქართულ ეკლესიასო. ეგზარქოსისა და პ. ჩუდეცკის პროვოკაციული გამონღომის გამო კომისიამ მუშაობა შეწყვიტა.²

¹ კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“ მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბ. 2010, გვ. 225;

² ებუბულაშვილი, ქართული საეკლესიო საგალობლები ეგზარქოსობის პერიოდში, კრებული საქართველოს საეკლესიო გალობა, ერი და ტრადიცია, თბ. 2001, გვ. 188, შდრ. მ. ქორელი, მოგონებები და წერილები, თბ. 1962, გვ. 73;

ეგზარქოსი პავლე ლებედევი სასულიერო პირისათვის შეუფერებელ საქმიანობასაც ეწეოდა. მის დროს დაიკარგა მეტეხის ტაძრის ღვთისმშობლის ორკარედიანი ხატი, თბილისის სიონის ტაძრიდან გაქრა წმ. ნინოს სასწაულმოქმედი ხატი, მისივე განკარგულებით სემინარიის ბიბლიოთეკის გამგეს, ი. გოტინსკის დაევალა გადაერჩია წიგნები და „საეჭვო ქართული ხელნაწერები“ გაენადგურებინა. აღნიშნული დავალება სისრულეში იქნა მოყვანილი. ამ ხელნაწერებიდან სემინარიის მაშინდელმა სტუდენტმა კალისტრატე ცინცაძემ დაწვას გადაარჩინა ერთი წიგნი, რომელიც „სვანური მრავალთავის“ სახელით არის ცნობილი.¹

ეგზარქოს პავლეს მოღვაწეობის დროს განსაკუთრებით გაძლიერდა ანტიქართული საქმიანობა სასულიერო სასწავლებლებში. მისი იდეების რეალიზაციას სასულიერო განათლების სფეროში ახდენდნენ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვსკი და ეგზარქოსის მარჯვენა ხელი, სასულიერო სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცკი. მძიმე ვითარება შეიქმნა სასულიერო სემინარიაში. სემინარიის მოსწავლეებზე მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული, მოსწავლეთა შორის უნდობლობამ იჩინა თავი. დასმენა-დაბეზლება ჩვეულებრივ ამბად იქცა. აკრძალული ლიტერატურის გაცნობის გამო სემინარისტებს სასწავლებლიდან რიცხავდნენ. სულიერ საზრდოს მოკლებული სემინარიის სტუდენტები დანაკლისის შევსებას სასწავლებლის გარეთ ეძებდნენ. ისინი ხშირად სარგებლობდნენ ცნობილი მწიგნობრის ზ. ჭიჭინაძის მდიდარი ბიბლიოთეკით, სადაც უამრავ აკრძალულ ლიტერატურას ეცნობოდნენ. სემინარიის ხელმძღვანელთა უგუნური პოლიტიკის წყალობით სტუდენტთა გარკვეული ნაწილი

¹ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, კ. კეკელიძის პირადი ფონდი, N109, ფურც. 125;

XIX საუკუნის 80-იანი წლების საქართველოში არსებულ ხალხოსნურ და მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში ჩაებნენ და ათეისტებად იქცნენ.

საარქივო მასალებში დაცულია 1882 წლის 28 ივლისით დათარიღებული სინოდის ობერპროკურორის კ. პობედონოსცევის საიდუმლო წერილი საქართველოს ეგზარქოსს პავლესადმი. წერილიდან ირკვევა, რომ ობერპროკურორს სასულიერო სემინარიების ადმინისტრაციებისაგან მოუთხოვია ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა სახის სასულიერო და საერო პერიოდულ გამოცემებს იწერდნენ სემინარიები, საიდანაც ირკვევა, რომ საკმარისად დიდი თანხები იხარჯებოდა სემინარიების შემოსავლებიდან ე.წ. „ლიბერალური“ ჟურნალებზე გაზეთების გამოსაწერად. ეს გამოცემები არ იმსახურებენ არც მთავრობისა და არც სწორადმოაზროვნე საზოგადოების ნდობას. ისინი ხშირად ღიად თუ დაფარულად ემსახურებიან ცრუ სწავლებებს. ობერპროკურორი არ გამორიცხავს იმას, რომ სემინარიის პედაგოგები გაეცნონ ამ მასალებს, რათა კარგად გაერკვნენ თანამედროვე საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში, ოღონდ ესეც მოციქულის შეგონებით: „ყოველივე გამოიცადეთ და უკეთესი იგი შეიკრძალეთ“ (1 თეს. 5, 21). მაგრამ ეს არამც და არამც არ ეხება მოსწავლეებს. შემდეგ კ. პობედონოსცევი ჩამოთვლის ამ გამოცემებს: «Отечественные Записки», «Русская Мысль», «Вестник Европы», «Дело», «Мысль», «Голосъ» და სხვები. ბოლოს ობერპროკურორი ითხოვს ეგზარქოსისაგან შეიზღუდოს ან ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ აიკრძალოს გარკვეული გამოცემების გამოწერა.¹

თბილისის სასულიერო სემინარიაში დაძაბულმა ვითარებამ კულმინაციას 1886 წელს მიაღწია, როცა სასწავლე-

¹ სცსსა, საქმე 26345;

ბლიდან გარიცხულმა სტუდენტმა იოსებ ლალიაშვილმა ამავე წლის 24 მაისს სასიკვდილოდ დაჭრა სემინარიის რექტორი პავლე ჩუდეცი. თავისთავად მიუღებელი და დასაგმობი იყო მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა, მაგრამ ქართველი ხალხისთვის აღმაშფოთებელი და შეურაცხმყოფელი იყო ის სიტყვები, რომელიც ეგზარქოსმა პავლემ თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიაში პ. ჩუდეცის დაკრძალვის დღეს წარმოთქვა. ზეპირი სახით გავრცელდა ხმა, რომ ეგზარქოსმა ქართველი ერი შეაჩვენა: „დაწყვეტილი იყოს ის ქვეყანა, რომელიც ამგვარ მკვლევებს ჰბადებსო“.¹ რუსულმა გაზეთებმა («Кавказ», 1886, №132, «Русский курьер», 1886, №791) მართალია, გამოაქვეყნეს ეგზარქოსის სიტყვა, მაგრამ ზემოთ აღნიშნული ფრაზა დაბეჭდილი პუბლიკაციიდან ამოღებული იყო. ქართველ საზოგადოებას მიაჩნდა, რომ მათი შეურაცხმყოფელი სიტყვები ცენზურამ არ დაბეჭდა დაძაბული პოლიტიკური სიტუაციის გამო. ამის მიუხედავად, როგორც წყაროები გადმოგვცემენ: „აღელვება ხალხისა უმაღლეს ხარისხამდე ავიდა, მშვიდობიანი და მორჩილნიც კი ამბობდნენ, ხალხის ამგვარი შელახვა არ გაგონილა საქართველოშიო“.² საზოგადოების ამგვარი განწყობის მიუხედავად, ქართული პრესა („ივერია“, „მწყემსი“) პავლე ჩუდეცის მკვლელობას გამოეხმაურა და იგი დაგმეს, როგორც „საშიში მკვლელობა“. ჟურნალმა „მწყემსმა“ დაწვრილებით გააცნო მკითხველს რექტორის დაკრძალვის ცერემონიალი, მანვე გაზეთ „კავკაზი-

¹ საშვილიშვილი მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ, თბ. 2001, გვ. 27;

² საშვილიშვილი მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ, თბ. 2001, გვ. 27;

დან“ გადმობეჭდა დასაფლავების დღეს წარმოთქმული ეგზარქოსის სიტყვა. გაზეთმა „ივერია“ მხოლოდ მოკლედ აღნიშნა მომხდარი ფაქტი და დაამატა, რომ მკვლელს, ალბათ, სამხედრო სასამართლოს გადასცემენ განსასჯელადო. ქართველი საზოგადო მოღვაწეები პრესის მეშვეობით არ გამოხმაურებიან ეგზარქოსის მიერ ქართველთა შეჩვენების ფაქტს. ეს, ალბათ, მათი პოლიტიკური ნაბიჯი იყო, რადგან ჯერ კიდევ მკაცრი ცენზურის პირობებში შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნულ საკითხზე ყურადღების გამახვილება და მეორეც, რუსეთის რეაქციული ძალები კიდევ უფრო გააძლიერებდნენ ზეწოლას ქართველ ერზე, თუმცა ჟურნალ „მწყემსი“ ერთი ფრაზა მაინც გაიპარა, როცა რედაქტორი მომხდარი მკვლელობის შესახებ აღნიშნავდა, რომ დამნაშავე ი. ლალიევი - მოდგმით ოსი და არა იმერელი, როგორც შეცდომით ამბობდა გაზეთი „კაკაზიო“.¹ ამ ფაქტის დაფიქსირებით, როგორც ჩანს ჟურნალ „მწყემსს“ სურდა აღელვებული საზოგადოება დაემშვიდებინა და გაექარწყლებინა შეხედულება, რომ ეგზარქოსის წყევლა ქართველ ხალხს ეხებოდა.

რექტორის დასაფლავების შემდეგ შეშინებული ეგზარქოსი პოლიციის გაძლიერებული დაცვით დადიოდა და დახმარებას პეტერბურგიდან ითხოვდა. 1886 წლის მაისში რუსეთის უწმინდესი სინოდის ობერპროკურორ კ. პობედონოსცევისადმი გაგზავნილ მიმართვაში იგი მომხდარ ფაქტს ტენდენციურად აანალიზებდა და დამნაშავედ ქართველ ხალხს მიიჩნევდა. ეგზარქოსი თავს იწონებდა სასულიერო ხელისუფლების წინაშე, როდესაც აღნიშნავდა, რომ მისმა სიტყვამ „დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, მოეწონათ რუსებს და არ

¹ ჟურნალი „მწყემსი“, 1886 წ. N15, გვ. 4;

მოეწონათ ქართველების გარკვეულ ნაწილს¹. როგორც კალისტრატე ცინცაძე აღმოგვცემს, ეგზარქოსის სიტყვით შეურაცხყოფილ გენერალ-ლეიტენანტ ქრისტეფორე მამაცაშვილს პროტესტის ნიშნადა ტადარი დაუტოვებია,² ტადარში დარჩენილ ქართველებს დამცირებულად უგრძნიათ თავი, რადგან მწყემსმთავრის სიტყვა „მორწმუნე საზოგადოებისთვის იყო ღვთის რისხვა, მამულიშვილთათვის კი დაუმსახურებელი ზიზღი.“³ ეგზარქოსი პეტერბურგის სასულიერო უწყებას მოახსენებს, რომ ქართველი ინტელიგენცია ყოველნაირად ცდილობს მკვლელის დაცვას და „მიცვალებულს აბრალევენ უხეშობას, სისასტიკეს“. იგი გარდაცვლილ რექტორს წარმოაჩენს ლიბერალურ პიროვნებად, რომელიც, თითქოს, სემინარიაში გამეფებული ბოროტების აღმოფხვრისათვის იბრძოდა. ბოროტებაში ეგზარქოსი, უეჭველია, გულისხმობდა სემინარიის მოსწავლეთა სწრაფვას თავისუფლებისათვის, მაგრამ იგი არ აღნიშნავდა, რომ ბოროტების სათავე რუსული იმპერიული პოლიტიკით იყო განპირობებული. პავლე ეგზარქოსი კ. პობედონოსცევს სთხოვდა, რომ სასწრაფოდ იქნეს დანიშნული ახალი რექტორი და პეტერბურგიდან გამოეზავნოს სპეციალური კომისია სემინარიის საქმიანობის შესასწავლად, რომლის მიზანი იქნება არასაიმედო პედაგოგების დათხოვა და ეჭვმიტანილი სტუდენტების გარიცხვა. იგი ხელისუფლების წინაშე წინადადებას აყენებს, რომ გადატა-

¹ კალისტრატე ცინცაძე „ჩემი მოგონებებიდან“, მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, თბ. 2010, გვ. 237;

² კალისტრატე ცინცაძე, ქვაშუეთის წმიდის გიორგის ეკლესია თბილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მ. ქანთარია, თბ. 1994, გვ. 214;

³ კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, მ. კელენჯერიძის ფონდი N170, ფურც. 75;

ნილ იქნეს სემინარიის გამოცდები, რადგან, მისი აზრით, ცუდი ნიშნების დაწერის შემთხვევაში, შესაძლებელია კვლავ დაიდგაროს სისხლი. იგი რუსეთის უმაღლესი სასულიერო უწყების წინაშე საკუთარ თავს გამბედავ და მამაც პიროვნებად წარმოაჩენს, როცა აღნიშნავს, რომ „მეც სიამოვნებით გავცვლიდი ჩემს საეგზარქოსოს ყველაზე ჩამორჩენილ რუსულ ეპარქიაზე, მაგრამ ჩემი აქედან გაქცევა, როდესაც სერიოზული საშიშროება მემუქრება, სიმხდალე და სულმდაბლობა იქნება“, მიმართვის დასასრულს ეგზარქოსი პეტერბურგის საერო და სასულიერო ხელისუფალთაგან თანადგომას ითხოვდა.¹

ქართული საზოგადოების შეურაცხყოფის გამო პავლე ეგზარქოსის ანტიქართულ გამოხტომას გამოეხმაურა ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი დიმიტრი ყიფიანი, რომელმაც 1886 წლის 8 ივნისს სადგურ მიხაილოვოდან (ხაშური) საქართველოს მწყემსმთავარს მოსახლეობაში გავრცელებული ხმების გამო შემდეგი შინაარსის წერილით მიმართა: „თქვენო უდიდესობავ! მიიღეთ მწყემსმთავარული მოწყალეობა და თუ, - დაუჯერებელ ხმებს აყოლილი ვცოდავ თქვენს წინაშე, განმიტევით ჩემი დიდი შეცდომა, მაგრამ ეს ხმები მოგაწერენ, თითქოს თქვენ დაწყევლეთ ის ქვეყანა, რომელშიც სამწყსოდ ხართ მოწოდებული და რომელიც, ამდენად, თქვენგან, როგორც ქრისტეს პირველმსახურისა და წარმომადგენლისაგან, მართოდენ სიყვარულსა და მოწყალეობას მოელოდა.

იგივე ხმები არა სჯერდებიან თქვენი ღირსების შეურაცხყოფას და იმასაც მოგაწერენ, თითქოს სამწყსოს წინაშე ბოდიშის მოხდას აპირებთ თქვენ მიერ წარმოთქმული სიტყვების უზომო ცოდვიანობის გამო, თუ ეს ყოველივე მართა-

¹ Победоносцев и его корресподенты I, полутом 2-ой, м. 1923, стр. 26-29;

ლია, მეუფეო, თქვენი თანამდებობრივი ღირსების გადარჩენა ამასღა შეუძლია - შეურაცხმყოფელი დაუყოვნებლივ უნდა გავიდეს შეურაცხყოფილი ქვეყნიდან. ამას წრფელი გულით მოგახსენებთ თქვენივე სამწყსოს ერთი წევრი, რომელსაც სურს, ქვეყანას მორიგი განუზომელი ცოდვა ააცილოს.

ხოლო თუ ეს ყოველივე მართალი არ არის, შეშინდეთ და მოიღეთ ჩემზე თქვენი მწყემსმთავრული ლოცვა-კურთხევა“.¹

ეგზარქოსის წინააღმდეგ დიმიტრი ყიფიანის გამოსვლამ პეტერბურგისა და კავკასიის რუსული ადმინისტრაციის დიდი აღშფოთება გამოიწვია, მაგრამ მოსალოდნელი პოლიტიკური ვითარების დაძაბვის შიშით თავიანთი განწყობილება აშკარად არ გამოუხატავთ. სამაგიეროდ, როგორც კალისტრატე ცინცაძე წერს: „მრავალმა სასულიერო და არასასულიერო პირმა გამოამჟღავნეს გულისა თვისისა ნადებნი ჩვენდა მიმართ და დაგვანახვეს პირბადე ახდილი სახე თვისი.“² საიდუმლო მიმოწერებიდან ირკვევა, რომ რუსეთის ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებდა და მკაცრი ღონისძიებების გატარებას გეგმავდა. რუსეთის სინოდის ობერპროკურორი სასწრაფოდ გამოემგზავრა კავკასიისაკენ და კისლაგოდსკიდან აკონტროლებდა საქართველოში არსებულ სიტუაციას. აქ იგი ხშირად ხვდებოდა საქართველოს მთავარმართებელ ალ. დონდუკოვკორსაკოვს, სამხედრო მინისტრ პ. ვანკოვსკის და მათთან საიდუმლო თათბირებს მართავდა. 1886 წლის 20 ივნისს

¹ საშვილიშვილი მოკავშირე-დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ, თბ. 2001, გვ. 10;

² კალისტრატე ცინცაძე, ქაშვეთის წმინდის გიორგის ეკლესია თბილისში, გამოსაცემად მოამზადა, ბოლოსიტყვაობა და საძიებლები დაურთო მ. ქანთარია, თბ. 1994, გვ. 210;

ობერპროკურორმა კისლოვოდსკიდან ალექსანდრე III-ს აცნობა საქართველოში შექმნილი ვითარება და მოითხოვა დიმიტრი ყიფიანის გასახლება, რადგან როგორც პობედონოსცევი წერს: „ეგზარქოსს მიმართავს სულებური და უტიფარი წერილით და მუქარის კილოთი ურჩევს, დატოვოს კავკასია“, მხოლოდ იმის გამო, რომ რექტორის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ეგზარქოსმა გამოსატა უღრმესი მწუხარება და, ამასთანავე გულისწყრომაც ჩაღვნილი ბოროტმოქმედების გამო“.¹

ამავე წლის 25 ივნისს, როგორც ჩანს, ობერპროკურორთან შეთანხმებით, მთავარმართებელმა შინაგან საქმეთა მინისტრს დაწვრილებით გააცნო მომხდარი ამბები და აღინიშნა, რომ დიმიტრი ყიფიანის გამოსვლამ „უეჭველია ხელი შეუწყო საქართველო-იმერეთის საზოგადოების გარკვეული ნაწილის დარწმუნებას, თითქოს ეგზარქოსს მართლაც დაეწყევლოს საქართველო. ასეც რომ ყოფილიყო, მიუთითებს ალ. დონდუკოვ-კორსაკოვი, „მას არანაირი უფლება არ ჰქონდა მხარის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურისათვის ასეთი უღირსი შინაარსის წერილით მიემართა“.² იგი პოლიტიკური სიტუაციის განმუხტვის მიზნით მოითხოვს დიმიტრი ყიფიანის საქართველოდან გაწვევას. მოტანილი დოკუმენტური მასალა აშკარად მეტყველებს, რომ ყიფიანის ქმედება პეტერბურგის საიმპერატორო კარმა შეაფასა, როგორც მძაფრი პოლიტიკური გამოხტომა იმპერიის წინააღმდეგ. თავის

¹ საშვილიშვილი მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ, თბ. 2001, გვ. 14;

² საშვილიშვილი მოკავშირე - დიმიტრი ყიფიანი, მასალები XIX საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიისათვის, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა თ. ჯოლოგუამ, თბ. 2001, გვ. 10;

მხრივ, ეგზარქოსმა პავლემაც ვერ გამოიჩინა გონიერება. იგი, როგორც სასულიერო პირი, ვალდებულიც იყო მიეტყუებინა დიმიტრი ყიფიანისთვის.

როგორც ჩანს, ეგზარქოსი პავლე შორს იდგა ქრისტიანული შეწყალებისაგან და თავისი ამპარტაუნების გამო საქართველოში უკვე აღარ დაედგომებოდა. დიმიტრი ყიფიანის წერილის მიღებისთანავე სასწრაფოდ გაემგზავრა საქართველოდან და უკან დაბრუნებას აღარ აპირებდა.

რუსეთის უწმინდესი სინოდის გადაწყვეტილებით ი. ჩისტოვინის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ რევიზია ჩატარა თბილისის სასულიერო სემინარიაში. კომისიის დასკვნის საფუძველზე რამდენიმე თვით შეწყდა სემინარიაში სწავლა, არასაიმედო ქართველი მასწავლებლები და სტუდენტები სასწავლებლიდან დაითხოვეს.

რუსეთში წასულ პავლე ეგზარქოსს უკან დაბრუნება აღარ სურდა. იგი რუსეთის სასულიერო უწყებას არწმუნებდა, რომ საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში მას ფიზიკურად გაანადგურებდნენ. ამ პერიოდშიც ხშირად უხამსად იხსენიებდა საქართველოსაც და ქართველებსაც. არქივისკოპოსი ნიკანორი წერს: „ამასთან (ეგზარქოსთან) საუბრიდან უმაღლესად გავიგე, რომ არ აპირებდა უკან, საქართველოში დაბრუნებას: „რისთვის წავიდე, სულ ერთია მომკლავენ... აკი ეჭვიც არ ეპარებათ (სინოდში), რომ საქართველო მიილტვის სეპარატიზმისაკენ... აქ მოიძებნებიან მილიონები (საქართველოში), რომლებიც ან მე მიჭრენ მხარს ან არ არიან წინააღმდეგნი, მაგრამ იქვე არის ნიჰილისტური, სეპარატივული ხროვა, ართუ მცირერიცხოვანი, რომელიც მთებსაც გადააბ-

რუნებს ჩემ მოსასპობად. ისინი მოისყიდიან რომელიმე არამზადას...“¹

ტვერის მთავარეპისკოპოს საბასადმი მიწერილ წერილში პავლე წერს: „გავიგე, რომ შეგაშფოთათ თქვენამდე მოღწეულმა ამბავმა საქართველოს ეგზარქოსად თქვენი დანიშვნის შესახებ... მე გულწრფელად თქვენი კეთილისმსუველი ვარ და მიყვარხართ, ამიტომ სულაც არ ვისურვებდი, მოგიხდეთ მწარე ფიალის შესმა - საქართველოში მოღვაწეობისა. ერთადერთი მსურველი საქართველოში წასვლისა, არის მთავარეპისკოპოსი პალადი ყაზანელი, ხოლო თქვენი წინამორბედი უარს ამბობს ამ ველურ მხეცთა მხარეში წასვლაზე.“²

მთავრობაში უკვე საუბრობდნენ პავლე ეგზარქოსის შემცვლელზე. საბოლოოდ არჩევანი ყაზანის მთავარეპისკოპოს პალადი რაევზე შეჩრდა. იმდროინდელი რუსი მღვდელმთავრები და სასულიერო პირები ქართველ ხალხს აუგად მოიხსენიებდნენ და სიძულვილს ამჟღავნებდნენ საქართველოს მიმართ. მხოლოდ ერთადერთმა პეტერბურგელმა დეკანოზმა კ. მიხაილოვსკიმ შედარებით ობიექტური აზრი გამოთქვა მომხდარის შესახებ.³

იმპერატორის გადაწყვეტილებით ეგზარქოს პავლე ლებევს მთავრობის უმაღლესი ჯილდო გადასცეს და ყაზანის ეპარქიის მმართველად გადაიყვანეს, თუმცა იგი ამის შემდე-

¹ Записки присутствующего в святейшем правительствующем всероссийском синоде, архиепископа Херсонского Никанора, Одесса, 1913, т. II, стр. 47;

² 100 Автобиографические записки Саввы, архиепископа Тверского и Кишинского, Сергиев посад, т.8, стр. 348-349;

³ Автобиографические записки Саввы, архиепископа Тверского и Кишинского, Сергиев посад, т. 8, стр. 348-349;

³ Победоносцев и его корресподенты I, полутом 2-ой, М. 1923, стр. 145;

გაც აუგად მოიხსენიებდა ქართველ ხალხს: მხეცებს, ველურებს, არამზადებსა და ნაძირალებს უწოდებდა მათ. რუსეთის ხელისუფლების დიდი თანადგომის მიუხედავად, ისინი პავლე ლებედევის საქართველოში მოღვაწეობით უკმაყოფილონი იყვნენ. ობერპროკურორი კ. პობედონოსცევი პავლე ეგზარქოსთან დაკავშირებით მწარე სიმართლეს აღიარებდა, როცა წერდა: „აი, გავგზავნეთ პავლე საქართველოში, სამწუხაროდ, იგი არ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე: უნდა ყოფილიყო ჩუმად და ჩუმადვე ეკეთებინა საქმე. მან კი დაიწყო ლაპარაკი და ყველა აიმხედრა.“ კ. პობედონოსცევს მიაჩნდა, რომ საჭიროა მისი იქიდან მოშორება და პალადის გაგზავნა, გაკეთებულის დანგრევა და თავიდან დაწყება უკვე გაფუჭებული საქმისა.“¹ მთავრობის განკარგულებით ახალ ეგზარქოსად ყაზანის მთავარეპისკოპოსი პალადი რაევი დაინიშნა, რომელმაც შელახული ავტორიტეტის აღდგენის მიზნით ლიბერალური პოლიტიკის გატარება სცადა.

პავლე ლებედევი 1892 წლის 23 აპრილს გარდაიცვალა.

¹ კალისტრატე ცინცაძე, „ჩემი მოგონებებიდან“, მწიგნობრობა ქართული, წიგნი II, გვ. 35;

Archpriest Boris (Nichiperovich)
St. Andrew the First-Called Georgian University of the
Patriarchate of Georgia

**THE ACTIVITIES OF THE EXARCHOS IN GEORGIA
AT THE II HALF OF 19TH CENTURY
RESUME**

From the end of the 20th century, the events occurred in Georgia let Georgian historians to understand a lot of the facts or events of our history in a new way.

During the 70 years of Soviet rule, the history of the Orthodox Church of Georgia was in fact prohibited. The study of the history of the country was distinguished from its church history.

The study of the history of the country without the history of the national church, brought disastrous consequences to both historical sciences and the self-consciousness of the Georgians.

For the last few decades the interest to the past of the Georgian Church have greatly increased. Many letters or articles have been written. The special interest is caused by the autocephaly of 19th century, the history of the Georgian church that was taken away and anti-Georgian activities of the exarchos working here.

The present article highlights the activities of some Exarchos of Georgian church in the second half of the 19th century, namely Evsevy Ilynsky (1858-1877), Ioanik Rudnev (1877-1882), Pavel Lebedev (1882-1887). Their primary purpose was to arrange the Georgian Church like the Russian Church. Georgian traditions were disrupted openly or secretly. Liturgy or Prayers in Georgian language have been reduced, Georgian hymns that some Russian servicemen compared to

the "bark of the dog" were persecuted. They tried our churches to be without material basis, in order to be fully depended on the state. The number of dioceses has been reduced and there were not any blessing ceremonies of new bishops, church taxes were increased, a lot of Georgian holiness and treasure were taken from Georgia. Church of Georgia was under the greatest spiritual and material damage. As a result of their activities Georgian churches have been left without parish because they did not hear a single Georgian word in churches.

ქართველ ებრაელთა სასაფლაოები სამცხე-ჯავახეთში*

საერთოდ, ყველა ხალხში ადამიანის მიწიერი ცხოვრება რომ სრულდება, მის ხსოვნას ახლობლები პატივის მიგებითა და სიყვარულით ინახავენ და მისი ხორციელი სხეულის სამუდამო ნავსაყუდებელს - საფლავს, შეძლებისდაგვარად დიდ ყურადღებას აქცევენ.

სამცხე-ჯავახეთში ქართველი ებრაელები საუკუნეების წინ დასახლდნენ, მაგრამ დღეისათვის მათი მხოლოდ ორი სასაფლაოა შემორჩენილი სოფელ აწყურსა და ქალაქ ახალციხეში.

მართალია, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან ახალციხეში მაცხოვრებელი ებრაელები ისრაელში ამოვიდნენ (დღეს ახალციხეში მხოლოდ ორი კომლი ებრაელი ცხოვრობს), მაგრამ მათ მამა-პაპათა სასაფლაოს უპატრონობა არ ეტყობა. მას არა მარტო ეს ორი ოჯახი, არამედ ქალაქის მოსახლეობა (გამონაკლისია სომხური მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენელი. მათ შესახებ ვრცლად ქვემოთ ვისაუბრებთ) და ხელისუფლებაც სათანადო ყურადღებას აქცევს.

როგორც ვარაუდობენ, ახალციხელ ებრაელთა პირველი საცხოვრისი სოფელი აწყური უნდა ყოფილიყო. ეს არც

* კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი. FR17-89).“

ORCID 0000-0002-1964-1858

არის გასაკვირი, რადგან უძველესი დროიდან მოყოლებული ოსმალების მიერ ამ რეგიონის დაპყრობამდე აწყური მეტად მნიშვნელოვან ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. სოფელ აწყურში ებრაული სასაფლაო ციხის სიახლოვეს, ჩრდილოეთით მარჯვენა ფერდზე, მდებარეობს, რომელიც კედლითაა შემოღობილი. ტერიტორია დიდი არაა. სასაფლაოზე რამდენიმე ათეული წარწერიანი საფლავის ქვაა შემორჩენილი. არის უწარწერო ქვებიც. წარწერები ძირითადად ებრაულ ენაზეა. გვხვდება ქართულ-ებრაული ეპიტაფიებიც.

აქ გვხვდება ჩვეულებრივი საფლავის ქვები, თუ არ ჩავთვლით ებრაულ ენაზე არსებულ ეპიტაფიას და განლაგების ფორმას, მასალითა და დამზადების ხელოვნებით არაფრით არ განსხვავდება ქართველთა საფლავის ქვებისაგან. გამონაკლისია მხოლოდ შემორჩენილი სამი სამსაფეხურიანი ზიკურტები, რაც ქართული სასაფლაოსათვის სრულიად უცნოა.

იცხაკ დავიდის მითითებით, ნ. ბაბალიკაშვილს ყველაზე ძველი სასაფლაო ბორჯომის რაიონში აქვს მიკვლეული, რომელსაც ის 1728 წლით ათარიღებს. დღეისათვის ბორჯომის რაიონში ებრაული სასაფლაო, თუნდაც დანგრეულ-განადგურებული, არ ფიქსირდება. ვფიქრობთ ვინაიდან სოფელი აწყური ესაზღვრება, საუბარი ამ სოფლის ებრაულ სასაფლაოზე უნდა იყოს.

ახალციხე ყველა ნიშნით აშკარად გამოიკვეთება როგორც ქართველ ებრაელთა კულტურული ცენტრი, მათ შორის, სინაგოგებისა და სასაფლაოების მონუმენტური არქიტექტურით.

ოსმალთა ბატონობის დროსაც კი ქართველ ებრაელებს ცალკე სასაფლაო ჰქონდათ. 1830 წლიდან ოსმალეთთან შე-

მოცხოვრებულმა სომხებმა მათი სასაფლაოს მითვისება სცადეს. ებრაელებმა თავიანთი მიცვალებულები დღევანდელი სასაფლაოზე გადაასვენეს, სომხებმა კი დარჩენილი საფლავის ქვები გაზიდეს და მშენებლობებში გამოიყენეს; საოცარი, მაგრამ რეალური ფაქტია.

მდინარე ფოცხოვის მარცხენა მხარეს რაბათის დასახლების ჩრდილო-სამხრეთით საკმაოდ ფართო ტერიტორიაზე (დაახლოებით 5 ჰექტარი) ოდნავ დამრეც ფერდობზე შეფენილია სამი (სომხური, ებრაული და ქართული) სასაფლაო. სომხურ და ებრაულ სასაფლაოს 1959 წელს აშენებული კედელი ყოფს. კედლის ჩრდილო-აღმუსავლეთით ებრაული და ქართული, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით - სომხური სასაფლაოა.

„ახალციხის სასაფლაო მთაზეა შეფენილი და წარმოადგენს ”ებრაული მთის” ტრადიციულ ნიშნებს. ეს ზიკურათეზით აღმართული საუკუნოვანი ძეგლები – განსაკუთრებული მოვლენაა საერთო ებრაულ კულტურაში (და არამარტო ებრაულში). ეს ძეგლები წარმოადგენენ ქვიშა-ქვის სამსაფეხურიან პირამიდებს. მათი ფუძის ზომები 1,5X2,5 მ., სიმაღლე 2 – 2,5 მ. აღწევს, წონა 1 – 2 ტონას. ქვები მოჩუქურთმებული და დამუშავებულია არქიტექტურული პროფილებით. ანალოგიური ტიპის ძეგლი ფიქსირებულია ებრაულ ენციკლოპედიაში (”თექვსმეტტომეული”. 2. ტ.), როგორც გრაფიკული გამოსახულება ანტვერპენის სასაფლაოდან და ახლავს კომენტარი, რომ ის ებრაული ტრადიციების ეტალონია და უკანასკნელად ამსტერდამში უნახავთ და ჩაუხატიათ. ჩანს, რომ ახალციხის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნდათ. ყველაზე ძველი წარწერებიანი საფლავის ქვები, რაც ვიპოვე, განეკუთვნება 5506 (1749 წ.) სამყაროს გაჩენიდან,“ - აღნიშნავს იუჰუდა ჩორნი.

შ. ბოსტანაშვილის აზრით, „ისინი ზუსტად ასახავენ თორაში აღწერილ სამსხვერპლოს პარამეტრებს: „გააკეთე სამსხვერპლო აკაციის ხეთაგან. ხუთი წყრთა ჰქონდეს სიგრძე, ხუთი წყრთა სიგანე, ოთხკუთხა იყოს და სამი წყრთა ჰქონდეს სიმაღლე” (გამოსვ. 27:1). წყრთა, დაახლოებით 0,5 მეტრია. ამდენად მეტრულ სისტემაში სამსხვერპლოს ზომებია 2,5X2,5 მ. და სიმაღლე 1,5 მ. ტრაქტატი ”მიდოთ” გვამცნობს, რომ სამსხვერპლო შესდგება ერთმანეთზე დადებული, სამი სხვადასხვა ზომის ფილისაგან, ისე როგორც საფეხურებიანი პირამიდა. ახალციხის ზიკურათები თანდათან მიწაში ეფლობიან - მიდიან. ბოლო წლებში ”ებრაული მთა” ამკარად შეთხელდა და მალე გაუჩინარდება... აწყურის ძველი სასაფლაოს ადგილს ძნელად მივაკვლიე. ეს ახალციხელ ებრაელთა ძველი ნამოსახლარის უკანასკნელი ნაკვალევი. მიმოფანტული ”ზიკურათები” ყველაზე უფრო სვედიანი სურათია - იქნებ ასეთია სხვა, ყველა ებრაული ნაკვალევის ზვალინდელი დღეც.“

საერთოდ, ახალციხის ებრაულ სასაფლაოს ქვის ძეგლების უმრავლესობა დამუშავებისა და შემკულობით ქვითხურობის შესანიშნავ ნიმუშებს წარმოადგენს. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საფლავის ქვების არქიტექტურა; მათი სტილისტური სიმრავლე, რთული პროფილების ოსტატური დამუშავება; ძვირფასი ქვების ნაირგვარობა და საინტერესო ქართულ-ებრაული ლაპიდარული ეპიტაფიები.

როგორც აწყურის, ისე ახალციხის ებრაულ სასაფლაოს ერთი საინტერესო მახასიათებელი აქვს: ქრისტიანებისაგან განსხვავებით (მიცვალებული სახით აღმოსავლეთისაკენ უნდა იყურებოდეს) ებრაულ სასაფლაოზე მიცვალებული დაკრძალულია ისე, რომ სახით სამხრეთისაკენ იყურებოდეს (თავით ჩრდილოეთით). ინფორმატორთა გადმოცემით, იმ

ქვეყნად წასული აღქმელი ქვეყნისაკენ - ისრაელისაკენ უნდა იყურებოდეს. შესაბამისად საფლავის ქვაც ასეა დადებული.

მეორე თავისებურება ის არის, რომ ყველა სტელას ებრაული წარწერა სამხრეთის მხარეს აქვს. ხოლო მისი შესაბამისი ქართული წარწერა ჩრდილოეთის მხარეს. რაც შეეხება ახალ წარწერებს, ძალიან ხშირად სტელაზე ეპიტაფია მხოლოდ ქართულადაა შესრულებული, ხოლო მიცვალებულის გულზე დადებულ ფილაზე ებრაულად.

მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მარი ბროსემ, ხოლო 60-70-იან წლებში დღეისათვის კულტურის ეს ძეგლი მონინახულა და აღწერა იოსებ იუდა ჰალევი ჩორნიმ.

სამნწუხაროდ, მარი ბროსეს, იუდა ჩორნის, ნისან ბაბალიკაშვილსა და შოთა ბოსტანაშვილს შეგნებულად თუ შემთხვევით მხედველობიდან „გამორჩათ“ თუნდაც მხოლოდ ახალციხის ებრაელთა სასაფლაოზე არსებული ასეულობით ორენოვანი, ასევე მხოლოდ ქართულენოვანი უნიკალური წარწეები, რომლებიც ქართულ-ებრაული მშვიდობიანი თანაცხოვრებისა და ურთიერთპატივისცემის ბრწყინვალე ნიმუშია.

რაც შეეხება 90-იანი წლების ბოლო პერიოდში შექმნილი რთული კრიმინოგენული ვითარების გამო ებრაული არამედ სხვათა მათ შორის ქართველთა საფლავების დარბევის, ასევე განურჩევლად ეროვნებისა ცალკეული პიროვნების გატაცებისა და ძარცვის რამდენიმე ფაქტს ჰქონდა ადგილი. ამ მოვლენას ისრაელში წასულმა ებრაელებმა გასცეს სათანადო პასუხი. 1992 წლის 12 ივნისს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ სხვა ქვეყნების ებრაელებისადმი ქართველ ებრაელთა მიმართვა გამოქვეყნდა. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული: „გააგებინეთ მსოფლიოს, რომ ჩვენი ოჯახების დარბევას ანტისემიტიზმის გამოვლინებად ნუ მიიჩნევენ და საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტს ტყუილუბრა-

ლოდ ნუ ამოსვრიან ლაფში... ეს ჩვეულებრივი ყაჩაღური თავდასხმებია.“

სულ ახლახან რამდენიმე დღის წინ ცნობილი გახდა კიდევ ერთი ვანდალური ფაქტი. თბილისში, დამპალოს სასაფლაოზე, გაძარცვეს და დაანგრიეს 16 სასაფლაო. მათ შორის 3 ებრაელების, 13 კი მართლმადიდებელი ქართველისა (უმრავლესობა) და სომეხის იყო.

უნდა ითქვას, რომ დღესაც კი ებრაელთა სასაფლაოების დარბევა-განადგურება უცხო არ არის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნისათვის. ასე მაგალითად გასულ წელს აშშ-ში, სენტ-ლუისში უცნობმა პირებმა ებრაელთა საუკუნოვანი სასაფლაოზე ასსამოცდაათზე მეტი საფლავი დაარბიეს. ახალი წლიდან მოყოლებული სულ რაღაც თვე-ნახევარის განმავლობაში აშშ-ს 27 შტატში და კანადის ერთ პროვინციაში 67 ანტისემიტური აქტი დაფიქსირდა. სენტ-ლუისის სასაფლაოს დარბევიდან ერთი კვირაც არ იყო გასული, რომ ვანდალური ფილადელფიის ებრაულ სასაფლაოზე განმეორდა. იმავე პერიოდში ნიუორკის შტატის ქალაქ როჩესტერის ებრაული სასაფლაოც დაარბიეს.“ სხვადასხვა ქვეყანაში მსგავსი ფაქტები უცხო არ არის, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.









ჩვენ აქ მხოლოდ მცირედენი ფოტომასალა მოვიტანეთ, როგორც ნიმუში. ასეთი დაცული და მოვლილი საფლავები ასეულობით და ათასეულობით არის ქალაქ ახალციხის ქართველ ებრაელთა სასაფლაოზე. როგორც ჩვენს ხელთ არსებული დოკუმენტური მასალებიდან ჩანს საქართველოში შემორჩენილი ქართველ ებრაელთა სასაფლაოები შედარებით ხელუხლებლად სამცხე-ჯავახეთშია შემონახული.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთში ერთმანეთის გვერდით მშვიდობიანად, მეგობრულად მართლაც და ტოლერანტობით განმსჭვალულნი ცხოვრობდნენ სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლები: მართლმადიდებლები, კათოლიკეები, გრიგორიანელები და იუდეველები. ამის კარგი დასტურია დაბის ჩრდილოეთ-დასავლეთით გვერდიგვერდ განლაგებული ძველი ქართული, ებრაული და სომხური სასაფლაოები, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიები, ებრაული სინაგოგები, სომხური გრიგორიანული ეკლესია, XVIII საუკუნეში აგებული პატრებისა და ფრანგების ეკლესიები. ამ რეგიონში დღემდე შემონახულია ქართველ ებრაელთა ორი სასაფლაო. საფლავის ქვები ფორმების ნაირსახეობით, ორნამენტით და ქართულ-ებრაული ლაპიდარული წარწერებით გამოირჩევა. ისინი ქართველი ებრაელების ეპიგრაფიკულ მატრიანეს წარმოადგენენ.

დამოწმებანი:

1. Давид, Истгория еереев на Кавказе, 1, Тел-Авив, 1999.
2. ჩორნი, მოგზაურობა იმერ და ამერ კავკასიაში 1860-1870 წ.წ. /საქართველოს ებრაელთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, ტომი 3, თბილისი, 1945.

3. შ. ბოსტანაშვილი, საქართველოში ებრაელთა დამკვიდრების 26 საუკუნე, თბილისი, 1998.
4. გაზ. „ლიტერატურული საქართველო.“ 1992 წელი 12 ივნისი.

Tina Ivelashvili
Samtskhe-Javakheti State University
**GEORGIAN JEWISH CEMETERIES
IN SAMTSNKHE-JAVAKHETI
RESUME**

When earthly life finishes and a person has passes away, his memory is honored and kept in love by his family and relatives who take care of his eternal harbor —a grave as far as possible.

In Samtskhe-Javakheti two Georgian Jews'cemeteries are preserved (in Akhaltsikhe and Atskuri), both of them are looked after well. Most of the cemetery stone monuments represent the finest examples of stone processing and ornaments. The special interest is the arrangement of graveyard stones, architecture, stylistic processing and epigraphic inscriptions in Georgian and Hebrew. We can say that these monuments represent epigraphic chronicle of Georgian Jews living in Samtskhe-Javakheti.

ელდარ ნადირაძე
საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან არსებული
ისტორიისა და ეთნოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

მემორიალური კულტურის ორი ტერმინის განმარტებისათვის

საქართველოს მემორიალურ კულტურაში, ისეთი გავრცელებული ტერმინების გვერდით, როგორცაა ლოდი, მატური, სარკოფაგი, ტაგრუცი, გუადრუცი და სხვა, ვხვდებით (განსაკუთრებით აგიოგრაფიულ ლიტერატურაში) ისეთ ტერმინებს, როგორცაა “ლუსკუმა” და “ლარნაკი”. ორივე ეს ტერმინი დაკავშირებულია მიცვალებულის განსასვენებელთან და როგორც მატერიალური კულტურის პროდუქტი შუა საუკუნეების კულტურულ სფეროში ძალზე ცნობილი სახეობაა. მიუხედავად ამისა, რომ ორივე ეს ნივთი მიცვალებულის კულტანაა დაკავშირებული, როგორც ისტორიულ საბუთებში, ასევე აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ხშირად ერთმანეთშია აღრეული. მიგვაჩნია, რომ განსასვენებელთა კლასიფიკაციაში თითოეული ამ ტერმინის ქვეშ ნაგულისხმევ ძეგლს თავდაპირველად გააჩნდა მისთვის დამახასიათებელი კონკრეტული ფუნქცია და შემდგომ მოხდა მათი ერთმანეთში აღრევა. ჩვენი წერილის დანიშნულებას ამ შეუსაბამობის გასწორება წარმოადგენს.

ტერმინი “ლუსკუმა” წარმოშობილი უნდა იყოს ბერძნული სიტყვიდან “გლოსსოკომონ” რაც აღნიშნავს ყუთს, კილობანს და მოგვიანებით აქვს მას შექმნილი სამარხავის მნიშვნელობა. ასეთი ვითარება შეინიშნება ამ სიტყვასთან დაკავ-

შირებულ განმარტებით ლექსიკონებშიც. მაგალითად ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში¹ ლუსკუმა ორი მნიშვნელობითაა განმარტებული: კიდობანი და სამარხი-მიცვალებულის დასაცავი ყუთი. საბასთან და ჩუბინაშვილთან ლუსკუმა აღნიშნავს მალლა ნაგებ საფლავს². ლუსკუმის თვალსაჩინო ვარიანტს წარმოადგენს სარკოფაგი, როგორც ფეოდალური ხანის ხანგრძლივი პერიოდისათვის დამახასიათებელი სამარხის სახეობა. ასეთი სარკოფაგები საქართველოში, როგორც მთლიანი-ერთ ქვაში ამოკვეთილი, ასევე შედგენილი, მრავლადაა აღმოჩენილი. (მცხეთა, ბალიჭი, ქვემო ალმე და სხვა). ასეთ განსასვენებლებს ვხვდებით, როგორც მიწის ზემოთ-საძვალე აკლდამებში, ასევე მიწისქვეშა-დამარხულებს. აღსანიშნავია, რომ ქვის სარკოფაგებისა და მათი მსგავსი საფლავის ქვების მიმართ ტერმინი “ლუსკუმა” გააცოცხლა და მეცნიერებაში შემოიტანა გიორგი ჩიტაიამ, რაც არ იქნა გაზიარებული ანდრია აფაქიძის მიერ, იმ მიზეზით, რომ სულხან-საბა ამ ტერმინს განმარტავს როგორც “მალლა ნაგებ საფლავს” და ჩიტაიას განმარტება არ მიესადაგება მიწაში ჩამარხულ ძეგლსო.³ საქართველოს მემორიალური კულტურის შესწავლა ცხადყოფს⁴ რომ გავრცელებული წესის თანახმად მიცვალებულის ჩასასვენებელი ყუთის ფორმა (არა მხოლოდ ქვისა და ხისა, არამედ ნაჭერში გახვეული და თოკებით შეკრული) ასახვას პოულობდა მიწისზედა საფლავის ქვის ფორმაში. ანუ რა სახის განსასვენებელშიაც იყო მიცვალებული დამარხული მისი მსგავსი ძეგლი

¹ ძველი ქართული ენის განმარტებით ლექსიკონი 1973.

² ჩუბინაშვილი დ. ქართული ლექსიკონი, 1961.

³ ჩიტაია გ. ქვის კუბო ქვემო ალმედან, ენიშკის მოამბე ტ. 8, 1940, გვ 134.

⁴ ნადირაძე ე. საქართველოს მემორიალური კულტურა, 2001.

იდგებოდა მიწის ზემოთ. ამდენად, სულხან-საბას განმარტება ლუსკუმის, როგორც მალლა ნაგები საფლავის ქვის შესახებ, ვერ არღვევს გიორგი ჩიტაიას გაცოცხლებული ტერმინის შესაბამისობის ფაქტს.

ყოფილებას იქცევს ის გარემოება, რომ ხალხურ ლექსიკაში ლუსკუმი||ლუსკრუმი წარმოადგენს წყვდიადის სინონიმს¹, რაც ფაქტობრივად გამოძახილია განცდისა, რომელიც წარმოიშობა ადამიანის იმ განცდით, რომელსაც იწვევს დასაფლავების მომენტი. როგორც ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან ჩანს არსებობდა სხვადასხვა ფორმისა და მოცულობის ლუსკუმები, რომლებიც გამოიყენებდნენ, როგორც მიცვალებულთა ჩასასვენებლად, ასევე წმინდათა ნაწილების დასაცავად. ძეგლებში ზოგჯერ არაა მკვეთრად გამიჯნული ლუსკუმისა და ლარნაკის ფუნქციები და, უმეტეს შემთხვევაში, ისინი ერთმანეთს ცვლიან. გიორგი მთაწმინდელი გარდაცვალების შემდგომ შეასვენეს ხის გუადრუცში და ათონზე დასაკრძალად წამოიღეს. დაკრძალვასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოო გადაწყვეტაში ერთმა წელმა განვლო, მთელი ამ ხნის განმავლობაში ნეშტი გუადრუცში განისვენებდა, ბოლოს გადაწყდა, რომ წმინდანი დაეკრძალათ გიორგი მაშენებლის ლუსკუმაში: “..და ესე ცხოველი კიდობნით აღმოვიყვანეთ და ლუსკუმასა შინა მარმარილოსასა გიორგისა თანა მაშენებლისა დავკრძალეთ”². ტექსტის შინაარსიდან ნათლად დგინდება, რომ ეს მარმარილოს სარკოფაგი-ლუსკუმა მდგარა “ეკლესიისა შტოსა შინა მარცხენით კერძო” და ბუნებრივია დავასკვნათ, რომ რადგან მასში ორი მიცვალებულია ჩასვენებული, იგი იმ ტიპის ძეგლი უნდა იყოს რომელიც აღმოჩნდა სოფ. ბალიჭში და რომელის მსგა-

¹ ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1964.

² ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა

ვსი ამჟამადაც დგას სვეტიცხოვლის ტაძარში. ასეთი გაგებით, ტერმინი ლუსკუმა გვიანობამდეა შემორჩენილი რასაც ადასტურებს დიმიტრი ბაქრაძის გურიაში მოგზაურობის ჩანაწერი, სადაც ნათქვამია: “შემოქმედის ფერიცვალების ეკლესიაში ერთი ლუსკუმაა, რომელიც რუხი ფილაქნის სადგარზე დგას, როგორც ამბობენ, მასში ვახტანგ გურიელის ნეშტი განისვენებს”¹. ამ ორი მომენტის გათვალისწინება სავსებით საკმარისია იმისათვის, რომ გავიზიაროთ გიორგი ჩიტაიას მოსაზრებს მართებულობა სარკოფაგული განსასვენებლის ტერმინ “ლუსკუმათი” მოხსენიების შესახებ.

აქ მოტანილი ფაქტობრივი მონაცემები მხოლოდ უმცირესი ნაწილია იმის ნათელსაყოფად თუ რა სახის განსასვენებელია ლუსკუმა, მაგრამ ასევე მრავალი ფაქტობრივი მონაცემია იმის საილუსტრაციოდ, რომ ლუსკუმა სხვა ფუნქციითაა დატვირთული და იგი ძალზე დაშორებულია მიწისქვეშა სამარხი ჭურჭლის დანიშნულებას. პირველყოვლისა ამის საილუსტრაციოდ გამოდგება იმავე წერილობით ძეგლებში წარმოდგენილი ცნობები ვერცხლისა და ოქროს ლუსკუმების შესახებ, რომლებიც ბუნებრივია ვერ იქნებოდნენ ზემოთ უკვე ნახსენები მიწისქვეშ განსათავსებელი სარკოფაგული ძეგლების მოცულობისა და ადვილი მისახვედრია, რომ ასეთი ლუსკუმის ქვეშ მოიაზრება წმიდათა ნაწილების დასაცავი ყუთი. “ჯვარგამოჩინებაში”, “ბალავარის სიბრძნეში” სწორედ ასეთ ლუსკუმებზეა მინიშნება.² ილარიონ ქართველის გარდაცვალების შემდეგ ხალხი წინააღმდეგი იყო წმინდანის ქალაქში გადასვენებაზე, ამიტომ, მათგან დაფარულად, ღამით, აღიხუნენ ნაწილნი წმიდისანი და შტასხნეს ლუსკუმასა მცირესა”, მიი-

¹ ბაქრაძე დ. არქეოლოგიური მოგზაურობა გურია-აჭარაში, 1978. 108.

² სიბრძნე ბალაჰვარისი, ქმ ტ. 2, 344, 76.

ტანეს რა ეკლესიაში მეფემ უბრძანა თავის შვილებს ლეონსა და ალექსანდრეს “ბყრობაი მისი იმიერ და ამიერ და ესრეთ მრავლით პატივითა დაკრძალა იგი”¹, ამ პასაჟიდანაც კარგად ჩანს, რომ აქ ლუსკუმა მცირე ზომის ჭურჭელია და იგი გააზრებულა, როგორც წმინდანის ნაწილების დასაცავი ყუთი ანუ იგი უფრო შეესაბამება ლარნაკს.

სიტყვა “ლარნაკი” ბერძნულიდან უნდა იყოს დამკვიდრებული ქართულში, სადაც ის მიცვალებულის ნაშთის დასაცავ ურნას ნიშნავს. ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში ლარნაკი ხშირად გვხვდება და ძირითადად განსაზღვრულია, როგორც წმიდათა ნაწილების დასაცავი ყუთი, თუმცა არცთუ იშვიათად იგი ითავსებს ლუსკუმის მიწისქვეშ განთავსების შინაარსსაც. მისი გარეგნული ფორმა საგანგებოთ არსად არაა აღწერილი, მაგრამ, როგორც მიცვალებულთა სანაწილე საგანი, გარკვეული ტიპის ვაზის ან ყუთის ზოგადი ფორმით უნდა წარმოვიდგინოთ დაახლოებით ისეთივე, როგორც ჩვენს ეკლესიებში დაცული სანაწილეებია. საბას განმარტებით “ლარნაკი ესე არს მსგავსად კიდობნისა, შემზადებული ფიცართაგან ანუ ქვათაგან, შთასასხმელად კაცთათვის, ხოლო ვიეთნი მკვდართათვისაც შეჰმზადებენ”² ამ განმარტებასთან შედარებით დ. ჩუბინაშვილის განმარტება გაცილებით უკეთესად გამოხატავს ლარნაკის ფუნქციას “ქვათა ანუ მეტალთაგან შემზადებული საცავი წმიდათა ნაწილთა - Урна, ваза или рака святых мошей”³ ლუსკუმისა და ლარნაკის ფუნქციის საკითხს შეეხო არქეოლოგი მ. გოცაძე და დაასკვნა, რომ ისინი ერთიდაიმავე ტიპის განსასვენებელს წარმოად-

¹ ცხოვრება ილარიონ ქართველისაი, ძქალძ ტ. 2, 1967. 35.

² სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. 1, 1991.

³ ჩუბინაშვილი დ. ქართული ლექსიკონი, 1961.

გენენ¹, რაც, ბუნებრივია, არ მიგვაჩნია მართებულად. “ილარიონ ქართველის ცხოვრებაში” არის ერთი საყურადღებო ცნობა, კერძოდ, გარდაცვალების შემდგომ “შემსგავსებულთა გალობითა დაჰკრძალენ ხორცი იგი მოღვაწისანი, ხოლო საღმრთონი იგი ნაწილნი ილარიონისნი, საღმრთოდ შემურნეს და პატიოსნად დაკრძალნეს ლარნაკსა შინა ქვისასა და დადგეს ეგუტერისა შინა საყოფელსა მისსა”², როგორც ამ კონტექსტიდან ჩანს, ილარიონის ნეშტი განისვენებს ეკვდერში მდებარე სამარხში, ხოლო წმინდანის ნაწილები მოთავსებულია სამარხზე დადგმულ ლარნაკში. ამ სურათს კიდევ უფრო ამთლიანებს დავით გარეჯელის ცხოვრების ერთი ეპიზოდი. როცა ილარიონ ქართველმა მოღვაწეობა დაიწყო გარეჯის უდაბნოში პირველად დავითის საფლავის მოვლა განიზრახა და გადაწყვიტა მისი წმინდა ნაწილები სათაყვანებელ ობიექტად ექცია, ამისათვის მან ეკლესიის შიგნით, სადაც დაკრძალული იყო დავითი, “შექმნა ლარნაკი შუენიერი, რომელსა შინა აწ მდებარენი არიან პატიოსანნი ნაწილნი წმიდისა მამისა დავითისნი, სადაც გარეშე კერძო დამართებით წმიდისა სხეულისა, არს სამარხოი წმიდისა ლუკიანესი, რომელნი მრავლად შეეწვევის ყოველთა ჭირვეულთა”³ ყოველმხრივ ნათელია, რომ დავითი და ლუკიანე დამარხულნი არიან გვერდიგვერდ, ხოლო დავითის საფლავზე აღმართულია „ლარნაკი შუენიერი“, რომელშიც მოთავსებულია წმინდანის ნაწილები. ასეთი ვითარება ჩანს „სერაპიონ ზარზმე-

¹ გოცაძე მ. დაკრძალვის წესები გვიანანტ. და ადრეშუასკნ. საქართველოში, 1990. 136.

² ცხ. ღირსი მამისა ილარიონ ქართველისა, “საქართველოს სამოთხე”, საბინინის გამოცემა, 1882. 390.

³ ცხ. დავით გარეჯელისა, “საქართველოს სამოთხე”, საბინინის გამოცემა, 1882. 280.

ლის ცხოვრებაშიც“, სადაც ბასილი ამბობს: „მოვიწიე ზედა წმიდისა სამარხვოსა მისსა და ვიხილი საფლავი მისი ადგილსა ფარულსა, რომელსა ყოველნი უძღურნი მოიღებდეს დღითი დღე კურნებასა.., ხელ ვყავ და შევმზადე ლარნაკი ქვისაი და აღვადე საფლავსა მისსა და დავსხენით წმიდა ნაწილნი ლარნაკსა შინა და აღვმართეთ მას ზედა ჯვარი”¹ აქ კიდევ ერთხელ იკვეთება, რომ საფლავიდან გამოიღეს წმიდანის ნაწილები, შთაუღვეს ლარნაკში და აღმართეს საფლავზე, რათა მომლოცველებს საშუალება ჰქონდეთ მიიღონ მისგან ევლოგია და კურნება.

ლუსკუმის, როგორც მიწისქვეშა და ლარნაკის, როგორც მიწისზედა სამარხის ტიპი ესაა ადრეული შუასაუკუნეებიდან მომდინარე მემორიალური კულტურისათვის დამახასიათებელი ძეგლები, ადრეული ქრისტიანობის მატერიალურ კულტურაში რომის, რავენას, კონსტანტინოპოლის სამარხეულ კომპლექსებში ლარნაკისა და ლუსკუმის ფუნქციური გამიჯვნა სავსებით მკვეთრად ფიქსირდება და შეუძლებელია მას ასეთივე ასახვა არ ეპოვა ჩვენში.

¹ ბასილი ზარზმელი, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, ქმ, 679, ტ. 1.

Eldar Nadiradze

*Scientific and Research Institute of History and Ethnology at
the Georgian National Museum*

**FOR THE EXPLANATION OF TWO TERMS OF
MEMORIAL CULTURE
RESUME**

The work presents two monuments of Georgian memorial culture: "Luskuma" and "Larnaki". The function of these monuments in Georgian writing sources is often confined to one another. The author conveys the appropriate passages of hagiographic literature and their critical analysis concludes that Luskuma is a burial chest, and the Larnaki is the vase, the pearl, or the dish, which protects the the holy parts.

თებრონე ნადირაძე
საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან
არსებული ისტორიისა და ეთნოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

სულიერი ტრადიციების შესახებ აღმოსავლურ ბერმონოზნობაში

ცნობილია, რომ ქრისტიანულ აღმოსავლეთში არ არსებობდა სულიერი ღვთისმეტყველების სისტემური გადმოცემა, სამაგიეროდ აქ არაჩვეულებრივად გაიფურჩქნა საუბრებისა და განმარტებების დარგი, რომლიც იშვიათად თუ იძენდა წერილობით ხასიათს.

მიუხედავად იმისა, რომ ანტონ დიდთან ვხვდებით პირველ ასკეტურსა და მისტიკურ სახელმძღვანელოებს¹, ეს ნაკლებად გვაძლევს უფლებას შევაფასოთ ისინი სულიერი ღვთისმეტყველების სისტემურ გადმოცემად. ესაა სქოლასტიკურ სტილს მოკლებული, მარტივი წინადადებებისაგან შედგენილი სახელმძღვანელო წესების კრებულები, სადაც ქრისტიანული მოძღვრების ესა თუ ის მხარე თავისი ნათელი სტილით გასაგები იყო ყველასათვის. ამ წესებსა და სხვადასხვა საჭირო გამონათქვამებს იმეორებდნენ, იზეპირებდნენ და განმარტავდნენ.² ამას ემატება გეოგრაფიული, ისტორიული და ნაციონალური თვითმყოფადობის შეგნების წინა პლანზე წამოწევა, რითაც ქრისტიანული აღმოსავლეთი

¹ათანასი ალექსანდრიელი, ცხორებაი წმიდისა ანტონისი, 1970

² Шпидлик, Ф. Духовная традиция Восточного Христианства 2000, 8

იწყებს თავისებური ნიშნების შექმნას, რომელიც საკმაოდ განსხვავებულია ლათინური დასავლეთისაგან.

უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აღმოსავლური სულიერი ტრადიცია შემოქმედებითად უდგება მის ყოფიერებაში არსებულ მოვლენებს, განსხვავებით დასავლეთისაგან, სადაც დოგმები რჩებიან დოგმებად. სულიერი მოძღვრების სახელმძღვანელოების შედგენა გარკვეულად მიაგავს ტრაქტატის შექმნას ზოგადად ხელოვნებაზე, რომლის შემქმნელს მიაჩნია, რომ რაც შექმნა იგი ამომწურავია, შეუმცდარია და ყველასაგან სავალდებულოდ მისაღები. ამის მაგალითად შესაძლოა გამოვიყენოთ რუსული ხატები, რომლებიც გამოირჩევიან ფერთა სიუხვით, მაგრამ ხაზისა და ფორმის მხრივ არასოდეს არ განიცდიან ცვლილებებს, ისტორიულად ჩამოყალიბებულ ტრადიციებთან მიმართებაში. აღმოსავლური ოსტატისათვის კი განვითარება და პროგრესი გამოიხატება იმპულსური წაქეზებით და ფორმის შეცვლის სურვილით, რესტრუქტურისაციით.¹

ქართულ მეცნიერებაში ამის საწინააღმდეგო შეხედულება არსებობს, სადაც გატარებულია აზრი, რომ თითოეული ერის ქრისტიანულ კულტურაში არაა და არც უნდა იყოს კანონიკიდან გადახვევის მცდელობა. ყველაფერი, რაც სხვათა ქრისტიანულ ხელოვნებაში ხდება, არის ბიზანტიურ-ქრისტიანულ საწყისებზე აღმოცენებული და ამ ფორმების, რა სახითაც არ უნდა იყოს შეცვლა მკრეხელობაა, ქრისტიანული ერთიანობის იდეის დარღვევაა.²

ამ აზრის საპირისპიროდ ქართულ ხელოვნებაში რელიეფურადაა გამოხატული ეპიგონიზმიდან გათავისუფლების

¹ Шпидлик, Ф. Духовная традиция Восточного Христианства 2000, 9

² ზ. კიენაძე, ეკლესია გუშინ, ეკლესია ხვალ, 2003, 46

მცდელობა, მიუხედავად იმისა, რომ ორთოდოქსული ბიზანტიური სტილი ბევრ რამეში დომინირებს, ქართველი ხელოვანი არაა შეზღუდული მონური შიშით ბიზანტიური კანონიკური სტილის მიმართ, რის დამამტკიცებელ უამრავ საბუთს იძლევა ქართული საეკლესიო მხატვრობა და არქიტექტურა. აღმოსავლური ბერმონაზვნობისთვის ეს ტენდენცია ზოგადი ხასიათისაა, ამის შესახებ მიუთითებს პაპიზმის აღმოსავლური ინსტიტუტის პროფესორი თომა შპიდლიკი, რომლის მიხედვით აღმოსავლეთის ბერები არ ცდილობდნენ დიდ საეკლესიო მამათა შემოქმედების ზუსტ მოდელირებას, ისინი სულაც არ იყვნენ შებოჭილნი და შეეძლოთ “მამათა შემოქმედებაში” ახალი ტონები შეეტანათ, განსაკუთრებით ისეთი, რაც ახლო იყო მათ პირად განწყობილებასთან და მათ ნაციონალურ კულტურასთან. აი, რაა ყველაზე ამაღლებული და მნიშვნელოვანი ყველანაირ სქემებთან მიმართებაში, „ჩვენ არ გვსურს, ვისაუბროთ ქრისტიანობაში ბერძნულ, სირიულ და რუსულ, ან სხვა მიმდინარეობათა ადაპტაციაზე, მაგრამ თუ ამის გამოხატვას მოვისურვებთ შესაბამისი გაგებით, მაშინ მისაღები იქნება, ვილაპარაკოთ გარკვეულ ნაციონალურ კონტაქტებზე“ იმის თქმაც საჭიროა, რომ აღმოსავლეთის თითოეულ ეკლესიას ჰქონდა თავისი სულიერი მიმართულება და თავიანთი მამების გამგებლობა. რაც შეეხება ქართულ ეკლესიას, „დარჩა რა ერთგული ბერძნულ-ქალედონური მართმადიდებლობისა, ქართულმა ეკლესიამ შეინარჩუნა ასევე აღმოსავლური, არაბიზანტიური ნიშნები, რამაც შეაძლებინა მას შეენარჩუნებინა თავისი თვითმყოფადობა“.¹

¹ Шпидлик Ф., Духовная традиция Восточного Христианства, 2000, 17.

აღმოსავლურმა ბერმონაზვნობამ იცის ისინახტა უმკაცრესი ბუნებაც და ეგვიპტური ბერ-მონაზვნობის დემოკრატიული ხასიათიც. ისინახტების უკიდურესობა, უდაბნოში განმარტოებული და ასკეტურ პირობებში ჭვრეტითი ცხოვრება, არ გამხდარა აღმოსავლეთში დოგმა, არამედ იყო სხვა მოღვაწეობაც, რომელიც არ უარყოფდა ადამიანებთან ურთიერთობით ღმერთამდე მისვლას, რაც ასე კარგად გამოიხატა მოციქულთა ცხოვრებაში, რაც შეუძლებელია არ გამხდარიყო სამაგალითო მათი ცხოვრების გამზიარებული და მიმდევარი ხალხისათვის.

პახომი დიდის დადგენილი სამონასტრო კანონმდებლობა, რომელიც ბევრ რამეში ეყრდნობოდა ბასილი დიდის შეხედულებებს, განმტკიცებული იყო იუსტინიანეს კანონმდებლობით და „სტუდიელთა“ რეფორმით. ფაქტობრივად, აღმოსავლური ბერ-მონაზვნობა თავისი წეს-ჩვეულებებით დამყარებული იყო ამ კოდექსზე, რაშიც გათვალისწინებული იყო ძმათა ერთიანობის იდეა.

აღმოსავლური ეკლესიისათვის დამახასიათებელია ქრისტესთან ახლომყოფების გაძლიერებული მიმართულება, მის ადამიანურ ბუნებასთან მიახლოების სურვილი, მისი დამსგავსების მცდელობა და ეს არაა მიჩნეული მკრეხელობად. დიდი საეკლესიო მამა გრიგოლ ღვთისმეტყველი ქრისტეში ერთიანობას ასე განმარტავს: „გუშინ ქრისტესთან ერთად ჯვარს ვეცვი, ახლა მასთან ერთად ვარ ამალღებული. გუშინ მასთან ერთად გარდავიცვალე, დღეს კვლავ მასთან ერთად ვცოცხლობ, გუშინ დავიკრძალე მასთან ერთად, დღეს კი მასთან ერთად აღვსდები. ჩვენ დავემსგავსეთ ქრისტეს,

რადგან ის კაცად ჩვენი გულისთვის იქცა, ის ჩვენ სულზე უფრო ახლოსაცაა ჩვენთან“.¹

ვფიქრობ, ეს გამონათქვამები სავსებით ცხადყოფს, თუ როგორი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს აღმოსავლელი მართლმადიდებლისათვის ქრისტეს ყოველ მოქმედებას, მისი ცხოვრების ყოველ დეტალს. ამიტომ, ის უნდა გავრცელდეს მორწმუნის ცხოვრების წესადაც და მისაბადი უნდა იყოს ყოველი ქრისტიანისათვის. აიღოს ქრისტეს ცხოვრებიდან ყველამ იმდენი, რამდენის ატანასაც შეძლებს. იცხოვროს, იმოღვაწეოს ისე რომ სხეული არ გამოფიტოს და საქმის აღსრულება შეძლოს. როცა ქრისტიანობა ფეხს იდგამდა და იესო მოციქულებს სამოღვაწეო გზებს უსახავდა, უმკაცრესად აფრთხილებდა, მომავალი საშიშროების გადასალახავად ძალა არ დაეშურებინათ. იგი თავად აძლევდა ყველას შრომის, მოქმედების, და საერთოდ, ძალზე აქტიური ცხოვრების მაგალითებს. შეუძლებელია, მის აქტიურობას დაუპირისპირდეს უძრაობის მკაცრი ასკეტობის აპოლოგია, ასკეტიზმი ესაა ცალკეულ ადამიანთა განსაკუთრებული ხვედრი და არავითარ შემთხვევაში ყველა ქრისტიანის ზოგადი წესი და მკაცრი მოთხოვნილება. ქრისტე 40 დღე შეემშია, ხოლო შემდეგ პარეხიდან გამოვიდა და ხალხზე ზრუნვას მიჰყო ხელი. ამიტომ, ქრისტეში ცხოვრება იმასაც ნიშნავს, რომ იყო აქტიური მესიასავით, მაგრამ აქაც უკიდურესობაში არ უნდა გადავარდეს ადამიანი და იმდენად არ უნდა მოაუძღუროს შრომით სხეული, რომ უმთავრესი საქმე - ღმერთის მსახურება ვეღარ შეძლოს.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური თეოლოგიური აზრი, რომელიც განმსჭვალულია პრაქტიკული მოღვაწეობის

¹ Григорий Богослов, О святом пасхе, М., 1912 ст. 172.

იდეით, ქრისტესთან დაახლოების ასეთ გზას ვერ ხედავენ აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში. ისინი წინ წამოსწევენ აღმოსავლური მართლმადიდებლობის პასიურიურობას: თითქოს აღმოსავლეთმა თავი შეიზღუდა ჭვრეტითი ყოფით და დარჩა უმოქმედოდ და განუეითარებლად. ამის უარყოფა სავსებით შესაძლებელია აღმოსავლურ ბერმონაზვნურ ცხოვრებაზე დაკვირვებით, რაც ძალზე გამოხატულადაა წარმოდგენილი ადრეული მეუღაბნოების ეპოქის უდიდეს ცენტრებში ეგვიპტეში—ანტონი დიდის დაარსებულ მონასტრებში. ამის დადასტურება კარგად შეიძლება ქართულ მონასტრებშიაც, რომლის ზოგადი ხასიათი შესანიშნავად გახსნა და წარმოაჩინა მიხეილ თარხნიშვილმა და მისი განმარტება ამ მხრივ კლასიკურ, ფუნდამენტურ შეფასებადაა ქცეული ზოგადად ქართული ბერ-მონაზვნობის დახასიათებისათვის: „ქართველი ბერები რწმენით ძლიერი აღმოსავლეთის შვილები არიან და ისინი იშვიათად თუ გადალახავენ ნორმალურის საზღვარს. მას შორს უჭირავს თავი ყოველგვარი გადაჭარბებისაგან, ფანატიკოსობისა და ექსცენტრიულობისაგან. იგი თავისუფალი რჩება დაუძღურებელი სკეფსისისა და კრიტიკული მეცნიერულობისაგან, ღრმად მორწმუნე ნებდება მართველ სულს და ფიქრსა და მოქმედებას წარმართავს ერთი აუცილებლობისაკენ, რისთვისაც თვითონ არის მოწოდებული: სიკეთით გახდეს ის, რაც არის ღმერთი თავისთავად“.¹

აღმოსავლური ქრისტიანობის ერთი დამახასიათებელი ნიშანია ნაციონალურ ენათა დაცვის ტრადიცია, აღმოსავლური ლიტურგია ენათა მრავლობაში თავიდანვე ადასტურებდა ღვთის მრავალფეროვან სიბრძნეს, ერთიანი საეკლე-

¹ თარხნიშვილი მ., წერილები, 1994, გვ. 554.

სიო ენის გაბატონების ტენდენცია დღეს აქტიურია და მას მიეღწევის დასავლური ეკლესია. აღმოსავლეთში, ისტორიულად ამის მცდელობა ჰქონდათ ბერძნებს, რასაც ასაზრდოებდა პირველობის სურვილი დანარჩენ ეკლესიებზე. სახარება ამ პრობლემის გადაჭრისათვის იძლევა ძალზე ნათელ მაგალითებს, კერძოდ: ქრისტემ სულიწმინდის მოფენის დროს ენათა ნიჭი მისცა მოციქულებს, რათა მათ გასაგებ, მშობლიურ ენაზე ექადაგათ ხალხთან და ეს მოქმედება სანიმუშო მაგალითად უნდა დარჩეს ქრისტიანობაში. ენათა გაერთიანების იდეა ესაა ქიმერა, რომელსაც განხორციელება არ უწერია. მშობლიური ენის მნიშვნელობა განუსაზღვრელია თავად ქრისტიანული არსის შემეცნებისათვის, რადგან ადამიანი ყველაზე უკეთ შეიცნობს ღმერთს თავის მშობლიურ ენაზე. სხვათა შორის, ამ ვითარების საუკეთესო საილუსტრაციო მასალას ვხვდებით ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებაში: საბერძნეთში მძევლად გაგზავნილი პატარა ექვთიმე დიდხანს იმპერატორის კარზე ცხოვრობდა და იზრდებოდა ბერძნულ ატმოსფეროში და იღებდა ბერძნულ განათლებას. როცა ათონზე მყოფმა იოანემ გაიგო შვილის ამბავი, მსწრაფლ გაეშურა მასთან, დაიბრუნა იგი და წაიყვანა თავისთან ათონზე. გამოხდა ხანი და ერთ დღეს ბავშვი ისე ავად შეიქმნა, რომ მის გამობრუნებას არვინ ელოდა. იწვა ფერმიხდილი საწოლზე და ხმას აღარ იღებდა. ერთ დღეს ეკლესიიდან გამოსული დამწუხრებული მამა შვილის სენაკს მიუახლოვდა, შეალო კარი და ნახა, რომ ბავშვი სრულიად ჯანსაღი სახით წამოდგარია, გახარებული და საუბრობს წმინდა ქართულით, რაც მანამდე გარკვეულად უჭირდა. როცა მას ასეთი სასწაულის მიზეზი ჰკითხნა, ექვთიმემ მიუგო, რომ გამოეცხადა ღვთისმშობელი, უბრძანა ადგომა, გააჯანსაღა და უთხრა: „ამიერიდან წმინ-

დად უბნობდე ქართულად“-ო.¹ დიდი ქართველი მოღვაწის, გიორგი მთაწმინდელის ამ მონათხრობში სრულიად გარკვეულადაა გადმოცემული, თუ რა მნიშვნელობა აქვს მშობლიურ ენას ადამიანისათვის. უფრო სწორედ აქ პასუხია გაცემული ბერძენთა პრეტენზიებზე, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ ქრისტიანულ მართმადიდებლურ სამყაროს ისინი წარმართავდნენ და, ამდენად, ამ რწმენის ენაც ყველგან ბერძნული უნდა ყოფილიყო.

ენათა ერთიანობა, რომელიც სულიწმინდის მოფენით მოხდა, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ენათა ურთიერთობა და არა რომელიმეს პირველობა. იმდენად, რამდენადაც ენათა სიმრავლე არის დადებითი და ბუნებრივი, ნაციათა ჰარმონიულ ერთიანობაში ყველა ხალხმა მიიღო ღვთისაგან თავისი მოწოდება. თუმცა ეს ასე არ ესმოდათ ბერძნებს და შემდგომში არც რუსებს, რომლებთაც სურდათ მესამე რომის როლის შესრულება აღმოსავლეთის ქრისტიანულ ეკლესიაში. რუსეთში წამოჭრილი იდეა, რომ ბიზანტიის შემდეგ თავის მფარველად ქრისტიანული სამყარო ირჩევს რუსეთს, იყო სიცრუე, რადგან რუსეთს არც პოლიტიკურად და არც სულიერად არ შესწევდა ამის ძალა. ეს იყო სლავიანოფილების იდეების ანგაჟირება, რომელიც დიდხანს კვებავდა რუსულ ნაციონალურ აღტკინებას და რომლისგანაც არაფერი გამოვიდა, რადგან როგორც გამოჩენილ ქართველ მღვდელმთავარს, კირიონ III-ს აქვს შენიშნული, რუსეთის პოლიტიკური სიძლიერე მუდამ იქცეოდა რუსეთის იმპერიაში

¹ავიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ტ. 2, 1967, გვ. 68.

შემავალი ხალხის უბედურებად, რაშიც მას მუდამ გვერდით ედგა რუსული ეკლესია.¹

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ენა და ეროვნულობა არა თუ დამაბრკოლებელი, არამედ ხელისშემწყობი და გამაძლიერებელია საერთო ქრისტიანული სულისკვეთებისა, რომლითაც იკვებება ნებისმიერი მართმადიდებელი ერი.

რამდენიმე სიტყვით გვსურს, შევეხოთ აღმოსავლეთ ქრისტიანობაში სამოქალაქო საზოგადოების საკითხს, რომლის იდეალურ ვარიანტად მიჩნეულია სასულიერო და საერო ხელისუფლების ერთიანობა, რაც კარგად გამოიხატა ცნობილი ტერმინით ე.წ. „ბიზანტიური სიმფონიით“. ამ მდგომარეობამ ასახვა ჰპოვა საეკლესიო და საერო კანონმდებლობაში, რაც აშკარად დაეტყო ნიკონ შავმთელის სჯულისკანონს. ისე როგორც დასავლეთის, ასევე აღმოსავლეთის ეკლესიაშიც მუდამ იდგა ერთი მწვავე საკითხი, კერძოდ, უმაღლესი საერო ხელისუფალის პოზიციის შესახებ ეკლესიის საკითხებში. აღმოსავლელი მამები, თუმცა განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ ამ სოფლის სიუზერენებს და არცთუ იშვიათად დამოკიდებულნიც იყვნენ მათზე, ზშირად იმალებდნენ ხმას იმპერატორთა მცდარი საეკლესიო პოლიტიკის წინააღმდეგ, თუნდაც ეს გალაშქრება სიკვდილის საშიშროების შემცველი ყოფილიყო. მრავალთაგან აქ დავასახელებთ დიაკონ ალაპეტს (VI ს.), რომელიც ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიანეს აკრიტიკებდა ეკლესიის საკითხებში, სადაც აშკარად მოჩანს ჭეშმარიტი ქრისტიანის მტკიცე პოზიცია² როცა საქმე ეხება ეკლესიას და მის არსში მიუ-

¹ Епископ Кирион, Культурная роль Иверии в истории Руси, 1910, ст. 18.

² Успенский П., История Афона, “Христианский Восток,” III, 1877, 10.

ღებლის დანერგვის მცდელობას. ეს არაა ერთადერთი შემთხვევა, ეს ზოგადი მახასიათებელი თვისებაა აღმ. ეკლესიისა, რომელიც უზურპაციის არავითარი გამოვლინების მომხრე არ შეიქმნა პირადი კეთილდღეობის სანაცვლოდ. აღმოსავლურ ეკლესიაში საქმე ეხება სუვერენის არა ღვთიური ძალის მინიჭებას, არამედ ღვთის ძალაუფლებისადმი მორჩილებას.¹

აღმოსავლური ეკლესია გამოკვეთს სახარებისეულ მაქსიმას-სიკეთის უზენაესობას; რაც არ უნდა ცუდი გაგიკეთონ, იმას ნუ გაუკეთებ სხვას, გამოიჩინე სიკეთე ადამიანთა მიმართ და გიყვარდეს მოყვასი შენი, ესაა კონკრეტული ვალდებულება ყოველი ქრისტიანისა. იგი ყოველი ხერხით ებრძვის მრავალსიტყვაობას, მითუმეტეს ბერისათვის, რომლისთვისაც მდუმარება ოქროა. ბასილი დიდის სწავლებით „ცოდვანი ენისა მიერ შეითხზვიან“ და მრავალსიტყვაობა ცოდვის დამბადებელია, მაგრამ, რადგანაც სიტყვა ადამიანის ნიჭის გამოხატულებაა, ამიტომ დიდი დაკვირვება მართებს ყველა მესიტყვეს, რათა თავისი სიტყვით განსაცდელში არ ჩაიგდოს თავი. ამიტომაც გამოიწრობოდნენ ასკეტი ბერები სიჩუმით, რაც მიანიშნებს იმას, რომ ისწავლო ლაპარაკი და ბაგეები ჩააყენო მხოლოდ ღვთის სამსახურში. სიჩუმის ხელოვნებაც ხელოვნებაა და დიდი გამძლეობის ნიშანი. აღმოსავლეთში ერთიცა და მეორეც, სიჩუმეც და სიტყვიერებაც თუ სწორადაა ქრისტიანული თვალსაზრისით დაყენებული, ორივეს მეშვეობით შეიძლება ნეტარების მოპოვება. დიდი საეკლესიო მამა გრიგოლ ღვთისმეტყველი თავის მისიად თვლიდა, რომ სიტყვით მსახურებოდა ღმერთს და, ქრისტიანობის წინააღმდეგ მიმართულ მრავალ საპოლემიკო საკით-

¹ Шпидлик Ф., Духовная традиция Восточного Христианства, М., 2000, ст. 193.

ხში ჩაბმული, იგი ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევდა, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა იმ ეპოქის ეკლესიის საფუძვლების განმტკიცებაში.

აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში უაღრესად საინტერესოა თემა შრომის ვალდებულების შესახებ. “ხელნი ჩემნი მმსახურებდეს მე”, მოციქულის ეს ნათქვამი შრომისადმი დამოკიდებულებას ხდის აპრიორულს, მაგრამ საქმე ეხება შრომას იმ ზომამდე, რომ ბერს თავის უმთავრეს საქმეში-ლოცვაში და სალიტურგიო მსახურებაში ხელი არ შეეშალოს. თავდაპირველად პავლე მოციქულმა კატეგორიულად დააყენა შრომის ვალდებულება: „ვისაც არ სურს შრომა, ნურცა ჭამს”.¹ შრომის აუცილებლობის უმთავრესი მაგალითები წარმოაჩინა ეგვიპტურმა ბერმონაზვნობამ, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ანტონ დიდმა. ეგვიპტური მონასტრების სამეურნეო კულტურის მშვიდი, კოლექტიური და ამავე დროს ნაყოფიერი მოქმედების მაგალითები დღემდე სანიმუშოდ რჩება ბერმონაზვნობის ისტორიაში. საგულისხმოა, რომ გარეჯის სამონასტრო ცხოვრებაზე დაკვირვება სრულიად გვარწმუნებს, რომ აქაური შრომის იდეალი ბევრი რამით უახლოვდება ეგვიპტის პირველ მამათა დამკვიდრებულ წესებს. თავად ნტონი დიდია საფუძვლის ჩამყრელი აღმოსავლურ მონასტრებში შრომის კულტურის აღორძინებისა, რომელიც მრავალწლიანი განდევნილური მოსაგრეობის შემდეგ მონასტერში დაბრუნდა და ხელი მიჰყო მეურნეობას, რითაც მაგალითი მისცა მთელი ეგვიპტის ძმობას და აჩვენა, რომ ამ გზით შეიძლებოდა დიდი სულიერი მისიის წარმატებით შესრულება, რომელსაც ბერმონაზვნობა ისახავდა მიზნად.

¹ II თესალონიკელთა მიმართ 3:10

ადამიანთა მიმართ სიყვარული გამოიხატება მათზე ზრუნვით და ზნეობრივი მაგალითების მიცემით, რასაც აუცილებლად აძლიერებს შრომის აპოლოგია, შრომითი მაგალითების მიცემა, რადგან შრომაა ყველა სიკეთის საწინდარი, ხოლო უშრომელობა ყველა ბოროტებისა. როცა საუბარია ქართულ სტუმართმოყვარეობაზე, ამას ჩვენ მივიჩნევთ ჩვენს ეთნოკულტურულ თვისებად და ეს მართლაც ასეა, მაგრამ ეს თვისება ზოგადი მახასიათებელია ყველა მშრომელი ქრისტიანისა და ამის საუკეთესო მაგალითებს იძლევა თავად ქრისტე. ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ მონასტრული ცხოვრების ძირითად მიზანს წარმოადგენს მხოლოდ ჭკვრეტითი ცხოვრება და აღმოსავლური ქრისტიანობის ზოგიერთი კრიტიკოსი უაღრესად უბადრუკ ფერებში წარმოადგენს მას.¹ ასეთი კრიტიკის ტიპიური მაგალითი მოგვცა ადოლფ ჰარნაკმა, რომელიც ბერ-მონაზვნობის წარმოშობის საფუძველს ეკლესიის უზურპაციაში ხედავს და ასკვნის, რომ ამან გამოიწვია დამცირებულ ადამიანთა უდაბნოში ლტოლვა და იქ დიდი კოლექტიური გაერთიანების ჩამოყალიბება, რაც საბოლოოდ გახდა შემაშფოთებელი ეკლესიისათვის და მან გადადგა ნაბიჯი ბერობასთან შესარიგებლად. ასეთი დიდი სულიერი იდეის ნიველირების მიზეზს რაც ბერ-მონაზვნობის წარმოშობას უდევს საფუძველად, ჰარნაკი არ სთავაზობს მკითხველს. ამასთან ერთად იგი ბერობას მოწადინებულ ადამიანებს შრომით შეშინებულებს უწოდებს მაშინ როცა მთელ აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში შრომის აპოლოგია უდიდეს როლს თამაშობდა. ჰარნაკი ასახელებს სისასტიკის მაგალითებს, რომელიც მართლაც არსებობდა ასკეტობაში, მაგრამ ფაქტობრივად ესაა ადამიანის პირადი ნება

¹ Гарнак А. Монашество его идеалы и его история, СПб, 1908
გვ. 28

და ასეთ განსაკუთრებულ სისასტიკეს არცთუ იშვიათად თვით აღმოსავლელი მამებიც ეწინააღმდეგებოდნენ. ჰარნაკს მიაჩნია, რომ აღმოსავლურ ბერობაში ადამიანი უარყოფს კულტურას, ბუნებას, ადამიანთა ურთიერთობას, ცოდნას, სიხარულს და უარს ამბობს ადამიანურ ღირსებაზე.¹ იგი მსჯელობს ადრეული საუკუნის ბერმონაზვნობაზე და სავსებით ტოვებს მხედველობიდან აღმოსავლელი ბერების სამონასტრო ცხოვრების შრომით გაჯერებულ ისტორიას. დიდებით მოსილ, ზნეობრივ ცხოვრებას რომელიც შემოსილია სიხარულის, ურთიერთგატანის, სიყვარულის, ღირსების, თანალმობის უდიდესი გრძნობით, ოღონდ ისინი ზოტბას არ აღუვლენენ ამისათვის ერთმანეთს, აკეთებენ თავიანთ ადამიანურ საქმეს და არ ამპარტავნებენ – კეთილნი, მშრომელნი და ღვთისმოშიშნი რომ არიან.²

აღმოსავლური ბერმონაზვნობის საერთო მახასიათებელი ნიშანია შრომის აპოლოგია, თუმცა გამონაკლისი მუდამ არსებობს და აქაც იყვნენ ჯგუფები და მიმდინარეობები, რომლებიც უარყოფდნენ ბერისაგან ფიზიკური შრომის მიმდევრობას, სამაგალითოდ შესაძლოა, დაგვესახელებინა მესალიანელები, რომლებიც მიიჩნევდნენ, რომ მორწმუნეს მთელი თავისი დრო უნდა მიეძღვნა სალიტურგიო მსახურებისთვის. ასე ესმოდათ ეს XIX ს. რუს ბერებს, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ მონაზონის მოწოდებაა არა სწავლა, განვითარება და შრომა, არამედ გამუდმებული ლოცვა. როგორც უკვე აღინიშნა, ასეთი გადაჭარბებანი და ერესული დამოკიდებულება ბერმონაზვნობაში ხშირად იყო, მაგრამ მი-

¹ Гарнак А. Монашество его идеалы и его история СПб, 1908, ст. 13

² Казанский П., История православного монашество на Востоке, ч. М., 1854.

სი მტკიცე ხაზი მუდამ ეყრდნობოდა შრომის აპოლოგიას და აქტიური ცხოვრების აზრს, რის გამოხატულებასაც წარმოადგენს უზარმაზარი კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც ღვთისმსახურების ამ უდიდეს სფეროში შეიქმნა.

გვსურს, ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ აღმოსავლური ბერმონაზვნობის იდეალს წარმოადგენს მეუღაბნეობის ისეთი ფორმა, როცა ცალკეული პირები ირჩევენ მოსაგრეობის ინდივიდუალურ ფორმებს. ზოგჯერ ეს პროცესი უმართავ ხასიათს ატარებდა (მაგალითად: სხეულებრივი ტანჯვის განსაკუთრებული ფორმები) ეკლესიის გაძლიერების შემდგომაც ასკეტიზმის ასეთი ფორმა განაგრძობდა არსებობას, მაგრამ ეკლესია ცდილობდა მასზე კონტროლი დაეწესებინა, რადგან სამონასტრო ცხოვრება ზოგადად და განდეილობა, კერძოდ, მთელი ეკლესიის ავტორიტეტს განსაზღვრავდა. ეკლესიის ისტორიამ იცის მაგალითები, როცა თავად საეკლესიო პირნი ურჩევდნენ უკიდურესი ასკეტიზმის მიმდევრებს შეერბილებინათ სხეულებრივი წამების ფორმები (მაგ. როცა სვიმონ II მესვეტემ ფეხებზე თოკები შემოიკრა ისე მაგრად, რომ ჭრილობიდან სისხლმა დაიწყო დენა და დაუჩირქდა, მოსთხოვეს, რომ შეეწყვიტა ასეთი ქმედება).

მიუხედავად ამისა, აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში მოსაგრეობის მკაცრ ფორმებს თავისი ისტორია აქვს და იგი არსებობს კინოვიური ბერობის პარალელურად. შემჩნეულია, რომ ასეთი გადაწყვეტილების დროს ბერები თავად ირჩევენ სამოღვაწეო ფორმას და ზოგჯერ ისინი ცდილობდნენ ამ არჩევანში ორიგინალური ყოფილიყვნენ და არავის ექვემდებარებოდნენ. ასეთი მოსაგრეობიდან შესაძლებელია დავასახელოთ: მოხეტიალენი, რომლებსაც არ ჰქონდათ არავითარი თავშესაფარი და სადაც უღამდებოდათ იქ უთენდებო-

დათ, მესვეტენი, რომლებიც ცხოვრობდნენ ქვის სვეტებზე, სადაც მხოლოდ ჩაჯდომა თუ შეიძლებოდა, ხეზე მცხოვრებნი, მდგომელები-რომლებიც თითქმის არ ჯდებოდნენ, დაყუდებულები, ხაროში მცხოვრებნი, სალოსნი, მღუმარენი-რომლებიც ათწლეულების განმავლობაში ერთ სიტყვასაც არ წარმოთქვამდნენ და სხვა მრავალი.

მეუღაბნოსათვის ამქვეყნიდან განდგომა გულისხმობს შინაგანი განწყობილების ჩამოყალიბებას. ამქვეყნიდან მკაცრი ასკეტური განდგომის დიდი მომხრე იყო განთქმული საეკლესიო მამა ორიგენი, რომელიც თვლიდა, რომ შინაგანი სულიერი კავშირის გაწყვეტა ამქვეყნიურ საქმეებთან აუცილებელია ღვთის სამსახურში ჩამდგარი ბერისათვის. ასეთი მკაცრი მოთხოვნების პარალელურად ამოიზარდა აღმოსავლურ ბერობაში ისინატური მოძრაობა, რომელიც კატეგორიულად უარყოფდა ამქვეყნიურ კავშირებს. მათი დევიზი იყო: „განელტვე, გაჩუმდი, იმღუმარე“. რომ ბერი თავისი მოწოდებით ერთობას უნდა ეძებდეს მხოლოდ ღმერთთან. ისინატი ირჩევს ადგილს, სრულიად უკაცურს, როგორც ანტონი დიდის მოწაფე ამონი ამბობდა: ბერისათვის განმარტოება უპირველესია, განმარტოება წარმოშობს ცრემლებს, ცრემლები-კრძალვას, შიშსა და შორსმჭვრეტელობის ნიჭს, შორსმჭვრეტელობა წარმოშობს სიყვარულს, სიყვარული ჩამოქნის სულის უმტკივნეულობას, ვნებათაღელვისაგან დაცლას, რის შემდგომაც ადამიანი შეიცნობს თავის სიახლოვეს ღმერთთან. საგულისხმოა, რომ უღაბნოში ინდივიდუალურად მოღვაწე ბერების საქმიანობა ქრისტიანობის პირველ წლებში ქაოტური ხასიათისა იყო, უფრო მოგვიანებით კი ასეთ მოსაგრეზე, თუნდაც ათასწლეულობით გაგრძელებულიყო, მონასტერს გარკვეული კონტროლი ჰქონდა დაწესებული, რადგან ბერის მოღვაწეობის დიდი ხარისხი მონასტრისათ-

ვის სახელოვან მაგალითად იქცეოდა და ამაღლებდა მის ავტორიტეტს.

აღმოსავლური ბერმონაზვნური მოღვაწეობის ერთი ყველაზე გავრცელებული ფორმაა კინოვია-საერთოსაცხოვრებელი მონასტერი, სადაც შრომა მიჩნეული იყო ღვთისმსახურების ერთ-ერთ აუცილებელ ფორმად. ბერთა კორპორაციული გაერთიანება, რომელმაც დროთა განმავლობაში მთელი ქრისტიანული სამყარო მოიცვა. შესაძლებელია ითქვას, რომ მოღვაწეობის ასეთი ფორმა გამოდგა ყველაზე მტკიცე და მყარი, ამასთან ნაყოფიერი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მის კულტურულ მემკვიდრეობაში გამოიხატა. კინოვიური ცხოვრების ფორმას ჰყავდა თავისი იდეოლოგიები და საფუძვლის ჩამყრელები, რომელთაგან შესაძლებელია დავასახელოთ ქრისტიანობის ბრწყინვალე მნათობი ბასილი დიდი, რომელიც თავის დროზე განდევნილობისა და უკიდურესი ასკეტიზმის კრიტიკით გამოვიდა და დაასაბუთა მონასტრული კოლექტიური ცხოვრების უპირატესობა-ცხოვრება ძმებთან ერთსულოვნებით, რომელიც სრულიად უნდა იყოს განტვირთული გრძნობისმიერი და ეშმაკისეული ისეთი ძირითადი ზრახვებისაგან, როგორცაა: მუცელმერთობა, მრუშობა, ვერცხლისმოყვარეობა, მწუხარება, მრისხანება, დაღვრემილობა, პატიმოყვარეობა, სიამაყე.

ზრახვათა გადაჩვევა ბერისათვის უდიდესი გამოცდაა და მათზე ამაღლება მისი სულიერი გამარჯვება. ასეთი ნებისყოფის გამოძუშავებას სჭირდებოდა მოსაგრეობის უმკაცრესი ყოფა, დიდი ნებისყოფა და სულიერი სიმტკიცე. როცა ბერი ამ ზრახვებს გადალახავს, იგი უკვე ცხებულია, იგი მიიღება ღმერთთან. მას აბსოლუტურად ძალუძს, გაარჩიოს მასთან მეტრძოლ სულთა ხარისხი და ამაღლდეს ყოველ მათგანზე, ასეთი დიდი მოღვაწის მოვალეობაა, იტვირთოს

მასწავლებლის როლი და ახალგაზრდა ბერებს თავის მონასტერში გაუკვალოს მოსაგრეობის ძნელი გზა. კინოვიურ მონასტერში ასეთი პრაქტიკა წესად იყო მიღებული, რომელიც ჯერ კიდევ ანტონი დიდმა დააწესა.¹ ასეთი პრაქტიკა გულისხმობს, რომ ბერმა უნდა გაანდოს თავის ამბას-ამ შემთხვევაში გამოცდილ მამას თავისი ყოველი აზრი, რათა დროულად მიიღოს სათანადო დარიგება და ცდუნებას დროულად დააღწიოს თავი, როგორც ანტონი დიდი ამბობდა: ბერმა რამდენი წვეთი წყალი დალია, ისიც კი უნდა იცოდეს ამბამ, რადგან ნებისმიერი მოქმედების დაფარვა უკვე ცოდვისაკენ მიდრეკაა. უმცირესი დანაშაულის მარცვალიც კი არ უნდა ჩაითესოს გულში ჩუმად, რათა ამ ჩამარხულმა სიჩუმემ თანდათანობით არ მოიმატოს და ბოროტებად არ გადაიქცეს. ყოველი გამხელილი და განდობილი ავი ზრახვა უკვე ნიშნავს მის დასამარებას. ზრახვანი ავიცაა და კარგიც, თუმცა მისი ხარისხის გარკვევა ზოგჯერ ბერს გაუჭირდება და მხოლოდ გამოცდილ მამას შეუძლია, განსაჯოს მათი აკარგიანობა. ესაა აღმოსავლური მეუღაბნობის სულიერი გამოცდილების რთული გზა, სადაც კასიანეს მიხედვით ვერავითარ შემთხვევაში ვერ უნდა იჭრებოდნენ საერო საქმეთა მცირედი გამოძახილნიც კი. (სხვათაშორის, იოანე მთაწმინდელმა თავის თანამოსაგრესა და ხორციელ ძმას თორნიკეს აუკრძალა მონასტერში თავისი საერო თავგადასავლების მოყოლა, რადგან მონასტერში უნდა ისმოდეს და კეთებოდეს მხოლოდ ღვთისა და მონასტრის საქმე და სხვა არაფერი.) აღმოსავლურ ბერმონაზვნობაში განსაკუთრებულ ცოდვად მიჩნეულია სიამაყე, რომელიც წარმართთა თვისებადაა მიჩნეული. ევაგრეს განმარტებით სიამაყე განსა-

¹ ათანასი ალექსანდრიელი, „ცხოვრებაი წმიდა ანტონისი“, 1970.

კუთრებით გამოკვეთილია ზგაობას მიდრეკილ ადამიანებში, როგორც გარეგანი მომხიბვლელობით, ასევე განსაკუთრებული ღვთისმოსაობის, საკუთარი გამორჩეულობისა და სიწმინდის დემონსტრირებით. ბერობის ისტორიამ იცის მაგალითები, როცა ზოგიერთი ასკეტი მამა თავისი მოღვაწეობის სიამაყემ გააშმაგა. სიამაყე ყველა ცოდვისა და ნაკლის საფუძველია. იგი იღვიძებს მაშინ, როცა ყველა ზრახვა გადალახულია, როცა ბერი ყველა ცდუნებას გაუძლებს და ამის გამო გაამაყდება. ასეთ შემთხვევაში მთელი მისი მოღვაწეობა განადგურებულია და ღმერთთან მისასვლელი გზები დახშულია. გრიგოლ დიდი სიამაყეს ყველა ნაკლთა წარმომშობად მიიჩნევს. მაქსიმე აღმსარებელი ამას უწოდებს უგუნურ სინაზეს საკუთარი სხეულისადმი. საეკლესიო ლიტურატურაში ბერის ასეთ ბუნებას ეწოდება “ფილაუტია”, რაც ეტიმოლოგიურად შეიძლება გაიშიფროს, როგორც საკუთარი თავის მიმართ ნაზი სიყვარულის გრძნობა. ფილაუტიისაკენ მიმართული კაცი ეძიებს გრძნობისმიერ კმაყოფილებას, რაც მისი დალუპვის საწინდარია.

აღმოსავლურ მეუღაბნოეობაში უაღრესად განვითარებული იყო სულიერი მამის მორჩილება, ხოლო თავად მამანი, რომლებთაც მიმადლებული ჰქონდათ ნიჭი სხვათადმი სწავლისა და ამავე დროს, განვლილი ჰქონდათ სულიერი ხარისხების ყველა გზა, საყოველთაო ყურადღების ქვეშ ექცეოდნენ. ასეთ მამებთან მისვლა და დამოწაფება ასევე გამორჩეული სულიერი სიძლიერით დაჯილდოვებული მოწაფის ხვედრი იყო. სულიერი მამის უპირველესი მოვალეობაა, მოღვაწეობის სწორი გზა დაუსახოს მოწაფეს და დროულად იხსნას შეცდომებისაგან. ასეთი მამანი ზოგჯერ უდაბნოში განმარტოებულად ცხოვრობდნენ და თავისი მოღვაწეობის ხარისხით ისინი ცნობილნი იყვნენ. რადგან მონასტრის ავ-

ტორიტეტის დაცვის მიზნით თავად მონასტრის ხელმძღვანელობა საჭიროდ თვლიდა გადაემოწმებინა დაყუდებული მეუდაბნოეს მოღვაწეობის ხარისხი, თუ რამდენად უმწიკვლოდ იხდიდა იგი იმ მოვალეობას, რომელიც თავად აირჩია. გამოჩენილ მამათა ასპარეზი მხოლოდ უდაბნო არ იყო, ასეთი მამები მონასტერშიაც ყალიბდებოდნენ. მათი ავტორიტეტი იზრდებოდა სამონასტრო მოღვაწეობით, რომელიც სხვა ძლიერი მართმადიდებლური ზნისთვის თანამდევ თვისებებთან ერთად დაჯილდოებული უნდა ყოფილიყო დიდი ადმინისტრაციული უნარით.

აღმოსავლეთში ასკეტური მოღვაწეობის საფუძველს წარმოადგენს სათნოება და ღმობიერება და იგი გამოიხატება ცნობილი მაქსიმით: „სათნოება ერთადერთი სიკეთეა“. გრიგოლ ღვთისმეტყველი ასე განმარტავს ამ მაქსიმას: სათნოებისადმი ყველა სათნოებით განეწყოება. ქრისტიანული ცხოვრების სრულყოფილება ხორციელდება სათნოების წიაღში.

ლოცვა აღმოსავლურ ეკლესიაში განმარტებულია უმთავრესად, რადგან ლოცვა ყველაზე წინ დგას და მას ვერაფერი შეედრება. ლოცვის წყალობით ხდება შეუძლებელის შესაძლებლობა. მისით ერთიანდება რწმენა, ცხოვრების ხსნა, იგია სულიერი ცხოვრების განმსაზღვრელი. ლოცვა ესაა ადამიანის გონის მდგომარეობა, როცა მორწმუნე სრულიად მოწყვეტილია ამქვეყნიურობას.

შესაძლებელია ითქვას, რომ ბერმონაზვნულმა ცხოვრებამ უდიდესი როლი შეასრულა ქრისტიანული მრწამსისა და მორალის ჩამოყალიბებაში. ბერმონაზვნობამ რწმენის სიმყარე აირჩია თავის საყრდენად. ბერმონაზვნობა ეს იყო გაქცევა სხეულებრივი მონობიდან სულიერი თავისუფლები-საკენ, ზოგჯერ ეს გზა მკაცრი იყო და უკიდურეს ფორ-

მასაც იღებდა, მაგრამ იგი მუდამ ემყარებოდა ვნებათაგან განძარცვის იდეას და ღვთისადმი ლტოლვას. ეს იყო მიზანი, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ მიიღწეოდა პასიურობით. აღმოსავლელი ქრისტიანები დასავლელ ქრისტიანებს ადანაშაულებენ გადაჭარბებულ რაციონალიზმში. დასავლელები თავის მხრივ აღმოსავლელებს უწუნებენ „სენტიმენტალობას“.¹

სად შეიძლება აქ სიმართლე ვიპოვოთ, რომელი უფრო მართალი იქნება? ამის პასუხი ძნელი მოსაძებნია და ამავე დროს სახიფათო გამოსათქმელიც. უეჭველი კი ერთია – მჭვრეტელნი გაცილებით მეტად, ვიდრე ხალხი ქმედებისა, შეიცნობენ საკუთარ თავს დიდი საიდუმლოს წინაშე. მოქმედების ადამიანს კი აინტერესებს მოქმედებათა სრულყოფილება. მისი სფეროა წიგნები წესების შესახებ, რაც უბიძგებს გამოძიებლობისაკენ. ერთი გამოკვეთილი ნიშანი, რაც გააჩნია აღმოსავლურ ბერმონაზვნობას, ესაა შეუცნობელის მიმართ რაციონალური გამოძიებლობის უარყოფა, ისინი მიჰყვებიან გულის ძახილს, მის ჭეშმარიტ განწყობილებას და სურთ სულიერი წვდომით გახდნენ ის, რა თავისთავადაა ღმერთი.

¹ Шпидлик Ф. Духовная традиция Восточного Христианства, М., 2000.

Tebrone Nadiradze

*Scientific and Research Institute of History and Ethnology at
the Georgian National Museum*

**ABOUT SPIRITUAL TRADITIONS IN EASTERN
MONASTICISM
RESUME**

This work contains discussions about some marks of traditions of oriental monasticism. Here are some important issues such as the tradition of protection of national languages, the problem of labor liability, the nature of dependence on civil society and in general the ideals of mediation. The article highlights the issue of the spiritual tradition of Georgian monasticism and says that the Georgian church was engaged in the circle of Byzantine culture, maintained as well as oriental and non-bizarre signs that helped to preserve its identity.

მურმან პაპაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ღონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ერთი ირიბი ცნობის დაზუსტების მცდელობა

წინამდებარე სტატიაში ჩემი მიზანია, შეძლებისდაგვარად დავადგინო ის „საიდუმლოება“, რომელიც ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა ვიწრო წრეში ერთ-ერთი დიალოგისას გაანდო თეატინელ მისიონერებს ღონ ჯუზეპე ჯუდიჩესა და ღონ არქანჯელო ლამბერტის. ამის დადგენა იმდენად მნიშვნელოვანია, რამდენადაც პასუხი გაეცემა კითხვას, თუ რამდენად სწორია თეატინელთა მისიონის ცნობილი ისტორიკოსის ჯუზეპე სილოსის მტკიცება, რომ სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა კათოლიკობა მიიღო, რაც სარწმუნოების გამავრცელებელ კონგრეგაციაში განსაკუთრებულ მოვლენად მიიჩნიეს. ასევე, რამდენადაც ეს საკითხი არ შესწავლილა, ამ ფაქტის დაზუსტებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. ანალიზმა რომ გვიჩვენოს, თუ რა იგულისხმება აღნიშნულ „საიდუმლოებაში“, საჭიროა წარმოვადგინოთ თეატინელ მისიონერთა სამეგრელოში მიპოვებული წარმატებების ზოგადი სურათი.

საქართველოში მოღვაწე თეატინელ მისიონერებს შორის ღონ ჯუზეპე ჯუდიჩეს საპატიო ადგილი უკავია. ეს კათოლიკე პატრი საქართველოში 1631 წლის 12 აგვისტოს ჩამოვიდა ღონ არქანჯელო ლამბერტისთან ერთად და გორში შეუდგა სამისიონერო საქმიანობას. 1633 წლის 23 ოქტომ-

ბერს ის დონ არქანჯელო ლამბერტისთან ერთად გადავიდა ოდიშის სამთავროში ლევან II დადიანის კარზე, სადაც 1643 წლამდე მოღვაწეობდა.¹ ასე რომ, ამ ორმა პატრმა ჩაუყარა საფუძველი სამეგრელოში თეატინელთა მისიონს, რომელიც აქ XVII საუკუნის ბოლომდე საქმიანობდა.

სამეგრელოში თეატინელმა მამებმა ძალზე მოკლე დროში მოულოდნელ წარმატებებს მიაღწიეს. 1634 წელს მთავარმა ლევან II დადიანმა პატრებს სოფ. წიფურიაში ორი ეკლესია უბოძა². ეს ფაქტი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ატარებს იმ აზრით, რომ ეკლესია თვით პატრებს კი არ მოუთხოვიათ, არამედ მთავარმა გადასცა მათ, რასაც ჩვენი აზრით, პოლიტიკური, კულტურული და საგანმანათლებლო მნიშვნელობა ჰქონდა და არა რელიგიური. მხოლოდ კონფესიური საფუძვლის შემთხვევაში მიაღწევდნენ თუ არა მისიონერები ქვეყნის მმართველისაგან ასე მარტივად ეკლესიის გადაცემას, ძნელი სამარჩიელოა. ამის ძირეულ არგუმენტად ის მიგვაჩნია, რომ მთავარმა კათოლიკე პატრებს ეს ორი ეკლესია სამონასტრო ცხოვრებისათვის გადასცა. „ნიჩეფორომ (ნიკიფორე ირბახმა - მ.პ.) მას (ლევან II დადიანს - მ.პ.) უთხრა, - გვაუწყებს დონ არქანჯელო ლამბერტი, - რომ ჩვენ განსწავლულნი ადამიანები და ფილოსოფოსები ვართ, მოვედით მის ქვეყანაში, რათა ვიცხოვროთ, დაგაარსოთ მონასტერი, რომ ასევე ჩვენ გაწაფულნი ვართ ფერწერასა და

¹ Tabagua Ilia M., I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, vol.I, Tbilisi, 1996, p. 301.

² ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, თეატინელმა პატრებმა ქვისაგან ააგეს ეკლესია, რომელსაც კარგად ინახავდნენ (ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მაძისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018, გვ. 26.

მრავალ სხვა საქმეში. მთავარმა უპასუხა [ნიკიფორეს], რომ შეგვიყვარებდა და პატივს მოგვაგებდა, ადგილს გამოგვიყოფდა, სადაც მონასტერს დავაარსებდით და ვიცხოვრებდით”.¹ ლევან II დადიანმა მათ ასევე მისცა მიწები, საცხოვრებელი სახლი, მსახურები და ბავშვები გასაწვრთნელად. თეატინელი მამის ღონ კლემენტე გალანოს განცვიფრებას იწვევდა ის, რომ წიფურიაში “...რამდენიმე ოჯახმა ახალი ეკლესია ააგო, სადაც ლათინურ წესებს იცავდნენ”.² პატრებმა აქ მალე დაარსეს სკოლა. მათ “...ბავშვების ნაწილი თვითონ მთავარმა მისცა, სხვები თვითონ ხალხმა მიიყვანა, ისეთებმა, რომელთაც ამ ბავშვების კვება სახლში არ შეეძლოთ. მამები მათ სიამოვნებით ღებულობდნენ, ოღონდაც კი არ გაეყიდათ თურქებზე”.³

მოკლედ რომ ვთქვათ, წიფურია გახდა მისიონერთა მოღვაწეობის კულტურული ცენტრი. აქ მალე სხვა მისიონერებიც ჩამოვიდნენ. “ამ მისიონერებიდან, ერთნი მისიონერობას ეწეოდნენ წიფურიას ეკლესიებში (კატეხიზმოს სწავლება, წირვა-ლოცვა), მეორენი დადიოდნენ ქვეყანაში და იგივე საქმეს აკეთებდნენ, წმ. წყლით ნათლავდნენ ბავშვებს, მოზრდილებს და საერთოდ, ხალხს, დიდკაცებს და განსაკუთრებით მღვდლებს არწმუნებდნენ მათ “დაბნეულობაში” იმის შესახებ, რომ სამეგრელოში ნათლობა არასწორად ტარდებოდა”.⁴

¹ ღონ არქანჯელო ლამბერტი, რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2015, გვ. 15.

² კლემენტე გალანო., კოლხეთის შესახებ, კრებ.: “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”, ტ. IV-V, თბ., 1999, გვ.315.

³ იქვე.

⁴ კლემენტე გალანო., დასახ., ნაშრ., გვ. 314.

საქართველოში (ქართლისა და იმერეთის სამეფოებში, გურიის სამთავროში) თეატინელ მისიონერთა მოღვაწეობის ისტორია გვარწმუნებს, რომ ამ ორდენის მამებს ყველაზე მეტი კეთილგანწყობა და პატივი ოდიშის სამთავროში მიაგებეს. ამის ძირითადი არგუმენტია ის, რომ თეატინელმა პატრებმა მხოლოდ სამეგრელოში ისურვეს საქმიანობა, რომელიც 1700 წლამდე¹ გაგრძელდა. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თეატინელი მამების წარმატებულ საქმიანობას ნიადაგი მოუმზადა ლევან II დადიანის ევროპაზე ორიენტაციის პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულ-საგანმანათლებლო მიზნებმა.² ცხადია, სამთავროს სუვერენის პირადი ინტერესი, სურვილი და კეთილგანწყობა იყო მისიონერთა თავისუფალი საქმიანობის ფუნდამენტი. ამ ფაქტორის ძალზე ლაკონურ ახსნას თავად დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს გეთავაზობს: “რაც შეეხება მთავარს (ლევან II დადიანს - მ.პ.), მის შესახებ სხვა რამის დამატებაც მინდოდა, - წერს ჯუდიჩე, - მაგრამ ყოველივე ეს იმ სამ შემთხვევამდე დადის, რომლის მიხედვით შეიძლება იმაზე ვიმსჯელოთ, თუ რას ეფუძნება ჩვენს მისიაში (სამეგრელოს მისიონში - მ.პ.) წარმატებები. ეს სამი რამ არის: მისი

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902, გვ. 212; მისივე, ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995, გვ. 615.

² დაწვრ. იხ: ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990, გვ. 49-114; პაპაშვილი მ., ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია. კრებ.: “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”, I, თბ., 1994, გვ. 167-198; მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011, გვ. 633-645.

(ლევან II დადიანის - მ.პ.) გულითადი დამოკიდებულება ჩვენდამი, ნდობა და პატივისცემა”.¹

საკმაო ინფორმაცია მოგვეპოვება იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი პატივითა და ნდობით ეკიდებოდა ლევან II დადიანი თეატინელ მამებს. ამ მიზნით, ცხადია, ყველა წყაროს ინფორმაციის მოტანა აუცილებელი არ არის. მოვიხმობთ მხოლოდ ანალიზისათვის პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ცნობებს. ღონ არქანჯელო ლამბერტი 1634 წლის 4 ივნისის ერთ-ერთ ვრცელ რელაციონეში გვაუწყებს: „ყველა პატივისცემით გვეპყრობა, რადგან იციან, რომ მთავარი (ლევან II დადიანი - მ.პ.) კარგ ურთიერთობაშია ჩვენთან. ყოველთვის გვეძახიან, როცა საჭიროა ვინმეს შერიგება და ვაკეთებთ ყველაფერს... რასაც მოვისურვებთ”.² ცოტა ქვემოთ პატრი ლამბერტი უფრო ლაკონურ და მნიშვნელოვან ცნობას გვაწვდის: „რაც შეეხება მთავარს (ლევან II დადიანს - მ.პ.)... ის დიდი სიმპათიით გვეკიდება, პატივს გვცემს და ღირსებით გვამკობს; ძალიან მსიამოვნებს, რომ მთავარი თავს არ მიიჩნევს ღვთისმეტყველად, როგორც თეიმურაზი (იგულისხმება თეიმურაზ I - მ.პ.)“.³ საკმაო ერუდიციის მქონე ჯუდიჩე გვაუწყებს: „ავადმყოფობისას მთავარს არ უყვარს, რომ მამების (თეატინელი მისიონერების - მ.პ.) გარდა მას სხვამ მოუაროს. ამიტომ ისინი ნდობით აღჭურვილი მსახურების ფუნქციას ასრულებენ; მისი (ლევან II დადიანის-მ.პ.) სურვილით ისინი (მისიონერები-მ.პ.) მას უმზადებენ საჭმელს.

¹ ღონ ჯუზუპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2014, გვ. 45-46.

² ღონ არქანჯელო ლამბერტი., დასახ. ნაშრ., გვ. 21.

³ იქვე, გვ. 29.

ის მამებს შესანახად აძლევს ვერცხლისა და ოქროს ნივთებს, სხვა ქონებას და მამებს სრულად ენდობა”.¹ ამ წარმოდგენებს გარკვეულ დინამიკას ანიჭებს ჯუდიჩეს შემდეგი ნარატივი: მთავარი ლევან II დადიანი „...თავისი ამალით ბევრჯერ შეჩერებულა ჩვენს საცხოვრებელთან ახლოს. გვერდით დგამდა კარვებს, გამოხატავდა მამებისადმი სიყვარულს და ჩვენთან ურთიერთობისკენ სწრაფვას, არ გვაწუხებდა გამოძახებით, უფლებას გვაძლევდა გვესაუბრა და ხალისით ისმენდა სასარგებლო სიტყვებს, რომლითაც ჩვენ მას მივმართავდით; თითქმის ყოველთვის, როცა ქვეყანაში ერთი ადგილიდან მეორეზე გადადის, ის ახლოს გაივლის ჩვენს სახლთან და ჩერდება. როგორც თვითონ, ასევე მისი ყველაზე საპატიო კარისკაცები გზიდან გადაუხვევენ, რათა უბრალოდ მოგვინახულონ, დიდი ხალისით გვესაუბრონ, სიამოვნებით დააგემოვნონ საჭმელი და შეაქონ ჩვენი ჩვეულებრივი საქმენი... მთავარმა ბევრჯერ მოგვინახულა და დიდი გულითალობით გვაქეზებდა, გვეთხოვა მისთვის ყველაფერი, რასაც ვისურვებდით”.²

რელაციონეს მკითხველს თუ მსმენელს გამჭრიახი გონების დონე უზუბე ჯუდიჩე მარტივად განუმარტავდა, თუ რას ეფუძნებოდა ლევან II დადიანის მიერ პატრებისადმი უჩვეულო პატივისცემა და კეთილგანწყობა. „მთავარმა და სხვა დანარჩენებმა პატრების პატივისცემა, უწინარეს ყოვლისა, მათი სამკურნალო ხელოვნების გამო დაიწყეს. უფრო იმიტომ, რომ ისინი (მისიონერები - მ.პ.) [წამლობაში] არავითარ სარგებლობას არ ეძებდნენ და წამლებს უნაგაროდ აძლევდნენ“.³ ეს ჰუმანური აქტი თეატინელი პატრების მოვა-

¹ დონ ჯუზუბე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 46.

² იქვე.

³ იქვე, გვ. 47.

ლეობას პრაქტიკულ მნიშვნელობას სძენდა. „თუკი აქ (ოდიშის სამთავროში - მ.პ.) დღეს მიგვიჩნევენ არა მხოლოდ კარგ ექიმებად, არამედ საერთოდ ბრძენ კაცებად, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ბევრჯერ გავაქარწყლეთ მათი ეჭვები. ეს კიდევ იმიტომაც, რომ ისინი ხანდახან გადავარწმუნეთ საკუთარ შეცდომებსა და დაბნეულობაში, მოგვყავდა მყარი არგუმენტები და მათივე [სასულიერო] წიგნებით ვსარგებლობდით ამაში”¹ - წერს ჯუდიჩე. აქვე აუცილებელია ვთქვათ, როგორც ყოველ მისიონს, თეატინელებსაც ჰქონდათ კათოლიკობის ქადაგების საკუთარი მეთოდები. ერთ-ერთ ასეთ მეთოდს სწორედ საქართველოში, კერძოდ სამეგრელოში, მათი საექიმო საქმიანობა წარმოადგენდა.

ბუნებრივია, თეატინელი მამების დასტაქრობას² მოსახლეობაში, რომელიც თითქმის მოკლებული იყო მკურნალებს, დიდი დაფასება ჰქონდა და მათ უფლის მიერ მოვლენილ “ღვთის კაცებად”³ მიიჩნევდნენ. საინტერესო ინფორმაციას ვაწყდებით დონ არქანჯელო ლამბერტისთან: “სურმას⁴ ფხვნილი, - წერს ის, - ...აქ დაუჯერებელ რამეს ახდენს და ყოველგვარ ავადმყოფობას კურნავს; მას ყველას მუქთად ვაძლევთ, რამაც მრავალი ცნობილი ბატონის საყოველთაო სიმპათია და მეგობრობა მოგვიპოვა. ისინი განსაკუთრებული პა-

¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 47.

² ისინი ამ სფეროში თვითნასწავლები იყვნენ და არა პროფესიონალი ექიმები. ჩანს, მოსახლეობას ისინი განათლებულ კათოლიკე ექიმებად მიაჩნდა. ამას უნდა ნიშნავდეს ჯუდიჩეს მინიშნება, რომ მათ “...მივაჩნივართ ყველაზე სწავლულ მკურნალებად...”. ცხადია, არა მარტო მამინ, არამედ დღესაც, ჩვენს მენტალიტეტში დასავლელი განათლებული ადამიანი დიდ გავლენას ახდენს.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 180.

⁴ სურმა-ქიმიური ელემენტი, ლურჯი ელფერის ვერცხლისფერი მყიფე ლითონი, რომელსაც იყენებენ ტექნიკასა და მედიცინაში.

ტივით გვეპყრობიან, მათგან მრავალმა საჩუქრად ეკლესია და საცხოვრებელი სახლი შემოგვთავაზა...”¹ მოსახლეობის ასეთ განწყობას მათზე მორალური ზემოქმედების კონტექსტში დიდი ემოციური დატვირთვით გადმოსცემს ჯუდიჩე: “მათ (სამეგრელოს მოსახლეობას - მ.პ.) მივაჩნივართ ყველაზე სწავლულ მკურნალებად მთელ ქვეყანაზე. ხშირად, როდესაც მძიმედ დაავადებულნი სავსებით ჩვენს ხელთ მოექცევიან და არ სურთ, რომ მათი სიცოცხლე სხვაზე იყოს დამოკიდებული, გადაგვეშლება ფართო ასპარეზი მათთან ქადაგებისა, განსაკუთრებით ზემოხსენებულ მავნე ჩვეულების (იგულისხმება თურქებზე ქრისტიანი ყმაწვილების გაყიდვა - მ.პ.) წინააღმდეგ, მაშინ, როცა ისინი ქრისტიანობის მაღიარებლად ითვლებიან. და მართლაც, ავადმყოფობის მიერ შეწუხებულებს უფრო მეტ მორჩილებას ვაძინევთ: შეგნებული აქვთ ის, რომ ამჟამად დიდი ცოდვებისათვის არიან დასჯილი ღვთის მიერ. დიდმა ბატონებმა ჩვენი ქადაგებიდან ბევრი რამ ისწავლეს. ამის გამო ზოგიერთი, რომელიც ტყვეს ჰყიდდა, ურყევ სიმაგრედ იქცა, უფრო მეტის დაჟინებით იცავს ასეთ კეთილ გადაწყვეტილებას...”²

როგორც წყაროები გვარწმუნებენ, ოდიშის სამთავროში მისიონერთა კონფესიური ცხოვრება საკმაოდ ინტენსიური იყო. ეს მკაფიოდ ჩანს დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს რელაციონეში, რომელშიც წერს: “კვირაობით კატეხიზმოს ვასწავლით; საზეიმო დღესასწაულებზე ვრეკავთ ზარებს; მას დიდებულად და ბრწყინვალედ აღვნიშნავთ, რათა მეტი ხალხი მოვიზიდოთ და ჩვენს წმინდა სარწმუნოებას (ე.ი. კათოლიკობას - მ.პ.) შეეჩვიონ, ხოლო ისინი ჩვენთან დიდი კმაყოფილებით მოდიან; ამიტომ ვნების კვირაში არასოდეს უგულვებელვყოფთ

¹ დონ არქანჯელო ლამბერტი., დასახ. ნაშრ., გვ. 35-36.

² დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 45.

წმინდა ცერემონიებს, გამზადებთ უფლის კუბოს; რამდენიმე წლის უკან შობაზე შევეცადეთ, გაგვეკეთებინა საშობაო ბაგა, რომელიც ნამდვილად ლამაზი და კონტა გამოგვივიდა. ასე რომ, თვით მთავარი და მისი კარი, ასევე მრავალი ხალხი სანახავად. ეკლესიაში გამოვფინეთ ბრწყინვალე რელიეფური ჯვარცმა... ეს გამოსახულება აქამდე ამ დაბეჩავებულ ქვეყანაში არ უნახავთ; წმინდა გამოსახულების სანახავად მოვიდა უბრალო ხალხი, დიდებული ბატონები, თვით მთავარიც და ამ შემთხვევაში ჩვენ მას (ლევან II დადიანს - მ.პ.) ავუხსენით ხორცშესხმის წმინდა საიდუმლო. ხანდახან გამოვდგამდით წმინდა რელიკვიას, რათა ჩვეულებრივი ღმრთისმსახურება შეგვესრულებინა, რასაც მოწიწებით იღებდნენ. ამასთან დაკავშირებით საეკლესიო მსახურებაზე დავუშვით და ვუშვებთ გარკვეული დროის განმავლობაში საერო პირს. ამ უკანასკნელთა შორის ზოგიერთმა ჩვენი წესის მიხედვით მსახურება ისწავლა”.¹ ერთი სიტყვით, ეს წყარო დაუეჭვებლად გვარწმუნებს, რომ თეატინელი მამები თავისუფალი მოქმედების ფარგლებში უკვე ღია ფორმით აძლევდნენ სულიერ საკვებს მოსახლეობას, ანუ “...ზრდიდნენ თავიანთ ერთმორწმუნეებს...”.² გამორიცხული არაა მესაზე თუ საეკლესიო დღესასწაულზე, ბევრი ცნობისმოყვარეობის გამო მოდიოდა, მაგრამ დავას არ იწვევს ის ფაქტი, რომ პატრებზე სამონასტრო ცხოვრებისათვის გადაცემულმა საკულტო ნაგებობამ თავისი ფუნქციური დანიშნულებით კათოლიკური ეკლესიის სახე მიიღო. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ საფუძველი გვაქვს ასევე ვთქვათ, რომ ოდიშის სამთავროში თეატინელი მისიონერების საქმიანობის შედეგად კათოლიკური თემის ბირთვის

¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 49-50.

² პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995, გვ. 185.

ჩამოყალიბება დიდი სირთულეების გარეშე დაიწყო. ეს ბირთვი დიდად აფასებდა “...მამა მისიონერების წესრიგსა და ცხოვრების წესს...” და გულდასმით იცავდნენ “...კათოლიკური ცხოვრების წესებს”.¹

აღნიშნულთან დაკავშირებით სამართლიანობა მოითხოვს ითქვას შემდეგიც: წყაროთა მოწმობით, ქართველ მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ნაწილი (ამ შემთხვევაში ძალზე მცირე წრე) როდი იწონებდა პატრების თავისუფალ საქმიანობას. ისინი არ ერიდებოდნენ მრავალნაირი სიცრუის გავრცელებასაც კი.² ლათინ მამებს განსაკუთრებით შეურიგებელ წინააღმდეგობას უწევდნენ ბერძენი მართლმადიდებელი სასულიერო პირები, რომლებიც ლევან II დადიანის “...ირგვლივ ძალიან ბევრი იყო”.³ “ჩვენი მოწინააღმდეგე ბერძენები დადიანს არწმუნებდნენ, რომ არასწორად მოიქცა, როცა მათ ეკლესია ჩამოართვა და კათოლიკეებს მისცა, რომლებიც საწინააღმდეგო რიტუალებს მისდევენ. ერთი სიტყვით, მათ ისე იბრძოდნენ, რომ მთავარმა ორივე ეკლესია ჩამოგვართვა. ამან ჩვენ ძალიან დაგვალონა, მაგრამ სულიერად არ დავეცით; დადიანს მივანიშნეთ, რომ ეკლესიის გარეშე აქ დარჩენა არ შეგვიძლია და ამიტომ საქართველოში (ქართლის სამეფოდან-მ.პ.), საიდანაც მოვედით, უკან დაბრუნების ნება მოეცა. ხედავდა ჩვენს ასეთ გადაწყვეტილებას და არ სურდა გაგვშორებოდა, რადგან ძალიან ვუყვარდით [მთავარმა] ჩამორთმეული ეკლესიიდან ერთი დაგვიბრუნა”⁴ - წერდა დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. ამას ემოწმება ცნობილი თეატინელი მისიონერი

¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია... გვ. 49.

² დონ არქანჯელო ლამბერტი., დასახ. ნაშრ., გვ. 31-34; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 41-42.

³ დონ არქანჯელო ლამბერტი., დასახ. ნაშრ., გვ. 15.

⁴ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია..., გვ. 34-35.

დონ კრისტოფორო კასტელი, რომელიც ლაკონურად გვაუწყებს: “ამ ჩვენს მტრებს (ბერძნებს - მ.პ.) თავის ქვეყანაში მხოლოდ მთავარი (ლევან II დადიანი - მ.პ.) აკავებდა”.¹ “მისიონერთა წინააღმდეგ ბერძენ სასულიერო პირთა დაუცხრომელი აგიტაცია მიზანს ვერ აღწევდა. ეს უნდა ავხსნათ იმით, რომ მთავარზე და ხალხზე მათ დიდი გავლენა არ ჰქონდათ. საყურადღებოა ისიც, რომ მათი გავლენა სუსტი იყო მართლმადიდებელ სამღვდელოებაზეც, რადგან ისინიც, მთავრის მსგავსად, დიდ სიმპათიებს ავლენდნენ კათოლიკური სარწმუნოებისადმი და აქტიურად თანამშრომლობდნენ მათთან”.²

ლევან II დადიანის თეატინელ პატრებთან ურთიერთობაში განსაკუთრებით უნდა გამოიყოს შემდეგი მომენტი: როგორც უტყუარი წყაროები გვარწმუნებენ, იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში დიდად ყოფილა დამახინჯებული ნათლისღების წესები.³ ამის გამოსავლენად პატრებმა დიდი სიფრთხილე გამოიჩინეს და ადგილზე ადაპტირებული მეთოდით დაბრკოლება ადვილად გადალახეს. აი, როგორ გვაუწყებს ამას დონ ჯუზეპე ჯუდიჩე. ის წერს: თავიდან “...ჩვენს მტკიცებაში იმაზე, რომ სამეგრელოში ნათლობა არ არსებობდა, სიფრთხილეს ვიჩენდით. გვეშინოდა ამ გზაზე მიზნის

¹ პატრიცია ანა ლიჩინი. კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მურმან პაპაშვილმა, თბ., 2009, გვ.76.

² პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 181.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 154; 181-182; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., წერილები საქართველოზე XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964, გვ. 108; დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია..., გვ. 39-41; პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 98-99.

მისაღწევად დაბრკოლებები არ გაჩენილიყო. მაგრამ შემდეგ, როცა რალაც გამოცდილება დავაგროვეთ და გვახსოვდა, თურავეთხრა ადრე დასახელებულმა ეპისკოპოსმა¹ იმაზე, რომ

¹ ავტორი არ ასახელებს ეპისკოპოსის არც სახელს და არც მის სამწყსოს. რელაციონეს კონტექსტის მიხედვით, ეს უნდა იყოს ცნობილი ალავერდელი მიტროპოლიტი, რომელიც თავიდან თეატინელი მისიონერების შეურიგებელი მოწინააღმდეგე იყო. კასტელის მიხედვით, ლევან II დადიანმა ეპისკოპოსი ალავერდელი წალენჯიხის ეპისკოპოსად დანიშნა. ეს უკანასკნელი სიცოცხლის ბოლო წლებში ძალზე ახლო ურთიერთობაში იყო კასტელისთან. მეტად ბევრის მოქმელია კონფესიური თვალსაზრისით ალავერდელის სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე მათ შორის გამართული დიალოგი. კასტელი წერს: “ეპისკოპოსი ალავერდელი ავად გახდა წალენჯიხაში. შუა ღამისას, იანვრის თვეში, ჩემთან კაცი გამოგზავნა, რათა მისთვის მექურნალა. ამ დროს თვითონ ავად ვიყავი. მიუხედავად ამისა, იძულებული ვავხდი, იგი მენახა, რადგან ვთვლიდი, რომ ასეთი იყო ჩვენი უფლის ნება-სურვილი. მართალია, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ დავჯექი ცხენზე და მის სანახავად წავიქვედი. მიუხედავად იმისა, რომ ბერძენი და სქიზმატიკოსი მღვდლებით იყო გარშემორტყმული, მან მითხრა: “მამაო კრისტოფალო, ჩემი აღსასრულის დრო უკვე დადგა, გადავდივარ სხვა ცხოვრებაში, თქვენს ხელში ვარ, შემობრალე”. ვიცი, რომ ღმერთს ვემსახურები, რომელიც არ მიმატოვებს, არ მეშინია სიკვდილის, მაგრამ მეშინია სულის დაკარგვის, რადგან ცხოვრებაში შემოქმედის წინაშე უპატიოდ მოქცევა მოვასწარი. ალავერდელმა ეს დიდი გრძნობით თქვა და ჩანდა, რომ ყველა სიბოროტე ამოისუნთქა, რადგან მას სუნთქვის მეტი დრო არ დარჩა. მკერდიდან მოვხსენი უწმინდესი ჯვარცმული, ვაჩვენე ქრისტე, ჩვენდამი სიყვარულისათვის დაჭრილი და დავსძინე: არაფრის მეშინია, უფლის შვილს იმედი მაქვს, რომ მუდამ გახსნილი ჭრილობისა და სისხლის ყველა ცოდვა გამოისყიდება მისადმი სიყვარულით. შევაწუხე და ვუთხარი: მინდა, რომაულ-კათოლიკურ სარწმუნოებაში მოვკვდე და იდეის სიყვარულზე ხანგრძლივი საუბარი გვქონდა. მან სიტყვა ტირილით დაამთავრა და თქვა, რომ ბერძნული (მართლმადიდებელი - მ.პ.) სარწმუნოების ერთგული იყო...[მან] სულიწმიდას დახმარებით გაიგო ჩემს მიერ წარმოთქმული სიტყვები...ალერსით შემომხედა და ჩემი ნათქვამი მოიწონა.” (პატრიცია ანა ლიჩინი. დასახ. ნაშრ., გვ. 104-105). ნიშანდობლივია, ამ ეპიზოდს ემოციური დატვირთ-

სამეგრელოში ჭეშმარიტი ნათლობა არ არსებობდა, უმჯობესად მივიჩნიეთ, თუკი ამის შესახებ საუბარს საჯაროდ დავიწყებდით. ამ მხრივ უფალმა ჩვენს სიტყვებს ისეთი ძალა მიანიჭა, რომ ბევრი მოწიფული ადამიანი, ასევე რამდენიმე მღვდელი მონათლა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ორი ეპისკოპოსი ჭეშმარიტი ნათლობის წესით მონათლა და [ხელმეორედ] ეკურთხა თავის წოდებაზე”.¹

როგორც წყაროებიდან ირკვევა, დამახინჯებული ნათლისღების წესების შესახებ თეატინელ მამებს ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ ლევან II დადიანთან. ამ უკანასკნელმა “...ადირჩია სამი ბერძნულში განსწავლული მღვდელი და მიანდო მათ, რათა გადაეთვალეებინათ სამეგრელოს მღვდლების წიგნები და, რაც კარგი არ იქნებოდა, გამოერთმიათ. რა გადასინჯეს ძველი ხელთნაწერი წიგნები, ყველა ნაკლულოვანი გამოდგა. ამიტომ თითქმის ყველას გამოართვეს და თან აუკრძალეს ნათლისღების შესრულება. მისიონერებმა ეპისკოპოსებს გადასცეს ბერძნულიდან ქართულად ნათლისღების შესასრულებელი სიტყვები და იმათაც მთელს სამეგრელოში განაცხადეს ესა”.² წყაროს ამ ინფორმაციის საკონტროლო მასალა ჩვენ არ გაგვაჩნია. არც ის ვიცით, ზუსტად, თუ როდის მოხდა ეს რეფორმა. ყველა შემთხვევაში იგი უნდა ჩატარებულიყო 1640 წლამდე, რადგან ამის შესახებ, ვიგებთ ღონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ამავე წლის რელაციონედან. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს 1662 წლის 19 სექტემბრის ვრცელი ცნობა, რომელიც ეხება სამეგრელოში ქრისტიანული სარწმუნოების არასრულყოფილი სურათის რომში

ვა არ აკლია და მისი გააზრებით გეუფლება გრძნობა, რომ კონფესიური განსხვავებები ქრისტესმიერ ძმობას ხელს არ უშლის.

¹ ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია., გვ. 40.

² თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 182.

სარწმუნოების კონგრეგაციისათვის მიწოდებას. მასში კკით-ხულობთ: “ბევრი ილაპარაკეს (იგულისხმება კათოლიკე მისიონერებმა - მ.პ.) ამ არასწორი ნათლობის შესახებ. ამით ამოძრავებულმა მთავარმა ლევან დადიანმა აირჩია სამი ყველაზე განათლებული ადამიანი, რომლებიც წარმოშობით ნახევრად ბერძნები იყვნენ, რათა მათ გადაესინჯათ ის წიგნები, რომლითაც მღვდლები სარგებლობდნენ. მათ ეს წიგნები არასწორად მიიჩნიეს და მღვდლებს აუკრძალეს უწინდელი წესით მონათვლა. როცა თითქმის არავის დარჩა წიგნი და ნათლისღება შეუძლებელი გახდა, რეფორმა ჩაატარეს. თუმც მთავარ ლევან დადიანის გარდაცვალების შემდეგ, მღვდლებმა შეძლეს უკან დაებრუნებინათ თავიანთი წიგნები. მიუხედავად იმისა, რომ უწიგნურები არიან ეს მღვდლები, უბრალო ხალხს მაინც სჯერა მათი”.¹ ეს წყარო ადასტურებს იმას, რომ მისიონერების მცდელობით აღნიშნული რეფორმა მართლა ჩატარდა, მაგრამ საკვირველია, ის, რომ ლევან II დადიანის გარდაცვალების შემდეგ ნაკლულოვანი წიგნები უკან დაიბრუნეს მღვდლებმა. რას უნდა ნიშნავდეს ეს? იმას, ხომ არაა, რომ კათოლიკე მისიონერების ჩაგონებით აღმოფხვრილი შეცდომები მიუღებელი აღმოჩნდა უწიგნური სასულიერო პირებისათვის? ეს შეიძლება ცალკე კვლევის საგანი გახდეს და ამიტომ აქ მასზე არ შევჩერდებით.

ერთი სიტყვით, მართლმადიდებელი ეკლესიის დაკნინებული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, საეკლესიო წესდების უპირატესობის ჩვენების მეთოდით მოქმედებამ, კათოლიკე მამებს სასურველი შედეგები მოუტანა. თუ ვერწმუნებით პირველწყაროების ინფორმაციას, ხელმეორედ მონათლნენ ეპისკოპოსები, მღვდლები, სამთავროს წარჩინებული

¹ ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ..., გვ. 26.

პირები და თვით მთავარიც.¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ 330-ზე მეტი კაცი მონათლა², ხოლო დონ კრისტოფორო კასტელიმ 10 ათასზე მეტი.³

ამრიგად, მოხმობილი წყაროები გვაძლევს საფუძველს დაეასკვნათ: თეატინელი მისიონერების კონფესიურ საქმიანობას ოდიშის სამთავროში მისი სუვერენის ლევან II დადიანის მხრიდან არ ხვდებოდა წინააღმდეგობა. ეს ართმევდა საფუძველს სასულიერო იერარქებს მისიონერთა მიმართ აშკარა მტრობა გამოეკვლინათ. ყოველივე ეს იძლეოდა იმის სტიმულს, რომ შექმნილიყო კონფესიური ურთიერთობის ორმხრივი უკონფლიქტო მოდელი, რომელიც დაბალანსებულ ინტერესებს ეფუძნებოდა. კათოლიკე მისიონერებისათვის ამგვარი თავისუფლების მინიჭება იმავე დროს მიზნად ისახავდა მომავალში დიპლომატიური სარგებლობის გამოტანასაც.

ასევე წყაროების მოწმობით, ბოძებული თავისუფლების ჩარჩოებში, მისიონერები ეწეოდნენ მოზომილ დიალოგს სასულიერო საკითხებზე, რომლის მიზანი, ცხადია, კათოლიკური სარწმუნოების ჭეშმარიტების ჩვენება იყო. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვან ინფორმაციას გვაწვდის დონ კრისტოფორო კასტელი. “ზოგჯერ ლევან დადიანთან მისი სარწმუნოების, სქიზმატიკოსების საწინააღმდეგო სიტყვებიც მითქვამს. მისთვის ასეთი რამის თქმას სხვა ვერავინ გაბედავდა და, რადგან თავისუფლებით ვსარგებლობდი, უშიშრად ვლაპარაკობდი პატრიარქებთან, მთავრებთან და მეფეებთან. ისინი ხალისით მისმენდნენ და სიყვარულით მეკიდებოდნენ მაშინაც კი, თუ მე მათი აზრის საწინააღმდეგოს ვიტყვოდი”.⁴

¹ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 179-186.

² დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., წერილები..., გვ.109.

³ თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა..., გვ. 183.

⁴ პატრიცია ანა ლიჩინი., დასახ. ნაშრ., გვ. 66.

ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის ამოსავალია დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს ცნობა. ის წერს: “მთავართან ჩვენ ბევრჯერ გვისაუბრია; ერთხელ მან ვეზირის ოთახში დაგვიბარა, სადაც მთავრის, ვეზირისა და ჩვენი ორი მამის¹ გარდა არავინ იყო. მთავარმა სხვადასხვა ეჭვები, რთული მორალური საკითხები დააყენა და თითქმის ყველაფერს ვუპასუხეთ. მაშინ თქვა: (გადმოვცემ მის სიტყვებს ზუსტად) “ასეთი ბრძენი ადამიანები აღრე არასოდეს შემხვედრია!”²

ჩვენი კვლევისათვის საინტერესო ამ დიალოგში, როგორც ვხედავთ სულ მონაწილეობდა ოთხი პირი: მთავარი ლევან II დადიანი, მისი ვეზირი პაატა წულუკია, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და დონ არქანჯელო ლამბერტი. ზოგადად აღნიშნულია, რომ მთავარი ამ სამთან საუბარში შეეხო სხვადასხვა საეჭვო და მორალურ საკითხებს. დგება კითხვა: რა უნდა იგულისხმებოდეს საეჭვო საკითხებში? ცხადია, სხვა პირდაპირი წყაროს უქონლობა არ იძლევა ზუსტი პასუხის გაცემის საშუალებას. მეტი ალბათობით საუბარი უნდა ყოფილიყო კათოლიკური დოქტრინისა და მორალის საკითხებზე. უფრო კონკრეტულად, მთავარი შეეხო კათოლიკური რწმენის იმ დოქტრინებს, რომელიც მას საეჭვოდ, ანუ მართლმადიდებლობასთან შეუსაბამოდ მიაჩნდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს საეჭვო საკითხი, სხვასთან ერთად (“სხვადასხვა ეჭვები”), უნდა ყოფილიყო “ფილიოკვეს” პრობლემა. დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ და დონ არქანჯელო ლამბერტიმ მთავარს ამომწურავი და, ალბათ, თეოლოგიურად სრულად გამართული პასუხები გასცეს. ამან დიდად აღაფრთოვანა ლევან II დადიანი და სამთა წინაშე თქვა: “ასეთი ბრძენი ადამიანები აღრე არასოდეს

¹ იგულისხმება საკუთრივ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და დონ არქანჯელო ლამბერტი.

² დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია..., გვ. 45.

შემხვედრიანო!” თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ თეიმურაზ I-ივით ლევან II დადიანი “თავს არ მიიჩნევდა ღვთისმეტყველად”, მასთან საუბარს ადვილად გამართავდნენ ჯუდიჩე და ლამბერტი და დააჯერებდნენ კიდევაც საკუთარ სისწორეში. ვფიქრობთ, ამის შედეგი უნდა ყოფილიყო ის, რომ ხსენებული საუბრის შემდეგ მთავარმა ახლა ისინი საკუთარ ოთახში იხმო. “ამის შემდეგ მთავარმა თავის ოთახში გვინძო და ბევრი ნდობით აღსავსე სიტყვები თქვა, კერძოდ, მან კარგად იცის, რომ ჩვენ ექიმები არა ვართ, მაგრამ მკურნალობას ვეწევით ღვთის სიყვარულის გამო, რომ ჩვენ ღვთის კაცები ვართ და სხვა დიდი სიმპათიის გამომხატველი სიტყვები გვითხრა: შემდეგ მან ერთი საიდუმლოება გაგვანდო და თქვა: თუ მათ მისი სიკვდილი არ უნდათ, ეს არავისთვის ეუწყებინათ”.¹

როგორც ვხედავთ, ახლა მთავრის ოთახში სამნი იყვნენ: ლევან II დადიანი, დონ ჯუზეპე ჯუდიჩე და დონ არქანჯელო ლამბერტი. ვეზირი პაატა წულუკია, ცხადია, მთავარმა პატრებთან გაგრძელებულ დიალოგს არ დაასწრო. ეს იმიტომ, რომ მას საიდუმლო მხოლოდ ჯუდიჩესა და ლამბერტისათვის უნდა გაენდო და, ბუნებრივია, აქ ქართველი მოწმე საჭირო არ იყო. დაისმის კითხვა: რა საიდუმლო გაანდო მთავარმა ხსენებულ კათოლიკე მამებს?

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დონ ჯუზეპე ჯუდიჩემ საკუთარი რემინისცენციის საფუძველზე გადმოსცა ლევან II დადიანის სიტყვები. იგი უშუალო დიალოგის საკვანძო საკითხზე მთავრის მსჯელობას ისეთი ირიბი ფორმით აფიქსირებს, რომ გვიბიძგებს ვიფიქროთ, ლევან II დადიანმა აღიარა “რადაც” კათოლიკური დოგმატი, რომელიც საიდუმლოდ უნდა შეენახათ ჯუდიჩესა და ლამბერტის. ეს ჯუზეპე

¹ დონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი. რელაცია..., გვ. 45.

ჯუდიჩემ, როგორც დიპლომატიაში იტყვიან, ჯენტლმენურად შეასრულა. პროპაგანდა ფილმში კი მას, ჩანს, კარგად გაიგებდნენ. დიდი ალბათობით, იგი უნდა ყოფილიყო “ფილიოკვეს” და არა პაპის პრიმატის დოქტრინა. ლევან II დადიანის მიერ ორ კონფესიას შორის პრინციპულად შეუთავსებელი “ფილიოკვეს” აღიარება შეიძლებოდა მხოლოდ სიკვდილის ტოლფასი ყოფილიყო. რაც შეეხება პაპის პრიმატს, მას მთავარი დაუფარავად უდასტურებდა პაპ ინოკენტი X-ს თავის 1643 წლის წერილში, როცა მას უწოდებდა მსოფლიოს ქრისტიანთა მმართველს, წმინდა პეტრეს მემკვიდრეს და ქრისტეს მოადგილეს.¹ ერთი სიტყვით, ალბათ, მთავარმა აღიარა კათოლიკური დოქტრინის “ფილიოკვეს” ჭეშმარიტება, მაგრამ ეს არ ნიშნავდა იმას, რომ ის კათოლიკობაზე გადავიდა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ოდიშის მთავარმა ლევან II დადიანმა კათოლიკური დოგმატი “ფილიოკვეს” აღიარა ჭეშმარიტ განსაზღვრებად. ამის გამო, ცხადია, ეშინოდა რა თავისი ორთოდოქსი სასულიერო პირებისა, მთავარმა დადიანმა სთხოვა ჯუზუპე ჯუდიჩეს, რომ მას საიდუმლოდ შეენახა მისი აღიარება. წინააღმდეგ შემთხვევაში მთავარს თავისი მართლმადიდებელი კლირიკოსებისაგან “სიკვდილი” (უნდა გავიგოთ დაგმობა და ერეტიკოსად შერაცხვა) ელოდა. ჯუდიჩემაც დაიფიცა, რომ არ გაამჟღავნებდა საიდუმლოს, რაც მან პირწმინდად შეინახა და თავის რელაციონებში ყოველივე ეს ირიბი მინიშნებებით გადმოსცა. ამ პასუხს ვაძლევთ რა ზემოთ დასმულ კითხვას, აქვე ვსვამთ მეორე კითხვას: როგორ გაიგეს ყოველივე ეს წმ. კონგრეგაცია “ღე პროპაგანდა” ფილმში?

¹ თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია..., გვ. 610-611.

თეატინელთა მისიონის ცოცხალი ისტორიის მემკვიდრე ჯუზეპე სილოსი (1601-1674) წერდა: “როდესაც ღონ არქანჯელო ლამბერტიმ დაარწმუნა ლევან დადიანი, რომ ის ბერძნული წესით იყო მონათლული და ეს არ იყო კანონიერი, ე.ი. არ იყო სათანადო წესებით შესრულებული, ის დათანხმდა და ხელახლა მონათლა, უკვე ლათინური წესით...ის შინაგნად გახდა კათოლიკე და ამგვარად, გახდა ახალი კონსტანტინე ანუ თეოდოსიო, ხშირად ხმლითაც დაიცვა მიღებული სარწმუნოება..., სხვას არაფერს ხედავს, თუ არა რომის სარწმუნოებას, სხვასას არაფერს ნატრულობს, თუ არა რომის პაპის ნახვას, რათა მის ფერხთა ემთხვეოს და მის წინაშე აღიაროს კათოლიკური სარწმუნოება, რომელიც უკვე მიიღო...”¹

ღონ არქანჯელო ლამბერტის ცნობილ ნაშრომებში ასეთ ცნობას ჩვენ არ ვაწყდებით. როგორც დავინახეთ, მსგავსი ინფორმაციის შემცველია მხოლოდ ღონ ჯუზეპე ჯუდიჩეს აქ მოხმობილი ვრცელი რელაციონე. საფიქრებელია, ჯუზეპე სილოსმა აქედან აიღო გარკვეული ინფორმაცია და საკუთარი ინტერპრეტაციით გადმოსცა იგი, ხოლო წყარო ღონ არქანჯელო ლამბერტის მიაწერა, რაც მარტივად იყო შესაძლებელი, რადგან ამ რელაციონეს არ უზის ჯუზეპე ჯუდიჩეს ხელმოწერა. როგორც ვნახეთ, ჯუზეპე ჯუდიჩე არსად გვეუბნება, რომ ლევან II დადიანმა კათოლიკობა მიიღო. უბრალოდ, საუბარია იმაზე, რომ იგი მონათლა ხელმეორედ, მაგრამ მასში საუბარი არაა, რომ ეს კათოლიკური წესით შესრულდა. ამ უკანასკნელზე ასე იმიტომ შეგვიჩერდით, რომ ჯუზეპე სილოსზე დაყრდნობით ჩვენც ადრე დაწერილ ნაშრომ-

¹ Silos Don Giuseppe., *Historiarum clericorum regularium a Congregatione condita pars altera*, Eredi del Corbelletti, Romae, 1655, t.3, p.453; თამარაშვილი მ., *ისტორია კათოლიკობისა...*, გვ. 191.

ში ვიზიარებდით იმ აზრს, რომ სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა კათოლიკობა მიიღო. უფრო მეტიც, ვწერდით: „...ლევან II დადიანი ის პირველი ქართველი პოლიტიკური მესვეურია, რომელმაც კათოლიკობა მიიღო“.¹ ცხადია, ეს არ შეესაბამება სინამდვილეს და წინამდებარე სტატიის დაწერაც ამ აზრის გაბათილებამ გვიკარნახა.

დამოწმებანი:

ანთელავა ი., ლევან II დადიანი, თბ., 1990.

კლემენტე გალანო., კოლხეთის შესახებ, კრებ.: “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”, ტ. IV-V, თბ., 1999.

ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., წერილები საქართველოზე XVII საუკუნე. იტალიური ტექსტი თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბეჟან გიორგაძემ, თბ., 1964.

ღონ ჯუზეპე ჯუდიჩე მილანელი., რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2014.

ღონ არქანჯელო ლამბერტი., რელაცია საქართველოზე (XVII საუკუნე), იტალიური ტექსტი თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2015.

ევროპული წყაროები საქართველოს შესახებ (XVII საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი). იტალიური და ლათინური ტექსტები თარგმნეს, შესავალი და შენიშვნები დაურთეს მურმან პაპაშვილმა, ელდარ მამისთვალიშვილმა და ზურაბ გამეზარდაშვილმა, თბ., 2018.

¹ პაპაშვილი მ., საქართველო-რომის..., გვ. 184.

თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.

თამარაშვილი მ., ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე, თბ., 1995.

მამისთვალისშვილი ე., საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია, II, თბ., 2011.

პაპაშვილი მ., ლევან II დადიანის ევროპული ორიენტაცია. კრებ.: “საქართველოს ურთიერთობა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებთან”, I, თბ., 1994.

პაპაშვილი მ., საქართველო-რომის ურთიერთობა, თბ., 1995.

პატრიცია ანა ლიჩინი., კრისტოფორო კასტელი და მისი მისია საქართველოში. თარგმანი, შესავალი და შენიშვნები დაურთო მურმან პაპაშვილმა, თბ., 2009.

Silos Don Giuseppe., *Historiarum clericorum regularium a Congregatione condita pars altera, Eredi del Corbelletti, Romae, 1655, t.3.*

Tabagua Ilia M., *I rapporti tra la Georgia Cristiana e la Santa Sede, vol.I, Tbilisi, 1996, p. 301.*

Murman Papashvili

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

**CLARIFICATION OF ONE INDIRECT DETAIL
PROVIDED BY THE THEATINE MISSIONARY DON
GIUSEPPE GIUDICE
RESUME**

In the given article, the author, based on one indirect detail provided by the Theatine missionary Don Giuseppe Giudice, points out: the missionary Giuseppe Giudice talked

about the “Filioque” with Levan II Dadiani, the Prince of the Principality of Samegrelo. The latter recognized the Catholic dogma “Filioque” as a true definition. Fearing his Orthodox clergy, the ruler Dadiani asked Giuseppe Giudice to keep this fact of recognition in secret. Otherwise, the Prince expected death from the Orthodox clergy. Giudice in response swore not to reveal the secret, which the ruler shared with him.

ნესტან სულავა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახე წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, დავით აღმაშენებლის „გალობანსა“ და თამარის იამბიკოებში

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“, დავით აღმაშენებლის „გალობანი“ და თამარის იამბიკოები მრავალმხრივ საყურადღებო ჰიმნოგრაფიული თხზულებებია, რომლებშიც უმთავრესად ღმერთისა და სამყაროს, ღმერთისა და ადამიანის ურთიერთმიმართებათა საკითხებია დასმული, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახის სიმბოლური არსი და მნიშვნელობაა წარმოჩენილი. ღვთისმშობლის ხატ-სახე სამივე ჰიმნოგრაფ ავტორთან ქრისტიანული ღვთისმეტყველების სიმბოლური სახისმეტყველების კვალობაზეა ინტერპრეტირებული. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს საგალობლებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და სხვადასხვა სიმბოლური სახელითაა წარმოდგენილი. სიმბოლურ სახელებს განმარტებულია საღვთისმეტყველო ლიტერატურაში, რომელთაგან საგანგებოდ უნდა დავასახელოთ წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის მეტაფორასული საკითხავები. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“ ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონია და ოთხივეში ღმრთისმშობლისანად ერთი და იგივე ტროპარებია გამოყენებული, ე.ი. ოთხივე კანონში

ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი მხოლოდ ცხრა ტროპარია, ღმრთისმშობლისანად მხოლოდ ცხრა ტროპარი გამოიყენება, ხოლო დავით აღმაშენებლის რვაგალობიან ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ეძღვნება სულ რვა ტროპარი, რომლებიც ღმრთისმშობლისანად დაერთვის თითოეულ გალობას. ჩვეულებრივ, წმ. ანდრია კრიტელის, წმ. იოანე დამასკელისა და წმ. კოზმა იერუსალიმელის ჰიმნოგრაფიული მოღვაწეობიდან მოყოლებული, საგალობელთა ავტორები ჰიმნოგრაფიულ კანონებს ბიზანტიურ ჰაგიოგრაფიაში დამკვიდრებული ღმრთისმშობლისანებს ურთავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ძლისპირთა მსგავსად, ახალი ჰიმნოგრაფიული კანონების შექმნისას ცალკეული გალობისათვის ღმრთისმშობლისანებზე არ იქმნებოდა, არამედ უკვე შექმნილს იყენებდნენ. რასაკვირველია, იყო გამონაკლისები, როდესაც იქმნებოდა თვითძლისპირები, ანუ ჰიმნოგრაფი მზამზარეულ ძლისპირს კი არ იყენებდა, არამედ ძლისპირსაც თავად თხზავდა და ასევე ქმნიდა ღმრთისმშობლისანებსაც. ქართულ ჰიმნოგრაფიაში თვითძლისპირთა ნიმუშად შეიძლება იოვანე მინჩხის საგალობლებზე დართული ძლისპირები დასახელებს, ხოლო ღმრთისმშობლისანების ნიმუშად კი შეიძლება წმ. გიორგი მთაწმინდელის „პარაკლიტონის“ თარგმნისა და ძლისპირ-ღმრთისმშობლისანთა შექმნის ისტორია გავითვალისწინოთ. კერძოდ, წმ. გიორგი მთაწმინდელი „პარაკლიტონის“ ერთ-ერთი ხელნაწერის ანდერძში აღნიშნავდა, რომ ბერძნულ დედანს ღმრთისმშობლისანები აკლდა და „ასორმეოცი ღმრთისმშობლისანი მე შემემატებიაო“, ე.ი. ამ ღმრთისმშობლისანთა ტროპარების ავტორი თავად წმ. გიორგი მთაწმინდელია. ცნობილია, რომ ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა ავტორები იყვნენ ცნობილი ბიზანტიელი ჰიმნოგრაფები წმ. ანდრია კრიტელი, წმ. იოანე დამასკელი, წმ. კოზმა

იერუსალიმელი, წმ. იოსებ სტუდიელი, წმ. თეოფანე გრაპტოსი და სხვანი. ჩვენთვის საინტერესოა წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის ჰიმნოგრაფიული საქმიანობა, რადგან მათი საგალობლები, მათ მიერ შექმნილი ძლისპირ-ღვთისმშობლისანები ადრევე ითარგმნა ქართულ ენაზე. მიქაელ მოდრეკილის მიერ შედგენილ საწელიწდო იადგარს წინ უძღვის ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა ტექსტები, რაც იმას ნიშნავს, რომ კრებულში შეტანილ სხვადასხვა ავტორის ჰიმნოგრაფიულ კანონებს სწორედ ეს ძლისპირ-ღვთისმშობლისანები დაერთვით. ქართულ ჰიმნოგრაფიულ კრებულთა, კერძოდ, საწელიწდო იადგართა უმეტესობა სწორედ ამ მეთოდითაა შედგენილი. იადგართა პარალელურად იქმნებოდა ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა კრებულები, რომელთა ზეპირად ცოდნა მოეთხოვებოდათ მგალობლებს. ამგვარ კრებულთა რიგს ეკუთვნის ე.წ. გოლგოთური ნევმირებულ ძლისპირთა კრებული, რომლის შემდგენელია იორდანე და იგი მისი სახელით მოიხსენიება კიდევც. ესაა ხელნაწერი -603, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული. ამ საკითხზე მსჯელობა იმისთვის დაგვჭირდა, რომ დავით აღმაშენებლის საგალობელში გამოყენებულია როგორც ძლისპირები, ისე ღვთისმშობლისანები, რომელთაგან ძლისპირებად ცნობილი ტროპარებია გამოყენებული და ძლისპირთა კრებულებში გვხვდება, ხოლო ღვთისმშობლისანთა წარმომავლობის გარკვევისას ლაურა გრიგოლაშვილმა აღნიშნა, რომ ისინი ცნობილ ღვთისმშობლისანთა ტექსტებში არ გვხვდება და დაასკვნა, რომ ისინი თვით დავითის მიერ შეთხზული ტროპარებია. ამიტომაც დავსვით საკითხი ღვთისმშობლის ხატ-სახის წარმოსახვის შესახებ, მისი სიმბოლური გააზრების შესახებ წმ. ანდრია კრიტელის „დიდ კანონში“, რომელსაც ავტორისეული ძლისპირ-ღვთისმშობლისანები ახლავს, დავით აღმაშენებ-

ლის „გალობანში“, რომლის ღვთისმშობლისანები თვით დავითის შექმნილია და თამარის ორივე იამბიკოში – „ცასა ცათასა“, „ქალწულებრივთა სისხლთა“; საინტერესოა, როგორი სახისმეტყველებით წარმოაჩენს თითოეული ავტორი ღვთისმშობლის ხატ-სახეს, რა აქვთ მათ ერთმანეთთან საერთო. ამ კუთხით ეს სამი საგალობელი ერთმანეთის პარალელურად განხილული არ ყოფილა.

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონი“ მოცულობითაც იქცევს ყურადღებას, რადგან მასში ოთხი ჰიმნოგრაფიული კანონია შეტანილი და თითოეულ გალობას ახლავს ძლისპირ-ღვთისმშობლისანთა ტროპარები. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ არაა გამოტოვებული მეორე გალობა – „მოიხილესა“; იგი დავით აღმაშენებლის საგალობელში არ არის. თამარ მეფის ერთი საგალობელი ხუთსტროფიანი იამბიკოა, მეორე კი ერთსტროფიანი შვიდტაქტიანი იამბიკოა, რომლებშიც ყოველადწმიდა ღვთისმშობლის მიმართვას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს.

განხილვა წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონით“ უნდა დავიწყოთ, როგორც ხსენებულ თხზულებათაგან ქრონოლოგიურად ყველაზე ადრინდელი საგალობლისა. იგი კაცობრიობის სულიერი ისტორიაცაა და კონკრეტული ადამიანის სულის ისტორიაც, რაც იმას მიუთითებს, რომ საზოგადოდ მასში გადმოცემული განცდა, განწყობილება მთელ კაცობრიობას შეუძლია თავისად აღიქვას. ადამიანმა დაკარგა ღვთის ხატება და მსგავსება, ესაა ცოდვილი სულის ძირითადი საგოდებელი, სულისა, რომელიც განსაცდელის ურთულეს გზაზე გადის, რადგან, ავტორის სიტყვით, „განვჰბდარე მე პირველი სამოსელი, რომელი პირველითგან მიქსოვა

ღმერთმან და ვჰსძე მე შიშუელი“.¹ პირველი სამოსლისაგან, ნათლის სამოსლისაგან განძარცვამ ადამიანს ზესთასოფელი დააკარგვინა, რის შემდეგაც იწყება მარადიული სვლა ზესთასოფლის დასაბრუნებლად, სულიერების კვლავ მოსაპოვებლად. ამიტომ „დიდი კანონის“, როგორც დიდმარხვის პერიოდში, კერძოდ, პირველი კვირის ორშაბათ-ხუთშაბათს შესასრულებელი საგალობლის, ძირითადი მიზანი ისაა, რომ ადამიანში ცოდვის შეგრძნების გაღვივებით სინანული აღძრას, როგორც ქრისტიანული ცნობიერების განვითარების საფუძველი. მთელი საგალობელი, ოთხივე ჰიმნოგრაფიული კანონი, ადამიანის სულიერ მსოფლშეგრძნებას, შინაგანი ჭკურეტის უნარს ავითარებს და აღრმავეს. ამ ფონზე უნდა განვიხილოთ „დიდ კანონში“ შეტანილი ღმრთისმშობლისანები. უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე ჰიმნოგრაფიულ კანონში გამოყენებულია ერთი და იგივე ღმრთისმშობლისანები, ე.ი. ოთხივე საგალობელში ყოველადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილია სულ 9 ტროპარი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოთხივე დღის კანონში ჩართულია ერთი და იგივე კონდაკი „სულო ჩემო...“ რომელშიც ადამიანი საკუთარ სულს მარადიული მღვიძარებისა და ღვაწლისაკენ მოუწოდებს, ხოლო კანონის ბოლოს წმ. ანდრია კრიტელის წინაშე აღვლენილი ლოცვაა, რომელიც, ჩანს, წმ. ანდრია კრიტელის მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში შეიქმნა; ცხადია, რომ მისი ავტორი წმ. ანდრია კრიტელი არაა.

„დიდი კანონის“ ღვთისმშობლისანთა მთავარი მისიაა მონანული ადამიანის მიბრუნება სამყაროს შექმნის არსის შესაცნობად, პირველცოდვის შეგნებისა და მისი გამოსყიდვის შეგრძნების აღძვრისაკენ, რათა სულიერ განწმენდას მიაღ-

¹ წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002, გვ. 11.

წიოს. ცოდვა ადამიანის დაცემაა სულიერი სიმაღლიდან, მისი მხრიდან საკუთარ უმაღლეს მოწოდებაზე უარის თქმა. ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახის ჩვენებით ჰიმნოგრაფი ცდილობს მორწმუნე ადამიანში სინანულის გრძნობის აღძრვას პირველქმნილი სისრულის, სულიერი სრულყოფილების დასაბრუნებლად, რისთვისაც იყო აუცილებელი ძე ღმერთის განკაცება.

წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ღვთისმშობლისანებში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატ-სახე სიმბოლური სახისმეტყველებითადაა წარმოჩენილი. თითოეული მათგანი დოგმატურ ღვთისმეტყველებას ემყარება და ავტორის მსოფლმხედველობრივ მრწამსს წარმოაჩენს ღვთისმშობლის დოგმის კვალობაზე გააზრებისას. უწინარესად, ღვთისმშობელს ავტორი ვედრებით მიმართავს, რათა სინანულის ცრემლი მიჰმადლოს, ცოდვათაგან გაათავისუფლოს და იხსნას. ღვთისმშობელი არის ადამიანთა იმედი, რომელმაც იტვირთა პირველცოდვისაგან განმწმენდელის შობის ვალი, რადგან ქალის მიერ ჩადენილი ცოდვის განმწმენდელი ქალი უნდა ყოფილიყო. ეს მოტივი ჰიმნოგრაფიაში საკმაოდ გავრცელებულია, წმ. ანდრია კრიტელის საგალობლის გარდა, ამ მოტივს ასახავს ღვთისმშობლის მიმართული ჰიმნოგრაფიული კანონიც. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხარებისადმი მიძღვნილი ბორენას იამბიკო, რომელიც ფერადოვანი მეტყველებით წარმოსახავს ევას ცოდვის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ განწმენდის მოტივს: „რომელმან ეგე ევას მიუზღენ ვალი“... ვალის მიზღვა კი ღვთისმშობლის მიერ პირველცოდვისაგან კაცობრიობის სიწმინდით გათავისუფლებას გულისხმობს. ბორენას იამბიკოს ბოლო ტაეპი ავტორის ცხოვრებისეულ და სულიერ გასაჭირს მიუთითებს: „ქალწულო, მიხსენ ბორენა ჭირმრავალი“, რასაც ჰიპოდიმურად საინტერესო

ახსნა ეძებნება, რადგან, ბიბლიური მონათხრობით, ჭირმრავალია ბიბლიური რაქელი, რომელიც შემეცნებას, გონიერებას განასახიერებს. წმ. ანდრია კრიტელის საგალობლით, ღვთისმშობელი არის სასო ყოველთა მგალობელთა, საყდარი უფლისა და დედა ღვთისა, ქალწულებრ უზრწნელი ქალწული და დედა, რომელმაც „მიიღო ... თბე, რომელმან შექმნა საუკუნენი და შეაყო ღვთაება ბუნებასა კაცთასა“¹ და რომლისგანაც შობილი „განაახლებს ბუნებისა სჯულთა, ხოლო საშო შობს განუზრწნელად, რამეთუ წესთა ბუნებისათა სძლევს ღმერთი, და ჰყოფს მას, რადცა ენებოს“.² წმ. ანდრია კრიტელის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარში ყურადღებას იქცევს „თბეს“ სემანტიკური და სიმბოლური გააზრება. ტროპარში ასახულია ქალწული ღვთისმშობლისაგან, ღვთისნებით საიდუმლო შეზავებით (თბეს პირდაპირი მნიშვნელობა არის საფუარი, ცომი) კაცობრიობისათვის სიცოცხლის მიმნიჭებელი ძე ღვთისას ღვთისმშობლის ძედ (ხორციელად) შობა; თბე ისაა, რომელმაც საუკუნო ცხოვრება შექმნა, ღვთაებრივი და კაცებრივი ბუნება შეაზავა.

არეოპაგიტულ თეოლოგიურ ტრაქტატში – „საღმრთოთა სახელთათვის“ განმარტებულია, როგორ შეითვისა ქალწული ღვთისმშობლის სხეულმა იესო ქრისტეს სხეული, ამ შეზავებას საიდუმლოს, გამოუთქმელს, ყოველი გონებისათვის შეუცნობელს უწოდებს.³ ქალწულებრივმა სისხლმა საიდუმ-

¹ წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002, გვ. 19.

² წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002, გვ. 17

³ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, ეფრემ მცირის თარგმანი, გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ს. ენუქაშვილმა, თბ., 1961, გვ. 21.

ლო ცომი (უფრო ზუსტი იქნება საფუარი) მიიღო, რის შედეგადაც ღვთიური ნებით იშვა ძე. თბეს ძველ ქართულში საფუარს უწოდებდნენ, საბას ცომად აქვს განმარტებული. აღიშის სახარების ტექსტში მთარგმნელი სწორედ ამ სიტყვას – თბეს იყენებს: „ეკრძალენით... თბისა მისგან ჰეროდია-ნთადას“ (მრ. 8, 15), ხოლო ჯრუჭისა და პარხლის სახარებათა ხელნაწერებში ცომია აღნიშნული. ამ ტრადიციას მისდევს კორინთელთა მიმართ პავლეს პირველი ეპისტოლე: „განწმიდეთ უკუე ძუელი იგი ცომი, რადთა იყვნეთ ახალ თბე, ვითარცა-ეგე ხართ უცომო, რამეთუ ზატიკად ჩუენდა ჩუენტვს დაიკლა ქრისტე“ (I კორ. 5, 7), „რადთა ვზატიკობდეთ არა ცომითა მით ძუელითა, არცა ცომითა მის სიბოროტისა და უკეთურებისა თა, არამედ უცომო თა მით სიმართლისა და ჭეშმარიტებისადათა“ (I კორ. 5, 8), სადაც ადამიანური ბუნების განახლებაზეა მინიშნება. ბერძნულში თბე და ცომი სხვადასხვაგვარად აღინიშნება τῆν παλαιαν ζῆμην (ძველი ცომი) და νέον φῆμα (ახალი თბე), „ძუელი იგი ცომი“ ცოდვადაცებული სხეულია, ხოლო „ახალი თბე“ ქრისტეს მოვლინების შედეგად განახლებული ადამიანური ბუნებაა. საგულისხმოა რომაელთა მიმართ პავლეს ეპისტოლეში გამოთქმული შეხედულება: „ხოლო უკუეთუ დასაბამი იგი წმიდა არს, და თბეცა (φῆμα); და უკუეთუ ძირი იგი წმიდა არს, და რტონიცა მისნი“ (ჰრომ., 11, 16). ღედააზრი ნათელია, დასაბამიც და შესაზავებელიც წმინდა თუ არის, ნაყოფიც წმინდა იქნება. თბე რელიგიურ-ფილოსოფიური დატვირთვით გამოიყენება იოანე პეტრიწის კომენტარებში, რომლებიც მან დაურთო პროკლე დიალოხოსის თხზულებას „კავშირნი ღვთისმეტყველებითნი“. იოანე პეტრიწმა „ღმრთებრივი და ეშმაკებრივი“ სულის განმარტებისას აღნიშნა: „ღმრთებრივი უკუე ვითარ ღმერთი და მალმრთი სულისაჲ.

ხოლო ეშმაკებრივი კვლოვნებად და მაშუენი აღქმნულთა და ვითარ ერმის თბეთაგანი ხოლო ზესთ ნეტარი ღმრთებრი სუ-
ლი ვითარ კრონოდს გონიერთა სისავსეადთ დამთვრალი“.¹

„ღვთისმშობლისანებში“ აღნიშნულია ღვთისმშობლის მიერ მაცხოვრის, „ერთი წმიდისა სამებისა“, „ხატითა კაცობ-
რივითა“ შობა, რაც დავით აღმაშენებლის საგალობელშიც უმნიშვნელოვანეს პარადიგმად გვევლინება.

საგალობელში ღვთისმშობლისადმი ვედრება ღვთის ქა-
ლაქის დაცვის თხოვნით მთავრდება, იგი მეცხრე გალობის, „ადიდებდითსას“, ბოლო ტროპარადაა შეტანილი, რომელსაც მხოლოდ წმ. ანდრია კრიტელისადმი მიძღვნილი ერთტროპა-
რიანი ლოცვა მოსდევს: „უხრწნელო ღვთისმშობელო, დაიცევ ქალაქი შენი, რომელი ესე შენ მიერ მოაქვს ძალი, და შენ მიერვე სძლევს მტერთა, ზესთა ექმნების განსაცდელთა, მბრძოლთა გარე მიაქცევს და მართებს განსაგებულთა თვი-
სთა“.² ლოცვაში ასახული ღვთის ქალაქის დაცვის მოტივი თავს იჩენს თამარის იამბიკოებში, რომლებშიც მეფე-ქალი, მეფე-დედა ღვთისმშობელს ევედრება ხსნას და მადლობას უხდის შეწევნისათვის, რათა მისადმი რწმუნებული ქვეყანა, სახელმწიფო და ტახტის მემკვიდრე, ძე თვისი, გიორგი-
ლაშა დაიცვას. წმ. ანდრია კრიტელის „დიდი კანონის“ ღვთისმშობლისანთა ტექსტები ძლისპირთა და ღვთისმშობ-
ლისანთა კრებულებში არ იძებნება, რაც იმას ნიშნავს, რომ ღვთისმშობლისანების ავტორი თვით წმ. ანდრია კრიტელია. უნდა აღინიშნოს, რომ წმ. ანდრია კრიტელამდე ძლისპირ-

¹ იოანე პეტრიწი, შრომები, II, ტომი გამოსცეს და გამოკვლევა დაურთეს შ. ნუცუბიძემ და ს. ყაიხჩიშვილმა, თბილისი, 1937, გვ. 165).

² წმ. ანდრია კრიტელი, დიდი კანონი, ნეკრესის ეპარქია, 2002, გვ. 30.

ღმრთისმშობლისანები არ იქმნებოდა. წმ. ანდრია კრიტელი კი მრავალი ძლისპირისა და ღვთისმშობლისანის ავტორია.

ასევე, როგორც ზემოთ ითქვა, „გალობანი სინანული-სანის“ ღვთისმშობლისანთა ავტორი თვით დავით აღმაშენებელია. არც ამ საგალობლის ღვთისმშობლისანთა ტექსტები იძებნება ძლისპირთა და ღვთისმშობლისანთა კრებულებში, რაც ლაურა გრიგოლაშვილმა დავით აღმაშენებლის საგალობლისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში აღნიშნა. ამრიგად, დავით აღმაშენებელი ამ მხრივაც წმ. ანდრია კრიტელის სულიერ მემკვიდრედ გვევლინება.

ღვთისმშობლის ხატ-სახეს დავით აღმაშენებელი ქრისტიანული დოგმატური მრწამსისა და აზროვნების კვალობაზე წარმოაჩენს და, ფაქტობრივად, მაცხოვრის, როგორც ლოგოსის ხორციელქმნის, განკაცების არსს გვამცნობს. პირველი გალობის („უგალობდითსა“) ტროპარი ქალწულ ღვთისმშობელს „ბრალეულთა თავსმდებს“ უწოდებს, რადგან ღვთისაგან სწორედ მას ხვდა წილად ლოგოსის უბიწოდ შობა, რათა კაცობრიობა მარადიული წაწყმედისაგან გაეთავისუფლებინა, ეხსნა. „ბრალეულთა თავსმდები“ ანარეკლს პოულობს ბორენას იამბიკოში გამოთქმულ თვალსაზრისთან, რომლის მიხედვით კაცობრიობის მხსნელი ქალწულმა ღვთისმშობელმა იტვირთა, რითაც ვალი მიუზღა ევას, პირველ-ცოდვა გამოისყიდა: „რომელმან ეგე ევას მიუზღე ვალი, ჰრქუი რაჲ გაბრიელს: „ვარ უფლისა მკვევალი!“ მაშინ ის-ტუმრე ქუეყნად მოუვალი, დაემკო ძალი, პირველვე სისხლ-დამთრვალი; ქალწულო მიკსენ ბორენა ჭირმრავალი!“¹

¹ იამბიკოს ავტორის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული მოსაზრებებია: 1. ტრადიციული შეხედულებით, ავტორი ბაგრატ მეოთხის მეუღლე ბორენა დედოფალია; 2. მეცნიერთა ნაწილის აზრით, მისი ავტორია XIII საუკუნის მოღვაწის, ეროვნული გმირის ცოტნე

საგალობელში მაცხოვრის შობა ახალ შეზავებად, ახალ შობადაა სახელდებული. დავიმოწმით ტროპარი: „ქალწულო, ბრალეულთა თავმსდებო, რომელმან სიტყუად განაზრქე კორციტა და კარვითა მიწისაიდათა, სიზრქე უსასოებისაჲ განმძარცუე, რადთა მონანული შეგვივრდე შენ!“¹ ლ. გრიგოლაშვილის სიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შობას სხვა შობა უნდა უსწრებდეს. „მართლაც, თეოლოგიის თანახმად, ქრისტესთან ორი შობაა დაკავშირებული: პირველი შობაა მამისაგან უდედლოდ, მეორე უძამოდ დედაკაცისაგან. „შობად ახალი“ უფამოდ შობილი სიტყვის ჟამში განხორციელებას აღნიშნავს“.² მისივე განმარტებით, დავითის თითოეულ სიტყვას თეოლოგიური შინაარსი აქვს შეძენილი, ამ თვალსაზრისით განიხილა „ხორცქმნად სიტყვისა“ და განსაზღვრა, რომ „ჰიპოსტასი სიტყვისა გარდაუქმნელად იქცა ჰიპოსტასად ხორცისა, ე.ი. დასაბამი ხორცისა სიტყვის ჰიპოსტასია, ხორცს არა აქვს დამოუკიდებელი „თვითება“, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ხორცი მიწიერი არ არის“.³ ცხადია, თუ როგორ განხორციელდა მეორე ჰიპოსტასის ხორცქმნა, უდიდესი ღვთაებრივი საიდუმლოა, რადგან ადამიანის დასაზღვრული გონება ამ მისტერიას ვერ ჩასწვდება. დავით აღმაშენებლის ღმრთისმშობლისანის ამ ტროპარს უკავშირდება მეორე ტროპარიც, რომელშიც კვლავ ახალ შეზავებაზეა საუბარი. დავიმოწმით:

დადიანის მეუღლე ბორენა; 3. იამბიკოს ავტორს სახელად ჰქვია ბორენა, მაგრამ მისი ვინაობა უცნობია.

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005, გვ. 214.

² ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 101.

³ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 101.

„ამისთვის სისხლთა ქალწულებრივითგან ჳორცნი ღმრთისანი და ახალი შეზავებად, ღმერთი და კაცი, რადთა იოხდეს დედად ჩემებრ განწირვით უსასო-ქმნილთა!“¹ „ახალი შეზავების“ გარდა, ტროპარში ყურადღებას იქცევს სემანტიკური წყვილი „სისხლთა ქალწულებრივითგან“, რომლითაც იწყება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი თამარ მეფის ერთსტროფიანი სამადლობელი იამბიკო: „ქალწულებრივთა სისხლთა“. აქცენტი საგანგებოდაა ქალწულზე გაკეთებული, რადგან არავინ ყოფილა დედათა შორის ქალწული და ქალწულთაგან დედა არავინ გამხდარა. დავით აღმაშენებელი კიდევ რამდენიმე ტროპარში ახსენებს ქალწულისაგან სიტყვის ხორცქმნას: „ამისთვის იყო ქალწული და ჳორც-ქმნახი სიტყვსად, რადთა დედობრივთა ოხათა მიერ ცხოვნდნენ ცოდვილნი, რომელთა პირველი, საშუალი და დასასრული, მე ვარ, ვითარცა უფსკრული, შესაკრებელი ბილწებისა ღუართაი!“² „ამისთვის ქალწული დედად და შობად ახალი სიტყვსად, რადთა ახალი ხატყოფად მეორედ მისცეს ცოდვით განრყუნელთა მისთა, დედობრივთა რად ოხათა ბრძმედითა დაადნოს ყოველი ნივთი შეცოდებისაი!“³ „...ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაი!“ „საკუთრად ღმრთისმშობელად გქადაგებთ, უხრწნელო ქალწულო“, „არად უხილავს მზესა ქალწული დედად თჳნიერ შენსა“... ღვთისმშობლის მარად-ქალწულობის შესახებ ჳიმნოგრაფები ყოველთვის საუბრობენ ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ საგალობლებსა და ჳიმნოგრა-

¹ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 217.

² ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 215.

³ ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 216.

ფიული კანონების ღმრთისმშობლისანებში, რათა მსმენელთა თუ მკითხველთა, საზოგადოდ, საგალობელთა აღმქმელებს უნივერსალურ სიწმინდეზე მიუთითონ და საღვთო საიდუმლოში განსწავლონ¹. ამავე თვალსაზრისს გამოხატავს იოვანე შავთელი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარადქალწულობისა და ღედოფლობის შესახებ თავის ჰიმნოგრაფიულ კანონში „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი“, რომელშიც ღრმა მისტიურობით წარმოჩნდა ის სიწმინდე, რომლითაც გამოირჩევა ევას ცოდვათა განმწმენდელი, ღედათა შორის ქალწული და ქალწულთა შორის ღედა, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი. ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ სხვა ტროპარებშიც დავით აღმაშენებელი სწორედ ამ საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას: „ამისთვის შობად ღმრთისაჲ ადამიანისაგან ღედაკაცისა, რადთა მიწით შობილთა კაცთა ცთომასა, ვითარცა ღმრთისა ღედაჲ დაჰკვნიდეს ქალწული და იოხდეს ცოდვილთა!“ „არად უხილავს მზესა ქალწული ღედაჲ თუნეირ შენსა, არცა ჩემოდენ ბრალეულსა - ნათელი მისი, გარნა მე შენითა ოხითა, ღედოფალო, ვესავ ხილვად ნათელსა ძისა შენისასა და ნათელსა ზეშთა საუკუნეთასა!“² საგალობელი ზეაწეული ინტონაციით, იშვიათი სინატიფით, საღვთისმეტყველო სიღრმით წარმოაჩენს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს. საგალობლის თეოლოგიური სიღრმის გამო უწოდა ანტონ პირველმა დავით აღმაშენებელს „მაღალ ღვთისმეტყველი“, რაც მხოლოდ ორ-

¹ უთუოდ უნდა აღინიშნოს, რომ დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ბრძოლა იმ ერეტიკოსთა წინააღმდეგ, რომლებმაც ეკვი შეიტანეს ღვთის ღიდ საიდუმლოში ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მარადქალწულობის შესახებ, მაგრამ საბოლოოდ დაიძლია ერეტიკული შეხედულებები და გაიმარჯვა ბიბლიურ-ევანგელურმა სწავლებამ.

² ლ. გრიგოლაშვილი, დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულიანი“, 2005, გვ. 121.

ჯერ აქვს გამოყენებული; დავითის გარდა, შოთა რუსთველის შესახებ განაცხადა, „თუ სამ სწადოდა, მაღალ ღვთისმეტყველ“ იქნებოდაო, ე.ი. მისტიკური ღვთისმეტყველების წვდომის უნარის მქონედ მიიჩნია.

ამრიგად, დავით აღმაშენებლის საგალობელი ღვთისმშობლისადმი მიძღვნილ ტროპარებში დედოფალი და ქალწული ღვთისმშობლის გამორჩეულობას, ერთადერთობას, სრულყოფილებასა და სისრულეს სიმბოლური სახისმეტყველებით წარმოაჩენს და ხატავს, როგორც ფერწერულ ნიმუშს, რაც ჰიმნოგრაფიისა და ხატწერის პარალელურად კვლევის საჭიროებას მიუთითებს.

თამარის იამბიკები. თამარის სახელით ცნობილი და მოღწეული ორივე იამბიკო, „ცასა ცათასა“ და „ქალწულებრივთა სისხლთა“, ღვთისმშობლის სამადლობელი საგალობელია. ყოვლადწმიდა ღვთისმშობელია „ცასა ცათასას“ თითქმის ყოველი სტროფის, ასევე, მეორე ერთსტროფიანი იამბიკოს ორიენტირი და მიმართვის ობიექტი. ავტორი ღმერთისა (სამივე ჰიპოსტასის) და ღვთისმშობლის გამოსახატავად მიმართავს ჰიმნოგრაფიაში დამკვიდრებულ პარალელიზმის მეთოდს, რომელიც თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ჰიმნოგრაფიული თხზულების სტრუქტურის ერთ-ერთ მთავარ, ძირითად პრინციპადაა მიჩნეული. მათში საუბარია ქრისტიანული ღვთისმეტყველების ძირითად პრობლემებზე: სამება-ერთარსებაზე, სამყაროს შექმნაზე, ზეცისა დასზე, ქრისტეს შობაზე ქალწულისაგან, ქრისტეს ვნებით პირველცოდვის დახსნაზე; აგრეთვე, საგალობელში აირეკლა ისტორიული მოვლენებიც. ამჯერად ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ იმაზე, რომ მეფე თამარი ორივე იამბიკოში მიმართავს ღვთისმშობელს, როგორც ნათელს ქრისტიანობისას და საქა-

რთველოს დედა-მფარველს, რაც ეხმიანება ღვთისმშობლისადმი საქართველოს წილხვდომილობის იდეას.

საგალობელი „ცასა ცათასა“ შამქორის ომში გამარჯვების შემდეგ დაიწერა და მეფე-პოეტი ღმერთსა და ღვთისმშობელს ემადლიერება დახმარებისათვის, მომავალშიც მათ შესთხოვს შემწეობას, რათა მაჰმადიანები – „აგარის ნათესავნი“ განდევნოს, როგორც ამ ომში მოწყლა ისინი დავით სოსლანმა. თამარის იამბიკოს მიზანი ღმერთის მარადიულობის გამოხატვაა, რომელიც სუფევს „ცასა ცათასა“, ხოლო ამ უკანასკნელს სიმბოლური გააზრება აქვს. იგი ღვთისმშობლის სიმბოლური სახისმეტყველების კვალობაზეა აღსაქმელი. დავიმოწმებ ტაეპს: „ცასა ცათასა დამწყებს ღმერთ-მთავრობასა“. რ. სირაძის მართებული დასკვნით, „ცათა ცა „სამყაროა“ და მასზე ძე საუკუნობს... ცათა ცაზე მარადიულობაა... ცათა ცა ადგილია ღვთისა“. აქედან გამომდინარე, „ცათა ცა ღვთისმშობლის სახელია, სიმბოლოა... ღვთის ადგილად მხოლოდ სიმბოლურად შეიძლება დავასახელოთ თვით ყოვლისმომცველი ზეცაც კი, რადგან ვერარა ადგილი ვერ იქნება ღმერთის დამტევი, რამეთუ ის თვით მოიცავს ყველაფერს. ეგევე ითქმის ეკლესიაზეც, რომელიც „ცათა მობაძავია“.¹

წმ. იოანე დამასკელისა და წმ. ანდრია კრიტელის საკითხავებში „შობისათვის ღმრთისმშობლისა“ ღვთისმშობლის ყველა სიმბოლოა განმარტებული, მათ შორისაა ცა, როგორც სიმბოლო, იგი ბიბლიურ მონაცემებზე დაყრდნობით ორივესთან რამდენიმეჯერ არის ახსნილი. ცა უფლის საყდარია, ცა აღმოაბრწყინებს მზეს სიმართლისას, ვარსკვლავთა ცაზე უმშვენიერესია საკვირველი ქალწულის ყოფა, ქალწული ღვთისმშობლის წინაშე უფერულდება ცის სიწმინდე

¹ რ. სირაძე, „ცასა ცათასა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1993, 14 მაისი.

და სიდიადე. ღვთის ადგილი არის ცა, საყდარი/ტაძარი, ქალწული. საყდარი, ეკლესია, ტაძარი „ცათა მობაძავია“, რადგან იგი არის ადგილი, სადაც შეიძლება ადამიანი დაუკავშირდეს ღმერთს, ე. ი. ღმერთის სამყოფელია, თუმცა ღმერთის ადგილი არაა შემოსაზღვრული, იგი თვითონ მოიცავს ყოველივეს, მისი დამტვევი არც ცაა, არც საყდარი, არც ქალწული, რასაც საგალობლები უთითებენ: „გარეშეუწერელი, დაუტევნელი დაიჭია ქალწულმა...“ ღვთის ამგვარ მოხსენიებას ვხვდებით ყველა ჰიმნოგრაფიულ თხზულებაში.

სასულიერო პოეზიაში გავრცელებული გამოთქმა „ცასა მობაძავთა საყდარსა“ ღვთის ადგილს გულისხმობს, მაგრამ, ამავე დროს, იგი ღვთისმშობლის სიმბოლოდაც მოიაზრება. ფილიპე ბეთლემელის მრავალმხრივ საინტერესო საგალობელში ბეთლემის ეკლესია ცათა მსგავსად, ხოლო ღვთისმშობელი „სამყაროთა ზეცისათა“ მსგავსად არის წარმოჩენილი: „ეკლესიად ბეთლემისად ცათა მსგავს არს, უბიწო... ემსგავსე შენ სამყაროთა, ზეცისათა, ოდ, წმიდაო“.

„ადგილი ღმერთისა“ განმარტებული აქვს ეფრემ მცირეს: „ადგილ ღმერთისა ოდესმე ცაჲ ითქუმის და ოდესმე ეკლესიად და ოდესმე ქალწული, რამეთუ ამათ ყოველთა მიერ ცხად არს, ვითარმედ არც ერთსა ადგილსა მიერ გარეშემოცვეულ არს იგი, არამედ ყოველივე მას მხოლოსა შეუცავს“.¹ მაშასადამე, ღმერთის ადგილად სიმბოლურად იწოდება ცა და ეკლესია, ხოლო ქრისტეს, ძე ღმერთის განკაცების შემდეგ ქალწული ღვთისმშობელი იწოდება ღვთის ადგილად, ე.ი. ცად და ეკლესიად. თავის მხრივ, ეფრემ მცირის თვალ-

¹ მ. შანიძე, შესავალი ეფრემ მცირის ფსალმუნთა თარგმანებისა, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, XI, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1968, გვ. 83.

საზრისის საფუძველი მდიდარი საღვთისმეტყველო ლიტერატურაა.

თამარის იამბიკოში პირველივე სიტყვები „ცასა ცათასა“ სიმბოლური ფუნქციის მატარებელია. იგი ღვთისმშობლის სიმბოლოა საზოგადოდ საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და თამარის იამბიკოშიც. „ცა ცათა“ არის უმაღლესი ცა, სასუფეველი და სამყარო, ე. ი. ღვთაებრივი ზე-ცა, არამატერიალური, უხილავი, სადაც არის „ღმერთ-მთავრობა“. იგი ყველა ცასა და ყოველგვარ სივრცეზე ზეაღმატებულია, ამიტომაა ღმერთი გარეშეუწერელი და შემოუსაზღვრელი; მასში იგულისხმება ერთარსება სამება, ე. ი. „ცა ცათა“ არის ერთარსება სამების სამკვიდრებელი. რაკი სამებიდან ერთი ჰიპოსტასი – ძე ღმერთი განკაცდა, ხოლო „ცა ცათა“ ღვთის ადგილია, ამიტომ ღვთისმშობლის წიაღში შეისხა ხორცი ძე ღვთისამ – იესო ქრისტემ. ღვთისმშობელი, იგივე „ცა ცათა“, არის როგორც საღვთო უსაზღვროების გარეშეუწერელობის დამტვევი. ეს არის ღვთისმშობლის გამოუთქმელი საიდუმლო, რაც სხვაგვარად იყო გამოთქმული დავით აღმაშენებლის საგალობელში. ძე ღმერთში გაერთიანებული ყოვლისმომცველობა და ყოვლისმოუცველობა, ასევე ღვთისმშობელშია გაერთიანებული ყოვლისდამტვეობა; როგორც „ცა ცათა“ არის ყოვლისმომცველი, ყოველივეს დამტვევი, ასევე ღვთისმშობელი არის ყოვლის დამტვევი, ანუ დამტვევი იესო ქრისტესი, ღვთის ძისა.

თამარის იამბიკოს მეორე სტროფში კი საუბარია ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიერ შობილი მაცხოვრის ჯვარცმის შესახებ. იგი ღვთისმშობლისადმი მიმართვით დაიწყო – „შენ მიერ“. „მისთვის“, „დრკუდსა“ გულისხმობს გამრუდებულს, ე. ი. ცოდვადაცემულ ადამს, მიწიერ ადამს. მომდევნო ტაქაში აღინიშნა კიდევ, რომ „მრუდი“ განიდრიკა, გადაი-

ხარა, ცოდვით დაეცა, რის შემდეგაც გამრავლდა დედამიწაზე ცოდვები, რომელთა გამოსასყიდად მოავლინა ღმერთმა ძე ღვთისა, იესო ქრისტე. ქრისტეს ვნებაზე მითითება იამბიკოში არ არის შემთხვევითი, რადგან მუსლიმთა დამარცხება ქრისტესა და ღვთისმშობლის გამარჯვებაა. ქალწული ღვთისმშობლის მიერ შობილმა ძე ღმერთმა, მაცხოვარმა იხსნა კაცობრიობა და აღმოშობა ისინი სულიერად ბნელიდან ნათელში, რათა ღირსი გამხდარიყვნენ ნათელთა ხილვისა, ბნელით ნათლის აღმოშობისა და ნათელთა მხედველად ქმნის მოტივი ჰიმნოგრაფიაში გავრცელებულია. იგი საგალობლებში ახალი აღთქმიდან შემოვიდა. „ნათელთა მხედველობად“ ღვთის ხილვას გულისხმობს. ევანგელური მონაცემებით „ნათელი“ ღმერთის ერთ-ერთი სიმბოლური სახელია.

იამბიკოს პირველი სტროფი ბიბლიურ კოსმოგონიას ასახავს, მეორე – ბიბლიურ-ევანგელურ შინაარსს სიმბოლოებით გადმოგვცემს, ხოლო მომდევნო სამი სტროფი ძირითადად ისტორიული ცნობებითაა დატვირთული. თუმცა მესამე სტროფის პირველი ორი ტაეპი კვლავ ბიბლიურ-ევანგელურ მონათხრობს ემყარება. ამიტომ ეს სტროფი ბიბლიურ-ევანგელურიცაა და ისტორიული ხასიათისაც. მასში ბიბლიური დავით წინასწარმეტყველის ეპიზოდთან ერთად, რომელსაც ღვთისმშობლისა და ძე ღვთისას სიმბოლოები უკავშირდებიან, წარმოჩენილია თამარის, საზოგადოდ, ქართველ ბაგრატიონთა ბიბლიური ჩამომავლობა, ხოლო მეოთხე სტროფში დავით სოსლანის ეფრემიანობაა ასახული:

„შენგან, ქალწულო, რომელსა შენთჳს დავით
როკვიდა ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად,
მე, თამარ, მიწად შენი და მიერივედ,
ცხებულებასა ღირს მყავ და თჳსობასა.

ედებს, ღადირთად, სამხრით და ჩრდილოეთით...“¹

სტროფი ქართულ მწერლობაში კარგა ხნის დამკვიდრებულ, ტრადიციულ შეხედულებას გამოხატავს, რომლის მიხედვით ქართველი მეფეები, ბაგრატიონთა ჩამომავლობისა, დავით წინასწარმეტყველის, მარიამ ღვთისმშობლის, ქრისტეს ჩამომავლებად მიიჩნევიან. ამ იდეოლოგიის შესახებ თავიანთი შეხედულებები გამოთქვენს პ. ინგოროყვამ და კ. კეკელიძემ.

სტროფში დავითის როკვაზე ქალწულის წინაშე მიუთითებს ღვთისმშობლის ბიბლიურ ჰიპოდემურ სიმბოლოზე – კილობანზე, რადგან დავით წინასწარმეტყველი სჯულის კილობანს იერუსალიმში გადატანისას როკვით მიუძღოდა წინ. თამარი პირველ პირში საუბრობს, ღვთისმშობელს მიმართავს, რომ მისი თვისობის და მეფური ცხებულების ღირსი გახადოს.

ღვთისმშობლისადმი მიმართვა იამბიკოს მეხუთე სტროფშიც გრძელდება და ომიდან წამოღებული ნაალაფარის ღვთისმშობლის ხატისადმი მიძღვნილ მთავრდება:

„ერანს ებრძოლეს ჩემ მიერ მისთა სპათა
ჩუენნი მკედარნი, მოსავნი შენნი, სძალო;
მოწყლნეს, მოსწყდნეს აგარის ნათესავნი,
მუნით მოხმულთა ნიჭთავან ერთსა ამას
შენდა შევსწირავ! მიოხე ძეებრ, ღმერთო“.²

მასში საუბარია თამარის მიერ წარგზავნილი ქართველთა მხედრობის, ღვთისმშობლის მმოსავი ქართული ლაშქრის მიერ ირანში ხალიფას სპათა, აგარის ნათესავთა დამარცხების, მოწყვლა-მოწყვედის შესახებ, ხოლო იქედან წამოღებუ-

¹ ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 295.

² ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 295.

ლი ნააღფარადან, ძვირფასეულობიდან ამ ერთს – იგულის-
ხმება ხალიფას ღროშა, ღვთისმშობლის ხატს შესწირავს.
ბოლო ტაეპში იგი ღმერთს ვედრება, რათა იყოს მისი მეო-
ხი, შემწე.

ამრიგად, საგალობელი დაიწყო ღმერთისა და ღვთისმ-
შობლის ხსენებით, მის მიერ „აროდეს ქმნადის“ სრულყო-
ფით და დამთავრდა ღვთისმშობლისადმი ვედრებით. კომპოზი-
ციურად იგი საკმაოდ რთული ნაწარმოებია. სირთულეს მისი
თემატური მრავალფეროვნება განსაზღვრავს. საგალობლის
კომპოზიცია რამდენიმე კომპონენტისაგან შედგება და საფე-
ხურებრივად ვითარდება, რომლის თითოეული ნაწილი ერთ-
მანეთთან ორგანულ კავშირშია. სულიერი ინიციაციის გზაზე
მღვარი პოეტი-ჰიმნოგრაფის გამკვლევი და მეოხი მთელი
საგალობლის მანძილზე ღვთისმშობელია. მთელ საგალობელს
წარმართავს ორი გრძნობა – მადლი და ვედრება: მადლი
ორგვარად წარმოჩნდება: 1. როგორც ღვთისგან მონიჭებული
ქართველთათვის; 2. თვით მეფის – თამარის მადლიერება
ომში მოპოვებული გამარჯვების გამო, ღვთისა და ღვთის-
მშობლისადმი ვედრება მომავალი სულიერი ხსნისათვის.
საგალობლის დასაწყისშივე იბადება ამაღლებული განწყობი-
ლება, რომელსაც ქმნის ღრმა თეოლოგიურ-რელიგიური ში-
ნაარსით დატვირთული აზრი.

მეორე იამბიკო „ქალწულებრივთა სისხლთა“ ერთსტ-
როფიანი და შვიდტაეპიანია, იგი კლასიკური იამბიკოს სტი-
ლითაა შესრულებული:

„ქალწულებრივთა სისხლთა შენთაგან, სძალო,
თბედ საიდუმლოდ, ზენადსა განგებისად,
ძისა ღმრთისა – ძედ მეშვ იქმენ არსთა მცხოვნად!
მე, თამარ, მჩენი ტომთაგან დავითებრთაოდ
თუსად შემამკევ, მადიდე, აღმამაღლე!

აწ მეცა ხელ-ვყავ შემკობად ხატსა თქვენსა, –
ღელისა ძითურთ, – და მეცა, ძითურთ, მფარევდი!“¹

იამბიკო მოგვითხრობს თამარ მეფის ღვაწლზე ხახულის ღვთისმშობლის ხატის მიმართ, რომ თამარმაც, წინაპართა მსგავსად, მიჰყო ხელი ხატის შემკობას. ცნობილია, რომ სამეფო ოჯახის წევრებმა ხახულის ღვთისმშობლის ხატს შესაწირავები მიართვეს, რათა ღირსეულად შემკულიყო. დავით აღმაშენებელმა ძვირფასთვლებიანი მანიაკი შესწირა, რის შესახებაც მისივე ანდერძი გვაწვდის ცნობას: „ჩემნი ალაღნი და თვალ-მარგალიტი ხახულის ღვთისმშობლისად შემიწირავს“²... დავით აღმაშენებლიდან მოყოლებული, სხვა მრავალ შეწირულობასთან ერთად, ომში გამარჯვებული ყოველი ქართველი მეფე ხატს ძვირფასი შესაწირით ამკობდა. საკმაოდ მრავალი ცნობაა დაცული და გამოქვეყნებული ქართველ მეფეთა, სასულიერო პირთა, დიდგვაროვან ფეოდალთა თუ სხვა პირთაგან გელათის ტაძარში დაბრძანებული ხახულის ხატისადმი შენაწირთა შესახებ. ყოველივე ეს ხატის მოვლას, მის გამშვენიერებას უნდა მოხმარებოდა. ხახულის ღვთისმშობლის ხატზე იზრუნა დემეტრე მეფემ, რასაც მის კარედზე მოთავსებული იამბიკო მოწმობს. დავითისა და დემეტრეს მემკვიდრემ, თამარმა ომში გამარჯვების შედეგად მოპოვებული ხალიფას დროშა შესწირა ხატს, რასაც მიუთითებს თამარის იამბიკოს ფრაზა – „აწ მეცა ხელ-ვყავ შემკობად ხატსა თქვენსა“.

¹ ნ. სულავა, XII-XIII საუკუნეების ქართული ჰიმნოგრაფია, თბილისი, 2003, გვ. 295.

² მ. საბინინი, საქართველოს სამოთხე, 1882, გვ. 512-513; აგრეთვე: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, II, ტფილისი, 1897, გვ. 51-53.

იამბიკოში ასახულია ქალწული ღვთისმშობლისაგან, ღვთის ნებით („ზენადსა განგებისად“) საიდუმლო შეზავებით კაცობრიობისათვის სიცოცხლის მიმნიჭებლად ძე ღვთისას ღვთისმშობლის ძედ (ხორციელად) შობა. აქ ნახსენები „თბედ საიდუმლოდ“ ადამიანის სულიერ განახლებას მიანიშნებს, რაც ღვთის ნებით, განგებით აღსრულდა. იგი მიუთითებს აგრეთვე იმ საიდუმლო შეზავებასაც, რაც ქალწული დედის მეშვეობით ღვთის ძის განკაცებით განხორციელდა. ადამიანის ხორცის მოზიარე, ადამიანური ხორცის საფარველი მიიღო ძე ღვთისამ და მისი მიწიერების ხვედრი გაიზიარა, უკვდავმა ხორციელი სიკვდილი მიიღო ადამიანთა სულების გადასარჩენად.

იამბიკოში თამარი საკუთარ თავს ღვთისმშობელს, ხოლო ლაშა-გიორგის – იესო ქრისტეს ადარებს, რასაც თამარის ისტორიები და კლასიკური ეპოქის სხვა თხზულებებიც ასახავენ. იამბიკოების ავტორი ერთდროულად არის, ერთი მხრივ, სწორუბოვარი, ძლიერი და მებრძოლი მეფე, რომელსაც მუდამ თან სდევს თავისი ბიბლიური ჩამომავლობის დიდებულების შეგრძნება, და მეორე მხრივ, იგი არის ქვეყნისა და საკუთარ პიროვნულ სულიერ მომავალზე ორიენტირებული მორწმუნე, იგი არის მზრუნველი დედა, რომელიც ქალწულ ღვთისმშობელს, დედათა შორის ქალწულს და ქალწულთა შორის დედას, ავედრებს თავის მემკვიდრეს და საკუთარ თავს, რათა დაიფაროს და დაიცვას ისინი. იამბიკოები თამარს წარმოსახავენ იმგვარ პიროვნებად, რომელიც თავისი ქვეყნის ინტერესებით ცოცხლობს და სუნთქავს, რომლისთვისაც უპირატესი საზრუნავი არის მამული, ენა, სარწმუნოება. სწორედ მათ დასაცავად სჭირდება მას ღმერთის შეწევნა და ღვთისმშობლის მეოხება.

ამრიგად, წმ. ანდრია კრიტელი, დავით აღმაშენებელი და თამარ მეფე ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქრისტიანული საღვთისმეტყველო სიმბოლური ხატ-სახეებით წარმოაჩენენ, რომლებიც ტრადიციული იყო საზოგადოდ ჰიმნოგრაფიისათვის. თხზულებათა ავტორებმა თითოეულ ხატ-სახეს შეუნარჩუნეს ის ინდივიდუალობა, როგორადაც გაიაზრებდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ევანგელურ-აპოსტოლური სიმბოლური სახისმეტყველება, მისტიკური და დოგმატური ღვთისმეტყველება.

Nestan Sulava

Ivane Javakhishvili Tbilisi State University; Samtskhe-Javakheti State University

**THE ICON OF SAINT MARIA IN THE “CANON” OF
THE SAINT ANDREW OF CRETE, IN THE “HYMN”
OF DAVID THE BUILDER AND IN THE “IAMBUS” OF
KING TAMAR
RESUME**

In the Canon of the Saint Andrew of Crete, in the “Hymns” of David the Builder and in the “Iambus” of the King Tamar are the most important stories in hymnography. In those stories the main aspect is the God and the attitude of the God and the human, the Iconic face of the saint Maria and the meaning of it. The interpretation of the iconic face of the Saint Maria comes from the theology in all above mentioned stories. The iconic face of sain Maria in all of those above mentioned stories has different symbolic meaning. Symbolic faces are explained in theology and within them we have to mention reading of Saint Andrew of Crete and Saint John of Damascus.

In the “Canon” of Saint Andrew of Crete there are four hymnographic canons and there are the same tropar in each of them. It means that in those four canons there are used nine tropars. From eight hymns of David the Builder there are eight tropars dedicated to the Saint of Maria which are the editions of each hymns. Typically, from the activities of the Saint Andrew of Crete, John of Damascus and Saint Cosmas from Jerusalem authors of hymns adding to their hymns tropars of Saint Maria and it meant that the old hymns must be added to new one for the reason how to use those new ones. Of course there were some exceptions when new ones were created for the rules how to use new hymns and there was the tradition of creating hymns for saint Maria. In Georgian hymnography the examples of new hymns for teaching the using of new ones are the hymns written by Ioane Minckhi and the examples of Saint Maria’s hymns can be considered the history and creating history of the “Paraclitus” of Giorgi Mtatsmindeli. For example, in Saint Giorgi Mtatsmindeli in one of his last will’s note of “Paraclitus” mentioned that in Greek version of this “Paraclitus” was missing hymns about Saint Maria and those “one hundred forty hymns of Saint Maria was added by me”. It means that the author of the tropars about Saint Maria is Saint Giorgi Mtatsmindeli. It is known that the authors of well known tropars of Saint Maria were famous persons Saint Andrew of Crete, Saint John of Damascus, Saint Cosmas from Jerusalem, Saint Joseph, Saint Theofanis and others. There is interesting for us hymnographic activities of Saint John of Damascus and Saint Andrew of Crete for the reason that their works were translated from the beginning in Georgian language. There are some additions on Saint Michael Modrekili’s hymns dedicated to Saint Maria and it means that on the different “Canons” in the collection those

abovementioned hymns about the saint Maria are added. In parallel of those hymns there were created collections of Saint Maria's hymns and it was demanded to know them by heart for the choristers. The example of such kind of collections is the hymns from Calvary which was written by Jordan and it was named under him. It is the manuscript A-603, which is written in XI century. We need to discuss this task that in the hymns written by David the Builder we met the hymns dedicated to Saint Maria and the same time the rules who to sing those hymns. Those hymns and their lineage was defined by research Laura Grigolashvili and she mentioned that those hymns are not mentioned in well known collections about Saint Maria and they must be written by David the Builder. So it is the reason why focus on the question about the icon of Saint Maria and symbolic understanding of it in "Canons" of Saint Andrew of Crete. This "Canon" consist the hymns written by the author. So the hymns added to David the Builder's hymns are created by David the Builder and in the "Iambus" of King Tamar – "Heaven of Heavens" and "for the Blood of Virgins" there are interesting point of view how the author gives the understanding of symbolic face of Saint Maria, what is the similarities between them. Those three hymns were not discussed in parallel to each other.

To sum up, to make the conclusion, Saint Andrew of Crete, King Tamar and David the Builder trying to show us the Lady according the traditional ways of theological symbols. They gave the individuality to each of the symbols as it was explained according the theology.

კახაბერ ქებულაძე, იგორ კეკელია
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტრიფონ ჯაფარიძე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის
შესახებ

თვალსაჩინო პუბლიცისტი, მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე ტრიფონ მიხეილის ძე ჯაფარიძე (1876-1937 წწ.) სამოღვაწეო ასპარეზზე, მაშინ გამოვიდა, როცა ქართული ეროვნული ცნობიერება გადაგვარებისა და სულაც გაქრობის საფრთხის წინაშე იდგა, როცა დაქსაქსული ძალების მოქმედება ურთიერთდაპირისპირებასა და მტრობაში ვლინდებოდა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის იდეალების ერთგულმა მსახურმა თავის ძირითად საქმიანობად სწორედ ეროვნული სულის გამთლიანებისა და ცნობიერების ამალგებისათვის ბრძოლა დაისახა. „ტრ. ჯაფარიძე, მეოცე საუკუნის დასაწყისში მომრავლებულ პოლიტიკოსთა და ამა თუ იმ პარტიის ლიდერთა მსგავსად, არ იყო მარტო პოლიტიკური მოღვაწე, არც ამა თუ იმ პარტიისა და მიმდინარეობის შეხედულებათა ბრმა მიმდევარი და გამზიარებელი. იგი თავისი საქმიანობისა და მოღვაწეობის ფართო სპექტრით უფრო ქართველ სამოციანელებს უახლოვდებოდა“, – წერდა ც. მუმლაძე¹.

ბიოგრაფიული ცნობებიდან ირკვევა, რომ იგი სხვადასხვა დროს პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის ქალთა საეპარქიო სასწავლებელში, ჩერნიგოვის სასულიერო სემინარიაში. 1903 წელს მუშაობდა სტავროპოლის სასულიერო სემინარიის ინსპექტორად, 1905 წელს – ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად, 1910 წლიდან –

¹ იხ. ც. მუმლაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ქუთ., 1993, 5.

იმერეთის ეპარქიის გაბრიელის სახელობის ქალთა სასწავლებლის ინსპექტორად, 1917 წლიდან – აღნიშნული სასწავლებლის გიმნაზიად გადაკეთების შემდეგ – მის დირექტორად. 1921 წელს ტრ. ჯაფარიძე მუშაობას იწყებს ქუთაისის მე-4 ტექნიკუმში, მასწავლებლად. სხვადასხვა დროს თავმჯდომარეობდა საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების გამგეობას (1911-1921 წ.წ.), იყო ქალაქის საბჭოს ხმოსანი (1914-1917 წწ.) და მუშაობდა სასწავლო და საფინანსო სექციებში. 1917-1918 წწ. იყო ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი და ევალეობდა „ისტორიული ძეგლებისა და მასალების დაცვა უეცარი შემთხვევებით დაღუპვისაგან“; 1921-1930 წწ. ტრ. ჯაფარიძე იყო სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის რწმუნებული დასავლეთ საქართველოში, კითხულობდა ლექციებს ქუთაისის სახალხო უნივერსიტეტში, შემდეგ – ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის მხარეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. მან განსაკუთრებული ამაგი დასდო 1922 წელს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით ქუთაისში გახსნილ საისტორიო-საეთნოგრაფიო მუზეუმს, რომლის დირექტორად მუშაობდა 1922-1930 წლებში, ხოლო 1930-1936 წლებში იყო ამავე მუზეუმის მეცნიერ-მუშაკი.

სამწუხაროდ, ტრიფონ ჯაფარიძის სიცოცხლე ცნობილი ქუთაისელი მხარეთმცოდნის პეტრე ჭაბუკიანის, აგრეთვე პლატონ თავხელიძის, გორდის კულტურის ძეგლთა დაცვის რწმუნებულის, პედაგოგ ვლასი ყუფარაძისა და სხვათა მტრობამ შეიწირა. „ჯაფარიძე დაემხოა ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ“..., „სჩანს იმარჯვებს სიმართლე და მტერი სამშობლოსი, მეცნიერებისა, ხელოვნებისა, სუროთმოდღერებისა და სხვათა და სხვათა საბოლოოდ იღუპება“..., „მქირდავი „პადლეცი“, „მაენებელი“, „ფეოდალურ-კლერიკა-

ლური ინტელიგენციის და ობიგატელშინის თვალში „ერის იმედი“, ვერ ეთვისებოდა მუშაობის საბჭოთა სისტემას. დევნიდა ახალ ძალებს და ბოლოს მისი დირექტორობა გადაიქცა პირდაპირ ბოროტებად“; „ჩვენს მუზეუმებში სჭარბობს ანტი-საბჭოთა ელემენტი და მათთან ბრძოლა, მათგან მუზეუმების განტვირთვის საქმე მეტად ცუდად არის. ისინი თავს არხეინად გრძნობენ და წამლავენ სოციალიზმის მშენებელ საზოგადოებას საქართველოს მეფეების ქებით და საშუალო საუკუნეების იდეალიზაციით. ეს ხდება ჩვენს თვალწინ: „აი, შეხედეთ, – გაიძახიან ისინი ხელებაპყრობით და სასოებით, – აი, შეხედეთ, რა შეუქმნიათ ჩვენს სულმნათ წინაპრებს“; „ტრიფონი ტიპია, „ტრიფონოვშიჩინა“ ტიპიური მოვლენაა სოციალისტური მშენებლობის მიმდინარე ეტაპზე, როგორც ფეოდალურ-ეკლესიურ-ბურჟუაზიული ნაშთების მტრულ განწყობილებათა განსახიერება“¹. აი, ასეთი „ეპითეტებით“ ახასიათებდნენ მას პეტრე ჭაბუკიანი და მისმა მიმდევრები, რომლებმაც ერთგვარად ნიადაგი მოამზადეს ტრიფონ ჯაფარიძის დასასჯელად.

ზემოთ აღნიშნულის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენდა 1937 წლის 30 ივნისს ტრიფონ ჯაფარიძის დაპატიმრება. ოთხი თვის მძიმე ავადმყოფობის შემდეგ იგი ქუთაისის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა².

მკვლევარ ც. მუმლაძის სამართლიანი შეფასებით, „ტრ. ჯაფარიძე იმ პირთა, იმ მოღვაწეთა შორის იყო, რომლებმაც მიზნად დაისახეს მრავალტანჯული, უფლებდაკარგული მშობელი ერისთვის მოეპოვებინათ ის აუცილებელი მდგომარეობა და უფლება, რაც მინიჭებული აქვს ყოველ სრულუფლებიან ერს. ჯერ კიდევ თავის თანამედროვეთაგან იგი ერის იმედად

¹ ც. მუმლაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10-17.

² იქვე, 23-24.

იყო მიჩნეული და მხოლოდ „თანამედროვე კაენთა“ აღზევებით უნდა აიხსნას, რომ „ხალხის მტრად“ შეარაცხული წავიდა ამ ქვეყნიდან¹.

ტრიფონ ჯაფარიძეს, როგორც დახვეწილ, პროფესიონალ პუბლიცისტს, არაერთი წერილი აქვს გამოქვეყნებული იმდროინდელი ქართული პერიოდული პრესის ფურცლებზე. ამჯერად შევეხებით ერთ საკითხს მისი პუბლიცისტური ნააზრევებიდან, კერძოდ, დამოკიდებულებას საეკლესიო საკითხებისადმი.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენას ტრ. ჯაფარიძე გამოეხმაურა გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფურცლებზე, ავტოკეფალიის გამოცხადებიდან ერთი თვის თავზე. მისი აზრით, ისტორიული კანონზომიერების მიხედვით, ყალბ ნიადაგზე აშენებული ყველაფერი ინგრევა. ამის საუცხოო მაგალითად მას მიაჩნდა, რუსეთის დღევანდელი მდგომარეობა, სადაც პირადი უძლურებით წაქეზებულმა პეტრე დიდმა ერთი ხელის მოსმით წაართვა რუსეთის ეკლესიას კანონიერი წეს-წყობილება, მოსპო პატრიარქობა და შექმნა ე. წ. უწმინდესი სინოდი. ერთი სიტყვით, სინოდი, როგორც საეკლესიო ცხოვრების მთავარი ორგანო, გადაიქცა პოლიტიკურ მისწრაფებათა განსამტკიცებელ იარაღად. უკანონოდ შობილმა სინოდმა თითქმის ორი საუკუნე ძალმომრეობაზე დამყარებული უფლებით იარსება. თვით უკანონოდ შობილმა ყოველი საქმე უკანონოდ აწარმოვა და ამიტომაც მთელი რუსეთის ეკლესია განადგურების საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

ასეთივე ბედი ეწია საქართველოს ეკლესიასაც. გონებაშეზოგვილმა და შეგნება-დავიწროებულმა მხედარმა, ვინმე ტორმოსოვმა, რომელსაც საეკლესიო წეს-წყობილება სამხედ-

¹ იქვე, 6.

რო შტაბის განყოფილება ეგონა და საქართველოს ეკლესია მტრად მოეჩვენა, კათალიკოსი შეიპყრო და ეკლესია ცეცხლით და მახვილით გაანადგურა. თავხედი მხედრის შეჩერება სინოდს არ უცდია, რადგან თვით სინოდიც პოლიტიკური მიზნების განმასახიერებელი ორგანო იყო და არა თავისუფალი სინდისისა და სარწმუნოების სიწმინდის დარაჯი.

საქართველოს ეკლესიასაც მოესპო კანონიერი წყობილება. ძალმომრეობით ყალბ და უმსგავსო ნიადაგზე დაყენებული მონური ცხოვრების კალაპოტში ჩაადგეს და დაუნიშნეს შეუფერებელი მეთაური. „სარწმუნოება დაეცა, – აღნიშნავდა ავტორი, – წმინდა ღვთის მსახურებას ელფერი დაეკარგა, დიდებული საეკლესიო გალობა მოისპო; საეკლესიო საქმეების მართვა-გამგეობას ხალხი ჩამოშორდა; სამღვდელოება განცალკევდა. საეკლესიო გამგეობა კანცელარიათ გადაიქცა; მღვდლები და ეპისკოპოსები სახელმწიფოს მოხელენი შეიქმნენ; ეკლესიას სახე გამოეცვალა; სასულიერო განათლება გაჰქრა; ხალხმა სამღვდელოება ათვალისწუნა; ზნეობამ საგრძნობლათ დაიწია; ხალხის რწმენით და გულწრფელობით აღშენებული ტაძრები დაინგრა; ეკლესია ხალხს ტვირთათ დაედგა; ეკლესიაც და სამღვდელოებაც ნივთიერათ განადგურდა“¹. ასეთია ტრ. ჯაფარიძის აზრით ის უარყოფითი მხარეები, რაც შედეგად მოჰყვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმებას. მისი განმარტებით, ქართული ეკლესია ერთი საუკუნის მანძილზე ასეთ ტანჯვაში იყო. ამის შემდეგ ავტორი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, როდესაც 1905 წელს საქართველოს სამღვდელოებამ რუსეთის იმპერატორს მოსთხოვა ავტოკეფალიური წეს-წყობილების აღდგენა, მაგრამ სავსებით სამართლიანი მოთხოვნა

¹ ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის გარშემო, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №13.

სამღვდელოებისა რუსეთის იმპერიამ უგულვებელყო. ქართველი სამღვდელოების არაერთ სულისკვეთებას ამ მიმართულებით რუსული და ქართული პრესა, რუსეთის საუკეთესო კანონმდებლებიც დასტურს აძლევდნენ, მაგრამ ამაოდ¹.

ტრიფონ ჯაფარიძე აღტაცებულია 1917 წლის 12 მარტს მცხეთის ტაძარში ჩატარებული საეკლესიო კრებით, სადაც საეკლესიო და საერო პირთა დადგენილებით აღდგენილ იქნა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია. ახალი მთავრობა, ავტორის თქმით, იძულებული გამხდარა დიდი ყოყმანის შემდეგ კანონიერად ელიარებინა მომხდარი ფაქტი, მაგრამ ეკლესიის დამოუკიდებლობა ვერ დაადასტურა თავისი თანხმობით.

მთავრობას ეძნელებოდა ტერიტორიული ავტოკეფალიის შესახებ საქართველოს მოთხოვნის დაკმაყოფილება და წინადადებას იძლეოდა ავტოკეფალიის ექსტერიტორიული მოწყობის შესახებ. ტერიტორიულ და ექსტერიტორიულ ავტოკეფალიას შორის არსებით განსხვავებას პუბლიცისტი შემდეგი სახით აყალიბებს: „საქართველოს ეკლესიას ქონდა თავისი ისტორიული საზღვრები; ამ საზღვრებში მართმადიდებელი ეკლესიის თავი იყო კათალიკოსი. დღეს ამ საზღვრებში არის რამდენიმე არაქართველი მართმადიდებელი. კანონიური წესის მიხედვით ყოველ არაქართველ მართმადიდებელს შეუძლია ექნეს საკუთარი ეკლესია, სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა, საკუთარი არქიელი, მომწესრიგებელი საეკლესიო საქმეებისა, მხოლოდ ის უნდა სცნობდეს საქართველოს საზღვრებში მართმადიდებელი ეკლესიის თავათ კათალიკოსს... საქართველოს ეკლესიის ისტორიულ საზღვრებში, სადაც აღიარებულია ავტოკეფალია, არ უნდა იქნეს კათალიკოსისაგან სრულად დამოუკიდებელი მართმადიდებელი ეკლესიის მეორე

¹ იქვე.

მწყემსთ-მთავარი. ასეთია კანონიური უფლება საქართველოს ეკლესიისა, ასეთია ისტორიული წარსული ივერიის ეკლესიისა და ასეც უნდა იყოს მომავალში“¹. ამ თვალსაზრისს იზიარებდნენ ეკლესიის ისტორიის ცნობილი სპეციალისტი ნ. დურნოვო და კანონმდებელი კარტაშოვი. მაგრამ ტრ. ჯაფარიძის აზრით, ზოგი მეცნიერი ვერ განთავისუფლებულა მთავრობის მარწუხებისაგან. სწორედ მთავრობის დავალებას ასრულებდა პროფესორი ბენეშევიჩი, რაც მეცნიერულ და კანონიერ ჩარჩოებში არ თავსდებოდა. ბენეშევიჩი აშკარად რუსეთის მთავრობის სურვილს ახმოვანებდა, როდესაც საქართველოს ეკლესიის ექსტერიტორიულობას უჭერდა მხარს. ამ შემთხვევაში, ტრ. ჯაფარიძე თქმით, „ისტორიული საზღვრები ჩვენი ეკლესიისა უარყოფილი იქნება და ამიტომ არა ქართველთა მართმადიდებელ ეკლესიას, რუსის იქნება იგი თუ სხვისი სულ ერთია, თუ ისურვებს, ნება ეძლევა ეყოლოს სრულად დამოუკიდებელი მწყემსთ-მთავარი. ამგვარად მოხდება ის, რაც ისტორიაში არ მომხდარა, ესე იგი არა თუ ერთ ეპარქიაში ერთ ქალაქშიც იქნება ორი, ერთი მეორისაგან სრულიად დამოუკიდებელი მწყემსთ-მთავარი მართმადიდებელი ეკლესიისა... ასეთ მოვლენას შეიძლება არა სასურველი შედეგი მოყვეს ორივე მხარით, მაგრამ თუ ეს მოხდა ძალდატანებით, მაშინ პასუხს აგებს რუსეთის ეკლესია...“².

რუსეთის მთავრობა, ტრ. ჯაფარიძის განმარტებით, საქართველოს ეკლესიისათვის ექსტერიტორიულობის მინიჭებას ცდილობდა პოლიტიკური მოსაზრებით, რომ ამ გზით მეტი უპირატესობით აღეჭურვა რუსეთის ეკლესია საქართველოში, რასაც, ასევე მხარს უჭერს სომხური პრესაც. რუსეთისათვის მართლმადიდებელი ეკლესიის საკითხის სომ-

¹ ტრ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 2.

² იქვე.

ხური თვალსაზრისით გადაჭრას ავტორი სახიფათოდ მიიჩნევდა და დაასკვნია, რომ – თუკი რუსეთის ხელისუფლება ამ ხიფათს არ მოერიდებოდა, მაშინ მათთვის ცუდად დამთავრდებოდა ყველაფერი¹.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხებით ტრ. ჯაფარიძის განსაკუთრებულ დაინტერესებაზე მეტყველებს მისი მცირე ზომის პუბლიკაცია „ავტოკეფალიის გარშემო“. წერილში ავტორი აღნიშნავდა, რომ ქუთაისში შეკრებილ ქართულ საკათალიკოსო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელთა ყრილობას (თავმჯდომარე – ტრ. ჯაფარიძე), თავის მოვალეობად ჩაუთვლია დეპეშით მისაღმებოდა სრულიად საქართველოს კათალიკოსის მოსაყდრეს – ლეონიდეს. ყრილობა იმედოვნებდა, რომ მონობის ბორკილებიდან განთავისუფლებული ეკლესიის წინამძღოლი ენერგიულად იბრძოლებდა იმავე ეკლესიის კანონიერი უფლებებისა და წევრთა სამართლიანი მოთხოვნების მოსაპოვებლად².

პუბლიცისტი ავტოკეფალიის საკითხს ასევე გამოეხმაურა გაზეთ „ჩვენი ქვეყნის“ ფურცლებზე 1918 წელს, წერილით – „ავტოკეფალიის წლის თავი“. შარშან ამ დროს, – წერდა ტრ. ჯაფარიძე, – მცხეთის ტაძარში სამღვდლოების მეთაურობით გამოცხადა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია, რაც ეცნობა რუსეთის დროებით მთავრობას. დროებითმა მთავრობამ, მართალია, არსებითად არ უარყო უკვე გამოცხადებული საქართველოს ეკლესიის თავისუფლება, მაგრამ სხვადასხვა ორჭოფული და გაუგებარი დეკლარაციების გამოცემით და კომისიების შექმნით ცდილობდა ცხოვრებაში მისი გატარების შეფერხებას. ასე წლის ტანჯვა არ აკმარეს

¹ იქვე.

² ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის გარშემო, გაზ. „საქართველო“, 1917, №114.

წამებულ საქართველოს ეკლესიას, რევოლუციურმა მთავრობამაც ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა. ძველ მტრებს ახლებიც დაემატნენ, გაჩნდნენ კარტაშოვები, ბენეშევიჩები და ხელი შეუწყვეს ყოფილი ეგზარქოსის, ცნობილი შავრაზმელი პლატონის ხულიგნურ გამოსვლებს. მარტის თვიდან დაწყებულ მიწერ-მოწერასა და გამწვავებულ ბრძოლაში ნახევარი წელიწადი გავიდა, მაგრამ საქმით თითქმის არაფერი გაკეთებულა. სამღვდლოება და ერი მედგრად იცავდა თავის გადადგმულ ნაბიჯს.

ტრიფონ ჯაფარიძე ამის შემდეგ ყურადღებას ამახვილებდა 1917 წლის საეკლესიო კრებაზე და შენიშნავდა, რომ აგვისტოს თვეში საქართველოს ეპარქიებიდან შეკრებილ დროებით საეკლესიო მმართველობის წევრებს მოუძზადებიათ სხვადასხვა საკითხები საეკლესიო კრებაზე განსახილველად.

8 ენკენისთვის თბილისში შეკრებილმა პირველმა საეკლესიო კრებამ ორი კვირის განმავლობაში შეიმუშავა ავტოკეფალური ეკლესიის მართვა-გამგეობის წესრიგი და არჩეული კათოლიკოს-პატრიარქი 1 ოქტომბერს, სვეტიცხოვლობის დღესასწაულზე, მცხეთაში აკურთხა¹.

განვლილი ერთი წელიწადი, – დასძენდა პუბლიცისტი, – მეტად მძიმე იყო ახლად განთავისუფლებული ეკლესიის მმართველობისათვის. ავტოკეფალური ეკლესიის მოწყობას, ახალი წესწყობილების შესრულებას აფერხებდა რუსეთის მთავრობის მოხელეთა მუქარის დეკრეტები. ისინი კრედიტების დახურვით, მამულების წართმევით და ქონების გამიჯვნის გაჭიანურებით გვაფრთხილებდნენ და გვაშინებდნენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას რუსეთის სინოდის ჩამოშორება და ეგზარქოსების

¹ ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის წლის თავი, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №47.

გაძევება არ ეტყობოდა. „ეგზარხოსის მაგიერ რომ კათალიკოსი ვსთქვათ, ეპისკოპოსები რომ მიტროპოლიტებათ გამოვაცხადოთ, საეპარქიო კანცელარიის მაგიერ რომ საბჭო შეექმნათ და სოფლებში ბლადოჩინების ნაცვლათ საოლქო საბჭოები მოვაწყოთ, – ეს არ კმარა; ამით ეკლესია არ ამოდლდება. ასეთი რეფორმებით არც სამღვდლოება გაიწმინდება, არც ერი დაინტერესდება და არც სარწმუნოება განმტკიცდება.“

საქართველოს ეკლესია ძლიერ დასნეულებულია, ხანგრძლივმა ტყვეობამ მას სახე შეუცვალა, ძარღვები წაუხდინა, ბიუროკრატიის კლანჭებში ყოფნამ მას სიღამდამე დაუკარგა. ასეთი რეფორმები ეკლესიას ვერ იხსნის, ასეთ ავადმყოფს უბრალო წამალი ვერ მოარჩენს. სულ სხვაა საჭირო“, – წერდა პუბლიცისტი¹. ტრ. ჯაფარიძე საქართველოს ეკლესიის აყვავება-გაცოცხლებას მის სრულ დემოკრატიზაციაში ხედავდა. მისი აზრით, საეკლესიო საქმეებში ფართოდ უნდა ჩართულიყო მორწმუნე ერი. „ეკლესია უნდა გახალხოსნდეს, ხალხი უნდა გაეკლესიავდეს“, – ხაზგასმით აცხადებდა წერილის ავტორი. თუკი საეკლესიო მართვა-გამგეობა დღევანდელ სამღვდლოებას ჩამოაშორებდა სახელმწიფოებრივ მხარეს, ბიუროკრატიულ სფეროს და დაამკვიდრებდა მათში მალალ ზნეობას, ასეთ შემთხვევაში ტრ. ჯაფარიძის განმარტებით, შეიქმნებოდა ნამდვილი ტიპი მოძღვრისა, რომელიც ღირსი იქნებოდა, დარაჯად დადგომოდა სამწყოს და ფაქიზად შეენახა მორწმუნეთა სინდისი. სამწუხაროდ, ვერც ხალხს და ვერც სამღვდლოებას ჯერჯერობით ვერ გაუცნობიერებია ავტოკეფალიის ღირსეული მხარეები. ამას დიდი პროპაგანდა და თან დიდი მუშაობა ჭირდებოდა. „გამოცხადება შევძელით,

¹ იქვე.

მაგრამ განხორციელება ჯერ არ სჩანს. თუ არ ვუჩქარეთ, რეაქცია აქეთაც მზადდება...“- დაასკვნიდა პუბლიცისტი ¹.

ამრიგად, გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე ტრიფონ ჯაფარიძე თავის პუბლიცისტურ-შემოქმედებით და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა ქართულ ეკლესიას, მისი უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. ამასთანავე, იგი სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე იყო. რაც შეეხება მის მიერ პერიოდულ პრესაში დაბეჭდილ პუბლიცისტურ წერილებს, იგი საინტერესოა ქართული ეკლესიის ისტორიის კვლევის თვალსაზრისით და ნათლად წარმოაჩენს მოწინავე ქართველი საზოგადოების დამოკიდებულებას ეკლესიაში მიმდინარე პროცესების მიმართ.

დამოწმებანი:

1. ც. მუშლაძე, ტრიფონ ჯაფარიძე, ქუთ., 1993
2. ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის გარშემო, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1917, №13
3. ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის წლის თავი, გაზ. „ჩვენი ქვეყანა“, 1918, №47
4. ტრ. ჯაფარიძე, ავტოკეფალიის გარშემო, გაზ. „საქართველო“, 1917, №114

¹ იქვე.

Kakhaber Kebuladze, Igor Kekelia

Akaki Tsereteli State University

**TRIPHON JAPARIDZE ABOUT THE AUTOCEPHALY
OF THE GEORGIAN ORTHODOX CHURCH
RESUME**

Excellent Georgian intellectual and public servant Triphon Japaridze (1876-1937) emerged on a public stage at the time when Georgian national consciousness was in great danger, when the action of Georgian national forces manifested itself in inner fighting and enmity. T. Japharidze the loyal to the ideals of National-Democratic Party, made it his goal to unite Georgian society and consciousness. “Triphon Japaridze was not a politician, as the leaders of various political parties in the beginning of the 20th century. He was not a blind follower of any political party either. By his work and beliefs he was closer to the generation of Georgian intellectuals in the 1860’s,” wrote Ts. Mumladze.

Mr. Japaridze fulfilled various pedagogical assignments. He worked at the Women’s Eparchial Institution in Kutaisi and at Chernigov Theological Seminary. In 1903 he worked at Stavropol Theological Seminary as an inspector. In 1905 - at Kutaisi Theological Seminary, also as an inspector. Since 1910 he was an inspector at St. Gabriel’s Women Institution of Imereti Eparchy. Since 1917, when this institution was transformed into Gymnasium, he served as its principal.

In 1921 Triphon Japharidze started work at N4 Kutaisi Technological Institute, as a teacher. In different time periods he chairs the Council of Georgia’s Historical-Ethnographic Society (1911-1921). He was also a voter-electtor at Kutiasi City Council (1914-1917) and worked at various education and Financial sections. In 1917-1918 he was a member of the

Kutaisi Executive Committee and was tasked to “protect historical monuments from sudden destruction.”

In 1921-1930, Triphon Japaridze was a viceroy for the protection of Historical Monuments and Artifacts in western Georgia. Also, he taught at Kutaisi Public University and afterwards, at Kutaisi Pedagogical Institute, in the Department of Area Studies. He especially contributed to the Museum of Historical-Ethnographic Studies in Kutaisi, which was opened under the orders of Georgia’s Commissariat for Education. He served as its director in 1922-1930 and as a researcher at the same museum in 1930-1936.

Triphon Japaridze, who was an outstanding writer, published multiple articles at various Georgian periodicals. Here, I will review one of his works, specifically, on his ideas about Orthodox Church. Japaridze responded to the restoration of the Georgian Orthodox Church Autocephaly from the pages of newspaper “Our Country,” one year after the restoration of autocephaly. According to historical rationality, everything that is based on falsehood will collapse. One of the clearest examples of this is the current situation of Russia, according to Triphon Japaridze. As he states, Peter the Great, driven by his personal weakness, took away traditional rites and way of life from Russian Orthodox Church, and abolished the institutions of Patriarch and Holy Synod. In other words, Synod, the key organ of Church life, was transformed into the weapon of politics. Unlawfully created Synod lasted for almost two centuries and was based on force and violence. The unlawfully born conducted its affairs unlawfully and hence, entire Russian Church was to the verge of abyss.

Same fate was shared by the Georgian Church. Intellectually limited cavalryman, Tormasov, who thought that the Georgian Orthodox Church was a branch of a military

department and saw Georgian Church as an enemy, captured Georgian Catholicos and destroyed the church. The Synod didn't try to stop him, because the Synod itself was an organ of fulfilling various political tasks. It was not a guardian of freedom of conscious and faith.

Georgian Orthodox Church was deprived of its lawful structure and rites. It was forcefully subjugated and was run by a indecent leader, appointed by the central administration.

Triphon Japaridze was excited by the Church Council of the 1917 on March 12, held at Mtskheta Cathedral, where by the decision of clergy and laity the autocephaly of the Georgian Church was restored. According to Japaridze, new government was put into position when it had to recognize this fact, yet it could not confirm its agreement to the independence of the Georgian Church. The government found it difficult to satisfy the demands of the Church and instead offered the version of extraterritorial autocephaly. As Japaridze stated, the Russian government by granting just extraterritoriality tries to give superiority to the Russian Church in Georgia, the situation which also was supported by the Armenian language press. T. Japaridze thought such an outcome to be dangerous for Georgia.

ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატის ისტორიიდან

ღვთისმშობლის წილხვედრი ივერიის შვილნი, ყოვლადწმინდა მარიამის განსაკუთრებულ მეოხებასა და ღედობრივ მზრუნველობას ვართ მინდობილნი. ღვთისმშობლის საფარველი ძალაა ქართველი ერისა, რომელმაც მრავალი ჭირ-ვარამი გადაიტანა. საუკუნეთა მანძილზე მტერი მოსვენებას არ აძლევდა ქართველ კაცს. მუდამ ხმალადმართულმა, ქრისტიანობით უძლეველმა ივერიამ მოაღწია ჩვენამდე, მაშინ, როდესაც მის მეზობლად უდიდესი იმპერიები განადგურდნენ. ყოვლადწმინდა მარიამი მფარველობს ჩვენს ერს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის კუთვნილებაა ღვთისმშობლის სახელთან დაკავშირებული მრავალი სიწმინდე, რომელთა შორის აღსანიშნავია მარადქალწულის კვართი და სარტყელი. სწორედ დედა ღვთისას წმინდა ნებით ჰპოვა ამ სიწმინდეებმა საბოლოო განსასვენებელი ჩვენს სამშობლოში.

როდესაც ერთიანი საქართველოს პირველი მეფე ბაგრატ III გარდაიცვლა, იგი ერთგულმა სარდალმა ზვიადმა ფანასკერტის ციხიდან წამოიყვანა და დაასაფლავა ბედიის მონასტერში. ბედიის მონასტერში სხვა სიწმინდეებთან ერთად ინახებოდა ღვთისმშობლის ხატი. მის კილობანში მარიამის წმინდა სარტყლის ნაწილი ინახებოდა. ქრისტიანულ გადმოცემათა თანახმად, ღვთისმშობელმა თავისი წმინდა სარტყელი მოციქულ თომას გადასცა იმპერატორ არკადის

(არკადიუსის) ზეობის დროს (395-408 წწ.) იგი კონსტანტინეპოლში გადაუტანია იმპერატორის ასულს, წმინდა პულხერიას და შავი ზღვის ყურეში, პატარა ნახევარკუნძულ ვლასქერნაზე, მის მიერვე აგებულ ღვთისმშობლის ტაძარში დაუსვენებია. სარტყელი კაბადოკიის ქალაქ ზილაში გაუხიზნავთ, საიდანაც იგი იმპერატორ იუსტინე II-ს დაუბრუნებია¹.

ბიზანტიური წყაროებით, Xს-ში იმპერატორ ლეონ VI-ს მეუღლე, დედოფალი ზოია ავად გამხდარა, მას თურმე ვერავითარმა მკურნალობამ ვერ უშველა. სასოწარკვეთილ დედოფალს ძილში ემცნო, რომ გადარჩებოდა, თუკი სხეულზე წმინდა სარტყელს დაასვენებდნენ. ზოია მართლაც განიკურნა. წმინდა სარტყელი ბიზანტიის იმპერატორებს ლაშქრობებისას თან დაჰქონდათ. არ ვიცით როგორ, მაგრამ ეს სიწმინდე ათონის მთის ვატოპედის მონასტერში აღმოჩნდა. აქ მონასტერში ნახა იგი პლატონ იოსელიანმა: „მონასტერსა მას შინა არს დაცული ძვირფასად საუნჯედ ნაწილი სარტყლისად ყოვლად წმიდისა ღვთისმშობლისა. იგი ძევს ოქროს მშვენიერად ნაკეთს ყუთში, ხაკერდით შიგნიდან მოვლებულში, სიგრძე სარტყელისა არს ორი მტკაველი, სიგანე მისი სამი გოჯი“².

მარიამ ღვთისმშობლის სარტყლის მეორე ნაწილი საქართველოში მოხვედრილა XI ს-ის დასაწყისში, საბერძნეთიდან. ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ III არგიროსის (1028-1034 წწ.) ძმისწულს, საქართველოს მეფის ბაგრატ IV მეუღლეს, ელენეს, კურნება მიუღია ამ სარტყლიდან. მას საქართველოში გამოძგზავრების წინ იმპერატორისათვის უთხოვია სასწაულმოქმედი ნივთის მზითვად გატანება. იგი ჯერ

¹ გ. კალანდია, ლ. ბერაია, 1919 წლიდან ღვთისმშობლის სარტყელის კვართი იკარგება გაზ. „კვირის პალიტრა“, 14-20 ივლ., 2003, გვ. 12

² გ. კალანდია, ლ. ბერაია, დასახ. ნაშრ., გვ. 12

ვლადიმერის ღვთისმშობლის სახელობის ბედიის ტაძარში დაუსვენებიათ, შემდეგ, „როდესაც მაჰმადიანობამ შავი ზღვის სანაპიროებზე იწყო მძლავრობა და მეგრელობა იძულებული გახდა უკან დაეხია მდ. კოდორამდე, ვლადიმერის ღვთისმშობლის ხატი (სარტყელთან ერთად) მტერთაგან დასაცავად დროებით გადაუტანიათ მარტვილში. სარტყელი მიმაგრებულია ვლადიმერის ხატზე“. მურავიოვის თქმით, „სარტყელი წაგავს სამთავრ-ღიაკვნოგინგილას და დაკეცილია ოლარით, ქვედა ნაწილი სარტყელისა მეტად დაძველებულია, სარტყელის ოქრომკედის ნიადაგი მოფენილია მარგალიტებით და ზურმუხტ-იაგუნდის ქვებით. ეს რასაკვირველია, ერთი უძველესი ნაშთაგანია, რომელსაც ჩვენამდის მოუღწევია ქრისტიანობის პირველი დროიდან“¹.

თავის დროზე კვართი დეკორით ყოფილა შემკული, მაგრამ დროთა განმავლობაში - საღებავი გადასულა. ამჟამად იგი უფრო ტილოსა ჰგავს. მისი ზომებია - 180-150 სანტიმეტრზე².

არსებობს სხვადასხვა ვერსია ღვთისმშობლის კვართის საქართველოში მოხვედრის შესახებ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით სიწმინდე XVII ს. I მესამედიდან უნდა იქნას ჩამოტანილი იერუსალიმიდან³.

არსებობს ერთი სხვებისაგან განსხვავებული, მაგრამ არანაკლებ საინტერესო ვარაუდი, რომელსაც გამოთქვამდა აწ განსვენებული ცნობილი ფოლკლორისტი და მოღვაწე კ. სამუშია. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, თუ რა წყაროებს ეყრდნობოდა მკვლევარი. ამ ტაძრის სიწმინდეები იერუსა-

¹ გ. კალანდია, ლ. ბერაია, დასახ. ნაშრ., გვ. 12

² ვ. გულუა, ლაქარნობის დღესასწაული ზუგდიდში, გაზ. „რეზონანსი“, N 199, 2004, გვ. 9

³ იქვე

ლიძის ჯვრის ქართველთა მონასტერში მოხვდა. როცა სამეგრელოს მთავარმა ლევან II დადიანმა ჯვრის მონასტერი განაახლა, მან იქ მოღვაწე ნიკოლოზ ჩოლოყაშვილს (ირუბაქიძეს) შესთავაზა საქართველოში, სამეგრელოში ჩამოსვლა და კორცხალის მონასტრის წინამძღვრობა. ნიკოლოზი სამეგრელოში ჩამოვიდა. შინა და გარეშე ომებისაგან დაქსაქსული და ძალღონეგამოცლილი საქართველო ვეღარ პატრონობდა მონასტერს, ამიტომ, სრულიად დასაჯერებელია, რომ ნიკოლოზის ჯვრის მონასტერში დაცული სიწმინდეები საქართველოში ჩამოებრძანებინა¹.

საქართველოში ამ კვართის არსებობაზე მიუთითებენ 1640 წლის გაზაფხულზე ლევან II დადიანთან მყოფი რუსი ელჩები: ვ. ელჩინი და პ. ზახარინი. XVII ს. თეატინელ მისიონერთა ორდენის ბერი – ჯ. დამპი და ალექსანდრიის პატრიარქი, რომელიც XVII ს. მოგზაურობდა საქართველოში. ასევე კვართს ახსენებენ იმერეთის სამეფო კარზე 1650-1652 წლებში მყოფი რუსი ელჩები: ა. იველიევი, ნ. ტოლოჩანოვი და ათონელი ბერები, რომლებიც ათონის მონასტრიდან იყვნენ გამოგზავნილი გადასახადის ასაკრეფად საქართველოში².

XIX ს. დასაწყისში, როდესაც სამეგრელოს სამთავროდან დელეგაცია ჩავიდა პეტერბურგში მაღლობის სათქმელად, იმისათვის, რომ სამეგრელო მიღებული იქნა რუსეთის მფარველობაში. დელეგაციის წევრებმა სანამ იმპერატორს შეხვდებოდნენ ნახეს გიორგი XII-ს უფროსი ვაჟი დავით ბატონიშვილი, რომელთანაც იმყოფებოდა ვლადიკლავის ღვთისმშობლის ხატი. იმერეთის მეფის სოლომონ II-საგან შეწუხებულმა გრიგოლ დადიანმა ვლადიკლავის ხატი შესანახად გა-

¹ <http://eparqia.iatp.ge/sicminde.html>, გვ. 3

² ვ. გულუა, , დასახ. ნაშრ., გვ. 9

დასცა სიმამრს გიორგი XII-ს. როცა მეფე გიორგის მემკვიდრეები რუსეთში გადასახლეს დავით ბატონიშვილმა ხატი პეტერბურგში თან წაიღო. დავით ბატონიშვილი იძულებული გახდა სიწმინდეები გადაეცა სამეგრელოს სამთავროს დელეგაციისათვის, მათ კი იმპერატორს მიაართვეს ოდიშართა ერთგულების ნიშნად. იმპერატორმა ალექსანდრე I-მა დიდის კმაყოფილებით მიიღო, ძვირფასად შემოსა და თავის კარის ეკლესიაში დაასვენა. ხატი ერთი წელი ესვენა აქ. შემდეგ, როცა სამეგრელოს დელეგაცია გაისტუმრეს უკან სამშობლოში, ხელმწიფე-იმპერატორის მიერ საგანგებოდ ძვირფასად შემკული ხატიც თან გამოატანეს. „შეამკო უძვირფასესად ხატი ვლახარანისა ღვთისმშობლისა და წარეგზავნა კვალად სახლსა შინა დადიანისასა, რათა მუნ განისვენონ წმინდად ჩემის საფარველის დიდებისა და თქვენის ჩემ ერთგულებისა“¹.

იმპერატორ ალექსანდრე პირველის მითითებით, პეტერბურგიდან სამეგრელოში გამომგზავრებული დეპუტაცია შესაფერისად დაასაჩუქრეს და მმართველ დედოფალ ნინოსა და მის მოძღვარსაც საკადრისი საჩუქრები გამოუგზავნეს. ერთი სიტყვით, სამეგრელოს დეპუტატები ფრიად ნასიამოვნები და გახარებული დაბრუნდნენ სამშობლოში.

ხელმწიფე-იმპერატორის სურვილით ხატი დადიანთა სასახლეში უნდა ყოფილიყო, ალექსანდრე პირველის სამეგრელოს მფარველობისა და მთავრობის იმპერატორისადმი ერთგულების ნიშნად. დეპუტაციამ ჩამოიტანა ალექსანდრე I-ის ბრძანებაც სამეგრელოში ვლახერნის ღვთისმშობლის სახელზე აეშენებინათ ეკლესია რუსეთის ხაზინის ხარჯზე. იქ,

¹ ი. მეუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები, ს. ცაიშვილის რედაქციით, თბ., 1939, გვ. 51

სადაც ეკლესია აშენდებოდა, ქალაქს უნდა დარქმეოდა გრიგოლიპოლი (გრიგოლიპოლისი), რუსეთის ერთგულ განსვენებულ მთავრის, გრიგოლ დადიანის, სახსოვრად. იმპერატორის წინაშე დეპუტატთა გამოცხადებას, მიღებასა და ხატის გადაცემას კარგად აღგვიწერს დეპუტაციის წევრი, ხატის გადაცემის უშუალო მონაწილე და თვითმხილველი ნიკო დადიანი: „მივედით ქალაქს სანკტ-პეტერბურგს, შეგვიწყნარეს და მიგვიღეს სამაგალითოთა პატივითა, რომლისა აღწერა დიდსადმე განგრძელების და შემდგომად რამდენისამე ხანისა ინება და ღირსნი ვიქმენით ხილვად და თაყვანისცემად მისი იმპერატორობითის დიდებულების მოწყალისა და დიდისა ხელმწიფისა ალექსანდრე პავლეს ძისა და ყოველთა მისთა ფამილიათა და შემდგომად ხილვისა წარუგზავნეთ იოანე დეკანოზის ხელით, რომელიცა გვქონდა ძღვნად წარღებული ჩვენის მთავრის ნინა დედოფლისაგან ხატი ვლახარან ღვთიმშობლისა და მთავრისა რა მიიღო შესაბამისი პატივით და დაასვენა თავის სასახლის ეკლესიასა შინა დიდის ცერემონიითა“¹ (ხატი ნინო დედოფალმა კი არ გაატანა სამეგრელოდან, არამედ იგი დავით ბატონიშვილს გამოართვეს პეტერბურგში, როგორც ზემო აღვნიშნეთ – ვ.წ.).

სხვა წყალობებთან ერთად ხელმწიფე-იმპერატორმა 2000 ჩერვონეცი გამოაგზავნა მთავარმართებელ გუდოვიჩთან, სამეგრელოს დედოფალ ნინოზე გადასაცემად. ამ თანხით ნინო გიორგის ასულს ოდიშში (სამეგრელოში), იქ სადაც იგი საამისოდ ადგილს ამოირჩევედა უნდა დაეწყო ეკლესიის მშენებლობა. მშენებლობის გასაგრძელებლად და საბოლოოდ დასამთავრებლად ხელმწიფე-იმპერატორი კვლავ გამოაგზავ-

¹ ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962, გვ 195

ნიდა საჭირო თანხას. ეკლესიას ვლადიმერის ღვთისმშობლის სახელი ერქმეოდა. „ბრძანება აშენება ეკლესიისა სახელსა ზედა ვლადიმერან ღვთისმშობლისასა სამეგრელოსა შინა ხარჯითა მისის იმპერატორობითის დიდებულებისათა და იქმნან მუნ ქალაქი და ეწოდებოდეს სახელად ქალაქსა მას გრიგოლოპოლი სახსოვრად განსვენებულისა გრიგოლი დადიანისა“¹.

რუსეთის მთავრობა და თვით ხელმწიფე-იმპერატორი არავითარ ხარჯებს არ ერიდებოდა სამეგრელოს მმართველის გულის მოგებისათვის. სამეგრელოს სამთავროს მმართველისა და თავადაზნაურთა ხელშეწყობით იმ დროს უნდოდათ იმერეთის მეფის სოლომონ მეორის ხელში ჩაგდება, სამშობლოდან მოცილება და იმერეთში რუსული მმართველობის შემოღება.

რაც შეეხება ტაძრის აშენებას იგი თავს იღო გრიგოლ დადიანის მემკვიდრემ მთავარმა ლევან V დადიანმა. ტაძრის მშენებლობა 1830 წელს დამთავრდა. მთავარმა ზუგდიდი თავის მუდმივ საცხოვრებლად აქცია. ვლადიმერის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი კი სამთავროს კარის ეკლესია გახდა.

არსებობს ვარაუდი, რომ კარის ეკლესია ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სარტყლის დადების სახელობისა უნდა ყოფილიყო. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს ტაძრის კანკელის ხატი, რომელზეც გამოსახულია სარტყლის დადების სცენა. ეს ხატი სხვადასხვა სიწმინდეებთან ერთად ზუგდიდის ისტორიულ მუზეუმში ინახება².

მრავალმა მეცნიერმა და მკვლევარმა ნახა და შეისწავლა ხატი, მათ შორის 1883 წელს ხატი აღწერა პროფესორმა ჟიულ მურიემ და აღტაცებული დარჩა მისი ზომითა და

¹ ნ. დადიანი, დასახ. ნაშრ., გვ. 195

² <http://eparqia.iatp.ge/sicminde.html>, გვ. 3

შემკულობით – ერთი მტრის სიმაღლის ეს სამკარედი 300 პატოსანი თვლით ყოფილა მოჭედილი ღვთისმშობლის თავზე, ოქროს შარავანდედის სხივებში 29 მარგალიტი და 82 მსხვილი ალმასია, ხოლო ხატის ქვედა ოქროს ქათბში 79 ლალი, 20 საფირონი, 9 ალმასი და 93 ზურმუხტი კიაფოდა. ეს ხატი ამჟამად საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია¹. სარტყელი დაკარგულად ითვლება. 1857 წლამდე სამეგრელოს სამთავროს გაუქმებამდე შესაძლოა იგი ისევ ზუგდიდის დედოფლისეულ სასახლეში იყო. ამას ცხადყოფს ხატზე დატანილი ეკატერინე დადიანის წარწერა. ამბროსი ხელაიას თქმით, უკანასკნელი რევოლუცია – არეულობის დროს (ე.ი. 1917 წელს – გ.კ.) იგი შენახული ყოფილა ზუგდიდში, დადიანთა სასახლის ეკლესიის კედლის სამალავში, რომლის კარი ამოუშენებიათ ქვით. 1920 წელს ბატონ ექვთიმე თაყაიშვილს ხატი წაუღია ტფილისს და დაუხვეწებია, როგორც მითხრეს, არა ტაძარში, როგორც მორწმუნეთათვის სათაყვანებელი სიწმინდე, არამედ, არ ვიცი რა მოსაზრებით, სახელმწიფო ხაზინის სალაროში, როგორც გადმომცეს, ღვთისმშობლის სარტყელი ახლა ხატთან არ არის და ვის ხელში გადავიდა და ან სად ინახება ეს ძვირფასი სარწმუნეობრივი რელიკვია არ არის ცნობილი².

როგორც ბატონი გიორგი კალანდია მოგვითხრობს, ჩვენამდე შემორჩენილია ზუგდიდის სასახლიდან განძის გამტანი კომისიის ოქმი, რომელშიც მოხსენებულია ვლადკერნის ხატის „კიოტი“, ანუ სარტყლის კიდობანი. 1921 წლის თებერვალში ეს ხატი სხვა ეროვნულ განძეულთან ერთად საფრანგეთში გაიტანეს და 1945 წლის 11 აპრილს სამშობლოში დააბრუნეს, მაგრამ, აღარსად ირიცხება სარტყელი. ის არ

¹ გ. კალანდია, ლ. ბერაია, დასახ. ნაშრ., გვ. 12

² იქვე

არის ნახსენები განძეულობის გატანის და ჩამოტანის ოქმებში, რაც ცხადყოფს, რომ 1919 წლისათვის სარტყელი უკვე დაკარგული იყო¹.

XX საუკუნის 20-იან წლების საშინელ მოვლენებს, რომელიც საქართველოში დატრიალდა ვერც დადიანების კარის ეკლესია გაექცა. ღვთისმგმობელი მთავრობის ბრძანებით წირვა-ლოცვა აიკრძალა და მორწმუნეებისათვის დაკეტილ ეკლესიაში ხან მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ექსპოზიცია იყო გამართული, ხან სამხატვრო სახელოსნო, ხანაც კი თოჯინების თეატრი.

1990 წელს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ტაძარში მსახურება განახლდა და მაცხოვრის შობის დღესასწაულზე პირველი წირვა ჩატარდა.

ამჟამად, ვლადიკავკასიის ღვთისმშობლის ხატის სახელობის ეკლესია, რომელსაც ზუგდიდელები ტრადიციულად დადიანების ეკლესიას ეძახიან ზუგდიდ-ცაიშის ეპარქიის საკათედრო ტაძარია.

ღვთისმშობლის კვართის ძალით მრავალი სასწაული აღესრულება. ერთ-ერთი ასეთი სასწაული მოხდა 2000 წელს, როცა კვართის ქსოვილზე მაცხოვრის სახე გამოისახა².

ღვთისმშობლის ვლადიკავკასიის სასწაულმოქმედი ხატი ინახება დღეისათვის საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში. ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის კვართი – მსოფლიო ქრისტიანობის ერთ-ერთი უდიდესი სიწმინდე, ღმრთის საოცარი განმგებლობით, ნიშნად ღვთისმშობლის განსაკუთრებული სიყვარულისა თავისი რჩეული „საზეპურო ერის“

¹ იქვე

² თ. მაჭარაშვილი, ვლადიკავკასია, ჟურნ. „კარიბჭე“, N14, 2010, გვ. 28

მიმართ, ინახება ზუგდიდში, ისტორიულ მუზეუმში. მას მხოლოდ 15 ივლისს გამოაბრძანებენ და დაასვენებენ მისი სახელობის ეკლესიაში, ვლადიკავკასიის დღესასწაულის აღსანიშნავად.

დამოწმებანი:

1. გ. კალანდია, ლ. ბერაია, 1919 წლიდან ღვთისმშობლის სარტყელის კვართი იკარგება გაზ. „კვირის პალიტრა“, 14-20 ივლ., 2003.
2. ვ. გულუა. ლაქარნობის დღესასწაული ზუგდიდში, გაზ. „რეზონანსი“, № 199, 2004.
- ი. მუნარგია, სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი პერიოდი და დავით დადიანი, მასალები და დოკუმენტები, ს. ციამვილის რედაქციით, თბ., 1939.
3. ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, კომენტარები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ., 1962.
4. თ. მაჭარაშვილი, ვლადიკავკასია, ჟურნ. „კარიბჭე“, №14, 2010.
5. მ. გონიკიშვილი, ბაგრატიონთა გადასახლება და მოღვაწეობა რუსეთში. თბ., 2002.
6. <http://eparqia.iatp.ge/sicminde.html>

Vladimer Tsverava
Akaki Tsereteli State University
**FROM THE HISTORY OF ICON OF OUR LADY OF
VLAKIARIA
RESUME**

In the beginning of the nineteenth century, in 1803, the treaty between Samegrelo principality and king Russia was signed. The delegation from Samegrelo principality departed to St. Petersburg to commemorate this and say thank you. They had an assignment from Queen Nino, to see the son of George XII, David Batonishvili in St. Petersburg, take the icon of the Virgin Mary of Vlakern and the girdle from him and gave it to emperor Alexander I, as the sign of gratitude.

The icon of the Virgin Mary and the girdle came to the Apostle Thomas, and he gave them to emperor Arkad. After the death of the Emperor, his daughter set the icon in the Vlakern Monastery. The icon healed not only one person from illness.

King of Georgia Bagrat IV got married to the niece of the Emperor, who had the icon of the Virgin Mary and, also other holiness in the dowry. This icon was set in the Monastery of Bedia. After the separation of the kingdom of Georgia, the icon became the property of the Samegrelo chiefs and they especially cared about it. When the relationship between Grigol Dadiani and king Solomon of Imereti was tensed, Grigol Dadiani gave the icon to the king of Kartl-kakheti George XII.

Emperor Alexander decorated the icon and let the delegation to take it back and built a new cathedral named after Vlakern in Zugdidi.

In 1921 the icon with other holiness and the treasure of Georgia were taken to France. In 1945, the icon returned to

Georgia. Today, the icon is kept at the Art Museum of Georgia. The robe of the Virgin Mary is kept in the Museum of Zugdidi and on the 15th of July, at Vlakerne celebration day it will be delivered to Vlakern Monastery, where the parish will be able to see it.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისია

2017 წლის მარტში, პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და მხარდაჭერით, ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა და მუშაობას შეუდგა პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისია. მისი მთავარი ამოცანაა შეისწავლოს და წარმოაჩინოს პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტი, პირველ რიგში 1918-1921 წლებში.

კომისია 5 წლის განმავლობაში იმუშავებს პოლონეთისა და საქართველოს პრეზიდენტების საპატიო პატრონაჟით და მოამზადებს ვრცელ მონოგრაფიას ქართულ და ინგლისურ ენებზე, მოაწყობს გამოფენებს, გამართავს სამეცნიერო ფორუმებს და სხვ. კომისიის პარტნიორები არიან: პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, საქართველოს საელჩო პოლონეთში, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიაში შედიან: დავით ყოლბაია (თავმჯდომარე) – (ვარშავის უნივერსიტეტი), ვოიცეხ მატერსკი (პოლონეთის მეცნიერებათა აკადემია), ანჟეი ფურიერი (შჩეჩინის უნივერსიტეტი), პაველ ლიბერა (პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი), პიოტრ ოლშევსკი (იან კოხანოვსკის სახელობის კელცეს უნივერსიტეტი, პიოტრკოვ ტრიბუნალის ფილიალი), გჟეგოჟ მაზური (იაგელონის უნივერსიტეტი), დეკანოზი ჰენრიკ პაპროცკი (პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესია), ვლოძიმეჟ სულეია (პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტი).

ტი); საქართველოს მხრიდან - გიორგი მამულია (პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი სკოლა), ოთარ ჯანელიძე (საქართველოს ეროვნული მუზეუმი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი), მიხეილ ბახტაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), ზაზა აბაშიძე (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ბექა კობახიძე (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი), დიმიტრი სილაქაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გიორგი ასტამაძე (კარლსრუეს უნივერსიტეტი), შორენა მურუსიძე (კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი), ალექსანდრა გრიჟლაკი (კომისიის მდივანი - ვარშავის უნივერსიტეტი).

პოლონურ-ქართული კომისიის პირველი სხდომა 2017 წლის 27 მარტს, ვარშავაში შედგა. გაიმართა შეხვედრები ვარშავის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ევროპის ინსტიტუტის დირექტორთან, პოლონეთის უახლესი ისტორიისა (Akt Nowych) და სამხედრო არქივების ხელმძღვანელებთან. პოლონეთის სეიმის ვიცე-მარშალთან, პოლონეთის ეროვნულ მუზეუმის დირექტორთან, ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის თავმჯდომარესთან, პოლონეთის უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილესთან. კომისიის ქართველი წევრები ესტუმრნენ საქართველოს საელჩოს ვარშავაში.

კომისიის სამუშაო შეხვედრებზე დაისახა კონკრეტული სამოქმედო გეგმა და განისაზღვრა კვლევითი პრიორიტეტები. 2017 წლის მაისის ბოლოს კომისია თბილისში შეიკრიბა. გაიმართა მიღება და შეხვედრები პრეზიდენტის რეზიდენციაში, საქართველოს პარლამენტში, თავდაცვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროებში, თბილისის სახელმწიფო

უნივერსიტეტში, ეროვნული თავდაცვის აკადემიაში, ეროვნულ მუზეუმში, ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, ეროვნულ არქივში, ეროვნულ ბიბლიოთეკაში და სხვ.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის პირველ კონფერენციას 2017 წლის 27-28 ნოემბერს ვარშავამ უმასპინძლა. კონფერენცია ორ დღეს გაგრძელდა და მოსმენილ იქნა 11 მოხსენება.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა მეორე კონფერენცია 2018 წლის 24-25 აპრილში თბილისში ჩატარდა. მისი მთავარი თემა ამიერკავკასიის სეიმი და ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკა იყო, რომელთა შექმნიდან 100 წელი შესრულდა. ორდღიან კონფერენციაზე წაკითხულ იქნა 12 მოხსენება.

თბილისის სამეცნიერო ფორუმი რამდენიმე სხვა ღონისძიებამაც შეავსო. 25 აპრილს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკაში შედგა პოლონეთიდან საგანგებოდ ჩამოტანილი გამოფენის წარდგენა, რომელიც დავით ყოლბაის ავტორობით შეიქმნა. „ქართველი ოფიცრები პოლონეთის არმიაში“, სადაც წარმოდგენილი იყო უცნობის ფოტომასალები ქართული ემიგრაციის შესახებ პოლონეთში 1918-1939 წლებში. გაიმართა ვარშავის უნივერსიტეტის ქართველოლოგიური სამეცნიერო ჟურნალ „პრო გეორგიას“ ახალი, 2018 წლის 28-ე ნომრის პრეზენტაცია. ჟურნალი 1991 წელს ვარშავაში დაარსდა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ერთ-ერთ წარმატებულ პერიოდულ გამოცემად ითვლება.

კომისიის მომდევნო, რიგით მესამე კონფერენცია 2018 წლის დეკემბერში კვლავ ვარშავაში გაიმართა. მოსმენილ იქნა 12 მოხსენება.

2019 წლის ნოემბერში, ბაკურციხესა და თელავში შედგა პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის მეოთ-

ხე კონფერენცია. ამჯერად მოსმენილ იქნა 9 მოხსენება. კონფერენციის გახსნამდე შედგა ვარშავაში ინგლისურ ენაზე გამოცემული კომისიის შრომების პირველი კრებულის წარდგინება.

კომისიაში შემავალ პოლონელ ისტორიკოსებს ამ ხნის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობები ჩამოუყალიბდათ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან, რომელსაც ვარშავის უნივერსიტეტთან გაფორმებული აქვს პარტნიორული თანამშრომლობის მემორანდუმი. გორის უნივერსიტეტმა ორჯერ უმასპინძლა პოლონელ მეცნიერებს. მოეწყო პროფესორ ვ. სულეიას ქართულ ენაზე თარგმნილი წიგნის „იუზეფ პილსუდსკი“-ს წარდგინება და გაიმართა ავტორის საჯარო ლექცია. პროფესორებმა პ. ოლშევსკიმ და პ. ლიბერამ მონაწილეობა მიიღეს გორის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ტრადიციულ - დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში.

პოლონელი მკვლევარი, პროფესორი პ. ლიბერა ჩართულია გორის უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო პროგრამაში და გაუძღვება სასწავლო კურსს „მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია“. მუშავდება ორმხრივი თანამშრომლობის სხვა საინტერესო გეგმებიც.

ქვემოთ ვაქვეყნებთ პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა საერთაშორისო კომისიის წევრთა მოკლე ბიოგრაფიულ მონაცემებს.



დავით ყოლბაია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1963 წელს, 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1995 წელს გახდა ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.

1997-2005 წწ. იყო ლოდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის აღმოსავლეთის კვლევების კათედრის /ადიუნქტი/ ასისტენტ პროფესორი. 2002 წლიდან არის ვარშავის უნივერსიტეტის ორიენტალისტიკის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპისმცოდნეობის ცენტრის კაკასილოლოგიურ/ქართველოლოგიური კვლევების მიმართულების ხელმძღვანელი. ქართველოლოგიურ ჟურნალ „პრო გეორგიას“ რედაქტორი. წმინდა გრიგოლ ფერაძის სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლის საერთაშორისო კომისიის წევრი.

ვარშავის უნივერსიტეტებში კითხულობს ლექციებს საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, როგორც მოწვეული პროფესორი და მკვლევარი თანამშრომლობს ევროპის სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან, იკვლევს ქართველოლოგიურ-კავკასიოლოგიურ პრობლემებს, ქართული ენისა და მწერლობის, ქართული საისტორიო და ეკლესიის ისტორიის საკითხებს, დაინტერესებულია ასევე პოლონეთში ქართული ემიგრაციის ისტორიითა და სხვ.

გამოსცა Mokcewaj Kartlisaj (2018); Żywoty królów gruzińskich (2017); Męczeństwo świętego Arczyla (2016); Kanon Pokutny (2015); Żywot króla królów Dawida (2014);

Żywot i opowieści o Bagrationach (2012); გამოსცა გრიგოლ ფერადის შრომების ორტომეული (I-II, 2012-2014).

შოთა რუსთაველის „ვეფხისტაოსანი“ (2017); ადამ მიცკევიჩის, „პან თადეოზი“ (I გამ. - 2012; II გამ. - 2015); იოზეფ პილსიუდსკის, იანვრის აჯანყება (2017); „რეჩოსპოლიტას ფრთებქვეშ ქართული ემიგრაცია პოლონეთში 1921-1939“, (I გამ.-2015; II გამ.-2016; III გამ.- 2019). მოამზადა დოკუმენტური მასალები წმ. გრიგოლ ფერადის და პოლონეთში ქართული ემიგრაციის შესახებ დოკუმენტური ფილმისთვის (2007).

2009 წელს მიენიჭა წმინდა გრიგოლ ფერადის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება. 2013 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, 2016 წელს - „პოლონია რესტიტუტას ჯვრის კავალერია“. 2016 წელს არჩეულ იქნა ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო წევრად. 2017 წელს - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად. 2017-2018 წწ. აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტების სამეცნიერო საზოგადოების პრეზიდენტად. აქტიურ მონაწილეობას იღებს ევროპის სხვადასხვა უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში. 2017 წელს არჩეულ იქნა პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის თავმჯდომარედ.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. Prezentacja prac i celów Polsko-Gruzińskiej Komisji Historyków w 2017 r.
2. Nieznane dokumenty i dzienniki Grzegorza Peradze 1918-1921 (თანაავტორი ჰენრიკ პაპროცკი);

3. Transcaucasian Sejm and the Creation of the Independent Transcaucasian Republic in “Qartuli Gazeti” published in Berlin (1916-1918);
4. Letters from Saint Grigol Peradze to Sir Oliver Wardrop, 1926-39 in the Bodleian Library;
5. The Georgian contract officers in the Polish Army in the documents of the Sikorski Institute in London (in Polish);
6. Life and martyrdom of Saint Grigol Peradze (თანაავტორი ჰენრიკ პაპროცკი).



ვოიკეხ მატერსკი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1944 წელს, 1968 წელს დაამთავრა ვარშავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1969 წელს – მაგისტრატურა. 1974 წელს ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტის ისტორიის ინსტიტუტში დაიცვა დისერტაცია პოლიტიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დაბადება. საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციის იდეა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკაში 1941-1945 წლებში“.

1981 წელს პოზნანის უნივერსიტეტში გაიარა პოსტ-დოქტორანტურა, 1996 წელს აირჩიეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა პროფესორად.

1990–2004 წლებში იყო ლოდის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის აღმოსავლეთ ევროპის განყოფილების გამგე; 1992 წლიდან დღემდე პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის პროფესორია. 2001 წლიდან იყო ამავე ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ხოლო 2004 - 2012 წლებში ეკავა ინსტიტუტის ხელმძღვანელის თანამდებობა;

ვ. მატერსკის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფეროა: სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს ისტორიის პრობლემები, საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ისტორია, პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობების ისტორია, საბჭოთა კავ-

შირისა და პოსტსაბჭოთა რესპუბლიკების ისტორია. არის რთული საკითხების პოლონეთ-რუსეთის ჯგუფის წევრი.

დაჯილდოებულია ეჟი ლოჟეკის ორდენით, პოლონია რესტიტუტას კომანდორის ჯვრის ორდენით, კატინის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნის მედლით, 2010 წელს წმინდა კაზიმეჟის იაგელონის კლუბმა მას მიანიჭა სპეციალური ჯილდო თანამედროვე ისტორიის კვლევის საქმეში შეტანილი წვლილისათვის.

გამოქვეყნებულია აქვს 400-მდე პუბლიკაცია, მათ შორის 30 წიგნი და დოკუმენტების 20 კრებული.

ძირითადი მონოგრაფიები:

1. Georgia rediviva: Republika Gruzínska w stosunkach międzynarodowych 1918-1921, Warszawa, 1994;
2. Tarcza Europy. Stosunki polsko-sowieckie 1918–1939, Warszawa, 1994;
3. Gruzja, Warszawa, 2000;
4. Na widcie. II Rzeczpospolita wobec Sowietów 1918–1943, Warszawa, 2005;
5. Sowieccy dyplomaci o genezie Organizacji Narodów Zjednoczonych, Warszawa, 2008;
6. Katyń. Od Kłamstwa ku prawdzie, Warszawa, 2012;
7. Pięć kłamstw Lenina. Rosja po przewrocie bolszewickim: propaganda a rzeczywistość, Warszawa, 2019.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. Polish-Georgian Military Alliance as a Part of Józef Pilsudski’s Security Policy;
2. The Russian Empire’s Collapse and Forms of Transition to Nation-States;

3. The Problem of the Access of the Republic of Georgia to the Universal Security System (1919-1920);
4. Independent Caucasian Brigade of the Polish Army 1917-1918.



პაველ ლიბერა – ისტორიის დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1979 წელს, 2004 წელს დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი I-ის იურიდიული ფაკულტეტი. 2012 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში.

ტში.

სორბონის უნივერსიტეტში მიიღო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო და ევროკავშირის სამართლის სფეროში; 2004-2006 წლებში იყო ტორუნის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტის მასწავლებელი; შემდეგ მთავარი საარქივო სამმართველოსა და ვარშავის თანამედროვე ხელნაწერთა არქივის ასისტენტი; 2005-2012 წლებში გაიარა პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დოქტორანტურა. 2014 წელს, როგორც ახალგაზრდა მკვლევარმა, მოიპოვა პოლონეთის მეცნიერებისა და უმაღლესი განათლების სამინისტროს სტიპენდია.

იყო პოლონეთის ეროვნული მუხსიერების ინსტიტუტის საისტორიო-კვლევითი ბიუროს დირექტორის მოადგილე. 2019 წლიდან პოლონეთის ეროვნული მუხსიერების ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკია ისტორიული კვლევების განხრით, პარალელურად პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის თადეუმ მანტეიფელის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში მუშაობს ადიუნქტის პოზიციაზე. არის მრავალი საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის, კონფერენციისა და სიმპოზიუმის მონაწილე.

ძირითადი პუბლიკაციები:

წიგნები:

1. P. Libera, R. Rybka, K. Stepan, Polski cmentarz wojenny Kijów-Bykownia: księga cmentarna. T. 1: A-B, Warszawa 2015;
2. Юзеф Лободовський, Проти упирів минулого. Думки про Польщу та Україну (Укладачі: П. Лібера, А. Павлишин), Люблін – Львів, 2015;
3. II Rzeczpospolita wobec ruchu prometejskiego, eds. P. Libera, Warszawa 2013;
4. Lietuvos – lenkijos diplomatiniai santykiai 1938–1940 m. Diplomatinių dokumentų rinkinys, eds. A. Kasparavicius, P. Libera, Vilnius 2013;
5. J. Akromas, P. Libera, E. Meilunas, E. Stankevicius, A. Zulys, Historia przedstawicielstwa dyplomatycznego Litwy w Polsce, Warszawa 2009.

სტატიები:

1. A Forgotten Episode in the History of Polish-Finnish Relations: The Prometheus Club in Helsinki, 1932-1939 [in:] Mannerheim and Polish-Finnish Political and Military Relations 1917–1946, Ed. T. Siewierski, Warsaw 2018, The Royal Łazienki Muzeum;
2. The International of the conquered – the Promethean movement and Polish authorities during 1926-1939, "История", Vol. 26, Nb 6, 2018;
3. Józef Piłsudski towards Lithuania, [in:] Józef Piłsudski: Under the Banners of White Eagle

- and Pahonia. On the Centenary of Polish Independence, Ed. W. Suleja, T. Wolsza, Warsaw, 2018;
4. Polityka Józefa Becka wobec Litwy (1930-1939), [in:] ed. S. Nowinowski, Płk Józef Beck (1894–1944). Żołnierz, dyplomata, polityk, Łódź–Warszawa 2017;
 5. Polish authorities and the attempt to create the Caucasian Confederation (1917–1940), "Studia z dziejów Rosji i Europy Środkowo-Wschodniej", vol. 52, no 3 (2017);
 6. Antyrosyjski rusofil - Józef Łobodowski wobec Rosji. W: Śladami pisarza. Józef Łobodowski w Polsce i w Hiszpanii. G. Bąk, L. Siryk, E. Łoś, . Lublin 2016;
 7. Stypendyści z narodów "prometejskich" w latach 1928-1939: próba portretu zbiorowego, "Nowy Prometeusz", nr 7/2015;
 8. Z dziejów „Buntu Młodych” i „Polityki”. Listy Aleksandra i Adolfa Marii Bocheńskich do Stanisława Łosia (1932-1939), „Studia z Dziejów Rosji i Europy Środkowo-Wschodniej” tom XLVIII (2013);
 9. Ewolucja ruchu prometejskiego w okresie międzywojennym, [w:] M. Kornat (red.) Ruch prometejski i walka o przebudowę Europy Wschodniej (1918-1940), Warszawa 2012;
 10. Hiroaki Kuromiya, Paweł Libera, Notatka Włodzimierza Bączkowskiego na temat współpracy polsko-japońskiej wobec ruchu prometejskiego (1938), „Zeszyty Historyczne”, 2009, nr 169.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონ-
ფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. Polska wobec niepodległości Gruzji 1918-1921;
2. Wacław Ostrowski's Diplomatic Mission to Georgia;
3. Misterium hominis w "Kanonie pokutnym" św.
Dawida IV Budowniczego (1073-1125);
4. Biographies of Georgian contract officers in the
Polish Army (1919-1939).



ზაველ ოლშევსკი - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1969 წელს, 1991 წელს დაამთავრა ლოდის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 1993 წელს მაგისტრატურა; 1998 წელს იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: ანტანტის სახელმწიფოთა პოლიტიკა ამიერკავკასიაში 1918-1921 წწ“. 2015 წელს ლოდის უნივერსიტეტში მიენიჭა კოჰაბილიტირებული დოქტორის სამეცნიერო ხარისხი ნაშრომისათვის: „აშშ პოლიტიკა თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთში 1918-1923 წლებში“.

1998 წლიდან იყო ქალაქ კელცეს იან კოხანოვსკის სახელობის უნივერსიტეტის პიოტრკოვ ტრიბუნალის ფილიალის ისტორიის ინსტიტუტის ანდიუქტი, შემდეგ ასოცირებული პროფესორი. სხვადასხვა წლებში ფლობდა არაერთ საერთაშორისო კვლევით სტიპენდიას, მათ შორის: საფრანგეთის მთავრობის სტიპენდიას სორბონის უნივერსიტეტი IV-ისა და კოსტიუშკოს ფონდის სტიპენდიას კოლუმბიის უნივერსიტეტში მიწვეული მეცნიერისათვის; 2001-2002 წლებში მოიპოვა სტეფან ბატორის ასევე, ევროკავშირის ტემპუსის კვლევითი გრანტები. ფლობს ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ, უკრაინულ, იტალიურ და ლათინურ ენებს.

2003-2005 წწ. იყო მიწვეული ლექტორი უკრაინაში ქ. ლუცკის ვოლინსკის უნივერსიტეტში; 2019 წელს მიიწვიეს მოსკოვის ნაციონალურ-კვლევითი უნივერსიტეტის უმაღლესი ეკონომიკური სკოლის ერაზმუსის პროგრამის პროფესორად.

2013-2017 წლებში ეკავა ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა. 2010 წლიდან დღემდე არის ECTS და Erasmus-ის პროგრამების კოორდინატორი ისტორიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტში. არის ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების ელექტრონული სწავლების კოორდინატორი.

პ. ოლშევსკის კვლევითი ინტერესების სფეროა: XIX - XX საუკუნეების კავკასიის, რუსეთის, ახლო აღმოსავლეთის ისტორია, აშშ საგარეო პოლიტიკის ისტორია, დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია პირველი მსოფლიო ომისა და ომისშემდგომ პერიოდში.

არის ევროპის თანამედროვე ისტორიის საერთაშორისო ასოციაციის, პოლონეთის საისტორიო საზოგადოების, საფრანგეთის დიპლომატიური არქივის მეგობართა საზოგადოების, კავკასიის სოციალური და პოლიტიკური კვლევების ასოციაციის, ოქტავ მირაბოს გარდაცვალებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავი სამეცნიერო კომიტეტის წევრი.

ძირითადი პუბლიკაციები:

წიგნები:

1. The politics of the countries of Entente towards the South Caucasus in 1918-1921. Piotrkow Trybunalski: The Publishing House of the Jan Kochanowski University, The Branch in Piotrkow Trybunalski, 2001, second edition 2005, 287 pages + 12 maps (in Polish language).
2. P. Olszewski, K. Borkowski, eds., The Caucasus in International Relations – past, present and future. Piotrkow Trybunalski: The Publishing House of the Jan Kochanowski University, The Branch in Piotrkow Trybunalski, 2008, pp. 396 (in Polish language).

3. Atlas of the History of World of Georges Duby, Warsaw: the RM Publishing House, 2010, pp. 336. [I had been the scholar and philological redactor of the Polish peer reviewed translation of the French version: Atlas Historique Duby. Paris: Larousse, 2007, pp. 352. The Polish edition had been so good that was published with the financial assistance of National Centre of Book of the Ministry of the Culture of France.]

4. Turkey and Middle East Policy of the United States 1918–1923, Piotrkow Trybunalski 2015, pp.526 + 6 maps, the Publishing House of the Institute of History and International Relations, the University of Jan Kochanowski in Kielce, the Branch in Piotrkow Trybunalski (in Polish language).

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. The Georgian Democratic Republic in the politics of powers of Entente after the World War I;
2. Poles in Georgia and the South Caucasus in 1914-1921 – Start Polish-Georgian relations in the interwar period;
3. The international situation of the Transcaucasian Democratic Federative Republic;
4. Entente towards the declaration of the independence of the South Caucasian republics in May 1918.



გუეგოუ მასური - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1952 წელს. 1976 წელს დაამთავრა კრაკოვის იაგელონიის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1996 წელს იაგელონის უნივერსიტეტში დაიცვა

სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „პოკუტიე მეორე მსოფლიო ომის დროს. მოსახლეობის მდგომარეობა, ოკუპანტების პოლიტიკა, იატაქვემა საქმიანობა“. 2008 წელს მიიღო პროფესორის წოდება. იკვლევს პოლონეთის უახლესი ისტორიის პრობლემებს, მათ შორის სახელმწიფოს იატაქვემა საქმიანობის საკითხებს, პოლონეთის არმია კრაიოვას მოღვაწეობას, ქალაქ ლვოვის ისტორიას და სხვ.

არის მონოგრაფიის ავტორი: „Biuro Informacji i Propagandy AK 1939-1945” და „Życie polityczne polskiego Lwowa 1918-1939”. თანაავტორი ნაშრომისა: „Konspiracja lwowska 1939–1944. Słownik biograficzny”, „Kto był kim w II Rzeczypospolitej?”, „Wojna i okupacja na Podkarpaciu i Podhalu”, „Kronika 2350 dni wojny i okupacji Lwowa”.

გამოქვეყნებული აქვს წიგნები: Akcja dywersyjna „N”. Dokumenty i materiały z archiwum Tadeusza Żenczykowskiego, oprac., przedmową i przypisami opatrzył Grzegorz Mazur, Wrocław: Towarzystwo Przyjaciół Ossolineum 2000; Biuro Informacji i Propagandy SZP [Służby Zwycięstwu Polski], ZWZ [Związku Walki Zbrojnej], AK [Armii Krajowej] 1939–1945, przedm. Aleksander Gieysztor, Warszawa: „Pax” 1987. Generał Mieczysław Smorawiński. Syn ziemi turkowskiej i kaliskiej, Turek: Miejska i Powiatowa Biblioteka Publiczna im. Włodzimierza Pietrzaka 2012.

(თანაავტორი ეჟი ვენგერსკი), *Konspiracja lwowska 1939-1944. Słownik biograficzny*, Katowice: „Unia” 1997; *Pokucie w latach drugiej wojny światowej : położenie ludności, polityka okupantów, działalność podziemia*, Kraków: UJ 1994.

აქტიურ მონაწილეობას იღებს პოლონეთის ეროვნული მესსიერების მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. *Z dziejów polsko-gruzińskich kontaktów w czasie drugiej wojny światowej*;
2. *Events in Transcaucasia in 1918-1921 on the Pages of Polish Current Press*;
3. *Georgians in the Home Army (Armia Krajowa -AK)*;
4. *Tytus Filipowicz (1873-1953). Head of the Polish Diplomatic Mission in the South Caucasus.*



ჰენრიკ ჰაპროცკი - თეოლოგი, სასულიერო მოღვაწე.

დაიბადა 1946 წელს. დაამთავრა ლუბლინის კათოლიკური უნივერსიტეტი, 1978 წელს გახდა პარიზის წმ. სერგის ინსტიტუტის თეოლოგიის დოქტორი, პოლონეთის ტელევიზიის მე-2 პროგრამის ეკუმენური რედაქციის ხელმძღვანელი, ბიალის-

ტოკის უნივერსიტეტისა და ვარშავის მართლმადიდებლური სასულიერო სემინარის ლექტორი, „ელპისის“ თეოლოგიური ჟურნალის რედაქტორი, პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის პრესმდივანი, პატრისტიკის საერთაშორისო საზოგადოების წევრი, წმინა გრიგოლ ფერაძის სამეცნერო მემკვიდრეობის შესწავლის საერთაშორისო კომისიის წევრი.

2009 წელს გახდა წმინდა გრიგოლ ფერაძის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი. 2011 წელს დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით, 2014 წლიდან „პოლონია რესტიტუტას ჯვრის კავალერია“.

გამოსცა: *Wieczera mistyczna. Anafory eucharystyczne chrześcijańskiego Wschodu* (1988); *Teksty o Matce Bożej. Prawosławie* (I-II, 1991); *La Promesse du Pere. L'Expérience du Saint Esprit dans l'Église orthodoxe* (1990); *Le Mystère de l'Eucharistie. Genèse et interprétation de la Liturgie eucharistique byzantine* (1993); *Modlimy się z Kościołem wschodnim. Modlitwy liturgii godzin* (1995); *Teksty o Matce Bożej. Kościoły przedchalcedońskie* (1995); *Lew i mysz, czyli tajemnica człowieka. Esej o bohaterach Dostojewskiego* (1997); *Obietnica Ojca. Doświadczenie*

Ducha Świętego w Kościele prawosławnym (2001); Liturgie Kościoła Prawosławnego (2003); Focjusz (2003); Prawosławie w Polsce (2008), Misterium Eucharystii (2010).

ავტორია 17 სამეცნიერო წიგნისა, მანვე თარგმნა და გამოსცა 50-მდე მწერლის ნაწარმოები, მათ შორის: ს. ბუ-
ლგაკოვის, მ. ბერდიაევის, პ. ფლორენსკის, ვ. როზანოვას, მ.
ქუენოტის, ო. კლემენტის, ა. კნიაზევას, ბ. უსპენსკის. გამო-
ქვეყნებული აქვს დაახლოებით 300 სტატია და რეცენზია,
840-ზე მეტი საენციკლოპედიო სტატია, ასევე ესეები - ე.
ნოვოშვილსკის, მ. ლუკაშვიკის და ა. ტარკოვსკის შემოქმედე-
ბაზე; მოამზადა დოკუმენტური მასალები წმ. გრიგოლ ფერა-
დის კანონიზაციისთვის.

2010-2015 წლებში გამოსცა გრიგოლ ფერადის შრომე-
ბის ოთხტომეული პოლონურ ენაზე. აქტიურ მონაწილეობას
იღებს ვარშავის უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ სამეც-
ნიერო კონფერენციებში.

**პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონ-
ფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:**

1. Nieznane dokumenty i dzienniki Grzegorza Peradze 1918-1921 (თანაავტორი დავით ყოლბაია);
2. Grigol Peradze in the Promethean Movement;
3. Russian Arguments Against Recognition of Orthodox Churches' Autocephaly in States that Emerged after World War I;
4. Life and martyrdom of Saint Grigol Peradze (თანაავტორი დავით ყოლბაია).



ვლადიმეე სულეია - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1948 წელს. 1971 წელს დაამთავრა ვროცლავის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, 1977 წელს - დოქტორანტურა. 1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 2000 წლიდან არჩეულია ვროცლავის უნივერსიტეტის პროფესორად.

ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში, 1968 წლის მარტში მონაწილეობდა პოლონეთის სტუდენტურ მღელვარებაში, 1989 წელს იყო „სოლიდარნოსტის“ ვროცლავის კომიტეტის წევრი, რომელიც ამზადებდა საპარლამენტო არჩევნებს. 1990 წელს რედაქტორობდა გაზეთს „Dziennik Dolnośląskiego“. 2000-2013 წლებში სათავეში ედგა პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის ვროცლავის ფილიალს. ამჟამად პოლონეთის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის საისტორიო კვლევების ბიუროს დირექტორია.

პროფესორი ვ. სულეია იკვლევს XIX-XX საუკუნეების პოლონეთის პოლიტიკური აზრის ისტორიას, „სოლიდარნოსტის“ მოღვაწეობას, მეორე მსოფლიო ომისშემდგომი პოლონეთის ოპოზიციური მოძრაობის ისტორიას, არის რამდენიმე წიგნისა და 200 პუბლიკაციის ავტორი.

2005 წელს დააჯილდოეს გლორია არტისის ვერცხლის მედლით კულტურის წინაშე დამსახურებისათვის; პოლონეთის ახალი ისტორიის შესწავლაში გაწეული ღვაწლისათვის 2009 წელს პოლონეთის პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ ვ. სულეიას გადასცა პოლონია რესტიტუტას კომანდორის ჯვრის ორდენი.

ძირითადი პუბლიკაციები:

1. „Solidarność” na Dolnym Śląsku (1986, wyd. podziemne, jako Stanisław Stefański) PPS. Zarys dziejów (1988);
2. Orientacja austro-polska w latach I wojny światowej (do aktu 5 listopada 1916 roku) (1992, rozprawa habilitacyjna);
3. Józef Piłsudski (1995, 2004);
4. Kosynierzy i strzelcy (1997);
5. Wrocław. Dziedzictwo wieków (1997, współautor wraz z Michałem Kaczmarkiem, Mateuszem Golińskim i Teresą Kulak);
6. Tymczasowa Rada Stanu (1999);
7. Historia Wrocławia, t. 3, W Polsce Ludowej, PRL i III Rzeczypospolitej (2001);
8. Dolnośląski Marzec '68. Anatomia protestu (2006);
9. იუზეფ პილსუდსკი, თბილისი, 2018.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. The Catholic Church as a center of struggle against the communist system in “People’s Poland”.



გიორგი მამულია - ისტორიის დოქტორი.

დაიბადა 1967 წელს. 1990 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1992 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში.

1994-1996 წლებში რუსეთის ფედერაციის დიპლომატიურ აკადემიაში დაეუფლა საერთაშორისო ურთიერთობის სპეციალისტისა და პოლიტოლოგის კვალიფიკაციას.

2003-2008 გაიარა დოქტორანტურა პარიზის უმაღლესი საზოგადოებრივი კვლევების სკოლაში (EHESS). მიენიჭა ისტორიისა და ცივილიზაციის დოქტორის ხარისხი.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის პარალელურად გ. მამულია მუშაობდა სახელმწიფო და დიპლომატიურ სტრუქტურებში. არის მრავალი საერთაშორისო კვლევითი პროექტისა და სამეცნიერო სიმპოზიუმის მონაწილე. იკვლევს XIX-XX საუკუნეების კავკასიის პოლიტიკურ ისტორიას, კავკასიის ხალხთა ეროვნულ-გამანათავისუფლებელ მოძრაობას, კავკასიური ანტიბოლშევიკური ემიგრაციის ისტორიას და სხვ. არის ავტორი თბილისში, მოსკოვში, პარიზში, ბაქოსა და სხვ. გამოცემული მრავალი საყურადღებო მონოგრაფიისა და წიგნისა, რომლებიც დაბეჭდილია ქართულ, რუსულ, ფრანგულ და ინგლისურ ენებზე.

გიორგი მამულია ამჟამად პარიზის უმაღლესი საზოგადოებრივი კვლევების სკოლის (EHESS) დოქტორია.

ძირითადი წიგნები:

1. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1917-1921 წლები). თბილისი, 2005. (მიხეილ ბახტაძესთან თანაავტორობით).
2. Грузинский легион в борьбе за свободу и независимость Грузии в годы Второй мировой войны. Тбилиси, 2007.
3. Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945). Paris, L'Harmattan, 2009.
4. Грузинский легион Вермахта. Москва, «Вече», 2011.
5. Кавказская Конфедерация в официальных декларациях, тайной переписке и секретных документах движения «Прометей» (1926-1939). Москва, «Социально-политическая мысль», 2012.
6. Борьба за свободу и независимость Кавказа (1921-1945). Тбилиси-Париж, «Меридиани», 2012.
7. Страна огней. В борьбе за свободу и независимость. Политическая история азербайджанской эмиграции 1920-1945 гг. Париж-Баку, «СBS», 2014. (В соавторстве с Р. Абуталыбовым).
8. The Eurasian Triangle. Russia, the Caucasus and Japan, 1904-1945. Berlin/Munich/Boston, De Gruyter Open, 2016. (Co-authorship with Hiroaki Kuromiya).
9. А. М. Топчибаши. Парижский архив. Москва, «Художественная литература», 2016-2018. Кн. 1-4. (совместное составление с Р. Абуталыбовым).
10. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, ეროვნული ბიბლიოთეკის გამომცემლობა, 2019. (გიორგი ასტამაძესთან თანაავტორობით).

11. Забытый Газават. Горцы Северного Кавказа в борьбе за свободу и независимость (1919-1921 гг.). Махачкала, Алеф, 2019.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. Polish-Georgian relations in 1918-1921 according to the documents of the French Ministry of Foreign Affairs;
2. Committee for the Liberation of Georgia during World War I (1914-1918);
3. From the history of the Polish Diplomatic Mission in the Caucasus;
4. From the History of the Polish-Georgian diplomatic relations (1918-1921) (გიორგი ასტამაძის თანაავტორობით).



ოთარ ჯვანელიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1954 წ. 1978 წ. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1986 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „უკრაინის უნივერსიტეტების ქართველი სტუდენტობა 1900-1917 წლებში“. 1999 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს ეროვნული-დემოკრატიული პარტიის ისტორია 1917-1923 წწ“.

არჩეულია გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორად და აკადემიური საბჭოს წევრად. მუშაობს ასევე, საქართველოს ეროვნული მუზეუმის უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მკვლევარი, ეწევა სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. იკვლევს საქართველოსა და კავკასიის ახალი და თანამედროვე ისტორიის პრობლემებს, ქართული კულტურის, საზოგადოებრივი აზროვნების, ემიგრაციის, საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა საკითხებსა და სხვა. არის 120-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის არაერთი მონოგრაფიის, საქართველოს ისტორიაში სასკოლო და საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოების ავტორი და თანაავტორი. მისი სამეცნიერო პუბლიკაციები დაბეჭდილია გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ბულგარულ, რუსულ და უკრაინულ ენებზე.

არის გიორგი მაჩაბლის სახელობის ფონდის პრეზიდენტი, ევროპის ისტორიის მასწავლებელთა ასოციაცია „ევროკლიოს“ ექსპერტი, ჟურნალის „ქართული ემიგრაცია“, რედაქ-

ტორი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის სამეცნიერო საბჭოს წევრი, მინიჭებული აქვს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის პრემია.

ძირითადი წიგნები:

1. ნიკო ნიკოლაძე: ბიოგრაფიიდან ამოხეული ფურცლები, თბილისი, 1998.
2. დახვრეტილი თავისუფლება: წერილები, თბილისი, 2000.
3. სპირიდონ კეღია: პოლიტიკური პორტრეტი, თბილისი, 2002.
4. ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბილისი, 2002.
5. საქართველოს ახალი და თანამედროვე ისტორია, თბილისი, 2009.
6. History of Georgia (თანაავტორი), თბილისი, 2009.
7. ნარკვევები საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბილისი, 2013.
8. საქართველო და ქართველები: საკითხავი წიგნი (თანაავტორი), თბილისი, 2013.
9. ნოე რამიშვილი - საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბილისი, 2015.
10. ივანე ჯავახიშვილის კვალდაკვალ, თბილისი, 2018.
11. The Democratic Republic of Georgia. 1918-1921, თბილისი, 2018.
12. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები, თბილისი, 2018.
13. გიორგი მახაბელი (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თანაავტორი, თბილისი, 2019.
14. თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი. თბილისი 1918-1921 წლებში (ქართულ და ინგლისურ ენებზე), თანაავტორი, თბილისი, 2019.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა პოლონეთში;
2. ამიერკავკასიის სეიმი და ქართული პოლიტიკური სპექტრი;
3. საქართველოს სოციალ-დემოკრატია და ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საკითხი;
4. იუზეფ პილსუდსკი ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ პრესაში.



მიხეილ ბატაძე - ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1967 წელს, 1992 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.

1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ერისთავობის ინსტიტუტი XI-XV საუკუნეების

საქართველოში“. 2005 წელს - სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ერისთავობის ინსტიტუტი საქართველოში (ძვ. წ. აღ-ის. III - ახ. წ. აღ-ის. X სს.)“

არჩეულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად.

სამეცნიერო ინტერესების სფერო: შუა საუკუნეების საქართველს სახელმწიფო წყობილება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორია.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო ისტორიის თემაზე გამოქვეყნებული აქვს ნაშრომები:

წიგნები:

1. მასალები საქართველოსა და ჩრდილოეთ კავკასიის ურთიერთობის ისტორიიდან (1918-1921) (თანაავტორი), თბილისი, 2005.
2. ბრძოლა თბილისის დაცვისათვის 1921 წლის საქართველო-რუსეთის ომის დროს, თბილისი, 2009.
3. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის საბრძოლო მოქმედებების ისტორიიდან, თბილისი, 2013.
4. გენერალი ილია ოდიშელიძე, თბილისი, 2017,

სტატიები:

1. An Attempt of Establishing Soviet Power in Georgia in 1920 and the War between Poland and Bolsheviks. Polish-Georgian Historians' Commission. Collected Works. Volume I. Warshawa, 2019;
2. გენერალი ალექსანდრე ანდრონიკაშვილი. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები XIV, თბ., 2019;
3. ეროვნებათაშორის სამხედრო საბჭო (1917 დეკემბერი – 1918 თებერვალი), საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №1, თბ., 2019;
4. გენერალ ზაქარიადის ერთი ცნობის შესახებ (ემზადებოდა თუ არა ქართული ჯარი აზერბაიჯანის მთავრობის დასახმარებლად 1920 წლის აპრილში). საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?“ მასალები, თბ., 2018;
5. О военно-оборонительном договоре 1919 года между Грузией и Азербайджаном. აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ჟურნალი „World of Diplomacy“, 48/2018;
6. საქართველოს ოკუპაციის პირველი მცდელობა 1920 წელს (სამხედრო მომქმედებათა მიმოხილვა). საერთაშორისო კონფერენციის „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“ მოხსენებათა კრებული, თბ., 2017;
7. პოლკოვნიკი ირაკლი ცაგურია. ჟურნალი „ქართული ემიგრაცია“, №3(6), თბ., 2015;
8. საბელისწერო შეცდომები (1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის წინ და ომისას დაშვებული შეცდომები). ჟურნალი „ისტორიის რეკონსტრუქციები“, №2, თბ., 2016;

9. ერთი დოკუმენტი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების შესახებ (1920 წელი). საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, №2, თბ., 2012.

10. გენერალ ლუდენდორფის ერთი წერილის შესახებ. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, III, თბ., 2011;

11. ერთიანი კავკასიის იდეა და მისი განხორციელების მცდელობა 1918-1921 წლებში. კავკასიოლოგთა I საერთაშორისო კონგრესის მასალები, თბ., 2007.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. საქართველოს გასაბჭოების მცდელობა 1920 წელს და პოლონეთ-ბოლშევიკების ომი;

2. სამხედრო მოქმედებები კავკასიის ფრონტზე ამიერკავკასიის სეიმის არსებობისას, 1918 წლის იანვარ-მაისში (ქართული პრესისა და საარქივო დოკუმენტების მიხედვით);

3. ქართული საზოგადოება და პოლონეთ-ბოლშევიკების ომი (გაზეთ „ერთობის“ მიხედვით).



ბექა კობახიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი.

დაიბადა 1985 წელს, 2006 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის სპეციალობით, ხოლო 2009 წელს - მაგისტრატურა. 2009-2015 წლებში გაიარა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის სადოქტორო პროგრამა. 2015 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე“.

არჩეულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორად, არის ამავე უნივერსიტეტის „თანამედროვე საქართველოს ისტორიის“ სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში (GIPA) მოწვეული ლექტორი. ლექციებს კითხულობდა საქართველოს უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში.

2012-2014 წლებში მოიპოვა „პრეზიდენტის გრანტი ახალგაზრდა მეცნიერებისთვის“, 2014 წელს ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ გრანტი, ხოლო 2018 წელს გაიმარჯვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივ საგრანტო პროგრამის კონკურსში, რამაც მას საშუალება მისცა კვლევითი საქმიანობა ეწარმოებინა დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და სხვა საარქივო დაწესებულებებში.

2018-2019 წლებში იყო ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის შესწავლის ცენტრის მიწვეული მკვლევარი.

მის კვლევით ინტერესს წარმოადგენს: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) საგარეო პოლიტიკა, კავკასიის რეგიონში რუსეთისა და დასავლეთის დიდ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების ისტორიული ურთიერთკვეთა და XIX-XX საუკუნეების კავკასიის რეგიონული ისტორია.

გამოქვეყნებული წიგნები:

1. სერ ოლივერ უორდროპი - 150, ავტორი/შემდგენელი, თბილისი, 2015;
2. საქართველოს პირველი რესპუბლიკა. ფოტოალბომი. ავტორი/შემდგენელი, თბილისი, 2015.


სტატიები:

1. Under the Menace of the "White" Russia: The First Diplomatic Encounters Between the Independent States of Georgia and Poland in 1918 and 1919, Polish-Georgian Historian's Commission, Collected Works, Vol. 1, 2019;
2. Feeble Projects and Wishes: The Caucasian and Transcaucasian Federation/Confederation in the Geopolitics of 1918-1920. (forthcoming), Journal Caucasus Survey, Volume 8, Issue 1, 2019;
3. Vulnerability of a Postcolonial Small State: Georgia's International Prospects in 1918, Magazines of European Network Remembrance and Solidarity. Volume 9 (forthcoming), 2019;
4. „ბრიტანული“ კავკასია 1918-1920, სამეცნიერო კრებულში „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ – მოდელი ევროპისთვის?“, თბ., 2018.
5. From International Revolution to a National State – The Case of Georgian Social Democracy (1917-1921). <https://ge.boell.org/en/2017/07/31/international-revolution-national-state-case-georgian-social-democracy-1917-1921>

6. კაკასია 1918-1924: ერთმანეთზე დამოკიდებულების არ-შემდგარი პროექტი; კრებული – 1924 წლის აგვისტოს ეროვნული აჯანყების 90-ე წლისთავი; თბილისი, 2015;
7. The Role of His Majesty's High Commissioner Sir Oliver Wardrop in Transcaucasia with Regard to Georgian-British State Relations, Tbilisi, 2014;
8. Davit Ghambashidze: Representative of The First Georgian Democratic To His Britannic Majesty's Government (1918-1921); Journal of Central Asian And Caucasian Studies, Volume 8, Nr. 15, Ankara, 2013;
9. საქართველოს პირველი ამერიკელი მეგობარი – კონგრესმენი უოლტერ მარიონ ჩენდლერი (1919-1921); თსუ „შრომები“, V, თბ., 2012;
10. Georgia's "Caucasian Role" and Russia – 1918-1921 and the Current Situation; Electronic Bilingual Scholarly Peer-Reviewed Journal "Spekali", #4, 2011;
11. რეაქციონერი რუსი ევზარქოსის ნიკონის მკვლელობა (1908 წ.); ქრისტიანობის კვლევები, 5, თბ., 2010;
12. არჩილ ჯორჯაძის ეროვნულ-პოლიტიკური მსოფლმხედველობა და თანამედროვეობა - საერთო მოქმედების ნიადაგი. პოლიტიკის მეცნიერებათა საკითხები, №2, თბ., 2008.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. Under the Menace of the "White" Russia: The First Diplomatic Encounters Between the Independent States of Georgia and Poland in 1918 and 1919;
2. Transcaucasian Democratic Federative Republic and its Legacy in British Documents;
3. From White to the Red Menace: Georgian-Polish Security Plans on the Edge of 1919-1920.



დიმიტრი სილაქაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი.

დაიბადა 1987 წელს. 2008 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, ხოლო 2010 წელს - მაგისტრატურა.

მუშაობს სადოქტორო დისერტაციაზე - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები (1918-1921). მისი კვლევის ძირითადი სფეროა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სამხედრო საკითხები.

არის თანაავტორი ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილისა და საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ გამოცემული მემორიალური ალბომებისა. საქართველოს პირველი რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო მოქმედებების შესახებ გამოქვეყნებული აქვს 15-მდე სტატია, ასევე მისი წინასიტყვაობით და კომენტარებით გამოიცა რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის შესახებ გივი ლამბაშიძისა და იოსებ მამაცაშვილის უცნობი დღიურები. ამჟამად საქართველოს ეროვნულ არქივის სამეცნიერო განყოფილების თანამშრომელია, პარალელურად, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

გამოქვეყნებული აქვს წიგნი:

საქართველოს პირველი რესპუბლიკის არმიისა და სახალხო გვარდიის შეიარაღება, თბილისი, 2017.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაიკითხა მოხსენებები:

1. საქართველო-პოლონეთის სამხედრო ისტორიის შეხების წერტილები 1918-1921 წლებში. საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული აქამდე უცნობი დოკუმენტების მიხედვით
2. ქართული სამხედრო შენაერთების ჩამოყალიბება ამიერკავკასიის სეიმის პერიოდში;
3. პოლონეთის არმიაში მყოფი ქართველ უფროს ოფიცრებს შორის არსებული დაპირისპირების ისტორია
4. პოლონეთის არმიის ქართველი ოფიცრების ისტორია რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომში.



გიორგი ასტამაძე - ისტორიკოსი, დოქტორანტი.

დაიბადა 1987 წელს. 2008 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების განხრით. 2011 წელს - თსუ-ს მაგისტრატურა (მსოფლიოს ახალი და უახლესი ისტორია). 2014 გახდა კარლსრუეს უნივერსიტეტის მაგისტრი სპეციალობით ევროპის კულტურა და იდეათა ისტორია.

2015 წლიდან კარლსრუეს უნივერსიტეტის დოქტორანტია, მუშაობს სადისერტაციო თემაზე: „გერმანულ-კავკასიური ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. 1918“.

2007-2008 წლებში იყო საქართველოს პრეზიდენტის სტიპენდიანტი, ხოლო 2016 წელს მოიპოვა ბადენ-ვიურტემბერგის მიწის სადოქტორო სტიპენდია. მისი კვლევითი ინტერესების სფეროა მეოცე საუკუნის ისტორია: მსოფლიო ომების ეპოქა, გერმანიის იმპერია, ნაციონალ-სოციალიზმი, რუსეთის იმპერია, საბჭოთა კავშირი, ცივი ომის პერიოდი. ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს. არის ელექტრო ჟურნალის „ნატო და მსოფლიო უსაფრთხოება“ რედაქტორი.

სამეცნიერო პუბლიკაციები:

წიგნი:

„საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი 1914-1918 წლებში. დოკუმენტები და მასალები.“ თბილისი, 2019. დოკუმენტები და მასალები შეადგინეს, გერმანულიდან და ფრანგულიდან თარგმნეს, სამეცნიერო კომენტარები და წინასიტყვაობა დაურთეს გიორგი მამულიამ და გიორგი ასტამაძემ.

სტატიები:

1. „თეთრი ვარდი“, ჟურნ. „ისტორიანი“, N9 (33), თბილისი, 2013;
2. გერმანული კოლონიალიზმი, ჟურნ. „ისტორიანი“, N12 (48), თბილისი, 2014;
3. რატომ შემოვიდნენ გერმანელები კავკასიაში 1918 წელს? ჟურნ. „ისტორიანი“, N5 (77), თბილისი, 2017;
4. გერმანულ ქართული ურთიერთობები 1918-1921 წლებში. <http://german-georgian.archive.ge/de/blog/5>, 2017
5. კრესენშტაინები და კავკასია. <http://german-georgian.archive.ge/de/blog/18>, 2017
6. გრაფი ფრიდრიხ ვერნერ შულენბურგი და საქართველო. <http://german-georgian.archive.ge/ka/blog>, 2018
7. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში გერმანიის წარმომადგენლების ბიოგრაფიები, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ენციკლოპედია, თბილისი, 2018.
8. გერმანია-ოსმალეთის დაპირისპირება კავკასიაში საქართველოს საკითხის გამო 1918 წელს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამეცნიერო კონფერენციისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 2018.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური არქივის დოკუმენტების მიხედვით;
2. პოლონეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიიდან (1918-1921) (გიორგი მამულაია თანაავტორობით).



ზორენა მურუსიძე – ისტორიკოსი, დოქტორანტი.

დაიბადა 1981 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა 2002 წელს, მაგისტრატურა - 2004 წელს.

არის კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი, პარალელურად, სწავლობს თსუ-ს დოქტორანტურაში. მისი სამეცნიერო ინტერესების სფეროა: ქართული ემიგრაციის ისტორია, საქართველოს უახლესი ისტორია, სსრკ-ის ისტორია, არქივთმცოდნეობა.

ძირითადი შტატიები:

1. საქართველოს მონარქო-ფაშისტური დარაზმულობა (1937-1938), კრებ.: მეისტორიე, 2019.
2. პირველი რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ემიგრაციაში (1921-1933), საერთაშორისკო კონფერენცია „არქივთმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობაიზენდენციები და გამოწვევები“. მასალების კრებული, თბ., 2018.
3. რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქცია ცივი ომის დროს, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (20), თბ., 2017.
4. „ეროვნული ცენტრის“ შექმნის საკითხი ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში (1949-1951), კრებ.: III საერთაშორისო კონფერენციის „თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება.“ მასალები, თბ., 2017.
5. Principles and Peculiarities in Processing and Description of Specific Archival Material at the National Centre of

Manuscripts The Radio Liberty Archive, “EL’MANUSCRIPT-2016, Textual Heritage and Information Technologies”, Conference material, Vilnius, 2016.

6. ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მონაწილეობა ვისბადენისა და შტარნბერგის კონფერენციებში (1951-1952), კრებ.: ქართული წყაროთმცოდნეობა, XVII-XVIII, თბ., 2015/2016.

7. მსოფლიოს ბიპოლარიზაცია და ქართული პოლიტიკური ემიგრაცია, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1(12), თბ., 2013.

8. ახალი დოკუმენტები ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიიდან (XX საუკუნის 50-იანი წლები), კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, I(9), თბ., 2011.

9. ბოლშევიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკული კომიტეტი, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II(8), თბ., 2010.

10. ქართული ემიგრაციის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კვლევის პრობლემები, კრებ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II(4), თბ., 2008.

პოლონეთ-საქართველოს ისტორიკოსთა კომისიის კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები:

1. ივანე ნანუაშვილის და პოლონელი ემიგრანტების საარქივო მემკვიდრეობა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;

2. ამიერკავკასიის სეიმის დელეგაცია ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციებზე (მარტი-მაისი, 1918);

3. პოლონეთის ქართული პოლიტიკური ემიგრაცია და საქართველოს დეოკუპაციის საკითხი;

4. სერგო ყურულიშვილის წერილები – მასალები პოლონეთში ქართული კომიტეტის ისტორიის კვლევისათვის.



გორის უნივერსიტეტის რექტორი გ. სოსიაშვილი და კომისიის წევრები გორში ი. პილსუდსკის სკვერში



პოლონეთის ელჩი საქართველოში მ. მაშკევიჩი და კომისიის წევრები



პოლონეთ-საქართველოს კომისიის წევრები ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში



პოლონელი ისტორიკოსები სტუმრად გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში